ISSN 0132-6023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცოდნა

1

1987

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემო სამშობლოვ, შენი მეკვლე ვარ!

ჩემო სამშობლოვ, შენი მეკვლე ვარ,
— შემოვდგი ფეხი,
ვარ მომლოცველი,
თვითეულ მოძმის გადამკოცნელი!...
ხალხო ქართველო,
შენ გაიხარე,
ბედნიერების ვარ მომლოცველი!

ყოველი შენი ბუჩქი და ტოტი
მენახოს მზეში დამარჯნებული,
შენი მარჯვენა მინდვრად, დაზგასთან,
იყოს მარადის გამარჯვებული!

ხალხო, გიმრავლოს კერის აკვნები,
ხალხო, აივსე მიწის ბარაქით!
სულ მჩქეფარებდნენ დაუშრობელად
შენი რიონი, მტკვარი, არაგვი!

სამშობლოვ,
შენი კერის მეკვლე ვარ,
შენი ლამაზი მიწის მკოცნელი,
ათას ჩანგსა და ათას სიმებზე
ამოგაყღერო მინდა ოცნებით,

მაგრამ სიტყვები ვერ მიპოვნია,
ჰანგი, შენდამი ტრფობის მტყორცნელი!
ყოველდღე ჩემთვის ბედნიერების
და სიხარულის ხარ მომლოცველი!

გიორგი ლეონიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

354
გამოცემის ოცდამეათე წელი

1

იანვარი
1987
თბილისი
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

3. მოწინავე

პოეზია და პროზა

4. მელორ სტურუა — ლექსები
7. ქეთევან მელიქიძე — თეთრი ქვების დარაჯი. მოთხრობა
38. რომან მიმინოშვილი — ლექსები
41. კოკა არაგული — ღვარალა თუთა ანუ მყვირალოგის თვე. პოემა
47. ჯუმბერ ტიკარაძე — მცირე უწმაწურობანი. მოთხრობები
55. მიხეილ ქვლივიძე — ლექსები
56. იოსრამ ქემერტელიძე — ლექსები
60. მაკა მიქელაძე — ლექსები
62. ვახტანგ ახვლედიანი — ბოგბო. ნოველა
66. ბივი ჭიჭინაძე — ლექსები
68. ელგუჯა ჯიქია — ლექსები
69. გური ფეტელავა — სიცოცხლემისჯილი. რომანი. დასაწყისი
95. მიხეილ ხარიტონაშვილი — ლექსები

ახალი თარგმანები

96. როზეტტ მუზილი — შაშვი. გერმანულიდან თარგმნა თენგიზ პატარაიამ

დიალოგი

106. მერაბ ბერძენიშვილი, ვახტანგ ხარჩილავა — „კიდევაც დაიზრდებიან“

წერილები

118. თენგიზ ჩხაიძე — ნაირა გელაშვილის პროზა. დასაწყისი
129. სოლიკო ცაიშვილი — „ვეფხისტყაოსნის“ მარადიული სიცოცხლე
144. დავით გოგოჭური — ქართული ლექსის სათავეებთან
151. ნოდარ კაკაბაძე — თოგას მანი და შილერი

რეცენზია

155. ზაზა სიხარულიძე — „...ჩემიც გამოჩნდნენ ზღვებზე ბემები...“
156. ირინე ტალიაშვილი — „მე მოვდივარ მართალი და უცაბედი“...

158. ქრონიკა

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:
ბივი ალხაზიშვილი
თეიმურ ბაქრაძე
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გურამ გეგეშიძე
ბივი გეგეჭკორი
გიორგი გუგლია
თამეიურაზ დოლაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მედეა კახიძე
შოთა ნიშნიანიძე
გურამ შანგუილია
მორის ფოცხიშვილი
ალიკო შარაშიძე
ნუგზარ შატაიძე
ალთანდილ ჩხიკვიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
გიგი წერეთელი
ტარიელ ქანდერია
ბადრი ჭოხონელიძე
მაკა ჯოხაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

1987 წელი დატვირთულია დიდი თარიღებითა და მნიშვნელოვანი მოვლენებით.

მიმდინარე წელს საბჭოთა ხალხი მთელს პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად იზეიმებს დიდი ოქტომბრის რევოლუციის 70-ე წლისთავს!

გაიმართება საქართველოს ალკა 33-ე ყრილობა!

ფართოდ აღინიშნება ილია ჭავჭავაძის 150 წლისთავი!

ვაჟა-ფშაველას 125 წლისთავი!

ჟურნალ „ცისკრის" დაარსების 30-ე წლისთავი!

ყველაფერი ეს შესაფერის ასახვას ჰპოვებს ჟურნალის ფურცლებზე.

მიმდინარე წელს „ცისკარი" კიდევ უფრო ახალგაზრდული იქნება. დაისტამბება ახალგაზრდა მწერლების რამდენიმე რომანი, ვრცელი მოთხრობები და ნოველები, პოემები და ლექსები. ახალგაზრდა მწერლებს ფართო ასპარეზი მიეცემათ, რათა სრულად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობანი.

„ცისკრის" მრავალრიცხოვან მკითხველს ასევე საშუალება ექნება თვალი ადევნოს მათ შემოქმედებით ზრდასა და დოსტატებას.

გამოქვეყნდება ახალგაზრდა მწერლების პასუხები საანკეტო კითხვებზე, წერილები და რეცენზიები ახალი თაობის შემოქმედებასა და ცალკეულ წიგნებზე.

დაისტამბება დიალოგები ჩვენი კულტურის უთვალსაჩინოეს წარმომადგენლებთან.

ფართოდ აისახება ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი მოვლენები.

„ცისკრის" რედაქცია ქართველ ხალხს ულოცავს ახალ წელს, უსურვებს გამრავლებას, ბედნიერებას და ახალ-ახალ წარმატებებს.

ილია და აკაკი

ბედი, მჩატე, ვით ლითონი
და მძიმე, როგორც ბუმბული.
ილია — მამა ერისა,
აკაკი — ერის ბულბული.

თავს გვევლებიან, გვიცავენ
მნათენი, გულის ძგერისა.
აკაკი — ერის ბულბული,
ილია — მამა ერისა.

ორი სპეტაკი მწვერვალი
თავშესაფარად გვეღირსა:
აკაკი — ერის ბულბული,
ილია — მამა ერისა.

ღვინოდ და წამლად აქციეს
ბალდამი გულს ჩაგუბული.
ილია — მამა ერისა.
აკაკი — ერის ბულბული.

გვიხსნიან, მაინც გვიხსნიან,
თუ კი უფალმა შეგვრისხა!
...აკაკი — ერის ბულბული,
ილია — მამა ერისა.

ზარზმობა

ზარზმობა, ზარზმის ზმანება;
ზართ ჟრუანტელად გამივლის
წარსულის ახმოვანება,
ახმოვანება მომაველის.

დაიცრა წუთისოფელი
ოსმალოს დანაჯახები,
ვით ლანდი კეთილშობილი
აკუწულ სარგის ჯაყელის.

ლანდი იქაც და აქაცა,
მაგრამ აფხიზლებს ასპინძა
მას ვინაც ზარზმა აკუწა
და მისი ცრემლი აკინძა.

ზემდგარა ზარზმა ცერებზე,
კიდეც გაფრინდეს, ლამისა.
„ვწერ ვინმე მესხი მელექსე
მე რუსთველისად ამისა.“

მღერიან ქართლის შვილები,
კუთხე არ დარჩა უქები...
მთებს იქით დაგეშლება
ბოღმით უსმენენ თურქები.

ლოდინი

შეუწყვეტელი ბორგვა და შფოთვა,
პირს გამოვივლე ჩამქრალი ჩალა.
სად არის თამარ? სად არის შოთა?
„დაიგვიანეს, ჯერ არსად სჩანან.“

შენ ყურს ნუ უგდებ მაცდურ
სალამურს,
გამოიფიტა ველი და ჭალა.
ისევ ლოდინი, მაგრამ სანამდე?
დაიგვიანეს და არსად სჩანან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იავნანა და ანბანი

დასაბამიდან მეღირსა,
როგორც რძე, წყალი და პური,
მე იავნანა დედისა
ანბანი მამა-პაპური.

გულში ტოკავდა, მღეროდა
ფრინველი გასაკვირველი —
ჩემი პირველი ბგერა და
ჩემი სიტყვები პირველი.

არ მაშინებდა ავი დღე,
არც ბედი უკუღმართული.
მე ენა კი არ ავიდგი,
ენა ავიდგი ქართული!

საამაყო და საამო
ღრმა იარების განმბანი,
ვით თურმანიძის მალამო,
იავნანა და ანბანი.

გამხნევება

რა ვუყოთ, ერთხელ დაეცი,
გამხნევდი, ისევ ადგები.
თავს ნუ მოიკლავ, ვაქაცო,
მეგობრებს გამოადგები.

რას იზამ, წილად არ გერგო
გზა და ბილიკი ნატეკანი.
თავს ნუ მოიკლავ, ჯაბუკო,
დედ-მამას გამოადგები.

რად დაიშანთე თვალები,
თვალები ცრემლით ნათქვეფი.
თავს ნუ მოიკლავ, მიჯნურო,
სიყვარულს გამოადგები.

არ დაიდარდო, მაჟარო,
დრო მოვა — ღვინოდ დადგები.
თავს ნუ მოიკლავ, ქართველო,
სამშობლოს გამოადგები.

სცილა და ქარიბდა

ექვსინი! პონტის მღელვარე გავა
მათრობ�ა, მწადდა და მახარებდა.
ასე ეფიქრობდი: დავძლევ, ფონს გავალ,
...მარჯვნივ სცილა და მარცხნივ
ქარიბდა.

მე არ ვუხდიდი ხაფანგს ბოდიშებს,
ნაკერდში სიფრთხილე გამიღარიბდა.
თავს ვადარებდი ღვიიურ ოდისევს.
...მარჯვნივ სცილა და მარცხნივ
ქარიბდა.

ექვსინის პონტი შეღებეს მელნით
სამკვდროდ შეჭედილ კოლხურ
კარებთან.
მითვალთვალებდნენ დაუნდობელნი
მარჯვნივ სცილა და მარცხნივ ქარიბდა.

პონტის სიშმაგემ დაღი დამასო
და ოქროს ვერძად ჩამოყალიბდა.
ორთავ ყოფილხარ, თურმე, ლამაზო:
მარჯვნივ სცილა და მარცხნივ ქარიბდა!

ვანი

პატარა ვანი, თან ახოვანი
და ხეივანი სიტყვის ქართულის,
შეუდრეკელი, ამპარტავანი,
თუმც ბედი ჰქონდა უკუღმართული.

პატარა ვანი, თან დიდი ვანი
და შადრევანი ღვიიურ რითმების —
სიტყვის ოსტატი და ფალავანი
არ იყიდების და არ ითმების.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზემ შემოდგომის მოჰქარგა ვანი
და გალავანი მწვავე ოცნების.
სიტყვა, ლექსებში მოქარავანე,
იმათი მადლით დაიკოცნების.

საქართველოში იყო ნგრევანი,
შემოსევანი, მზაკვარი ბედი
მაგრამ გადარჩა პატარა ვანი —
დიდი მომავლის წინამორბედი.

ვანის ზეცაში მეგებებიან
ვარსკვლავები და მათი ციალი.
ჩვენ ეხლა ვიცით, სად დადგებიან
გალაკტიონი და ტიციანი

დაუვიწყარი, ვით წყალი, ვანი
არ დაილევის, არ მოთავდების.
გალაკტიონის როკავს აკვანი,
როგორც ხომალდი არგონავტების.

ქარო-გრიგალო, ზღვის არშიამდე
რიონის ტალღა მიასამუმე,
რომ აღორძინდეს და ამრიალდეს
მგოსნის სარკმლის წინ იასამანი.

...პოეზიაში მოვიდნენ სხვანი
ათამაშებენ იოლად ჩანგებს,
მაგრამ ინახავს პატარა ვანი
დიად საუნჯის ნისლიან ნამქერს.

შემოგვეტმასნა პროზის სავანე
და თუ კი დარჩა გამოსავალი,
ისევ ის არის — პატარა ვანი,
პატარა ვანი და დიდი ვალი,

ვალი დიადი, ლაჟვარდოვანი
ფრთებს რომ შეასხამს ბაში-აჩუკებს.
აჩუქებს ვანი, აჩუქებს ვანი
ჩემს საქართველოს ახალ აშუღებს!

ძმებო, სიცოცხლეს გვიჯობს ნაძრახსა
მაინც სიკვდილი სახელოვანი.
გულში აგვინთებს შვების ხანძარსა
პატარა ვანი, პატარა ვანი.

პატარა ვანი, ხავერდოვანი
ვერ გადათელეს და ვერ წაბილწეს.
შემღაღადებენ წარსულის ქვანი,
თითქოს წამოდგა მკვდრეთით ტაბიძე.

პატარა ვანი, პატარა ვანი,
დიდსულოვანი, დიდსულოვანი...

გალაკტიონის აკვანი

ირემი მთაში ყვიროდა,
ტყვია იგემა მზაკვარი,
და ირწეოდა რიონთან
გალაკტიონის აკვანი.

ბუნება ზამთარს მინებდა
და აერია გზა-კვალი.
ათბობდა, აშუშმინებდა
გალაკტიონის აკვანი.

ზღვამ იგრიალა. რა დარჩა?
ბუხის ფესვები და ქვანი.
მაგრამ არ გაქრა, გადარჩა
გალაკტიონის აკვანი.

ესაფრებიან — რა იცის —
თვალნი ავნი და ძაგვანი.
იწვის და მაინც არ იწვის
გალაკტიონის აკვანი.

ირწევა, მაინც ირწევა
მშობლურ ანბანის წამყვანი
როგორც რუსთველის შაირი
გალაკტიონის აკვანი.

ქეთევან მელიქიძე

თეთრი ქვების დარაჯი

მოთხრობა

ზარის ღილაკს თითი რომ დააჭირა, იგრძნო, როგორ დაეძაბა სხეული, სადარბაზოში გამოკეტილმა სიჩუმემ თითქოს გულიც გაუჩერა. კარი თემომ გაუღო, რამდენიმე წამი უცნობებივით ათვალიერებდნენ ერთმანეთს. მერე თითქოს ორად გაჭრესო, კაცის ზურგს ქალის სხეული გამოეყო, ლიზიკოს მკლავში ჩააფრინდა და დერეფანში შეათრია.

„მადლობა ღმერთს, რომ მოხვედი, ლიზიკო, მადლობა ღმერთს! ერთი კვირაა სახლიდან არ გადის ჩემი შვილი, გელოდება. რას გაშტერებულხარ, შეიყვანე ბავშვი ოთახში!“ — ნაძალადევად იცინოდა ქალი.

„ტყუილად მოვედი, ყველაფერი იცის“, — ფიქრობდა ლიზიკო.

„მომილოცავს, ჩემი გოგო“, — ჩუმად თქვა თემომ, „მომილოცავს!“.

ინგამ მათ გარშემო სირბილს თავი დაანება, სიცილი შეწყვიტა და ჩრდილივით გაქრა.

„ჩემი გოგო“ რაღაც ახალია, — ხმა ამოიღო სტუმარმა.

„ვიხვეწებით, ჩვენც გვინდა იქ, ზეკით მოხვდრა“ — საჩვენებელი თითით თავსზემოთ წრე შემოხაზა თემომ.

„ვიცი, იმიტომაც არ მთხოულობს!“ — ლიზიკომ კარები გამოაღო და ოთახში შევიდა.

„ორი კაცი ხომ ვერ შეგირთავთ ერთდროულად, რამდენადაც ვიცი, ერთთან უკვე ცხოვრობთ და ქორწილის დღეც დაგინიშნავთ“, — მსახიობივით, ლამაზად, დაყენებული ხმით ლაპარაკობდა კაცი და ხელებს შლიდა. ბოლომდე მაინც ვერ ითამაშა, „დროზე უნდა დამემტკვრია ცხვირპირიო“, ჩაილაპარაკა და გაჩუმდა.

„მაგის უფლება არ გქონდა, ჩვენს შორის არაფერი ყოფილა,“ — ისე ჩუმად თქვა, თემომ უფრო იგრძნო, ვიდრე გაიგონა ნათქვამი.

„სწორედ მაგ „არაფერმა“ მოგაცუნცულა ჩემთან“, — შხამიანმა ღიმილმა ჩაუნაცარა კაცს ტუჩები.

„თემო, თემო!“ — კი არ დაუძახა, მათხოვარივით ითხოვა რაღაც.

ბნელ ოთახში თითქმის არ ჩანდა ქალი. კაცი ახლოს მივიდა, ხელებში მოიმწყვდია მისი სახე, დაიხარა. თოვლით დაფარული იის სურნელი იგრძნო, მზის უნახავად გათოშილი ყვავილის.

„დარჩები“, — შეეკითხა წვიმას.

„დავრჩები“, — გათბა წვეთი.

სიბნელეს დაეჯაბნა ლიზიკოს თვალების ფერი, მხოლოდ ძალიან ღრმად, ფსკერზე, სიხარულის ნაპერწკლები აკიაფებულიყვნენ და თემო საკოცნელად დაიხარა, ტუჩებით უნდოდა შეეგრძნო ისინი.

ზარის ხმა უხეშად შემოიჭრა ოთახში და თითქოს ხელი კრესო, ისე დაშორდნენ ერთმანეთს. თემომ სინათლე აანთო, ქალის თვალებში ჩამდგარი წყლის ზედაპირი შეირხა, დაიფშვნა და კაცს სახე დაუწიწკნა. ლიზიკომ თმები გაისწორა და უცებ თითქოს მისი ყურის ბიბილოზე ჭინკა აცეკვდაო, ისე აბრწყინაოლდა ძვირფასი საყურე.

ზარის ხმა განმეორდა.

„სახლში ხარ?“ — ჩუმად იკითხა ინგამ და პასუხისთვის არ დაუცდია, გასაღები გადაატრიალა.

„გაგაღვიძეთ?“ — ნაცნობმა ხმამ პირდაპირ თემოს ოთახში შემოაბოტა, უკან ირაკლი და გოგა მოსდევდნენ. ლიზიკოს დანახვამ დაანბინა ბიჭები, უხერხულად გადაკოცნეს ერთმანეთი და თემოს მიაშტერდნენ. სამივე მიხვდა, უდროო დროს შემოეხეტნენ.

„ერთი წუთით შემოვიარეთ, ფეხბურთზე აპირებ წამოსვლას?“ — მოიბოდიშა ირაკლიმ, „ჩვენ მივდივართ“.

„დარჩით, თორემ ლიზიკოს ეწყინება, ქორწილში გვეპატიჟება. ნახეთ, როგორი საყურე უჩუქებიათ, ბრილიანტებში ვერ ვერკვევი, მაგრამ კისერს მოვიჭრი, ათზე ნაკლები არ უნდა ღირდეს“ — მხიარულად იღიმებოდა თემო.

ლიზიკო ხმას არ იღებდა. ორივე ხელით საყურეები ჩაებღუჯა, თითქოს ეშინოდა, რომელიმეს ყურებიდან არ ჩამოეგლიჯა ისინი.

„შაბათს, ოთხ საათზე, ქორწინების სახლში“, — თქვა ბოლოს და წავიდა.

არავის გაუცილებია.

„რა უნდოდა?“ — იკითხა ირაკლიმ.

„დარჩენა“, — თქვა თემომ.

ოთახში ინგა შემოვიდა. ბიჭებს დააკვირდა. შვილისათვის არ შეუხედავს, სამზარეულოსაკენ წაფრატუნდა.

„ძალიან დაბერდა“, — ხმამაღლა გამოუვიდა ნაფიქრი გოჩას.

თემომ სინათლე ჩააქრო, ლოგინზე მიეგდო და ბალიშში ჩარგო თავი.

„ასე, ალბათ, სიყვარული კვდება“ — გაიფიქრა გოგამ — „და, ჩვენ ჭირისუფლებს, ან სამძიმარზე მოსულ მეგობრებს არაფრის შეცვლა არ შეგვიძლია“.

ბიჭებმა უსიტყვოდ დატოვეს ოთახი. სამზარეულოში ინგა ტიროდა. ამგვარად თოვლში გაგდებული უსინათლო ლეკი წამტუტუნებს...

ოჯახს, რომელშიც დღეიდან ლიზიკოს უნდა ეცხოვრა, არაფერი აკლდა. არაფერი, გარდა ლამაზი რძლისა, რომელზეც ოჯახის უფროსი ოცნებობდა და მიიღო კიდეც. ქორწილი დედებული გადაიხადეს, ოთახიც ისე მოუწესეს, თითქოს საკუთარ ქალიშვილს ამზითვებდნენ, მაგრამ პატარძლის სახეზე გაყინულ თავაზიან ღიმილს გალღობა არ ეწერა. სტუმრების წასვლისთანავე ჩამოვარდნილ უხერხულ სიჩუმეში იგრძნო კაცმა, სახლში ნაღველი დასახლდა. ლიზიკოს საწოლის თავის ფერი, მსუბუქი, ღრუბელზე დაფენილი და დალიანდაგებული ყვითელი ატლასი...

ერთ ჭერქვეშ ორი ლამაზი ქალი ვერ ეტეოდა. მითუმეტეს ორმოცდაათს გადაცილებულისათვის ძნელია ახალგაზრდასთან გაჯიბრება, პირველობის დათმობა კი ჭირს. ოხ, როგორ ჭირს! მკაცრი დიეტა, შესანიშნავი თმის საღებავი, „ძვირფასი“ მკერავის მიერ შეკერილი კაბა, ფრანგული პარფიუმერია, ყოველივე უძლური აღმოჩნდა, როცა საქმე ასაკს შეეხო. ქალი საათობით იჯდა სარკესთან და ხედავდა სახეზე გაჩენილი ნაოჭები როგორ ავიწროვებდნენ თვალებს, ძაღლებივით უკბენდნენ ხელებს, წურბელებივით ასხდნენ ყელზე, მოურიდებლად ეპორწიალებოდნენ ძუძუებზე. დათმობის ჟამი დამდგარიყო, რაღაც მნიშვნელოვანთან განშორების და „ფორმაში“ ყოფნა უკვე ვეღარაფერს ნიშნავდა. ბებიის როლი, როგორ მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს იგი, თუმცა ახალგაზრდას, მაგრამ მაინც ბებიას განასახიერებს და არა ასაკში შესულ მშვენიერ მანდილოსანს, რომელიც დიდი სიყვარულისა და თაყვანისცემის ღირსია. სიყვარულს კი ანა მთელი სიცოცხლის განმავლობაში ელოდა, და სწორედ კიდეც, რომ აუცილებელად ეწვეოდა იგი, ახლა თუ არა, მომდევნო გაზაფხულზე უსიკეთოდ. ოღონდ უნდა მოესწრო და პირველი ფიფქის დანახვისთანავე ჩაეფიქრებინა სურვილი.

დიახ! ქალი, რომელსაც სიცოცხლის ნახევარზე მეტი ქმრის გვერდით ერთ სარეცელზე გაეტარებინა, სიყვარულს მშიერი ძაღლივით გარე-გარე ეძებდა. ბოშათა ბანაკივით აჭრელებულ და აჭყვიტინებულ ბრბოში, ოჯახში გაუთა-

ვებელ მომსვლელ-მომსვლელთა სახეებში, დიდი ქალაქების სასტუმროებში, დასასვენებელ სახლებში, ზღვაში, მთაში, ყველგან, მაგრამ ამოოდ. კაცი, რომელიც ყურში ერთადერთ სიტყვას ჩასჩურჩულებდა და მის სიმართლეში დაარჯერებდა, დაატოვებინებდა ქმარ-შვილს, ძვირფასი ავეჯით მოწყობილ სახლს, არსად ჩანდა.

ხვდებოდა თუ არა ქმარი რაიმეს, ძნელი სათქმელია, რადგან ანა კარგი დედა და დიასახლისი იყო. მშვიდი, დინჯი, სიტყვის ენის წვერზე დამჭერი, ამიტომაც კაცი დარწმუნებული იყო, რომ გაუმარილა. ხანდახან, როცა ვინმეს ცოლს უგინებდნენ, თავისი გაახსენდებოდა და სახე გაებადრებოდა. არა, ტყუილად არ ატარებდა იგი მოდიდახგასულ ულვაშებს, ისინი ამშვენებდნენ მის გვარს, ოჯახს, კეთილშობილი სახის ნაკვთებს, ბედნიერი იყო კაცი, თუმცა ხანდახან ნწარედ დაიჩივლებდა, გულს უჩიოდა, საკმაოდ გავრცელებულ დაავადებას, რადგან ერის მსახური იყო და იცოდა, ჯერ ყველაფერი ვერ იყო წესრიგში და მთლად დალხინებულად თავის ჩვენება ეუხერხულებოდა.

საკუთარი ანეკდოტებიო, ჩაითა და ნამცხვრით კმაყოფილი ოჯახის უფროსი, ძილის წინ აუცილებლად მოლა ნასრედინის ოხუნჯობებს გადაიკითხავდა. უყვარდა ეს ენაკვიმატი წიგნი, თანაც ცალი თვალით მეუღლეს ათვალიერებდა. ქალი სარკეთან იჯდა და სახეზე მკვებავს ისვამდა. კაცს სიამოვნებდა ოჯახში დატრიალებული უცნაური სურნელი. ათასნაირი ფორმის ფაიფურის ფერადი ქილები, ზეთი ხელების დასარბილებლად, ფეხების დასარბილებლად... თუმცა, თვლიდა, რომ მის ცოლს ყოველივე ეს არ ესაჭიროებოდა. ბოლოს ვარდისფერ პენუარში გახვეული ქალი სინათლეს ჩააქრობდა და საწოლს მიაშურებდა. „მერიდება,“ სიამოვნებით გაუელვებდა კაცს თავში, (ასე ფიქრობდა იგი უკვე ოცდაათი წელიწადია) წიგნს გვერდზე გადადებდა და მეუღლესაკენ მიიწევდა. ჯერ მოტკბო, ოდნავ გულისამრევი ნელაცხებელი სუნელი გაუოიზანებდა ცხვირის ნესტოებს, კაცი ნაცნობ სურნელს გაუღიმებდა და დინჯად იწყებდა მკვებავის გადატანას სახიდან ყელზე. ტუჩები ქონით დაეპოხებოდა, ტკბილად აკრუტუნდებოდა და ერბოთი გამაძღარ კატას ემსგავსებოდა. „ულვაშებზე ვანილის სუნი სდის, დიებანა მაინც“ — ბრაზობდა ქალი და აქლოშინებული მეუღლე რომ არ დენახა, თვალებს მაგრად ხუჭავდა.

სანამ ცოლის ლოყაზე თაფლში ჩავარდნილი ბუზივით მიწებებული კაცი არაამქვეყნიურ ნეტარებას ეძლეოდა, მეზობელ ოთახში მისი მემკვიდრე სიმწრისგან თითებს იკვნეტდა.

„ბოლოს და ბოლოს ამიხსენი, რა გინდა. ხომ უნდა გამაგებინო რა გიხარია, ან რა გწყინს. შეიძლება ნიღაბივით მთელი დღის განმავლობაში ერთი და იგივე სიფათით სიარული? რას მიყურებ? მითხარი. ეგებ რამე გაწუხებს, მიპასუხე, რო გელაპარაკები!“ — ყვიროდა დედისერთა.

ლიზიკო სიგარეტს ეწეოდა, თან თეთრ მაგიდაზე მოფუთფუთე ჭიანჭველებს აკვირდებოდა. რამდენიმე დღის უკან ანანასის კომპოტი დაელვარა და ახლა ეს პატარა მწერები, ეტყობა, ნასუფრალზე ნადიმს იხდიდნენ. თანაც იქით-აქეთ გარბი-გამორბოდნენ და სხვებსაც ეპატიჟებოდნენ. ქალმა მაგიდის ფეხს თვალი გააყოლა და წვრილი, ჯაჭვივით ჰაერში გამოკიდებული სტუმრების მწკრივი დაინახა.

დედამთილს რომ არ ეძინოს, შეიცხადებდა ანტისანიტარიას „საკუთარ ოჯახში“ — გაეღიმა ლიზიკოს.

„რა იყო“? — გაუკვირდა დევნს.

„იცის კარდენმა თავის საქმე, გიხდება ეგ კოსტიუმი“, — ასიამოვნა ქმარი.

კაცმა საკუთარი თავი სარკეში შეათვალიერა, ეტყობა, კმაყოფილი დარჩა, მოტრიალდა, სავარძელი ცოლთან ახლოს მიაჩოჩა და ახლა უკვე სხვა ტო-

ნით კითხა, ახალგაზრდობის მეჯლისზე რატომ არ წამომყევიო.

„სისულელეების მოსასმენად, არა? ჩვენნ სასიქადულო ახალგაზრდებო, გამრავლდით, ჩვენ აგერ ვართო.“ — ჭიანჭველების თვალიერება განაგრძო ლიზიკომ, „საინტერესოა, თვითონ რატომ არ მრავლდებიან ან თავის დროზე რატომ არ გამრავლდნენ?“

„ბავშვი რომ გვეყოლება, მამა ვოლგას გვიყიდის. დამპირდა“. — მომავალ შვილს თუ ვოლგას გაუღიმპ კაცმა.

„მამა კი არა, მამიკო. როგორ გამახარე! რატომ ადრე არ მითხარი? ერთ შვილზე ვოლგას, ორზე — ტანკს, სამზე — იახტას, ოთხზე „თვითმფრინავს“, ოთხი ტყუპი რომ გავაჩინო, ალბათ, გემსაც გვიყიდის“. — ტაში შემოჰკრა ლიზიკომ.

„ხანდახან მინდა, რომ დაგახრჩო,“ — გამოტყდა დევი.

„ოტელო!“ — ქალმა კაბა გაიხადა და სიგარეტს მოუკიდა.

„ნუღარ მოწევ რა, დედაჩემი ჩემზე ძმსულად რომ იყო, თამბაქოს მიმართ ალერგია ჰქონდა,“ — კაცი ქალს ხარბად აკვირდებოდა და უკვე ნანობდა, რამდენიმე წუთის წინ რომ აწყენინა.

„მართლა? მე კიდევ კაცების მიმართ მაქვს ალერგია და ძალიან გთხოვ, გაითვალისწინო!“ — ლიზიკომ საჩვენებელი თითით მაგიდას ჭიანჭველა დაასარისა.

დევი ოთახიდან გავიდა.

„ნეტავ, ქალბატონი ანა, მის ვაჟიშვილს ჩემს გვერდით რომ ვერ აღმოაჩენს, ჭკუიდან შეიშლება,“ — გაიფიქრა ლიზიკომ და საწოლის შუაგულში მოიკალთა. თავქვეშ ორივე ბალიში ამოიდო. „ბომიტივეთ, დედავ-ბატონო, რომ დღეს მე, საყვარელი მეუღლის გარეშე, პრინცესასავით მარტო ვიძინებ იუგოსლავიის მიერ საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო XIII პატივსაცემად გამოშვებულ ძვირფას ლოგინზე,“ — გამოელაპარაკა დედამთილს და თვალები დახუჭა.

ძაძინება მაინც ვერ მოახერხა. სიჩუმეს უგდებდა ყურს და ცდილობდა წარმოედგინა, დევი რას აკეთებდა. „თავი რომ მოიკლას, რა მეშველება“, — ეკვიატა ფიქრი. მეტი საქმე არა აქს! სისულელეების დრო მოკვდა, არავინ არავისთვის არ გიჟდება, არავინ არავისათვის თავს არ იკლავს“.

ერთხანს კიდევ იწრიალა. უზნეო ბავშვივით ბალიშები იატაკზე გადაყარა, საბანიც ზედ მიაყოლა. შესცვდა. საცოდავად მოიბუზა. მუცელზე დაიდო ხელი. „ნეტავ ეს თუ გრძნობს რამესო;“ — დაინტერესდა. წამოდგა. ხალათს დასწვდა. იაპონურ აბრეშუმზე ამოქარგული პეპლების ფრთებზე დაბატული გაზაფხული აცეკვდა. მსუბუქმა ქსოვილმა დაუსუსხა თითები. „იმათი ნაყიდია“ — ზიზღით დაებრიცა ტუჩები. კარადასთან მივიდა. ძველი ხალათი მოძებნა. გაუხარდა გამოხუნებული ჩითის დანახვა, ქალბატონი ანას ნატიფი გემოვნებით შერჩეულმა კაბებმა გულგრილად დაათვალიერეს პატრონი. „რისი წყდება შემიძლია, რა არის ამ სახლში ჩემი?“ — გულს ასკდებოდა ლიზიკო. წასვლა როდის გადაწყვიტა, არ ახსოვს, მაგრამ ახლა დარწმუნებული იყო, რომ ერთ წუთსაც ვეღარ დარჩებოდა ამ სახლში.

ჭრელი ჩანთა გამოათრია. შიგნით რამდენიმე პერანგი, კაბა და შარვალი ჩაკუჭა. ჭასავით ღრმა ჩანთა ვერაფრით ამოავსო. ღვინით გამომტყვრალი კაცივით დაეღო პირი და ფრანგული სუნამოს ოხშივარს ანთხვედა ცხვირპირში ლიზიკოს.

„არაფერსაც არ წაიღებ!“ — ოდნავ შესუქებული ჩანთა უკანვე მოისროლა.

„რატომ, ოთხი თვის საფასურის წაღების უფლება გაქვს!“ — ყურში ჩასძახა ხმამ, რომელიც დედამთილისას წაადგება.

„საჭმელში არაფერს დამიქვითავთ! არც ბინის ქირას გადამახდევინებთ? რა კეთილი ბრძანდებით, ქალბატონო ანა, მე კი როგორი უმადური გამოვდექი, რამოდენა ზარალი მოგაყენეთ. მეორე რძალი ჩემი ზომის რომ არ გამოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეს, ხომ ოხრად დაგრჩებათ უთუბზირად ნაყიდი ტანსაცმელი. ყველას დასწარით, ყველაფერი შეიძინეთ, მე გამოგრჩით მხოლოდ მხედველობიდან. ძვირია სილამაზე, თქვენი ყოლის"შემძლე ქმრისთვისაც კი ძნელად ხელმისაწვდომი!“.

არავინ გამოპასუხებია. ქალბატონი ანა ქმრის მკლავებში ოფლად ღვრებოდა და თავის ქარაფშუტა რძალთან კამათისათვის არ ეცალა.

ლიზიკო ფანჯარასთან მივიდა. ქუჩა სიბნელეს დაეჭყლაბნა. ერთადერთი ქუდიანი ნათურა საკუთარ თავს ძლივს ანათებდა.

„მეშინია წასვლა“, — გასძახა ლიზიკომ.

ხმა ვერ მიაწვდინა. ყვითელ მდუმარებაში მომწყვდეულ წრეს მისკენ არც გამოუხედავს.

მისაღებ ოთახში, ტახტზე, დეკის ეძინა. ლიზიკო ახლოს მივიდა. მძინარეს, ეტყობა, ცხელოდა. ცხვირზე, შუბლზე და ტუჩს ზემოთ ოფლის ბუშტები ასხდნენ. „კიდევ კარგი ფეხსაცმლის გახდა მაინც მოისაზრა, მე კი ვფიქრობდი, თავი არ მოიკლას-მეთქი“.

რამდენიმე საკეტის გადატრიალების შემდეგ რკინის კარი როგორც იქნა გაიღო და ისე ჩუმად მიიხურა, თითქოს ქალთან შეთქმული ყოფილიყო და სახლიდან გაქცევაში შეელოდა.

ლიზიკო ქუჩაში მიაბიჯებდა და უკვირდა, რამდენად მუქი ფერის ჩანდა სიბნელე განათებული ფანჯრიდან. ცხვირზე წვიმის წვეთი დაეცა. გაუხარდა გამომლაპარაკებლისა და გამცილებლის გამოჩენა. თუმცა წვიმა არ ჩქარობდა. კანტიკუნტად ეცემოდა. თითქოს სერის საყურებლად აბეზარი გამელვლივით აკიდებდა წვრილქუსლიან ლოპლაპა ფეხსაცმელებს. ხახდახან დაგვიანებული მანქანის ქსუტენი აღდევედა მყუდროებას და ლიზიკოს უხაროდა, რომ არც ერთს აზრადაც არ მოსულია გაჩერება. თუმცა, ქალბატონი ანასათვის რომ გეკითხათ, საკმარისი იყო, ახალგაზრდა ქალი გვიან ღამით ქუჩაში გამოსულიყო, მაშინვე მრეშა თვალების ტალახში ამოისვრებოდა და რომელიმე ავხორცი მძღოლის მსხვერპლი გახდებოდა.

ქალაქს ღრმა ძილით ეძინა. ყველა ცდილობდა მოესწრო და მისთვის განკუთვნილი სიზმარი დილამდე ენახა. არავის ედარდებოდა რატომ დაბრიალებდა ხელის გულივით გადაყვლეფილ ასფალტზე წარჩინებული ოჯახიდან გამოქცეული ქალი, რას ეძებდა ან საით მიდიოდა. თუმცა ვინმე კიდევ რომ დაინტერესებულიყო, მაინც ვერაფერს გაიგებდა, რადგან რაც უფრო უახლოვდებოდა დედამისის სახლს, მით უფრო უძნელდებოდა ლიზიკოს სიარული. ქალიშვილის დანახვაზე ზინას გული გაუსკდებოდა, ხოლო ის ტრაგიკული მონოლოგები, რომლითაც დედამისი ახლადგაღვიძებული ქმარ-შვილის წინაშე წარსდგებოდა, დიდხანს ემახსოვრებოდათ ლიზიკოს ბედ-იღბლთ დაინტერესებულ მეზობლებს.

დედას, რასაკვირველია, შეუმჩნეველი არ დარჩა ის ყურადღება, რომელსაც ჯერ კიდევ სპაავშვო ბაღში მოსიარულე ლიზიკო იქცევდა. თანაც, სწორედ იმხანად, ქუჩაში მოხეტიალე აკიდოსავით ბავშვებით დახუნძლულმა ბოშა ქალმა, მის ქალიშვილს ბრწყინვალე მომავალი უწინასწარმეტყველა. ეს საკმარისი გახდა იმისათვის, რომ ზინას ყურადღების მორევში აფართხალებულიყო უფროსი ქალიშვილი, ხოლო მისი უმცროსი და-ძმა ოთხმოცი წლის ბებიისათვის და მამისათვის გადაებარებინათ.

ლიზიკოს ბრწყინვალედ აცმევდნენ, აპწაულიდნენ რამდენიმე უცხო ენას, დაჰყავდათ მუსიკაზე, ხატვაზე. გოგოსა საშუალოდ სწავლობდა. რატომღაც მაინც მაღალ ნიშნებს უწერდნენ, პიონერია სასახლეში დრამატულ წრეში მიიღეს და, თუმცა ავტომატივით ერთფეროვნად ისროდა კლასიკოსების კეთილშობილ ფრაზებს, ყველა მთავარი როლი მას ეკუთვნოდა. უფროსკლასელთაგანაც გამუდმებით იღებდა სასიყვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულო ბარათებს, რომლებსაც უკლებლივ დედამისს აბარებდა და ზინაც მიჯნურთა მიმართ სასტიკ ადმინისტრაციულ ზომებს იღებდა.

მშობლის გადაკარებებულმა ყურადღებამ ლიზიკოს და-ძმა ჩამოაშორა და, თუმცა გულით უნდოდა, მაგრამ მათ ბავშვურ თამაშობებში მონაწილეობას ვერ იღებდა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ დრო არ ქონდა, გამუდმებით სადღაც დაარბენინებდნენ, მეორეც, როცა კუთხეში დათვის ბელებივით მოგორავდა და-ძმასთან ჩამეუხლებდა, ორივენი თამაშს შეწყვეტდნენ და უკლებლივ ყველა სათამაშოს უფროს დას გადმოუყრიდნენ, თითქოს თავიდან იშორებდნენ. ატირებული ლიზიკო დედასთან გარბოდა და აი, სწორედ მაშინ იწყებოდა პატარების დაწიოკება. „აი, თქვე შურიანებო, თქვენ გათახსირებულებოო“, — სამზარეულოდან გამორბოდა გაბრაზებული ქალი და ანჩხლი დედინაცვალივით მტკივნეულად აწიწკნდა თმებს კუთხეში მიკუჭულ და-ძმას. „არ დაგინახო .. მუხლებზე დამდგარი, წასასვლელები ვართ, წინდები დაგვსვრებაო“ — ჩასძახებდა ლიზიკოს ყურში და ოთახიდან ბურთივით გაგორდებოდა.

აკივლებულ ბავშვებს მამა ამშვიდებდა. ფრთხილად აიყვანდა ხელში, ფანჯრის რაფაზე დასვამდა და ვინ იცის მერამდენედ უყვებოდა ნაცარქექიას ამბებს. პატარები გასუსულები უსმენდნენ, მამის დიდ მკლავებს მაიმუნებივით აქეთ-იქიდან ეპორწიალებოდნენ და იცინოდნენ. თეთრ, ქათქათა კაბაში გამოწყობილი ლიზიკო შუა ოთახში იდგა და თუმცა მამამისი უკან არ იყურებოდა, ვრძნობდა, რომ ეს ზღაპარი მასაც ეკუთვნოდა და ადგილიდან არ იძვროდა მანამდე, სანამ დედამისი ქორეიით არ დააცხრებოდა თავს და სადღაც არ წაიფრიალებდა. ვიდრე ავტობუსში ავიდოდნენ, ლიზიკო ერთხელ კიდევ შეავლებდა თვალს ფანჯრებს და მინაზე ცხვრმიჭყლეტილ და-ძმასა და მამის გაღიმებულ სახეს ხედავდა...

ზინამ კარგად იცოდა ქალიშვილის ფასი და მისი მომავალიც წინასწარ გადაეწყვიტა. ლიზიკოს ჭკვიანური ნაბიჯი უნდა გადაედგა. „არაჩვეულებრივ“ ოჯახში შესულიყო და მშობლების ამაგის გადახდაც არ უნდა დავიწყებოდა. ჰოდა, სწორედ მაშინ, როცა დედის ყველა ოცნება ასრულდა, მისი ქალიშვილი არაჩვეულებრივ ოჯახში შევიდა, (დიდებულ ქორწილში მირთმეული სუკის ნამცეცები ჯერაც ზინას მეჩხერ კბილებში ჰქონდა გაჩხერილი), მისი ანგელოზი ლიზიკო შუადამეზე გარეთ გაგდებული უპატრონო ძაღლივით ფრჩხილებით კაკრავდა მამისეული სახლის კარებს. არა, ასეთ უბედურებას ზინა ნამდვილად ვერ გადაიტანდა და, ამიტომაც, უცნოსავით ჩაუარა ქალმა მშობლების სახლს.

წვიმამ იმძლავრა, თეთრი ბალვივით მრგვალი, გამაძღარი წვეთები ეხეთქებოდნენ ტოტებს. ფოთლებიც გამოფიზიწლდნენ. ლიზიკოს ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს უხილავი ორკესტრის მუსიკოსები ინსტრუმენტებს წვიმის სიმფონიის შესასრულებლად აწყობდნენ.

„დუმ-დუდუ-უმ-დუდუ!“ — მეგდოლესავით რიტმულად უბარტყუნებდა თავში სახლის სახურავებს წვიმა. ლიზიკომ წვეთების პირველი აკორდები ლაბადასავით მოირგო დასველებულ მხრებზე და სირბილით უშველა თავს. მთელს დედამიწაზე ერთი სახლი ეგულებოდათ, სადაც მისი მისვლა გაუხარდებოდათ და სწორედ იქითკენ მირბოდა. მირბოდა თავდაუზოგავად, თითქოს უკან მკვლელები მოსდევდნენ, ხან ორმოში ჩაუვარდა ფეხი და ხანაც რკინის მავთულმა შემოახია წინდა.

შორიდან დაინახა, ფანჯარაში სინათლე ენთო. „მელოდება, იცის, რომ მოვალ და მელოდებ!“ — სირბილს უმატა. ფანჯარას შავი ჩრდილი მოადგა. ფარდა გადასწია, წინ გადმოიხარა და შუბლი მინას მიადო. ლიზიკო ერთ ადგილას გაქვავდა. ბავშვობა მოაგონდა, ფანჯარასთან მდგომი მამა და დაძმა. თემოც ისევე გაუცხოებულიყო

ახლა მისთვის, როგორც დიდი ხნის წინათ ისინი. „არა!“ — იკივლა ქალმა და დაინახა ჩრდილი უცებ მოსწყდა მინას და ღამფრასავით კედელს მიეხალა. ლიზიკოს საკუთარი ხმა შეეშინდა, პირზე აიფარა ორივე ხელი. ღამეც გაშრა, ციდან მოდენილი წვეთების თვლა შეწყვიტა. სადარბაზოს კარები ხმაურით გაიღო, იქიდან გამოჭრილმა სიხათლის ენამ შავი ჩრდილი გადმოაპურჭყა და გაქრა. ლიზიკოსკენ თემო გამორბოდა, როგორც მაშინ, სულ ახლახანს, დიდი ხნის წინათ...

„სამი საათია, როგორ არ გეშინოდა, სულელო“ — სველ თმებს პირსახოცით უმშრალებდა თემო.

„შენთან წვიმამ მომიყვანა, სხვაგან მივდიოდი, იმან კიდევ აქეთ წამომიყვანა,“ — იცინოდა ლიზიკო.

„სად სხვაგან მიდიოდი ამ შუაღამისას, სად სხვაგან?“ — უხაროდა თემოს და ლიზიკოს ლაპარაკს არ აცლიდა, ენიდან აცლიდა ტუჩებით სიტყვებს.

კაცის პერანგს ოფლის სუნი ასდიოდა და რაღაც ძალიან შორეულსა და დავიწყებულს ახსენებდა გალუმპულ სტუმარს. „დაბერდა ინგა, ეტყობა, ვეღარ უვლის“, გული ეტკინა ლიზიკოს, „და ამიტომაც ცოლი ჭირდება.“ — უკარნახა ვიღაცამ. ლიზიკომ ფრთებივით ორივე ხელი ზემოთ აიქნია და თემოს მოახვია კისერზე. კაცს მძლავრი, დაკუნთული კისერი ჰქონდა, თბილი, უზომოდ თბილი ტუჩები. ორივენი ისეთი გაშმაგებით ეფერებოდნენ ერთმანეთს, თითქოს იქაურობა დანაღმული იყო და რამდენიმე წამის შემდეგ მძინარე სახლთან ერთად ყველანი ცაში აფრინდებოდნენ.

„მიყვარხარ, რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ!“, ჩურჩულებდა ლიზიკო და თან თემოს ტუჩები არ ეთმობოდა, თითქოს იქიდან გადმოღვრილი სითბო რომ გამქრალიყო, გული ყინულის ნატეხად ექცეოდა და გაუჩერდებოდა. მერე მუხლებზე კაცის ხელები იგრძნო და ოდნავ წამოიწია, კაბის გახდაში მიეშველა. სხეულის სიშიშვლემ წამით ანთებული ასანთის ღერივით დაჯანგულ ნელე და თითქოს რაღაც დაინდო ქალში, კაცმა ზემოდან საბანი გადაადაფარა. ლიზიკო ხედავდა, როგორ სწრაფად იცლიდა ტანსაცმელს თემო და იატაკზე ყრიდა. როცა ფეხსაცმლის გასახდელად დაიხარა, ზურგზე ბერხემალი ამოებურცა. ქალი წამოიწია და ტუჩებით დაიწყო მალების დათვლა. „ლიზი“, — თემო უცებ მოტრიალდა, მკლავებში მოიქცია ქალის სხეული და ფრთხილად დაიწვა ზემოდან.

წვერგაუპარსავი სახე სხეულს ჭინჭარივით სუსხავდა, მაგრამ ლიზიკოს ხმის ამოღების თავი არ ქონდა. ჩუმად ოხრავდა მხოლოდ და კაცის თმაში ამორიალებდა უსინათლო თითებს. ასე იწვა მანამდე, სანამ თემოს თვალებმა მის თვალებში გაყუჩებულ სიხარულს არ მიაკვლია და გაუღიმა.

ოთახის კუთხეში, მაგიდაზე მდგომი მაღვიძარა ხმამაღლა ითვლიდა გათენებამდე დარჩენილ წუთებს. ლიზიკოს თავს ზემოთ, ჭერზე უხარმაზარი მზარი გაჩენილიყო, გეგონებოდათ სპეციალურად დანით გამოეფატრათ გაყვითლებული ბიაზი. ლიზიკო ხმას არ იღებდა, თემოსგან ელოდებოდა რაღაცას და გრძნობდა, როგორ იბუდებდა მის სულში ჭერიდან ჩამოსული შავი აბლაბუდა.

„მიყვარს, როცა მკერდზე მეფერებიან, ამას კი ხელი არ უხლია“, — გაიფიქრა ლიზიკომ რატომღაც და უსიამოვნო შეგრძნებისაგან გააჟრუოლა, მიხვდა, დევი გაახსენდა და იმას შეადარა, ვის გვერდითაც ახლა იწვა.

„ქალი, რომელზედაც მთელი ცხოვრება ვოცნებობდი, გვერდით მიწევს და ვერაფერს ვეუბნები, რადგანაც ჩემთვის ახლა იგი ბატონების მაგიდიდან ჭშირი მგლისათვის გადმოგდებული გამოხრული ძვალია და მეტი არაფერი“, — ტუჩებს იკვნეტდა თემო. „იდიოტი ხარ, უმადური იდიოტი! შუაღამეზე სახლიდან გამოიპარა და შენთან მოვიდა, დიდხანს იქნები ჩუმად? ამოიღე ხმა!“ — ეკამათებოდა საკუთარ თავს.

ლიზიკო საწოლიდან გადმოიხარა, იატაკზე დაყრილი ტანსაცმელი აიღო და ჩაცმა დაიწყო.

თემმ საბაჯანაში შევიდა, ცივ წყალს შეუშვიცა თავი. არაფერზე არ უნდოდა ეფიქრა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს რაღაც კოშმარული სიზმარი ნახა და ახლა უნდოდა წყლისთვის მოეთხრო და გაეტანებინა განცდილი.

...აკაციის ყვავილებზე წვიმა ქანაობდა. სველ ფოთლებზე სიმარტოვეს ეძინა, არა, კი არ ეძინა, თვლემდა. ლიზიკომ ფეხსაცმელები გაიხადა და იქურობას გაეცალა. არავის გამოფხიზლება არ უნდოდა, სიმარტოვეს გაურბოდა, იცოდა, თუ თვალს მოკრავდა, აუცილებლად აეკიდებოდა.

გარეთ ისეთი რბილი, რძისფერი სურნელით თენდებოდა, თითქოს ახლადგამოღვიძებული ჩვილი უღიმოდა უკბილო პირით დედას. ქუჩაში კანტიკუნტად მოსიარულე გამვლელები და მანქანები ფეხშიშველა ქალს აყოლებდნენ თვალს, მხრებს იჩეჩავდნენ და გზას განაგრძობდნენ. მათ ჯერ კიდევ გუშინ გადაეწყვიტათ სად უნდა წასულიყვნენ, და სწორედ იქითკენ მიიჩქაროდნენ. მხოლოდ ლიზიკომ არ იცოდა, საით მდიოდა, ან მის სხეულს თავშეფარებული სხვისი სიცოცხლე ვისთვის შეეევდრებინა.

გასტრონომის წინ გამწკრიეებულ პატარა რიგს მაღალი, გამხდარი კაცი გამოეყო და პირდაპირ ლიზიკოსაკენ წამოვიდა. ხელში თეთრი ბოთლებით სავსე ბადურა ეჭირა, რაც უფრო მეტად ახლოვდებოდა, უფრო მკვეთრად ასკდებოდნენ ბოთლები ერთმანეთს და უსიამოვნო ხმას გამოსცემდნენ. კაცი ლიზიკოს პირდაპირ შეჩერდა, ცოტახანს უყურა და მერე ისე ფრთხილად ჩამოართვა გულზე მოკრული ფეხსაცმელები, თითქოს ნაძვის ხის სათამაშოები ყოფილიყვნენ და დამსხვრევისა ეშინოდა. დაიხარა, ბოთლები შეავიწროვა, ლაკის ფეხსაცმელები ხაჭოსა და არაჟანზე დაალაგა, ბადურა მხარზე გადაიკიდა, ლიზიკო ხელში აიყვანა და ქუჩა გადაჭრა. რიგი დაიშალა, ჰერმეტიულ ჩენილი მიაშტერდა უცნაურ ყველს. „ამ ხნის ქერთი კაცი ვარ, ტაკოი რამე პერვი რაზ ვიეუუ! — თავიდან თეთრი ქუდი მოიშლიპა გამყიდველმა. კაცი არავის ყურადღებას არ აქცევდა, ქვირფასი ტვირთი გულზე მიეხუტებინა და მის მკლავზე გადაკიდებულ ბადურაში რიტმულად ირწეოდნენ რძის პროდუქტები.

დედა სახლში არ დახვედრიათ, ეტყობა, რძლის სახლიდან გაქრობა შეამჩნიეს და საქმის გასარჩევად გამოიძახეს. ძმამ შალის პლედი შემოახვია ფეხებზე. დამ რძე აუდუღა და მამის დიდყავილებიან ჭიქაში დაუსხა. არც ერთი ხმას არ იღებდა. ლიზიკო ცრემლებისაგან გამლაშებულ რძეს სვამდა და თითქოს პირველად ხედავდა სისუფთავისაგან განათებულ სამზარეულოს, ყვითელკუბიკებიან ფარდას ამოფარებულ ვიწრო ფანჯრას, უეცრად გაზრდილ დასერიოზულებულ და-ძმას, მამის ნოჯებში ჩამჯდარ ნაღვლიან თვალებს.

მერე ლიზიკო საწოლში ჩააწვინეს, მამამისი გვერდით ჩამოუჯდა, თმებზე უსვამდა ოდნავ მოცახცახე თითებს და დაბალი ხმით რაღაცას უყვებოდა. „კომბლე რა კაციოო?“ ჩაესმოდა ბუნარნში წასულ ლიზიკოს და გრძნობდა, რომ დედამისმა რაღაც მეტად მნიშვნელოვანი და საჭირო დაალო ცხოვრებაში, რომ ბედნიერება მამის მიერ ნაამბობ იმ ზღაპარში ცხოვრობდა, რომლის დაბოლოების მოსმენა პატარა გოგოს არ ეშინა და არ დასცალდა.

თემმს თითქოს არც გაკვირვებია, ლიზიკო ოთახში რომ არ დახვდა. საათს შეხედა, გაბღენძილი მაღვიძარა შვიდი საათისაკენ იშვერდა გრძელ თითს. „სულერთია, ეგ ამ სახლში ვერ იცხოვრებდა, დედამისი თავს მოიკლავდა და უკან დაიბრუნებდა. ჩემი ჯამაგირით და ინგას პენსიით თვეში ორჯერ წახვალ ბაზარში და დანარჩენი დღეები უნდა იშიმშილო. აბაზანაში ყველა ონკანი გამოსაცლელია. ან არ იღება, ან, თუ ღმერთმა ქნა და გაიღო, ხელოს-

ნის მოსვლამდე ვერ დაკეტავ. მუჭისოდენა ტელევიზორი ფერადით არის შესაცვლელი, მაგის მეტს არაფერს მთხოვს საწყალი დედაჩემი. თუ მოთხრობები გამომიქვეყნეს, ან პიესის დადგმას დაადგა საშველი, შეიძლება, ცოტა მოვითქვა სული, მაგრამ ლიზიკოს შენახვას გაცილებით მეტი სჭირდება!“.

თემომ უამრავი საბუთი შეაგროვა ქალის წინააღმდეგ, მხოლოდ პატარა წვრილშინი გამორჩა, ლიზიკო მისი თანაკლასელისა და მეგობრის ცოლი იყო და ქმარს იგი სიცოცხლეს ერჩია.

დამწყები პროზაიკოსი თავმოყვარე კაცი იყო. დარიბი და, შეიძლება, ამიტომაც ავადმყოფურად თავმოყვარე. შესამჩნევი გარეგნობა, ნიჭი, შრომისმოყვარეობა, ყველაფერი იქითკენ ქონდა მიმართული, რომ როგორმე სიღარიბე დაეჩაგრა და გამარჯვებულს გაჭირვებისათვის კისერზე დაედგა ფეხი. მაშინაც კი, როცა მეგობარს გზიდან ჩამოვცალა, მის ტვინს მთელმატიკური სიზუსტით ჰქონდა გათვლილი, რამდენად არახელსაყრელი იყო ხელმოკლე ოჯახიდან ქალის მოყვანა. მართალია, ლიზიკოს ლერწმისფერი თვალები და რბილი წამწამების ჩრდილი ბარე ას ქალად ღირდა, მაგრამ ჩვენს დროში თვალების მიხედვით მხოლოდ მდიდრები ირჩევენ ცოლებს, ისიც თუ სიყვარულმა გამოატვინა ახალგაზრდობაში, თორემ მერე სასწორზეა ყველაფერი დადებული და რომელი მხარეც გადასწონის...

თემო ქორწილში იყო მიწვეული, ეზარებოდა წასვლა, მაგრამ ახლა ცხრამთას იქით გადაიხვეწებოდა, ოღონდ ღამეული კომშარიდან დაეხსნა თავი. იმაზე ფიქრი, თუ სად წავიდოდა ლიზიკო, ტვინს უღრღნიდა.

კარადიდან სუფთა პერანგი გამოიღო, სწრაფად ჩაიცვა, სარკეში წვერგაუპარსავ, თვალებგამოღამებულ კაცს შეუბღვირა. ინგასთვის ქალაქის ნაგლეჯზე ორი სიტყვა დაჩხაპნა და კისრისტეხით დაეშვა კიბეებზე. ბიჭები დათქმულ ადგილას დახვდნენ. ისეთი სახე ჰქონდა, ვერც ერთი ვერ გამოელაპარაკა. მთელი გზის განმავლობაში მკვდარივით ეძინა. მაინც წამოეწია სიზმარი, დაეფიცა. ლიზიკო დაესიზმრა. თეატრში მის პირდაპირ წინა რიგში იჯდა, თავზე პეპელასავით თეთრი ბაფთა ეკეთა, გახამული საყელოს მუუში მოექცია გოგონას სუსტი ყელი. ბიჭი თითქმის ვერ ხედავდა სცენას, არ ესმოდა რას ლაპარაკობდნენ. მონუსხულივით შეჭყურებდა ლიზიკოს სიფრფიფანა კისერს და, როცა თეთრი ბაფთა სიცილისაგან ჩაბერილდა, თვითონაც გულიანად ხარხარებდა...

თვალები გაახილა. ბიჭები შეათვალიერა. გოგას თავისი უმცროსი ძმა წამოეყენა. გაუხარდა. ზაზა მათ ხელში გაიზარდა და თითოეული მათგანის სიამაყეს წარმოადგენდა. იმიტომ კი არა, რომ არაჩვეულებრივი პიროვნება იყო, ან მომავალში მოწყალედა ციდან ვარსკვლავებს, ზაზას ძალიან უყვარდა უფროსი ძმის მეგობრები. ერთს ჩაცმაში ბაძავდა, მეორეს ლაპარაკში, ბიჭის თვალში ისინი თანამედროვე ახალგაზრდების საუკეთესო ნაწილს განასახიერებდნენ და მათ დანახვაზე ისე გაებადრებოდა სახე, რა ხასიათზე არ უნდა ყოფილიყვნენ ბიჭები, მაინც გაეცინებოდათ.

„გამოიღვიძე? ეხლა შეიძლება ლაპარაკი?“ — ნებართვა ითხოვა ზაზამ.

„შეიძლება!“ — მოწყალება გაიღო თემომ.

„ეტყობა, ცუდი სიზმარი გესიზმრებოდა, კვნესოდი“ — დაიწყო ზაზამ.

„ენა გაჩერე, თორემ დანარჩენი გზის ფეხით გავლა მოგიწევს“ — გააფრთხილა ძმამ.

„გაანებე თავი, ილაპარაკოს, პანაშვიდზე ხომ არ მიგდივართ. კინაღამ დამეძინა. მძღოლი უნდა გამახიარულოთ, თორემ შეიძლება უბედურება დატრიალდეს!“ — ირაკლიმ სარკეში შეავლო თემოს თვალი და მისი მომღიმარი სახე ნახა. ზაზას წაკრა ხელი, „აბა, ეხლა ყურადღებით, სმენითი ეფექტი უნდა მოვახდინოთ, დავიწყეთ!“

თუმცა წინასწარ იყვნენ გაფრთხი-

ლებულები, დინამიკების ჩართვისთანავე ერთხმად აღრიალდნენ ბიჭები, „დავუშვათ ეს პატარაა, შენ, ამხელა კაცი, რამ გამოგაშტერა?! ჩაუწიე, დაკრუვდით!“.

„პატარა! ესეც კაი მუტრუკია.“ — სიცილით კვდებოდა მანქანის პატრონი და თან გზას თვალს არ აშორებდა.

ზაზა აწუწუნდა, მომშივდა, სადმე შევჩერდეთო. პასუხად მანქანამ სიჩქარეს უმატა.

ირაკლი შენგელია ერთი უფულო კაცი გახლდათ და ტყუილუბრალოდ მისი დახარჯვა ისე უწლიდა ნერვებს, როგორც ზოგიერთებს ონკანიდან უმიზეზოდ დაღვრილი წყალი აღიზიანებს. თბილისში უშვილო დეიდამ ჩამოიყვანა, სიკეთეს ვიზამ და ჩემს ქვრივ დას ცოტას წამოვეშველებიო, მაგრამ საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ერთადერთი ვაჟიშვილი დაკარგვინა და ქალიშვილის ანაბარა მიატოვა. ირაკლის ისე მკაცრად ზრდიდა დედობილი, ბევრ ბოროტ დედინაცვალს შეშურდებოდა. ლაღად გაზრდილი ბიჭი ქალაქში მიიტანეთ წესებს ვერ ეგუებოდა, სახლში შესვლისთანავე ფეხსაცმელს იხდიდა, წინდებსაც ზედ მიაყოლებდა და დეიდამისის სანთლით გაპრიალებულ იატაკზე გაჭუჭყეტილი ბაყაყის მაგვარ, უცნაური ფორმის ანაბეჭდებს ტოვებდა. ქალს, რომელიც აქამდე „კარგად შენახულად“ ითვლებოდა, თავის ტკივილები კლავდა, თმები გაუთეთრდა, გამუდმებით ვალერიანის წვეთებს სვამდა, მაგრამ ძნელად აღსაზრდელ ბავშვს შობელს არ უბრუნებდა. ირაკლი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ სკოლიდან გამოერიცხათ, მაგრამ თითქოს პირი შეკრესო, მასწავლებლები ჩალეწილ ფანჯრებს, ყელგამოდრეულ მერხებს, გატეხილ სამელნეებს, მელნით გაფუჭებულ გოგონებს, თავპირდასიებულ ბიჭებს ვერ ამჩნევდნენ. დეიდამისი სწორედ ამ სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე გახლდათ და მკაცრი ქალბატონი ქსენია ნერვების აშლას ყველა ერიდებოდა. თანაკლასელი ბიჭები თვალებდაჭყეტილი შესცქეროდნენ, როგორი სინაზეკით აცლიდა თავს რადაც უცნაური ხერხით დაჭერილ ჩიტებს სოფლიდან ჩამოსული ლოყებლაფლაჟა ბიჭი და გული შიშითა და სიძულვილით ევსებოდათ. თუმცა ხმას მაინც ვერ იღებდნენ, მანამდე, სანამ ერთ მშვენიერ დღეს ირაკლიმ მწვანეთვალებიან გოგონას წიგნებით სავსე ჩანთა არ ჩააფერთხა თავში. სწორედ მაშინ მიატოვა ოთხმა ბიჭმა გემბანას თამაში და დაუნდობლად სცემეს სუფთა ჰაერისგან ზედმეტად ჯანზე მოსული თანაკლასელი. ამის შემდეგ კარგა ხანს ახალი მოსწავლე არ გამოჩენილა. ერთხელაც დეიდამისმა ძალით შემოათრია საკლასო ოთახში, საჯაროდ ბოდიში მოახდევინა, პირველ მერხზე, სწორედ ლიზიკოსთან დასვა და ბრძოლაში გამარჯვებული მთავარსარდალივით თავაწეულმა მიატოვა ფეხზე მდგომი მოსწავლეები. შესვენებაზე ბიჭებმა ირაკლის მელნისფრად აფერადებული თვალები დაინახეს და გული ეტკინათ. ყველას გამოცდილი ჰქონდა ქალბატონი ქსენიას მწარე ხელი და ობოლი ბიჭი შეეცოდათ. იმ დღიდან სკოლიდან ერთად ბრუნდებოდნენ ირაკლი, გოჩა, თემური, დავი, გოგა. ერთად, ერთი გზით, წლების განმავლობაში...

მხოლოდ ზაფხულობით ცილდებოდნენ ბიჭები ერთმანეთს და შემოდგომაზე ოდნავ შეცვლილები, გაბარებულები აღნიშნავდნენ, რომ თანაკლასელ გოგონებს უსწრებდნენ სიმაღლეში, ათასნაირ გამოგონილ ამბებს ყვებოდნენ, ტრაბაბობდნენ, ირაკლი ჩუმად იდგა, ღიმილით უსმენდა ბიჭებს და, ისინიც, თითქოს, გრძნობდნენ მეგობრისთვის დედამისს საგზლად დარდი გამოეტანებინა, დარდი, მეტად მძიმე პატარა მხრებისათვის და ამიტომაც განუზომლად ძნელად სათრევი.

ირაკლიმ სამედიცინო ინსტიტუტში მოეწყო და სწორედ მაშინ, აქამდე ობოლ ბიჭს, უამრავი ნათესავი და გამკითხავი გამოუჩნდა. ზოგი ძღვენით

მოდიოდა და ზოგი სათხოვარით, თითქოს ბიჭი სტუდენტი კი არა, დიდი თანამდებობის ყოვლისშემძლე პირი ყოფილიყოს. გოაცებული მეგობრები მომკითხავთა სახეების დამახსოვრებას ვერ აუდიოდნენ. ამასობაში დეიდამისიც მიწას მიაბარეს და საქმიან მოკეთეთა დიდი ნაწილი, მივლინებაში ყოფნის დროს ირაკლისთან სტუმრობენენ. თავდაპირველად წუხდა, მეცადინეობაში ეშლებოდა ხელი, მერე შეეჩვია. დეიდას სიცოცხლეში მისი მეგობრები ეზოდან თუ დაუძახებდნენ მხოლოდ, ისე მასთან მოსვლას ყველა ერიდებოდა, ჰოდა, ახლა თითქოს დაკარგულ დროს უკან იბრუნებდა, გამუდმებით ქეიფობდა, სოფლიდან ჩამოტანილ პურმარილზე ეპატიჟებოდა ძმაკაცებს, უფასო პურმარილზე, თორემ თვითონ ხელიდან ჭუჭყიანი ცხვირსახოცის მეტს ვერაფერს გააგდებინებდი. საკმარისი იყო ვინმეს რესტორანი ეხსენებინა, ირაკლის ჯიბიდან ობობა ამობობღებულიყო, მაგრამ თუ სადმე კარგი ფეხსაცმელი ან რაიმე ჩასაცმელი იყიდებოდა, მაშინთავე საიდღანაც მორიგე თუმნიანები გამორბოდნენ. მერე ამ ნაცნობ-მეგობრების, თუ ღმერთმა იცის, ვისი დახმარებით, დედასა და დებს სახლი აუშენა, მზითვიც გაუმზადა და, ბოლოს, თავის თავსაც მიხედა, ახალი ეოლგა შეიძინა. „აი როგორები უნდა გამოხვიდეთო“, ახალგაზრდა ექიმზე მიუთითებდნენ მუხლებგადატყაულ შვილებს მეზობლები. მართლაც საამაყო შვილი ყავდა შრომაში სულგამძვრალ ირაკლის დედას, სხვისი გაზრდილი, მაგრამ მისი სისხლი და ხორცი, უძილო ღამეების ტტუმარი, გულის სალბუნი, შორს, ვარსკვლავეთს მიბარებული ცისფერი შუქი.

მანქანა ქალაქის ქუჩებში დასრიალებდა და ირაკლიც რომელიღაც კინოვარსკვლავისაგან ნასესხები ღიმილით მოწყალედ ესალმებოდა ყველას. ბოლოს ორსართულიან სახლთან შეჩერდა, ეტყობა როლში შეიჭრა და იმავე ღიმილით ეზოში შეიპატიჟა ბიჭები. თითქოს დეკორაციების უკან იმალებოდნენო, უამრავი ხალხი გამოეცალა გარეთ. ყველა ერთბაშად ალაპარაკდა და ეს ხმა რაღაცით ვილური ტომის საბრძოლო ყიჟინას წაგავდა.

„თუ იცი, ელიზაროვსაც ასე ხვდებიან ამ ქალაქში?“ — იკითხა თემომ.

„არა, იმას, სახეზე არ იცნობენ, თანაც აქაური არაა“, — რატომღაც ჩურჩულით უპასუხა გოჩამ.

ვისაც მოესწრო ირაკლის მთოელება, ახლა სტუმრებით დაინტერესებულიყვნენ და თავაზიანად ეპატიჟებოდნენ შინ. უზარმაზარ ოთახში, სუფრა გაეშალათ. „ძვირფასად“ მორთული საკმაოდ შეუხედავი პატარძალი სიმპატიურმა სიძემ სიმწრით ააგლიჯა ნათესავს მკერდიდან. სხვებისაგან ოდნავ მოშორებით მდგომმა, მხედველობაში მისაღები ღიპის პატრონმა რამდენიმე ასაკოვანმა მამაკაცმა შორიდან გამოაჩინეს ოქროს კბილები.

„ეს, ეტყობა, ადგილობრივი მაფიაა, ცალკე ქეიფობს, ხელს არ გვართმევენ!“ — გაეცინა გოგას, დანარჩენები ერთი ტომისანი არიან, ნახე, რას გაჰკივიან“.

„წარმოგიდგენია, მიცვალებულზე როგორი შეცხადება იციან?“ — ხმაურისაგან დაბეჯული ზაზა თემოს ზურგს მიეკრო.

„ბრრ...“ — დაბურძგლა გოჩას და ბიჭებმა სიცილით დაიკავეს სპეციალურად მათთვის განთავისუფლებული ადგილები. გაბადრული ირაკლი ღონივრად ამოძრავებდა ყბებს. მერე ვიღაცამ დაუძახა და ბიჭები ერთი წუთით დაობდნენ, მაგრამ მხოლოდ ერთი წუთით, თამადამ განსხვავებული სასმისი ჩამოატარა, და მისი დაცლის შემდეგ ყველანი ერთად ალაპარაკდნენ. ზაზას ღვინო არ დაალევინეს. სამაგიეროდ იმდენი საჭმელი ჭამა, ეშინოდა ნაწლავები არ გადამეხლართოსო, თანაც მობეზრდა ერთ ადგილას ჯდომა და ირაკლის ეძებ-

---

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲒᲝᲚᲘᲫᲘᲫᲔ
თბილისი ქვების დარაჯი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თვალები. ყველა მაგიდასთან თითქმის ერთნაირ ელსტიკურ და ხავერდის კაბებში გამოწყობილი მხარბეჭიანი მანდილოსნები ცხვირსახოცით იწმენდნენ ოფლიან სახეებს და გაბარჯღვო თითებზე აბრეშუმივალებულ ბეჭდებს ახარებდნენ ერთმანეთს. ვიღაცამ „თქვენი მეგობარი გარეთ გელოდებათო“, — ყურში ჩასჩურჩულა გოჩას და თამადის პროტესტის მიუხედავად უხალისოდ მიატოვეს სუფრა.

„რას გამოგვაქციე, დალევა გვინდოდა“, — გაბრაზდა თემო.

„ყველაფერი იქნება, დალევაც და სხვა რამეც, დაჯექით“, — მანქანა დაძრა და რამდენიმე მეტრის გავლის შემდეგ ისევ გაჩერდა.

ირაკლიმ რკინის ჭიშკარი გაიღო და ბიჭებს ეზოში შეუძღვა. უხმაუროდ გაიარეს ყვავილებში მომწყვდეული ეზო, მარმარილოს კიბეებით მეორე სართულზე ავიდნენ. კარები ღია დაუხვდათ, რაღაც უცნაურის მოლოდინში შემკრთალი ბიჭები ხმას არ იღებდნენ, თითქოს გამოფიზხლდნენ კიდეც, უზარმაზარი სახლის თითქმის ყველა ფანჯარა განთებული იყო, მხოლოდ ადამიანის ჭაჭანება არ იყო არსად. ირაკლიმ კიდევ ერთი ოთახის კარი შეაღო და მის შესახვედრად წამოსულ მამაკაცს გადაეხვია. „გაგიანთო, ბატონი ბაძუ!“ — წარუდგინა ოჯახის პატრონი ბიჭებს.

ბატონმა ბაძუმ ყურადღებით შეათვალიერა სტუმრები. „გამიხარდა, გამიხარდაო“, თქვა, გაიღიმა და გაშავებული კბილები გამოაჩინა. ბიჭებმა ხავერდის სავარძლები დაიკავეს და პატარა მაგიდაზე გაშლილ სუფრას გადახედეს. ქმაყოფილები დარჩნენ. ირაკლიმ ნათესავები მოიკითხა. ზაზამ ვერ მოითმინა, წამოდგა და უზარმაზარ კარადაში თავმოყრილ სასმელებს, სიგარეტებს, მანქანებს, საათებს, მაგნიტოფონებსა და სხვადასხვა ზომის ტელევიზორებს დაუწყო თვალიერება.

„ეხლავე იქნება ყველაფერი, თქვენ თვითონ ამოიჩიეთ, რაც გინდათ, თორემ მე ერთი სოფლელი კაცი ვარ, მერე უკმაყოფილო არ დარჩეთ“ — თავი მოისაწყლა ბატონმა ბაძუ.

ბიჭებმა ქასეტები გადათვალიერეს და ზაზამ ყველაზე უფრო დიდი ზომის ტელევიზორი ჩართო.

მასპინძელმა ლამაზი ფორმის ბოთლი აიღო, გახსნა და ჭიქები შეავსო. „ფრანგულ კონიაკს ათბობენ და ისე სვამენ თურმე, ჩვენში ისე სვამენ და კუჭში ათბობენ“, თვალი ჩაუკრა სტუმრებს და გადაიხარხარა. უცნაური იყო ასეთი პატარა ტანიდან ამოვარდნილი მძლავრი ხმა, რომელიც მიეხალა კედლებს და ბიჭებს დაატყდა თავზე.

„ჰომეროსისებრი ხარხარი ღმერთების მიერ ბატონი ბაძუსათვის მაღლიდან მომადლებული ნიჭია“, — ფერდაკარგულ მეგობრებს აუხსნა ირაკლიმ.

„მე იმთავითვე შეგატყვეთ, დიდი ნიჭიერი კაცი ბრძანდებით, გაგიმარჯოთ!“ — ჭიქა მიუჭახუნა მასპინძელს თემომ.

სხვებმაც ცხვირის წვერზე დაიჩირეს ღიმილი და ბატონი ბაძუ ადილგრძელეს. ცისფერ ეკრანზე ზანგი მომღერალი მასპინძელივით არაადამიანური ხმით გაჰყვიროდა რაღაცას. ექსტაზში შესული ოთხი მოცეკვავე სხეულიდან ეშმაკის განდევნას ცდილობდა.

„ემოციური ხალხია“ — აღნიშნა გოჩამ.

— „კი, ცოტა თეთრები რომ იყვნენ“, — იხუმრა ბატონმა ბაძუმ და კიდევ ერთხელ გამოავლინა თანდაყოლილი ნიჭი.

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს, თავი ვერც ერთმა ვერ შეიკავა და ვითომ, რა მშვენივრად იხუმრეთო, მასპინძელს სიცილში აყვნენ. ირაკლი სადღაც გაქრა და ცოტა ხნის შემდეგ ქალთან ერთად დაბრუნდა ოთახში. ბიჭები ფეხზე წამოდგნენ.

„ჩემი ქალიშვილი ნადია“. — თქვა ბატონმა ბაძუმ და დაუდნა, გაუთბა გამყინავი ხმა.

ნადიამ სტუმრებს შეხედა და მისი თვალებიდან გადმოღვრილმა ცინათლემ კიდევ უფრო გაანათა გაჩახჩახებული

ოთახი, მერე გაიღიმა, ორი ერთმანეთზე გადახლართული წინა კბილი გამოაჩინა და ორმოცდაათსანთლიან ჭაღზე კიდევ რამდენიმე ნათურა აინთო.

ბატონმა ბაძუმ განაწყენებულ ხაზას ცხვირწინ გამოურთო ტელევიზორი, „ასეთ რამეებს ჩემს შვილს არ ვაყურებინებო“ და მაგნატოფონი ჩართო. ირაკლიმ წელზე მოხვია ნათესავს ხელი და ცეკვა დაიწყო. ლურჯი კაბა, თეთრი საყელო და წითელი ტყავის ქამარი რაღაცით მოსწავლის ფორმას აგონებდა თემოს და რატომღაც გული ტკიოდა, თვითონაც არ იცოდა რაზე.

მუსიკა დამთავრდა და ირაკლიმ ისე უცბად გააჭრო მოცეკვავე ქალი ოთახიდან, თითქოს ცოცხალი არსება კი არა მოჩვენება ყოფილიყოს.

ზაზამ მაშინვე ტელევიზორი შეაერთა და ზანგების მანჭვა-გრეხვის ყურება განაგრძო. ბიჭებმა ადგილები დაიკავეს. დალევა აღარ უნდოდათ, ყველა რაღაცაზე ჩაფიქრდა. რამდენიმე წუთით ოთახში დატრიალებულმა ოცნებამ თითოეულს საკუთარი მიუუჩებული ტკივილი გაახსენა.

„სად უნდა წასულიყო ლიზიკო, დედამისთან? იმათთან? სად?“ დარდისგან იკუმშებოდა და მუშტისოდენა ხდებოდა გული.

ირაკლი ისევ დაბრუნდა და „თქვენი საწოლები უკვე მზად არისო“, — სასტუმროს ადმინისტრატორივით განუცხადა ბიჭებს. უკმაყოფილო ზაზას მეორეჯერ გამოურთეს ტელევიზორი და ბატონი ბაძუ სტუმრებს წინ გაუძღვა.

თემო ძმებთან ერთად მოათავსეს საძინებელ ოთახში.

„კაი სახლი აქვს, ძმაო, ბატონ ბაძუს, ეერაფერს ვერ იტყვი“ — აღნიშნა მან.

„არც ქალიშვილია ნაკლები“ — დაუმატა გოგამ.

„ვიდეო ყველას ჯობდა“ — თქვა ზაზამ.

ოთახში ირაკლიმ შემოიხედა. „რას შვრებით, გძინავთ? თემო, ბიჭო, ძალლის ბედი გაქვს, ნადიას მოეწონე! ამბავ ხვალამდე“ — დაიბარა და გაქრა.

„მფრინავი ჰოლანდიელია“ — გაიცინა გოგას.

„მე შევეჩვიე“ — თემომ სინათლე ჩააქრო და თვალები დახუჭა.

„ნადია, ბაძუ, რა სახელებია, რატომ მაინდამაინც ნადია?“

იმ ღამის სიზმარიც ლიზიკომ წაიღო, ჰაერით გადამწვანებულ მოლზე ცეკვავდა და გედივით ცას უწვდიდნენ მკლავებს...

ბატონ ბაძუს მეუღლეს ნინას, ხინკლის ფორმა ჰქონდა. ზედმეტი ქონი რეზინის კორსეტით შეევიწროვებინა და ქალიშვილთან შედარებით მძიმე და მოუქნელი ჩანდა, თუმცა, ეს ერთი შეხედვით, თორემ ისე გოგმან-გოგმანით ჩამოურიგა ხაშით სავსე თეფშები ბიჭებს, მწყურს შეშურდებოდა. ცხელ წვნიანს ოხშივარი ასდიოდა და მძიმე ვერცხლის კოვზით მასპინძელი ხახაში ისტუმრებდა რაკრაკით. ბროლის კრიალა ჭიქებში გაყუჩებული არაყი საკუთარი ჯაჭვის ყლარუნს უგდებდა ყურს. ბიჭები უხმაუროდ ჭამდნენ, თანაც თვალი კარისკენ ეჭირათ. როგორც იქნა ოთახში ნადია შემოვიდა. ღიმილით ჩამოჯდა ბიჭების ტუჩებზე და ცოტა ხანს გაქონილ ზედაპირზე სრიალებდა. დილით კიდევ უფრო მეტად მოეწონათ გოგო. მზით დაჭორფლილი თაფლისფერი თვალები, ბუსკუნა ლოყები, პატარა პირი, თითქოს საჩვენებელი თითით ჩაპყლეტილი ნიკაპი, ერთმანეთს ზურგშექცეული განზე გამდგარი მრგვალი ძუძუები, ბუჩქივით თავზე ჩამომსხმილი ყირაზე მდგომი ნვეული თმები. და კიდევ რაღაც უცნაური, დამთმობი სხივი, სასაცილოდ გადახლართულ წინა კბილებზე გადამტყდარი.

მასპინძელი წამოდგა და ქალაქის დათვალიერება შესთავაზა სტუმრებს. უხალისოდ, მაგრამ მაინც დათანხმდნენ. ეზოდან რომ გადიოდა, თემომ იგრძნო, ვიღაცის თვალები მიაცილებდნენ. მოიხედა, უხმაუროდ მიიხურა ნადიამ კარი.

თუმცა ბევრი დალია, ბატონი ბაძუ

ბაინც მშვენივრად მართავდა მანქანას, ბაჯის სიმსხო, თავგასიებული იაპონური სათა გაბღენძილი ნებივრობდა კაცის ბანჯგლვლიან ხელზე. ღიი საჭეზე ჩამოედო, პატარა მოკაუჭებულ ცხვირს მზის სათვალე ეჭირა, ოქროს ბრტყელ, ძმიმე ბეჭედს ნეკი ჩაებღუჯა და ფანჯრიდან შემოსული ნიავი მარჯვენა მხრიდან მარცხნივ გადატანილ და ლაქით დაგლეჯილ ჩალასავით გრძელ და გახეხებულ თმას უწეწავდა. ყველაფერზე ეტყობოდა, კაცურად ცხოვრობდა კაცი.

პროვინციული ქალაქი როგორი საინტერესო დასათვალიერებელია, ყველამ იცის და ამიტომ მალე დაბრუნდნენ უკან. მხოლოდ რამდენიმე სახლის წინ შეჩერდა მანქანა და სადილზე დაიპატიჟა დამხვდურები.

„გამომძიებელი არცაა საჭირო, სახლებზე ეტყობა ვინ რას წარმოადგენს, ჩამოიარე და აკრიფე საქმისნები მძივებად“ — ორგანოს მუშაკებს სამუშაო გაუადვილა ზაზამ და იმწამსვე მწარედ უჩქმიტა ძმამ მკლავზე.

„ვიხუმრე, რა დაგემართა“, — გაიბღუზა ბიჭი

„იდიოტი“, — კბილებში გამოსცრა ირაკლიმ.

„პატარაა“, — შენდობა ბრძანა ბატონმა ბაძუმ.

ბიჭებს შეეძლოთ დაეფიცათ, მასპინძელმა ისე დატოვა ოჯახი, მეუღლისათვის ერთი სიტყვა არ უთქვამს და ახლა გაკვირვებულები შესაცქეროდნენ ეზოში თორმეტი კაცისათვის გაწყობილ მაგიდას. მხოლოდ ბატონმა ბაძუმ უუქცია მას გულგრილად გვერდი და სახლში შეავდა. ბიჭებიც უკან გაყვნენ. როგორც იქნა ზაზასაც აუსრულდა ნატვრა და გუშინ რომ იყო, ისევ იმ ოთახში მოხვდა. მასპინძელმა ისეთი ფილმი შეარჩია ბადიასთვის უხერხული საყურებელი რომ არ ყოფილიყო და პროფესიონალმა ბორორტმოქმედებმაც თავი არ შეირცხვინეს, გვამების ზვინი დადგეს.

თემო მანდილოსნების ყურადღებას შეჩვეული იყო და კოღოს ბზუილი ნერვებს უშლიდა მათი კეკლუცი ლაპარაკი და ჩუმი ჭვრეტა, მაგრამ ახლა რატომღაც ძალიან უნდოდა მასპინძლის ქალიშვილს მოსწონებოდა. „არც პოუსტი ექნება წაკითხული ამას და არც ფოლკნერი, ალბათ, ვერც თანამედროვე მხატვრობაში ერკვევა და. დრამატურგიაც ადგილობრივი თეატრის დონეზე იცის, მე ვიქნები მისთვის პიტერ ბრუკიც, ფელინიც და პიკასოც. გამიჩენს ოთხ შვილს, მე შენ გეტყვი, ბედნიერი ბაბუა ვერ შეინახავს, დამიწკრიალებს სახლს, გამიკეთებს მსუყე სადილს და სად წავედი ან როდის მოვალ, იმის კითხვაც მოერიდება. „ფილოლოგიურზე სწავლობსო“, გაახსენდა ირაკლის ნათქვამი. „ალბათ მთლად შტერია, თორემ მამამისი ექიმის დიპლომსაც უყიდდა“. ხმამაღლა გაიცინა. ეტყობა უადგილო ადგილას, ყველამ გაკვირვებით გამოხედა. მხოლოდ ნადია აყვა, უშუალოდ, ბავშვივით აკისკისდა. „ჩემს ოთხოთახიან ბინასაც ეღირსება გარემონტება, დედაჩემიც გაიხარებს, ეგებ გამოკეთდეს კიდეც“. ინგას გახსენებამ გული ატკინა. სიგარეტის კოლოფი აიღო და გარეთ გამოვიდა. უკვე ორი წელია დედამისი წნევას უჩიოდა, გამუდმებით ტკიოდა თავი და მუშაობის საშუალებას არ აძლევდა.

„მოგწონს?“ — გვერდში ამოუდგა ირაკლი.

„ბაძუ?“

„ბაძუევნა!“

ორივეს გაეცინა. ირაკლის მეტი არაფერი უკითხავს, თითქოს მეგობრის განწყობა გადაედოო, მოიწყინა, „რადაცას ვეძებთ, გამორჩეულს, განსაკუთრებულს ნამდვილი კი ალბათ სწორედ ეს არის, ხალასი, ბუნებრივი, ჭეშმარიტი“.

ეზოში უცნობი მამაკაცები შემოვიდნენ. ირაკლი მასპინძლის დასაძახებლად წავიდა. ბატონმა ბაძუმ პირდაპირ სუფრასთან მიიწვია მოსულები და რადგან ყველა ადგილი დაკავებული აღმოჩნდა, ბიჭები მიხდნენ, მეტს არავის ელოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯახის უფროსი. თემო მეგობრებს აკვირდებოდა. ბიჭები სტუმრებს ათვალიერებდნენ, თანაც რაღაცას ბეჯითად ღეჭავდნენ და ხანდახან ეტყოსა თამადის სიტყვებს ეთანხმებოდნენ, გაწვრთნილი ცხენებივით იქნევდნენ თავებს. სახეზეც მოკრძალება და პატივისცემა ეწერათ, მხოლოდ თვალებში ჩავარდნილი ეშმაკი გამოფიზწლდებოდა წამიერად და მასპინძელი რომ ვერაფერს მიმხვდარიყო, მაშინვე მიყუჩდებოდა. „რა აქვს ამ კაცს თქვენი დასაცინი? ბათხოვრები ხართ და გშურთ! დედაბუდიანად გიყიდით, თითოეულს ცალ-ცალკე და სუყველას ერთად! მკვახე იყო ის ყურძენიო“... — გულზე სკდებოდა თემო. რამდენიმე ჭიქა კონიაკი დალია ზედიზედ სადგურის რესტორანში შესული კაცივით, რომლის მატარებლის გასვლამდე რამდენიმე წუთი დარჩენილი. წამოდგა და მასპინძელს ქალიშვილის ხელი სთხოვა. ბატონი ბაძუს სახემ ბრიყვული ანუ კეთილი გამომეტყველება მიიღო და გაქვავდა. ირაკლიმ მაგიდა მიატოვა და ჩქარი ნაბიჯით სახლში შევიდა. სიჩუმემ აფეარა პირზე ხელი სტუმარ-მასპინძელს, თემოს ყურები დაუგუბდა, ოფლმა სველი პერანგი და ვიღაცის მზერა ბეჭებზე ააკრა. შეტრიალდა. ნადიას სახეს საღამოს ფერი ედო, დაძაბული, უცნაურად ნაღვლიანი. შიშით ათვალიერებდა კაცს, თითქოს პირველად ხედავსო. თემო დამშვიდდა. გულს დაასრისა სინანულის ერთი წამი, გაუღიმა. გოგოს თვალებმაც იდარა, ღიმილი უკანვე დაბრუნა და თუმცა კაცს არაფერი უთქვამს „თანახმა ვარო“, აჩლიფინდა ორი ერთმანეთს გადაბმული მოგრძო კბილი...

უზარმაზარი ქორწილი გადაიხადეს. სწორედ ისეთი, როგორიც ამ ქალაქსა და მის სპატიო მოქალქეებს შეეფერებათ. სიძე კმაყოფილი იყო, რომ ამდენი ხალხი იზიარებდა მის ბედნიერებას, უამრავ თბილ სიტყვას ეუბნებოდა, ეფერებოდა. დედამი „ც ახალ კაბაში გამოწყობილი, მგზავრობისა და ხმაურისაგან დაღლილი, მაგრამ სიხარულისაგან ბედნიერი, ერთ ადგილზე ვერ ადგებოდა. ბიჭებმა უზომოდ სვეს და გალეშილები ლოშნიდნენ მეგობარს, მხოლოდ დევის არ დაულევია, აეროპორტში უნდა წაეყვანა ნეფე-დედოფალი.

ბატონ ბაძუს გრძელი მკლავი შორეულ რუსეთსაც გადასწვდენოდა. ადვილად მიიღეს დაჯავშნული ნომრის გასაღები და თემომ ღიმილით ჩაუარა მოლოდინისაგან სახეწაწალილ, სავარძელში მთვლემარე დედაქალაქის სტუმრებს. ნადიამ პატარა ლარნაკში ყვავილები ჩააწყო და მათაც სიმღერამდეწყურებული მაყრებივით უცვე წამოყვეს თავები. თემო გაუჩერებლად ლაპარაკობდა. ათასგვარ სისულელეს იგონებდა, ცდილობდა ის უხერხულობა გაეფანტა, რომელიც მარტოდ დარჩენისთანავე აყვა პატარძალს. ნადიამ საქმე გაიჩინა, ჩემოდნები გახსნა და ტანსაცმელს კიდებდა კარადაში. თემო საababზანოში შევიდა, ხალათში გახვეული კაცის დანახვაზე ქალს წითლად დაეფოთლა სახე. ქმარს გვერდი აუარა და იმდენხანს ბანაობდა, თითქოს იქ აპირებდა ღამის გათევას. თემო უცდიდა. წყლის შხაპუნს უგდებდა ყურს და ეცინებოდა.

პატარძალს ქალიშვილობა არ ეთმობოდა, სიძეს კარგახანს მოუხდა ჯახირი, სანამ მიხვდებოდა, რომ ვიღაცამ დაასწრო...

სამი კვირის განმავლობაში თემომ სრულიად აითვისა გადამყიდველთა მისამართები, ტელეფონის ნომრები. ოთხი ოთახის ავეჯის, შპალერის, სანტექნიკისა და სხვა უამრავი ოჯახისათვის საჭირო წვრილმანის შეძენის შემდეგ, როგორც იქნა, ქალის მზითვი ამოიწურა და ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა შინისაკენ გამოსწია. სხვათაშორის, ნადიას სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთგულად ედგა გვერდში მეუღლეს. არ დაკლებია არც ერთ საქმიან მოლაპარაკებას, საუზმეს, სადილს, ვახშამს, მაღაზიებს ქალაქსა

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ მის გარეთ, ვიდრე მესამე კვირის ბოლოს მაგდანას ლურჯასავით არ დავარდა.

დაბრუნება არავის შეატყობინეს, თემო მეგობრებთან შეხვედრას ერიდებოდა, მითუმეტეს ჩამოსვლისთანავე რემონტი წამოიწყო და თავის მოსაფხანი დრო არ ჰქონდა. ნადია დილიდან საღამომდე ოთახებს ალაგებდა და დედამთილთან ერთად სამზარეულოში სვამდა ჩაის. ინგა ოჯახურ ალბომს ფრთხილად დასაკენებდა მაგიდაზე და რძალს შვილის სურათებს უჩვენებდა. თემო ექესი თვის, შვიდი თვის, ცხრა თვის, ფეხი რომ აიდგა, ყველი რომ ჭმონდა, სკოლაში რომ წავიდა, ოქტომბრელი რომ გახდა... ცოლი სიყვარულით უღიმოდა ქმრის ბავშვობას და ზშირად რეკავდა სახლში. საათობით ელაპარაკებოდა მშობლებს, ნათესავებს. თემო შინ ადრე მოდიოდა, ცოლი კინოში მიჰყავდა, ერთი ორჯერ თეატრშიც იყვნენ, რესტორანშიც, ბარშიც. უმეტეს დროს მაინც მუშებთან ჩხუბში ატარებდა. ხანდახან წერდა, მაგრამ ალბათ, გამაძღარ კუჭს ვერ იმორჩილებდა, საწოლისაკენ ეკაჩებოდა სძაგელი. ბაზარშიც არ დადიოდნენ. ბატონი ბაძუ უგზავნიდა ტყუპისცალივით ერთნაირ ყუთებს. იშვიათად თვითონ ხვდებოდა მატარებელს, უფრო ხშირად უცნობებს მოჰქონდათ. ინგამ თვალებში გამოიხედა, ფეხზე წამოდგა, ვალერიანის წვეთებს თავი დაანება, მუშებს ბაუთავებელ შენიშვნებს აძლევდა, მეზობლებში სიარულს და რძლის ქებას მოუხშირა.

მხოლოდ ერთ ღამეს არ მისულა თემო სახლში. ლიზიკო შშბიარობდა და ბიჭები დევისთან ერთად განიცდიდნენ, ღელავდნენ. თუმცა ნადიას არაფერი უკითხავს, არც საყვედური უთქვამს „რატომ არ გამაფრთხილეო“. არა, ნამდვილად აქვს პროვინციიულ აღზრდას თავისი დადებითი მხარეები.

უსაშველოდ გაჭიანურებული რემონტი დასასრულს უახლოვდებოდა და თემოს უკვე გული წყდებოდა მუშებთან ჩხუბი და მასალის შოვნა რომ ... ჭირდებოდა. უეცრად უამრავი თავისუფალი დრო დაუგროვდა. დრო დამრგვალდა, ბურთის ფორმა მიიღო და კაცს ხან ოთახის ერთ კუთხეში მიკუჭავდა, ხან მეორეში. კედლებზე აკრული. შპალერიდან ბატონი ბაძუს პორტრეტები უცინოდნენ. თემო სახლში ვერ ჩერდებოდა, რაღაცას მოიმბიზებდა და დამდუღრულივით გავარდებოდა გარეთ. უცნობ ქუჩას აატორიალებდა, მანამდე სდევდა კუდში, სანამ ეს უკანასკნელი რომელიმე ნათესავს არ გადაალახავრებდა. შინ გვიან ბრუნდებოდა, მისი ოთახის განათებული ფანჯარა შეეგებებოდა დაღლილ-დაქანცულს და ისიც მზად იყო პაპიროსივით დაესრისა და გაექრო შორიდან ციცინათელასავით შემკრთალი შუქი.

„ბავშვი განდა გვყავდეს?“ — ერთ-ერთი ასეთი სეირნობიდან დაბრუნებულს შეეკითხა ნადია, დაახლოებით იმავე ტონით, რომლითაც ჩაის თუ დაღეცო, სამსახურში მიმავალს ეკითხებოდა. თემომ ცოლს შეხედა და მიხვდა, ქალს მშობლებთან წასვლა გადაწყვეტა და ახლა მის პასუხზე იყო დამოკიდებული, გაწყვეტდა თუ არა იმ ერთადერთ ძაფს, რომელიც ჯაჭვზე უფრო მტკიცედ კრავს ოჯახს. ხმა ვერ ამოიღო. იმ სიხარულის გამიმჟღავნებაც კი ვერ შესძლო, მის სხეულში რომ დატრიალდა და სულს ჩამოაწიწკნა თმა.

ინგამ ისე შეიცხადა მშობლების მოსაკითხად რძლის წასვლა, თითქოს ჭერი ექცეოდა თავზე. ნადია ეფერებოდა, ამშვიდებდა, „ძალე ჩამოვალო“ პირდებოდა. „რომ იცოდეს მისი ნანატრი შვილიშვილიც თან მიყავს, ალბათ ჭკუიდან შეიშლება“, — ფიქრობდა თემო და ნადიას გარშემო მოფუსფუსე დედას თვალს არიდებდა.

წვიმდა. გალუმპული მატარებლები სელაპებივით ლაპლაპებდნენ ბნელში. თემომ ჩემოდანი სკამის ქვეშ შეაცურა და დაუმშვიდობებლად მიატოვა კუპე. ნადიას თვალებში ჩაქცეულმა ნაღველმა გამოაცილა. ვაგონ გამოსულმა ცო-

ლი მოძებნა, შეჩერდა. სიგარეტს მოუკიდა. გასვლამდე რამდენიმე წუთიღა რჩებოდა. იცდიდა. როგორც იქნა მატარებელი შეირხა, ვაგონები გამოაფეხიწია. „ბადლობა ღმერთს!“ — გაიფიქრა კაცმა და ფანჯარას ახედა. შეაძრწუნა მინაში ჩაფრენილი ტკივილამდე თეთრი ხელების დანახვამ. შველას ითხოვდნენ დარდისაგან დალეარჯნილი თითები, იმ მესამის გადარჩენას იხვეწებოდნენ. „უკან დაბრუნებას რომ დააპირებ, დამირეკე და დაგბვდები!“ — ირიალა თემომ და იგრძნო დაადგიანდა, სულ სხვა ფანჯრებმა გადმოხედეს გაოცებით.

სახლში მისვლა გაუჭირდა. ვიღაცა უხილავი ჩაფრენოდა კისერში, ახრჩობდა. არაყი იყიდა და გოჩასთან ავიდა. გაუხარდათ მისი დანახვა. სიყვარულით მოიკითხა მთელმა ოჯახმა. გოჩა მოსწავლეებს ამეცადინებდა. თემომ მეგობრის ამბავი იცოდა, ვიდრე მასალას არ ამოწურავდა, პინგვინებს ვერ გაისტუმრებედა, ამიტომაც ბავშვებთან დაიწყო თამაში, ხან ერთი ააპორწიალა, ხან მეორე. ცხელი ჩაი დაალეკინეს, ესიამოვნა, გათბა ცოტა. როგორც იქნა ნასწავლებელმა გაკვეთილი დაამთავრა და მოსწავლეები გისტუმრა. თემომ გოგონები შეათვალიერა. ბიჭებისათვის რომ ეკეთხათ, გოჩა რაღაც ზღაპარ ბავშვებს ამეცადინებდა, ერთმანეთზე უკეთეს ანგელოზებს. თემოს არც ერთი არ მოეწონა, მაინც ღიმილით გააცილა მეტიჩარა გოგოები. მიხვდა, სხვებიც განგებ აზვიადებდნენ, თქვენსმეტი წლისა ყველა ლამაზია, აბა რა.

გოჩას ოთახი, უფრო სწორად, ოთახად, გადატიხრული ლოჯია, წიგნებით სავსე პატარა ყუთს გავდა. სპეციალურად მოსწავლეებისათვის გაწლილი მაგიდა დაკეცეს და თეთრი სუფრა გადაფარეს. შემწვარი კარტოფილი, ერბო-კვერცხი, ბჭნილი, ტყემალი, პური ყველზე უკაცრავად) ყველაფერი ისევე დარჩა, როგორც სკოლაში სწავლის დროს, მხოლოდ არყის ბოთლები არ შეეფერებოდნენ წასულ წლებს.

„ცოდვილობ?“ — მოიკითხა მეგობარი.

„როგორც ყოველთვის“, — ღიმილი შეაგება მასპინძელმა.

„შენი საქმისას აკეთებ რამეს?“

„ცოტ-ცოტას, დრო არა მაქვს, რომ არ ვიმუშაო, არ გამოდის, ხომ იცი, რამდენი რამე ჭირდებათ ბავშვებს“.

„მამა ეხმარებათ?“

„არა“.

უხმოდ დალიეს ერთი ბოთლი. გოჩა გრძნობდა, თემო მასთან დარდმა მიიყვანა და ხმას არ იღებდა. თუ თვითონ ეტყოდა რაიმეს, თორემ კითხვით არაფერს კითხავდა, ასე იცოდა სხვისი ტკივილის გაყოფა. ჩუმად, დაუყვედრებლად, მოფერებისა და დაყვავების გარეშე. მეორე ბოთლის დალევაშიც წამოეშველა, თუმცა სასმელი ეზიზღებოდა, ადვილად იტანდა და ამიტომაც სვამდა, თანაც არ უნდოდა მარტო გამომტყვარალიყო ძმაკაცი. თემომ პურის ქერქით თეფშები მოასუფთავა და გოჩას გადახედა. კარგი ბიჭი იყავი და გამოგეცნო რა იდო ერთი საათის უკან ამ თეფშებზე. სტიპენდიიაზე მცხოვრები სტუდენტებივით ამოსცლიპეს ყველაფერი. გოჩა კარტოფილის მოსატანად გავიდა. ხელცარიელი დაბრუნდა. ბავშვებს ჩაეგდოთ ხელში ტაფაზე დარჩენილი. თემოს საკუთარ სამზარეულოში მდგარი მაცივარი გაახსენდა, თევზი ცოცხალი, თევზი შებოლილი, თევზი ისეთი, თევზი ასეთი... მოიწყინა. ბიჭები მენატრებიანო, იმათი ამბავი იკითხა. გოგა ორ ადგილას მუშაობდა, მანქანისათვის აგროვებდა ფულს, ღამის მორიგეობას ვერ იტანდა, მეორე დღეს კაცად ალარ ვარგივარო, წუწუნებდა თურმე, გურამი ჩემს დღეშია საწყალი, ორი შვილი როგორი შესანახია უმცროსი მეცნიერ თანამშრომლისათვის, ერთთათახიანი ბინა სალამოს აბიტურიანტებით ივსება და საწყალი კაცის თავზე ტრაქტორი დადის დღე და ღამე. ირაკლი რაიონშია, როცა ჩამოდის, აუცილებლად შემომრბენს, ხან სულგუნს მოგვიტანს, ხან კუპატებს, მოკლედ, ხელცარიელი

არ მოვა, დევი დაკავებულია, ხომ იცი როგორი სამსახური აქვს, ხშირად რეკავს, თავისთან მეპატიჟება, ვერ მოვიცალე რომ მივაკითხო, ყველაფერ გოჩა. თემო დაძაბული უსმენდა, რაღაცას ელოდებოდა, თითქოს ახალი ამბავი იცოდნენ და მას უმალავდნენ, აუცილებლად უნდოდა რაიმე უცნაური, საინტერესო შეეტყო. „სუყველას მოგვეწატრე, გადაგიყოლა ეტყობა რემონტმა, ჩვენმა მეზობელმაც გააკეთა, კინაღამ ინფარქტმა დაარტყა, ვიცი რაც არისო," დაამთავრა საუბარი გოჩამ. თემო წამოდგა. უხალისოდ გამოეშვიდობა მეგობარს. გოჩამ გავლა მინდოდა და სახლამდე მიაცილა. ურარ არ უთქვამს, დასჯილი ბავშვივით მორჩილად მიაყვანინა თავი. შუქი, რომელიც მისი ოთახის ფანჯრებიდან შორიდან — ეგებებოდა და ნერვებს უშლიდა, არ ჩანდა და თემო მზად იყო ნაწვიმარ გუბურაში ჩამჯდარიყო და ქვეყნის გასაგონად ეტირა, ოღონდ სინათლე გაყუჩებულიყო თვალებგამოღამებულ მინაში.

დილით ინგამ სარკესთან ნაღიას დატოვებული რგოლის ბეჭედი იპოვა და იმ დღიდან ფეხზე აღარ ამდგარა. თემოს მოვლა გაუჭირდა, ქალიც ვერსად იშოვა. ისევ მეგობრები წამოეშველნენ. დევიმ წამლები მოუტანა, გოგა ნემსის გასაკეთებლად მოდიოდა დღეში ორჯერ, გოჩა კარგი დიასახლისივით აკეთებდა ბულიონებს, ბაზარში დარბოდა, სახლს ალაგებდა. თემო უაზროდ დაბორიალებდა სისუფთავისაგან გაყინულ ოთახებში. დამბლამ მარჯვენა მხარე წაართვა დედამისს და თითქმის უმოძრაოდ იწვა ლოგინში ფოთოლივით გამომშრალი მოხუცი. ფარატინა თითზე ბაჯაღლო ოქროს ბეჭედი ბრქყვიალებდა, ვინ იცის რამდენი გაჭირვება გამოვლილი და გაყიდვას გადარჩენილი, რძლისათვის შენახული და მისგანვე უკან დაბრუნებული.

„გიღალატე დედა, მარტო გტოვებ, იმიტომ მწყდება გული, თორემ დრო კია", — ძლივს აბრუნებდა ენასა [illegible] ში და მარცხენა ხელით თმაზე ეფერებოდა შვილს.

„ნადია მალე ჩამოვა, ყველაფერი კარგად იქნება, აი ნახავ", — ამშვიდებდა თემო და თანაც საკუთარი თავი ეზიზღებოდა, რადგან საფლავში ატანდა დედამისს საშინელ ტყუილს.

გონება სწორედ მაშინ დაკარგა, როცა ექიმების აზრით უკეთესობა დაეტყო. ღიად დარჩენილი კარიდან ისმოდა როგორ ხროტინებდა ავადმყოფი. თემო კედელს მიყრდნობილი იცდიდა. ელოდებოდა როდის შეწყვეტდა დედამისი სუნთქვას, ელოდებოდა ორი დღე-ღამის განმავლობაში...

კედელთან გამწკრივებული სკამები შაოსანმა ნათესავებმა და მეზობლებმა შეავსეს, ყვავილებიც უამრავი იყო, და მაინც, ახლა უფრო მკვეთრად გრძნობდა შვილი რატომ მისტიროდა დედამისი რძალს და რატომ ენატრებოდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში ქალიშვილი. ბატონი ბაძუ ნათესავებითურთ არ ჩამობრძანებულა, მხოლოდ დეპეშა გამოაგზავნა და თემო უზომოდ მადლიერი იყო მათი, გვერდს რომ არ უმშვენებდნენ. მხოლოდ ერთხელ დაირღვა სულდარაგადაფარებული იდუმალება, როცა ლიზიკომ გადაამიჯა ოთახის ზღურბლს. მუხლებზე მდგომი ქალი თმაზე ეფერებოდა მიცვალებულს და ცივი ხმით მოთქვამდა. ჭირისუფლები გამოცოცხლდნენ, გული ამოისკვნეს. საოცარი იყო, ქალაქში გაზრდილს საიდან უნდა სცოდნოდა შეცხადება და ხმით ტირილი, თანაც ასეთი შემზარავი. ვინ იცის, იქნებ თავის სიყვარულს, ქალობას ტიროდა, აქ, სწორედ ამ სახლში სამუდამოდ დაკარგულს. თემომ იგრძნო როგორ მოკიდა ვიღაცამ გულზე ხელი, მოუჭირა, ძლიერად, უფრო მეტად...

ლიზიკოს ქონია დედამისის დამტირებელი თვალები...

სიცოცხლეა გაზაფხული. სიცოცხლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკვდილზე გამარჯვების დღესასწაული. სასაფლაოზე მოსული გაზაფხული სიკვდილის დაჯაბნა და მასხრად აგდებაა, სხვა არაფერი, თემომ დამტვერილი მამრმარილო გაწმინდა, გამოანათა დედის სურათმა, გაკრიალდა. შვილი ქვაზე ჩამოჯდა, იქაურობა მოათვალიერა. სიმღერასავით ყვაოდნენ იასამნები, ვარდები, ზამბახები. მოუველელ საფლავებზე ბალახს ემძლავრა, სანთლებივით მოჩანდნენ წითლად ასვეტილი ყაყაჩოები. არავის ივიწყებს სიცოცხლე. ყველას თავის წილს მიუზღავს, ალბათ, იმიტომ არის ასეთი ყოველისშემძლე. თემომ რამდენიმე ზამბახი შეარჩია და ფრთხილად მოწყვიტა. ხელოვნურს გავდა მელნისფერი, ჰაერზე მჩატე ფოთოლი, ბზარებად აჩნდნენ მკრთალი ძარღვები. „ეხლა გივლი, და მაშინ დრო არ მქონდა“, — დამნაშავედ გაუღიმა სურათს. სიგარეტის მოწევა მოუნდა ძალიან. მოკიდება ვერ გაბედა, იცოდა დედამისს არ უყვარდა და მოერიდა. გაზეთში შეახვია ყვავილები, „წავედიო“, დაიბარა. ერთხანს იდგა ისევ, უჭირდა წამოსვლა. ლიზიკოსთან აპირებდა მისვლას. ძველი რვეული იპოვა ლექსებით სავსე, ისიც წამოიღო, მისი მამამთილისათვის უნდოდა ეთხოვა, გამოქვეყნებაში მომეხმარეო. რა ექნა აბა, უმიზეზოდ ხომ ვერ მიადგებოდა დიდი ხნის უნახავს. ზამბახებიც მისთვის ჭირდებოდა, ის მიხვდებოდა, აუცილებლად, საიდან იყო მოტანილი. ინგამაც იცოდა შვილი სად მდიოდა. არ დაუშლია, მოუშუშებელია მონატრების ტკივილი.

გულღიად მიიღო ოჯახის უფროსმა შვილის ბავშვობის მეგობარი. რამდენიმე მეტად საჭირო რჩევა-დარიგება მისცა, „ნუ იფიქრებთ პატივზე, სახელსა და დიდებაზე, უანგაროდ ემსახურეთ ქვეყანასო“. მერე თემოს დედა მოიგონა სინანულით და სიტყვა ყელში გაეჩხირა.

მოხუცი მის რძალს ულიმოდა და თუმცა არც ერთი ხმის არ იღებდა, სწორედ სიჩუმემ ახსნა ყველაფერი. ლიზიკოს ყვავილები, (რომელთა დანახვა ... ძალიან გაუკვირდა ბატონ ბაკურს ... განგ ეს არ იყო ტრადიციული მიხაკები, რომელიც მის სახლში მოჰქონდათ) სახესთან ახლოს მიეტანა და თითქოს ლოცულობსო, ისე ამოძრავებდა ტუჩებს. თვალების გარშემო სილურჯე დაჰკრავდა, ზამბახისფერი.

„აბა, დროებით, გადავხედავ შენს ლექსებს და მოვიფიქრებ, რისი გაკეთება შეიძლება“, — ბაკური თემოს გამოეშვიდობა და კაბინეტს მიაშურა.

მძიმედ დაიხარა რკინის კარი. აფორიაქებული მამამთილი, თითქოს, შვილიშვილის სანახავად ბავშვის ოთახში შევიდა. დედა-შვილი იატაკზე ისხდნენ და სათამაშო მატარებლის ვაგონებში დაგვიანებულ მგზავრებს სვამდნენ. ბიჭი იცინოდა და პატარა თოჯინებს უკანვე ყრიდა. ლიზიკოს სახეს ისეთი ნათელი ადგა, რომ კაცს შვილი მოაგონდა და უნებლიეთ გულზე მიიდო ხელი. ეშვი არ იყო, რძალს ეს თავხედი, ახლადგამომცხვარი მგოსანი უყვარდა და იმიტომ ჩამოსტიროდა ცხვირ-პირი მის კანონიერ მეუღლეს.

ბაკური კაბინეტში დაბრუნდა, რამდენიმე ლექსი წაიკითხა. „დაუბეჭდეთ, გამოუქვეყნეთ! როგორ არა, მამა გიცხონდებათ! ცხოვრების ქარიშხალზე წერენ, რომელი გრიგალები აქვთ ნეტავი გამოვლილი, ღამე საბანი თუ გადასქერთან, ეგ იყო და ეგ, ლაწირაკები!“ — კაცმა საერთო რვეული მაგიდაზე დაადგა. წითელი ხის ჩარჩოში მოთავსებული სურათი იატაკზე დაეცა. ასაღებად დაიხარა, სურათზე „მერანის“ ავტორი იყო გამოსახული. მხატვარს ისე დაეხატა, როგორც წარმოედგინა, ქალივით დიდი, ნუშისებრი თვალებითა და გაფრენილი წარბებით. ახალგაზრდა, ღმერთო, როგორი ახალგაზრდა!

ბატონ ბაკურს რახანია მანქანა ემსახურებოდა და, ალბათ, ამიტომაც ვერ გრძნობდა როგორი უსწორმასწორო, ხორკლიანი იყო მიწის ზედაპირი, მოუღოდნელად რამდენ პირდაბჩენილ ორმოში შეიძლებოდა ჩავარდნა. დახუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულ ფანჯრებში ქარიც ვერ ალწევდა, თორემ ფეხით რომ ევლო, ეგებ მიმხვდარიყო, რომ ბურთივით ათამაშებდა ვრეგალი დედაშენს. ჩაწყნარდებოდა ერთი წამით და მერე ისევ ანჯღრევდა. შიგნეულს უდღვებდა გამუდმებით. და ახლა, სწორედ, ახალგაზრდებს შეჰყურებდა ხელებში ქვეყანა, ეგებ მათ მაინც, როგორმე ოღრონოღრო მიწა ხელახლა გადაებრუნებინათ, სწორი, მართალი კვალისთვის მიეცათ გზა და ისეთი მარცვალი ჩაეგდო ხნულში, ხორბლის ძმიმე თავთავად რომ მოვიდოდა და არა ღვარძლიან სარეველად.

ზარის ხმამ მაკრატელივით გაჭრა სიჩუმე. ზაზა დერეფანში გავიდა, სწრაფად დაბრუნდა და მძინარე ძმას დაადგა თავზე.

„გოგა, ვიღაც გოგოა, ადექი რა!“

„ვინ გოგო?“ — უცებ გამოფხიზლდა გოგა.

„რა ვიცი, ნახე შენ თვითონ“.

გოგამ სკამზე დაყრილი ტახსაცმლის ჩაცმა დაიწყო, წამით დაეჭვდა, ზაზას გახედა, „არაფერ რომ არ იყოს, ხომ იცი რას გიზამ?“.

კარზე ფრთხილად დააკაკუნეს და ოთახში უცნობი ქალიშვილი შემოვიდა.

„შეიძლება?“

„ახლა იღებთ ნებართვას?“ — შეუბღვირა ზაზამ.

ქალიშვილს თავზე შავი თავსაფარი ჰქონდა შემოხვეული ჩალმასავით, მარჯვენა მხარეს, ყურთან, წითელი ბაფთით შეკრული. ტანზე ხაკისფერი კოსტიუმი მოერგო, ფეხზე თეორი ტილოს ჩუსტები ეცვა.

გოგამ ინტერესით დაათვალიერა სტუმარი. „იცით, რას გეტყვით თქვენ ორივეს, შენ რა გქვია?“ — შენობით მიმართა რატომღაც მოსულს.

„ბადონა“

„აშშვენიერი სახელია. იქით ოთახში გაბრძანდით, ისაუბრეთ, მე კი დავიძინებ“.

„ავად ხართ“? — შეწუხდა სტუმარი.

„კი, ბავშვობიდან ვერ არის“, — შუბლზე თითი მიიკაკუნა ზაზამ.

„რატომ უნდა ვიყო ავად?“

„აბა, ახლა, რა დროს ძილია“, — ლამაზი კბილები გამოაჩინა მადონამ.

„აბა. მეც მაგას არ ვეუბნები! დილიდან ვეხვეწები, ადექი, ვიკარიზოთ, ვისაუზმოთ, სახლი დავალაგოთ, მაგრამ ვინ გიგერებს?“ — მკლავები გაშალა ზაზამ.

„იცით, მე თქვენს მეზობლებთან, წიგნიერებთან ჩამოვედი. კარს არ მიღებენ, ხომ არ იცით სად არიან?“.

„ძინავს, ალბათ, ნატოს და ვერ გაიღვიძე,“ — გაეცინა გოგას.

„გთხოვილ ქალს როგორ ძინავს ამ დროს? — გამხიარულდა სტუმარი.

„შენ გეტყობა ყოჩაღი გოგო ხარ, ჯობნი ნათესავს, აბა დატრიალდი ერთი, დაგვილაგე სახლი, მანამდე ნატოც გაიღვიძებს და გაგიცდება სიხარულით, რო დაგინახავს“.

„კი, ნამდვილად გაგიყდება“, — შუბლზე მიიდო ხელისგული გოგამ.

მადონამ, ეტყობა, სერიოზულად მიიღო ზაზას სიტყვები, ჩალმა მოიხსნა და ოთახის დალაგება დაიწყო. რამდენიმე წუთში მოაწესრიგა ყველაფერი. საამბანოდად ცოცხი გამოიტანა და მტვრის კორიანტელში გახვია ძმები.

„რატომ გაქვთ კარი ღია? — ოთახში ირაკლი და გურამი შემოვიდნენ.

„რა ქენით, გამოიყვანეთ მანქანა?“ — ბიჭები გადაკოცნა ზაზამ.

„გამოვიყვანეთ და მყიდველიც ვიშოვეთ იქვე“.

„ქორვაჭრები ხართ?“ — ეჭვით შეათვალიერა მოსულები მადონამ.

„გაზეთებს არ კითხულობთ? სულ ამათზე წერენ, „აბა რა ეგონათო, სახეებს დააკვირდი, იცანი“ — იჭაჭებოდა ზაზა.

„გურამი ერთ ღმერთისგან დავიწყებულ ინსტიტუტში მუშაობს. უმცროსი მეცნიერთანამშრომელია. მანქანა ნასესხები ფულით გამოიყვანა, იმიტომ ყიდის, რაც დარჩება იმით ძველ ჯაგლაგს იყიდის და თავის ჭიას გაახარებს“, — მეგობარი გაამართლა გოგამ.

„ჩვენთან, ვისაც საშუალება არა აქვს მანქანაზე უარს ამბობს. თუ რიგით მოუწევს, სხვას დაუთმობს“.

„ეს ქალი მარსიდანაა?“ — მადონას ვინაობით დაინტერესდნენ მოსულები.

„არა, სოფლიდან. წეგუნავაქეებთან ჩამოვიდა და სახლში არ დახვდნენ. კაი ტიპი ჩანს, სახლი დაგვილაგა,“ — დაუპატიჟებელი სტუმარი შეაქო ზაზამ.

კარის დაკეტვა ეტყობა ბიჭებსაც დავიწყდათ, თემური და ლიზიკო ჩუმად შემოვიდნენ ოთახში.

„თქვენია აკლდით აქაურობას“, — აღტაცება ვერ დამალა ზაზამ.

„რა იყო, ჩემი მოსვლა გეწყინთ? ხელი შეგიშალეთ რამეში?“ — ბიჭებს გადახედა ლიზიკომ.

„არა საყვარელო, ამას უყურებ, ერთხელაც იქნება ენას ამოვაძრობ“, — ძმას თვალები გადაუბრიალა გოგამ. მადონა, ასეთი ღმერთივით ქალები თუ ბინადრობენ თქვენწმ?“.

მადონას ეტყობა საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლები უფრო აინტერესებდა, თვალს არ აშორებდა თემოს.

„თემურ ნიჟარაძე — პოეტი, ჟურნალისტი, ჩემი უახლოესი მეგობარი“, ლიზიკოს თავი დაანება და თემო წარადგინა გოგამ.

რამდენიმე წამი ხმა არავის ამოუღია. ყველა პირდაფჩენილ გოგოს უყურებდა და იღიმებოდა. „ამას ჰქვია ერთის ნახვით შეყვარება“ — გაეცინა გურამს.

მადონა თემოს მიუახლოვდა და უხერხულად ჩამოჯდა მის გვერდით. „თქვენ ნამდვილი პოეტი ხართ?“.

„ნამდვილი პოეტი გალაკტიონია“.

„ერთი ჩვენებური კაცი ცხოვრობს აქ, კარგი მწერალია. ძალიან ლამაზი სახლი აუშენეთ სოფელში. გვიხაროდა სუყველას, ფფიქრობდით, ხშირად გვესტუმრება, მეგობრებს ჩამოიყვანს, ითას საინტერესო რამეს მოგვიყვებს, მოგვხვდავს ახალგაზრდებსთქო. ის კიდევ წელიწადში ერთხელ თუ ჩამოვა, ორსამ კაცთან ერთად იქეიფებს და გამორბის უკან. ჩვენთვის სად სცალია, დღე დამისის ამბავს ძლივს კითხულობ“.

„დაკავებულია ალბათ“.

„ნუ იცავთ, ძალიან გთხოვთ, დედა შვილის ამბავს გაზეთებიდან იგებს. ზის მთელი დღეების განმავლობაში იმ უზარმაზარი სახლის წინ და ცარიელ ოთახებში შესვლა ეშინია“.

„მე მგონი თქვენ აზვიადებთ. მოხუცები საერთოდ ძალზე ჭირვეულები არიან. ის ქალი ყველაზე მეტად სწორედ შვილითა და ლამაზი სახლით ამაყობს. ალბათ, ქალაქშიც არ გადმოდის საცხოვრებლად, ვერ ელევა იქაურობას. ეგებ საყვედურობს ვინმეს?“.

„არა, პირიქით, მაგრამ ისეთი გაბზარული ხმით მიგიპატიჟებს ეზოში, უარს ვერ ეტყვი. გამომლაპარაკებელი ენატრება და მე მგონი ქარისაგან გადაბერილ ძველ ოდაზე დარდობს, რომელშიც მართლა დიასახლისი იყო და არა თეთრი ქვების დარაჯი“.

„გადასარევი სიუჟეტია, მელოდრამატული სცენარისათვის გამოიყენე, თემო, აუცილებლად. თქვენ აქ იმ კაცის მოსაძებნად და უკანდასაბრუნებლად ხომ არ ჩამოსულხართ?“.

„ლიზიკო, დაანებე გოგოს თავი, ნუ გაქვს მწარე ენა. გამოცდების ჩასაბარებლად ჩამოვიდა, თან პურმარილი ჩამოუტანია და მგონი გვიმასპინძლებს“, — მოსულებს აუხსნა გოგამ.

„დილაადრიან სტუმრად სიარული და ქეიფი არ იციან ჩვენში“ — მხრები აიჩეჩა მადონამ.

„სამაგიეროდ ქალაქში იციან. აქ ვისაც ხედავ, სუყველას ერთი სკოლა გვაქვს დამთავრებული. ახლა მშობლები სახლში არ არიან და ახალგაზრდობას ვიხსენებთ, ყოველღიე ვიკრიბებით, ვჭორაობთ, ვცეკვავთ, ვმღერიგართ, თუ ფფული გვაქვს, სასმელს ვყიდულობთ, თუ არა — ქაღალდს ვთამაშობთ, ვილაძღებით. და ასე, ვატარებთ დროს. გასაგებია საყვარელო? თუ შენ სახლიდან გამოგდებული უპატრონო ხალხი გგონია ესენი? ოცკაპიკიან ხაჭაპურზეც და გამხმარ თევზზეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გემრიელად გვიქეიფია. იმიტომ, რომ აქამდე სიყვარულმა მოგვიყვანა“, — გოგას ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა და ბიჭები ღიმილით შეჰყურებდნენ ქადაგად დაკარდნილ მეგობარს.

„მოსაპარი არაფერი გაქვთ? კარი ღია, ფანჯარა ღია“, — ოთახში გოჩა შემოვიდა და პირდაპირ ლიზიკოს მიჯდა. „წვიქეცი, რაღაც ჭკუიდან შესაშლელი სუნი მცემს. დამენახვე, რა გადასარევი კაბა გაცვია. მოიცა, უკან რატომ არის ჩაჭრილი, უქუდმა ჩაიცვი?“.

„მოდაა ასეთი, უტკივნო!“ — მიესიყვარულა ლიზი.

„გახსნილი წინ ჯობია, კუდუსუნის ძვალი რა საყურებელია“, — გულმოდგინედ დაათვალიერა ქალის ზურგი გოჩამ.

მადონა აკისკისდა. ხვები ლიზიკოს განაწყენებას მოერიდნენ.

„ეს ვინ არის?“ — გაუკვირდა გოჩას.

„ამბიტურიენტი, რა, არ ეტყობა?“ — გაეცინა გოგას.

„არა, კარგად გამოიყურება“.

„შენ ჩალმაში უნდა გენახა,“ — ამოიოხრა ზაზამ.

„შარშან ნათესავები ჩამოგვივიდნენ მთიდან. ჩემოდნით ჩამოიტანეს ფული. მამაჩემს ეხვეწებოდნენ, ვინმე მოგვიძებნე, შვილი უმაღლესში მოგვიწყოსო. ერთი თვე ირბინეს იქით-აქეთ და წავიდნენ პირში ჩალაგამოვლებულები უკან“. — ამბიტურიენტის დანახვაზე მოაგონდა გოჩას.

„ეხ, მაგდენი ფული რომ მქონდეს, სულ არ ვისწავლიდი“. — გამოტყდა ზაზა.

„შენ ერთი კაპიკი არ გაქვს, მაგრამ მაინც არ სწავლობ, უქნარა“. ხარბი ძმა შეარცხვინა გოგამ.

„მე დრო არ მქონდა მომეფიქრებინა რომელი სპეციალობა ამერჩია, სკოლა, სახლი, რეპეტიტორები, სკოლა, სახლი, რეპეტიტორები...“

„ერთი ამ წამებულს შეხედეთ! სკოლა ცალკე ეძებდა, ოჯახი და რეპეტიტორებმა ხომ აგვიკლეს რეკვით. მთელი დღე იპოდრომზე ეგდო, შემოდიოდა შემოდიოდა სახლში“.

„ღამე რას აკეთებდა იპოდრომზე?“ — იკითხა ლიზიკომ.

„ელოდებოდა ცხენები როდის დაიძინებდნენ“, — აუხსნა გოჩამ.

„მართლა იძინებენ ცხენები ღამით?“

„ლიზი გენაცვალე, შენ თუ იძინებ, ცხენმა რა დააშავა? ყველა ნორმალურ ცხენს, ისევე როგორც ადამიანს ძილისპირულის შემდეგ სძინავს,“ — აუხსნა გოგამ.

„გამანებეთ თავი“.

„შენ თვითონ როდის დაგვანებებ თავს. ოჯახი გაქვს, ქმარ-შვილი გყავს. მოვლა არ უნდა იმათ? დილით სამსახურში ხარ, საღამოობით სტუმრად, შენი შვილი თუ გცნობს ნეტა? — შეეკითხა ირაკლი.

„კი ცნობს, როგორ არა, სურათი გაუკრეს საწოლის თავთან, დედა რომ არ დაავიწყდეს. რომელ საათზეც არ უნდა დარეკო, გპასუხობთ „დედიკო სამსახურშიაო“, — დასცინა გურამმა.

„შენ ორი შვილი გელოდება სახლში, რატომ ზიხარ აქ“, — გურამის ეცა ლიზიკო.

„ჯერ ერთი, ბავშვები ჩემს მეუღლესთან არიან და არა ბებიასთან. მეორეც, მე მამაკაცი ვარ და ცოტა მეტი უფლებები მაქვს. მიყვარს ქუჩაში გახეტიალება, თვალს წყალს ვასმევ, ერთ-ორ ჭიქას გადავკრავ ძმაკაცებში. და, საერთოდ, მამაკაცი ვარ, ხედეთ სხვაობას“.

„არავითარი სხვაობა არ არსებობს. დალევა შენზე მეტი შემიძლია და ქუჩაში ხეტიალზე ვგიჟდები!“.

„მიდი ლიზი, მიდი, არ ჩამორჩე არაფერში!“ — წაეჭეზა გოჩამ.

„რა მოგვიდათ, სარჩუბრად მოხვედით აქ? ლიზი, შენა ხარ ჩემი ბავშვობის ცისფერი ზღაპარი. შენი დანახვა მიხარია, თორემ ამათ სიფათებს ჩემმა მტერმა უყუროს. მოდი, ერთად დავსხდეთ, ვიშუკჭუკოთ, შემეკითხე ნარნარი ხმით, „როგორა ხარ, გოგა? ცოლს რატომ არ ირთავ“.

„მართლა გოგა, რატომ არ ირთავ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოლს?“ — მაშინვე შეაშრა ცრემლი ქალს, „იმასთან როგორ არის საქმე, დევიმ რომ გაგაცნო?“.

„ცუდი არ უნდა იყოს, მაგრამ ძალიან შაავი“.

„ზედმეტი ხიზილალის ჭამამ იცის ეგ“ — ჩაერია უმცროსი ძმა.

„ეგ რა მიზეზია, რამე სერიოზული თქვი“, — ჩააცივდა ლიზიკო.

„გაცნობისთანავე იცი რა მითხრა? ლომი მინდა მყავდესო“, — გაეცინა გოგას.

„აღარ შეეხვედრივარ, ლომი მინდა ახლა მე?“.

„სამაგიეროდ ბინა ჰქონია გადასარევი“, — გაახსენდა ლიზიკოს.

„ოო, ეგ ცვლის საქმის ვითარებას“, — თქვა ირაკლიმ.

„გოგა, შენი ჭირიმე, ითხოვე რა, გეხვეწები. შენ იქ გადახვალ, მე აქ სამეცადინო კუთხე გამინთავისუფლდება, საწოლის ნაცვლად აკვარიუმს დავდგამ, ჩიტების გალიას ჩამოვკიდებ“.

„ნეტა ლომი რად უნდა?“ — გაუკვირდა მადონას.

„მალე რომ დაქვრივდეს“, — განუმარტა ზაზამ.

„ბიჭო, უფროსების ლაპარაკში ნუ ერევი, რა თქვენი საქმეა, ოცნებობს ქალი, რა, არ შეიძლება“ — აყვირდა გოგა.

„კი გენაცვალე, როგორ არ შეიძლება“, — დაუყვავა გორამ, „ლიზიკო, მოშორდი უბინაო კაცს, გავგზავნოთ ზაზუნა ღვინის მოსატანად და მივხედოთ საქმეს!“.

„არ გვინდა რა ღვინო. ჯობია ვიცეკვოთ, ვგიჟდები ისე მენატრება ცეკვა“, — წინადადება შემოიტანა ლიზიკომ.

„ოფიცერთა სახლში იარე, იქ არიან მაგის სპეციალისტები“, — ასწავლა ირაკლიმ.

„ცეკვა მინდა, მორჩა და გათავდა! თუნდაც შენთან, რა, არ შეიძლება?“ — ჩირვეულობდა ლიზიკო.

„მე ან გათიშული მთვრალი ვცეკავ, ან ქალს ვეფერები, ყურში ვეჩურჩულები რაღაცას. შენთან ჩახუტებას ის აზრი აქვს, პირველი კლასიდან გიცნობ, თანაც ბავშვობიდან მეშინია დევების, შემთხვევით კისერში რომ გაკოცო, ხომ მომხვდება შენი ქმრისაგან ყურის ძირში? მომხვდება! ამიტომ ჯობია სხვა საქმეს მივხედოთ, სადილად რა გაქვთ ზაზუნა“.

„ერმოკვერცხი“, — უხალისოდ თქვა ბიჭმა.

„კვერცხი სადილი კი არა, საუზმეა“, გაუსწორა ირაკლიმ, „კიდეე?“.

„იგივე, იგივე და იგივე“.

„ფუი, მოკალი არა ბაკშვი, თვალები მაჩვენე, ასპროცენტიანი სიყვითლე აქვს, დასცა დიაგნოზი ექიმმა, „ახლავე მიეცი ქათმის საყიდლად ფული, ეგებ უშველოს“.

„ვერ ვიტან მაღაზიის ქათმებს, ჟირაფებივით კისრით, ნეტავი ჯიშია ასეთი თუ რა უბედურებაა“, — დაიჯდანა ლიზიკო.

„ნუ წახვალთ, რაც ჩამოვიტანე ყველას გეყოფთ, თქვენ მხოლოდ მაგიდის გაშლაში მომეხმარეთ“, — თქვა მადონამ.

სუფრა უცებ გაიწყვეს. თემომ მადონას გვერდით დაიკავა ადგილი.

„ბუნების ტრფიალო, მუზა ხომ არ მოგივიდა მეჩაიე გოგონას დანახვაზე?“ — გაუღიმა ლიზიკომ.

„მეჩაიე დედაჩემია, მე ექთანი ვარ“.

„ო, ო, თქვენ გვეტყვით სიმართლეს, რამდენ კილოგრამ უმაღლეს ხარისხის ჩაის კრეფს დედათქვენი დღეში?“.

„დანა აქვს სპეციალური, წამოუსვამს ხელს და რაც მოყვება ჩაყრის კალათში. მეორე ხარისხში უთვლიან, თუ მთლად ყვერო არ არის პირველსაც არქმევენ“.

„წარმოგიდგენიათ რას გვასმევენ? პირველად მესმის ეგ სიტყვა, ყვერო რას ნიშნავს?“.

„რა ვიცი, ნაყარ-ნუყარს, რაღაცა უვარგისს...“

„სწორედ მაგდაგვარ სიტყვას ვეძებდი, დიდი მადლობა, აბა, აქ შეკრებილ

ყველრეს, გაგვიმარჯოს!“ — ჭიქა ასწია ლიზიკომ.

„ულრმესი მადლობა“, — ფეხზე წამოდგა თემო.

„სიმღერით, სამადლობელი სიმღერით“, — საიდანღაც გიტარა ამოაძვრინა ზაზამ.

თემომ უხალისოდ ჩამოართვა, რამდენიმე წამი სიმებს აწვალებდა, როგორც იქნა, ააწყო აკორდები და თითქოს ინსტრუმენტს რაღაცას კარნახობდა, დაბალი ხმით ლექსის კითხვა დაიწყო. ყოველი სიტყვა თავისთავად მღეროდა, გეგონებოდათ კაცი კი არა, ხასიათზე მოსული გიტარა ღიღინებდა სიყვარულზე.

„ჯერ არ მიმიღია ჩემი დოზა, ფორმაში შევალ და მერე ვიმღეროთ დილამდე!“ აღტაცებული ოვაციები არაფრად ჩაგდო თემომ.

„და ამისთანა ტალანტი ცოლმა მიატოვა, წარმოგიდგეგინა? — მადონას მიუბრუნდა ზაზა.

„იმიტომ რომ ცოლს მამაკაცი ჭირდებოდა და არა მომღერალი. ნამდვილი კაცის პოვნა ძნელია, თორემ სიმღერა ფირფიტებზე, კასეტებზე, რადიოში, ტელევიზორში, მაღაზიაში შეხვალ და იყიდი 2 მანეთად, ხუთმანეთად, ხელზე ცოტა მეტი დაგიჯდება, მაგრამ...“

„კარგი, ლიზიკო, რა მოგვიდა“, — შეაწყვეტინა გოგამ.

„კარი მთელი ღამე ღია გკონდათ?“ — ოთახში თმაგაწეწილი, ხალათში გახვეული ახალგაზრდა ქალი შემოვიდა, და უცებ „ამას ვის ხედავს ჩემი თვალებიო“, — გადაეხვია მადონას.

„ძლივს ვნახე კაცი, რომელმაც არ იკითხა, ეს ვინ არისო;“ — ტაში შემოჰკრა ზაზამ.

„თქვენებმა დარეკეს სოფლიდან და ჯერ არ ჩამოსულა-მეთქი ვუპასუხე, გავუხეთქე გული. როგორ დამეძინა ასე სასწაულად, რომ ზარი ვერ გავიგე, სად არის შენი ჩემოდანი, დაიღალე, ალბათ იმხელა გზა გამოიარე. ბიჭებო, სიგარეტისათვის შემოვედი“, — გაახსენდა თავიტოს.

„ა, გენაცვალე“, — გაუხსნელი კოლოფი მიაწოდა ირაკლიმ.

„ერთი წუთით“, — მადონამ ქალის მკლავებისგან თავი გაინთავისუფლა და თემოს მიუახლოვდა, „თქვენი თვალებით მინდა დავინახო ქალაქი, დამთვალიერებინებთ თბილისს?“.

„შენდა აკლდი ამ უბედურს,“ — ამოიოხრა ლიზიკომ.

„ნატომ იცის ჩემი ტელეფონი, დამირეკე და მოვიფიქრებ რამეს“, — უცებ გამხიარულდა თემო.

„ხვალ დაგირეკავ“, — დაპირდა მადონა. „ნახვამდის“, — დაემშვიდობა დანარჩენებს.

„მე მივდივარ, საქმე მაქვს, მშვიდობით“, — ჩანთა აიღო ლიზიკომ.

„გაგიყვან,“ — წამოდგა ირაკლი.

ლიზიკო არ შეჩერებულა, ისე მიატოვა ოთახი.

„გაანებე თავი. ხომ იცი, მაგას თუ რამე არ უნდა,“ — შეაჩერა თემომ.

გოგამ ჭიქები შეავსო. მეგობრებს გადახედა, ამა ვინ გაიხსენებს რამდენი ხანია ასე ერთად არ შეკრებილვართ, ა?“.

„რვა მარტის შემდეგ“, — უპასუხა ზაზამ.

„წადი, ძმაო, სასეირნოდ“, — სთხოვა გოგამ.

„რას ერჩი, მართალი თქვა“, — გაეცინა თემოს.

ზაზამ გამხიარულებული ბიჭები შეათვალიერა და ბუზღუნით მიატოვა მაგიდა. ხანდახან ჯოხით ვერ იშორებდა უფროსი ძმა უმცროსს თავიდან, მაგრამ ახლა ზედმეტად იგრძნო თავი ბიჭმა. მიხვდა, მეგობრებს მარტო ყოფნა ერჩიათ და გაეცალა.

მადონამ მეორე დღესვე დაურეკა. სამსახურიდან გვიანდაბრუნებულ თემოს თავის ტკივილი კლავდა. წამალმაც ვერაფერი უშველა ნამთვრალევს. უცნობმა ხმამ კიდევ უფრო გააღიზიანა „მართლა მოცლილი ვგონივარ ამ შტერსო,“ — გასკდა გულზე.

„თქვენ ხომ დამპირდით“,“ — არ ეშვებოდა ქალი.

„მე არსად წამსვლელი არა ვარ. თუ ძალიან გინდა ექსკურსია ჩემი სახლიდან დავიწყოთ, ერთ-ორ ბორჯომის ბოთლსაც თუ გამოაყოლებ ხელს, კარგს იზამ, გიკარნახო მისამართი?“.

„მიკარნახე“, — ოდნავ დაიგვიანა პასუხმა.

უეცრად ამოვარდნილი ქარი ცოცხივით დატრიალდა ოთახებში. ფარდამაც იდროვა, გარეთ გავარდა, ცას გამოუყო ენა. თემომ ფანჯრები დახურა, ეზოში გადაიხედა. აფორიაქებულ ჩიტებს გავდნენ ეზოში მოთმამაზე ბავშვები. „ჩემი რომ იყოს რომელიმე მკაცრი ხმით დავუძახებდი და ამოვიყვანდი, ნეტავი დამიჯერებდა თუ ფეხებზე დამიკიდებდა...“

კარზე მაგრად დაკაკუნეს.

მადონა იყო. ხელში ბოთლებით სავსე ბადური ეჭირა.

„წამობრძანდით, სახლს დაგათვალიერებინებთ,“ — ჩანთა ჩამოართვა თემომ. „მისაღები ოთახი, საძინებელი, კაბინეტი, ხედი ზღვაზე არ მაქვს. მაგრამ აკვარიუმს ვიყიდი და ხელოვნურ მინი ზღვას მოვაწყობ. ასე რომ, გაისად ზღვის აბაზანებს, მზის აბაზანებსა და ტალახისასაც თუ საჭირო იქნება, სახლში მივიღებ. კიდევ რა, ჰო, თუ სახურავზე ახვალთ, ფუნიკულიორს დაინახავთ, იქიდან გადმოვარდნის შემთხვევაში ჩაუწერლად მიიღებთ სამუდამო ბინას მუხათგვერდის სასაფლაოზე. ასეთი ბინის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი გარემონტებას არ მოითხოვს, და დაზოგილი თანხა მაწქანის შეძენის საშუალებას მოგცემთ...“

„აციდეთ რა სახურავზე,“ — სთხოვა მადონამ.

„შენ აქ სამეცადინოდ გამოგაგზავნეს თუ სახურავზე საძრომიალოდ,“ — **დატუქსა** თემომ.

როიალზე ინგას გადიდებული სურათი იდგა, ძველებურ ჩარჩოში ჩასმული. მის გვერდით, ლარნაკში, დამჭკნარი ვარდები ხმებოდა. მადონა ახლოს მივიდა, ქალის სახეს დააკვირდა. „ეს ვილები შენ მოგაქვს?“.

„არა, ფოსტალიონს“ — თემო სამზარეულოში შევიდა, ჩაის ჭიქა არყით შეავსო და დალია. „ერთ დღეს მიღებული ძლიერი შთაბეჭდილებანი უარყოფითად მოქმედებენ ადამიანის ორგანიზმზე, ექსკურსია დამთავრებულია“.

„სადილს ვინ გიმზადებს, ვინ გირეცხავს?“.

„არავინ. ჩემმა საუკეთესო პერანგებმა პროტესტის ნიშნად თავი დაიხრჩეს, წამოდი, გაჩვენებ,“ — თემომ კარი გააღო და თეთრეულით სავსე აბაზანა დაანახა მადონას.

„გამატარე“, — ქალმა ცხელი წყალი მოუშვა, საპონს დასწვდა და რეცხვა დაიწყო.

„ორი დღის სამუშაოა,“ — გაფრთხილა თემომ, თუმცა გაუხარდა დამხმარე რომ გამოუჩნდა. ჭუჭყიანი თეთრეულის ზვინი ნერვებს უშლიდა.

ერთხანს უსაქმოდ იბორიალა ოთახში. არაყმა, ეტყობა, უშველა, თავის ტკივილს ვეღარ გრძნობდა. წვიმამ ნაცნობივით დაუკაკუნა რაფაზე. ფანჯარა გამოაღო. სარეცხივით აეკრიფათ მშობლებს ეზოდან ბავშვები. წვიმა თამაშობდა მათ მაგივრად ახლა. ბეჯითად ასუფთავებდა ცარცით დასატყვეს მზეს, ყვავილებს, უთვალავვაგონებიან მატარებელს. თემო ტახტზე წამოწოლილი ისმენდა წვეთების სიმღერას. სოფელი ბოენატრა, სველ ბალახებში წვიმების დასუსხვა...

სახეზე ხელის შეხებამ გამოაფხიზლა, მადონას თითებს სანპნისა და წყლის სუნი ასდიოდა. წამოიწია. ჩრდილისფერ ქალს დააკვირდა. წელზე მოხვია ხელი. „გინდა ჩემთან?“ — შეეკითხა. მწიფე ნაყოფივით ადვილად დაყვა უცნობი სხეული, უხერხულად, მძიმედ დააწვა გულზე...

დილით უსიამოდ გაახსენდა გატეხილი ღამე. სანამ საბაზანონში შევიდოდა, სამზარეულოში შეიხედა. მადონა საუზმეს ამზადებდა.

„ნუ წუხდები, სამსახურში მაგვიანდები“.

„ეგებ მარტო ჩაი დალიო“ — სთხოვა ქალმა. ასეთი თვალებით ერთგული ძაღლები ელაქუცებიან პატრონებს. ისინიც გრძნობენ პირუტყვის სიყვარულს და ეფერებიან. ყურებს აუწევენ, ზურგზე ბეწვს აუჭიჩავენ, ხორცის ნაჭერს გადაუგდებენ, უფრო გულჩვილები შუბლზე კოცნიან. ეს ძაღლებს, მაგრამ ქალს? თემომ არ იცოდა ასეთ სიტუაციაში როგორ იქცეოდნენ კაცები და ყოველი შემთხვევისათვის მადონას ზურგზე ჩამოუსვა ხელი. სწრაფად ჩაიცვა. ცხოვრებაში პირველად გაუჩნდა სურვილი დროზე მისულიყო სამსახურში. ხელფასამდე დარჩენილი უკანასკნელი სამმანეთიანიც სიამოვნებით გადაადგო, მადონა ტაქსში ჩასვა და „დაგირეკავო“, დაპირდა. როგორც კი მანქანა თვალს მიეფარა, თემომ საქმიანი კაცის იერი „კოსმოსთან“ ერთად შეინახა შარვლის ჯიბეში და სახლში დაბრუნდა. ეძინებოდა.

შეშინებულმა ნატომ მთელი ღამე თეორად გაათენა. დილით, მადონას სახის შემხედვარემ გულზე დაიკრიფა ხელები. ისიც თითქოს ახლა მიხვდა, რომ რაღაც უბედურება შეემთხვა, ნათესავს ჩაეხუტა და ატირდა. „დავიღალე დედა, დავიღალე“, — ეჩურჩულებოდა ხალათიდან ამოჩრილ ლავიწის ძვალს.

ნატოს არაფერი უკითხავს, ტყუილის მოსმენას ეშვებში ყოფნა ერჩია, თავის დროზე თვითონ ატყოდა მადონა თავის სათქმელს, თუკი საერთოდ რაიმე ეთქმოდა.

მოკვდა ის დრო, გოგა დაბადების დღეს უმცროსი ძმის გარეშე რომ იხდიდა, მეორე წელია ზაზა სუფრის სრულუფლებიანი წევრი იყო. ადრე კი, დედმამასთან ერთად ტოვებდა პატარა ბინას, რომელშიც გაჭირვებით თავსეგდნენ სტუმრებს და ხორაგით დატვირთული ჩანთით დეიდასთან მიდიოდა ღამის გასათევად. შშობლებს ხვალ დახვდებიან აეროპორტში, დღეს კი გოგა ოცდაათი წლის სრულფასოვანი და ზაზა სტუმრების შესახვედრად ემზადებოდა.

ყველაზე ადრე ლიზიკო მოვიდა.

„რად უნდა კაცს ყვავილები, მომღერალია თუ რა?“ — საჩუქარი დაიწუნა ზაზამ.

„შენ რა გესმის“, — თმები აუჩეჩა ქალმა. სამლიტრიან ქილაში წყალი ჩაასხა, სამზარეულოდან კალათი გამოიტანა და ქილა ვარდებინად ჩადგა შიგნით. „ზუსტად ოცდაათი ცალია, როგორია, ა?“

წითლად ანთებული კალათი ბუხარივით ღვიოდა. ვარდის კოკრები კედელზე აეოცდნენ და ყველაფრისადმი გულგრილი რუხი ფერი გამოაფიზიზლეს. გამოეცხლდა სიცხისგან გამოლენჩებული ოთახი, წყალივით შეისრუტა ყვავილთა სურნელი.

„მაგარია“, — აღიარა ბიჭმა.

„საჭმლის საქმე როგორ არის?“

„გუშინ მოიტანა ყველაფერი გოგამ, ნატომ და მადონამ გაამზადეს, გოჭი ახლა იწვება“.

„მადონა კიდევ ცოცხალია?“ — დაიჯღანა ლიზიკო.

„ახალგაზრდაა, ჯერ, რა მოკლავს“.

გამხიარულდნენ. ზარიც მათთან ერთად აკისკისდა. ზაზა კარის გასაღებად წვიდა. ტალღასავით დაჯახა ბიჭების სიყვარული გულზე.

„დაანებეთ ბავშვს თავი, ცოტა გოგასთვის შეინახეთ,“ — ყვიროდა ლიზიკო.

ობლის ჩივილივით დაკარგული ზარის ხმა ზაზამ გაიგო.

„თემო თუ მოვიდა, ერთი წუთით გამოიხედოს,“ — სთხოვა მადონამ.

უხალისოდ მიატოვა თემომ ოთახი. ლიზიკოც უკან გაჰყვა რატომღაც.

„თქვენ ვატყობ, ჯერაც ვერ დაამთავრეთ ქალაქის დათვალიერება,“ — უხეშად მიახალა კართან ატუზულ ქალს.

„ჭრელი აბანოები დაგვრჩა,“ — ძაღლივით შეუღრინა იმანაც.

„ყოჩაღ, კარგი ტემპით გივლიათ!“ —

ლიზიკო ოთახში დაბრუნდა. თემო უკან გაჰყვა.

„თემო! თემო!“ — იყვირა მადონამ.

„რაშია საქმე, რა გაყვირებს?“

„შენთან სალაპარაკო მაქვს...“

„სხვა დროს ვილაპარაკოთ, ეხლა არ მცალია.“

„იმისათვის ხომ გცალია“ — თვალებით ოთახში მყოფზე მიეთითა. თემო უცებ შეტრიალდა, კარი მიხურა, „ზედმეტ უფლებებს ხომ არ აძლევ თავს, გენაცვალე?“ — გამოსცარა კბილებში. „რა გინდა ჩემგან, რამდენადაც მახსოვს მე არაფერს დაგპირებივარ, ცოტა მოგეფერე, ეს იყო და ეს.“

„ცოტა მოფერება ჰქვია მაგას?“ — ცრემლი ვერ შეიკავა ქალმა.

„შენ რაც გინდა ის დაარქვი, ოღონდ იცოდე, მე შენი ისტერიკებისათვის არ მცალია. პატარა აღარა ხარ და მიხედე თავს. რაც უფრო ჩქარა დაივიწყებ ჩემს სახელს, უმჯობესი იქნება ორივესათვის, გასაგებია?“ — სისინებდა კაცი.

„შემოდი სახლში, აქ რას გაჩერებულხარ,“ — შამპანურის ბოთლებით დატვირთულმა გოგამ თითქმის სირბილით ჩაუარა გვერდზე, რამდენიმე წამით შედგა, ქალის ცრემლისაგან დამწვარმა სახეგ ატკინა თვალები და მერე ოთახის კარი შეაღო.

„ვაშაა, სასმელი მოსულა!“ — იღრიალა ზაზამ.

„სასმელი კი არა, იუბილარი, შე შტერო,“ — შეუსწორა ირაკლიმ.

„შე მართლა შტერო, იუბილარი ეგ თქვენთვის არის, თორემ ჩემთვის უფროსი ძმაა.“

„რკინისებური ლოგიკა. თავის დროზე ამის აღზრდაში შეცდომები გვაქვს დაშვებული,“ — სინანულით თქვა გურამმა.

„დაამკიე ოჯახი?“ — ბოთლების დათვლის შემდეგ იკითხა გოჩამ.

„ავადმყოფმა მომართვა,“ გაეცინა გოგას.

„ვაა, ის ტიპი, შენ რომ გუშინწინ ოპერაცია გაუკეთე, უკვე დადის დასასრულ ჩუქრებზე ჩალიჩობს?“ — არ დაჯერა ზაზამ.

„ის ჯერ კიდევ რეანიმაციაში წევს, პატივი მისმა ნათესავებმა მცეს.“

„ე, რომ მოკვდეს, შამპანური უკან უნდა დავაბრუნოთ?“ — ვერ ისვენებდა ზაზა.

„ერთი დღე მაინც გამატარებინე ისე, რომ ნერვები არ ამიშალო,“ — დაღლილი ხმით ითხოვა იუბილარმა, „ეს კალათი რასაკვირველია უცნობმა ფერიამ მომართვა, რომ იცოდეს, როგორი მადლობელი ვარ მისი...“

„ოცდაათი მანეთი დაუხარჯავს, რა არაპრაქტიკული ფერია ხარ, ლიზი“ — უსაყვედურა გურამმა.

„ველურებო! ვინც საჭირო იყო, ის მიხვდა, თქვენ კიდევ ვერც შეამჩნიეთ. შენ კი ამ ბრიყვთა სურათებს აგროვებ, ზაზუნა, ნეტა ვიცოდე რაში გჭირდება, ფეხბურთელები, მსახიობები და საერთოდ, ნორმალური ხალხი არ გირჩევნია?“ — ლიზიკო ღიმილით ათვალიერებდა ნაცნობ სახეებს.

თმადაუვარცხნელი ნატო გრიგალივით შემოიჭრა ოთახში. „თქვენ რასაკვირველია საქმის კურსში ხართ, მაგრამ ეგვე მე ამიხსნას დახვეწილი ვემოვნების მქონე ჟურნალისტმა,“ რით მოხიბლა სოფლელმა გომბიომ მეორე დღესვე რომ ლოგინში ჩაიწვინა. რამდენადაც ვიცი, ასეთი საქმეებისათვის „იმნაირი“ ქალები არსებობენ, თუ ცოლად გინდოდა შეგერთო? პირველიც, თუ არ ვცდები, რაიონიდან იყო?! ახლა ჩემი ბატონო, მამამისი ჩამობრძანდა და იმას ელაპარაკეთ!“ — ნატომ ხელების ქნევა და პირიდან დორბლის ნთხევა დაამთავრა, „შე პირუტყვოო,“ — დაგესლა თემო და გაქრა.

„ზაზა, წადი დეიდასთან,“ — სიჩუმე დაარღვია გოგამ.

„რატომ? იყოს, ამდაგვარი ამბების მოსასმენად ხალხი სპეციალურად და-

ქეთევან მელიქიძე
თეთრი ქვების დარაჯი

- დის სასამართლოში“, — მკლავში ჩაფრანდა გაკვირვებულ ბიუს ლიზიკო.

„რამდენი დღე გავიდა? ეგენი ხომ იცი, ყველაფერზე წვალენ, შეიძლება გიჩივლონ კიდეც,“ — აღელდა გოჩა.

„ესეც არ არის საქმე. ინივლებენ და ჩვენც აქა ვართ, ვიტყვით, თვითონ იხვეწებოდა, სუყველას თავზე გვახტებოდათქო და ათას რაღაცას კიდევ“ — თქვა ირაკლიმ.

„გამოსავალს კი ვნახავთ, მაგრამ მე მაინც ვერ მივხვდი, რათ გინდოდა?“ — ხელები გაშალა გოგამ.

თემო ხმას არ იღებდა. ყვავილების ფოზზე მისი გაფითრებული სახე, ბენეფისში მონაწილე დრამატული მსახიობის ნიღაბს გავდა.

„გადაეკიდე ახლა, არ იცი, როგორც ხდება ხოლმე,“ ზარის ხმამ ირაკლის პირში უკანვე ჩაუბრუნა სათქმელი. გოგა უცნობ მამაკაცს შემოუძღვა ოთახში.

„დღეობას იხდიანო და რამე ცუდი ხომ არ შეგემთხვათ?“

„წავლაპარაკდით ცოტა, უკვე შევრიგდით, დაბრძანდით,“ — სკამი მიაწოდა გურამმა.

პატარა კაცი უხერხულად ჩამოჯდა სკამზე, ბიჭები შეთვალიერა, ლიზიკოზე დიდხანს შეაჩერა მზერა და ჩადგმული კბილები გამოაჩინა. „ღვინო ჩამოვიტანე, ჩემი დაწურული, ნამუსიანი, თუ წამომყვებით გამოგატანთ.“

„ნუ წუხდებით, დასალევი გვაქვს, დიდი მადლობა,“ — ჩუმად თქვა გოგამ.

„თქვენ მსახიობი ხართ?“ — ლიზიკოს მიუბრუნდა სტუმარი.

„არა.“

ზაზა ხედავდა, როგორ უცახცახებდა მუხლები ქალს, ხელით ამაგრებდა ალბომს, ძარს რომ არ დავარდნოდა. ღვედივით უჭერდა ბიუს მკლავში ჩაფრენილ თითებს.

გოგა მაგიდასთან მივიდა. ჭიქები შეავსო. ბიუებმა ადგილები დაიკავეს. ზაზას მკლავში ჩაზრდილი ლიზიკო არ განძრეულა მხოლოდ.

„რას აკვლევინებ თავს ამ ლიმონთს, შზამია ნამდვილი, მე პირადად მკლავს“ — გამოტყდა სტუმარი. „ეგენი ძმა რომელია?“.

„მე ვარ“, — უხერხულად აიწოწა ზაზა. უკან დაბრუნეს ლიზიკოს თვალებმა.

„რამდენჯერაც დავურეკეთ სულ თქვენზე გველაპარაკებოდა მადონა, მოწონხართ ძალიან, მეც მომეწონეთ, კარგი ბიჭები ჩანხართ. ჩამოვედი ახლა და „არ მინდა აქ ყოფნა, უკან წამიყვანე, მომენატრეთო,“ დამხვდა ცხვირპირდასიებული. „გმიხიარდა, მართალი გითხრათ, დედამისმა დაუჩემა ისწავლე, ექიმი გახდიო, თორემ მე არც მინდოდა. ექთანია, მუშაობს რაიონში, სულში იძვრენენ მეზობლები. კაი ბედი გამოუჩნდება და იცხოვრებს ბედნიერად ჩვენს გვერდით. ისე თბილისი კი მიყვარს, მატარებლიდან რომ ჩამოვდივარ ფეხშიშველმა მინდა ვიარო, გულზე რომ არ დაიჩნდეს ჩემი ნაფეხურები. ტაქსის მძღოლი ვარ მე, ზოგჯერ მთელი დღის ნამუშევარი, მოვახრიგინებ ცარიელ მანქანას გზაზე, გადავხედავ მწვანით ამოვსებულ ხრამის ხახას და ვფიქრობ, გავუშვებ საქმე ხელს და გადავიჩეხები შიგთქო, ისეთი სილამაზეა გარშემო.“

„ასეთი უბრალო რამისათვის არ ღირს თავის მოკვლა,“ — შეაჩერა ირაკლიმ.

„უბრალო უძახეთ თქვენ და ბავშვი კი დამხვდა დაზაფრული, მონატრებამ იცის,“ — ფეხზე წამოდგა კაცი. „მადლობის სათქმელად შემოვედი, კარგად რომ მიგიღიათ ჩემი შვილი. ღვინოც თქვენთვის ჩამოვიტანე, უარს ნუ მეტყვით, შემოგიტანთ ახლავე“.

„ნუ შეწუხდებით, თუ მაინცდამაინც ზაზა შემოიტანს,“ — სტუმარს თვალს ვერ უსწორებდა გოგა.

მადონას მამა დიდხანს ემშვიდობებოდა ბიჭებს, სათითოდ ჩამოართვა ხელი ყველას, სოფელში დაპატიჟა. ლიზიკოსათვის ხელის მიწოდება ვერ გაბედა. მხოლოდ, ცხვირსახოცით შეიმშრალა გაფფლიანებული შუბლი და თავი დაუქნია. ირაკლიმ გაიცინა.

„ხელი მაინც არ ჩამოგერთმია,“ —

თემოს უსაყვედურა ზაზამ.

ხმა არავის ამოუღია. სიჩუმემ დააყრუა ოთახი.

„ვერ გაამტყუნებ ზაზუნა, ერთი ქალიშვილი კი ეკუთვნის ბზეკაბუკიანთ კაცს, თორემ ცოლი სხვისი ნახმარი, საყვარელი...“

„ლიზიკო, სიტყვები შეარჩიე, დაუკვირდი რას ლაპარაკობ,“ — გააფრთხილა გოგამ.

„არაფერს ისეთს, რაც თქვენ არ იცით. ბიჭმა რა დააშავა, ხომ უნდა ავუხსნა რა ხალხის სურათებს აგროვებს. მეგობრებს უკეთესს ვერ ინატრებ, თუ ვინმე გაუპატიურე, მოწმედ წამოგყვებიან სასამართლოში, პირზე დაადგებიან გოგოს, ჩვენთანაც ცხოვრობდნო. ისე სიმდიდრისათვის ნათხოვი ქალისათვის, ეს ერთი ცოდვა კი უნდა ეპატიებინა ქმარს, მაგრამ ვაჟკაცი კაცია თემი და ვერ მოინელა შეურაცხყოფა. ძვირად დაუჯდა ბატონ ბაძუს ბეჭედი „ქალიშვილის“ პასპორტში, სამაგიეროდ მისი უმწიკვლო სახელი გადაარჩინა. აბა, რა, სულელი კი არ არის, იცის კაცმა რისთვის დახარჯოს ფული. მაჭანკალიც არ დატოვა უპატივცემულოდ. ახალ ვოლგებს ტყიალად არავის აძლევენ, საჭირო კაცია როგორც ჩანს თემო, თუმცა მეგობარი რომ უკვდებოდეს თუმანს არ ასესხებს. რაიონში მუშაობს, ისეთ ავადმყოფებს აკლიფავს, დედამისი რომ იყო ათი წლის წინათ. შენი ექიმი ძმაც ხელში უყურებს პაციენტებს, ერთი სული აქვს როდის გავა პენსიაზე პროფესორი, ქალივით დღედაღამ მოხუცს ჭორაობს, ყასაბს ეძახის, დაავიწყდა სამსახური რომ უშოვა. გურამმა მანქანა გამოიყვანა და თუმცა იცის გოჩას მოსწავლეების წყალობით სიმწრით მოგროვილი ფული აქვს, არ აძლევს. ზედმეტად უნდა გაყიდოს, სანში-ოთხი ათასი დირს ოცი წლის მეგობრობა, დაიმახსოვრე! არც მეტი, არც ნაკლები. გოჩა ენაგადმოგდებული დარბის, დედისერთა, ბინიან ქალს ეძებს, რა ქნას, მაგასაც უნდა კაი ცხოვრება. სუყველას ერთად კი დევი ეზიზღებათ, ცოდვილია ეს მაგათზე უკეთესი ოჯახი აქვს, არწერვივით მამა ადგას თავზე, თუმცა ცოლი ღალატობს, სიყვარულში არ გაუმართლა, ეს უთბობს ამათ სუყველას გულს. არადა, როგორი კეთილია რომ იცოდე, ერთი თვეა გოგას საჩუქრისათვის დარბის, აუგი რომ ვთქვა რომელიმეზე ენას ამომაძრობს, ისე უყვარს მეგობრები, ღალატს როგორ წარმოიდგენს რომელიმესაგან. მამამთილი, ბებერი მელა, თითქოს ხვდება ღალაცას, მაგრამ ხმას არ იღებს. ეშინია, ვაჟიშვილი რაიმე უბედურებაში არ გაეხვიოს, თანაც შვილიშვილზე გიჟდება და დადის პირში წყალდაგუბებული, თუმცა შეიძლება ბოლომდე ვერც იჯერებს რძლის უნამუსობას. მე კი, მეძავი ქალივით, სუყველას ვატყუებ, გაყრითაც ვერ ვეყრები, მეშინია, ბავშვს ბევრი რამ მოაკლდება და ბოლოს ისეთი ნაძირალა გაიზრდება, როგორებიც ჩვენნ ვართ, ფულის გულისათვის ყველაფერზე ხელს ძოაწერს, ყველაფერზე!“ — ლიზიკოს ტუხლებზე მოხტუნავე ალბომიდან სურათები ცვიოდნენ, ოთხკუთხა, თეორი საყვედურებით იფარებოდა იატაკი. იღიმებოდნენ სკოლის ფორმაში გამოწყობილი მეგობრები.

„ქურდები ჩვენ არა ვართ, ბანდიტები, მორფინისტები და კაცის მკვლელები, რა დაგიშავეთ მიწასთან რომ გაგვასწორე,“ — ნაძალადევად გაიცინა გოჩამ. „უჭირს ინტელიგენციას, დაგვეხმარონ ვაჭრები, არაფერი მოუვათ.“

„გადაყარე ეს სურათები და შეეცადე ისე იცხოვრო, როგორც გული გიკარნახებს, მეტს ნურავის დაუჯერებ, ტყუილით ნუ დაამძიმებ წლებს, რომლებსაც უკან არავინ დაგიბრუნებს,“ — ზაზას თუ საკუთარ თავს ელაპარაკებოდა ლიზიკო.

„დღეობაა თუ მიტინგი ვერ გავიგე. გოგა, გვიმასპინძლე ან გვითამადე, ვკვდები შიმშილით!“ — სუფრას მიუჯდა ირაკლი. სხვებმაც მას მიბაძეს.

ზაზამ სურათები აკრიფა, უწესრიგოდ ჩაყარა ფურცლებშუა და ალბომი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარადის ჯიკრაში შეინახა. ყულაბა, — თიხის მამალი მოხვდა თვალში. ამოიღო, დაუფიქრებლად დაახეთქა იატაკზე. ფული არ დაუთვლია, სამოცდაათი მანეთი იყო, იცოდა, თხილამურებისათვის აგროვებდა. ნამსხვრევები მოაგროვა. ბიჭებს უყურა ერთხანს. ლიზიკოს თხოვდნენ დევის მოსვლამდე ნუ დალევო.

პირველად თავის ცხოვრებაში არ დაწყვეტია ზაზას გული მის გარეშე რომ იქეიფებდნენ ამის მეგობრები, თიხის მამალივით დაიფშვნენ ბავშვობის კერპები. უცნაურმა დარდმა მოხვია მხრებზე ხელი, კიბეებზე ჩაცილა.

ღამე სადგურში გაათია. არ უძინია, მილიციის ეშინოდა, თანაც მგზავრებს თვალიერებდა.

დილაუთენია ახმაურდა ქალაქი, ბაზრისკენ დაიძრა სადგური. ერთ მუჭისოდენა დედაბერს ორი უზარმაზარი კალათი მოათრევდა. ჭიაჭველა მოაგონდა ბიჭს. გაეღიმა. ტვირთი ჯაბნიდა ქალს, მაინც უარს ეუბნებოდა მზიდავებს, ჯიუტად მიიწევდა წინ. „მოგეხმარები ბებო,“ — გვერდში ამოუდგა ზაზა. წელამდე წვდებოდა, მაინც მოახერხა ბიჭის თვალებში ჩახედვა „აჰა“ — ანდო კალათი. გაუჭირდა სიარული ზაზას, იხტიბარს არ იტეხდა მაინც, მარლაგადაფარებულ ბალს ხომ ვერ დაარჩაგვრინებდა თავს. ბაზრის შესასვლელთან შეჩერდნენ.

„ურიკა რომ დავიქირავე, ისე ცუნცულით მატარა, ერთი კვირა ქალად აღარ ვარგოდი. შენა კიდევ, ალბათ, ვინმე წუწურაქი გეგონე,“ — ნიშნი მოუგო დედაბერმა, ეშმაკურად უციმციმებდნენ წირპლიანი თვალები.

„შვილები გყავთ?“ — ყრუ არ იყოსო და ხმამაღლა შეეკითხა ზაზა.

„ბაშ როგორ, ხუთნი მყვანან,“ — პლატმასის კბილები გამოაჩინა ქალმა. „როგორ გეტყობა ქალაქელი ხარ, უშნო, გაიცეს ჯიბე ბალით და წადი შენს გზაზე.“

„მერე? ეგ არის ცხოვრება?“

დედაბერი წელში გაიმართა. ყურადღებით დააკვირდა აფორიაქებულ ბიჭს.

„ეგ არის შვილო, მა რა არის, ეგენი რომ არ მყვანდნენ, აქ რა ჯანდაბა მომიყვანდა?“.

ისევ იგრძნო მხრებზე დარდის მძიმე ხელი ზაზამ. ქალს ზურგი შეაქცია და სადგურისკენ წავიდა. ზავავითი მომსკდარი ხორაგი მოედინებოდა მის გასათელად. ათასი ურიკა ექანდნებოდა გასარესას. ავად გუგუნებდა მანქანების ტალღა. დასცინოდა ციგნის ბოხჩასავით ჭრელი ქუჩა. ჯიუტად მიიკვლევდა გზას ბიჭი უცნობ სახეთა ტყეში.

„ბალი ბიჭო, ბალი,“ — ეძახდა ვიღაცა. უკან არ იყურებოდა, არ ეცალა. ბილეთი უნდა აეღო და ზღვაზე წასულიყო. რახანია ნავსადგურში მდგომი თეთრი გემი ელოდა...

პირველი საათი სრულდებოდა, ზაზა არ ჩანდა. „წარმოგიდგენია, დილით დედაჩემს რომ არ დახვდეს, ჩვენებს რა მოუვათ,“ — ნერვიულობდა გოგა.

„მოვა, აბა სად წავა,“ — ამშვიდებდნენ ბიჭები.

ნათესავებთან დარეკეს, თანაკლასელებთანაც, ვერსად იპოვეს.

„ყულაბა გაუტეხია,“ — საფერფლეში ჩაყრილი ნამსხვრევებით მიხვდა გოგა.

„რამდენი ქონდა?“.

„რაღაც ოთხმოც მანეთამდე.“

„მართლა ბავშვია, ოთხმოცი მანეთით იწყებს ხელახლა ცხოვრებას,“ — გაეცინა ირაკლის.

„რა გაცინებს, დილამდე უნდა ვიპოვო, თორემ დამეხოცება მშობლები,“ — შეუბღვირა გოგამ.

„ისიც, მშვიდობის მაძიებელი, გაატლიკინა ენა, წევს ეხლა ლუდოვიკოში დევიკოსთან ერთად და ბიჭს, ვინ იცის, სად ძინავს,“ — ბრაზობდა გოგა.

რამდენიმე საათი კიდევ ელოდნენ. ეტყობა სუყველას შეეშინდა, საავადმყოფოშიც მოიკითხეს, მილიციაშიც.

„უნდა წავიდე, ეგებ სადმე ქუჩაში დაბორიალობს,“ — ვერ მოითმინა გოგამ. კისრისტეხით ჩაათავეს კიბეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხანს ისე სირბილით იარეს, თითქოს იცოდნენ სადაც იყო და ჩქარობდნენ. ერთი საათის შემდეგ ძღივს მიათრევდნენ ფეხებს. უზომოდ მიღებული სასმელი აწვებოდა გულს, საფეთქელს. რომელიღაც ქუჩაზე დილა წამოეპარაო, ვეღარ მოიშორეს.

უნივერსიტეტის პირდაპირ ზურგჩანთიანი სტუდენტებით გარშემორტყმული პატარა ავტობუსი იდგა. ერთმა გოგონამ ვიღაც მოაგონა გოჩას, შეჩერდა. მძღოლს გამოელაპარაკა. კახეთში მიდიოდნენ ისტორიკოსები ექსკურსიაზე, ხმაურით იკავებდნენ ადგილებს. ისე გემრიელად იცინოდნენ, აიყოლიეს, „შეც რომ წამიყვანოთ რა მოხდებაო?“

„კი ბატონო, წამობრძანდით,“ — ხმა დაითაფლეს გოგონებმა.

გოჩა მძღოლის გვერდით მოთავსდა. ხალისიო სავსე ავტობუსმა მოუხვია, ერთმანეთს მიატყუპა მგზავრები. ატყდა ერთი წივილ-კივილი, გაბნეული ზურგჩანთების მოგროვება.

ფანჯრიდან დაინახა გოჩამ, ვარაზის ხევში, დაღმართზე, ძუნძულით ეშვებოდნენ ბიჭები. დაღლილი, პირქუში სახეებით. უბეში გაზრდილი ჩიტის ამოკორტნილი, ნისკარტისოდენა ტკივილი მოჰქონდათ. „შემიჩერეო“, სთხოვა მძღოლს და ძირს ჩავიდა. უკმაყოფილო შეძახილებმა გამოაცილეს.

პატარა ავტობუსი ჩაიდანივით ათუხთუხდა, აქსუტუნდა და გზა განაგრძო, გულდაწყვეტილმა გააყოლა თვალი.

ვიღაცისათვის პირველად გათენდებოდა ალავერდი...

რომან მიმინოშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალთამზე

„ორთავ თვალის სინათლევ...“
ილია

მე ხომ შენი თვალი ვარ:
ახლა აგეხილები...
ვარსკვლავები, ღიმილით
გახსნილ-გაღეღილები
გაგფანტვია —
საკინძეს
აწყვეტია ღილები...
მე ხომ შენი თვალი ვარ:
ახლა აგეხილები...
ძაღლებივით შენს ფერხთით
წვანან მთაგრეხილები:
თითქოს ოდნავ წათვლიმეს,
თავი დადეს თათებზე...
ღმერთი მოგცეს ათ იმდენს,
რაც სიკეთე დათესე,
ოღონდ, დედაშვილობას,
ნუ მომიშლი ამ ჯავარს,
შენთვის ვიხარჯებოდე,
მე ხომ შენი მაჯა ვარ!
წმიდა საკურთხეველთან
მლოცველივით ვერ მივალ:
შენ თუ ჩემი ღმერთი ხარ,
მე ხომ შენი ნერვი ვარ...
ახლა თვით გავერევი
ბარძიმსა და ფეშხუმში...
ღმერთის წილხვდომილი ვარ,
ღმერთი ფეთქავს ჩემს სულში...

ღამის ცაო ციმციმავ,
დილის ცავ მეწამულო,
ორთავ თვალის სინათლევ,
საოცარო მამულო,
შენთან მოვალ დაღლილი
და თავს მივდებ კალთაზე...
ორთავ თვალის სინათლევ,
თვალისჩინო,
თვალთამზევ!
მე ხომ შენი თვალი ვარ —
ახლა აგეხილები...

თამარი

არაფერია
უფრო დიდი,
უფრო მთავარი,
ვიდრეა ციხე,
ციხის ქვა და...
ჰქვია თამარი!

არაფერია
უფრო სათნო,
უფრო უზომო,
ვიდრე დუმილი,
დედოფალო,
სამუზეუმო...

უკანასკნელი ღიმილი

იტალიაში აღმოაჩინეს ქალიშვილის სარკოფაგი. ათიოდე წლის გოგონა იყო. ღღის სინათლესთან და ჰაერთან ხელახლა შეხვედრას ვერ გაუძლო, დაიშალა...

გავიდა წელი ორი ათასი,
სხვა ხალხი დახვდა, სხვა დრო ახალი.
არ შედრკა ჰადეს — მოირათა მზე,
ისმის გამხმარი ხაროს ხარხარი...

როცა ახადეს თავი სარკოფაგს,
გოგომ, — იცოდა ასე უწინაც, —
ათასწლეულთა უარსაყოფად
მშვენიერ სახით ცას შეუცინა.

იყო ღიმილი — წამალი როა,
იყო ღიმილის გამო კეთილი,
თითქოს პაროსის მარმალილოა,
თვით პრაქსიტელის გამოკვეთილი.
მაგრამ სულ მალე დაირღვა სახე
და ლამაზ ბაგეს მოსწყდა ღილივით
ეპილასაკით ფრთამოცაცახე,
უკანასკნელი სათნო ღიმილი...
რად განვლე წელი ორი ათასი,
საუკუნეთა კარედ-კარედი,
რად გაახარე მოირათა მზე,
ან ხაროს რისთვის ახარხარებდი?
იქნებ რაიმე გქონდა სათქმელი
და ეს სათქმელი ვერ მოასწარი?
იქნება ადრე აგხსნეს სარქველი,
ჯერ კვლავ სიცოცხლის გემოა მწარე?
ჩვენთან ეძებდი იქნებ სიკეთეს,
სხვებად ჩაგვთვალე — სხვა იმედებად,
მაგრამ შენთვისაც ვერ გაიმეტეს,
რაც, თურმე, ახლაც არ ემეტებათ...
ათი წლის სითბო და ათი თოვა
თვალე, თითებზე დაათიოოვე...
ჩვენთან შეხვედრის საათი თუა,
მარტო ღიმილი რად დაგვიტოვე?
ვერც სიწრფეს გაჰყევ, ვერცა
ცდუნებას,
მოირამ დილა არ შეგარჩინა...
მაშ, დაუნდობელ დედა-ბუნებას
რაღად უნდოდა შენი გაჩენა?
რა შემიძლია, რა მაბადია,
რა შემოგწირო, როგორ გიშველო?
ერთი სული მაქვს, რომ მაპატიო:
იმ უხსოვარ დროს ვერ გიხსენ,
შვილო!..

ხარობს ჰადესი უდიადესი,
ისმის გამხმარი ხაროს ხარხარი...

●

ბევრმა გითხრა განა მართლა —
დედა, რა ლამაზიაო?
ღამე ძილი არ წამართვა,
ღმერთებს მინდა მაზიარო!
შე უღმერთოვ!..
შე წარმართო!..
შე თათარო!..
მაზდეანო!..

ბეგერი მეზურნეები.

მერაბ ელიოზიშვილს

ეს ცხოვრება მიჩანჩალებს, როგორც ძველი ურემი
ძარღვებივით გაცრეცილან ძველი აპეურები.
სიჭაბუკე გაჯიუტდა და ბავშვივით გვეთახის.
რა ეღმერთოდ გაკრეფილა, ჩვენი ლხინის ვენახი.
წლები მიდის და წლებივით — სიმღერებით ვიცლებით,
სიყვარულმა შეგვაჭამა — ერთგულების ფიც-ვერცხლი.
სიკეთის და ბოროტების სანანები მოვხსენით,
წუთისოფლის იგავები მაინც ვერ ამოვხსენით.
..ეს ცხოვრება მიჩანჩალებს ძველი ურემივითა —
ვაი, ჩვენი სიზმარეთი, დაფრონთან მივიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალვის ხეები

ზეცაზე ღრუბლის ქულა გაირბენს:
ქუდს მოიჩრდილავს მზე მელოტივით...
მითხარ რაიმე, თუნდაც რაიმე,
ვის ელოდები, თუ ელოდები?
ალვის ხეები შეირხევიან,
მწკრივი და მწკრივი მოჩანს ულევი.
ლოცვად შემდგარი შეიხვია,
თუ ქალებია მოჩურჩულენი?
ბრინჯაოს ძეგლი არ იბრძვის მხოლოდ,
ძეგლი პოეტის და ჭირისუფლის...
ო, აქვე იყო — დელისის ბოლოს
ერთი პატარა ნაჭერი სოფლის.
იქაც ალვის ხე მუდამ მხვდებოდა
და ირხეოდა ტირიფის ტოტი,
როდესაც სული მეხუთებოდა
ცხელი ივლისით და აგვისტოთი...
ერთ დღეს პატარა გაქრა ხეობა!
რა შეძლებია ცივ გულს და ცივ ხელს!
— ცოცხლად დამარხეს ალვის ხეები,
თითქოს აგებდნენ სურამის ციხეს...
არ ვიცი, ნუთუ ასე ეწერა —
ბედმა ბოლომდე ვერ გაიმეტა·
ჯერ კვლავ ცოცხალი ალვის კენწერო
შავ ქვებში დარჩა მწვანე იმედად.
მივდივარ ახლა, არ ძალმიძს მოცდა,
გადავალ ხრიოკ ველს, მოშიშვლებულს,
იმ გაოგნებულ ალვის წვეროსთან
ხასხასა ფოთლებს ვებოდიშები:
ცოდვილნი იმ თქვენს ღმერთს
შეავედრეთ,
ვიდრე დამარხულ ფესვს მიახმებით...
შემდეგ ჩემს ლექსში აშრიალდებით,
ალვის ხეებო, ცრემლიან ხმებით...
განა ხესავით არ ვისხეპები,
განა არ მასხამს მეც ჭირის ოფლი?
სადღაა ჩემი ალვის ხეები
და ის პატარა ნაჭერი სოფლის?..

ჩემპიონი

ტანვარჯიშის ორძელმა
ოქროს თევზი ისხლიტა,
მყისვე ტაშმა მოძღენა
ჩემპიონი — ლიფსიტა.
როგორც ღილის სიზმარი,
ჩემს თვალებს მითვენდი...
ქულა როდი იკმარე
ცხრა და ცხრა მეათედ!
ეკა ხარ თუ ალა ხარ,
დედას თუ დაკარგვიხარ?
ოი, რა პატარა ხარ
და როგორი კარგი ხარ!
მართლა ნაოცნებარი,
მართლა ნაიმედალი
რა უფრო გიხარია —
თოჯინა თუ მედალი?
სულ სიკეთის ღირსი ხარ,
ღმერთი ღიმილს შეგარჩენს!
ვინ ხარ, ვოგო, ვისი ხარ,
შენ დაურჩი დედაშენს!..

ღვარალა თუთა
ანუ
მყვირალობის თვე

ისე ველოდებოდი შენს მოსვლას,
როგორც ირმები მზის შედგომას ბუნიობის ცაზე...
იცი, ეს რა დროა?
როგორ ექსოვება სული სიმწიფის ხაოში
და ნაყოფი თავისთავში ხედავს კვირტების ნაღვლიან დასასრულს...
ნაყოფი მაინც ჩამქრალი ყვავილია და ჩავლილს გულისხმობს —
ამიტომ ეს დრო ჩემში სევდას აღძრავს —
თრიმლის წვენით გაყვითლებული თმები თანდათან წვიმისფერი მიხდება,
სამაგიეროდ ვიმოსები ჩემი ძნისფერი ხალათით — ამით ძუ ვეფხვებს ვბაძავ
და ტირიფებთან ერთად ეკიდიავრ მდინარის პირებზე, —
როგორც მათი მტირალა დობილი,
წყალი ქვირითისფრად დედდება ამ დროს
და შედედებული მდინარეებიდან თევზები პირღია უყურებენ სინათლეს...
სექტემბერი მყვირალობის თვეა —
ირემთაყლაზე გამოსული ბებერი ირმები... რქას გამოსდებენ მთვარეს
და ცრემლით ჩატბორავენ ხეობას.

. . .

„ფარაონის დროინდელი თაფლივით გიპოვე ჩვენი საუკუნის აკლდამებში“
წავიკითხე შენი მინაწერი სალოსის წიგნზე —
„შენზე უკეთესი ვერვინ წაიკითხავს ამ წიგნს
და ამ წიგნზე უკეთესს ვერაფერს წაიკითხავ შენ...“

. . .

უეცრად საშინელი მარტობა ვიგრძენი ამ გაუქმებულ საყდარში:
სოფელი რომ ჰქვიან და მხოლოდ გარდასულის ლამპიონები უნათებენ...
მომენატრე „ფარაონის დროინდელი თაფლივით“...
და შემიპყრო „ნანა თორღვაის ქალის“ სევდამ...
სულ მიკვირდა როდის თხზავდა ეს ხალხი
ამ გასაოცარ ფოლკლორსა და მითებს...
სად და როდის იყო ცხოვრება იმდენად მნიშვნელოვანი,
რომ მის გამოც ასეთი რამეები იქმნებოდა —
მაგრამ ახლა აღარ მიკვირს, რაკი აქა ვარ და სულ აქ ვიქნები...

. . .

უეცრად რატომღაც სარკმელი გამოვაღე და გავიხედე, შენ დაგინახე:
კენგურუს მოკლე ქურთუკითა და ორლულიანი თოფით
იელის მწარე ბუჩქთან იყავი ჩაცუცქული — და ჩემი კოშკისკენ იხედებოდი,
როგორც მწევარი კურდღლისკენ...
რაღაცნაირად ფოცხვერს გამსგავსე — აქაურები კინდოლს რომ ეძახიან,
ერეოლა წამეკიდა და შიშმა შემიპყრო:
არ გამქრობოდნენ ჩვენი სიყმაწვილის დროინდელი სიზმრები,
ილუზიად არ ქცეულიყო ყოველივე ის —
რაც ჯერ კიდევ საოცარის სიწმინდით ჰყვაოდა,
და მომყვებოდა კვალდაკვალ „ხბოს თვალებით“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანა კარი გავალე და ჩუმად გავიპარე,
გავირბინე ბილიკი ქუჩალებს შორის
და დაგემალე ბაბუა ალუდაურის ჭერხოში...
მთელი ცხოვრება ალბათ ღირს ბრძოლა იმისათვის,
რომ თუნდაც მხოლოდ სიცოცხლის ბოლო ერთი დღე
იყო თავისუფალი და დამოუკიდებელი...
იმ დღეს თავი თითქოს დავიხსენი.
მაგრამ მაინც გულდაწყვეტილი დავრჩი...
თუმცა მე ვიცოდი, რომ შენთვის თეთრი თოვლი ვიყავი —
„რომელიც მწვერვალებისკენ მიჰყავდა გაზაფხულს —
და კვალდაკვალ ყვავილებს მიუფენდა“...

იმ დღეს გაზაფხულის წვიმასავით მომიახლოვდი
და მე თოვლივით დაგემალე..

. . .

მას მერე სამოცჯერ კიდევ დაღამდა და გათენდა ,
ე. ი. გარდახდა წლის მეექვსედი წილი,
გადაისიზმრეს მზით დაბინდულმა დღეებმა
და მთვარით მოქსოვილმა ღამეებმა...
ბევრი ღამე უმთვაროც იყო...
მერე მოვიდა ზამთარი და შემოათოვა მთების გუმბათებს, —
სითეთრე მშვიდი იყო და გაუგონარი სევდით გაფოთლილი...
გაღმა სოფელი ისე ჩანდა, როგორც საცერში... და იცრებოდა,
თითქოს სახლები ცაში საკვამურიდან ამოსული კვამლით ეკიდნენ,
მერე საკვამურებიც ჩაიძირნენ და მხოლოდ კვამლი დარჩა...
შეშინებული შვლები სახლებში შემოცვივდნენ.
მარტოობისა და სამყაროს მთლიანობის ისეთი უცნაური განცდა დამეუფლა,
რომელიც ბუნების ჩემთვის მანამდე უცნობმა მდგომარეობამ მაგრძნობინა.
რა ყოფილა ბუნება:
როგორ გეცხადება თავისი მრავალგვარი სახით,
„ჩვენ მასში ვართ და იგი ჩვენშია“
თუმცა არასოდეს არ ვიცით ვინა ვართ და რატომა ვართ...

. . .

მომწყინდა სიზმრების ხალიჩაზე წოლა
და მათი თხრობა წიწოლას ცოლისთვის,
აქ ისევ ცხოვრობს წიწოლას ღამაზი ცოლი კოშკში
და სამკლავიანი კაცის მკლავზე გორავს...
ერთხელ ისიც ვიფიქრე:
რაღა მე და რაღა გველისმჭამელის ქვრივი მეთქი,
რაღა ჩემი და რაღა იმისი სიზმრები...
ყველა სიზმარი შეკონილი მაქვს
და სიზმრების შავ-თეთრ თაიგულებს ვინახავ,
გველისტყავივით ჭრელია მათი მინდორი —
და ვგრძნობ რომ დგება სიზმრების გაცხადების ჟამი —
ჯერ ერთი სიზმარი გაცხადდება, მერე — მეორე...
მერე ზედიზედ იწყებენ გაცხადებას ჩემი სიზმრები
და აყვავდებიან ჩვენს მთებზე იელივით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მაშინ რაღა გვეშველება, —
თუ ყოველივე ისე ახდა, როგორც სიზმარშია...

სიზმარი და ცხადი ისე ჰგვანან ერთმანეთს,
როგორც დღე და ღამე,
ჩვენი სიზმრები დღის გაგრძელებაა, მისი ნაწილია...
ჩვენი ცხოვრებაც დღით იწყება და ღამით თავდება
„სიზმარი ყველა ჩვენგანის მითია
ხოლო მითი მთელი ერის სიზმარია“ —
წისქვილში რომ მეუბნებოდი...
(ხოლო წისქვილი რგვალი იყო ხოგაის მინდის სახლივით,
და წისქვილის ქვა — გატეხილი მთვარესავით...)
. . .
ამასობაში მთებზე ბებერმა არწივებმა გადაიშხუვლეს, —
იმედი ამირანის ჯაჭვივით გაწვრილდა
და ჩემმა სიზმრებმაც თითქოს გაცხადება იწყეს:
გეცოდინება — თვესა მას მეოთხეს, თვის მეთორმეტე დღეს,
ჩშპდ წელსა მას... ქალაქი იძირება!
თამარ მეფის ქალაქსა და მის ისტორიას
სამუდამოდ დაჰფარავს წყალი,
ვერც ერთი ცივილიზებული ეპოქის შვილი
ვერ იპოვის ამ ქალაქის ნიშანწყალს მომავალში...
სად წავა, სად გადასახლდება ძველი ქალაქის სული?
ვინ დალევს საკუთარ ძვლების ნარეცხ წყალს?
. . .
მე ვგრძნობ, რომ გველმა გაიღვიძა ჩვენს ხეობაში
და შეიპყრო იგი, შემოეხვია და ახრჩობს...
ხომ იცი, რომ გველი იგივე წყალია?..
„ხოლო მეექვსე წელს, თვესა მას მეორეს,
თვისა მეჩვიდმეტე დღეს — მოვიდა წარღვნა ქვეყნად,
მატულობდა წყალი დედამიწაზე 150 დღე...
და მეშვიდე თვეს,
და თვის მეჩვიდმეტე დღეს იკლო წყალმა“...
მაშინ მოადგა გველეშაპი შუბანის მკურნალი ხატის კარზე
და ყელზე თავისი ავადმყოფი ტყავი მოახვია...
გველის ტყავივით ჭრელია ჩემი სიზმრებიც
და შუაზე გაჭრილი გველებივით ჰგვანან ერთმანეთს ისინი...
მე კი წამალი მინდა,
რომელიც კაცის ტკივილებს ამარიდებს
და დიაცის ბუდეში შემიყვანს...
. . .
ახლა კელავ ამაღლდა წყალი და გველეშაპი
ჩვენი ხატის კარზე,
და ხავსიანი ენით ლოკავს ანანურის კედლებს
და ქვას მარილივით გამოადნობს,
ხომ იცი, რა ემართება მარილს სისველეში?!
...ხეობაში თეთრი ნისლი რომ ჩადგება,

ისეთი მკვრივი, რომ ქრისტესავით ზედ გავლას მოისურვებ...
ამ წყლიან ნისლში წელამდე შიგ იქნებიან ჩაფლული
ჩვენი ციხეები და ტაძრები;
მერე უეცრად შეიწოვებიან თეთრი მდუმარების მიერ...
და გაიცრებიან დავიწყების საცრით...
მაშინ ხომ გაგეცინება ხოხნოტას ყვავილივით მწარედ —
გველის ნაბენნზე რომ ადებენ?..
ხოლო გმშინოდეს უშველებელი სითეთრისა,
რადგანაც თეთრში ყველაზე მტია შავი!..
მართლა დავიჯერე: ხალხს მირაჟი რომ ეგონა,
ამ ქვეყნიდან გამქრალი ქალაქებისა და სოფლების მოლანდება ყოფილა...
. . .
...მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ
შენ არასოდეს გიფიქრია ზევახის ასულზე,
რომელმაც სარკოფაგებს შორის იცხოვრა 2000 წელი და უეცრად გაიღვიძა,
და ანბანზე, რომელიც „მუნ დამარხულ არს“...
და ქალაქზე —
რომელიც მდებარებდა „ორისა მდინარის შესაკრებელს შორის,
იყო ქალაქი და აწ უქმ არს“... — ჩვენის ნებით
და თემურლენგის სულით, —
რომელიც დაფარული ყოფილა აქამომდე
და ხელახლა გაცხადდა წყლის სახით!..

იმდენი ცრემლი დაგვიგუბდა, რომ ლამის ცრემლის ტბებში ჩავცვივდეთ,
მაგრამ ჩვენი ცრემლიც ამოა,
თუკი მხოლოდ ცრემლის იმედით ვიცხოვრებთ...
. . .
ჩვენს ცხოვრებას თავში მზე უზის და ბოლოში მთვარე, —
როგორც ჩვენს საკარცხულს
და ჩვენი წილი წილით იწყება...
ხოლო ღამე ზოგჯერ ისე კაშკაშებს, რომ ანანური
თეთრი ირემივით მოჩანს შორიდან.
როცა ღამე ძალიან ნათელია, ასე მგონია:
თითქოს წინაპართა სულის კვაზარები ბრდღვიალებენ —
და სიხარული მავსებს...
. . .
კიდევ ერთი ჟამიც გარდახდა და საუკუნე ყუნწზე მიდგა...
მთვარის შუქით ვიბან თმებს
და ვერ წარმოიდგენ, რარიგად ლამაზი ვარ!
რაკი აქ ჯოდასენის ფირფიტებიც არა მაქვს
და არცა „სამოსელი პირველი“ —
შევიმოსე სიზმარში ნანახი ლექსების სამოსელით
და თარხანით გაგას — („იმ წყეული ხევსურის“) დიდებული ხილვებით,
რომელთაც გაცხადების დღე უდგას,
და დაჰყვება მუსიკა, მწარე იელის სურნელი რომ დაჰკრავს,
„ხოლო იელი უძველესი მცენარეა დედამიწაზე“
და ჩვენს ნასოფლარებზე იზრდება...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

. . .
...ხანდანან მთვარით გალუმპულ მთებს
ღვარ-ღვარად ჩამოსდინდება ჰამლეტ გონაშვილის გვრინი —
თითქოს ირმები ბღავიან არანისისა და შუა ფხოვის ქედებზე!
ღვარალა თუთა — მყვირალობის თვეა — და სულს ათასნაირი ვნებით ავსებს...
. . .
შენ აღარ ამოხვედი,
და აქედან გხედავ ისე ცხადად —
როგორც კვირია თავის სიზმარს!
საწყალი, შენაც იმასავით გულჯავრიანი დახვალ,
კისერზე ობლობის ობი გადევს
და წეროებს თავისი ქვეყნის ამბავს ეკითხები (??)
ხოლო ვინ იგუბებს „ცრემლის გუბეს“
და ვის ახვევია მამულის დარდი „წელზე წნელივით“, —
ეს ალბათ ვაჟა-ფშაველამ იცის და იცოდა ყველაზე უკეთ:

...წავიკითხე შენი გამოგზავნილი წიგნი,
ანუ, შენი თქმით: „იმნაირი დიაცის მოთხრობები“...
შენ თავს გაფიცებ, როგორ მოგწონს თორღვას კოშკების „დანათვლა“
ქალის სისხლით?
და მეძავთა მისტერიები ხატის ნაკრძალებში?
ვფიქრობ, ჩვენი წინაპრების სარეცელი უკეთმა შევაბრუნეთ
და ისე ვწვებით.
. . .
მე უკვე გავთხოვდი...
და გავხდი გველისმჭამელის ცოლი (?)
ესეიი რამ აბა სად გაგონილა,
ეინ გათხოვილა აქედან — წარსულში...
და წარსულიდან აწმყოში ვინ გამოთხოვილა?
მა; რამ მე გავთხოვდი!..
შენ არ იცი, რა ძნელია გველისმჭამლის ცოლობა,
რა ამაღლებულია ამ ქვეყნად ყველაზე უსუსური ქალიც კი მის ხელში...
და ბოლოს: რა მწარეა სიბრძნედაკარგული კაცის სიკვდილი....
მაგრამ რა ტკბილია იმის შეგრძნება —
რომ იგი, ცოცხალიცა და მკვდარიც,
ბრძენიცა და დაცლილიც, —
იმას იქმს, რაიც ბაკურმა ქმნა!...
თუ კი დრო დაუდგება და ჟამი დარეკავს —
ან შეეწირება, ან შეიწიროვს!!.
. . .
შენ იზამდი ამას?!
ან ვისი, რომელი ქმარია ასეთი...
ან ვინ, რომელი მამრია მცნობელი სამშობლოს ბედისწერის?
და მხატვარი მისი ხატის?!
თან ისეთი ქმარი ცოლისთვის — როცა გვერდზე გიდგას,
იცი: ყოვნაყი ვერ შემოგეყრება გზაზე
და ვერ მოგწვდება „ნაჭაპს თმისას“ (?!)
რაც მთავარია — არ წავა და არ მიგატოვებს შუა გზაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალი იგივე მამულია!
მამული იგივე ქალია (ორივეს დაცვა უნდა)!
თქვენაც „სტირით“, იკეკებით ბოლოქანქარებივით
ქალისა და მამულისათვის, —
მაგრამ გველისმჭამელის ცოლობა იმითაა მნიშვნელოვანი, —
რომ ის ქალსაც უვლის და მამულსაც
და როცა კვდება — ორივესთვის კვდება...

თქვენ რომელს უკვდებით?!
ჩვენი დროის ცოცხლები და ცოცხალ-მკვდრები?
5000 ქალ-ვაჟი, პირგაკერილი ტომრებივით, მიედინება
და ასფალტს ამაოდ ეგლისება!..
ამიტომ მე მკვდარი გველისმჭამელის ცოლობა მირჩევნია
ცოცხალი ქარიყლაპიების ცოლობას,
ჯინსები რომ შიგნიდან უცვდებათ!...

. . .

ამასობაში კიდევ გარდავიდა ერთი ჟამი და ლამის ვბერდებით!
მზე ჩაიწურა ჩემს თმებში
და მთვარე ამოიწვერა თორღვას კოშკებში...
გაფითრდნენ და გაწვიმისფრდნენ ჩემი თმები,
გასანთლისფერდა მთვარის შუქში ნაბანი სული —
და შენ არ იცი როგორი სხვარიგი ვარ...

აქ უეცრად ისეთ რამეს მიეხვდი,
რის გამოც სიცოცხლე მიხარია და არც არყოფნისა მედარდება...
მაგრამ მედარდება სიზმრების ახდენისა, —
რაკი ისინი ცხადივით სახილველი ხდებიან, —
ამიტომ მე თვითონვე „ვაბეზღებ“ და ვუყვები ტირიფის ტყეებს...
ზოგიერთი მათგანი მინდა წყალს გავატანო,
მაგრამ შეგუბებულ მდინარეებს აღარ მიაქვს ჩემი სიზმრები
და ტივტივებენ მორევში, როგორც საკუთარი ბედისწერის ტბებში...

აღარ ამოხვედი! —
ქაჯებზე საომრად წასული დროშასავით დაიკარგე...
მაგრამ თუ არ ამოხვალ, ხუმრობა იქით იყოს და...
მე უკვე გველისმჭამელის ქვრივი ვარ, —
გავთხოვდი და გამოვთხოვდი კიდეც!..
გახსოვს ირინა ჩაფრავა? — ქალი! ქალი!
ის მართლაც გათხოვდა წარსულში — ოქროსთმიანი ხატი!
„ვაება ვაებისა!
ის ვინც იყო ახალგაზრდა
და იმდენად კარგი და მშვენიერი,
რომ არავინ იყო მისი მსგავსი სილამაზისა —
გარდაიცვალა 21 წლისა“...
მაქვს მისი დაბრუნების იმედი
და შენი სხვაგანყოფნის დარდი...

ჯუმბერ ტიკარაძე

მცირე უწმაწურობანი

ქირურგ გელა მუხაშავრიას

პროლოგი

ამ ჩემი უწმაწურობებით საქმე ვერ გამოსწორდება: კვლავაც იუწმაწურ-ოუხამს-ინრუშებენ ვითომ პატიოსანი, ბალადმეოჯახე დიაცები, მამაკაცები... მაშ, რაღდა წერო, მკითხავ, რათა და წერას ავუტანივარ და, რა ქენა, ხოლო საქმის არ ეშველება-მეთქი რომ გითხარით, მაქეს კიდეც საამისო მიზეზი — მე არა ვარ იმ რანგის მწერალი, ვინმემ რომ დამიჯეროს, და ეგეც არ იყოს, ერის გზის მაჩვენებლობისა თუ მედროშეობა-ბელადობის თუნდაც ეა კარგა ხანია დაუკარგავს მწერლობას, მარტოოდენ ჩემს მცირე საქართველოში კი არა, ყველა სხვა, უზარმაზარ-ხალხმრავალ ქვეყნებშიც... გალაკტიონის მახვილ-დამცინავ-მოკაშკაშე თვალს რას გამოაპარებდი და აკი სევდანარევ-ბრძნული იუმორით ბრძანა კიდეც: მოდით, დავლიოთ იმ კარგ დროთა შესანდობარი, როცა პოეტი იყო არა მარტო პოეტი, პოეტი იყო, ბედუინი და მეომარიო... აი, როგორ გამოიგლოვ-გამოიპარაკლისა ამ დიდებულმა ადამიანმა მწერალთა ბედუინობა-მეომრობის დრო-ჟამი... ეიკი, ასოკირკიტა-მოჟღურტტულე-ტკბილთა ხმათა მოყვარულნი მისაყვედურებენ: რაღა უწმაწურობა და ბნელი ფერები დაგინახავს, ცოტანი არიან პატიოსანნნი... ცოტანი კი არა, უამრავზე უამრავნი არიან, ბატონო ჩემო, მაგრამ თქმულა — კაცია და გუნებაო. ნათელი ფერები სხვისთვის დამითმია — რაკიღა ღამის ფრინველი გახლავარ: ბუ, ჭოტი, მიკიოტი თუ სხვა რამ უბედურება-უკეთღმართობა: ვკივი ხოლმე სისხლისგამყინავ-სულისშემძვრელად ღამ-ღამ და მერე დილის ნათელში ვფენ ღამისეულ მონაპოვარ-საკბილოსაც და თავად ღამესაც — დღის ნათელში უფრო ბნელია და, ცოტა არ იყოს, შემზარავიც, თანაც, ღამედაც არ ითქმის და, რაღაი წერას ავუტანივარ, მოგითხრობ ჩემს დიაცთა და მამაკაცთა უწმაწურობებს: მომიტევოს უდაადეს-უბრწყინვალესი იტალიელის — ბოკაჩოს მარადისობა-უკვდავებამ, თუკი რაიმეთი ჩამოჰგავს ჩემი უწმაწურობანი „დეკამერონს“: ჩემს ნაამბობთ ჩემივ სული უდგათ, ეგეც არ იყოს, კაცი კაცს დამმსგავსება — მწერალიც და მწერლის გმირნიც, თანაც, ადამიანი იმგვარი ფენომენია, საუკუნენი ვერას აკლებენ იმის ჩვევებს, სისხლსა თუ გარეგნობას, თორემ ბოროტება, იმდენს ებრძოდნენ, ვერა და ვერ გაიჭაჭანებდა დღემდე... მართალია, ერთი რომანტიკოსად სახელდებული ქართველი პოეტი როცა ბრძანებს: „არ ვდევ ჟამთა სვლას მე ოვივე ვარ მარად და მარად“ — აქ „მე“ კერძო პიროვნება არ გახლავთ: ადამიანია ზოგადად... იმდენ წელიწადს ვუკირკიტე ვითომ-პატიოსან ქალთა და კაცთა უწმაწურობებს — წერამ ამიტანა ბოლოს და, ეგების მოისმენოთ წერას ატანილი კაცის ნაამბობი...

თანამეჯამაკელი

უგანათლებულეს-ულამაზეს-უპატიოსნესი ქალია ზინა: „უგანათლებულესიო რომ ვთქვი, მართლაც ასეა — ინგლისურს ასწავლის სოფლის სკოლაში: იმის ნამოწაფართაგან სამმა უმაღლესი სასწავლებელიც კი დაამთავრა — ერთმა ზოოვეტერინალური, მეორემ საინჟინრო, მესამე, ეგონებ, ბიბლიოთეკარია, პროფტექნიკუმდამთავრებულებს ხომ, ვინ მოთვლის: ჰოდა, ხომ ყოფილი უგანათლებულესი... ულამაზესიო, — ამაზეც ვაგებ პასუხს: თუ არა გჯერა, თავადვე ნახე — თვალს ვერ მოსწყვეტ... უპატიოსნესიო, — სოფლის აზრია ესა, ხალხს მიაჩნია ასე და, ხომ თქმულა, ხმა ღვთისა და ხმა ერისაო: თუმცა იმგვარი ურწმუნო და მოინტრიგანო ვინმე ვარ, რას გამომაპარებ — ერთ თანასოფლელს ემრეშება ქალი, მაგრამ სახელს ვერ გავამხელ იმ კაცისას, ინდიკო ბუღალტერმა რომ გაიგოს, ზინას ქმარმა, ხომ დატრიალდა ცოდვა-სისხლისღვრა-უბედურება... ისე რომ, ხმა ღვთისა და ხმა ერისაო, როგორცა ჩანს, ყოველთვის არ ყოფილა უტყუარი ჭეშმარიტება: თურმე, ზოგჯერ ღმერთსაც ეშლება და ხალხსაც... ხოლო ინდიკო ბუღალტერი ძილისმოყვარე კაცია, ძილი უყვარს იმის ერთადერთ ბიჭსაც — ამ მხრივ სულ ალიკვალი მამამისია და, ღამღამობით, ზინა რომ ეალერსება ხოლმე გულის სწორს, თავისავე ეზოში, კაკლის ხის ძირას გაწყობილ ნაზად მონარნარე ჰამაკში, ინდიკოს ხვრინვა-ხრიალი უნაზეს მუსიკად ჩაესმის, თავისი ერთადერთას ძილი კი სულაც არ ახსოვს, პატარაა ჯერაც, იძინოს ტკბილად, დედა ენაცვალოს, როცა წამოიზრდება, ცეცხლსაც მისცემია ეს ჰამაკი: სამარცხვინო ქალი როდი გრძანდება დედამისი, შვილზე ამოსდის მზე... იმ ღამით კი, წესისა და კანონის თანახმად, საიდანაც უნდა დამეწყო ამბის თხრობა, უბედურება დატრიალდა: უგემრიელესად დაარწყუნა ქალმა კაცი მონარნარე ჰამაკში, თავად კი ხახამშრალ-ენებადაუმცხრალი დარჩა — თუმცა, ... რამ უწინაც მომხდარა და ქალი, ჩვეულებისამებრ, თავის რიგს დაელოდა, მაგრამ, სხვა ღამეთა მაგვარი რამ აღარ განმეორებულა: მეორე გზობისათვის ვეღარ ივარგა კაცმა და ოროორაც კი შემზარავი სინამდვილე შეიგრძნო, ურიგო სიტყვა აკადრა ქალმა — ცვდანნი ხარო... თანამეჯამაკემ კი, შენი ასე და ისე, შე ბოზანდარავ, უკანასკნელია ჩემთან შენი ჰამაკში წოლაო, — ისე რიხითა თქვა, უკარნახა უმალ დიაცს აღღომ და, აგერ, ახლახან გაგონილი და უცემ გამყინავ-შემზარავი ხმით იწივლა: მიშველეთო, მიშველეთ, მიშველეთო... ჰაერში ახლა ცარიელი ჰამაკი ირწეოდა, ვინ უწყის, რარიგ მცხუნვარე ღამეთა მოწმე... ლომივით ზაწამოიჭრა ინდიკო ბუღალტერი, გამოცავიდნენ კარის მეზობლები, ტკბილად ეძინა ზინას ერთადერთას. ყოფილი თანამეჯამაკე კი გავარდა შურდულივით: ძუნძულ-ძუნძულ-ქშენა-ქშენითა და ღიპის თახთახით დაედევნა ნიფხავ-ვერანგისამარა ინდიკო ბუღალტერი, მაგრამ რას წამოეწეოდა და ესღა მიაბღავლა: შეჩერდი თუ ვაქაცი ხარო, — ვითომ ვაქაცობა აკლდა ყოფილ თანამეჯამაკეს... მერე კი ის ულამაზესი, თითქმის დედაშობილი დიაცი მეზობლებსა და ქმარს უამბობდა: გამოვედი აგერ ამ პირსაბანთან, წყალს შევისხამ სახეზე-მეთქი, უცემ ტუჩებზე არ მომიჭირა ხელი ვიღაცამ? გავიტრუნე, ვიფიქრე, ჩემი ინდიკო მემასხრებამეთქი, მაგრამ უფრო და უფრო რომ მომიჭირა ხელი ბაგეებზე, გავიბრძოლე, ვხედავ ახმახი არ არის? ვერ გავარჩიე სიბნელეში, ვინ იყო, რა ენდომებოდა ნეტავ?.. ვერც ინდიკო ბუღალტერი მოგებულიყო გონს, რა ენდომებოდა იმ უცნობ ახმახს და ვერც მეზობლები, ზინას ერთადერთა კი რას მიხვდებოდა — ტკბილ ძილს მისცემოდა... კვლავ უპატიოსნეს არსებად მიაჩნია სოფელს ზინა: ეგ კი აღარ ვიცი, იშოვნა თუ არა მორიგი თანამეჯამაკე, თუ მხოლოდ ინდიკოსა ჰკმარობს... შენ ხომ არაფერი გაგიგია?..

არამზადა

ლუბაც თითით საჩვენებელი მეოჯახე ქალია, ისიც გადაყოლილ-გადამკვდარია ქმარსა და თავის ერთადერთა ირმას — კვლავაც დედისერთა — ბარემ ეხლავ გაგიმხელ, ამ წიგნის ყველა ამბავი კენტშვილიანი ქალებითა და კაცებით დავხუნძლე და არც გამემტყუნება, მაქვს საამისო საბაბი: დედისერთობა გადამდებ-უკურნებელ-ავადსახსენებელი ეპიდემია-სნეულება გახლავთ ქართული სამყაროსი. ერთხელ რაა, ერთხელაც არ უღალატნია ამ უპატიოსნეს — თვალხატული დიაცს ქმრისათვის: უპატიოსნესობა აქ პირობითი ცნებაა: ქმარს არა ჰღალატობს, თორემ, იმგვარი დანშაულობანი აქვს ჩადენილი, მტრისას: ერთ ფეშენებელურ-ზეცადაყორცნილ-ნიადაგ მოფუსფუსე-ხასხასა სასტუმროში მუშაობს ადმინისტრატორად ლუბა: უჰ, რა მკცრი ვინმეა? — ერთმანეთის სურვილ-წადილით აჟრუანტელებული წყვილები რომ მიაკითხავენ ხოლმე სასტუმროს ვნება-წყურვილის დასაკმაყოფილებლად, იმ კოხტა წარსს შეჰკრავს დიაცი — რა მაკადრეთ ესა: ეგრეა სახემიღრეჯილ-წარბმოქუფრული და რჩიან სატანას დადარებული, ვიდრე მთხოვნელი ორმოცდაათმანეთიანს არ აუტკიცინ-აუელვარ-აუფერადებს თვალწინ: ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო და ლუბას რაღა დაემართება — უმალვე ჩვეულ სინაზე-მომხიბვლელობას დაიბრუნებს: რას გაიხარებენ ჩემი ქმარიკუნა და ჩემი ერთა ირმუკელაო — და ვნებიაწადილს აყოლილ წყვილს ეუბნება: არ დამღუპოთ, თქვენი ჭირიმეთ, ჩუმად შეიმალენით, აი, ამ ნომერში, ვინმემ არ შეგნიშნოთო... გარყვნილობა-მრუშობისა და სძაგლობა-უწმინდურობის ბუდედ აქცია ლუბამ ის ულამაზეს-ზეცადაწერწუტებული სასტუმრო, ეგ კი არადა, ვინ უწყის, რამდენ-ჯვარა-ნაირნაირა უბედურებებით არ დაუჯილდოებიათ ერთმანეთი თანამედროვე, დახვეწილი გემოვნების მქონე, მოდასაყოლილ-დარდიმანდა ახალგაზრდებს... ქმარშვილ-ნათესაობა-მოყვრობა-მეზობლობას ანგარიშგადაყოლილ-გადამდნარი, უპატიოსნესი დიაცი ბრძანდება ლუბა...

სიდედრუნა

სიდედრუნა-სიდედრუნიკოო, აი, ნიადაგ ასე ეკურკურ-ეალერსებოდა და ესაღეგრძელოებოდა სიდედრს სიძე: მართლაცდა გულწრფელ-ლაზათიანშნოიანი ვაჟი, იმ დედისერთა, განებივრებულ-უნაზეს კაშკაშა გოგოზე გადამკვდარი, ბედმა რომ არგუნა ცოლად... უყვარდა და როგორ უყვარდა გოგობიჭს ერთმანეთი: იმათი მარტო ურთიერთშეჭიკჭიკება-ლოგინ-სარეცელი კი არა, წაკინკლავებაც, ცოლ-ქმარს შორის რომ აუცილებელი გახლავთ, დღესასწაული იყო, ზეციც ალაჟვარდება და აცისარტყელება... მაგრამ სიდედრუნას ვერა და ვერ იტანა ის უცოდველთა ლოგინ-ცოლქმრობა-ურთიერთგადაყოლა: ვიწვი ჩემი ერთას საცდაობით, როგორ მიჯიჯგნის ეს ღვთისგლახაო, გადარეულიო, მდაბიოო, უთვისტომო და უსწავლელაო და დღენიადაგ ამას ჩასჩიჩინებდა თავის ნებიერა-ერთადერთა-აზიზმაზიზას, რამ გადაგრია, როგორ უწვები ლოგინში, მაგ გარყვნილსა და არაკაც-უწიგნურსო...

ყველაფერი კი, აი, მაშინ დაიწყო, მაჭანკალმა რომ მიაყენა კარს სასიდედროს სასიძო: ის მაჭანკალი რომ უქებდა დედაკაცს სიძის ოჯახსა თუ წარმოშობა-გვარ-ჯილაგს, გოგო-ბიჭი გარეთ, ეზოში, წკვარამ ღამეში ეკურკურებოდა და ეცნობოდა ერთმანეთს: მერე კი, უცად, მკერდზეაკრულ-ათრთოლებულ-აკისკისებული არ შემოიკვანა სასიძომ დედისერთა-ნებიერა?! სასიდედრო კი არა, ახლა სიდედრუნა-სიდედრიკო ხარ, მაჭანკალ-გამრიგებელი და გზის გამკვლევი რად მინდოდა, როცა ჩვენი ბედი მამაღმერთს გადაუწყვეტია ზეცა-

---

ჯუმბერ ტიკარაძე
მცირე უფაფურობანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დო... დაიზაფრა ქალი: ყველაფერი მოუსწრიათო, აგრძნობინა ალღომ, ალღომაც და თავის ერთას კაბაზე და ზურგზე შერჩენილმა ბალახბულახმა და ის ბოროტი ზიზღიც სიძისა მაშინ ჩაუსახლდა სხეულსა და ტკინში — მერმე კი: შვილი არ გაუჩინო მაგ უსწავლელასო, მუდრეგსო, მურდალსო, ჩასჩიჩინებდა თავის ერთას, მაგრამ ვინ დაუჯერა: მზისსადარი გოგოს სიცილ-ეისკის-ჭირვეულობამ ავასო ოჯახი... სიდედრუნა-სიდედრიკოო, ისევ გაიძახოდა სიძე, გულუბრყვილო, სათნო ვინმე იყო და ვერ ამოეცნო მგესლავი ზიზღი, სისხლსა და გოწში რომ ჩასახლებოდა დედაბერს: კვლავაც ისმოდა ზხამიანი სისინ-წივილი: მურდალიო, უწიგნურიო, მუტრუკიო, გარყვნილიო, ირაკაციო და: ანდერძად გიბარებ, როგორც კი მოკვდები, რაკი ახლა ვერ შეშვებიხარ ქმართან წოლა-გარყვნილებას, გაეყარე, თორემ, ღმერთი არ გაგახარებს ჩემს ტკარცალსა და ერთადერთას: ანგელოზები წაიყვანენ ზეცად მაგ შენ ანგელოზსა... და ჩაძაღლდა კიდეც: ხოლო იმის ნებიერა-ერთადერთა ძროწოლასა და ზაფრას მიეცა — მაოლა არ ამიხდეს საყვარელი დედიკოს ნაანდერძევდანაბარებიო და ქმარს გაეყარა: ახლა ზრდის თავის ერთადერთას უბედნიერეს —. უდარდელი და მამრს დახარბებული — მამაკაცს კი რა დალევს ამქვეყნად, არწყულებენ სხვადასხვა რჯულისანნი და ასაკისანი, ნაირნაირი ტემპერამენტის მქონენი, ერთფეროვნება მოსაბეზრებლად ჭქცევია, ვერა და ვერ გაუძლია უმამაკაცოდ, რა ქნას, დედაკაცია... აი, ამ წუთას, ამ ამბავს ოროცა გიამბობ, აზრი მეფანტება და აოცაა გასაკვირი: ცხადად ჩამესმის ყურში იმ ურჩხულ-ავხორცის კუბოს ჭრიალი, საფლავშიაც ვერ მოუსვენია, წრიალებს და წრიალებს, წარამარა იცვლის გვერდს — მიცვალებულს კი, ალბათ, ჩემზე უკეთ მოგეხსენება, მოსვენება აქვს წესად, ხოლო იმის ცოდვილ სულს ჯოჯოხეთი აშიშხინებს...

ეკას საუგო-საგინებელ-ძვირსაც ვერ იტყვი: უთეთრეს-უფაკეხილ ქალად სათქმელი, მწყაზარი დიაცი გახლავთ... იმის ქმარს სანდრიკა ჰქვია: თანამდებობიან-მტერ-მოყვრულ-გონიერი ვინმე ბრძანდება და კაცური კაცის სახელიც დაუგდია:.. ეკამ კი: რას მეყოფა მარტო სანდრიკაო, ისეთი დროა, ახალგაზრდა მეგობარი მოდაში გახლავთ, სხვებს თუ ჰყავთ, მე რა, იმათზე ნაკლები რითი ვარ, მეც არ მაწყენსო — და ერთ დამრწყულებელსა და გამრთობ ბიჭს შეჰფოფინ-შენებიერებია, რყვნის და რყვნის უმოწყალოდ, ჯიბესაც ფულით უვსებს და, ჩემი ახალგაზრდა მეგობარი ნაღდი რაინდიაო, ჩემი ახალგაზრდა მეგობარი თეატრში მყავდაო, ჩემს ახალგაზრდა მეგობარს უნდა შევხვდეო, გაიძახის წარამარა ნაცნობ ქალებში, არადა, ღამაზ მეგობრად მაინც მონათლოს, მაგრამ, ვგონებ, სმენითაც არა სმენია მოპასანი, თორემ ამგვარ შანსს როგორ გამოტოვებდა... სანდრიკა კი: არც ის გახლავთ ეეაზე ნაკლებ გამოქექილ-გამოჯეჯგილი — ახალგაზრდა წიწკუნის ჩაჰფრენია ერთსა, თვალებს ხან მუგუზალივით რომ აგიზგიზებს და ხანაც მიბნედილი ვარსკვლავივით აციმციმებს, მაგრამ სანდრიკას მარტოდენ სახელადა სჭირდება ის გოგო, იმ ყაიდის მამაკაცი როდი ბრძანდება, ორ ქალს რომ აუვიდეს, ისე კი, ძუნწი ვინმე არ გეგონოს: გოგოს საჩუქრებითაც ანებივრებს, რესტორნებითაც, ფულითაც და უცხო ქალაქებში მოგზაურობითაც... მერე გოგო, სათქმელად უხერხული კია და, იმ ბიჭს ეკეკლუცება, ეკას ახალგაზრდა მეგობარს... ხოლო სანდრიკა ისეთი გულუბრყვილო ვინმეა, ვერა და ვერ მიხვედრილა, იმ გოგოს უხამსობას და ეეაც გულუბრყილო ბრძანდება: გონს ვერ მოგებულა, ახალგაზრდა მეგობარი რომ ღალატობს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალა მამაკაცის წყევლისა

ჩემს პატარა ბიჭობაში, გურიაში, სოფელს არ დავასახელებ, ერთი ადამიანისმაგვარი შემზარავ-შემაძრწუნებელ-უმახინჯესი არსება დაიარებოდა, თუ სიარული დაერქმევა ფორთხვას: ჯერ იმის ფოლოსნოდან ზეაწეულ აჩხაბაჩხად მოტორტმანე გავას მოკკრავდი თვალსა, მერე ჯოხს, დაღვარჯნილ-ჩაშავებულფრჩხილა-გაძვალტყავებულ- წვრილანი კლანჭით რომ მიათრევ-მიაფხაკუნებდა და შარასა ჰკაწრავდა, მერმეღა დაინახავდი გველისებურ, შავ უმოძრაო - არაფრისმთქმელ - გამოცარიელებულ, მაგრამ მაინც ამაზრზენ თვალებს და დანოკუბებულ-მუშტადქეცულ-გაოფლილ-გაზნაღლულ-ეტინძურეს სახეს, ძღინკიან-კუპრიფერი თავსაფრიდან, შუბლზემოთ, აქა-იქ ამოსჩრდა ოფლშიგარეულ ბალახბულახ-მტვრითა და ქათმის ბურდღით შესქელებულ-შეხეშხეშებულ-რქადქეცული თმა, შემოგზდადდა და გეტყოდა: კაი გამარჯობა, ნენა, შე დასამიწებელლო... იმასთან შემთხვევით შეხვედრა იყო და, გულისრცევა მკლავდა, საჭმელს ვეღარ ვაკარებდი პირს, ძილითაც ძალლუმადურად მეძინა და სიზმრადაც შემზარავ რაღაცრაღაცებსა ენახულობდი: ღრიანკალ-გველ-ზურბელა-თაგვმბალებსა თუ კიდევ სხვა, უსაშინელეს ქვეწარმავლებს და მიკვირდა, ჭკუაზე როგორღა ვიყავ... მეწისქვილემ მიამბო ერთმა იმ ურჩხულ-სატანის ასავალ-დასავალ-თავსგადახდენილი: უღვთო სილამაზის მქონე, უნაზეს-უნატიფესი დედაკაცი ყოფილა თურმე ერთ დროს, მაგრამ ღალატობდა ქმარსა — ჯერ, მთლად პირველად, ნამღვდელარ-ნაბრიგადალ-ნაციხარსა საყვარლობდა, მერმე და მერმე იმ ფეარად-ფეარად-შრიალა საცცლებივით იცვლიდა საყვარლებს, რომლითაც ლოგინში უნდა ჩაბდღვრიალებოდა იმათ, მოკლედ, მამაკაცთან ალერსს მიჰქონდა დრო... ქმარს კი, მუყაითა-გამრჯე-სატყვაძვირ-დარბაისელ გლეხკაცს, გულუხვად რომ დაესაჩუქრებია ბუნებას დაკვირვებითა და თითქმის მისნობითა, ეროვნული ბიბლიოთეკა
რას გამოაპარებდი, მაგრამ თავის ეროვნულ
გოგონას სიყვარულის გამო ითმენდა
ცოლის ავხორცობას, თორემ პაპის-პაპის-პაპათაგან თუ უფრო უადრეს-უშორესი წარსულიდან შემორჩენილ-ამოტიტივებული წყევლის რიტუალი იცოდა კაცმა, ეტყობა, ადამიანი მართლაც უცვლელი ფენომენია, იმ შორეულ-ძირძველ წინაპრებსაც ღალატობდნენ თურმე ცოლები... ფარდაგი უნდდა გაეშალა მაწყვეარს, მკერდი მოეშიშვლებია, სამგზის ღონივრად ეხალა თავი მიწისათვის, ყოველი დაბრაგუნების შემდგომ ღმერთისთვის აეხედნა და სამგზის აღეკვლინა ზეკად — წყეულიმც იყავ, წყეულიმც იყავ, წყეულიმც იყავო, — ეს სამგზისი „წყეულიმც იყავ“. უტყუარშეუმცდარად აღწევდა მიზანს, მძიმე რამ ფათერაკ-უბედურება შეემთხვეოდა იმას, ვისაცა სწყეულიდნენ... ითმინა კაცმა, ითმინა და, ნამეტნავად რომ გაუვიდა თავს ავხორც-თავნებამოშმაშურე დედაკაცს, წყევლა-კრულვის რიტუალის შესრულების გუნებაზე მოდგა: იმ ღილით წასულიყო ქალი კამეჩზებულ-მოჩარდაბებული ურმით გრიგოლეთს, ვითომდა ზღვის ამაზანების მისალებად, სინამდვილეში მორიგი საყვარელი უნდა მოეხიბლ-აეცუნდრუკებინა ხან ზღვისნაპირა ქვიშაზე, მზის კაშკაშში დართხმულ-დაშოლტილი და ხანაც ტალღებში თევზივით ამბინავარებულ-ასხმარტალებული ღუთაებრივი სხეულის სილამაზით, შვილიც წაეყვანა თანა, ეს კი მეტისმეტი იყო: უმანკო გოგონა უნდა ექცია გარყვნილების მოწმედ და წყევლის რიტუალის შესასრულებლად მოიყარა მუხლი გონარეულ - ფეარწასულ - დაზაფრულმა გლეხკაცმა ფარდაგზე. მოიშიშვლა მკერდი, სამგზის ახალა თავი მიწას, სამგზის აჰხედა ღმერთს და სამგზის აღავლინა ჩურჩულით — წყეულიმც იყავ, წყეულიმც იყავ, წყეულიმც იყავო: მესამე „წყეულიმც იყავ“ რომ გაისმა, ის ერთადერთი სატვირთო მანქანა, იმხანად რომ დახრჩოლავ-დახრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გინებდა იმ ახლომახლოებში, „გრიგოლეთის შარაზე აჭიალებულ ურემს შეეჯახა: გოგონას წინა ორი კიბე გაებზარა, მეურმე საღსალმაოი გადარჩა, დედაკაცს კი იმგვარად შეერყა ტვინი, სამ თვეს იწვა სიბნელეში, თითქმის გონდაკარგული და გიჟური ხილვებით განაწამები, მაგრამ დაუსხლტა სიკვდილ და ისევ ძველებურ საქმიანობას მიჰყო ხელი... ჰოდა, ერთ ლუსკუმაქარიშხლიან-შემზარავი ღამით კვლავაც დაეცა გლეხი წყეულა-კრუსეის რიტუალის შესასრულებლად: მესამედ რომ აღავლინა, წყეულიმც იყავო, გული გაუსკდა: დრონატარებ დიაცს კი კეკრო მიაცილებდა შინისაკენ და, აი, ის მესამე სიკვდილისწინა „წყეულიმც იყავ“ ყუმბარასავით მიაწყდა დიაცს, აიქნია ზეკით და ტრიალ-ტრიალით ჩაისროლა ერთ ღრმა ხევში... მეოთხე დღეს შემოხვევითმა გამვლელმა ამოათხია ხევიდან ფეზებდალეწილ-ხერხებამალგადამსხვრეულ-თაგვაპობილი დედაკაცი — იმარჯვეს ექიმებმა თუ ექიმბაშებმა და ორიოდე წლის ლოგინად წოლის შემდგომ ისე გაიარა, წელან რომ გითხარ: შეხვედრისას ჯერ იმის ფოლონცხოდ აშვერილ, აჩხაბაჩხად მოტორტმანე დუნდულებს მოჰკრავდი თვალს...

ლოკოკინები

არ იცნობ შენა, ალბათ, მარგოს: კრუხი რომ დაჰფოფინებს წიწილებს, აი, ეგრე გადაკვდომია და მზრუნველობს თავის ერთადერთა, ყოველმხრივ შემკობილ თვალმალხაზა უჩას, მაგრამ, რა მისაფუჩეჩებელია და, თვალზე არ ეხატება კარის მეზობლის გოჩა — ისიც დედისერთა გახლავთ, ბიჭია და რა ბიჭი... არადა, ერთ დღეს იმშობიარეს ქალებმა ვერაზე, გოჩა ნახევარი საათით თუ იქნება უფროსი უჩაზე... ახლა კი აუკვიატ-აუჩემებია და ჩაუჭედია ტვინში მარგოს გოჩას ზიზღი, რაკილა დედამისს წაეკინკლავა ერთხელ და, შვილის დაბოღმვაცა სურს — ღმერთი არ გაგიწყრეს, გოჩას არ მიეკარებოდეს შენი ღირსია ეგ ქუჩის ბიჭი და დაბდურაო, თუმცა არც ქუჩის ბიჭია გოჩა და არც დაბდურა: სიცოცხლით აკვესებს და ატკარცალებს ყველაფერს თავის ირგვლივ... უყავთან ბიჭებს ერთმანეთი, ვერა და ვერ ჩამოსცილებიან ერთურთს... მაგრამ წყლის ხშირი წვეთი ქვასაც გახვრეტსო თქმულა და დადასტურებულ-დამტკიცებულა კიდეც და მარგოს ჩიჩინ-შთაგონება-კირკიტუსაშველობამ ეს ორი სახვალიო ვაჟკაცი და რაინდი სამარადისოდ ჩამოაცილა ერთიმეორეს... ახლა, როცა აგერ ახლახან ნახსენები ხვალინდელი დღეც მოდდა, მარგო-მარგალიტა შნოიანად გულხელდაკრეფილი მისცემია მუხათგვერდ'ს, იმისი ნამოქმედარი შავბნელი საქმე კი კვლავაც ცოცხლობს და აკეთებს თავისას: რაღა არ ხდება ამ ცოდვით სავსე დედამიწაზე — უჩა და გოჩა კვლავაც კარის მეზობლები არიან, მაგრამ რა მეზობლობაა ესა — ლოკოკინებივით გამოჰკეტვიან თავიანთ ნაჭუჭებს, არც ქვეყნის დარდი აქვთ და არც სხვა ადამიანებისა, ერთმანეთის ჯინითა და ქიშპით აგროვებენ და აგროვებენ დოვლათ-ბარაქას, იცვლიან ნაირნაირ მანქანებს, ეგ კი არ ვიცი, კანონიერი გზით თუ უკანონოდ, ეგრნებ, ორივენაირად, ისე რომ არც რაინდობისა სცხიათ რაიმე და არც ვაჟკაცობისა და, რაც უმთავრესია, ღმერთმა რომ ქნას და, გოჩას რაიმე ცუდი შეემთხვეს, თუნდაც დაიღუბოს კიდეც, უჩას სიცილადაც არ ეყოფა და გოჩასთვისაც სასიხარულო იქნება კარის მეზობლის ყოველგვარი უბედურება... ეჰ, ამ ჩემია-ჩემიას ძახილს, მესაკუთრეობასა და ერთურთის მტრობა-გაუტანლობას მრავალგზის მიუყვანია დაღუპვის პირად ჩვენი კოპწია საქართველო და სამომავლოდ მაინც გვაშოროს ღმერთმა გოჩასნაირი და უჩასნაირი, მეტადრე კი მარგოს მსგავსი დიაცები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲛᲐᲛᲐ

ძველისძველი ამბავია. ჩრდილოეთ კავკასიისა და ყალმუხეთის ერთფეროვან-მოსაბეზრებელ-ოხშივარა სტეპებში ყანყალ-ხეტიალის ყმის, ხან მეცხვარეებს ატორღიალებული და ხანაც ლერწმის ჭრით რომ ვშოულობდი სარჩო-საბადებელსა და საჭმელ-სასმელს, ერთ სამეულს შევეკედლ-შევუსახლდი ვაგონში: მესამე დღე იქნებოდა — ვჭრით ჩვენა, ოთხივენი, ლერწამს და ერთი ტანახოვან-წვერაბურძგნილ-ჩამოძეძინილი მამაკაცი მოგვიახლოდა და ბოხი ხმით გვითხრა: ძმანო და მეგობარნო, მიეჭრის და უნდა მიმიღოთ თქვენს ბრიგადაშიო... ბრიგადად მოგვნათლა ოთხი კაცი, თანაც ისე ლაზათიან-რიხიანადა გვთხოვა, დავყაბულდით: რიგიანი ვინმე აღმოჩნდა, შრომისმოყვარეცა და სიტყვადოვლათიანიც და აი, ერთ საღამოსაც, უცებ რომ ჩამობნელდა, როგორც სტეპებსა სჩვევია ხოლმე და ჩვენი საცხოვრებელი ვაგონისაკენ გავემართეთ, მეუხეზა: შენა, ძმობილო, ყურებზე გატყობ, მწერალი უნდა იყო, ჩემს ასავალ-დასავალს გიამბობ, ეგებ გამოგადგესო... და, განცვიფრება-განრისხებამ ერთდროულად დამრია ხელი: განცვიფრებით იმან განმაცვიფრა, როგორ უნდა მოგებულიყო გონს, მწერლობას რომ ვაპირებდი, განრისხებით კი, ყურებზე გატყობო, რომ მითხრა, ამ ორმა სიტყვამ განმარისხა — აბუჩადაგდებულ-დამცირებულად ვიგრძენი თავი და არც ვაცივ, არც ვაცხელე, თუმცა აშკარა იყო, ღონით დამჯაბნიდა, ყბაში ვთხლიშე მუშტი. იმან კი ღიმილით შემომხედა, ვერ მიეხვდი, ვაჟკაცობა იყო თუ ლაჩრობა და უფრო დამცირებულად ვიგრძენ თავი, მერეღა ვიაზრე, მოგვიანებით, უფრო რომ დავუახლოვდი, ვაჟკაცობა იყო ის საქციელი... იმ ღამით ვაგონის კარზე მოგვიკაკუნა ვიღაცამ, შემოვიპატიჟეთ: სტავროპოლელი ბიჭი ვარ, ობოლ-უშვილძირო-გაუნათლებელი, გამრიეთ თქვენს მარაქაშიო... იმან კი, იმ ჩემმა გამწბილებელ-შეურაცხმყოფელმა: გაუნათლებელი კი არა, ყურებზე გატყობ, ბუღალტერი ბრძანდები, იმასაც მკარნახობს შენი ყურის ნიჟარები, თხუთმეტი ათასი მანეთი გაგიფლანგავს, თანაც სტავროპოლელი კი არა, მკვიდრი მოსკოველი ხარ და სტეპებში კანონს გამოქცევიხარ, მილიცია დაგეძებსო... ჩვენდა გასაოცარად, სახე წამითნომ ახალმოსულს, თვალებში შიში ჩაუდგა და ენის ბორძიკითა და მხრების ცახცახით აღიარა, მართლაც ასეაო... გიჟურ-დამამშვიდებელ-გადამდები ხარხარი ამივარდა... იმ დღის შემდგომ დავემაკაცდით და, აი, ერთხელაც, ჩამოქუფრულ-ჩამოცხუნებულ-ამაზრზენი ბნელი ღამით ვსხედვართ ჩვენა, ორნი, სტეპში, კოღოების წუილითა და კბენით გაბეზრებულნი და არაყს შევექცევით: ჩაის ჭიქებითა ვსვამდით, გავაპიპინებდით ბოლომდე და ვყლურწავდით დახარბებულებივით, სადღეგრძელოთა თქმისთვისაც არა გვცხელოდა... მერმე კი, კარგად რომ შევთვერით, ამგვარი რამ მიამბო: „ათი წელი გავატარე პატიმრობაში: დანაშაული ჩავიდინე იმგვარი, ჩემს კაცურ კაცობასა და ღირსებას ჩრდილს რომ ვერ მიაყენებს — ცოლს ატორღიალებული კაცი შემომაკვდა, ჩემი ცოლი კი ქალური ქალია მართლაც, გარეგნობაზე ვამბობ, ცხრა დედაკაცად მარტო იმისი სხეულის შეხლა-შამოხლართვა და მკერდის თახთახი ღირს სიარულისას... სამი თვის მერე გათხოვდა ის უწმინდური, ჩემს ძმაკაცს გაჰყვა, — ნაუბედურად - ნალოთარ - ჩახლეჩილი ხმითა ჰყვებოდა. — გავსკდი გულზე, ეს ამბავი რომ გავიგე, ჩემი უბედურება არ მეყოფოდა თითქოს და მაშინღა მივხვდი, პატიმრობამდე მღალატობდნენ ის არაკაცი და ის ბოზანდარა... უბედური ჩვეეა მაქვს ერთი: საკმარისია, ადამიანს ყურებზე შეეხედო, უმალვე გამოვიცნობ, ვინ არის, რას წარმოადგენს და რა უნდა მოიმოქმედოს, ეგ კი არა, ყურის ნიჟარათა მიხედვით იმი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სი გაგებაც ძალმიძს, რასა ფიქრობს, იმ ჩემი დამაქცევარ-გამაუბედურებელისა კი ვერა გამეგო: რაც ვერც იქა, თავისუფლებაში, ისეთი შობელძაღლი ჰყავს გამჩენს და აქ რაღას შეეძლებდი, პატიმრობაში...“ კარგა ხანს ვდუმდით, სიბნელეშიაც გარკვევით ჩანდა, როგორი რისხვით აკვესებდა თვალებს. „ზეგ ჩემი გოგოს დაბადების დღეა, — ოქვა უცებ. — კიდევ კარგი, რომ გამახსენდა, შემოდი ვაგონში, თუ ძმა ხარ, დეპეშის ტექსტს გიკარნახებ, მე წერის თავიც არა მაქვს, ისე მიცახცახებს ხელები, დღესვე სჯობს მოვამთავრო ეს საქმე, ხვალ არ გადამავიწყდეს...“ და, ამგვარი რამ მიკარნახა: „ბოლოს დაბადების დღეს, ჩემო გოგონავ, შენი ყოფილი მამა-და, უეცრად, შენი ყოფილი მამაო, რომ წარმოთქვა, გიყურეშეზარავი ბღავილი აუვარდა, ქვითინებდა თანაც, ბღაოდა და ბღაოდა, ვეღარ დამშვიდებულიყო, ღონივრად იბრაგუნებდა ტორს მკერდზე და ბოლოს იღრიალა: ერთ წელიწადს მაინც მოეთმინათ და მერე ატორღიალებოდნენ ერთმანეთსო... ვერ გამიგია, რომელია მართალი: ეს აღრიალებულ-აქვითინებული მამაკაცი, ყოფილი მამა იმ დედაკაცის შვილისა, თუ ის დიაცი, სამთვეს რომ ვერ გაძლო უმამაკაცოდ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ ქვლივიძე

ვარიაციები საოჯახო თემაზე

●

მ. შ—ს

სულ მენატრები.
მაშინაც კი,
როცა ვართ ერთად
და ჩემს გარშემო,
და ჩემს გვერდით
შენა ხარ მარტო...
მუდამ და ყველგან,
ძილშიც,
ცხადშიც,
უშენოდ,
შენთან —

სულ განუწყვეტლივ მენატრები
და შენზე ვდარდობ.

სულ მენატრები.
ერთი წუთით არა მაქვს მოცლა.
დაგეძებ, როგორც
ძაღლი ეძებს დაკარგულ პატრონს
და მე არ ვიცი,
რა დავარქვა ამ გრძნობას, როცა
ჩემში ხარ —
გულის ფეთქვასავით —
და მაინც... განატრობ!

●

არც გული მაქვს, არც ღვიძლი მაქვს,
არც ტვინი, არც ფილტვები...
მე უშენოდ არ ვარსებობ,
ცოცხლად მარტო ვითვლები.

ყოველივე, რაც მაცოცხლებს,
შენს პატარა ტანშია.
შენ რომ გვერდით მეგულები, —
მე ცოცხალი მაშინ ვარ!

შენ თუ სტირი — მეც ვწუხდები,
ვხდები შესაბრალისი;
თუ იცინი — მეც ვიცინი,
მემატება ხალისი;

შენ რომ ფხიზლობ — მეც არ მძინავს,
ჩასთვლემ — ჩამეძინება...
შვილო, რამე არ იტკინო,
თორემ მე მეტკინება!

—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იორამ ქემერტელიძე

სვანური ქუდი

სვანური ქუდი დავიხურე
განივრად, —
მშვიდობით,
ჩემო
ფაფანაკო!
ჰაიდა, კარი გავიხურე, —
სვანი ვარ, —
ორმოცი
საუკუნის
ენაზე
ვლაპარაკობ!

სოფელო,
ქალაქო,
თუ გახსოვთ არაკად! —
ვის ველაპარაკო?
ვინც მელაპარაკა
კაი დიდი ხნის მკვდარია!
ცოცხლები?
კი, ბატონო, არიან!

ჰაიდა, ქუჩა გადავჭერი
განივად, —
ნამუსის ქუდის გადამრჩენი —
სვანი ვარ!
იცის —
ენგურმა და ტეხურმა,
ეს ქუდი —
მუზარადქვეშ
მეხურა; —
ყველა ჭირისაგან.
მფარავდა;

გახარებულმა თუ
მგლოვიარემ
ამ ქუდით,
ამ ქუდით
მოვიარე
დიდგორი,
შამხორი და
მარაბდა... —
ვოისა,
ვორუდილა,
ვარადა...

რამდენი დამე მაქვს ნათენები,
ვინ ან რომელი მყავს თავდებად, —
ორმოცი საუკუნის
ქართველებით
შენდება ქვეყანა და მრავლდება!

ვოისა, ვორუდილა...
ოდელია! —
რამდენი ახალი
ოდებია!
ქვეყანას —
მინდვრებიან-კორდებიანს
სვანური ქუდები
მოდებია;
მთებით მოფრინავენ,
გროვდებიან,
მთელ შვიდ სამეფოში
ხროვდებიან...

ამერს და იმერს,
მთა-მთა და ბარი-ბარად. —
ზეზვას და ზაზას,
ბექნუს,
ბექას და ბარამს,
გურამს და გვარამს,
გახუს,
ბახვას თუ ბახულას —
სვანური ქუდი — ნამუსის ქუდი
ახურავს!

შევყარე ყველა ნათესავი,
ამერ-იმერი ქართველი. —
ქუდი ჩავთბუნე
ბუდესავით,
ჩავასხი, ჩავაბუდე
მართვენი.
ვერ ვიტან სხვის სამართალს,
არანაკლებ
უსამართლობაზე ვირეკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშობელ ქვეყანას
ვამარაგებ
ობილი ქუდებით და
შვილებით...

ჰაიდა!..
ვინცა მყავს,
ყველანი აქ არიან!
დავდივარ,
დავაბიჯებ რიხიანად!

სრულიად საქართველოს
განძი
მაბარია
გომბორიანა და ლიხიანა!
ჰაიდა!
ალავერდი ფაფანაკო! —
ორმოცი
საუკუნის
ქართველზე
ვლაპარაკობთ!

●

საქართველო იწყება
ჩემთვის ჩემი ეზოდან;
ვხარჯე წვიმა წინწკლებად, —
ნეტა გამომეზოგა!

რა მზე იყო ცხოველი,
რა ცა იყო კამკამა!..
ვხარჯე,
ვხარჯე ყოველი
წვეთებად და გრამგრამად;

ვხარჯე სულის შებერვით,
ფერებით და ხალისით
სარჩო-საბადებელი —
დასახარჯი ხვალისთვის.

მორჩა...
ახლა სად არი

ხალისი ან გუნება —
ნაღვერდალი, ღადარი
სულის ჩასაბრუნებლად...

მაგრამ თურმე —
ვერთობით, —
არც გავსულვარ ეზოდან;
ვხარჯე სისხლი წვეთობით, —
ნეტა გამომეზოგა!

ვხარჯე,
ვხარჯე ყოველი
გოჯგოჯად და
გრამგრამად...
...რა მზე იყო ცხოველი!
რა ცა იყო კამკამა!..

●

დიდებულია
ნაწვიმარზე
გარეთ
გამოსვლა, —
სხეულს კი არა,
უხარია
ტანისამოსსაც...

დგახარ ხის ძირას,
სადღაც, სხვაგან
გგონია
თავი —
გბურძგლავს ლოდინი —

ერუანტელი
ლეშხის თუ
ყვავის...

და ნეტარებით,
და საამოდ
გეღვრება
ტანში —
ციური
ცვარით
განბანილი
ფოთლების ტაში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხასხასებს მდელო,
ცა კრიალებს,
ხარხარებს ღელე... —
და ხუჭავ თვალებს,
და ყურებზე იფარებ ხელებს...

დგახარ ხის ძირას, —
მოდის ქვავი,
ჰა, მოდის,
მოდის...

ელი და ელი
უსიამო
სიამის
ლოდინს...

დიდებულია
ნაწვიმარზე
გამოსვლა
გარეთ...

●

არაგვო, რა გეშველება, —
ხმა საკუთარი გესხვისა;
გადაგივწყეს შენებმა,
შენც მათი არა გესმის რა.

არც შენი გესმის, არც — ჩვენი
რა გვეშველება, არაგვო! —
რამდენი გვჭონდა სათქმელი,
რამდენი სალაპარაკო...

ბაბრა, 1985

ეზივარ ფარნავაზივით!.. —
იე, რა ბლეფი გავუშვი
ვაგრის ერთი გამზირის
მანქანების ხმაურში...

ავიკეცე მოსასხამი,
გავიმართე კაცურად, —
ზუსტად ზუსტად ოცდასამი
საუკუნე გასულა.

მარგვეთით თუ ხალიბით
ველი ქუჯი ეგრისელს,
ყოველ წუთში გამირბის
თვალი მატარებლისკენ.

გავსხი ყველა ვაზირი,
სავაზიროს გავუშვი
გაგრის ერთი გამზირის
მანქანების ხმაურში.

რაც არ უნდა საშინელი
ღღე გადახდეთ ვაზირებს —
ყველა
უჩინ-მაჩინებით
რამეს გაგაზარებს...

. . . . . .

დგას ზღვა მდორედ,
ბრილიანტის
მარცვლებივით ცრის,
ბტის წვეთები,
ვით თითები მედაფის...
ცრის, თითქოსდა
მილიარდი
უჩინარი ჩიტი კენკავს
ზედაპირს...

მე კი ჯურხა მენატრება,
როგორც მიწას ენატრება
წვიმა, —
მზე რომ წამოელამდება
ცა რომ წამოფერადდება
და რომ წამოუეუეუნებს
წვრილად.
ის რომ ახლა აქ მყავდეს, —
ნეტა ერთი გაჩვენათ —
ყველა გამოვიდოდა
ჩემი ჯურხას საცქერლად...

აუ! დგაფუნ-დგაფუნით,
სულ სულ, სულ სხვანაირად
ააქაფებს წყალს და
გაგანია ზაფხული
მოაწყდება აივანს —
მწერალთა და
პოეტთა და
კრიტიკოსთა დასტა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოჰოჰოჰო!
— ოჰოჰოჰო!
ცივ შხაპს თავს შეუშვერდა,
ქვაზე წამოსკუპდებოდა
მეფილაქნე მუშებთან,
ალაყებებდა, ილაყებდა
გულის მოსაშუშებლად,
თან ყველაფერს ჩაიწერდა,
სიტყვას არ გაუშვებდა...

. . . . . .

მარგველი თუ ხალიბი
ველი ქუჩი ეგრისელს,
ყოველ წუთში გამირბის
ოვალი მატარებლისკენ.

.

გავსხი ყველა ვაზირი,
სავაზიროს გავუშვი

●

მთა და მთა,
ზღვა და ზღვა,
გზა და გზა
იზრდება ბალახი
სხვა და სხვა...

ჰა და ჰა!
ჰა და ჰა!
ჰა და ჰა —
რამდენჯერ ამწვანდა
გადახმა!
კვლავ და კვლავ,
კვლავ და კვლავ
კვლავ და კვლავ —
ბელტში მოყოლილა თავდაღმა...

გადაღმა,
ბაღმა და გამოღმა,
თავდაღმა,
წაღმა და წამოღმა
გადახმა,
ბახმა და გამოხმა...
კრწანის-კრწანის,
დიდგორ-დიდგორ,
ძალის-ძალით,

გაგრის ერთი გამზირის
მანქანების ხმაურში,

ავიკეცე მოსასხამი,
გავიმართე კაცურად... —
ზუსტად, ზუსტად ოცდასამი
დღე და ღამე გასულა...

. . . . . .

დგას ზღვა მდორედ,
ბრილიანტის
მარცვლებივით ცრის,
ხტის წვეთები,
ვით თითები მედაფის;
წვიმს, თითქოსდა
მილიარდი
უჩინარი ჩიტი კენკავს
ზედაპირს...

მინდორ-მინდორ,
ახო-ახო,
ვაკე-ვაკე,
შამხორ-შამხორ,
ნოქალაქევს,
ქუჩა-ქუჩა —
ფიქალ-ფიქალ,
ბღუჯა-ბღუჯა,
აქა-იქა, —
ღერა-ღერა,
ღერა-ღერა —
ამოიდგა
ყველამ
ენა!..

რაც იყო,
ბაღმა და გამოღმა,
რაც ოდით ბახმა და გამოხმა, —
სუყველამ — წაღმა და წამოღმა
ხელახლა დაიწყო ამოყრა...
... მთა და მთა,
ზღვა და ზღვა,
გზა და გზა —
იზრდება ბალახი სხვადასხვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაკა მიქელაძე

თამაში

მოსწყინდა ტელეფონს მარტოკა ყოფნა და
რიხით აკივლებულს სასწრაფოდ გადავწვდი.
ისევ ის დუმილი დამყვება მხარდამხარ
და ისევ გრძელდება ეს ძველი თამაში.
ავლავ რეკავ. გიყვარი, გლანძღავ და დაგცინი,
— ოხ, ეს ახალგაზრდა უსაქმო თაობა,
გულში კი სულ ერთი პატარა ზარისთვის
და ერთი ოხვრისთვის გიგზავნი მადლობას.
— „ნეტავი ის იყოს“, — ვფიქრობ და უეცრად
აბნეულ ფიქრებში გარკვევით მოვნიშნავ,
ო! ვინც მე მგონიხარ, ის თუკი არა ხარ,
ის მაინც ხომ ხარ, ვინც არა მგონიხარ.

სოხუმი. 23 აგვისტო

როგორ გამიტყიურდა ბავშვობის ბაღი, როგორ გატყიურდა...
გადამტყდარა ატამი, გადამხმარა მუშმალა, ნარცისიც გამქრალა.
როგორ გამიველურდა ბავშვობის სახე, როგორ გაველურდა...
ჩვიდმეტი წელი და პირველი ნაოჭი,
ცხრამეტი წელი და პირველი ჭაღარა.
დამმალა ჩვენმა სიყვარულმა უსასოდ,
რა მომდის, არ ვიცი.
რომელმა ტყიურმა, რომელმა ველურმა
მოგლიჯა სახლის თუ სხეულის ნარცისი?
ვკითხულობ უმიზნოდ, ხანდახან, ქარდაქარ,
ნარცისი, ნარცისი, ნარცისი სად გაქრა
ეს კითხვაც სიყვარულივით უსასოდ დამღლის.
როგორ გატყიურდა ჩემი ბავშვობის პატარა ბაღი.

ჩემი ოცნებების სასახლე

კერამიკული ბუხრის თავზე
ჩინური თეფში.
ხავერდის ფარდებს გაუტიხრავთ
ოთახი ჩრდილით,
ედელვაისი გაუხმიათ
ნაპოვნი მთებში,
ფარდის ჩრდილიდან იმზირება
მადონა ჩვილით.
თაროზე შიშით ჩაწყაპულან
ძუ ლომი ჩანგით,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შველი, ჟირაფით და
სუყველა ჩეხური შუშის
თოჯინას შვენის ვარდისფერი
კაბა და ბაფთი,
შვენის თოჯინას ცრემლიანი
თვალები ნუშის.

და ფაიფურის ბრაზიანი
ბულდოგი სევდით
სერვანდში უხვად გამოფენილ
ალკოჰოლს უმზერს,
გობელენიდან იყურება ის მგელი
ურცხვი,
წითელქუდა და ბებია რომ შესანსლა
უცებ!

თეთრ ჭერს ბზარები გასჩენია,
დაძველდა ჭაღიც.
გახუნებულა ხალიჩაზე ნაქარგი
ბაღი,
ვერცხლის შანდლებსაც შეპარვიათ
აქა-იქ შავი,
ჩინურ თოჯინას ჩაუქინდრავს
მოძრავი თავი.

ამ გობელენთან მე, პატარას,
მეძინა კიდეც,
ამ ვერცხლის შანდლებს ვაყოლებდი
პაწია თითებს,
და თაროებზე შემოსკუპულ
მხეცებთან ერთად
მიპყრობდა შიში და ბავშვობის
უენო სევდა.

მე ეს ბზარები მირჩევნია
შპალერს და პარკეტს,
ეს ღია კარი — ათიათას
„სეკრეტს“ და საკეტს.
ახლა, როდესაც გავუსინჯე
ოცნებებს გემო,
ნუ გაუკეთებთ
ჩემს ბავშვობის სასახლეს
რ ე მ ო ნ ტ ს!

ვახტანგ ახვლედიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ო მ ბ ო

ნოველა

ამ ეზოში დაიბადა იგი. ეზო დიდი იყო. სამი უშველებელი სახლი ეკრა სამი მხრიდან, ხოლო ტბა, სარბენ ბილიკს გადაღმა, პარკში, მეოთხე მხრიდან. მისი ხელა ბებერი მსხლის ძირას იდგა და ახლა ამ ეზოსა და სახლების განუყოფელი ნაწილი იყო.

სულ რამდენიმე თვის წინ ბოლო სართულებამდე ვერც კი ატანდა მზერას. მაშინ ძალიან პატარა იყო და სახაცილოდ ბუთხუნა. უთავბოლოდ დაბანდურობდა ეზოში და გამვლელ-გამომვლელს. ფეხებში ეხლართებოდა. კი არ დარბოდა, დაგორავდა თითქოს. ამიტომაც შეარქვეს ამ ეზოს პატარებმა ბომბორა. შემოკლებით — ბომბო.

ცნობისმოყვარე ლექვი გახლდათ ბომბო. ყველაფერი აინტერესებდა. ხან ვის ატაკებდა თავის სველ ცხვირს, ხან ვის. თვალებში კი კეთილი სხივი უბრწყინავდა ერთთავად, მაშინაც კი, თუ ვინმე ფეხს დაადგამდა შემთხვევით და საცოდავად აკკივკივებდა.

ყველას უყვარდა ბომბო. ბავშვები გიჟდებოდნენ. ახლა ბომბოსათვისაც გეკითხათ!.. როგორ უხარდა, ოჰ, როგორ უხარდა შუადღის მოახლოება, როცა სკოლიდან დაბრუნებული და ნასადილევი ბავშვების ერთი ერიამული დადგებოდა ეზოში. უნდა გენახათ მაშინ, რა მალაყეს გადადიოდა ბომბო. ვინ იცის, მერამდენეჯერ შემოუბენდნდა ეზოს. მისი ეეიფა და კვაკვი ხან აქ ისმოდა, ხან იქ. უმთავრესად ბიქებთან თამაშობდა. აბა რა, თვითონაც ხომ ბიჭი იყო. თამაშობდა და ცალი თვალი ხუთიოდე წლის ქნაქა გოგონასაკენ ეჭირა.

გოგონას ნატული ერქვა. ყურებთან ბაფთებით შეკრული გრძელი წაბლისფერი თმა ჰქონდა, გამხდარ სახეზე თითქმის საფეთქლებამდე გაკრული თვალები, გრძელი წამწამები აეფინენთოდნენ და ჩაეფინებოდნენ, აეფინენ, ბოდნენ და ჩაეფინებოდნენ, შავი და საოცრად კრიალა ფოლაქები მშვიდად გიმზერდნენ. მოკლედ, ერთი ჭეშეულებრივი ბავშვი იყო, მაგრამ ბომბოსათვის რომ გეკითხთ?!

თვალსა და ხელს შუა იზრდებოდა ბომბო. ალბათ, იმიტომ, რომ საოცარი მადა ჰქონდა. განსაკუთრებით ნამცხვრები და ძეხვი უყვარდა. ნატულიმ იცოდა ეს და ყოველდღე, მშობლებისგან მალულად, გამოჰქონდა მისთვის ეს სასუსნავები.

იმ დღეებში ქალბატონი ინეზას ბინა გაკურდეს. იმ შემთხვევის შემდეგ მის ყელზე ალარ დაუნახავს ბრჭყვიალა წვრილი თოკი. ალარც ყურებზე უბზინავდა უამრავ ფერებად მოციალტე კენჭები. ნეტავ, ვის სჭირდებოდაო, — ფიქრობდა ბომბო, — ნამცხვარი ან ძეხვი რომ ყოფილიყო, კიდევ ჰო.

გუშანით ხედბოდა, რომ რაღაც დანაშაული მოეძღოდა, მაგრამ ვერ გარკვეულიყო... მზერას არიდებდა ყველას. უხერხულად აიწურებოდა და თავჩაღუნული გაეცლებოდა იქაურობას. ხასიათი წაუხდა, იმ დღეებში ხშირად იხსენებდნენ ვიღაც ლომთათას. ასე ერქვა თურმე ბომბოს დედას. არავინ იცოდა, საიდან მოვიდა იგი ამ ეზოში. უშველებელი მეცხვარე ძალელი იყო ლომთათა. ახმახი, ჯოტის მუშტების სიმსხო თათები ჰქონია და ეს სახელიც მიტომ შეურქმეიეთ. ჯერ მისი მოშორება გადაუწყვეტიათ მეზობლებს, მაგრამ, ამა, რომელი ვიუკაცი გაბედავდა და გაუწყრებოდა ლომთათას. ვიღაცას უთქვამს, არაფერს გვიშავებს, გავუკეთოთ ერთი სადგომი ამ ეზოში და იყოს ჩვენი სახლების მცველიო, მარტო მაგის შესახედაობაც ეყოფათ ჯურღებსო. მაგრამ უმრავლესობა არ დაეთანხმა. ერთმა ისიც თქვა: მაგი, კაცო, მგლის ჯიშისა უნდა იყოს და ერთ დღეს რომელიმე ჩვენთაგანს გადასანსლავსო.

შემოდგომის მიწურულის ერთ წვიმიან ღამეს უცნობები შემოსულიყვნენ თურმე ეზოში. ლომთათა ფეხზწლად უთვალთვალებდა მათ. ერთი მათგანი ბნელ კუთხეში გაჩერდა, ორი კი სახლის საპარადო შესავლელში გაუჩინარდა. ლომთათა უსმაუროდ მიმეყვა მათ. მესამე სართულის ერთ-ერთ კარს მიადგნენ და ის იყო, ერთმა გასაღებების ასხმული ამოიღო, რომ ჭექა-ქუხილივით დაატყდათ თავს ლომთათას რისხვა. ამ გრგვინვას ფეხზე დაუუენებია მთელი სახლი. გარეთ გამოსულებს ახეთი ხურაათი გადაწლიათ თვალწინ: ლომთათას კუთხეში მიეყუჯა შიშისაგან აკანკალებული და მოთავებული ორი უცნობი და თვითონ მათ წინ დასკუპულიყო...

მეორე დღესვე აუშენეს მეზობლებმა ეს ხელა.

სამი ლექვი გასჩენოდა ლომთათას. ორი ვიღაცას წაუყვანია. ერთი დარჩენილა.

სწორედ ეს ერთი გახლდათ ჩვენი ბომბო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საოცარი ყოფილა იმ უშველებელი ძაღლის დედოფლისეული სინაზე. გაუწვიფოდა წინა თათებზე, დადებულ თავს და წულიანი თვალებით შესცქეროდა, როგორ თამაშობდა მისი ბუთხუზა შვილი. კაცი ვიკვეთი იყო და, გიგებედა ვინმეს აეკვანა ხელში. მაშინვე გამოექანებოდა საიდანღაც, წინა თათებს მძლავრად დაატკეცდა მკერდში და მიწას გააკრავდა.

ეშინოდა საბრალოს, ეს ერთადერთიც არ წამართვანო.

მაგრამ მოხდა პირიქით — ერთ დღეს გაკრა ლომთათა.

გაკრა ისეთე მოულოდნელად, როგორც გამოჩნდა...

ქალბატონი ინეზას გაკურდღვამ კვლავ გაახსენა მეზობლებს ლომთათა. თოვლწუნებიდან გადახედავდნენ ბომბოს და ამოოხვრით დაურთავდნენ:

— აბ, არა, ბატონო, არა! სად ეს და სად დედამისი...

ქომაგებიც ჰყავდა ბომბოს.

— ნათქვამია, კეიცი გვარზე ბტისო, აცალეთ ერთი, გაიზარდოს...

— კააი, თუ ძმა ხარ, — გესლიანად მოუკრიდა მას მეორე.

„ნეტავ კიდევ მოვიდოდნენ ის ქურდები, — ნატრობდა ბომბო, — ყველას დავუმტკიცებ, ყველას...“ — და თათებით იწმენდდა ცრემლებს.

გადიოდა დრო, ქურდები კი დაბრუნებას აღარ ფიქრობდნენ.

იზრდებოდა ბომბო. იზრდებოდა და სერიოზულდებოდა. ადარავის ემლანდებოდა ფეხებში. ბავშვებთან თამაშსაც უკლო თანდათან. ყველაზე ურწმუნოებიც კი აღიარებდნენ ახლა, რომ შვილი, არა მარტო შესახედაობით, ხასიათითაც ჭკავდა დედას... უცნობს თუ დაინახავდა, ვითომც აქ არაფერია, ალულ-ჩაუველლდა, ცხვირს ოდნავ შეაცმაცუნებდა და მაშინვე დაახკენდა, რა შვილიც ბრძანდებოდა, სამგრეოდ იყო მოსული თუ სასეანეოდ. ვაი, მისი ბრალი, თუ არ დაუჯდებოდა ჭკუაში... რას იზამდა? განსაკუთრებულს თითქოს არაფერს,.. ერთი, ერრრ-ო, შეუღრენდა. დიდი საქმეო, ფიქრობთ, ალბათ, ყველა ძაღლი იღრინებაო. კი, ბატონო, იღრინება, აბა, რას შვრება. ძაღლის ოვისებაა ღრენა, მაგრამ, აბა წარმოიდგინეთ ერთი, მიაბიჯეს არხეინად, ასე გაგონია, შენა ხარ, რაცა ხარ ამ ქვეყანაზე... უცებ, უშველებელი ქოფაკი დაეკიდებაა შენს წინ... არა, ქოფაკოცაა და ქოფაკიც. მაგრამ **მეცხვარის?!** იციო რა არის? გინახავთ? **კინში, ხომ?** კინში დინოზავრებსა და იხტოროზავრებსაც გვიჩვენებენ, მაგრამ უყრიან შენთვის **მშვიდად.** ცხიამოვნებს კიდევაც. მერე **გამოდიხარ გარეთ** და გაცხარებით უზიარებ შენს **ამხანაგს ანრს.** იციონ, ხორხოცები... უცებ!..

ღმერ-თოო! უშველებელი ქოფაკი დგას შენს წინ... ბალნიანი ტანი, ლომთა თათები, ხელდა თავი, მსხვილი კისერი, მრისხანე თვალები და თეთრი ეშვები!.. დგას და გიღრენს. რაკამ მაინცდამაინც მე? — გაიფიქრებ, და მაშინვე გაგახსენდება, რომ გუშინწინ რაღაც ჩაიდინე. ჰოდა, წახდები მთლად. მერე იმასაც თუ გაიხსენებ წეიგნებიდან, ნამდვილი ჯაშიერი ძაღლები ერთი შეხედვით რომ ცნობენ ავსა და კარგ კაცს, მგრისას, დღეში ჩავარდებიან!..

ახლა კი იმას გიიმბობთ, როგორ გადაჩენა ლოთობას ძია სერგო.

წარმოგიდგენიათ? ეერც გამოსაფიზოლებლებმა, ეერც სამსახურის უფროსებმა, ეერც ამხანაგურმა სასამართლოებმა, ეერც ოჯახმა... აი, ბომბომ კი აიღო და გამოასწორა. არა გჯერათ? კარგი ბიჭი იყო და შემობანცალებულიყო მთვრალი,.. ერთხანს ეშმაკობასაც მიმართა ძია სერგომ. ეზოს რომ მიუახლოვდებოდა, ძალას მოიკრებდა, წელში გასწორდებოდა და გამპრუფული ნაბიჯით შემოვიდოდა... ერთი ორჯერ გაუვდა კიდევაც, მერე კი მიუხვდა ბომბო და, ჰოი, ბიჭოო, იმას დღე აყარა სამი საათის განმავლობაში აკოული ჰყავდა კედელზე. თითსაც ვერ ანძრევდა ძია სერგო, გვიდრი რომ მოეფხანა. იდგა და თვალებიდან ღვარღვარა ცრემლებს აგორებდა. შეგროვდა მთელი ეზო... ეკოფა ახლაო, ეხვეწებიან ბომბოს, მეტს აღარ იზამსო. მაგრამ არაფრის გაგონება არ უნდა ბომბოს... ხანდახან შემოუღრენდა აქეთ: მომწყდით თავიდან, ჩემი საქმე მე ვიცი‌ო. საგონებელში ჩავარდა ხალხი. ეცოდებათ ძია სერგო. ნამდვილი ძალლია, ეგ მამაძაღლია, ამბობდნენ ერთნი, მეორენი კი — ამას ძალლი უნდა ერქვას, ზოგიერს კი ადამიანიო?! აბა, კაცო, აბა ყველას გვაჯობა, ყველას! — უდასტურებდნენ მათ სხვები: ვიღაცამ თქვა, მე ვიცი მაგის მუღამოო, გაიქცა შინ და ნამცხვარი გამოიტანა. ბაქლავი. მაღაზიაში რომ ყიდიან, ისეთი კი არა, ოჯახში გამომცხვარი, ნამდვილი აბაოული ბაქლავა! გიგემჩიათ? იციო, რა არის?! ბომბომ მაშინვე იყნოსა და მოიხედა. უნდა გენახათ, რა სახე ჰქონდა... მერე თვალები დახუჭა და ნერწყვი გადაყლაპა. ისიც ჭარმოიდგინა, რა გემრიელი იქნებოდა მერიგე ბებოს გამომცხვარი ბაქლავა და კინაღამ დაჰყვა ცდუნებას...

ეს უკვე მეტისმეტიაო, ამბობენ მეზობლები, რამდენ ხანს უნდა ჰყავდეს ასე, კედელს აწებებულიო. ძია სერგო კი დგას და აღვარღვარებს ცრემლებს, აღვარღვარებს და ეხვეწება: შენი ჭირიმე, ბიჭო, მაპატიე, მეტს აღარ ვიზამ... კაცი არა ხარ?!.. აღარ შემიძლია ასე დგომაო. როგორ ეხვეწებოდა ოთარ მამა გავიხსენებ, ახლაც მეოთვეზეა გული. ბომბოსაც ეცოდებოდა. გაგონიათ, არა? ხანდახან საცოდავად მოწყურავდა თვალებს და ჩვენ ვგრძნობდით.

იწვოდა, შიგნით იწვოდა... მაგრამ, რა ექნა, სიტყვა ჰქონდა მიცემული, ვაუკაცური სიტყვა...

მაგას ნატელი თუ მოაცილებსო... — გაუბედავად წარმოთქვა ვიღაცამ, და მაშინვე იხუვლეს მეზობლებმა. ეგ როგორ არ გაგვახსენდაო, შეიცხადეს და იხუვლეს ნატელის მოსაკვანად. ეძინა ნატელის. ტკბილად ეძინა. ლოგინიდან წამოაგდეს, თბილად ჩაიცვეს და გამოიყვანეს, აქეთ-იქით აცეცქედა თვალებს, ვერ გარკვეულიყო, რა სურდათ მისგან. ერთხმად უხსნიდა ყველა რაღაცას, როგორც კი გამოიყვანეს ეზოში, მაშინვე მიხვდა ყველაფერს. მივიდა და მოეფერა. ბომბომ ცხვირ-პირი ვაულოკა, მერე ერთი მოუხედა ძია სერგოს. და შეუღრინა უხმოდ, ისე, კბილები დაუკრიჭა მხოლოდ: კიდევ გაგიბედია და მე ვიცი!..

იმ დღის შემდეგ საფექრალი გაუნძალთ მეზობლებს — თვითონაც ველარ ეძალებოდნენ ღვინოს. თუ მაინც დალევდნენ, ფრთხილად შემოიძურწებოდნენ ეზოში და მხოლოდ საკუთარ სადარბაზოში ამოისუნთქვდნენ შვებით. დაიბოღმნენ ლოთიშფოთები. სამაგიეროდ მათი ცოლების სიხარულს არ ჰქონდა საზღვარი. ამა, რა იცოდა ბომბომ, ბოლო დროს რატომ გახდა ასე მრავალფეროვანი და კალორიული მისი ულუფა...

ზომ ცნობილია კატებისა და ძაღლების ტრადიციული მტრობა, ბომბომს ფეხებზე ეკიდა ეგ შენი ტრადიცია. საკმარისი იყო, წამოწოლილიყო სადმე, რომ მთელი იმ ეზოს კატები, ჭერი ბიჭოო! — რომელი რომელს დაასწრებდა მის ფუფფუსელ სხეულზე მოკალთებას. იყო შემთხვევებიც, ზედ ჩხუბიც კი მოსცლიათ იმ ინავარეს, ადგილის გამო, მაშინ ბომბო ერთს შეუღრენდა მისებურად და უმალ აღდგებოდა სამართლიანობა.

ნატელი ისევ უყვარდა გამოორჩევით. ადრე თუ გოგონა იცავდა მას აბეზარი ბიჭუნებისაგან, ახლა პირიქით იყო. თუ გაბედავდა და რომელიმე თავგასული აწუწინებდა ნატელის, გამოვარდებოდა საიდანღაც, გაკბარავდა გვერდს და აკოტრიალებდა მიწაზე.

ასე მიიწურა შემოდგომა და დადგა ცივი ზამთარი. თოვდა და თოვდა, თოვდა და თოვდა. პარკში ჭახანით ისლიჩიბოდა ხეების ტოტები და ბრაგუნით ცვიოდა ძირს მძიმე თოვლი. მერე ერთბაშად გადაიღო და ყინვები დაიჭირა. მზე ვერც კი ასწრებდა მკვრივი ზედაპირის გალხობას, ისე ჩასრიალდებოდა ჰორიზონტს იქით და ვარსკვლავებით მოჭიქული ცივი ბუმბათი გადმოემხობოდა დედამიწას.

ერთხელ, ადრიან დილით, ვიღაცამ იყვირა: საკვირველება, საკვირველება, ჩვენი ტბა გაყინულაო!

— დროული კაცი ვარ, ასეთი რამ ჩემს სიცოცხლეში არ მომსწრიაო, — მხრები აიწურა ბაბუა ალიმ.

— ვაშაა! — იყვირეს ბავშვებმა და, ტბისაკენ მოჰკურცხლეს. უკან შმობლებიც გაჰყოლიან. ლება მისდევდათ ონავრებს, არ გაბედოთ და ფეხი არ შედგათ ყინულზე, თორემ ჩატყდება და ჩაიხრჩობითო.

ბომბოც შეხტა ერთი ორჯერ და მათ გამოუდგა, მაგრამ უცეტ ნატელი გაახსენდა.

ნატელიმ ხტომა-ხტომით ჩამოათავა საფეხურები.

— დილა მშვიდობისა, ძვირფასო ბომბო! ბომბომ გვერდულად ახედა.

„რა საჭიროა ეგ ფამილარობა!"

— როგორ გეძინა წუწელ? ხომ არ შეგცივდა, ჰა? — ნატელიმ თავზე გადადუსვა ხელი. ბომბომ მხიარულად აკიცინა კუდი და დაიწკმუტუნა.

„ო, ეს სხვა ამბავია!" — სიამოვნებისაგან მოწკურა თვალები.

— ბომბო, ერთი შემომხედე... როგორ მოგწონს ჩემი ჩაცმულობა?

ბომბომ ყურადღებით შეათვალიერა გოგონა და თავი გადაიკან-გადმოიკანა.

ნატელის წითელი პალტო, ჩექმები და ხელთათმანები ეცვა. კუდიც წითელი ეხურა, ოღონდ ტალღასავით დაკლაკნილი ლურჯი ზოლით.

„ძალიან ლამაზი ხარ, მაგრამ... — ბომბომ ნატელის ხელში წითელ ბურთზე გადაიტანა მზერა, — ეგ რაღად გინდოდა? თოვლში ვინ თამაშობს ბურთს!"

— რა სულელი ხარ, ბომბორა, აი, რას ნიშნავს, რომ არ იცნობ მოდას! რა ფერისაც ტანზე გაცვია, ისეთი ფერის ჩანთა უნდა გეჭიროს. მაგრამ თუ ჩანთა სხვა ფერისაა, ფურნალი უნდა ჩადო შიგ ტანსაცმლის ფერი... შეიძლება წიგნიც დაიჭირო... რომ არ ვარგოდეს ის წიგნი? მაგას რა მნიშვნელობა აქვს! ახლა ხომ გაიგე? ჰოდა, რაკი არც ჩანთა და არც წიგნი არა მაქვს წითელი, ბურთი დავიჭირე... ხომ კეკვიანურად მოვიქეცი?

ბომბომ დაამოწმარა.

„რა სულელები ხართ გოგოები!"

— ერთი შენც! — განაწყენდა ნატელი, — არაფერი გესმის... ან საიდან გეცოდინება, ერთი და იგივე გაცვია მუდამ. მაინც, რა საშინელებაა, მთელი სიცოცხლე ერთ ტანსაცმელში ბაგატარო... რას აცმაცუნებ მაგ ცხვირს?! აბა, იყოსხე, არა?

„ძლივს არ მიხვედი?"

ნატელიმ ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო და გაშალა.

— აი, ძეხვი, პური მიატანე, შე ღორმუცელავ, თორემ რა გაგიძლებს! რამბელი ხარ მაინც, უფ! კიდევ უნდა გაიზარდო?

„ჭერ სადა ხარ!"

— მე კი მგონია, აღარაა საჭირო. მაინც ვერავინ მოგერევა და... მერე კიდევ უფრო ღორმუცელი გახდები...

უცებ მთ გოგონების ჯგუფმა ჩაუტიხინა.

— ნატული, ჩვენი ტბა გაუინულა! წავიდეთ, ვნახოთ, ნატულაიი!..

— მოვ-დი-ვაარ!... წავიდეთ, ბომბო.

„ეი, ბატონო, წავიდეთ!..“

ბომბომ უკვე იცოდა, რას ნიშნავდა გაუინული ტბა. იმ დილაადრიან ერთიორჯერ შემოურბინა მას. ვერა და ვერ გიგგი, სად წასულიყო იმნელა წყალი. ვიღაცამ მოზრდილი ქვა დაიბალა ზედაპირს ძალთმად. ყინული ჯერ დაიბზარა, ზოგიერთი ავდომობილის მინასავით, მერე წყალმა ამოხეთქა.

„აი, რაში ყოფილა საქმე!“ — გაიფიქრა ბომბომ და შინისაკენ მოუსვა.

ბომბო ნენ მიუძღოდა ბავშვებს. ყველაზე უკან, გაყინული თოვლის ღრმა კვალში, აცაბაცად მიაბჯენდა ნატული. სულ წითელი ეცვა და თავისი ბურთით მზესავით ბრწყინავდა თეთრით დაფარულ სივრცეში.

მალე პარკში შევიდნენ და მათ წინ საოცარი სურათი გადაეშალა: ახლად ამოსული მზის სხივებზე ათასფერ მარგალიტად ციაკებდა ყინულით დაფარული ტბის ზედაპირი. ბავშვებს გოოცების შეძახილები ალმოხდათ.

— რა ლამაზია, დეე-დაა! რა ლამაზია! — ყვიროდა ნატული და ერთ ადგილზე ხტოდა, — ნეტავ, სულ ასეთი იქნებოდეს ჩვენი ტბა.

გოგონებთან გოჩა და ზურა მივიდნენ. გოჩა ცამეტისა იყო, ზურა — თერთმეტის.

გოჩა ეზოს ფეხბურთელებს სული და გული იყო.

— ნატული, მათხოვე რა, შენი ბურთი, — თხოვა ზურიკომ.

— ახლა ბურთი რად გინდა?

— ისე...

ნატულმა გაუწოდა. ზურამ — ერთი, ორიო და მოიქნა,.. ბურთი რამდენჯერმე შეხტა და გაგორდა... კი არ გაგორდა, გაცურდა ყინულზე.

— აი, ხომ გითხარი, არ ჩატყდება-მეთქი, — წარმოსთქვა გოჩამ.

— ჩემი ბურთი! — იყვირა ნატულიმ და, სანამ ვინმე გამოერკვეოდა, ტბის ზედაპირზე მიფრინავდა...

— ნატული, დაბრუნდი... ნატული! — ყვიროდნენ ბავშვები. გოჩასა და ზურას ფერი დაჰკრგოდათ. ზურა ტირილს აპირებდა. ნატული კი წითელ პეპელასავით მიფარფატებდა ხელებგაშლილი და მისდევდა ყინულზე მოცურავე წითელ ბურთს.

ერთი ორჯერ შეჰყეფა ბომბომ და იქ მყოფთ ერუანტელმა დაუარათ ტანში. თვით ლომთათისაც არ ჰქონდა ასეთი ხმა... ერთი ნახტომით ნაპირთან გაჩნდა, კიდევ შეჰყმუვლა ყინულით დაფარულ სივრცეს და გოგონას გამოუდგა.

— მიდი, ბომბო, მიდიიი! — უყვიროდნენ და ამხნევებდნენ მას ბავშვები. ბომბოს, ალბ, რა გამხნევება სჭირდებოდა, მაგრამ ბოლოს სიამოვნებდა ეს ხმები. საკუთარ სიმაღლეზე გრძნობდა და ფრთხილად მირბოდა თხელ ყინულზე. რამდენიმე ნაბიჯიდა იყო დარჩენილი მთ შორის და, ბომბომ შეჰყეფა. გოგონამ მოიხედა, უცებ ჩაიბორძიკა და ხაკდომით დაეცა ზედაპირზე. ყინული ჩაიზნიქა... გოგონას წივილს ნაპირიდან ქალის ხმა შეუერთდა.

„ნატულის დედიკოა“, — გაიფიქრა ბომბომ და იმავე წამს პალტოს ხაელის ჩაავლო პირი.

ნატული წელს ქვეკეთი წყალში ფარფახალებდა. ფრთხილად ეწეოდა მას ყინულზე გაწოლილი ბომბო, თან ყურადღებას ბაბავდა, მის ქვეშაც თუ ჩაიზნიქებოდა ყინული, სხვა მხარეს გადაჩოჩებულიყო.

„ცოტაც მოითმინე, ჩემო ნატული,.. ნუ ახსნბარტალებ, ნუ ახსნბარტალებ მაგ ფეხებს!“.

ნაპირზე სუნთქვა შეჩკვროდათ, ერთ ქანდაკებად ქცეულიყო ყველა.

„ცოტაც და...“

აი, შედგა ნატული! შიშისაგან და სიცივისაგან გაფშვნეზოდა ხანა. ბომბომ ერთი შეულრინა და თავით უბიძგა ნაპირისაკენ.

— ნაა-ტუუ-ლიიი... ნაა-ტუუ-ლიიიი!.. — მოესმა ძახილი ნაპირიდან და გოგონა ახლა მიხვდა მთელ საშიშროებას. ფრთხილად გადადგა ნაბიჯი, მერე მეორეც, მესამეც, და გაიქცა...

„გადარჩა, გადარჩა ნატული!...“ — გაიფიქრა ბომბომ, სიხარულისაგან შეჰყეფა და შეიკუნტრუშა ჰაერში... ჰაერშივე იგრძნო თავისი შეცდომა, მაგრამ უკვე გვიანი იყო...

დაეშვა თუ არა, მაშინვე გაიტაცუნა ყინულმა და ბომბო ცივ წყალში აფართხალდა.

„ეს რა სისულელეე მომივიდა!..“

წინა თათებით დაეტჯინა ყინულს.

ნაპირს უახლოვდებოდა ნატული.

„გადარჩა!“

უკანა ფეხზეი ძალუმად მოიქნია წყალში და ტანი სანაბეეროდ ამოზიდა ზედაპირზე. ერთი ორად დამძიმებული ეჩვენა თავი. ცოტა შეიცადა, კიდევ მოიქნია...

ერთბაშად ჩატყდა ყინული...

ვიღაც კაცი ნაპირთან იდგა და ხელებგაშლილი ელოდა გოგონას, რაღაცას ყვიროდა, მაგრამ ბომბომდე ვეღარ აღწევდა მისი ხმა.

„ნატულის მამაა“.

ყინული ჩაიზნიქა, ნაბზარებში იხუვნა წყალმა...

ბომბომ დაიწყმუტუნა... ხასოწარკვეთილება ჩაედგომოდა თვალებში...

კაცმა პალტო შემოაბვია გოგონას, გიეკვით აიტაცა, გულში ჩიკრა და აირბინა დამრეცით.

რამდენიმე წამში დაცარიელდა ხანაპირი.

ჩამსხვრეული ყინულის ნატეხებს შორის სულ უფრო და უფრო იშვიათად ჩნდებოდა და სულდობდა წყლის პატარ-პატარა ბუშტულები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი ჭიჭინაძე

●

ვის უნდა გავუმხილო ამოდენა,
ეხ, ამოდენა გულის ნადები...
იმხელა ზამთარი ჩამოდგება,
სულს ვეღარ მოითქვამენ ჭადრები.

და მერე გავხდები ყოველ დილით
დიდი საოდაობის შემყურე —
ქარი როგორ ჩამოყრის ფოთლებივით
ხიდან ფრთებგათოშილ ბეღურებს.

ძველი ბუხარი

მე მაგონდება ბუხარი ძველი,
ჩვენი ბუხარი მამაპაპური.
ქილაზე ჯამით კრაჭუნა ყველი
ღა მჭადის კვერი ღველფში ჩაფლული.
თითქოსდა მესმის ატირებული,
ახლადნაპობი შეშის ტკაცანი.
იქ ნასახლარზე ისევ მეგულვის
ჩემი ბავშვობის კერის ნაცარი.

ფანჯრის მინაზე გვირილა კვდება,
რა ნაადრევი სუსხი დამდგარა!
და გაფრენილ ჩიტს — ნაზ მოგონებას
კუშტად გასცქერის ბნელი ფანჯარა.
ჩამქრალა ცეცხლი, ფრთალაღი წლები
და, დაქანცულ გულს რაღა უხარის...
იმ ლამაზ ღღეთა არდავიწყების
ფიქრში კვლავ ბჟუტავს ძველი ბუხარი.

წვიმა

ღრუბელთან ერთად ლამაზი,
ჟუჟუნა წვიმა მოვიდა.
მცხეთა, დიდუბე, ვარაზის
ხევი ნაცრისფრად მობინდა.
კი არ მოვიდა, მოფრინდა
და, რომ გვეგონა ლამაზი,

თურმე ცრემლები ყოფილა
ცბიერი მათუსალასი.
შორიდან, ძლიერ შორიდან
ჟუჟუნა წვიმა მოვიდა...
ხეებს ეკიდა ფოთოლი,
ვით დაძენძილი ფალასი.

●

...ეს ის იყოო! — იტყვიან ასე,
— პატარებისთვის რომ წერდა ლექსებს
ჭიანჭველაზე, რწყილზე და ყვავზე...
ზოგს საქილიკოდ ეყოფა ესეც.
იქნება მყუდრო საღამოს ქამი,
სარკმელთან მთვარე ჩაიღიმილებს...
და სადღაც ცრემლად მოწყდებათ წამი
ჩემს ნაზ დობილებს — მინდვრის
გვირილებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიწრო ბილიკით სოფლის
ფართო შარაზე გახვალ,
შრიალა ხეებს,
  გზის ნაპირზე რომ დგანან მიჯრით,
გახედავ ლაღად და თუმც ისე
ჭარმაგი არ ხარ,
მაინც გგონია, ძლიერ გშვენის
  ნაბიჯი დინჯი.

●

რად აიმღვრა უწმინდესი ტბა, რად?
ვინ დალეწა ოცნებები ხვალის?
ეს ცხოვრება ისე გაიპარა,
როგორც პეშვში მომწყვდეული
  წყალი...
და ვიგონებ მცხეთის მწკანე კარავს,
მაღალ ხეებს როგორ მიწვდა ხავსი.
სიყვარული არ ყოფილა, არა!
იყო რაღაც სიყვარულის მსგავსი;
სვეტიცხოვლის ზარი ჰქუხდა მაღლა,
ძირს კი ეშმა ჯადოვნებით სავსე
უგზოუკვლოდ მოგვიხმობდა სადღაც;
რომ სიბილწის გაგვეტეხა ნავსი.
რადგან გუშამდა სიმარტოვის სევდა
და მე მქონდა სახე დარდიმანდის,

მაგრამ ზოგს გული
სიბერეშიც ბავშვურად უცემს
და შენც ამიტომ ამ ახალ როლს
  ვეღარ ეჩვევი...
ხალხისგან თავს რომ გაირიდებ,
  შეხტები უცებ
და ხეს შეაცლი მწიფე ნაყოფს
  კენტად შერჩენილს.

ბოროტ ქალაქს გავურბოდით ერთად
და სამსალადქცეულ შარპათს
  ვსვამდით...
მერე ღრუბლებს ტყე იკრებდა ჯარად,
ჩვენ ვხარობდით თუმცა მნათის
  ჩასვლით,
სიყვარული ეს არ იყო, არა!
იყო რაღაც სიყვარულის მსგავსი.
და დღეს, როცა წუხილს ვეღარ ვფარავ,
გულს მჩხვლეტს ეჭვი, ვით ხანჯალი
  ბასრი.
„სიყვარული თუ არ იყო, არა,
არც ცხოვრება არ ყოფილა, არა:
იყო რაღაც, რაღაც ამის მსგავსი...“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელგუჯა ჯიქია

●

ის გაზაფხულის ხეივანში მიაბიჯებდა
და წაატხა ტოტი ალუბალს,
ისე მშვიდად და ისე უბრალოდ,
თითქოსდა იმ ტოტს მთელი ზამთარი
ყვავილობაზე არ ეოცნებოს,
ან ჩასახული ნაყოფის ფეთქვა
არ მოესმინოს თბილ სხეულიდან.

●

ვიბრძოდით სარფთან
და მკლავები გაღმა დავყარეთ,
გვეუცხოება მარჯვენები ჩვენი
სხეულის.
— „არ გავთათრდებით!“ —
საშობაოდ ტაო მახარებს,
ნატაძრალები მეჩეთებად გადაქცეულნი.
ვიბრძოდით სარფთან
და მკლავები გაღმა დავყარეთ,
შემოგვბღავიან მარჯვენები ჩვენი
სხეულის.

ხმა ბაბილონთან

გეტკიოდა ერთად,
გვციოდა ერთად,
ერთად ვიღებდით ვარდსა და გუნდას.
ვჩნდებოდით ერთად,
ვკვდებოდით ერთად,
რადგან ერთმანეთს ვეძებდით მუდამ.
ვეძებდით წყალში,
ვეძებდით ცაში,
ვეძებდით ცეცხლში,
ვეძებდით კენაში.
და მაინც სრულად
და მაინც სრულად
გპოვებდი ჩემში,
მპოვებდი შენში,
და მონეტებზე როს მშვიდი სახე
ჟამმა შეცვალა მკაცრი პროფილით,
ჩვენ გამოგვლიჯეს ერთმანეთიდან
და როგორც ძუძუს ახალშობილი
დავეძებთ ისე,
დავეძებთ ისე
ერთმანეთს ნისლში, უკუნში, ბნელში,
ის პროფილები გვიქრობენ სანთლებს
და ხმლების ვადებს გვაჩრიან ხელში.
დაგვიყვეს ცაც და დაგვიყვეს მიწაც
ალაჰად, ბუდად, იესო ქრისტედ
მაინც ერთმანეთს,
მაინც ერთმანეთს,
მაინც ერთმანეთს დავეძებთ ისევ.

●

მიწაში სძინავს ჩემს ძველ ქალაქებს.
ციხის ნარღვევი მიწით კი არა
მიწადქცეული მეომრებით დაფარულია.
კოშკის ნანგრევებს ძველ ბილიკისთვის
გაუტეხია თავი გველივით,
და კუდს აკ იქნევს
ალმა-დალმა სოფლებისაკენ,
მხოლოდ ტურისტულ ბაზამდე გდია
მისი სხმარტალა ტანის ნაწილი —
გამოფიტული მზით, ქარებით
და უდარდელი ნაფეხურებით...
მიწაში სძინავს
ჩემს ძველ ქალაქებს.

●

ავეფარები ცრემლების ლოლოს,
ლექსები ისევ იწვევს გულიდან.
ქარი მიაფრენ ხელ ბილო ფოთოლს,
თითქოს, ტყეს [illegible] ამოუვიდა.
რამ გამახსენა ეგვ[illegible]ტე ახლა,
გამიტანია თითქოს ღელო შინ.
წვიმს.
გული ისევ მისტირის (რა ჰქნას)
ნამამელუქარს საქართველოში.
წვიმს.
რაღაც მქეჯნის ამ ცის წინაშე.
წარსული ზურგებს მოწყენით უმზერს...
ვით მტრების მიწა, —
ქართველ ვაჟკაცებს
უცხო დალალი გვაყრია გულზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლემისჯილი*

რომანი

უბედურების წინათვრძნობა მაფა ჭალიძოსხეს ენინ ანთარიას ჩამოსვლამდე ორი წლით ადრე დაეუფლა. ქალს არ უნდოდა დანიშნულის ღალატი ერწმუნა, მაგრამ სატრფოს წერილი შაგრენის ტყავივით დღითი დღე ილეოდა. თუ წინათ ფურცლებიდან ბადაგი წვეთავდა. მიჯნურის ხმაში თანდათან გულგრილობამ, განსჯამ დაისადგურა და კარჩაკეტილ კუნძულზე მცხოვრები ასულიც ბარათების ხასიათს უნებურად შეურიგდა.

დიახ! საფიცარის წერილი შაგრენის ტყავივით მცირდებოდა. სათქმელს თავიდან ათ გვერდზე გაჭირვებით რომ ატევდა, საუბარი ნელინელ გაუმჯობესდა. ხელწერასაც რაღაცნაირი ზერელობა დაეტყო. გაქრა ოდინდელი სისადავეც.

ენინ ანთარიას ძმები სარძლოს ყოველკვირა ნახულობდნენ. ნაბოლარას წაბლისფერ კვიცს მოჰგკრიდნენ, რომელსაც ამორძალი სატრფიალო ტრიფების ძირას ჩაიყვანდა. დაბანდა, ძუაფაფარს დაუვარცხნიდა, ჭკვიანურ თვალებს დაუკოცნიდა. შუკა-შუკა დაესერინებდა.

— შარვლიანების საქმესთან შენ რა ხელი გაქვს, თოლიგე?! — ტუქსავდა წარამარა მოხელეთებულს — დედაკაცის დაწყობილი ქვეყანა სმენილა ჯერეთ?! ეს რკინის დროება ეშმაკის მოგონილია, შემოგევლე. აკენის რწევა და თითისტარის ტრიალია ჩვენი ყისმათი. მერე და, დანიშნული ხარ, დედა გენაცვალოს, ქალის სახელის სიწმინდეს კი ისეთივე მოფრთხილება სჭირდება, როგორც ცეცხლზე შემოგმულ რძეს — არიგებდა დამტირებელ გოგოს, თუმცა ლაღად გაზრდილი ქალწული არას დაგიდევდა.

— თქვენ გადამირეეთ ანგელოზი ბავშვი — წამდაუწუმ აქვესკნელებდა უფროს ვაჟიშვილებს ლისა კაკკონიძე. ცხოლოდ წითურწვერა ვახა ილურსებოდა. ის დროთა ცვლილებას შორიდან შეჰყურებდა. წყალნი წაელენ და წამოვლენ, ქვეშანი დარჩებიანო, გულთმისნობდა ყველ კარდუნიას სიტყვებით. სიძედ მოკიდებამდე ტყუილად როდი ამბობდა მასზე სახალხო მთქმელი: ნემსს მიაბნევს და ნაჯახს მოხსნის, თუ რაიმეს დაუკარგავ — ქვეყანას შეგიყრისო.

— ღმერთი შეგაჩვენებთ, ღმერთი — ასამარებდა დედის სადარდებლით ახთახითებულ ძმებს ლისა კაკკონიძე — ვინ გაქცევია საკუთარ ბუნებას, შენ რომ გიქცევ, შურიგე?! ყოველ გრძელთმიანს ერთი გაგება დაატარებს. ფუძის მოვლა ჰქვია ამ ბედისწერას. სამაკაცო საქმეებს დაეხსენ! დაპრუნდება ის ნასწავლი ბიჭი და ტყე-ღრეში ხეტიალს, იცოდე, არ გაპატრეს — იტყოდა, რის შემდეგ დამჭკნარი ხელისგულით ცრემლებს მოიწურავდა. ცხოვრებისეული გამოცდილება აიძულებდა მდედრისთვის შეუფერებელი ქცევები დაეგმო. ასულისთვის ყაბალახიანთა საკეთებელი შეეჯავრებინა, მაგრამ მაფა დაუამდებოდა. თვალებს ამოუკოცნიდა, ჟაკარდულ თავშალს გადახდიდა და

* ახალგაზრდა მწერალმა გური ფეტელავამ, რომელიც ალკა ცენტრალური კომიტეტის მიერ მივლინებული იყო დასავლეთ საქართველოში, წარმოადგინა რომანი, — ვბეჭდავთ საეურნალო ვარიანტს.

სლეჭვა-ფერება-ვარცხნაში განაიარაღებდა.

ჟინი ანთარიას უკანასკნელი წერილი გახას ქალიშვილს მარტის მიწურულს მოუვიდა. დანიშნული ორიოდე სიტყვით სასწავლებლის დამთავრებას და რამდენიმე კვირაში ჩამოსვლას იტყობინებენოდა.

ჰალიძონიები სასიძოს აქამდეც მოელოდნენ, თუმცა ნანატრმა ცნობამ ისინი უფრო დაიფაცურა. მდუღრავდნენ ავეჯს. აპრილადნენ კარ-ფანჯრებს. ამზეურებდნენ ქვეშაგებს, საბნებს. შეყვარებულის მოლოდინით მოქანცულ დედოფალს საპატარძლო კაბას უკერავდნენ.

ოდაბადელი ყმაწვილები ნაყანაწი სიმინდის ღეროებს აგროვებდნენ. კვეკვეს ბორანთან ახვავებდნენ, რათა უცხოეთში ნასწავლ ძეს ზარ-ზეიმით დახვედროდნენ. ყველ კარდუხიას ჩონგურის ღუღუნში ათენებდნენ და აღამებდნენ. რჩეული ზვილის მოლოდინში იქ სადილობდნენ, იქ ვახშობდნენ.

პარასკევ საღამოს კოცონების ბრიალმა და მხიარულმა შეძახილებმა ნაწნავიანს ნანდაურის დაბრუნება ამცნო.

— ჯანმრთელობა ჟინი ანთარიას! გამოავლება ჟინი ანთარიას! — გუგუნებდა გაბრდღვიალებული ხაბოსთავი.

შეაბიჯა თუ არა ბორანზე გადაკარგულმა მემკვიდრემ, მუხლები აუცახცახდა. ჭიაკოკონების შუქზე მდინარე ნარბენალი ცხენის ზურგივით ლაპლაპებდა. ცეროდენა მეეტლე, ხოთო ჭენიოხია, უმისობისას დაკოჭლებული ძმისშვილი ჭოფია და კიდევ ათიოდე ტიტლიანა მალხაზი, ფანერის კასრებს თუ ღვედით შეკრულ ჩემოდნებს კისრისტეხით დაარბენინებდნენ.

ჟინი ანთარიას რატომღაც მოეჩვენა, თითქოს სატანჯოს წყეული ჯორო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექვსივე სამაზლო ნაშუადღევსღა ეწვია სარძლოს.

— ღვინომ აწყინა და უქეიფოდ შეიქმნა ჩვენი ძმა — მოუბოდიშეს ნაბოლარას სანაცვლოდ. ახლა კი მაფა ჩალიძონხეშ ყური დაუხშო დედის წიწმატობას. ანთარიებს აედევნა.

აფორიაქებულმა ასულმა მორღვეული სხეული კიბეებზე ძლივს იატანა. სახლიულები გზას უთმობდნენ.

სარეცელზე მწოლს გაფითრებული თითები მკერდზე დაეწყო.

— მაფა! — ესღა წამოილუღლუღა დანიშნულმა. უკეთ ქალიშვილი ამას ტუჩების მოძრაობამ მიახვედრა, თორემ ხელსახოცით შუბლწაკრულს ყელიდან ხმა არც აღმოხდომია. მაფამ მაინც აჯობა ჯვარდაუწერელ მამაკაცთან აშკარა ალერსის შიშს. უკვე გულამომჯდარისთვის ენინ ანთარიას გარდა, არავინ არსებობდა. მომზხვევებული ვაჟიც, ყველასგან სასიხარულოდ, მკერდში იკრავდა სანატრელ და სველ უპებს ხელისგულით უმშრალებდა.

— ნურაფრის გეშინია, ჩემო! — ამშვიდებდა.

მესამე დღეს ნაბოლარა მოკეთდა, თუმცა ოდესღაც ხალისიანი უცხოეთს გადაესხვაფერებინა. შეკაზმულ წაბლს ურმის თვლებით დალიანდაგებულ შუკაში წარუძღვებოდა. სიმაღლეში აღვის ხესავით წასულს, ევრთპულად შემოსილს, უბადრუკი ეზოებიდან ეგებებოდნენ ბავშატატებული ქალები და ჭრელპერანგიანი კაცები. წელშემოღუნულები ჭირისა და ლხინის გაზიარებას სთხოვდნენ, ღარიბულ ჭერქვეშ შეიპატიჟებდნენ, მაგრამ თავჩაკიდული ჭაბუკი ყველას და ყველაფერს გაეცლებოდა. არც ეს უქონლობა ანაღვლებდა, არც — ჭიშკართან დადარაჯებული ჭანჭყორობი და კოღო ანოფელესი.

სატრფიალო ტრიიფებთან განმარტოვებულს, კრილ სილაზე წკირით უცნაური ფიგურები გამოჰყავდა.

საწუთრო გასაყარ სკასავით დუღდა. ჯიგარამოცლილი ენინ გრძნობდა, რომ სამშობლო მალე სასაკლაოდ იქცეოდა. აქაურ ვითარებაზე ომის მდგომარეობა ტყუილად როდი წინასწარმეტყველებდა, მაგრამ ქვირითისმყრელი ორაგულის მსგავსად, მაინც საბავეს მიაშურა.

ენინ ანთარია ორმაგ სიკვდილს ებრძოდა — ათაშანგის მარწუხებით დადარაჯებულს და ზოგადსაკაცობრიოს, რომელიც ხვალ-ზეგ ნათესავს მოყვარესთან შეაჯახებდა. პირქუშ ჭოხმახებს და ჯარგვალიებს შეარყევდა. ხოდაბუნებს მახლობელთა სისხლით გადარეცხდა და ტყვიების წვიანი დაადფეთებდა ცხენების გალაღებულ რემას. ლერწამტანა ასულებს შეარცხვენდნენ. ვინც დღესვე არ დაიჩოქებს, მეტ განთიადს ვერ იხილავსო, უმტკიცებდა თავისთავს. არადა, „უკვდავების ღირსს“ ქარბორბალა მოყვითალო სულს უფხოჭნიდა. ავადმყოფობას მოეთავებინა. დაეყოვებინა, დაებრმავებინა ახლანდელ საწუხარს. კი, ქვეყნისთვის, სამართლიანობისთვის გააჩინეს გიმი ტაბარენნმ ენინ ანთარიამ, კი, თავდადებულთვის ააფხიანეს ექვნი ყანის გამომხშირავმა ძმებმა. რომლებთანაც ოფლის წკანწკარში ბევრჯერ დაუგუგუნებიათ ყველ კარდუხიას სიმღერა:

ჰა, მშვილდი და ჰა, ისარი
ლარი დაწყდეს ლამის არი,
ჰაპის იყო, დღეს ჩემია,
როგორც შვილი მამის არი.
ჰა, მშვილდი და ჰა, ისარი,
ლარი დაწყდეს ლამის არი,
ჩვენ ვინ მოგვეკა გასაწირი,
საქართველო საფიცარი!
ჰა, მშვილდი და ჰა, ისარი,
ლარი დაწყდეს ლამის არი,
ორგულია? ძმაც რომ იყოს
ქორწილის დღეს მიეს ფარი!
ჰა, მშვილდი და ჰა, ისარი,
ლარი დაწყდეს ლამის არი...

დემონურ განგებას ამაოდ ებრძოდა. ოდაბადელები ამ სიფერმკრთალეს დრე სამშობლოს უნახობას აბრალებდნენ, მაგრამ როცა შუკაში მხრებ-ჩამოყრილი წახტეიალდა, მერე როდესაც ცინგლიან ბალღებს ყანისპირა მიწები აჩიჩქნინა, თანაც ჭიანჭველებით სავსე ფანერის ცილინდრული ყუთებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკან აიღევნა, კუნძული რაღაც ავის მოლოდინში გაირინდა.

მაფა ჰალიძონხე გრძნობდა, უხილავი ძალა სატრფოს რომ ართმევდა. დაე, ეს მოწინააღმდეგე ქერათმიანი ქალი ნუ იქნება, დანარჩენს ყველაფერს ეშველებაო, ფიქრობდა ამიტომაც უჩინარი მტრის კლანჭებიდან ძვირფასი ადამიანის გამოსახსნელად შეუძლებელს ახერხებდა. მოსალოდნელ შერცხვენასაც შეურიგდა. მიჯნურს სატრფიალო ნაკადულის პირას, ძეწნების შრიალში მიაკითხა.

გავიდა პირველი კვირა, მეორე, მესამე და ჟინი ანთარიას საქორწილო ჩოხა-ახალუხი როგორც იქნა გასრულდა. ყვავილებით რთავდნენ სეფას. სიყვარულის მალამო ნასწავლ ძეს საცაა გაბარწყინებსო, ამბობდნენ.

— მამულის ჰავა და წყალი წელზე მახვილს შემოარტყმევინებსო — ირწმუნებოდნენ, გარდაქმნილის ფიქრებში კი ასი მორევი და ორი იმდენი დანაკუწებული თალხი დაჭროდა.

ბინდისფერი ენგურის პირას ჩამოჯდებოდა. ფრუტუნებდა სადავეწაყრილი ცხენი, მაგრამ მისთვის არ ეცალა ეილაჯო პატრონს — ულრანებიდან გაბარჯღული ხეების შორის გასიგრძეგანეგული ლანდი ხმობდა. იქით ყვავი მიყრანტალებდა. მძორის სუნი მძაფრობდა. დიახ! ბნელ ძალას მოეხელთებინა. დაიხვიხვინებდა მხედრის მუხლებს მონატრებული წაბლა. უზანგს ირონიით შეავლებდა თვალს. ხან უმისამართოდ უბნიდან უბანში გადადიოდა. ფეხდაფეხ მოსდევდა აღვირდათრეული თოხარიკი. თანასოფლელების მოსალმება ძარღვსაც არ აუტოკებდა და როცა აყაყანებულ ბრბოს გაუსწორდებოდა, ყველაფერი ძიედნებაო, ვიდრე ხვალო, დომხალიო, ბუტბუტებდა საზოგადოებისთვის გაურკვეველს და ხშირად ჩხუბის მოწადინე საშაროს ჩხრეკდა.

ზოგჯერ სულ სხვა იყო. თვალები უბრწყინებდნენ. შთაგონება ჩამოშორდებოდა. ქალს ცხენზე შესვამდა. თვითონაც ფიცხლად მოახტებოდა და ხელად ჰალიძონიების მბზინვარე ეზოსთან გაჩნდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიგებებული ლისა კაკაწინიე დანიშნულებს თავზე ხელს შემოავლებდა სათითაოდ.

კაცები ნარდს მიუჩოჩდებოდნენ. ქვეყნის მომავალზე მასლაათობდნენ, მაგრამ მაფას მათთვის არ ეთმობოდა ჟინი. ხელკავს გამოსდებდა. ზალაში შეიყვანდა. გაყვითლებულ სურათებსა და წერილებს ანახებდა.

ნაბოლარას ხიბლავდა საკუთარი ბარათების ხმამაღლა კითხვა, მათში ჩაქსოვილი გარდასული თრთოლვა და ენერგია. ქალიშვილის შუსხნებულ ყმაწვილობის წლებს კი რატომღაც წაუყრუებდა. სიტყვას ბანზე აუგდებდა. საფრანგეთიდან ჩამოყვანილ ტყის წითურ ჭიანჭველებზე ესაუბრებოდა. აღგზნებულ ორატორს თვალები უფართოვდებოდა. ხელების ქნევით ლათინურ ანდაზებს იშველიებდა. გერმანულად და ფრანგულად მათ მომრავლებაზე ოცნებობდა. თითქოს კოლნეთის ტყეებს განადგურებისგან მხოლოდ ისინი იხსნიდნენ. ელვარე სახით უხსნიდა ჭიანჭველების გასაოცარ ქცევებს, მათი მიკროცივილიზაციის ათას წვრილმანს. მაფა ჰალიძონხეს აბრუებდა დანიშნულის აზროვნების სიღრმე და სირთულე.

— არაფრით ვჯობივართ ჭიანჭველებს, — იტყოდა ოხვრით, — არც მათ აკლიათ მონები და მუქთახორები. ისე კი, ცნობისთვის, უმეტეს ოჯახში, სამი ჯურის ჭიანჭველა ცხოვრობს. ესენია: გამრავლების უუნარო მუშები, რომლებიც შესაფური არქიტექტურული ნიჭიერებით აშენებენ გიგანტურ სასახლეებს, აგროვებენ საკვებს, ზრდიან ბარტყებს. მათ მოსდევს, უფრთო კვერცხმდებელი დედოფლები და, ბოლოს, ჭიანჭველეთის მშვენება — მრგვალ-ბოლოიანი მდედრები და მახვილბოლოიანი მამრები. ამათ მუშები განსაკუთრებული მზრუნველობით კვებავენ. რჩეული წყვილი პროპორციებში მალე გაუსწრებს დანარჩენ ყარტაყურტას. ხოლო ბუნების გამოღვიძებისთანავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხდება დაუჯერებელი სასწაული — უწყინარ ჭინაწველას ღვთაებრივი ფრთები გამოუვა. გამობზუილდებიან მერე ფრთოსნები, ჰაერში შეერწყმიან ერთმანეთს. სასიცოცხლო ძალებისგან გამოცლილი მამალი სულს განუტევს, თაფლობის წუთიდან ჩამონარცხებულ დედალს კი მუშები ფრთებს გადაულრღნიან, გააჩვეულებრივებენ.

მოუთხრობდა ვილერის, ლუკასის, შლაპინის, რუზსკის საკვირველ მონოგრაფიებზე. ესაუბრებოდა სიფრიფანა-ფრთიანთა სარგებლიანობაზე, თუ ბალახის რამდენი თესლი მიმოჰქონდათ, რამდენ მაგნე მწერს ანადგურებდნენ და ლაპარაკში მერმისზე სახუგეშოს არაფრისდიდებით გამოიმეტებდა.

ბევრჯერ გადაბრუნებულა ქალიშვილის სასთუმალქვეშ ცრემლით დასველებული ბალიში. არათუ თვითონ, მთელი სოფელი ხედავდა ჭაბუკის გადასხვაფერებას, რასაც უმეტესწილად წოგნებს აბრალებდნენ და წელში გამწყდარ ნაბოლარას თვალს სინანულით გააყოლებდნენ.

მაფა ყოველნაირად ცდილობდა გარდაქმნილის ფიქრებში შეჭრას, მაგრამ შეეკარებულს საკუთარი თავისა და საქმის გარდა არაფერი ახსოდა, არც — დედ-მამა, არც სატრფო, არც სასაკლაოდ ქცეული ქვეყანა თუ საკასავით დანჯღრეული სამშობლო; სამგიეროდ კოლტის მიერ დანგრეულ ჭინაწველების ახოსპირა ბუდეებს ისე მისტიროდა, თითქოს სამზეო ბიბლიურ წარღვნას მოეშთო.

მაფა ჯვარის დაწერასაც ამისთვის ჩქარობდა, ვინაიდან ღრმად სწამდა, მეგობარს სავალალო მდგომარეობიდან რამენაირად დაიხსნდა.

მეცნიერი ხან რას იმიზეზებდა, ხან — რას, მაგრამ დანიშნულის დაყინებამ თავისი გაიტანა და ქორწილამდე ორი კვირით ადრე გასაჭირი გაუმჟღავნა.

— წელიწადნახევარი იწურება, რაც უკურნელი სენი მჭირს, — ეუბნებოდა სიმორცხვისგან წამონთებული ვაჟი, — სიმართლეს მოითხოვ და ბარემ დაუფარავად გეტყვი. რამდენიმე ვადა სიცოცხლე დამრჩენია. არაფერს ვაზვიადებ. მამალი ათაშანგი ილე ტუპერკულიოზზე საშიშ ავადმყოფობად ითვლება. მასთან თვით ერლიხის სალვარსანიც კი უძლურია. ადამიანს ჯერ შიგნეული გამოუხრავს წყეული, გამრავლების უნარს წაართმევს, მერე ცხვირპირს წაჭამს და დასასრულ, გაგვრანებულს ან გიჟის ხალთის მოასხამს ან კიდევ უსაძაგლესად მოაკვდინებს.

ისედაც ძარღვებაშლილ ასულს გამხელილმა თავზარი დასცა, თუმცა არაფერი დაიტყო. ტუჩებზე ღიმილი მოიხშირა. შინაგანად გმირობისთვის განემზადა. დღეიდან მის სიყვარულს მკაცრი გამოცდა ელოდა. რჩეულს უეცყმანოდ მხარში ამოუდგა. მედეას სიბრძნით ცხებული, უეშველად მოგარჩენო, შეჭპირდა და, თუ მაინცდამაინც საშველი გაწყდა შენს წუხილსა და ტკივილს წარბშეუხრელად გავიზიარებო, დაანუგეშა.

— ჩემი ფრთოსანი ჭინაწველა ხარ შენ! — უთხრა ნიკაპათრთოლებულმა ჭაბუკმა. ქალიშვილი არც გულგახსნილის ქუთუთოებიდან მომწყდარ ცრემლებს შეუშინდა. იმწუთას ყველაფერს გასწირავდა ჟინისთვის, სანათესაოსაც, საადამიანოსაც კი, ოღონდ ანთარიას ადრინდელივით წელგამართულს ევლო.

საქორწილო სიმღერა-თამაშში, ჯვარდაწერილების თავზე ხურდა ფულის კორიანტელი, თეფშების ქუსლებით დამსხვრევა, გაუთავებელი მოლოცვები თუ მაფა ჰალიძონხეს სიახლოვე, ნაუცხოეთარს აშკარად აღიზიანებდა. ანგარიშმიუცემლად მომავალის მარმარილოსგან ნათალი სახე სავულისხმო ვარამს დაენაცრა. მართლაც, ნეფეს ეს ბედნიერება აოხშივრებულ ქვაბებთან მოსუნსულე ძაღლებზე ნაკლებად უხაროდა. უფრო მეტიც, საქმროდ დაყოლიებულს ტაშ-ფანდურა მთელი არსებით შეზარდა.

მაინც რა ძალა აქვს ქალის ცრემლებს? გაიფიქრა ყდალჩოხიანმა და ჰალიძონხეს შუბლი უნებურად მკერდზე მიიუტა.

პატარძლის კაბის ლამუნში შეცურებული ჟინი ანთარია თანდათან შერცხვენის შიშს სჯაბნდა. ავისმქნელთა შემფარებელ სატანჯოს უმიზნებდა, საითკენ ჩიტიც უფრთხის ფრენასო, ვინ იცის უცხოეთში გამგზავრებამდე რამდენგზის სმენია მხცოვანი ოდაბადელებისგან. ყრმობისდროინდელი წარმოდგენების შესაფერისად იქ სიკვდილის ანფორით მეფობდა ხაბოდან ხაბოზე მხტომელი ბეერი ვაჟაცის წამხდენი ჰაერი, მაგრამ ვინც ერთხელ მიეკედლებოდა და დამყაყებულ არეებს სულს მოაწამვლინებდა, მიიჩნდათ, თითქოს ბედისწერის ზღვარს გადაბიჯებდა, აუდღენელ ნანინატს აისრულებდა.

უმცროსი ანთარია ჯორამების ბინადარს არასდროს შეყრია, თუმცა ათიმთიმებული სნება კალაპოტს თავისით ეძებდა. შიშისმგვერი აკლდამებისკენ მიწრიტავდა.

ჟინის ცნობიერებაში საკრწყლო სუფრა მეყვსეულად უდაბურ ტყედ იქცა. მაკისსიმსხო ბინულები მოხშირდა. ცას ფერები გაუნაზდა და თუ აკამდე შეყვარებული, სამშობლო, ძმები რაღაცეულ მაინც ბოჰავდნენ, თუ წყალწყლებულის მსგავსად ნავსს ეპოტინებოდა, საერთო მხიარულებით გარემოსილს, ამჯერად სისხლი მოაწვა თვალებში. გონებაარეულმა პატარძლის მკლავი უდიერად მოიცილა. მაგიდის ქთქთა გადასაფარებელს წაეტანა და ჰურ-მარილი მიწაზე ჩამოხეული. არეული ნაბიჯებით მოშორდა ეზოს, დაფეთებულ მეზობლებს, ნათესავებს.

— სით საფიცარო? — მიაქვითინა გაქცეულს სასოწარკვეთილმა დედოფალმა — ქორწილის დღეს ძაღებს მაცმევ, თოლიგე? — ზღვაური ახანგრძლივებდა ამ ხმას — სხვა თუ გიყვარდა, მე რას მერჩოდი?! — მეუღლეს სახელი რომ არ გატეხვოდა არარსებული მეტოქეც მოიშველია.

მაყრიონნი ფეხზე ღრიანცელით აიშალა. ძაღლები აყმუვლდნენ.

მაფას ნისლისფერი კაბა ქარში უფარფატებდა. მერე ნაბოლარას შეშლა-სიფითრე ასულსაც გადაედო. [1] ცრემლი შეაშრა და პატარძალი იქითკენ გაქანდა, სადაც ლტოლვილი მორევს ეკონებოდა. აბობოქრებულ მდინარეში გადასაშვებად გამზადებული ხაბოსთავზე შეკრებილებმა გაკაჰვეს.

— ვაჯა, ჟინი ანთარიაშენ! ვაჯა, ჟინი ანთარიაშენ! — ბღაოდნენ ძმები და უღრმესი მწუხარების ნიშნად ფართო-ფართო შუბლებზე ხელისგულებს დაუზოგავად იცემდნენ.

შემდეგ დღეს კვირა მოჰყვა და კვირას თვე, მაგრამ ჟინი ანთარიას თვალწინ სულ ის ხაბო უტრიალებდა, სულ ის ცეცხლი წვავდა, ყურებში გამუდმებით სულ ის ბღავილი ჩაესმოდა.

ჩემი სიცოცხლე რითი უნდა სჯობდეს ზეზეულად ჩამოღვენილ სანთელსო, — ფიქრობდა იმწუთას უარყოფილი პატარძალი და მაინც სასწაულს ელოდა. ზებუნებრივ ძალებს უხმობდა, რაც შეუყვარებელს მოუტრენელი ავადმყოფობისგან დაახსნევინებდა.

უკვე დედის შეგონებისგან საბოლოოდ გათავისუფლებული ამორძალი ჟინი ანთარიას წაბლაზე ამხედრდა. ზურგსუკან ხალხი აალაპარაკა. ნაირნაირი კაბები გასასჩუქრა. საქელმოქმედო საქმეებს მოეკიდა.

უბედურება ოდაბადეში აქამდეც ბოგინებდა, მაგრამ მალე სიდუხჭირე უფრო თვალშისაცემი შეიქმნა. ყოველ გათენებას და შედამებას ახალ-ახალი სიავე მოჰყვა. ვის ჯარგვალი დაეწვა, ვის მეწყერმა სარჩო-საბადებელი წაართვა. მოხშირდა ქურდობა, ძარცვა, მკვლელობა, რასაც წესისამებრ ნოეს ნაბოლარა ბიჭის თახლირ დაბრუნებას აბრალებდნენ და მართლაც, გუშინწინ, გუშინ წალკოტი სოფელი, სადაც აღმოცენებას ფოთოლცვენა გადაწვნოდა და მწიფობას — ჭკნობა, დღითი დღე გადაგვარდა.

მდინარის ნაპირების დამბებითა და

1. ვაი, შერცხვენილი ჟინი ანთარიას თავს (მეგრ.)

ჯგირებით გამაგრებას სწორედ იმხანად წარუძღვა უმი კეკრცხის მყლაპავი გახა ჰალიძონია, წითურწვერა და ხმაწვრილი, ქვისგან ქვის გამომღები, ქოსატყუილა ბაჩაჩიას ძე, ენატანია დუდას შვილიშვილი. გახა ჰალიძონია — ნათესავთან შემცოდე და კიდევ ვინ იცის, რა სანაქებო ღირსებით ცხებული.

ენგურს კალაპოტში ამწყვდევდნენ, ბოჭავდნენ, უკუაქცევდნენ.

რიყეზე ჩაქჩაქმა აი, მაშინ გადაუყვლიფა მუხლისთავები ნოე ანთარიას ოცუღელ ხარ-კამეჩს. დაუზოგავმა შოლტის ტყლაშუნმა ჩაკურატებულებს ნეკნები დასათვლელად გამოუჩინა. სადღეღამისო ტკირთმა ნალამძრალი ჩლიქები წაუხდინა, სათითაოდ წაადრო და სალესზე შავტარიანი დანაც აფხიანდა.

შეამხანაგებულმა შრომამ პირველად იმკვირას დასაქმა ძორგო ჭანია. სიქაგაცლილი ძველებურად ოხუნჯობდა. აქა-იქ კუნტა თუბალიას ძაღლისგან ცოფნაკვრავიც გაიქლიკებდა, მაგრამ მთლიანად გამაგრებული სანაპიროს ხილვა მოუგვიანდა — სისხლის ღებნებით აღსრულა.

იმ დღეებში ტვირთის უკმურმა თრევამ წელი მოსწყვიტა ბიკი კარდუხიას. აუტანელმა ტკივილმა სახე მოუქცია, ძარღვები დაუბერა. სკაკაცეთი შინისკენ წასვენებულს მაჯა გადაუხსნეს, მაგრამ რას უშველიდნენ?! ნოე ანთარიას ხარ-კამეჩების ტოლისდამდებს ტანჯვით ამოერთვა უცოდველი სული.

ყრუ-მუნჯი დების მოამაგე აუია აბშილახეს სახადი ხომ სწორედ იმ დროს შეეყარა. სოფლელებმა ავადმყოფი დროულად მოიშორეს თავიდან. რამდენიმე ოდამადელმა კვეკვეს ბორანამდე მიაცილა. ბოხრით ხმიადი მიართვეს.

— სატანჯოში წადი, იქნებ რინამისაჯებულმა[1] რამე გიშველოს — უთხრეს.

ბედის ანაბარა მიტოვებული ივლისის დამდეგს ფერსავსე მობრუნდა, მაგრამ მალე მუცელიც დაუმრგვალდა და ყურწვეტიანი ბიჭი გააჩინა. საცოდავს კურთხეული დედობა არ დასცალდა[illegible] მდუღარეგადასხმული ყვინჩილას მაგვარმა პატარამ, როგორც კი ფეხი აიდგა, აუიას ჯერ ღრძილები დაუჩირქდა, შემდეგ ზედა ტუჩის მარჯვენა კუთხე მოსძვრა, სულ ბოლოს სენმა ცხვირი ხტილიანად წაუჭამა და დასასრულ, ენგურმა უშველა უსასოოს.

საერთო საქმეს იმხანობას დაუსლტა ვითომმოავადმყოფებული ნირგა თუბალია. სულთამბრძოლავი ნახევარძმის ღამისმთეველი კოლი კარდუხიას ბაგადან ზაქებითურთ მეწველი კამეჩები გამოდენა. მდინარეს ფონი მოუძებნა და საქონელი ჭურიის გზას გაუყენა.

წვიმებისგან შემკრთალებულ ნაკვალევს ნათხოვარი ჯაგლაგით დილაუთენია დაედევნა დაზარალებული კოლი. ჭორომებთან დაეწია ქურდს. მდევარმა ცხენი ყალაზე შეაყენა და მოქნეული წალი ოთხფეხს თეთრ შუბლზე ისეთი სიძლიერით მიეხთქვნა, ძვალშიერეჯობილი ფოლადის ტარი ხელიდან გაუსლიპნდა. ზნემრუდმა ხელად ტყლაპოებს მიაშურა, მაგრამ ზღვისპირი ხოშხოშა ქვებს მოეფინა და ცხვირპირგასისხლიანებული ჭაობში დანთქა. ჩქარა წალდიც პატრონს მიაყოლა. ოდაბადეში კამეჩებიანად მობრუნება არ იქნებაო, დასაკვნა. ზღვისპირა მეათე სოფელში სარფინად გაყიდა და ის ფული წელიწადზე მეტს მალა, ვიდრე დაქვრივებულმა რძალმა ბედაურის სანაცვლო არ მოსთხოვა. კუნძულის გამაგრებასაც იმშაბათს მორჩნენ.

უკვე თითოეული ოდაბადელი გახა ჰალიძონიას მზეს ფიცულობდა. რამდენადაც ანთარიები დამდაბლდნენ ხალხის თვალში, იმდენით ამაღლდნენ ჰალიძონიები. უბედურებასა და მანკიერებას ვინ ჩიოდა, თუ სადმე რომელიმე უნებლიეთ წაბორძიკდებოდა, ისიც სიცოცხლემისჯილს მიეთვალა. ნასწავლი ჭაბუკის გაბედითებამ ბნელში მოზეიმე ბოროტებას ბორკილები ახსნა. ყოველი უხამსი და ბილწი ნაბოლარას გაქცევით გაბათილდა.

---

1 სიცოცხლემისჯილი (მეგრ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე კი არა, ჟინი ანთარია შეცდა — თავს იმართლებდა დამნაშავე.

მერე იყო და მოუოლდნელმა დიდთოვლობამ უმეტეს ოდაბადელს ჭერი ჩამოუქცია. ნამქერმა ლეიბებში გაჟონა. პირტტეველი ყრმები და ჭარმაგები, ანთარიები და კარდუხიები, ჭანები და აბშილები, თუბალიები და მშუქიები ერთსულოვნად დაირაზმნენ. ამაგრებდნენ კუნწუხოებსა და ნივნივებს, დასახეტები შუადღემდე დასუფთავეს. გადასახური მწუხრამდე გადაყავრეს.

ხელგამოღებულთა გამასპინძლება ცალთვალა კუნტა თუბალიამ იკისრა. წუწურაქის ეულუხვობას იკვირვებდნენ. ალბათ, გაჭირვებამ თუ მოარჯულაო, გადაულაპარაკებდნენ ერთმანეთს. სვამდნენ შემოთავაზებულ ორნახად არაყს და ილხენდნენ ასე. მერე ერთგან კოლი კარდუხიამ ხურვსუკან ჩაცუცქულ მგლისფერ ძაღლებს გახრული ძვალი გადაუგდო, თან გვერდითმჯდომი ქვაფუ ანთარია მიახედა.

— დატკბი წუპარკუნტას ნამარხუოლევ ქოფაკთა ღრიანცელით — გადაუჩურჩულა, თუმცა ნურას უკაცრავად. ნაგაზებმა ატალახებულ თოვლს თვალი აარიდეს, ყელები შემართეს და ტანში დამბურძგლავად, შეთქმულივით აყმუვლდნენ. მალე ბავშვების ერიამუღიე ატყდა და ოდის აივნის მოხვეტილ ლაფაროსთან ჯანდუ თუბალიამ კალათიდან ძაღლთა კბილებდაკრეჭილი თავები გადმოყარა.

ჯოჯოხეთიც მაშინ დატრიალდა. სტუმრებს პირისაქმება აუტყდათ, მოლიპულ კიბეებზე ცურებდოდნენ. არად აგდებდნენ ჯუნტა თუბალიას გაუჩინარებულ ძმაზე დაფიცებას. ყურს უხშობდნენ ქვითინგარეული მუდარას, რათა უცოდველი კაცის სინდის-ნამუსი დაენღოთ.

— გონს მოდით, ოდაბადელებო — ხლუქუნებდა ძმადაკარგული — ნუთუ ვერა ცნობთ ჟინი ანთარიას შემოჩენებულ სისაძაგლეს?! — იპოვა გასასამართლებელი საბუთი ძაღლების მოშშენებელმა. აქ კი თუბალიების დამაქცევრის მწუეველს რინამისაჯებულს ძმებმა იმდენი უბათქუნეს, კინაღამ ჯალი თვალიც დაუფსეს. ძლივს ამოათქმევინეს სიმართლე.

— ძაღლებს თუ ეამრავლებ სახორცედ კი არა, ტყავისთვის — ზმუკუნებდა კუნტა თუბალია — ერთი ძუკნის ნაშიერივით სულ ნაცრისფერები რომ შეეყარე, ტყუილად განა?! საკმარისია თავი წაალო და ხარაზი კი არა გამოცდილი მონადირე ვერ გაარჩევს მგლისგან.

დაწინაურებულნი კი მიბარბაცებდნენ გაკვალულ თოვლში. სწყევლიდნენ მიწას, რომელმაც ასეთი გველაძუა შობა. და მართლაც, თითქოს ნატვრა ახდომიათო, პირქუში ღამით ენგური აბობაქრდა. წყალდიდობამ ბევრის ფუძე მოშალა. სოფელი სიდუხჭირეში ჩაეფლო.

მაფა ჰალეძონნეს ვერაფრით აეხნა. ძორგო ჭანიას ფათერაკს ჟინის რისთვის აბრალებდნენ. ბორანთან შეკრებილ ხალხში ენაგადმოგდებულ ძაღლს რაღა მაინცდამაინც იმ ცოდვისშვილმა შეუქნია ფეხიო, წუხდა. რისთვის სწყევლიან, ლუკმას რისთვის აყვედრიანო, დარდობდა. ნეტავ ვის რა ესაქმება ნოეს ფულებს მეცნიერებას შეალევდა თუ მეძავებს?! — ჭიანჭველების შესასწავლად რაღა გერმანიაში და საფრანგეთში მიდიოდა, ცოტაა ოდაბადეში? — ამასაც იტყოდნენ. მოგვიანებით, როცა ცხოვრება უფრო და უფრო გაჭირდა, მოსახლეობამ გახელებულ ძმებს ვალი მოსთხოვა. ზოგმა მაურის გაწეული ხარჯი მანეთად აქცია, მაგრამ ანთარიებს არაფერი დაუშურებიათ. ნაბარი ზუგდიდის მაზრაში წარკეკს და ჩალის ფასად გაყიდული კამეჩების თანხიდან ყველას კუთვნილზე ათმაგად მეტი მიაშავეს.

ჟინის საქციელით „ხერხემალში გადამსხვრეული“ ანთარიები ძმის დანაშაულის გამოსყიდვას ყოველნაირად ცდილობდნენ. დაუოჯახებლად ბერდებოდნენ. მომეტებული გულკეთილობით სირცხვილის ჩამობანას ლამობდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ საერთოდ, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, სოფელი ნაბოლარას გატეხილ სახელს არ უმრთელებდა. პირიქით, შეხორცების ნაცვლად ჭრილობას ულრმავებდა.

მოხუცი მამის სიკვდილიც გზასაცდენილ მემკვიდრეს დასწამეს. მისი ქალაფშუტობა რომ არა, საწყალი ნოე ახლაც ცოცხალი იქნებოდაო, ცხადია, ამას მაფას ზურგსუკან, ანთარიებისგან უჩუმრად ამბობდნენ, მაგრამ ღირსებაშერყეულ საკვარეულოს უწყინარი გადაჩუჩჩულებაც კი ათას ეჭვს აღუძრავდა, ბაგეს აკვნეტინებდა და კვეკვეს ოზურგეთელ ცოლს რაღაცნაირად გამართლებდით, როცა ქმარს ოღონდ აქაურობას მომაშორე და სიკვდილამდე შენი მონა ვიქნებიო რომ ეჩიჩინებოდა გამუდმებით. მხოლოდ ქალიშვილს სწამდა — უცხოეთის ცხოვრებით ჭაუაარეული კაცი იმკურნალებდა, გამოჯანსაღდებოდა და უანგარო საქმეებით წახდენილ სახელს აღიდგენდა.

მაფას ვერაფრით გაეგო, მის სწორფერს რას ემართლებოდნენ კაპასა რძალი თუ აქამდე მეხვაშიადე მამიდა, ცუოუ ჰალიძონხე. ოჯახკურთხეულს ყინი ნომ არ შესჩენია, გინდა თუ არა ოცდუთიანი ლოდი ასწიეო?! ამოიჩემა ცხონებულმა, ქარი გაუტარა და კიდეც ხერხემალი გადაიმსხვრია. საოცარი ის იყო, ადრე მოკინკლაეებმა პირი რომ შეკრეს და ანთარიებს წყეევლა-კრულვა შეუთვალეს.

— ეს რა უბედურება ჩამოჰყვა ზარწყმედილს — ზეზეულად გლოვობდნენ იმედგადაწურულ გოლიათს.

აუია აბშილავას მოლოგინებამ ასე თუ ისე ყინი ანთარიას შინაგანი ხრიოკი მდგომარეობა გამოამჟღავნა, მაგრამ ნატიფარის ალსრულებამ „ორშაბათს დაწყეევლილი ნარძლევი“ ძირისძირამდე დაარწმუნა სათაყვანებელი ადამიანი, თუ რა მოსაზრებით განრიდებოდა. აღმოჩენამ ისევაც სულზე უტკბესი ახლა მთლად ღვთაებრივი შუქით შემოსა.

რინამისაჯებულს აბრალებდნენ ნირგა თუბალიას გაუჩინარება-დაკარგვას, მისი უფროსი ძმის ძაღლის ხორცგამართულ პურ-მარილს, ხანდაზმული მამისა და ბიჭი კარდუხიის სიკვდილს. ერთი სიტყვით, დღემდე გადახდენილს თუ აწმოსალოდნელსაც.

სულ რაღაც სამიოდე წლის წინ ბნრებში ამაყად გაშლილი ანთარიები ლანდებს დაემსგავსენ. იხტიბარს მხოლოდ შერცხვენილი პატარძალი არ იტეხდა. მისთვის ყინი ისეთივე სპეტაკი დარჩა, როგორიც ყმაწვილობიდან ახსოვდა, მაფას გულისთვის ენგურის დინების შემჩერებელი და ვარსკვლავების ციდან ჩამომწყვეტელი. ოდაბადელებს ჭკუის დამრიგებლად ჯერ კიდევ ყველ კარდუხია ჰყავდათ, მაგრამ წვრილმანებს გახაც განჩხრეკდა.

ბაჩაჩიას სულის ცხონებას, გაგვაგებინე ერთი, აგრერიგად რას უნდა დაეჩაგრა შენი სიძეკაცი, სუსუნატს თუ პარიეელი ქალის სიყვარულს? — ჩაეძიებოდნენ და ისიც მაშინათვე გაურკვეველი გამომეტყველებით თავს გაკვიცინებდა.

— ნემსისოდენა ჭუჭრუტანაში ერთი ურემი სიცივე შემოვა — მოიშველიებდა ნასესხებ სიბრძნეს. ამით ცხონებისმოყვარეებს ქარაგმულად მიახვედრებდა, რომ ეტყობა ის ჭია ყინი ანთარიას სულს მანამდეც ღრღნიდა, უცხოეთმა მხოლოდ დაჩქარა მისი გამოაშკარავებაო.

კუნძულელებსა და რინამისჯილს შორის ენგურივით მიგრილებდა სიძულვილი. არადა, მაფას, ერთი მხრივ, ქალური სიამაყე, ცალკერძ — ადათწესი ბოჭავდა ჰორომებში გამოდევნებოდა ადამიანს, რომელსაც მხარში ამოდგომა განსაკუთრებით ახლა ესაჭიროებოდა. ოჯახს რაღაც თხუთმეტიოდე ვერსით მოშორებული, დახმარების მოლოდინში ზეზეულად ილეოდა.

დროებაც უფრორე სასტიკდებოდა. ცხრასოცდაერთიდან მოყოლებული გახშირდა სოფელ-სოფელ თარეში. სჯიდნენ ხალხის მტერის ბრალდებით კომუნისტებს, მათ მფარველებსა და გულშემატკივრებს. ქალწულებს ნამუსს

ხდიდნენ. მერე და ნანატრი დღეც მოვიდა. რახანია ბოლშევიკებმა კრემლს თბილისის თავზე წითელი დროშის აფრიალება უდებეშეს, თუმცა ზღვისპირეთი ჯერ კიდევ ცეცხლის ალში ირჯებოდა.

ერთხელ ჟინი ანთარია ელლიანში დევნილ ჯარისკაცებს წაადგა. ჭობს შერკინებულები აღშურვილობას იმსუბუქებდნენ, შაშხანებსაც ელეოდნენ, არც ცხენების წამილწეულ ძუაზე წაბლაუჭებას თაკილობდნენ, ოღონდ ულმობელი ჭორომისგან თავი რამენაირად დაეღწიონ.

ხედავდა ჟინი ანთარია არეულ ფერს და აღნაგობას. ესმოდა ერთმანეთში ათქვეფილი გერმანულ-ფრანგულ-ინგლისურ-რუსულ-ქართულ-მეგრული.

რინამისაჯებელმა რაზმის სამხედრო ზრახვებს წაუყრუა. დაუყუჩდა მდევრებს თუ დევნილებს. თვალი მოარიდა მათი ლტოლვის მიმართულებას, მიზანს, იმასაც — საქართველოს ნანატრი თავისუფლება ეწადათ თუ ევროპული ხუნდით დაბეჩავება; რომელი ჭარბობდა, მტერი თუ მოყვარე. მოკლედ, ოთოგორც ბოგანოს წყალსა და ხმიადს მიაწოდებდნენ ხოლმე, იმგვარად შეეხმიანა ლელქაშიდან ამომტკაცლებულებს. მშობლიურ ენაზე გაესაუბრა თითოეულს. მთავარ ძალებს მოწყვეტილი ასეული სატანჯოში შეიფარა. პური ეწილადა. შებინდდა თუ არა, ბაწარიკით გაბმული ხედრობა ჭორომში აიდევნა. თავს შარში იხვევდა, მაგრამ ადამის ნაშიერის გასაჭირი მხნეობას მატებდა. ვიდრე ჟინი ანთარია დუმმორეულ მდინარეში შეცურდებოდა, განსაცდელში მყოფნი ერთხელაც დაითანხმა, რომ მოსახლეობას არას აენებდნენ.

გაბურძგნული ბიძის მოულოდნელმა გამოჩენამ ჭოფიას ენა წაართვა. აქა-იქ მამის შემცველმა მშველელს მაშინდა უხმო, როდესაც ახსნილ ბორანს დინება მიეძალა.

ბურანიდან გამორკვეული სოფელი დაფრთხა, მხოლოდ ანთარიები არ დაბნეულან, ერთმანეთს ერთგულება შეჰფიცეს.

— მოკვდეთ და სასირცხეილო ძმის წამოყვანილ მტერს დედა ვუტიროთ — ამ სიტყვებით იბაგუნეს და იბაგუნეს მკერდში მუშტები. ოდაბადელებმა კი მხარში ამოდგომის ნაცვლად, თავიანთი ძმის წახდენილი საქმე თვითონ გამოასწორონო, თქვეს და ლაჩრული ბუნების დასაფარავად იარაღსხმულებს ზურგი შეაქციეს.

როცა კუნძულიდან ბათქა-ბუთქი ატყდა, ბორანზე ასულმა მხედრობამ ჟინისთვის მიცემული პატიოსანი სიტყვა მყისვე დაივიწყა და მალე იქაურობა ცეცხლშენთებული მელიის სოროს დაემსგავსა.

ქვითინებდა გამეცმის და მოღალატის ბრალდებით დათოფილი მეგზური. მკლავგადამსხვრეული სისხლისფრად ხედავდა ცხენებითა და ჯარისკაცებით გავსებულ ბორანს. ამოიგმინებდა ნავში ჩამძვრალი მხედარი. კვნესა, ჭიხვინი, ტყვეების წუილი და ობახიანი ესეც შენ ძაღლისგაგდებულო! ერთმანეთში აირია. გაღმა ნაპირიდან ქალები კიოდნენ. დაჭრილები და საღსალამათნი ცხენებიანად მდინარეში ცვიოდნენ. ჩქარა მომხდურის კუდაპრეხილი მერნები ფრუტუნ-ჭიხვინით კუნძულს აშკარად მიეძალნენ. მთავრემ ვერცხლისფერი ღრუბლები ჩამოიშორა, ცისკიდურზე გადაგორდა და ხაბო გაანახსნა.

გაწბილებული ჟინი ანთარია აშკარად ამჩნევდა ბევრისმომსწრე ჭადართან წელგამართულ ძმებს. ენგურში გადახტომისა და გაქცევის მაგივრად, მხოლოდ ჩვენ, ანთარიების ჯილაგისანი გესლოდით ძაღლისგადგებულებოო, უყიოდნენ ირიშზე გადმოსულებს და აქვე ტყვიაგამოლეული თოფის კონდახებს დაუზოგავად უხაოქუნებდნენ. ტალახშიჩაჩოქილი ხედავდა მობარბაცე ღვიძლებს: ორი ვაჟიშვილის მამას, კვეკვეს და უმცროსი ძმის ბედნიერებისთვის გაუხარელი ჯოვამას, ქვაფუს, ბათაყვას, ბაბუშს და ჩოქოლს, გვემულებს, მაგრამ თავაწეულებს.

— ანთარიები ვართ ჩვენ! — აცხადებდნენ ამაყად. თან დამტყვეევებლებს წარამარა მკედართა სულებს უხსენებდნენ და ბრძანებას დამორჩილებულმა ზათქმა წამით ქვეყანას ენგურის არსებობა შეახსენა. მერე ორღობედან ზედიზედ ჰალიძონხეს შაშხანიდან გამომტყორალმა ტყვიამ „თავისუფალი საქართველოს ოფიცრობას“ ტაიჭისთვის დეზი აკვრევინა.

მეორე თუ მესამე დღეს გონზე მოსულმა ლერწმოვანებიდან უთვალთვალა ძმების დამარხვაა. თმაგაშლილი გმი ტიბარენხე გასუდრულ ვაეიშვილებს სისხლ-ხორცისგან გაწირულ არამხუტუებს უწოდებდა. ძმებზე უსაყვარლეს ქორ-შავარდნებს არქმევდა დალალების მწყაზარი მაფა. ზარით ეთხოვებოდნენ თავდადებულებს. სოფელი გულფოლადებს სასაფლაოსაკენ მოშორებით, გმირთა საკადრისად მარხავდა.

მის ძილს ყორნები დაპყრანტალებდნენ. ძმების სისხლიანი ხელები პოტნილა. ენითუთქმელი ქარტეხილები და ბორანივით დაძრული აკლდამები სულს უხუთავდა.

წყალს გადასხამდნენ აღმუვლებულს. ხრჩოლავდა კოცონი. მერე ბუჩქი შექანავდებოდა და სამარხებიდან ძილგამკრთალი კეთროვანთა ბრბო აიმართებოდა. ათაშანგით ტუჩმოჭმულები გაწყდომამდე მილეულ მაჯებს უწვდიდნენ. გოწურართმეულს სატანჯოს ათი კვირის წინ შემოკედლებული ხახანტი მაკრონია მიუალერსებდა.

ბორნის მოშორებით მარმარილოს სვეტების აღმართვას, მაფა ჰალიძონხე თავდაყირა დამდგარ წუთისოფელს აბრალებდა. მიჯნურსაც და თავისთავსაც ამ ულმობელი გეენას მსხვერპლს უწოდებდა, მაგრამ სოფელი თავისით ჭრიდა და კერავდა. წამხდარი ეამის ბრალია ყოველივე, სწორედ იმან გაწირვინა ძმები ძმასაო, ფიქრობდა მაფა გულში, მაგრამ ხმამაღლა თქმას როგორ გაბედავდა.

— გასანთლული თოკი ყელზე გამოვაბათ, აკლდამებიდან გამოვათრიოთ ... ეს სეტაკ საფლავებს ზვარაკად შეწიროთ -- აგურიანებდნენ თაქარიან ჯეელებს ოდაბადელები.

— ნეტავი, რა შეეცლმა შობა ერთი უხსენებელი და ექვსი ანგელოზი?

ასეც იტყოდნენ. მაფა ჰალიძონხე კი შეყვარებულის საქციელს ადრინდელივით გრძნობით ზომავდა. ბატრიალებულ უბედურებას ნაწილობრივ სამაზლოებსაც აბრალებდა. თუ კარგები იყვნენ თანასოფლელების ხელგამართვა რაღა მაინდადამაინც ენინ სატანჯოში გადაკარგვის შემდეგ იწყესო, კითხულობდა. გასაქცევი გზის მთხოვნელ მტერს ხალხისთვის რა უნდა ევნო, მაგრამ მათთან შეწინაღმდეგებით ანთარიები ნაბოლარა ძმის სამუდამო დაღუპვას ლამობდნენ, აკი, საწადელიც აისრულესო, სჯიდა და უნამუსოდ ივიწყებდა ოტებულ რაზმს ამორძალივით რომ მიჰკიოდა.

ოდაბადესავით სატანჯოსაც კუნძული ეთქმოდა, ოღონდ განსხვავებით, კაცის სიმაღლის ლელიანი და დაუსრულებელი ჭაობი გარემოიცავდა. უცნაური წყლის ფრინველები მანათობელს სინესხამდან ეხმიანებოდნენ. ... ბარტყებს უჩიკდნენ.

როგორც კი მწირი სადგომიდან გამობობდებოდა, კეთროვანებიც სახეებს მაშინათვე მუხლებში ჩამალავდნენ. საკუთარი სიმახინჯე-სიბეჩავესი რეხვენოდათ, მაგრამ მერე და მერე მოუშინაურდნენ.

სამკურნალო მცენარეების სიკეთენი რინამისაჯებულს ზედმიწევნით ესწავლა, ახლა კი მათი შემოწმების საშუალებაც მიეცა.

ავზნიანსა და კრუნჩხვებიანს კონნოს ნაყენი შეასვა; ცოდ-ცხელებით შეპყრობილს ასისთავას ხსნარი გაასინჯა; ცოფიანი ძაღლის დაკბენილი ლენცოფას ნახარში ჩააცეცხლა; ქანცგაწყვეტილებს შავგოორგას ძირხვენების წვენი უწოლადა. იპუტებოდა შემოგარენში რძიარძია და მატიტელა, ლემა და კულმუხო, ოშოშა და მრავალძარღვა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოლოქა და ჭინჭარი, რომლებიც კურნავდნენ სიყვითლეს, წყალმანკს, ბრონქიალურ ასთმას, ნიკრისის ქარებს, წყლულებს, ათაშანგს.

დავრდომილები ანთარიას წამალს უკვდავების წყაროსავით ეწოფებოდნენ და „საცდელ მასალას“ ყინი ანთარიაც დოზას უძლიერებდა. იცოდა, ასეთი დანაშაულისათვის არავინ დასჯიდა. ცხადია, ისინიც ფეხდაფეხ დაჰყვებოდნენ. მეცნიერი კაცი გაგვიქცევაო, შიშობდნენ და ამდენად, წაუყვებოდნენ. ითმენდნენ ათასგვარ დამამცირებელ ცდას, უბიწო ორსულობა იყო ეს თუ იმ ნაყოფის ხელაღებით გაწირვა.

— ოღონდ ნუ მიგვატოვებ და რაც შენ გინდოდეს, ის გვიყავი. იქნებ ჩვენზე დაკვირვებით რამე შენთვის სასარგებლო გამოჩხრიკო? — ეჩიჩინებოდნენ გუნებაამღვრეულ მკურნალს და ყინი ანთარიას მოსარჩენი წამლის ძიებამ გრძელი ქვეყნის გზას, ვინ იცის, რამდენი კეთროვანი გაუყენა?!

ყინი გვამებს ფატრავდა. სიკვდილის მიზეზს არკვევდა. უცხოეთში შეძენილ თეორიულ ცოდნას თანდათან პრაქტიკული საქმიანობით იმდიდრებდა.

— ჩვენით ჰპოვებ შვებას და მარადისობას — ეტყოდნენ მზერაგაშტერებულს და საკმარისი იყო მკლავზე წატანებოდნენ, დამფრთხალი ექიმბაში მაშინათვე შეშლილივით ჯაგებში გაშლიგინდებოდა. მერე ტყეში, ადრე შეგულვებული მუხის ძირას დუქმორეული და თვალებამოტრიალებული მიეგდებოდა და ეჩვენებოდა, შიშველ ტანზე უხსენებლების ლაშქარი გადასდიოდა, თითქოს მოფუთფუთე ჭიანჭველების სარეცელზე იწვა. სული ყინვით გათოკილ რუსავით ამიტომაც ებოჭებოდა. ეკალ-ბარდში ბორიალით დალეტილ კეთროვანები ზეასწევდნენ და აკლდამებისკენ შეაბრუნებდნენ.

— ბნელს და შიშისმგვრელს განარიდე, ღორონთან სქან ოროშ გოლვაფრო![1] — ვედრულობდნენ ცისკენ ხელაპყრობილები.

— ჩვენი ჭერი დაგიფარავს დევნილს — შთაგონებდნენ სნეულები — ოდაბადელებს მოუფრთხილდი! დაგნაცრავენ, მოგსპობენ ისინი! სიმხდალისთვის მოგვიძულეს ჩვენ, ღალატისთვის დაგვწყევლეს ჩვენ! გადასხვაფერების გზები მოშლილია. რომ გარბოდი, ნეტავი საით? იქნებ ძმებთან, მაგრამ მიწადაქცეულებს განა სული ხელმეორედ შთაბერება? თუკი შენსას არ იშლი, ჯამებით საწამლავი ჩამოგვირიგე, ბარემ მაჯის ძგერება მიწადეს! — ემუდარებოდნენ. საუბრისას მათი მოჭმული ტუჩები ბგერებს ულაპავდა და თუ კვლავინდებურად მაკედრებელი მზერით, შეგვიყვარეო, შეგვიბრალეო, გვიხსენო, შეეხვეწებოდნენ, ჭაპუკი დაიგმინებდა. ისეთნაირად წამოენთებოდა, თითქოს ხმელ ფიჩხზე ალი აკარდაო. არასოდესო, მიაკივლებდა მეურვეებს. ოდაბადეში ჯვარცმა მირჩევრია სატანჯოს სამარხებში ფუფუნებით გდებასო.

ყინი ანთარია გრძნობდა სამშობლოს ვერასდროს მიუბრუნდებოდა. ისედაც სენით გათანგული კეთროვანებს სამისდღეშმიოდ მიესაკუთრებინათ. გაწამებული სატანჯოელი ერთხანს ამრეზით უთვალთვალებდა ცდისპირთა ღრიანცელს, მაგრამ როდესაც მოთმინების ფიალა აევსებოდა, სნეულებს ღრიალით გამოეკიდებოდა.

— სენს ვერ გაექცევით, ვერა! ბედისწერას ვერსად წაუხვალთ, ვერსად! — ღმუოდა ნადირივით. მერე დგებოდა ბროლისწვივება დილა. არე-მარეს იაიების ცრემლები თრთვილავდა. სახრჩობელადან ჩამოხსნილივით ესვენა ნეშოზე. ხეთა ფოთლებში ალიონი კასკასებდა. მოღს სიო ვარცხნიდა და კოშმარული ზმანებებიც ნელ-ნელა ქრებოდა. მარადიულ ველს ზემორე, გულდმა გაშოტილის თვალწინ, მდორედ მიცურავდნენ ხელიხელგადახვეული ძმე-

[1] ღმერთო, შენს ჩრდილს შემოვეკვე! (ძეგრ.)

ბის აჩრდილები. იმ ჩვენებას შეჰქვითინებდა. რამდენჯერ უნატრია სამარის ვიწრო ჭრილში მათთან ერთად ჩახაფრვა, საფლავით გარანდულების გვერდით საუკუნოდ განსვენება, მაგრამ მარტოობით დამზრალ გონებას ვერაფერს უხერხებდა. მხოლოდ მთვარე ენუგეშებოდა. ყვითელ ფესვებს უალერსებდა. უსასრულობასთან აკავშირებდა და როცა საღამო მაუღერადვდებოდა, უცნაური ცახცახი შეიპყრობდა ხოლმე, რადგანაც თვალნათლივ ამჩნევდა საწუთრო თუ როგორი თანმიმდევრობით აქარწყლებდა. რაა დროისთვის, სამყაროსთვის, გნებავთ წუთისოფლისთვის, ეს წრიალიო, კითხულობდა და იქვე არაფერიო, პასუხობდა თვითონვე. ქონი ანთარია ახლა დანამდვილებით ხედავდა თუ სოფელი არაფრის გულისთვის როგორ შემოიმწყვალა, რა ბობოქარი წყველა-კრულვა დაიდევნა უმიზეზოდ. ფერზე უმჩატეს ქაოსს მაინც ვერასდროს მივსწვდებიო, ასკვნიდა საზარელ მოჩვენებებს შერკინებული, თუმცა სატანჯოს კანონებს დაქვემდებარებული შიგადაშიგ უნტარეს შვებასაც გრძნობდა. ან როცა ყორნისფერდებოდა ღამე, როდესაც მთვარის სპირალები ათას მოჩვენებას თხზავდნენ, ბობოქარი სიზმრები დასიცხულ ბაგეთათვის უკვდავების წყაროებს ამმოუცენდნენ.

კვირას თვე მისდევდა, თვეს — წელიწადი, და რაც მეტი დრო გადიოდა, ჭაბუკს სატანჯოს აკლდამები ნაკლებად აკრთობდა. დღითი დღე ეგუებოდა კეთროვანებს, მარტოობას, სენს, სიკვდილის საშიშროებასაც. წუწუნი დათმო. აკა-იქ ლეყანისფერი ნავთი გასრიალდა. ოცნებაში სიყრმისეული სურათები ამოტივტივა. უკიდეგანო სიკრცეს მიესაყვარულა. ეფერებოდა სიყვითლეშეპარული ფოთლებს, ტყემლის ფთილებს, ნიავში ჩაწნული კვამლის გრაგნილებს. იხუტებდა საკნიძეგდეღილ ტრამალებს და ხატის წინ აქვითინებული ჰალიძინეს მოლანდებას. ეს უნაზესი ხილვები გონებაში წარუშლელად ჩარჩა. მომმხნევებელი ... იგი აყვარებდა მძივად სხმული ნაკადულის კენჭებს, ქარით გადახრილ ეაშლის ხეს თუ მონასტრის მოყოლილ ქონგურებს. სატანჯოში განმარტოება რანამისაჯებულს უწინარესად საკუთარ თავს შეამეცნებდა. ითიქოს სამყაროს აგებულებაში, ჭიანჭველების გულმოდგინე ფუსფუსში თუ დროის მდინარეში გახირული ადამიანის რაობაში არ კვევდა.

მართალია, ქურდულად, მაგრამ მაინც სოფლისკენ იმზირებოდა. ერთხელ ოდაბადეშიც კი შებედა. ძაღლი ააწკმუტუნა. აივნის იატაკი ააჭრიალა. ხელუხლებელი ბარგი და ხელსაწყოები მოიპარა. თვალცრემლიანი მოსცილდა სამზადის კერიასთან მხრებში ჩამძვრალ დედას. ძირში მოსხეპილ ალვას, რომელსაც ახალი შტოები ამოეყარა. ქონი ანთარიას მზერაში ძმათა შებურუსებული წარმძარილოების ასაბია ცარგვალს გამოებმებოდა. რეალური და ცხადი, სატანჯოს უბადრუკი სამარხებიც მყისვე სიყრმისეულ სანახებად ღლებოდა. შეფოთლილი თხმელების კოჭებთან წყალში ნავს შეაცურებდა. ამ დროს ზღვაც ვნებული ადამიანის მსგავსად, ნაპირებს ამაოდ ედავებოდა. მალე ალმასა მთების წიბოს განთიადის ფერი გადაეღვრებოდა. გრილი ქვიშნარებიდან ამოზრდილ ჰალიძინეხეს ხატს შორიდან ეფერებოდა. მერე სილას ქვითინით ჩაეხუტებოდა.

ასე, ნელინელ თვითგვემას მიეჩვია. მოეშვა, იღბალს მინებდა. ადამიანთა მთელი მოდგმა, ოდაბადელებიც, მეც, ოდესღაც ხომ მტვერი ვიყავით უკლებლივ და არაფერია ადრე თუ გვიან ისეკ მტვრადვე. ვიქცეთო, ნუგეშდებოდა. განახლება, ადდგომა და მისთანანი კაცობრიობის აუხდენელ სურვილად, წარმოსახვის უბადრუკ ნაყოფად გამოაცხადა. კალავინდებურად დავრდომილთა ცკურნალობას მიჰყო ხელი. ხანაც მოჩ-

---

ბუჩი ფეტელავა
სიცოცხლემისჯილი

ვენებით ხმაურში შეაბიჯებდა — ზუზუნებდნენ ალისფერი მათრახები. ძმათა აჩრდილებიც ძლიელ სხეულებს მაშინათვე ტაატით წაასვენებდნენ.

— მგლოვიარობა იმყოფენე — ეტყოდნენ კეთროვანები — ერთხელ და სამუდამოდ მოიშორე საამქვეყნო ტვირთია თუ საზრუნავია. რაკი შენი თავი ზეცას მიუძღვენი, ნუ ყოყმანობ, კუნდღელივით ნუ თრთი, საცაა შენი ხორცის ზამბა დასრულდება და უზომო მწუხარებას დაეხსნები ბედშავო! — ეუბნებოდნენ და ენი ანთარიაც ასაფრენად ემზადებოდა, გეგონებოდათ, ესესაა სხეულიდან ამოფთქვნდებაო.

ეს წვა სიცოცხლემისჯილმა იცოდა რარიგად ფასობდა. ან გარინდულ ჭაობს რისთვის ჰყვარობდა, ან იქით, მეორეი შუქი რომ ღვიოდა, მაცდუნებელი ხმით რატომ აჯადოებდა:

— შენ ეი, ხეტიალის მოყვარულო, გაჩენის დღესთან სიკვდილით მიჯაჭვულო, ვისაც ჩაძაღლის შიში ნაფოტივით გათამაშებს, თქვი, რა გაძრწენებს, მუქთად ბოძებული სიცოცხლე რად არ გეთმობა?! იგია ხელ-ფეხს რომ გიბორკავს ღვთაებრივს. შენი გაორების სათავეც მასთანაა. უკვდავებისთვის ამაო ხვანცალმა ლამის მონად გაქციოს. უბედურო, გამხნევდი და ნათელს დაეწაფები — ეტყოდნენ და ნათელს ეწაფებოდა ენი ანთარიაც. ეს ეს ეს ... ეს ... ეს ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდდებოდა. თავდადებულთა მოლანდებას მუხლმოყრილი პატიებას შესთხოვდა. უმხილდა სატანჯოს აკლდამებს რისთვის შეეკედლა, რატომ ჭამდა ქვიშას, ან ხელუკუღმა მორთმეული ფიალა მკლავებს რანაირად უგრეხდა. უხსნიდა მოსახელთებლად თუ როგორ დასდევდნენ მის სიჭაბუკეს სიკვდილის საბელიანი აკლდამები, ყვავ-ყორნების ყრანტალსა და ბალახებში გაელვებული ასპიტის ცელისმაგვარ სიგელს რაფერ შემოჩენებენ. იქით კი ძმების ომახიანი სიმღერა კვლავინდებურად გუგუნებდა. ორგულია? ძმაც რომ იყოს, ჭორწილის დღეს მიუსწარო, ერთსა და იმავე შეგონებას ის ხმები იმდენჯერ იმეორებდნენ, იფიქრებდით, გაფუჭებულ ფირფიტას დაჭოქილი გრამაფონის მემბრანა ეცოდვილებაო.

მოლოქასა და ჭინჭრის ყვავილების ნაყენით გაჯანსაღებული ქინი უკვე სათიბებში უშიშრად დაბიჯებდა. მასში უკვე ყოველი ასო-სახსარი გაპირავანდელდა. მომჯობინებული ბუნების მაჯისცემას აყურადებდა. ჩამწარებულ ახალგაზრდობას დაურიდლად ესალმებოდა. ეხმიანებოდა ძმების აჩრდილებს. თქვენი გამიჩნული სიძულვილი რომ არა, აქამდე ვერც მე ავმაღლდებოდი, მისძახოდა ზურგშექცეულებს. მწვერვალზე განსხვავებული გზებით ასულიყვნენ: პირველნი — თავგანწირვით, მეორე — მოღიპული ციცაბოებით, სიდუჭჭრით. თვითგვემით, მაგრამ ახლა ყველანი თანაბარ სივრცეში ბინადრობდნენ. მერე შრიალა ლელიანებს სიზმარეულ ჩვენებასავით გადაფერდილი ჭოხმახისკენ გამოედევნებოდა. დამდგარ წყლებში ჩახატულ კიბორჩხალა ძელურა სიო აათრთოლებდა და ხსოვნის იწრობაში ჰალიძინხეს სხეულით განთებული ხაბოსპირიც მაშინათვე დაბარბაცდებოდა.

შემოდგომას ზამთარი ცვლიდა, ზამთარს — გაზაფხული და რაც მეტი დრო გადიოდა, ქინი ანთარიას უფრო და უფრო ენიშნა ოდაბადელების გაცდადებული:

— სატანჯოს მიწაზე ვინც ფეხს დაადგამს, სულერთია, იქვე თუ გვიან გლოვის ქამი დაუდგება — უთქვამთ შუაკეცებლს მიფიცხებულებს ყალიონის პლაკუნით. ცეცხლის ენების ფონზე რაღაც იდუმალი იერი მინიკვნია მთხრობელთა სიტყვებს. მოსაუბრენიც თითქოს ყოველივეს გრძნობენო, ისე გასაკვნებულები ყვებოდნენ გარდასულ დროის ამბებს, წვერებზე ნაპერწკალიც რომ შემოხტომოდათ, იღლიებიდან ხელებს არაფრით გამოიღებდნენ.

— კეთრი დაძიძგნის ყმაწვილს თუ ბებერს. ზღვა ფიქრი თავისქალას აუკვარჩხალებს, სამაგიეროდ შშობლიური ქვეყნის ალერსს ვერასოდეს მოიხვეშს მისი ბინადარი. ეგეცაა, წუთისოფლის არსში ჩაახედეს განმარტოება. ყოველივე ბრძნულს ეზიარება უარავინო. ცოდნით გაბრწყინებენ, მაგრამ რად გინდა, საუნჯეს თუ ვერავის გაუზიარეს, თავისთავშივე ჩაიღვენთენ?! — უმხელდნენ მეიგავენი კერიის მეორე მხარეს სკამლოგინზე ჩამომწკრივებულ ონავრებს.

სიფრთხილე რომ მართებდა, ქინი ანთარიას მშვენივრად შეეგნო, ვინაიდან თუ სოფლისკენ წაადიოდა, იცოდა, არ დაინდობდნენ შამბნარიდან გზაზე გამოსულ უხსენებელსავით ჩაქოლავდნენ. წყალს არაფერ მიაწვდიდა მწყურვალს. ცაში მბრწყინავ სახელებს წაუბილწავდნენ. ზურგს უკან დამალულ ქვებს სეტყვასავით მოაყრიდნენ. სწამდა ყოველივე ასე ასრულდებოდა და მაინც მქინდრავ ვერლებს თუ ბავშვობის უმიმავლო წლებს ჯიუტად უმიზნებდა. დაკარგულის აღდგენა, სოფლის შემორიგება ეწადა. თუმცა აქედანვე სჯეროდა, ღალატს არავინ მიუტევებდა. გამოსავალს ეძებდა. არაკვევდა ბედისწერას ბოლომდე მისდევნებოდა, ავისთვის ბოროტება დაერთო თუ ხალხის მალულად სიკეთე ეთესა, ყანებისთვის ჭინჭველები დაემკვიდრებინა, ჭორომებიდან ნახირი გა-

მოეხსნა, ავადმყოფისათვის ეწამლა?! მერე მაღლდებოდა მზე, მიმოსწევდა აკლდამებს, ასცილდებოდა ქოხმახებს, ხეთა კენწეროებს. ოქროსფრად შეაფარადებდა გარემოს. სატანჯოს რიყესავით გაიფეხქვეშებდა. აღორძინებდა ბაგეგამობილი წარწყმედილის ფიქრებს. მის სულში ომახიან სიმღერებს ჩასახავდა და ამიერიდან ჭირდაძლეული მანათობლის განზომილებებს ექვემდებარებოდა. როგორც მოსალოდნელი იყო ჭინის ანთარიამ საკუთარ თავში აქამდე ფარულ უნარებს მიაგნო, რომელიც ბნელსა და უკეთურს ამ მზესავით დაანაცრვინებდა.

ამასობაში სოფელმა ძველი და ახალი, ჭრილობები მეტ-ნაკლებად მოიშუშა. ახლა, როცა სისხლისღვრიდან რამდენიმე წელიწადი მიიწურა, რაკამს საწნახელებმა და ქვევრებს გახეხვის ყამი დაუდგა, კუნძულელები ნარძლევის გასათხოვებლადაც დატრიალდნენ. თავი ყველაზე მეტად მამიდამ გამოიდო. სამურნაყანაში გატაცებული მულის ახლომახლო ბევრი შეიერილი საქმრო დაუძახნა. ისიც და სხვებიც რინამისაჯებულის გასამწარებლად იღვწოდნენ, თორემ გახას შინაბერა ასულის ყისმათი ვის ენაღვლებოდა?! ამაზე დაიას ძმებიც გაესაუბრნენ. რა ექნა? უარის თქმა აშკარად ჭინი ანთარიას შეწყნარებას ნიშნავდა, ამიტომაც რჩევა-დარიგებას თვინიერად უგდებდა ყურს.

— უნდა გიხაროდეს მოღალატის დანიშნული თუ ვინმემ გიოხოვა — ამცირებდნენ. თავს ღუნავდა ქალიშვილი, როცა დამწუხნებულ სასიძოებს ჩამოუთვლიდნენ. მაფას აცოფებდა სიტყვა ძვლისგამტეხველი, რომელიც ისედაც გათელილი შეყვარებულის ცხოვრებას სამუდამოდ დაეგზავნა.

ასე და ამგვარად, მაფა ჰალიძონხეს გზები ყოველმხრივ შეეკრა. ჭინი ანთარიასგან უარყოფილს სიცოცხლე ჩირად ეღირდა. თავში ათასნაირი ფიქრი უქირქიტებდა. წამებული სიცოცხლის დასასრულებლად მრავალნაირ გეგმას აწყობდა. მეხვაშიადე ცურიკაძეს განდგომამაც აქვითინა. ვითომ ჩემთვის ძველებურად მზე ოდესმე ამობარჩაღდება ან ბაიასფერი მთვარე აღორძინდევით მეასათუმლება განა? არასდროს! არაფრისდიდებითო, უგმინავდა გული.

შეჭირვებულს ისევ შეყვარებულის ასობით კილომეტრგამოვლილმა, უბეუბე ტარებით გაცრეცილმა წერილებმა უშველეს. მათი მიმსგავსებით ფიცის, აღსარების ბარათი შეთხზა. ჭინის სახელით პატიება ითხოვა. მხარში ამოდგომა, თანაგრძნობის გაწევა შეეეედრა თავისთვის. ვითომ ხუთიოდე თვის წინ სატრფიალო ტირიფების ძირას განცდილი უნეტარესი წუთები აფიცა. იქ ჩასახული პირმშო და ჭოფიას ბორანთან ჩახოცილი სამაზლოები შეაბრალა, რათა გაუტანელ სამხეცესთვის ზურგი შეექცია, გამწარებულის იდალი ეწოლაა.

ქაღალდის ნაგლეჯზე შეთხზული წერილი ბორანზე შეადამით ჩაიტანა. ქარს რომ არ წაეფრიალებინა, ზედ მუშტისსიმსხო ქვა დაადო. შინაც ისეთივე უჩუმრობით შემოიპარა და გათენებას მოუთმენლობით დაუცადა. ჭოფია ანთარიამ ფურცელი სისხამზე იპოვა. ერთხანს წაღმა-უკუღმა ატიალა, ხან მდინარისკენ წასწია, ხან — უბისკენ გააქანა, ბოლოს შიშმა სძლია. აღმოჩენილის გადამალვას მოერიდა. ათასწლოვანი ჭადრისძირას მომხდარი უბედურების შემდეგ ჭოფია ანთარიას ოდაბადელები წარამარა გესლავდნენ, ამიტომაც, როგორ მოგიქცეო, ჩაეკითხა პირველსაკე მგზავრებს.

— სიცოცხლემისჯილის მეტი ვინ იზამდა ამ საქმეს?! — ამტკიცებდნენ ერთხმად. ბარათს სულწარწყმედილის ხელს აბრალებდნენ. ვახას უფროს ვაჟიშვილს უცდიდნენ. ისიც აგერ იყო. ფერმკრთალს და ერთიანად აკახცახებულს დაჯირჯვებული ქაღალდი ზედ ცხვირთან მიეტანა. სთხოვდნენ და ხალხისთვის მუხლზედავარდნილი ნაძირალას ვედრება როგორ დაემალა?! მთავარი, ქალ-ვაჟის შეხვედრები იყო ეს, მაფას ფეხმძიმედ ყოფნა თუ სხვა, თავ-

ზე ლაფის დამსხმელი ამბავი, ოსტატურად შენიღბა. ბარათში მოთხრობილს ბადე ჯერ კიდევ ეჭვიანობდა. დის უზნეობა ვერ ერწმუნა და ჭიაყელასავით თვალები წინასწარ რისთვის დათხარა? ოდბადელებისთვის გამხელილიც კმაროდა.

მაფა ჰალიძონხეს მოლოდინის გამართლება უხაროდა. მან ამ საბედისწერო ნაბიჯით უკუდმართ წუთისოფელს სასტიკი განაჩენი გამოუტანა. იქნება, აქეთკენ ქინის გაწუღლმა სიკეთემაც უბიძგა უფრო. ანთარიების დაღუბვამდე და მის მერეც კუნძულელები წინააღმდეგ წაააწყდებოდნენ ხოლმე ქინაქინითა და მისთანანთ სავსე მდელოსფერ შუშებს, მაგრამ შეშინებული მოსახლეობა ქვებზე მიამსხვრევდა მათ. გოგირდს აკმევდნენ. სამგზის იფურთხებოდნენ და სიცოცხლემისჯილის სახსენებელს აქვესკნელებდნენ.

ხეიდადა გახას ასული თუ მიჯნური მისკენ როგორ, რანაირი სიშორიდან მოიჩქაროდა. უფრო მეტ წყვდიადებს მოორღვევდა, ვინმე ქრისტიანულ ჯოჯოხეთში იყო. მისი ერთგულებისთვის გაქცეული კაცი კარგზე უკეთეს აწვეობდა, ოდაბადელები კი სიმინდის ყანებში დაბინავებულ ჭიანჭველებს მდუღრავდნენ, ნეტავი ძმათამკვლელისგან როდის მოვისვენებთო, კამათობდნენ და ზიზღით გახედავდნენ სატანჯოს.

ატყობდა ქალიშვილი, რომ წაბორძიკებული საუკუნო მარტოობისთვის გაეწირათ.

ნაბოლარას კეთილი ფიქრი სოფლის გასაჭირს თავზე დიდხანს, დიდხანს დაჰფოფინებდა, მაგრამ ყველაფერი განსაზღვრულია და როგორც კი მოკვეთილს უკვდავების წყარო დაეშრიტა, გახრიოკდა. ჰალიძონხეს შიში გამართლდა — სანაქებოდ მოვლილ ყანებს ღობე შემოერღვა. აქა-იქ დამბა თუ ჯები-რი მოიშალა და თავაწყვეტილმა მდინარემ კუნძულს თამამად შემოუტია. ბოროტება ქინი ანთარიას დღითი-დღე ამძვინვარებდა.

ხახანტი მაკრონიას ცხვირ-პირ[illegible] ბორღვევის წლისთავზე სოფელს კეკლ[illegible] მოკვეცილი და ცურდაფატრული ნახირი მოუბრუნდა. შუკები ბდვილმა, ზმუილმა და წკავწკავ-წკატუტნმა აავსო: სასოწარკვეთილი დედაკაცები მარჩენალი ფურების საბრალო თავებს მკერდში იხუტებდნენ და ბასრი დანებით გამოსულო კაცებს მოსაკლავად არ უთმობდნენ. პირუტყვების ცურიდან რძე და სისხლი ერთდროულად მოთქრიალებდა.

მალე ლაფაროება ბუდემოშლილი ბერცხლების წიაქითა და ტიტლიკანა, კისერწვრილი ბარტყებით გაიესო, ბკვდარი კატებითა და ძაღლებით წაიბილწა ჭები.

შიშობდნენ ოდაბადელები. ბჭობდნენ. ბავშვებს ეზოდან გასვლას უკრძალავდნენ. მთავრობისგან ხალხის მტერის დასჯას მოითხოვდნენ.

ვინ იცის, ჰალიძონხე ყოველივე ამას გაურბოდა თუ შეყვარებულის ხსნა ეწადა, მოკლედ, მსუხსავ წუთებს იმზადებდა.

მაფამ მუცელი და თეძოები ხუთი თვის ორსულის შესაფერისად ჭიანჭებით დაიმსხვილა. კოჭებამდე დათრეულ დალალებს სარკის წინ ივარცხნდა. ძმების გაფაციცებულ თვალთვალს დამცინავ ღიმილს შეაგებებდა. იცოდა, ცეცხლს ეთამაშებოდა, გამოგონილ შერცხვენას არ აპატიებდნენ, მაგრამ ქინის ბარათებიდან ხომ ესწავლა აიეტის ასულმაც რა მოიმოქმედა სიყვარულისთვის?! როგორ ანაცვალა გადამიელთან წოლას დედოფლობა, ნათესაობა, სამშობლოც კი! ეს ანუგეშებდა. ეს ამხნევებდა. მართალია, მიჯნურისთვის ასე თავგანწირულ ამბოხს არც მეისტორიე უმღერებდა და მით უფრო ყველე კარდუხიას ჩონგური; მოჭრილად რომ ვთქვათ, ერთხელ არჩეული გზა მიწიერ გრძნობებზე ამაღლებდა, ფრთოსანი ჭიანჭველის საკადრის ზეაწევას ავალებდა, შიშისა და ამქვეყნიური ნათესაურ-მათესაური ბორკილების დათრგუნვას, მთელი საქალეთის სახელით მკრთომარე სულის დაძლევას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაუნერგავდა, რომელი ალმაფრენაც ჰალიძონხეს ყოველგვარ განსაცდელს უქარწყლებდა... და ოდაბადე-სატანჯოს შორის რბოდა ბინდისფერი ენგური.

●

ნოჩო ჰალიძონიას ცოლი მთელი ღამე შვილებს ამიცებდა, რათა უფროსი ძმების ხმას არ აყოლილიყო, ჯირჯვარი გარდაესახა და პატარები მოსალოდნელი ცოდვა-ბრალისგან ეხსნა.

— საცაა გავიყრებით და ვიცხოვრებთ ჩვენთვის. ბადუს და ყიფას კი პირი ქვისკენ უქნიათ! — ეჩურჩულებოდა მეუღლე — მთავრობის ხალხია ისინი. დაიხსომე, თუ დასჭირდათ სახელისთვის მაფასაც გასწირავენ და შენც. მათ ამდენი ხნით ომებში თრევამ ნათესაური სიყვარულის გრძნობა დაუჩლუნგა — ეჩიჩინებოდა სლუკუნგარევით.

ნოჩო ჰალიძონია ცოლის გამოუსარჩლებლად უბედურ დას ემხრობოდა, მაგრამ როცა მაფას ოთახში საწოლი აჭრილდა, როდესაც ძველისძველი იატაკი აჭრაჭუნდა და ქალიშვილის გაჭარვა აშკარა შეიქმნა, თვალებში სისხლჩახსტუღმა ძმებმა ნოჩოც გაალვიძეს. წერილში მოთხრობილი ერწმუნათ. გაცხარებით ბჭობდნენ. შერცხვენის ასაცილებლად ალმა-წყმა დაბორიალებდნენ.

— თუ ახლავე ვივარგეთ, ოჯახს თავლაფს დასხმა აშორდება — მოსკრა ბადუ ჰალიძონიამ.

— შენს ბღარტებს მიხედე! — შეუბღვირა ყიფამ ნოჩოს წასაყვანად აივანზე გამოსულ რძალს.

ნოჩო ჰალიძონიას მეუღლესი ერიდებოდა, მაგრამ ვერც უფროს ძმებს შეეწინააღმდეგა.

— კაცი არ ხარ? — ეუბნებოდნენ მოყოყმანეს — ცოლის კაბა ჩაიცვი ბარეგ! — კბილებში გამოცრიდნენ — როგორ ფიქრობ, შენზე ნაკლებად გვიყვარს ჩვენი და?! უნდა შეუშვა მაგ თავში, ასე აჯობებს მისთვის და ჩვენთვისაც — შეუჩნდნენ და რა ექნა?!

იცოდა, ერთხელ აკვიატებულს ბადუ არაფერით დათმობდა. ამიტომაც ცოლს შინ შესვლა სთხოვა. თვითონ კი, როგორც ასაბუთებდა, მაფას ცურუ მამიდასთან გახიზნავდა.

—ახლა ჩემი დარჩენა იქნება?! — დააშოშმინა თანამეცხედრე.

ძმები ბოსელს ამოეფარნენ. ბადუ მხართან წაკვეთილ მკლავს კედელს უხახუნებდა.

— რანაირად დაგვასხა თავზე ლაფი? — სულ ამას იმეორებდა.

— მაშ, მაშ! — კვერს უკრავდა ყიფა.

უფროსმა ძმამ ჩიბუხი ხუთჯერ მაინც გააწყო, სანამ ფიჩხი გატყდა და კუტიკარი აჭრილდა.

სად მიდიხარ უბედუროო, უნდოდა წამოეყვირა ნოჩოს, გაიქეცი, გაიქეცი, თავს უშველე, უნდოდა ებღაკლა, მაგრამ რატომღაც დამუნჯდა. ეშინოდა ხელისშემწყობად არ მოენათლათ.

ნოჩო ჰალიძონია როდესაც გონს მოეგო, ასული უკვე ძმების ხელებში იკლაკნებოდა.

— საით ნებავს ქალბატონს? — ხმამაპარვით ეკითხებოდა ბადუ.

— ჟინისგან მოსუნსულებ, კახპავ? — ამას უკვე ყიფა ჭაღრებდა მუჯლუგუნის კვრით, მაგრამ ქალიშვილი სამარის ლოდივით სდუმდა. მხოლოდ ამ ცრემლებს არ ეთქმოდა ნაძალადევი. ბუნებრივად მოთქრიალებდა. „ენაგადაყლაპულს“ თმაში წაუჭირეს და წაუჭირეს. წიხლავდნენ. ემუქრებოდნენ. ყველაფრის დაწვრილებით თქმას უბრძანებდნენ. ამასობაში ყრუდ გგმინავ სხეულს ნოჩოც წაებღაუპა. ცხადია, ნაბოლარა ღვიძლს ძმების მოსაჩვენებლად ქაჩავდა.

მაფა ჰალიძონხე ჩამარწუხებულმა მკლავებმა მალე დაიურვეს. ყველაფერი დაუფარავად გამმხილა, მოღალატე ჟინი ანთარია ცამდე აიყვანა. ისედაც გადარეულებს ცეცხლზე ნავთს უსხამდა.

— ქინის ტანის ნაბან წყალზე არ გაიცვლებით — დასცინა ძმებს — იგი ჩემთვის ზეცით ბოძებული ქმარია და როცა მომესურვება, მაშინ მოვუწვები. მთელი ქვეყნიერების სისხლი რომ ემართოს, მაინც მისი ვიქნები — კვნესასაც გაურევდა დროდადრო — ლაჩრებს და კაცობიანებს შვილები გადაგიხდიან სამაგიეროს, თუ ეღირსეთ — წაექირქილა ავქარდაცემული. მერე მთლად აიშვა, ფეხმძიმობაც ახსენა და ეს ხუთი თვე ერთი ღამითაც რომ არ მომცდარან, ისიც. — მცემეთ, მცემეთ, ამას მაინც ვერაფერს დააკლებთ — იტყოდა მუცელზე ხელმიდებული, როცა მჯიღავდნენ ან წიხლავდნენ — თქვენ ვინ მოგცათ სიყვარულის ნიჭი?— ფხუკუნებდა ბერბიჭების გასამწარებლად.

ხუთი დაძარღვული მკლავით ენგურისკენ წაქანებული ქალიშვილის ალმოდებული კეფა ძმების გაბოროტებულ თვალებს გრძნობდა, მაგრამ არაფერს ნანობდა. არც პატიებას ითხოვდა. ან უკანდახევა რა სიკეთეს მოუტანდა?! არც მოძალადეებს ემდუოდა, შეურცხვენელი სახელისთვის რომ ზრუნავდნენ.

ბადუ დედის გაღვიძებას ერიდებოდა, რადგანაც თუ ეს ამბავი ლისა კაკონიძის ყურს ჩაეწვეთებოდა, ქვეყანას შეყრიდა, შვილის გადასარჩენად არაფერს დაერიდებოდა. თავისმოჯრა გაცხადებოდა. თითოეულის კაცობას საფურთხებლად აქცევდა. ამიტომაც გამოკრიდა კბილებში. დაკუნთული მარცხენით ამისთვისაც მიათრევდა სამთავეს. ნოჩო ჰალიძონიას კი დისმკვლელის შერქმევის შიში თანგავდა. შესაძლოა შურისძიება არავის შეენიშნა, თავის დახრჩობა მაფასვე დაბრალებოდა, მაგრამ მერე როგორ ვიცხოვრო ცოლთან, შვილებთან, მეზობლებთანო, ეს ფიქრი უწამლავდა სინდისს. ყოველივე ამან და ენგურისკენ წვრილად წაკლაკნილი ბილიკით ბადუს გადახვევამ მოოთქმევინა სასოწარკვეთით, მაშიდასთან წავიყვანოთ და ამ ამბავს უკეთ ის მოუვლისო. წინადადება ჯერ კიდევ რიგიანად ვერ ჩაემთავრებინა, რომ ჯარისკაცული ჩექმები კოჭებში მოუხათქუნეს. ნაპერწკლებით თვალაესებული დისამტანობამ განაცვიფრა. ნეტავ ისეთი რა ძალა ბუდობს მაფას სხეულში, ამდენი ძიძგილის, წიხლისა და მუჯლუგუნის მერეც ყრუდდა რომ ამოიგმინებსო, გაუკრთა გონებაში. ალბათ სოფლის გამოღვიძებას ერიდება. ძმების სახელის გატეხვას უფრთხის, ქინის ღალატმა თავდადებულ ანთარიებს რომ არგუნა იმის მსგავსსო, ფიქრობდა ფეხათრეული:

ჭოფია ანთარიას ბორანი ქვემოთკენ რჩებოდა. ჯაგებში მიშლიგინებდნენ. ეკალ-ბარდი ებღაუჭებოდათ. თითქოს მათი სამარცხვინო საქციელი ბუნების უმრუდეს ნაშიერსაც ეგრძნო. ფიქრებში გაჩენის დღის მწყევარი ნოჩო ჰალიძონია ანგარიშმიუცემლად მიაბიჯებდა. რა იქნებოდა ფეხი მომტყდომოდა, ან ციება შემყროდაო, გაივლებდა გულში, თუმცა ამისი გაარბებაც მყისვე შეაკრთობდა. მაშინ ხომ ჩემი ბავშვების აკვნისდამრწევს უფრო ადვილად დასჯიანო, ძრწოდა. იქ, სადაც მაფას ფეხდაფეხ მიმავალი ბადუ მჯიღავდა, ნოჩო მალულად ეფერებოდა. არაქთგამოცლილი ქალი წამიერ შეყოვნებისას ქომაგის მხარსაც ალბათ ამ მიზეზით მიეცვენებოდა.

ნოჩო და ყიფა სწორედ იქ შეყოვნდნენ, სწორედ იქ, სადაც ჯაგნარი გაილია და ენგურისგან სამსალიოდე მეტრის სიგანის დაბრკეული მინდორი მიჯნავდათ. ამ ველის შუაგულში, ოცეოდე ნაბდისგაშლა ტყლაპოში, ადრე ბაბუის, ახლა ჭოფიას კამეჩები ქშინავდნენ. წინათგრძნობა იყო თუ რა, რატომღაც ჰირუტყვები დაფრთხნენ. ონტყოლოშედან[1] ტალახის ამაზრზენი სუნი ამოიყოლეს და ჯაგებისკენ წაყოროყინდნენ.

— ფეხი გამოადგი! — დაიკნავლა ყიფამ და მსხვერპლს წაეჯაჯგურა.

ნოჩო ისე იძგელიძებოდა, თითქოს

---

[1] საფლობიდან, ტალახიდან (მეგრ.)

სასაკლაოზე მაფას ნაცვლად მიჰყავდათ. მაინც რაღაცას იმედიანობდა. მშველელს ეუბდა, რომელიც საკალალოდ იგვიანებდა.

სავსე მთვარე ცარგვალს აჩახჩახებდა. საწიერზე თხმელების ფაფარი ჩანდა და ენგურის პირქუში ჩქაფანი ავრძნობოდა.

მალე მოიტოვეს მომცრო კორომი, მინდორიცა და ტყლაპოც.

ხაბოსთავზე იდგნენ. მდინარე ტალღებს ორლესულივით ალაპლაპებდა.

ნოჩო ჯალიძინია დაიას ზურგსუკან გაკოჭილ თითებს ეალერსებოდა. ქალიც ძმას გასამხნევებლად თითებითვე ეფერებოდა.

ბადუს ბაწრისთვის და თოკისთვის წინასწარ ეზრუნა. გრავნილი დაოჯახებულს მიაჩეჩა, თან მოზრდილი ქვა მოიტანეო, უბრძანა.

უმცროსმა ძმამ მდინარე შიშით შეათვალიერა. ენგური ჯადრების გამოხრულ ფესვებს აცდენოდა და ხაბოს ბეჩოებს მობჯენილი დროდადრო ბუყბუყებდა. დაყუნცულ ლოდებს ელამუნებოდა.

ალამდე ქვა მოსინჯა. ყველა ემძიმა. თითქოს მისი შემსუბუქებით ღმერთის წინაშე სინდისს გაიმრთელებდა. რო-გორც იქნა, ერთს მაინც დაამტერდა, გაპრიალებულს, მრგვალს. ყოველგვარ ნასკვს ჰაერშივე დაუსხლტებაო, გაიფიქრა, მაგრამ ამ აღმოჩენამ კვლავ დაამინა. ხომ შეიძლება ჯალათმა დაიწუნოს, თვითონ წამოვიდეს და სხვა, უფრო დიდი, მოხერხებული შეარჩიოსო, იაზრა. ამოიიღლიავა სამი თვის ნესვივით წაგრძელებული ქვა, თოკს გზადაგზა ათასნაირად ხლართავდა, ისე რომ ქვანძი თავისით გახსნილიყო, მაგრამ მის განასკვულს ბავშობიდანვე დანის წვერი ძლივს მიუდგებოდა. შეიკუთხა. ბუნებას ამ ხელოვნებაშიც დაეჩაგრა. ნატრობდა იმდაგვარი მარყუჟი გამოსცლოდა, ქალიშვილის წყალში გადაგდებისთანავე თავისით დარღვეულიყო. მაფა მერე არაფერს გაიჯირვებდა.

ხეიბარმა ქვა-ლოდი შეატრიალა-შეტრიალა. მისი მოუვანილობა ... ... რად არ ეჭაშნიკა.

. — არა უშავს — თქვა მამლების გახშირებული ყივილით დამფრთხალმა — ამ უჯიშოს ისეთი ქვა უძევს ქკერდში, რომელი ფსკერი დაუდგება წინ? — გარემოს თვალები გაფაციცებით მოაცლო.

დის თვინიერ კისერზე ჩამოსაცმელად გამზადებული ლოდი ბალაბებში კიანთებდა. ძმების ვაგლახს ასული აგდებული ღიმილით ანადგურებდა და ნოჩო მაფას წმინდანობას მაშინღა ჩაწვდა. ამა კაციჰამიების მეტი მსგავს სისაძაგლეს ვინ მოიმოქმედებსო, როგორღაც დავიდა მის გონებამდე. ამას ყიფა ვერ დაასკვნიდა, რადგან ხელქვეითი უფროსის ბრძანებას ასრულებდა. მერე ბოლოს და ბოლოს ყოველივე რომც გამეღავნებულიყო, მყისვე ბადუს დააბრალებდა, ბადუს და ბუდეში გატრუნულ მაუზერს.

მხოლოდ უფროს ძმას წასკდა ცრემლი, რომელიც საკუთარი საფიქრალით გართულებს არც შეუნიშნავთ. ის უწინარესად ამ გადიაცებულ კაცებს გადაყრიდა წყალში, ერთი დღის სიცოცხლისთვის მთელს ქვეყნიერებას რომ გასწირავდნენ. არც მათი აშენებული სოფლის სწამდა, რადგანაც ვინც ღვიძლ დაიას ვერ დაიცვა, სხვისთვის როგორ გაიჯავრებო, ასკვნიდა. აქვე კაცობრიობის, რწმენის, სინდისის წინაშე წმიდათა-წმიდა მოვალეობას იხდიდა. ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებად მაფას მოკვდინება მიაჩნდა. ბადუ წარსულშიც იხედებოდა, საიდანაც მობიბინე ყავრისგან გამოჩორკნილ, სიმიხდის ხაშარის ნაწნავივან თოკინის ოქროსკულულებანი გოგონა ეთამაშებოდა. უფროსი ძმისკენ წამოტტინდებოდა. მუხლებზე დაუსკუჯდებოდა. აი, იმ სიწმინდისკენ უბიძგებდა ჯერ-ჯეროობით მხოლოდ მათთვის შერცხვენილ ქალიშვილს. თუ არა ეს აუცილებელი დასჯა, უმალე ლაფის მორეკვში ჩაიძირებოდა, საითკენ ოჯახთან ერთად შთამომავლობასაც გადაითრევდა.

ბადუ ამჩნევდა ნოჩოს თითები ბაწართან თუ როგორ შეთრთოლდნენ, საჩვენებელმა და ცერმა ნასკვი რანაირად დაითრია, ოდეს ბომონი კოკუთან გადასხეპილ თხმელასავით მდინარისკენ წაფრინდა. ძმების შიგნით შთენილ სიცარიელეს, რომელსაც აქამდე ზვარაკის ამაყად შემართული სხეული ავსებდა, ჩქარა ენგურიდან მონაქროლი ნიავი შეუამხანაგდა.

— უბედური მხოლოდ იმიტომ ვარ, წუხელ საწამლავი რომ არ ჩაგიწვეთეთ რძეში — დაიკვნესა მსხვერპლმა, რათა ძმებს ჩადენილი საქციელისთვის მეტი საფუძველი ჰქონოდათ, სინდისის ქენჯნას ნაკლებად შეეწუხებინათ. აქვე ვაი, თქვენს დაიას, ამას იქით როგორ იცხოვრებთო, — გაუელვა გონებაში.

გაგონილი სიტყვების სიმწრისდა მიუხედავად სამთავეს ლამის გული შეუოონდა. ცალხელას მხრებზე ჩამოცვენილი უმცროსი ძმების თავების ზლუქუნს ერჩივნა გავეშებული ტალღებისთვის ისიც მიეყოლებინათ, მაგრამ ამას ვაქკაცობა და ზღვის გადასარჩენად წვეთის გამწირველი მიზანი სჭირდებოო, საზღვრავდა.

არა, ძმების გონების დანუგეშებისთვის ნამდვილად არ ეცალა. განსაკუთრებით მთვარიანი შუაკიდან ფეხზეშეველად გამოვარდნილი ლისა კაკკონიძის შემოფეთების მერე, რომლისთვისაც ქმრის დაგვიანებით შეწუხებულ რძალს ყინი ანთარიას საბედისწერო წერილის გამოაშკარავების ამბავი გაემხილა.

— ხომ შეიძლება ყოველივე დადასტურდეს, მაფა მართლაც საყვარლობდეს მოღალატეს?! მაშინ გადარეული კაცები ღმერთმა უწყის რას მოიმქმედებენ — როგორც იქნა შეჰბედა დედამთილს ცარო კიმერელიამ.

— და მერე ახლა მიმხელ კარზე მომდგარ უბედურებას, ბნელსისხლიანების შთამომავალო?! უყურე ერთი, ამ ოჯახის დამაქცევარს! — თქვა და გადაუჭირა ცოცხის ტარი ბავშვატატებულ ქალს.

გაგონილით ჯერ კიდევ სულშეგუებული ლისა კაკკონიძე ხან ერთ შვილს, ხან — მეორეს დამშვიდებულ სამეს. მათ იდუმალ მოძრაობას გარშემოუვლიდა. თითოეულს სასოწარკვეთილ შეათვალიერებდა..

— ჩემი მაფა რა იქნა?! — სულ ამას გმნავდა — ჩემს მაფას რა უყავით?! — ხმას უწევდა, იმის იმედით, რომ სოფლის ფეხზე წამოწლის შეეშინდებათ და ეიოტლო დედისთვის რაიმე სანუგეშოს გამოიმეტებენო.

— თქვენს საფიცარ ყინის მოკითხეთ! — სხვებზე ადრე ყიფამ უპასუხა და მოფიქრებულმა ნათქვამმა თუ ბადუს შვება მოჰგვარა, სამაგიეროდ ნოჩოს ნიკაპი აუთრთოლა.

დაწყნარდნენ. თითქოს ძმათამკვლელ ყინი ანთარიას მაფა მართლაც სატანჯოში გაეტაცა და წედან არ გაეწიოათ ხაბოსთავთან წმინდანივით ამართული,

ყიფას თვალთმაქცურმა ენამოსწრებულობამ უწინარესად ლისა კაკკონიძე დამაშვიდა. ცხადია, მოღალატესთან ქალაშვილის გაპარვა მისთვის ასულის ცოცხლად დამარხვას ნიშნავდა, მაგრამ მაინც მოეფონა შვილის უვნებლობა ირწმუნა. სამარცხვინო სიტყვებმა პირველად აგრძნობინეს წვრილი კენჭების სიბასრე. გაჩუმება ამჯობინა. გაიცლიდა რამდენიმე კვირა და ყველაფერს მოაგვარებდა.

ლისა კაკკონიძემ ბიჭებს კიბეებზე ასწრო.

ძმები მრგვალ მაგიდას მოუსხდნენ. ერთმანეთის ხელებს მისჩერებოდნენ. სამთავეს წითური ბალნით დაფარული კოტიტა თითები ჰქონდათ და ნოჩოს ეს მსგავსება ავისმომასწავებლად ენიშნა.

ლამპარს ნელ-ნელა ამკრთალებდა განთიადი.

— წავედით! — ისე ამოთქმეენა ფანჯარაში გახედვამ ბადუს, თითქოს ენგური ცოცხალ დაიას სამეფო ტახტრევანით დაუბრუნებდათ.

არავის უკითხავს სადო. შინ არ ედგომებოდათ ჭალიძონიებს.

წაუხემსავი მსპინძელი პირველად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაცდა ჩაურაზავ ჭიშკარს. დაიორღა წითურწვერა გახას სიფეფლასესხებული სიბერძნე: ღილით ლუკმა, ყვავსაც რომ მიჰქონდეს, წაართვით და ისაუზმეთ! საღილი ძმაკაცებს გაუზიარეთ, ხოლო რაც შეეხება ვახშამს, აიღეთ და ყვავსვე მიაშავეთო.

ახლა ამ ჭეშმარიტებისთვის ად სცხელოდათ ან ძმებს ან რძალ-დედამთილს. დისგამწირველებს საუზმისთვის ეცალათ სწორედ. ცარო კიმერელიას ცოცხის ტარის ნაკვალევი ბუნებრივია, ასე იოლად არ გადაუვლიდა. ლისა კავკონიძეს კი სკივრიდან წმინდა გიორგის ხელისგულისდენა ხატი ამოესვენებინა. გულმხურვალედ ლოცულობდა. გასაბჭოების შემდეგ ოდაბადეში მხოლოდ ის ერთ-ერთი გადარჩენილიყო. დედას ვერ წაართვა თორემ, დანარჩენი, ბადუს ბრძანებით სოფლის ცენტრში დაწვეს. ჰოდა, ამწუთას მორწმუნე ქალი ასულის სამშვიდობოზე ყოფნას თუ ვაკუშვილების დისმკვლელის სამარცხვინო ცოდვა-ბრალისგან ხსნას, სწორედ რომ ყოვლისშემძლე ავგაროზს მიაწერდა.

ძმები ენგურისკენ იმავე ბილიკით მიიჩქაროდნენ. ჭოფია ანთარიას ჯერ კიდევ კოლექტივის უღლისგან თავისუფალი კამეჩები ძველებურად ტყეპოში ნებივრობდნენ. ამჯერად პირუტყვებმა ზურგებზე კუდები აიტყლაშუნეს, თითქოს აბეზარი ბუზები ჩამოშორესო, გადააქნიეს თავები და უდარდელი ცოხნა განაგრძეს.

ნოჩო ჰალიძონია ხაბოსთავზე ნაპოვნ ბაწარს აწვალებდა. მისი გმირობის თაგვისკუდისოდენა ნაშთი უკვე ჯვბირივით აცალკევებდა ძმებისგან.

რამდენიმე საათის წინ გაცხარებული მიმოსვლით გთელილი ბალახები წელში გასწორებულიყვნენ.

ენგური ბინდისფრად მოღელავდა. ნხარზე იმდენად მკვრივი და ნოტიო ნისლი მოეგდო, მათ თვალსაწიერს ხელისგაწვდენამდე ამოკლებდა.

თავქვე წახეტიალდნენ. ანთარიების საფლავებთან ერთხანს შეყოვნდნენ. განა რაინდებისადმი პატივისცემის გრძნობითი?! მარმარილოს ქვებმა ... ვეს მაფა გაახსენა, რომელიც მამაკაცისთვის შესაფერი მხნეობით სამაზლოებისადმი მიშველებას მოითხოვდა. განსაკუთრებით მაშინ, როცა ნაპირზე ჩასაფრებულთა შაშხანები დადუმდნენ.

ნოეს შვილიშვილის ბორნისკენ დაეშვნენ. ხომ შეიძლება კვეკვეს ბიჭს მაფა შეეჩჩინა და სიკვდილისგან ეხსნაო, ფიქრობდნენ გზადაგზა.

ნისლში შეცურებული მებორნე თუთუნს ქაჩავდა. მხარდამხარ მომავალ ძმებს კოჭლობით მიეგება. ამ მოძრაობამ ნოჩო ჰალიძონიას კინაღამ თავში სისხლი აუფრიალა. თუკი აქამდე მის უშნო კვანჭალს თვალს ზიზღით გააყოლებდა, ახლა რაღაცნაირად მოსათმენი ეჩვენა. ის კი არა, რა ლამაზად კოჭლობს ეს შეჩვენებულიო, გაიფიქრა ანაზდეულად.

ჭოფიას მგზავრების შემოგებება არ სჩვეოდა. როგორც წესი, ხალხის მოგროვებას გადაყავრულ ფანჩატურში მერხზე ჯდომელა უცდიდა. მერე, როდესაც ლოდინით მობეზრებულები აჯავლანდებოდნენ, ხვნეშით წამომიმართებოდა, ორთაყვირამდე მიფარკალდებოდა და ბორანს ადგილიდან დასძრავდა.

ორთავეს ისევ ყიფამ დაასწრო.

— წუხელ, შემოხვევით, სასახელო ბიძის ნავისთვის ხომ არ მოგიკრავს თვალი?! — ჭკითხა და თვინიერი მზერით ბადუ შეათვალიერა, თითქოს ამოწმებდა თადარიგისნი სიტყვა უფროს ძმას ესიამოვნა თუ არაო — იქნება მაფა გადაიყვანე ამ დილაადრიან და ხმაც ამისთვის გაგიკმენდიან?! — თქვა ისევ ყიფამ და, თვალი თვალში გაუყარა ჭოფიას. ფარული ჭიდილი რამდენიმე წამს გაგრძელდა. სულის უკიდურეს კუნჭულამდე გამსჭვალულმა მზერამ შუათანა ძმა აშკარად ბრინჯივით დააბნია. სიმხნევის მოსაკრებად ბადუს ტალახით გათხვრილ, უმკლავო სახელოს წაეტანა.

ცალხელამ ლიქნიას მხრით უხეშად

უბიძგა. მაუზერგამობმული ქამარი შეისწორა.

ჯოფიამ მოახლოვებულებს სათითაოდ ჩამოართვა ოფლშემცვრავი ხელი. ბოლოს ბორნის ჯაჭვს ბოქლომი ახსნა, რითაც მუშაობას ეს-ესაა შეეუდექო, აგრძნობინნა ძმებს.

ბადუ უხმოდ შეტრიალდა. მას მიჰყვა ნოჩრიც. მხოლოდ ყიფა ჩამორჩა.

— შორეულ ნათესავად გვერგები და იმიტომ გიმხელ — ქვეშქვეშურად იმოყვრებდა უცხოს — ვინცობაა წასული მონდოდმოს, არ გადაატორო, ამას უკვე ხელისუფლების სახელით გიბრძანებ! საქმისთვის აჯობებს ეგრე. წინაალმდეგ შემთხვევაში მოღალატე ბიძის გულშეატკივრობას დაგიმტკიცებ და მერე ყველაფერი შენს თავს დააბრალე — ეუბნებოდა ძმების გასაგონად და მხარზე ისე ღონივრად დააწვა, მთელი მტკავლით გადაფერდა.

ისემც მკვდრების სული გიცხონდეთო, გაცხარდა გუნებაში მებორნე. თუმცა ხმამაღლა თქმას მოერიდა. თავი ჩაღუნა. წაკვანჭალდა.

ნინო ჰალიძონიან კოჭლს ერთი მიხედა. ახლა მისი ხვანხვალი ათმაგად შესჯავრდა. გეგონებოდათ მაფას უბედურება ჯოფიას ფეხებს გამონასკოდა.

მიფარკალებდა კვეკვეს ძე და აქვე ბორანზე ამოთრეულ ქალიშვილს წარმოიდგენდა. იხსენებდა დაბოწოწებულ თოკს ყელიდან რანაირი კანკალით ხსნიდა, როგორ ასულიერებდა გონწართმეულს, ან ანაგძაგებულს რაფერ აყლუპებდა ბოთლიდან არაყს.

— მოძულებულმა ყოფნამ მაქნევინა — ეცრუებოდა მოღონიერებული ქალწული — ვინ გთხოვდა შველას?! — ცეცხლს აკვესებდა ჯერაც სველი წამწამებიდან.

კი, ჯიმადის[1] სულისდგმა იყო გახას ასული, ჯოფიაზე გვარიანად ასაკოვანიც, მაგრამ სიყვარული წლებით როდისმე გაზომილა?! ეგეც რომ არა, კვეკვეს ბიჭს ოდამადეში ხუთი ბიძის კაბინჩების ჯოგი დაუდიოდა.

იერემლებოდა მებორნე. ცოლობას სთხოვდა. ის კი მაჯაზე შემოჭერილ ბაწარს კბილებით იცილებდა.

ამის თქმას ჯელს ქალიშვილის მდგომარეობა აბედვინებდა. დასაღუპავად არ ეთმობოდა. მხნეობამოკრებილი ამიტომაც წაეპოტინა, თუმცა საყრდენ ფეხზე ნაძგერებმა ქუსლმა გულღმა გაშოტა.

უმზერდა ყინის ძმისწული მდინარისკენ შერკალულ სხეულს, რომელიც ბაღმა. სატანჯოსკენ, შერისხული ბიძისკენ მიილტვოდა. მიხვდა მაფასთვის ხელი ვისაც უნდა გაებაწრა და ბორნის იატაკზე გაწოლილმა გველივით დაკლაკნილ თოკს ქვითინით მიუფერა.

იგონებდა ამას. მიკვანჭალებდა ბოღმით ვასენილი, თვალცრემლიანი, კბილებით ცერათითს ჩაფრენილი.

...მოსახლეობას ახალი დროების წყმა. ყოველი წერილმანი წამოწყება საერთო, მსჯელობის საგნად იქცეოდა ხოლმე. ხალხი ამაყობდა ცენტრით, სადაც ორი ძირგამომპალი ფარდული, ბორტებიდან შეკრული სასიმინდეები და სასოფლო საბჭოდ გადაკეთებული ლევა მუშუქიასეული ოდა-სახლი იდგა: ეს წაბლის ხისგან გარიწკინებული სასახლე მზითევში მოჰყვა ოდესღაც მოფარაფრაზე, შერვაშიძეების მერამდენედ გათხოვილ ასულს. ახლა მის სამხაოეულობში ბინადრობდნენ ნაფოტივით ხმელი ნადე და კიკინებიანი მილანდარი. თვითონ გაოფიცრებული მეჯინიბე, ლევა, ოცდაერთში მენშევიკურ მთავრობას საფრანგეთს გაჰყვა თუ სხვა რამ ხიფათს ეწია არავინ იცოდა.

კოლექტიური ზრომა წლითი წლობით ყოველისმომცველი შეიქმნა. თუ ადრე შემლებულ ბლეს მარჩენალი კამეჩების საერთო ულელში შებმა უმძიმდა, ჭირნახულს ერთ ტაფაში მოსახრაკად ვერ იმეტებდა, თანდათან, ხან ცოლების შეგონებით, ხან შვილების ხათრით, ზოგჯერ მეზობლების ჯიბრით, აქა-იქ საერთოდ ცხოვრების პირობე-

---

1 ბიძის. (მეგრ.)

ბის გაუმჯობესებით, ბედს ურიგდებოდა, ჩემი იღბალი ასე ყოფილაო, ასკვნიდა.

გახა ჰალიძონიასთვის კოლექტივში შესვლა არავის უკითხავს. „შვილმა ჩამოაჭრა ფრთები“. სანაქებო თხილნარიც კაკლის ხეების მწკრივით ხსოვნასა შემორჩა. წარსულის სურათებს სიმწრით ადადგენდა ხოლმე ბაჩაჩიას ძე. იგონებდა თუ ბუტეკაები რანაირ გასკდომამდე გატიკინდებოდნენ, გახურდებოდნენ, მიწას ამოდინგავდნენ და შიგ შეიმალებოდნენ.

ჭოფია ანთარიას ცოლის შერთვა ეწადა, მაგრამ მის ქარაგმებს ქალიშვილები ისეთი ტკარცალით შეეპასუხებოდნენ, ფეხქვეშ ლამის ბორანი გამოცლოდა. ყველ კარდუხიასეული წუთისოფლის არსი კვეკვეს ძესაც მშვენივრად ეესწავლა, თუ რანაირად მორიდებოდა დიდთავა კაცსა და პატარაშუბლა ქალს; შეეცნო გველი გარედან რისთვის ჭრელდება და ადამიანი — შიგნიდან, დაეხსომებინა დავიწყებული ძველი მცნება რა მალე შეიმოსება სიახლით.

გმირ და მოდალტე ჯიმადებს შორის გარჩენილ ამ ორი ნაპირის შემაერთებელი საქციელის ჩადენა ეწადა. ყველს ნაბრძნობს სიყრმიდანვე შეზრდილმა დიდებულად იცოდა ნემსს და მახათს მუშტი რომ არ შემოეკრება, არც პაპის ნაჯამ ტყემალს ეშველება რამე, სანამ შვილიშვილს კბილს არ მოჰკვეთს.

ანთარიეის სათავე მას ებარა და ჯილაგის გაგრძელება ევალებოდა. თუ პაპისპაპას ათი ძე ჰყავდა, მე რათი ვარო ნაკლები, ფიქრობდა მებორნე. გადიოდა დღეები და ნელინელ დაგორებული ქვის სიმსუბუქე ეუფლებოდა.

ფერიცვალება დღეს, როგორც ხარირემი ხეს არ შეეფხანება, ისე ხვაშიადის დამალვა მართებდა, მაგრამ გულისხმაც თანდათან სჯაბნიდა

ერთხელ მგზავრების ამაო მოლოდინით თავმბეზრებეული ჭოფია ასევე მარტოობაში ცადმოხეტიალე მეჩონგურეს რჩევისთვის ეახლა გოლიათი ჭადრისძირას. თუბალიებისთვის მიყიდული მეწველი კამეჩის ფულიც მაგრამ მოემუქა და აზრგაფანტულმა ძოხუცმა ამოხდა თუ არა, მაშინათვე ჯიბეში ჩაუცურა. თან დასძინა რამდენ მანეთს რა მიზნით უსახსოვრებდა.

ბერმუხა მკლავებმაგარი ჭაბუკის სიჯიუტემ ნამდვილად მოქანცა. აი, მერე საცოლედ შეეერილს მარცხენა საჩვენელი თითით ემუქრა ერთხანს, მოგვიანებით იმავე ხელით გახუნებული წვერი მობრჭყალა, ერთხელ, მეორედ.

ტყუილისა და მართლის კარის მეზობლობა ბრძენკაცის უსაყვარლესი მცნებათაგანი გახლდათ. მგლის დაკბენილს ძილი რომ მიუვა, მაგრამ სამშობლოს დამკარგავს — არაფრისდიდებით, ისიც.

ჭოფია ანთარიიან ოდაბადელების წყევლის საპირისპიროდ, უცოდინრობა სხვისი დაჯერებით გამოასწორა. უმცროს ძმას, დუყლას, წისქვილში სიმინდი დაათქვეინა. ოჯინჯალედან შებოლილი ყველები და კუპატები ჩამოხსნა. ტაბაკი, საცერი, ქვაბი, ჩოგანი, დახერხილი შეშა და მისთანანი, ზემოთხსენებულთან ერთად ურემზე დააწყო, ბორნამდე მიზიდა. ღიმილით დაეთხოვა ძმას. მერე ორთაყვარს მიაწვა და მიაწვა, ვიდრე მდინარის თავარ ნაკადში არ შეცურდა.

ჭოფია ანთარიიან სამი დღე და ღამე ყური დაუხშო გალმა-გამოლმა აყაყანებულ მგზავრებს. ვერც ნათესავების სვეწნა-მუდარამ გასჭრა, ვერც დედის გულისდამთუთქავმა ქვითინმაც. დაიწყო შეპირებანი. წამოვიდა სიტყვიერი საჩუქრები მარჯვნიდან და მარცხნიდან, მაგრამ მებორნე ძველებურად ქვაბში ღერღილს ჩაუშვებდა, მორევში ამოავლებდა, შედგამდა გალვივებულ სამფეხზე. გულმოდგინედ ატრიალებდა ჩოგანს. ღომის მოშუშებას დაუცდიდა. მერე ამოიღებდა, ტაბაკზე დაადებდა. ყველს მრავლად დაუროთავდა. ირგვლივ კუპატების მადისაღძვრელი სუნი ტრიალებდა. დანაყრდებოდა ცოტას და დანარჩენი ათი კაცის სამყოფს ჩახვეტავდა ჩოგანით ენგურში. დარეცხდა და დააკრიალებდა ჭურჭელს. წამოწვე-

ბოდა მერე სკამ-ლოგინზე და იყო ასე უცნაურად გარინდებული, ვიდრე მორიგი სადილობის თუ ვახშმის ჟამი მოახლოვდებოდა. მოკლედ, თავად ხმაგაკმენდილმა სოფელი ბევრი ალაპარაკა. ბოლოს შეკრებილებს ბუჯუკი ჭანიას შავტუხა ქალიშვილი, ძუბა ვამოეყო და ხალხს მებორნის საწყველი აუწყა:

— თქვე დაბრმავებულებო, ვეუბნებიან, ისეთი ცოლი შემრთეთ, ნაშრომს წყალში რომ არ გადამიყრისო, გაიგეთ?! როგორც ვატყობ, ამისი მსგავსი ახლომახლო ჩემს მეტი არავინ ყოფილა. ჭოფია, იკმარე გამოცანები! ის ფქვილი კიდევ დაგვიჭირდება — თქვა ასულმა და დამსწრეების საკვირველად კვეკვეს ვაეიც მაშინათვე დაფაცურდა.

ოიცებდნენ ჭოფიას მოხერხებულობას და ეს ამბავიც ისე მალე მიიგეწყეს, როგორც სძინისთვის ქორწილის დღეს უკანმბრუნებული გასამჯელო ყვევ კარდუხიამ.

მებორნის უღელში შებმამ ძუბა ჭანხეს ცხრაპირი კანი გააძრო. „შენაფოტე თანამეცხეღრის პატრონს“ ისღა დარჩენოდა ხელები წაეკაპიწა“. თხილნარის ნასხლავი წკნელებით ბოსტანი შემოერაგვა. საადრეო ყანა ეთოხნა. კოლმეურნეობის ფართობებშიც ეტრიალა. დილაუთენია კამეჩები ჩამოეწველა. ფრინველი დაეპურებინა. ჩაიც ეკრიფა. საღამოობით ვახშამი შეემზადებინა. ჯორკოზე მქინდრავს ჯალაბის ტანსაცმელი ეკეთა, ვიდრე ქმარი საძინებლიდან მზაკვარულად არ შეეხმიანებოდა. დაღლას შეახსენებდა. თითქოს ცოლის ჯანმრთელობას უფრთხილდება და რამე ცუღლუტური არ განუზრახავსო.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა თოკით დაბმული პატარები ლაფაროში პუტუნებდნენ, მოხრდილები დედას საოჯახო საქმეებში ეხმარებოდნენ. კვეკვეს ძე ბორნის სკამქრახზე თვინიერად ხვრინავდა. მხარს მხოლოდ ბარჩხალა მზის შემოჩენა შეაცვლევინებდა. აი, შემდეგ კაწში მწოლი ყაჭივით იზოზინებდა, იხვნეშებდა, ზმორვებ-ზმორებით თავს ასწევდა. სადილისკენ გადახრილ შვილების მოტანილ საუზმეს ისე მადაგაჩენილ შეირგებდა, იფიქრებდით, დალოცვილს ცხრა ფუთი ოფლი ოღვრიაო. არა, ჭოფია ანთარიას მთლად ცივოფლობაა ვერ დასწამებდით. უმეტეს დროს ბორნის ხოსს ეჯაჯგურებრდა. ოდაბადელებს ალმა-წალმა დაატარებდა. ტაროსი იყო თუ ავდარი, შუაღამე თუ სისხამი...

წვრილშვილი კაცის ჯანი ჭების თხოვნიც ილეოდა. დადგებოდა თუ არა აგვისტო; მათი სასმელი წყალი ჟანგისფერს დაიკრავდა. მერე იწყებოდა ერთი ვაივაგლახი — დასვრეტილი, სილაჩაყრილი ვედროებით ზაფრანისფერი სითხის ფილტვრა. ქალის ხმაში წუთისოფლის სამდურავი ჩნდებოდა. ჭოფიას მათი ერთად შემყრელი ბედის ლანძღვა-დასამარება გააცხარებდა. მუხლზე ხელს დაირტყამდა. იმ ჟანგისფერწყლიან ჭაში ჩაიფურთხებდა. სამოსახლოდან ამოკრეფილი ქვებით ამოვსებდა. ახალ ალაგს მოიგულვებდა. მიმწუხრზე თეფშებით დაფარავდა. დილით კვერცხს გადააგორებდა. დაჰკრავდა ბარს, მაგრამ ამონთხარი კვლავ ძველი ფერითა და სურნელით გაპიპინდებოდა.

ანთარიების ისედაც დაქცეული დიდოჯახის მთლიანობა გარკვეულწილად დუყლას უშვილობამაც დაბზარა. მერე იყო და გაყრიხპირას მისული ცოლქმარის სიბრალულმა ჭოფიას უმცროსი ძმისთვის ბიჭის მიცემა აღთქმევინა.

როცა ძუბა ჭანხეს მოლოგინების ჟამი მოახლოვდა, ხეთელმა რძალმა მეწველი კამეჩი შეიძინა. მიტკლეული და ჩითეული მოიმარაგა.

ბალიშს კბილებით ჩაფრენილი მშობიარე დედის მუხლებთან აკუავლდა პირმშო, ერთი, მეორე. ვაქეი, ღონივრები, იასამნისფრები. უკვე საღამოვდებოდა, მაგრამ დედაკაცი ბიჭის გაშვილებას აგვიანებდა. ტყუპს ვეღარ დავაშორებო, თქვა რძლის გასაგონად და დუყლას ბერწი ქალიც ბორნისკენ გაზლუქუნდა.

ჭოფია რომ მოკვანჭალდა ძუბა ჭან-

ხეს ტუჩებმოცმაცუნე, განბანილი და ჭიპებგანსაკვული მემკვიდრეები აქეთ-იქით ამოწვინა.

— გონს მოდი, დედაკაცო! — მოლოცვის მაგივრად შეგონებით დაიწყო ჭოფიამ — ბიძაშვილები ვის "გაუყვია, გვარი გამოეცვლებათ თუ სახელი?! ისინიც გაიხარებენ.

— კარგ დროს გაგახსენდით დედა და შვილები — სათქმელი ბანზე აუგდო მოლოგინებულმა.

— მამის სულს ვფიცავარ, თუ სიტყვას გამატეხვინებ, იცოდე, გაგაგდებ შინიდან ლეკვებიანად! — იმუქრებოდა გათარანებული.

— ჩემი აშენებული სახლიდან შენ მიბრძანდი, ბატონო, სადაც გენებოს, ხომ გაქვს ეგერ ბორანი და ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს, მშვიდობაში — პასუხობდა ჭანიების უდრეკი ასული.

როცა ჭოფია მიხვდა ქადილით ვერაფერს გაწყობდა, თითქოს გოჭიაო, ცოლს მარჯვნივ მწოლ პატარას დასტაცა ხელი და აივნის მოაჯირს გადამხობილი, დედობის მოწადინე რძლისკენ გააქანა.

ძუბა ჭანხვამ იკივლა და იკივლა ... კვლავების მიწაზე ჩამოსახრელად. შვილმოტაცებულმა ავაზამ სძლია ქალურ სისუსტეს. ჩვრებში გახვეული ჩვილი გამოგლიჯა. როცა გაგულისებული კაცი ხელმეორედ წაეპოტინა, ლაჯებსშორის მუხლისთავი ამოჰკრა. ჩაეუნცვინა. თვალები გადმოუკარკლა. ლამის სული გააფრთხობინა.

კვირას თვე ცვლდა, თვეს — წელიწადი.

უკვე მთელი ოდაბადე კოლექტივში საქმიანობდა, თუმცა იყენენ კაეზე და გუთანზე ანეგდოტების მთხზველებიც. პირველს ძველ დროს უკავშირებდნენ, როგორც შემოსავალში სანახევროდ ჩაზიარებულს, მეორეს — ახლანდელ წყობას, თითქოს ყველაფრის მიმთვისებელს.

ერთ-ერთი საზოგადო კრების დროს რაიონის წარმომადგენლის კითხვისას, რანაირი თვალით უყურებთ დღევანდელობასო, შეკრებილებს პასუხი ხალხის ძაღლითდამპურებელმა კუნტა თუბალიამ დასწრო. ვითომ საკუთარი ფიზიონომია მოიშველია. თანასოფლელების გამხიარულება სცადა.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ ხარიტონაშვილი

საშოგლოსადვი

გაწბილებული პაპა, გაგიყებული ხარი,
გოდრებმიყრილი ურმის ჩამოტეხილი მხარი...

აქეთ ბომბორას ყეფა, იქით ბებიას ვიში
გამახსენდება ცხადად, მომელანდება ძილშიც.

ვხედავ, აწვება იმედა შიშველი ხელი მთვარის,
ჭრიალ-ჭრიალით მიდის ურმის ორივე თვალი.

რქებით ჩხვერავენ ცისკარს ჩემი ნიშა და ლომა
მე მათი გზებით მოვალ და შენი ფიქრი მომაქვს.

შემორჩენია სურვილს, როგორც ბეჭედი მარჯნის
სწრაფვა ძიების, წინსვლის, თავდადების და გარჯის.

რომ გაიზამთრებს ქამი, როცა შეწყდება თოვა,
დაებრუნდები და შენთან ლამაჭ სიზმრებად მოვალ.

ელიმებოდა გოგოს

ელიმებოდა სისხამს, ელიმებოდა გოგოს,
მეველის ქოხი ჰგავდა ნამში ამოზრდილ სოკოს.
მინდვრის მოხვნილულ გზაზე არცა არავინ ჩანდა
სისხლისფერ ჰორიზონტის და ამ გოგონას გარდა.
ის მიდიოდა ნელა, შუქი უდუღდა თვალთა,
თითქოს შიგ ჩაუბერტყა ღამემ ვარსკვლავთა კალთა.
დაჩოქილიყო გზისპირს ნამში ტანჩია წუხა
და ნამეხარი გული უგავდა ჩაქერალ წუხარს.
ბერი ბერდიას ხარი თვალებით ხრავდა გუთანს, —
გუთანს ვით ავგაროზი ეკიდა საგზლის ფუთა...
და მიდიოდა გოგო, ელიმებოდა რიყრაქს
და სიყვარული მისი მამულის ფრთებზე იჯდა.

რობერტ მუზილი

შ ა შ ვ ი

მოთხრობა

ის ორი კაცი, ვისი ხსენებაც მომიწევს, რათა სამი პატარა ამბავი მოგითხროთ — ანგარიშგასაწევია, ამ ორიდან რომელი მთხრობელი, — სიერმის მეგობრები იყვნენ; დავარქვათ მათ აპირველი და ამეორე. კაცმა რომ თქვას, სიერმის მეგობრობა მით უფრო საოცარი გვეჩვენება, რაც უფრო გვემატება ასაკი. ადამიანები წლების მანძილზე ტერფით თხემამდე იცვლებიან, იცვლებიან გულიან-ბუდიანად, ერთმანეთისადმი მათი დამოკიდებულება კი რატომღაც ძველებურია ხოლმე და ისევე ცოტათი თუ შეიცვლება, როგორც ყოველი ცალკეული ადამიანის დამოკიდებულება იმ ხალხის მიმართ, ვისაც იგი ერთმეორის მიღოლებით იხსენიებს საკუთარ „მე"-დ. საქმეს ის კი არაა, ადამიანი კვლავაც ის თუ აღქვამს სამყაროს, როგორც ოდესღაც ფოტოსურათზე აღბეჭდილი ქერათმიანი და თავბრმბოსა ბიჭი; სრულებითაც არა; დანამდვილებით ვერც იმას იტყვი, აკაოდა, უცვარსო საკუთარი „მე"-ს ის პატარა და სულელური ფოტული. აი, ასეთივე განწყობითა ხარ ხოლმე! საუკეთესო მეგობრების მიმართაც: მაინცადამაინც არც მათ აზრებს იზიარებ, ბევრი რამ არც თვალში არ მოგდის; ზშირად მეგობრებს სულაც გულზე არ ეხატებათ ერთმანეთის; და მაინც, ასეთი მეგობრობა, გარკვეული აზრით, ყველაზე მტკიცეა, ყველაზე უკეთესი; წმინდა სახით სწორედ მას ახლავს იდუმალების ელემენტი.

ყრმობისას, რომელმაც ერთმანეთს დააკავშირა აპირველი და ამეორე, მეგობრები ლამის გამიჯნულებიც იყვნენ რელიგიისაგან, მართალია, ორთავენი ისეთი სასწავლებელში იზრდებოდნენ, სადაც რელიგიურ პრინციპებს ღირსეულ პატივს მიაგებდნენ და ამით თავიც მოჰქონდათ, მაგრამ სასწავლებლის აღსაზრდელებს საკუთარი ღირსების შელახვად მიიჩნდათ, თუკი ამ პრინციპებს რაღაცად ჩაადგებდნენ. სასწავლებელს, მაგალითად, ნამდვილი ეკლესია ჰქონდა; ქვის სამრეკლოიანი, დიდი და თან ლამაზი ეკლესია, მხოლოდ და მხოლოდ ამ სასწავლებლისათვის განკუთვნილი. და რაკი აქ უცხოთაგან არავინ შემოვიდოდა, აღსაზრდელები წრივის დროს ჯგუფ-ჯგუფად შეკუნტრუშდებოდნენ ხოლმე — მხოლოდ ზოგიერთები თუ ჩამოდგებოდნენ წინა მერხებთან და საეკლესიო წესისამებრ თავ-თავის დროზე მოიყრიდნენ ფუხლს, ისევ წამოდგებოდნენ, — სააღსარებლის უკან კარტს თამაშობდნენ, ორგანთან ასასვლელ კიბეზე მოკალთებულნი სიგარტს ეწევოდნენ, ან სულაც სამრეკლოზე ადიოდნენ, რომლის წვეტიანი სახურავის ქვეშ საშნადელ ლამბაქვით გადმოყიდებულიყო ქვის აივანი, მერე კი აივნის მოჯირზე, იმ თავბრუდამხვევ სიმაღლეზე რას აღარ ონანაზობდნენ, ოვით ნაკლები ცოდვებით დამძიმებულ ბიჭებსაც რომ შეიძლება სიკვდილის ფასად დასჯიდნოდათ.

ღმერთის ახე ხმაში გაწვევად ითვლებოდა, თუკი ნელ-ნელა დაძაგრავდი ტანს, სამრეკლოს მოჯირზე ყირას გაკიმავდი, ხელებზე დამდგარი ერთხანს იტორტმანებდი და თან თავქვე მიაჯაჭვავდი მზერას, ვისაც ასეთი აკრობატული ილეთი მიწაზე ჩაუტარებია, უსათუოდ ეცოდინება, რა თავდაჯერება, სიმამაცე და ილბალია საჭირო, რომ ასეთივე რამ სამრეკლოს სიმაღლეზე, ერთი ფეხის დადება ქვის ფილაზე გიიმეორო. ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრი თავზე ხელადებული და ყოჩაღი ბიჭი მაინც ვერ ბედავდა ამას, თუმცა კი, დაბლა, მიწაზე, ლამის იყო და ესერინგთ ყირაზე დამდგართ. აი, აპირველი, მაგალითად, ამას ვერასოდეს ვერ ბედავდა. სამაგიეროდ, სწორედ ამეორე იყო ის კაცი, ვინაც ბავშვობაში სულის ასეთი გამოცდა დაეწესა, და ეს ამბავიც, ალბათ, კეთილ სამსახურს გაუწევს საიმისოდ, რომ იგი მთხრობელად დავისვამ. ძნელად თუ ნახავდით, რომ ვინმეს მისნაირი ტანი ჰქონოდა; სხვებივით ვარჯაშში კი არ ჰქონდა დაკუნთული, ასე გეგონებოდა. თვითონ ბუ-

ნებან გამოუწვნაო კუნთებისაგან — ძალდაუტანებლად, თავისთავად. მბრაბზე საკმაოდ პატარა, ვიწრო თავი ეღვა; თვალები ხავერდში გაბნეულ ელვებს მიუგავდა, ხოლო მისი კბილებიც შემეურეს უმალ მსხვერპლის მადვანი ნადირის ელვარე კრიჭი გაგახსენებდოდა, ვიდრე მისგიეური რამ თვინერება.

მოგვიანებით, სტუდენტობის დროს, ორივე მეგობარი სიცოცხლის წარმოშობის მატერიალისტურმა იდეამ გაიტაცა, ადამიანს რომ ღმერთისა და სულის გარეშე გაიაზრებს, რაღაც ფიზიოლოგიურ ან სამეფენენო მაჭკანად, რაც, ალბათ, შეეფერება კიდეც სინამდვილეს. მაგრამ მათთვის ეს ამბავი როდი იყო მთავარი, რადგან ასეთი ფილოსოფიის ეშხი მისივე ეშეშმარიტება კი არ გახლავთ, არამედ ამ ფილოსოფიის დემონური, პესიმისტური, შეშზარავ-ინტელექტუალური ხასიათი. იმნანად მათი ურთიერთობა უკვე სიკვაბუკის დროინდელ მეგობრობად ჩაითვლებოდა. ამიერ საატეო საქმეს ეუფლებოდა ღა, ხშირად ამბობდა, სწავლას დავსარულებ თუ არა, მეტაუვეე-ინეინრად გავეიგზავრებინო რუსეთში ან სადმე აზიაში. მისმა მეგობარმა კი ამ ახალგაზრდულ ნატკოის ნაცვლად ამასობაში გაცილებით სოლიდური მიზანი დაისახა და მომმლავრებულ ფუშათა მოძრაობას ეზიარა. რიცა ისინი ომამდე ცოტა ხნით ადრე კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, ამიერე უკვე დაბრუნებულიყო რუსეთიდან. თავის იქაურ საკმიანობაზე ოშვიათად თუ ილაუოდა რამეს, ახლა იგი ერთ-ერთი დიდი საზოგადოების მიუ-ოროში მსახურობდა და, მისი შემეურე, ასე იფიქრებდა, უწონ, ტტუოან, არ გაუშართლა და საკმეე დაეცარაო, ოუმცა კი, ცხოვრება თითქოს ეარ ეარ ეარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამად განვაცხადო, რომ ის უსიამოვნო საუბარი, კარადაზე ამძვრალს რომ მომიფინა, სულ სხვანაირად ყოფილა.

ამ ამბის გახსენებაზე ამეორიგ გაიცინა და ჭიკა შეიგსო. პირველი კი იმაზე ფიქრობდა, რომ ახლა სწორედ წითელლამაფურიან აივანზე ისხდენ, და ეს აივანიც მისი ბინის ნაწილი იყო, მაგრამ არავფერი უთქვამს, რადგან ძალზე კარგად იცოდა, რასაც გაიგონებდა პასუხად.

— სხვათა შორის, — შენიშნა ამეორემ, — დღესაც დარწმუნებული ვარ, რომ ამ კანონზომიერებას უძლეველობის რაღაც ნიშანიც ახლავს, ხოლო მაშინ, მასობრიობისა და გაწნორულების ეს სული ლამის უდაბნოდ, ან კიდევ, ზღვად მეჩვენებოდა. მართალია, ამაზე ფიქრიც კი გულ-ფიდელს მიმდერეს, მაგრამ ჩიკვაოს რომელიღაც სასაკლაოს ზომ სულ სხვა რაშაა, ვიდრე პატარა ბიჭვავილე ქოთანნი! გასაოცარი კი ის იყო, რომ სწორედ მაშინ, იმ ბინაში ცხოვრების დროს მომეძალებოდა ხოლმე მშობლებზე ფიქრი. ალბათ გემახსოვრეს, რომ მშობლებთან ყველანაირი კავშირი დავკარგე. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს თავში ასეთი აზრი შემომძვრა: „ამ ხალხმა სიცოცხლე გაჩუკა". და ეს სასაცილო აზრიც დროდადრო ამეზარი ბუზივით შემომჩნდებოდა, ვერაფერით რომ ვერ მოიგერიებ. ამის მეტს ვერაფერს იტყვი იმ ფარისეულურ მოძღვრებაზე, რომელსაც ბავშვობიდანვე გვიჩაჩინებენ. მაგრამ საკუთარ ბინას რომ შევავლებდი თვალს, ჩემ თავს ასე ეეტყოდი ხოლმე: „ხომ ხედავ, შენი ცხოვრება შენ თვითონ გაკეს ნაყიდი; ყოველწელიერად ამდენი და ამდენი მარკის საფასორად". შესაძლოა, ზოგერი ასეც ეეუბნებოდი: შენი ცხოვრება შენ თვითონვე შემკმენი-მეთქი — უნივერმაღის, სიცოცხლის დამზღვევი პოლისისა და სიამაყის შეგრძნების რაღაც ნაზავი. და სწორედ მაშინ — გეგონებოდა, რაღაც საიდუმლოაო, — საოცრად გამაკვირვა იმ ამბავმა, რომ ჩემთვის თურმე რაღაც უჩუქებიათ, უჩუქებიათ ჩემდა უკეთხავად და თანაც ისეთი რამ, სუფევლაფრის საწყისი რომ ყოფილა. ეს აზრი, ეტყოფა, გაუთვალისწინებელი და უთავბოლო ამბების ნამდვილი საგანძური იყო, მე თვითონ რომ ჩაეფილი; ჰოდა, ბუღბუღთან დაკავშირებული ის ამბავიც სწორედ მაშინ მოხდა.

ჩვეულებრივი საღამო იყო, სხვა საღამოების მსგავსი. აღარსად წავსულვარ, შინ დავრჩი და, ცოლი რომ დასაძინებლად დაწვა, ჩემს ოთახში მოვკალათდი. ოლონდ ეს კია, არც წიგნი ამიღია ხელში, არც სხვა რამ გამომიწეია, და ეს საღამოც სხვა საღამოებისაგან ალბათ ამით თუ განსხვავდებოდა. თუმცა, ასე სხვა დროსაც მომხდარა, ნაშუალამევის პირველი საათის შემდეგ ქუჩა წუნარდება ხოლმე; ათასში ერთხელ თუ გაიგონებ ვიღაცის ლაპარაკს. ამ სიჩუმეზე უური გაკვს მიდებული და ყოველ გუნებეკ, როცა იგრძნობ, წინ-წინ როგორ მიიწევს ღამე. თუკი ქვეშოდან ღამის ორ საათზე ეშმაგებენ ხმაური ან სიცილი, ეს უკვე ლოთების ან მეღამურების ატეხილი იქნება. ანაზდად ვიგრძენი: დადარილებით ველოდებოდი რაღაცას, თუმცა კი გუმანითაც ვერ მივხვდი, რას ველოდებოდი ასე. დაახლოებით სამ საათზე — მაინს თვე იდგა — ცას ისიფერი შემოეპარა. ჩამობნელებულ ბინაში საწოო ოთახამდე ხელის ცეცებით გავიკვლევ გზა და ლოგინში უჩუმრად ჩავწექი. ძილისა და მომდევნო დილით ოკვე ჩავლილ დღესავით დადგომის მეტს აღარაფერს ველოდი. სულ მალე ბურანში წავედი, აღარ ვიცოდი, მეღვიძა თუ მეძინა. ფარდებისა და ჟალუზების შუა-შუა დარჩენილ ღრიჭოებში სულ უფრო ხალალი ისატებოდა შუქი სიმწვანე, ოთახში ფიფრი გარიფრაფის თხელი ზოლები მოცოცავდა. მაგრამ ეს ყველაფერი შეიძლება ფხიზელი გონების უკანასკნელი შთაბეჭდილებაც ყოფილიყო, მშვიდი სიზმარიც. უცებ რაღაცის მოახლოებამ შემაკრთო და გამომაფხიზლა; ბგერები ჩამესმა: ერთხელ, მეორედ — ჯერ ისევ ძილ-ვეიძილში ვიყავი. მერე კი ბგერები მეზობელი სახლის სახურავზე ჩამოსხდნენ და ჰაერში დელფინებივით მოპკვნენ ხტუნაობას. იმასაც ვიტყოფი, ფეიერვერკის დროს ამოფრქვეული მაშხალებივით-მეთქი; იმიტომ რომ მაშხალებივით გამოფრთხობდნენ. დაბლა დაცემისას ნაზად გიფრქიალებდნენ ფანჯრის მინებზე და, დიდი ვერცხლისფერი ვარსკვლავებივით სილრმეში ითრეკბოდნენ. ახლა უკვე მონუსხულივით ვიყავი. ჩემს საწოოში ისე ვიწექი, ვით ქანდაკება თავის საფლავის ფილაზე და თან ვფიზზლობდი, მაგრამ არა ისე, როგორც დღისით. ძალზე ძნელია ამის აღწერა, ხოლო როცა ამაზე ვფიქრობ, ისეთი გრძნობა მეუფლება, „თითქოსდა საკუთარ თავში ჩამპაირქვავეს; ქანდაკება კი აღარ ვიყავი, მეგონა, საკუთარ თავში დავიძირე-მეთქი. ოთახი აღარ იყო გამოფფლრეული, თითქოს რაღაც ნივთიერებით ავსო, რომელიც დღისით — მზისით, არასდროს არ ირეობოს: რაღაც შავად მქვირვალი და შესაგრძნობლად შავი ნივთიერებით, მე თვითონაც რომ პირთამდე ამომავსო. დრო პუფსის ხმარი, მოკალი-მოკალე დარტყმებით გარბოდა წინ-წინ. და რატომ არ უნდა მომხდარიყო ახლა ის, რაც სხვა დროს არასოდეს ხდება? — ბუღბუღია, — ხმადაღლა ვუთხარი ჩემს თავს, — ბუღბუღი გალაზს!

— შესაძლოა, — განაგრძო ამეორემ, — ბერლინში მართლაც იმაზე მეტი ბუღბუღია, ვიდრე მეგონა, მაგრამ იმნაირად ვფიქრობდი, ამ ქვის მოებში საერთოდ ვერ ნახავდი ვერც

ერთს, და ეს მგალობელიც შორიდან მოფრინდა-მეთქი; ჩემთან მოფრინდა!.. უცებ მოეფინა ... ჩემი არსებით შევიგრძენი ეს, და ღიმილ-ღიმილით წამოვწევი... ცოცური ჩიტი! მაშასადამე, იგი მართლაც არსებობს!.. იცი, ეი ასეთ წამს სავსებით ბუნებრივია, ირწმუნო ზებუნებრივი და ისეთი გრძნობა დაგეუფლოს, თითქოს მთელი შენი ბავშვობა მოჯადოებულ სამყაროში გაგეტარებინოს. მაშინვე ასე გავიფიქრე, ბულბულს გავუვები-მეთქი. „მშვიდობით ჩემო საყვარელო, — ვფიქრობდი ჩემთვის, — მშვიდობით ძვირფასო, მშვიდობით სახლო, ქალაქო!.. მაგრამ ვიდრე ლოგინიდან ავდგებოდი, ვიდრე მოვიხსაზრებდი, ბულბულთან სახუავზე ავმძვრალიყავი თუ ეკუჩა-ეკუჩა გამოვდევნებოდი, მგალობელი დადუმდა; ეტყობა, სხვაგან გადაფრინდა.

დ: აი, ახლა იგი სხვა სახუავზე გალობდა, გალობდა სხვისთვის, სხვა მძინარი ადამიანისათვის. — ამიერი ჩაფიქრდა. — შენ გგონია, ამით დასრულდა ამბავი? საკმეც ისა, რომ იგი მხოლოდ ახლა დაიწყო, და მე ისიც არ ვიცი, როგორი დასასრული ექნება მას!

ოავი დაობლებულად ვიგრძენი და მწარე ნაღველი შემომწვა. სულაც არ იყო ბულბულები, შაშვი იქნებოდა, ეუთხარი ჩემს თავს ზუსტად ისევე, როგორც შენ ეტყოდი ამას. ხომ ცნობილია, რომ ეს მგალობელი შაშვები სხვა ფრინველებს ბაძავენ ხოლმე. ამასობაში მთლად გამოვეხეზლი, სიმუმე სევდას მვვრიდა. სანთელი ავანთე და ცოლს დავუწეე ცქერა — ჩემ გვერდით იწვა; გაფითრებულ-ალუბისფერი ჭკნნდა ტანი. საბნის თეთრი კიდე თოვლის ზოლივით ეფარა ზედ. იქვე ჩრდილის ფართო ხაზები იკლაკნებოდა; სანთელი ენთო, ხელი ლოგინზე მქონდა ჩამოდებული და ეს ჩრდილიც ალბათ ამიტომ თუ გაჩნდა, მაგრამ დანამდვილებით მაინც ვერაფერს ტატოდა. „რა მოხდა მერე, — ვფიქრობდი ჩემთვის, — თუნდაც შაშვი ყოფილიყო.“ საკმეც ისა, რომ ლამის სწორედ ჩვეულებრივმა შაშვმა შეშშალა ჩაუოდანს გეცოდინება, ადამიანი მხოლოდ მაშინ ტირის, როცა უბრალოდ გული გაუტკივდება რაიმეზე. ხოლო თუ ერთიორად გაუტკივდა გული, სულ მალე ისევ შეიძლება ღიმილს. ისევ და ისევ ვუცქერდი ჩემს ცოლს. ეს ყოველივე ერთმანეთთან იყო დაკავშირებული, ოღონდ არ ვიცი — როგორ. „ძალიან დიდხანს ქვეყანაზე შეუსავიან არავინ მიეკვალა, — ვფიქრობდი ჩემთვის, — ახლა კი წევხარ, ვით სიყვარულის დაცლილი ბილნი. ჩემთვის სრულიად უცნობ ხარ უკვე და მეც სიყვარულის გადმა მხარეს ალმოვჩნდი.“ ნუთუ მოგიყრიდდა ეს ყველფერი? ეეოც კი ვიხსენებ ასეთი გრძნობა თუ გამჩენია ოდესმე... უკეთესთან რომ აკიხსნა — წარმოიდგინე, თითქოსდა გრძნობამ გაბურღა გული, აი, მთა რომ გაიბურღება, ისე, გადმა მხარეს კი სულ სხვა სამყარო დამიხვდა ასეთივე ხეობით, ასეთივე სახლებითა და პატარა ხიდებით. მაგრამ მაშინ, უბრალოდ, არ ვიცოდი, რა გრძნობა იყო ეს. ეს კი ახლაც არ ვიცი. შეიძლება ვცდებოდე, ამ ამბავს რომ მომდევნო ორ ამბავთან ვაკავშირებ და ისე გიყვები. ერთს გეტყვი მხოლოდ: ეს რომ შემემთხვა, თითქოსდა ხაიდანღაც ნიშანი მომეცეხო — ახლთი დამრჩა შთაბეჭდილება.

თავი ცოლის ტანთან მივდე — უშფოთველად ეძინა, ყველაფრისადმი გულგრილი იწვა. და ეი, მოიმეჩვენა, რომ ჩკერდი ძალუმად აუდ-ჩაუდიოდა და ამ მძინარი სხეულის ირგვლივ ოთახის კედლებიც ისე ბორგავდნენ, როგორც ტალღები დიდი ხნის წინათ ზღვაში ვგბულელ გემთან. ალბათ ვერასოდეს ვერ გავბედავდი, გამეღვიძებინა და დავმშვიდებებოდი; მაგრამ ახლა რომ ჩუმად გავპარულიყავი, მეგონა, მარტოობისათვის განწირული, პატარა და მიტოვებული ნავი ვიქნები-მეთქი, და დიდი გემიც, სიმიდო ის დიდი გემი, გულგრილად ჩამივლიდა ჩვეულოდი. მძინარეს ვკოცე, — ვერ იგრძნო; რაღაც ეკიურჩრჩული ეურში ეი, ალბათ, ისე მოფრთხილებით, — ვერ გიგიონა. ბოდა, ჩემს თავზე გამეცინა, ბულბულს სიცილი დავაყარე, მაგრამ ნაჩუმათევად მაინც ჩავიცინ. ეასვლის ხანს, მგონი, გულიც ამიჩუედა, ავსლუკუნდი. ოუმცა კი ეასვლით მართლა ეკვიდი. სიმსუბუქის შეგრძნებისგან თავბრუ მეხვეოდა, თუმცა ვცდილობდი თავი დამეჩერებინანა, რომ ეასიერ ეაცს ასეთი მოქცევა არ ეკადრება. მახსოვს, მთვრალივით ვიუავი, ეჩერს რომ ლანძღავ-გინებით იკლეს, რათა თავი დაირწმუნოს, ეზიზ-ზელი ვარო. რაღა თქმა უნდა, ხშირად მიფიქრია, ეკან ხომ არ დავბრუნდე-მეთქი. ზოგჯერ მზად ვიუავი, ნახეკინი ჭეეკანა გამომეკლო, ოღონდ კი ეინ მივსულიუავი, მაგრამ მაინც არ დავბრუნებულეკარ. ახე იყო თუ ისე, იგი ჩემთვის მიუწვდომელი გახდა. არ ვიცი, გამიგიბ თუ არა: ის, ვინც მტკივნეულად განიცდის, უსამართლობა ჩაეიდნეეო, თავს ვეღარაფრით ვერ აიძულებს შეცდომა გამოისყიდოს. კაცმა რომ თქვას, ცოდვების მოტეკეების როდი გთხოვ; მინდა ის ამბები გიამბო, მე რომ გადამხდა თავს, რათა მიეხედე, მართლა მოხდა ეს ყველფერი თუ არა. მრავალი წლის განმავლობაში არავისთან მილაპარაკნია გულახდილად, ხოლო ამ ამბებზე საკუთარ თავთან რომ მესაუბრა, მართალი გითხრა, შემაძრწუნებდა.

მაშ ახე, იცოდე. ჩემი გონება შენს განსწავლულობას არაფერით ჩამოუვარდება.

მაგრამ ორი წლის თავზე სამხრეთ ტიროლში გახლდი, ალეკაში აღმოვჩნდი იმ უსულო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სივრცეში, სადაც ფრონტის ხაზი ჩიმა დი ვიეენამ[1] სისხლიანი სანგრებიდან წამოსული ბელ-დონაცოს[2] ტბისკენ ეზიდეთ. იქ, ხეობაში, იგი მზიან ტალღად გადადიოდა ორ ბორცვზე — ლამბა-ლამბი ერქვათ სახელი — და ხეობის გადადმა მხარეს კვლავ ზევით-ზევით ადიოდა, რათა ბოლოს უშფოთველ მთებში ჩაკარგულიყო. ოქტომბრის თვე იდგა; ცოდად გამაგრებული სანგრები ფოთლებით იყსებოდა, ტბა მდუმარად იწვოდა სილუჭრით, ბორცვები დამწკვარი დიდი ვეერვანებივით მიბნეულიყო; სასაფლაოზე მოტანილი ვეერვანებივით, — ვფიქრობდი ხოლმე ჩემთვის, თუმცა კი, შიშით არ მეშინოდა მათი. ხეობა გაუბედავად იტოტებოდა, გარს უვლიდა მათ და მიედინებოდა თითქოს; მაგრამ ჩვენ მიერ დაკავებული ხაზის გადალმა იგი უკვე ალარ იყო ასე გულის ამაჩუყებლად მორიდებული და საყვირის ხმასავით შემართული — ყავისფერი და ფართო — წინ-წინ მიიჭრებოდა მტრის შორეულ განლაგებაში.

ღამით აქ მოწინავე პოზიციები დავიკავეთ. გაშლილი ადგილი იყო, ახე რომ, ზემოდან ქვებითიც შეიძლებოდა ჩვენი ამოხოცვა, მაგრამ ამის სანაცვლოდ, საარტილერიო ნელ ცეცხლზე გვწვავდნენ. დილ-დილაობით კი, თვითეული ასეთი ღამის შემდეგ, ყოველ ჩვენგანს სახეზე რაღაც განსაკუთრებული იერი ადებეჭდებოდა, რომელიც მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ ქრებოდა: გაგიოცართოდებოდა თვალები, თავები სუფეთლს თითქოს მხრებში გვკონდა ჩარგული და შიგადაშიგ ვინმე ჩვენგანიც ისე წამოწევდა თავს, აი, შეთეთლილი ბალახის ღერო რომ წამოიმართება. და მაინც, ყოველ ასეთ ღამეს სანგრიდან ზმორად ამმოყვანა თავი და შეეკარებული კაცივით მიმოიხედავს: დავინახავდი ღამეში ჩახატულ ბრენტას[3] მთაგრეხილს — ნათელს, ლაჟვარდისფერ,[4] თითქოსდა მინისაგან ნაკეცებად ჩამოქნილს. და სწორედ ასეთ ღამეებში ვარსკვლავები ვეება მნათობებად აბრეკვიალდებოდნენ, გეგონებოდა, მოოქროული ქალალდისაგან გამოუჭრიათო, თან ისე მსუყე-მსუყედ ქთქათებდნენ, როგორც ცომისაგან გამომცხვარნი, ხოლო ქალწულივით თხელი ნამგალა მთვარე — სულმთლად ვერცხლისფერი ან მოოქროული სულმთლად — შუა ცაზე ზურგზე გაწოლილი ცურავდა ნეტარებაში. სცადე და წარმოიდგინე, რა სილამაზეა ეს; მშვიდსა და უშფოთველ ცხოვრებაში არაფერია ხოლმე ასე ლამაზი. ზოგჯერ ვერც კი ვუძლებდი ბედნიერებისა და კაეშნის ამ მოძალებას და ღამით სასეირნოდ ამოვძვრებოდი; მიეცოცდებოდი ოჭროსფად მოზიმზიმე, მწვანე და ჩამუქებული ხეებთან, რომელთა შორის ისე გავსწორდებოდი, როგორც პატარა და მურა-მომწვანო ფერის შეშუბმულო ფოთა მშვიდად მოდარაჯე, ნისკარტწაწვეტებული და სიკვდილად წოდებული ფრინველისა; ასე მისნურად ჭრელი და შავი, შენ იგი არსად გეკნება ნანახი.

სამაგიეროდ, ღღისით მთავარ პოზიციაზე ღამის ცხენოსაც შეიძლებოდა გასეირნება. სწორედ ასეთ ადგილას, სადაც საკმაო დრო გაკეს განსაცხა და შაშისათვის, მიხვდები, თუ რა არის ნამდვილი საფრთხე. ამ საფრთხეს ყოველ ცისმარე დღე თავისი წილი მსხვერპლი მიაქვს — მკაცრად განსაზღვრული საშუალო კვირეული ნორმა, ამდენი და ამდენი პროცენტი, და დივიზიის გენერალური შტაბის ოფიცრობაც ამ ამბავს უკვე ისეთივე გულგრილობით ეკიდება, როგორც სადაზღვევო საზოგადოება; თუმცა, არც შენ თვითონ ხარ გამონაკლისი. ადამიანი ინსტინქტურად გრძნობს, თუ რა შანსი გაკეს გადარჩენის და თავიც დაზღვეული გგონია, ეს კია, არც თუ ხელსაყრელი პირობების სანაცვლოდ. ასეთი უცნაური სიმშვიდე მაშინ დაგეუფლება ხოლმე, როცა დიდხანს გიწევს ცეცხლის ზონაში ცხოვრება. ამას ინსტინქტ გეუბნები, რომ ჩემს გუნებაგანწყობაზე არასწორი შთაბეჭდილება არ შეგიქმნია. თუმცა კი, ზოგჯერ თითქოს შემოგიჩნდება რაღაც და შენდა უნებურად თვალებით ფაუწუეებ ქუბნას ვიღაცის ნაცნობ სახეს, ჯერ კიდევ რამდენიმე დღის უკან რომ გინახავს; მაგრამ იგი ალარსადაა. და აი ანუთმა სახემ შეიძლება მაშინ მეტადაც შეგძრას, ვიდრე ამას გონებ[illegible]ბრეზს და ეს სახეც თვალწინ კიდევ დიდხანს გიდგას ჰაერში, ვით სინათლის სუსტი ათინათი. ანე და ამრიგად, სიკვდილისა ნაკლებად გეშინია, ვიდრე საერთოდ, სამაგიეროდ, გაცილებით მეტი რამ გაღღენიანებს. ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოსდა შიში აღსარსულისა, ადამიანის რომ ეტყოს მუდამ ლოდივით აწევს, გვერდზე გადაკაგრის და ნაკვდილის შორიახლო ახლა რაღაც უცნაური შინაგანი თავისუფლება იფურჩქნება.

იმ ჩვენს უწყინარ განლაგებას ერთხელ მტრის მფრინავმა გადაუფრინა. ასეთი რამ არც თუ ხშირად ხდებოდა, რადგან საკმაოდ მაღალზე უნდა გადმოფრენილიყო მთაგრეხილებისა და გამაგრებულ პლატოებს შუა ღარივით ვიწრო ხეობების თავზე. სწორედ საღამოვის ერთ-ერთ გვირგვინზე ვიდექით, როცა ზეცა თვალისწყმაშნი დაიფარა შრაპნელის ცეცხლისაგან გაჩენილი

---

1 ჩიმა დი ვიეენა — მთის მუწერეკალი ჩრ. იტალიაში (ალტო-ადიჯე)

2 გალდონაცო — ტბა ჩრ. იტალიაში (ყოფილი სამხ. ტიროლი, ამჟამად ალტო-ადიჯე).

3 ბრენტას მთაგრეხილი — კირქვიანი ქანების მთაგრეხილი სამხ. ტიროლის ალპებში (ჩრ. იტალია, ალტო-ადიჯე).

4 კირქვიანი ქანები მკვეთრად მოჩანდა სიბნელეში.

ღრუბლის ქულებით, გეგონებოდა, ხახელდახელოდ ულრის წასაცემად ბუმბულა გაუსვ-გამოუსვეს. ეს ამბავი ხასეირო�a იყო და თითქმის მომჩიზლათიც. ამასთანავე მზე ისე აკიაკებდა ეროოპალნის სამფიცა ფრთებს შუა, როცა იგი სადღაც მაღლა, ჩვენ თავთა ზემოთ მიფრინავდა, თითქოსდა შუქი ეკლესიის სარკმელში ან ბრეშუმივით თხელ, ფერად ქაღალდში ატანდნ. იმ წამს მოცარტის მუსიკალა აკლდა. თუმცა, ანაზნდად თავში იმ აზრმაც გამეიელვა, რომ სუფეელანი რბოლის ხანაბავად მოსული მაყურებლებივით ვიდექით და საუცხოო ხმაზნენდაც გამოვდგებოდით. ვიღაცამ თქვა კიდეც: თავი შეაფარეთო სადმე! მაგრამ, ეტყობა, არავის ჰქონდა იმის სურვილი, მინდვრის თაგვივით ჩაბძერალიყო სორაში. ის წამი იყო, უეცრად თავადერილ ჩემს ხანეზე ღრმიზნენი, ხმადაბალი წკრიალი მომესმა. რადა თქმა უნდა, შეხანძლია პირიქითაც მოხდა: თავდაპირველად ის წკრიალი გავიგონე და მხოლოდ მერედა მივბედი, რომ საფრთხე მიახლოვდებოდა; მაგრამ იმავ წამს უკვე ისიც ვიფიქრე, ხაავიციო ისარია-მეთქი! ფოლადის იმ თავწამახულ ღერეს, ხურის შვეულას სიმსხო რომ იყო, იმხანად თვითმფრინავებიდან ყრიდნენ. ასეთი ისარი რომ თავში მოგბეეიდროდა, ალბათ ქუსლამდე ჩაგარღვევდა კაცს, მაგრამ ეს ისრები მიზანს ეშვითად აღწევდა და სულ მოკლე ხანში მათ ალარც კი იყენებდნენ. ამიტომ იყო ასეთი ისარი პირველი ჩემთვის. ბომბების ჩამოგდებისა და ტაკეიამფრქვევით სროლას სულ სხვა ხმა ახლავს, ჰოდა, იმწამსვე მივხვდი, რაშიც იყო საქმე. დაძაბული ვიდექი, მომდევნო წამს კი უკვე საოცარი, რეალური საფუძველს მოკლებული გრძნობა დამეუოლა: მიზანს მოხვდება-მეთქი!

იცი, რა ვიგრძენი? საშინელმა წინათგრძნობამ კი არა, პირიქით, ისეთმა ბედნიერებამ ამავსო, რომლის მსგავსსაც უწინ ვერაკეი ჭარმოიგენდენი. თავდაპირველად გამიკვირდა კიდეც, ეს ხმა მე რომ გავიგონე მხოლოდ. მერე ვიფიქრე, წკრიალი ისევ გაკრება-მეთქი. მაგრამ იგი არ გამეორა; სულ უფრო და უფრო მიახლოვდებოდა, თუმცა კი ჯერ ისევ ძალზე შორს იყო და თითქოს პერსპექტივაში იზრდებოდა. მოფარვით შევავლე თვალი სხვების სახეებს, მაგრამ ეს ხმა ვერავის აღიქვა. და სწორედ იმ წამს, როცა დავრწმუნდი, რომ მხოლოდ მე მესმოდა ეს ნაზი წკრიალი, მის შესახედურად რადაც ამომიშფოთრდა — სიცოცხლის სხივი; ისეთივე უსასრულო, როგორც ზემოდან წამოსული ბაკვდილის სხივი. სულაც არ ვამტკბე არაფერს, ვცდილობ, რაც შეიძლება გასაგებად ალვწერო ყოველივე: დარწმუნებულიცა ვარ, რომ სათქმელი, ვინმე ფიზიკოსის დარად, ცხადზე უცსადესაც გამოვხატე: თუმცა კი მესმის, რომ ეს ყოველივე გარკვეულწილად სიზმრის ჩამოგავს, როცა გგონია, სავსებით გახაგებად ვლაპარაკობო, არადა, შენი სიტყვები სხვებისთვის ამდაგვადა და მეტი არაფერი.

საკმაოდ დიდი დროის განმავლობაში მე ერთის მესმოდა იმ ზმის მოაბლოება. ჩვეულებრივი ბგერები იყო: წვრილი, წკრიალა, მაღალ-მაღალი; აი, ჭიქის პირი რომ გაიწკარუნებს ხოლმე, ისეთი. თუმცა, ამ ბგერებს რადაც იდუმალიც ახლდა. ასეთი რამ ჯერ არ გგიგონია-მეთქი, ვუთხარი ჩემს თავს, და ეს ხმა ჩემკენ იყო მომიზნული; ამ ხმასთან შეკავშირებული ვიყავი და ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ მალე რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი რამ გადამხდებოდა თავს. ფიქრადაც არაფერი მომსვლია ისეთი, ადამიანს რომ სიცოცხლესთან განშორების ჟამს უნდა დაგეუფლოს, პირიქით, რასაც კი ვგრძნობდი, ყველაფერი მომავლისთანკენ იყო მიმართული. მართალი გითხრა, დარწმუნებულიც ვიყავი, მეთქვენო წამს ღმერთის სიახლოვეს შევიგრძნობ-მეთქი. ეს ამბავი კი ცოტას როდი ნიშნავს იმ ადამიანისათვის, ვისაც რვა წლის ასაკიდან მოყოლებული არ სწამდა ღმერთის.

ამასობაში ზემოდან წამოსული ის ზმა თანდათან განსხეულდა, მოძლიერდა და შეუკრად დაიჭრა. რამდენიმეჯერ გავიფიქრე, სხვები ხომ არ გავაფრთხილო-მეთქი; მაგრამ ამისდა მიუხედავად, მე მომხვდებოდა ის ისარი თუ სხვას, გაფრთხილებით არავის გაფრთხილება არ მსურდა! შესაძლოა წეეული პატიმოყვარეობა იყო ამის მიზეზი, რაკი თავი დავარწმუნე, იქ, მაღლა, ბრძოლის ველს ზემოთ, რაღაც ზმა მხოლოდ ჩემთვის აწკრიალდა-მეთქი. იქნება ღმერთი არც არაფერი იყოს სხვა, თუ არა პატეგმოყვრეული შეგრძნება ამისა, რომ ჩვენ, საწუალებს და საცოდავებს, მაღლა ცაში შეძლებელი ნათესავი გვეგულება და ამ ჩვენი მწირი ყოფით გაბეზრებულებს თავიც მოგვაქვს ამით. არ ვიცი. მაგრამ მაერი, უეჭველად, ამასობაში სხვებისთვისაც აწკრიალდა; ნათლად დავინახე, წამით როგორ შეუერთთან სახეები და ამასაც ეტყვეი, რომ არც ერთ მათგანს ასევე არ გაუღია ზმა. კიდევ ერთხელ გავხედე ამ სახეებს: ახალგაზრდები, ამის მსგავსი ფიქრები რომ თავშიც არ მოუვიდოდათ, მათდა უნებურად მოციქულებივით იდგნენ თითქოსდა ნიშნის მოლოდინში. და უეცრად სიმღერა მიწიერ ზმად იქცა სადღაც ჩვენ ზემოთ, ასე, ათი თუ სამი ნაბიჯის დაშორებით და ჩაკვდა. ის -იქ იყო უკვე, ჩვენს შორის, თუმცა კი ჩემგან ყველაზე ახლოს, რადაც გაეუჩნდა, რადაც ჩაყლაპა მიწამ, იდუმალ მდუმარებად დაინთქა რაღაც. ბუღი მშვიდად და თანაბრად მიცემდა. ეტყობა ზამთიაც არ მიგრძვნია შიში; წამის მეათასედითაც არ გათიშულა ჩემი სიცოცხლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ პირველი, მე რაც ადვილქვი, ის იყო, რომ ყველანი მე მომჩერებოდნენ. იმავე ადგილზე ვიდექი, მაგრამ ბანით უცნაურად გავზნეექილიყავი, თითქოსდა მოწიენების ნიშნად ვიღაცისათვის მდაბალად დამეკრას თავი. ვგრძნობდი, ბურანიდან ვფხიზლდებოდი, მაგრამ იმას ვერ-რაფრით ვიტყოდი, რამდენ ხანს ვიყავი გაოგნებული. არავინ გამომლაპარაკებია. ბოლოს, ვიღაცამ თქვა: ხავიაცეო ისარიაა და სუფეველანი ბის ძენნას შეუდგნენ, მაგრამ ისარი ერთი მეტრის სიღრმეზე ჩასულიყო მიწაში. სწორედ იმ წამს მაღლიერების ლამიანდა ცხელმა გრძნობამ ამავსო და ახე მგონია, თავით ფეხებამდე გავწითლდი. ვინმეს რომ ეთქვა, დღერი ჩაგიხანდლადო ხმენელ, ან გამეცინებოდა. თუმცა კი, დაჯერებითაც არ დავიჯერებდი. არ დავიჯერებდი მაშინაც, სულ მცირე ნაწილიც რომ წამომელო მისი. და მაინც, ყოველთვის, ეს ამბავი რომ გამახსენდებოდა, სულ ისა ვნაკრობდი, ნეტავი ახეთი რამ ერთხელაც, ოღონდ მეტი სიცხადით განმაცდევინა-მეთქი.

კაცმა რომ თქვას, ახეთი რამ განვიცადე კიდეც კიდეე ერთხელ, მაგრამ მეტი სიცხადით არც ამჯერად განმიცდია, — დაიწყო ამეორემ თავისი მესამე ამბავი. ახლა იგი თითქოსდა უფრო გაუბედავად ლაპარაკობდა, მაგრამ სწორედ ეს მიგახვედრებდა, ერთი სული აქვს, ვიდრე თავის ნაამბობს გაიგონებსო.

ეს ამბავი დედამისს ეხებოდა, ვისაც ამეორე მაინცდამაინც არ ანებივრებდა თავისი სიყვარულით, თუმცა კი, თავად ამტკიცებდა, ახე არ ყოფილალო საქმე.

— ერთი შეხედვით შეიძლება გეფიქრა, ვერ ეგუებიანო ერთმანეთს, — თქვა ამეორემ, — თუმცა, ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ ბუნებრივეცაა, თუკი მოხუცებული ქალი წლების განმავლობაში ცხოვრობს ერთსა და იმავე ქალაქში, ხოლო შვილს, მისი გაგებით, დიდ სამყაროში ხელი მოეცარა. დედა ისევე მიფორიალებდა სულს, როგორც ის სარეკისთან ურთიერთობა, ანარეკლი რომ ოდნავად გაწზე მიაქვს; გული წყდებოდა, რაკი წლების განმავლობაში არ ჩადიოდი ზინ. არადა, თვეში ერთხელ უსათუოდ ვლებულობდი ხის წუხლიან ფურცლებით სავსე წერილს, და თუმცა არც მე წერილებზე გავცემდი ხოლმე პასუხს, ეს ყოველივე მაინც ძალზე უცნაური, უჩვეულო მეჩვენებოდა, და როგორც ბოლოს გამოიტქვა, მასთან თურმე საკმაოდ მტკიცედ ყოფილიყო დაკავშირებული.

შესაძლოა, ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ მის სულს მთელის მგზნებარებით ჩაებეგდა პატარა ბიჭის ხატება, ვის ზეც, ღმერთია მოწმე, რა იმედებს არ ამყარებდა და ამ იმედებსაც ვერა და ვერ შეეელია. და რაკი მე ისევ ის, დიდი ხნის წინათ გამეჩალი ბიჭი ვიყავი, ვუუვარდი კიდეც და მისი სიყვარული ჩემ შორიახლო ისევე ლივლივებდა, როგორც მას მერე ჩასული ბზეები ლივლივებენენ სადღაც სინათლისა და უკუნის მიჯნაზე. ხედავ? — კვლავ იჩინა თავი იმ იდუმალმა პატივმოყვარეობამ, რასაც არც კი ეთქმის პატივმოყვარეობა, რადგან თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მაინცდამაინც არ ველოლიავები ჩემს თავს და რომ ვერაფერი გამიგია იმ თავისებური შემნახველი სალარისა, ადამიანები რომ საკუთარი „მე"-ს დასაბინავებლად მოიწყობენ ხოლმე, როცა სიამოვნებით ათვალიერებენ ფოტოსურათებს, რომლებზეც ოდესღაც არიან გადაღებულნი, ან როცა სიამოვნებით იგონებენ, აკა და აკა — ამას და ამას ვაკეთებდითო. განწყობას იშვიათად თუ ავუვები და არც წუთიერი ცხოვრებით არ ვცხოვრობ; ხოლო თუ რამ წარსულს გავატანე, ჩემი თავიც თან გავაყოლე — ზუსტად ისეთი, როგორიც ვიყავი; და თუკი სადმე ეჭიაში გამახსენდება, რომ ამ გზით სხვა დროსაც გამივლია, ან იმ სახლს დავინახავ, სადაც ოდესღაც მიცხოვრია, ანგარიშუეველად, უბრალოდ რაღაც ტკივილივით ვიგრძნობ ხოლმე საკუთარი თავისადმი საშინელ ანტაბათიას, გეგონება, ეს ადგილი ჩემ ბატონობ ზეინანა, შესაძლოა ისეთი ხატება, ჩემ ეულ-ფერი, რაც ოდესღაც მოხდა — ქრება; და ახე მგონია, რაც არ უნდა შეიცვალო, ამას ბანის არ ისურვებდი, შენგან მატოვებული ადამიანი რომ სულმთლად უმწიკვლო ყოფილიყო. სწორედ ამატომ, რაკი ამ აზრს ვაფარებ თავს, საოცარიც კი მეჩვენება ის ამბავი, რომ ვიღაც ადამიანმა თავის სულში ჩემი ხატება შეინახა, შესაძლოა ისეთი ხატება, რომელსაც არასოდეს დავმსგავსებივარ. მაგრამ რომელიც, გარკვეული აზრით, მაინც საგარეგნო სიგელივით მომენიგა ჩემი შექმნის ეუამს. გამიგეს კია, თუ ეეტკვი, რომ დედაჩემი, ხატოვნად რომ ეთქვათ, ტიტანური ნატარა იყო, რეალური ცხოვრებისაგან ყოველნაირად შეზღუდული და შებოჭილი? ჩვენი გაგებით, სულაც არ ეთქმოდა ჭკვიანი; არაფერზე არ შეეძლო მსჯელობა ან რაიმეს დასაბუთება; ხოლო თუ ბავშვობის დროინდელ ამბებს გავიხსენებ, არც კეთილი ქალი ეთქმოდა, იმიტომ რომ გულფიცები იყო და თავდაუჭერელი. ახლა კი ეარმოიდგინე, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ენებისა და მოკლე ეკუის ნაჯვარს. თუმცა, მაინც დარწმუნებით ვიტყვი, რომ არსებობს ისეთი სიდიადე, ხასიათის ისეთი სიძლიერე, რომელიც ჩვენს დროშიც ისეთივე ბუნდოვანი იდუმალებით განსახიერდება ხოლმე ჩვენებრივზე ჩვენებრივ ადამიანში, აი, ადამიანდროინდელ წარსულში ღმერთები რომ განსახიერდებოდნენ ყველისად და თეეზებად.

ისართან დაკავშირებული ამბის მერე, მოკლე ხანში, ერთ-ერთი ბრძოლის დროს რუსეთში ტყვედ ჩავვარდი; იქ კიდევ, სხვათა და სხვათა მსგავსად, ძირეულად შემეცვალა მრწამსი და უკან არც ისე მალე დავბრუნდი, რადგან ახალი ცხოვრება კარგა ხანს მომწონდა კიდეც. ის ცხოვრება დღესაც კი მბიძლავს; მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს უცაბედ აღმოვაჩინე, რომ რწმენის რაღაც დოგმატებმა, აქამდე რომ შეურეველი მეგონა, ამასობაში ისე შემაწუხა თავი, მამეკნარებდა კიდეც და რაკი მომეჩვენა, ამ დოგმატების გადამკიდეს რაღაც საშიშროებაც შემოუქროლა, თავს გერმანიაში გავქცევით ვუშველე, სადაც ინდივიდუალიზმს ის-ის იყო წინასაინფლაციო აღმავლობის ხანა დასდგომოდა. რა საეჭვო სკმეს აღარ მოვკიდე ხელი, ნაწილობრივ ხელმოკლეობის გამო, ნაწილობრივ იმიტომაც, რაკი მიხარდა, კვლავ ძველთა-ძველი ტრადიციების ქვეყანაში ამოვკავი-მეთქი თავი, სადაც ისე ოლი იყო უსამართლობის ჩადენა, სირცხვილთაც არ შეგრცხვებოდა. სკმეზეი ამასობაში ვერ ამეწყო მაინდამაინც ჩადენა, ზოგჯერ თავიც ძლივს გამეშინა. არც ჩემს მშობლებს ულბინდეთ. ხანდახან დედა ასე მწერდა: „შენძალი არ გაკვაჩნია და ხელს ვერ გიმართავთ; მაგრამ იმ მცირედითაც რომ გაგიმართავდე ხელს, რასაც მეკეთილეობით მიიღებ ოდესმე, უშალ სიკეთილს ვინატრებდი.“ ასე მწერდა დედა, თუმცა კი რამდენიმე წელია არ მენახა და არც სიყვარული გამომიჩენია მისდამი. მართალი გითხრა, მისი სიტყვები უასდად ნათქვამი მეგონა და არც მნიშვნელობა მამინებია მათთვის, თუმცა კი ეტვიც არ მეპარებოდა იმ გრძნობების სიწრფელეში, ასე გულის ამაჩუყებლად რომ გამოთქვა დედამ. არადა, საკვირველი რამ მოხდა: დედაჩემი მარტოლაც ლოგინად ჩავარდა, და კაცი ამასაც იფიქრებდი, რომ მოგვიანებით მან მამაჩემიც თან გაიყოლა — მისი უერთგულესი ადამიანი.

ამეორე ჩაფიქრდა.

— რაღაც ავადმყოფობამ მოუღო ბოლო, რომელიც, ეტყობა, კარგა ხანია შეპყრობილი, თუმცა ეს ამბავი აზრადაც არავის მოსვლია. რა თქმა უნდა, უამრავი ბუნებრივი მიზეზი მოეძებნება ამას, რომ ეს ყოველივე ასე დაემთხვა ერთიანეთს და ვშიშობ, გამამტყუნებ კიდეც, ასეთი მიზეზი რომ არ მოვიყვანო. არადა, მაინც ბევრი რამ გაგაკვირვებდა. სრულებით არ უნდოდა სიკეთილი; ვიცი, უძალიანდებოდა ნაადრეც სიკეთილს და ზშირადაც დაუბნია ჩვენია. სიცოცხლისადმი ლტოლვა, მისი ზრახვა-სურვილი ებრძოდა სიკეთილს. ვერც „ობს“ იტკვენ, თითქოსდა ხასიათის სიმტკიცეს წამიერი განწყობილება დაეობრეფნინაო; რადგან მაშინ ზომ აღრეეე მოაფიქრებდიდა თავის მოკვლა ან ნებაყოფლობით დაგლახაკება, მაგრამ, ასეთი რამ არასოდეს უცდია. იგი სულით ხორცამდე მსხვერპლის განსახიერება იყო. თუმცა ის თუ შეგიმჩნევია ოდესმე, რომ შენს სხეულს, შენივე ნებისყოფის გარდა, თავისი ნებისყოფაც აქვს? მე იმას ვფიქრობ, რომ ყველფერი, რაც ნებისყოფად ან გრძნობად გვესახება, გვეხსნება შეგრძნებად ან ეზრად, ეი რასაც თითქოსდა დიდი ზეგავლენა აქვს ჩვენზე, სინამდვილეში შეზღუდული ძალაუფლებით სარგებლობს, და რომ მმიმე ავადმყოფობისა ან გამოჯანსაღების ეამს თავბრელო შეხლა-შემოხლისა და საერთოდ. ბედის უკულმართობის დროს, ასე ეოქვათ, მთელი სხეულის გაუცნობიერებელი ნებისყოფა ამოკვმედდაბ ხოლმე, რომელშიაც უკანასკნელი ძალა და სიმრთლეა ჩაქსოვილი. მაგრამ ასეა ეუ ისე, ერთი რამ უდავოა: დედა რომ ლოგინად ჩავარდა, მაშინვე ვიფიქრე. თავისი ნებით დაიავადმყოფა-მეთქი თავი; და თუკი შენ ეს ყველფერი მაინც ფანტაზიის ნაყოფად მიგაჩნია, ისასაც ეტყვი, რომ იმ წუთიდან მოყოლებული, როცა დედის ავადმყოფობის ამბავი შევიტყეე — მართალია, არაფერი იყო ასაფორიაქებელი — სულ ერთიანად შევიცვალეე: ჩემი ის სიმკაცრე თვალსა და ხელს შუა გაქრა და იმაზე მეტს ვეღარაფერს ვიტყვი, რომ ჩემი იმყამინდელი გუნება-განწყობილება ძალზე წაადგა იმდღისეულს, როცა ღამით გამოდვიძებულმა სახლი მივაღწიე ან იმ მოწკრიალე ისრის მოაბლოებას ველოდებოდი, ზემოდან რომ წამოვიდა ჩემკენ. მაშინვე დედასთან დავაპირე გამგზავრება, მაგრამ დედა რას აღარ იმბეზღებდა, ოღონდ კი არ ჩასულიყავი მასთან. ჯერ იყო და, შენი დანახვა გამიხარდება, მაგრამ ცოტა ხანს მოიცადე, ვიდრე შეუძლოდ ვარ და როცა გამოვკეთდები, მერე მინახულეო; მოგვიანებით შემატყობინა, შენი ჩამოსვლა ახლა ძალზე ამაღელვებსო; ბოლოს კი, როცა დავიარე, მაინც ჩამოვალ-მეთქი, ასე შემომითვალა, ცოტაც მოითმინე, მალე გამოვბრუნდები, ფეხზე დავდგებიო; თითქოს ეშინოდა, ჩემთან შეხვედრა დაანმევს და შეეშფოთებსო. მერე კი ისე უცაბ დასრულდა ყოველივე, დასაფლავებასაც ჩავუსწარი.

მამაჩემიც ავად დამიხვდა, და როგორც უკვე გითხარი, ისეა შევეკვლი, რომ მომაკვდავს თავზე ვადექი. მამა უწინ კეთილი კაცი იყო. მაგრამ ის ბოლო რამდენიმე კვირა საოცრად ჭირვეული და უხეიკი გახდა, გეგონებოდა, გამწყრალია ჩემზე და ჩემი იქ ყოფნა ალიზიანებსო. მამის დასაფლავების შემდეგ მშობლების აკლადიდება უნდა გამეკეთა და ამ ამბავს კიდევ რამდენიმე კვირა მოვანდომე; მაინდამაინც არ ეჩქარობდი. დროდადრო ამ პატარა

ქალაქის ვინმე მკვიდრი წინანდებურად შემოვლილდა ხოლმე და მშობლებზე ჩამომიგდებდა სიტყვას — დედაშენი აი ამ იყდა, მამა — იქ, ჩვენ კიდევ, აი, აქ ვისხედითო. ყველანაირად გულდაგული ათვალიერებენენ და ხან რას შემომთავაზებდნენ — შვილისადითო, ხან კიდევ — რას. პროვინციელები საოცრად თადარიგიანი ხალხია, ხოლო ერთ-ერთმა მაიგანმა, როცა ყველაფერი საგულდაგულოდ დაათვალიერა, ასე მითხრა: „რა ხაშნელებია, რაცა სულ რამდენიმე კვირაში მთელი ოჯახი ამოწყდებან!" — მე პირადად, ეტყობა, არავინ მთელილა ოჯახის წევრად. მარტო რომ დავრჩებოდი, ვიჯექი ხოლმე ჩუმად და სახავშვო წიგნებს ვკითხულობდი — სხვებზე წიგნების მთელი ზანდუკი ვნახე, დამტვერილი-დაჭკარლული. ზოგ წიგნს ნენტი მოკიდებოდა, ზოგი გახეშებულიყო, ხოლო როცა სათითაოდ დავბერტყავდი, ტკრის მონაცრისფრო ბუღი ამდიოდათ ხოლმე. მუყოსდიდან გამცემებზე გადაკრული ქაღალდი გაცრეცილიყო და ალაგ-ალაგ დაკუთხულ კუნძულებადღა ანნდა წიგნებს. მაგრამ როცა ფერცლების სილრმეში შევიჭრებოდი. შინაარსს ისე კეთუულებოდი, როგორც ვინმე ზღვით მოგზაური, ფაფერაკიდან ფაფერაკისაკენ რომ მიიკვლეს გზას, და ერთხელაც, საკვირველი რამ აღმოვაჩინე: უცებ მენიშნა, რომ ის ჩამოკვნეტილი ადგილები ფურცლის ზედა კიდეში, იქ, სადაც ფურცლის გადასაშლელად თითებს შევალებენ ხოლმე, და კიდეე ქვემოთ — ქვედა კიდეში, თითქოსდა სულ სხვანაირად იყო ჩაშავებული და არა ისე, აი, სიძველისაგან რომ იციდა. მერე რადაც უცნაური ლაქებიც შევამჩნიე და ბოლოს, საბოტულო ფურცლებზე, ფანქრის გაფერმკრთალებული, ანსა-ბაჩხა ნაკვალევი; და უცებ თავზარდაცემული, მივხედი, რომ ეს საგულდაგულოდ ჩაშუშეანებული ადგილები, ფანქრით ეს ანსა-ბაჩხა ნაწერი და ფაციფუფში დატოვებული ლაქები ბავშვის თითების ნაკვალეი იყო, ჩემი თითების ნაკვალეი, ოცდაათი და ზეტი ხნის განმავლობაში რომ ინახებოდა სხვენში დადგმულ ზანდუკში. სამკარისაგან მივიწყებული!

მე უკვე გითხარი, რომ მავანისა და მავანისათვის, შესაძლოა, არაფერია განსაკუთრებული, როგორც საკუთარი თავი გაახსენებდათ, მე პირადად კი ისე დამემართა, თითქოს ყველანაერ სიღრმისეულია რამ უცებ ზედაპირზე მოეკეცა. მე ის ოთახიც მოვნახე, რომელიც ოცდაათი და ზეტი ხნის წინათ ჩემი ოთახი იყო, მოგვიანებით იქ იდგა ხოლმე თეთრეულის კარადები და მოსთანაზმა, მაგრამ სხვა მხრივ იგი მაინც ისეთივე დარჩა, როგორიც უწინ იყო, როცა საათობით ვიჯექი ხოლმე ნაძვის ხის მაგიდასთან, რომელზეც ნავთის ლამპა იდგა სამი დელფინით შემკობილი, თითოეულ დელფინს კი პირით ძეწკვი ეჭირა. ახლაც ასეეე მივუჯექი მაგიდას და რამდენიმე საათის განმავლობაში იმ ბავშვივით ვკითხულობდი, იატაკს რომ ვერ უწვდენს ფეხებს. ჩვენ ხომ მოვიჩვიეთ იმას, რომ ჩვენი თავი მიმპარებული არაა და არც არაფერს ეურდნობა, მოვიჩვიეთ იმიტომ, რომ ფეხქვეშ რაღაც მტკიცე საყრდენი გვაქვს; მაგრამ ბავშვობა სწორედ ის ხანაა, როცა არც ერთ კიდეს არ გაიჩნია მთლად მტკიცე საყრდენი, ეს ის დროა, როცა ჯერჯერობით ვერაფერს ჩაედაუფეზი, როცა ხელეში ფლანელის ნაჭერივით რბილი გაქვს და შენც თავზარგული ისე უზიარ ხოლმე რაიმე წიგნს, თითქოს პატარა ფურცელზე ჩამომჯდარი უფსკრულის პირას მიცურავდე. გეუბნები, ვიჯექი და ფეხები მარილაც ვეღარ ვიფუშვდინე იატაკს!

იმ ოთხში საწოლიც დავიდგი და იქ ვიძინებდი ხოლმე, და აი, სწორედ მაშინ ისეე მოფრინდა შაშვი. ერთხელ, ნაშუალამეეს, რაღაც საოცარმა, მშვენიერმა გალობამ გამაღვიძა. მაშინვე არ გამოვფიზფიზებულიყავარ, გალობას კარგა დიდხანს ძილ-ღვიძილში ვაყურადებდი. ბულბულის გალობას ბგავდა; მაგრამ მგალობელი ბალის ბუჩქნარში კი არა, მეზობელი სახლის სახურავზე ჩამომჯდარიყო. ჯერაც ძილ-ღვიძილში ვიყავი, თუმცა, უკვე თვალხელილი ვიწევი. „ბულბული აქეთ არ იცის, — გავიფიქრე ჩემთვის, — შაშვი იქნება-მეთქი."

ოღონდ არ გეგონოს, რომ ეს ამბავი უკვე გიამბე დღეს. ეს კია, გავიფიქრე თუ არა: „ბულბული აქეთ არ იცის, შაშვი იქნება-მეთქი" — სახლოოდ გამოვფიზფიზდი. დილის ოთხი საათი იყო, თვალებში დღის სინათლე ჩამიდგა, ძილი ისევე უცებ გამიქრა, აი, ტალღის ნაკვალევს რომ ჩაისრუტავს ხოლმე სანაპიროს ჩამშრალი ქვიშა, ღია ფანჯარაში კი, სინათლის გულზე, შალის ნაზი და ქათქათა თავსაფარივით რომ ეფინა, შავი ფრინველი იჯდა! სწორედ იქ იჯდა და ეს ისეთივე სიმართლეა, როგორც ის, რომ მე ვზივარ აჯ.

— შენი შაშვი ვარ, — მითხრა მან, — ვერა მცნობ?

თავდაპირველად მართლაც ვერ გავიხსენე, მაგრამ ფრინველი რომ გამომელაპარაკა, უცებ ბედნიერ ადამიანად ვიგრძენი თავი.

— ამ რაფაზე ერთხელ უკვე ვიჯექი, არ გახსოვს? — **განაგრძო მან, და მეც ასე ვუპასუხე:** „მართალია, შენ ერთხელ უკვე იჯექი იქ, **სადაც ახლა ზიხარ; მე მაშინ** უცებ **მივხვდი** ფანჯარა."

— დედა ვარ შენი, — მითხრა მან ისევ.

ხაქმე ისაა, რომ ეს შეიძლება **დამსიზმრებოდა კიდეც. მაგრამ ფრინველი არ დამსიზმრე-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბია: ჯერ იყო და, ჩამოჯდა, მერე ოთახში შემოფრინდა და მეც უცებ მივხვრე ფანჯარა. სხვენზე ავედი და ხის ის დიდ გალიას დავუწყე ძებნა, იქ რომ მეგულებოდა; იმიტომ რომ, ერთხელ, ბავშვობაში, უკვე მყავდა შაშვი; მაშინაც ზუსტად ისე იყო ყოველივე, როგორც ახლახან გიამბე; მაშინაც ფანჯარაზე ჩამოჯდა, მერე ოთახში შემოფრინდა, მე კი გალია დამჭირდა მისთვის, მაგრამ სულ მალე იგი მოთვინიერდა და გალიაში აღარ ვაჩერებდი — ჩემს ოთახში ცხოვრობდა; უნდოდა, — გაფრინდებოდა, უნდოდა, — შემოფრინდებოდა. ერთ დღეს კი უკან აღარ დაბრუნდა, და აი ახლა ისევ მოფრინდა. არ მინდოდა თავი მეტება იმაზე ფიქრით, ნამდვილად ის შაშვი იყო თუ არა; მოვნახე სწორედ ის გალია, ვიპოვნე კიდევ ერთი წეგნების ყუთი და დანამდვილებით შემიძლია გითხრა, რომ ცხოვრებაში არასოდეს ყოფილვარ ისე კარგი და კეთილი, როგორც იმ დროს, როცა შაშვი მყავდა შინ. თუმცა, ალბათ მაინც ვერ აგიხსნი, თუ რას ნიშნავს — იყო კარგი და კეთილი.

— ხშირად გელაპარაკებოდა ხოლმე? — ეშმაკურად იკითხა აპირველმა.

— არა, — უპასუხა ამერორემ, — ლაპარაკით აღარ გამომლაპარაკებია. ეგ იყო, საკვები და ჭიები უნდა მეშოვნა მისთვის. რაღა თქმა უნდა, ცოტა არ იყოს, მეუხერხულებოდა იმის გამო, რაკი ჭიებს ჭამდა — მე ხომ ისე უნდა მოვპყრობოდი, როგორც დედას, — მაგრამ ბოლოს ყველაფერი მოგვარდა. გეუბნები, შეჩვეულა საქმე, არადა, რას არ შეეჩვევი ხოლმე, თუკი ყოველდღიურად აკეთებ რაიმეს. მას აქეთ გვერდიდან აღარ მომიცილებია და ამის მეტს ვერაფერს გეტყვი. ეს მესამე ამბავია; არ ვიცი, როგორ დასრულდება იგი.

— მაგრამ შენ ხომ მაინც იმის თქმა გინდა, რომ ყოველივე ამას რაღაც ერთი აზრი აქვს? — ფრთხილად იკითხა აპირველმა.

— ღმერთო ჩემო, — უპასუხა ამერორემ, — უბრალოდ სწორედ ასე მოხდა ყველაფერიჯ ხოლო ის რომ ვიცოდე, რა აზრი აქვს ამას, მაშინ არც ამ ამბების მოყოლა დამჭირდებოდა. ეს კია, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს რაღაც ჩურჩული გესმოდეს ან რაღაც შრიალი, და შენც ვერ გაგიგია, რა არის ასეთი!

გერმანულიდან თარგმნა
თენგიზ პატარაიამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ცხოვრებისა და ქართული კულტურის საჭირბოროტო საკითხებზე, აგრეთვე საკუთარ შემოქმედებით გეგმებზე „ცისკრის“ მკითხველებს ესაუბრება საყოველთაოდ ცნობილი მოქანდაკე, სახელმწიფო და რუსთაველის პრემიების ლაურეატი **მერაბ ბერძენიშვილი.**

„კიდევაც დაიზრდებიან“

— ბატონო მერაბ! თქვენ იმდენად პოპულარული ადამიანი ბრძანდებით, რომ დარწმუნებული ვარ, ჩვენი ყურნალის თითქმის ყველა მკითხველმა დაწვრილებით იცის თქვენი შემოქმედებითი ბიოგრაფია... და მაინც, ორიოდე სიტყვით ხომ არ გაიხსენებდით გამოვლილ გზას?

როგორ დაიწყო იგი, რა წინააღმდეგობები შეგხვდათ ამ გზაზე, და ბოლოს, როგორ მოვიდა გამარჯვება და აღიარება?

— კრინტსაც არ დავძრავ! უკაცრავად უნდობლობისათვის, მაგრამ ჩემს ნათქვამს როგორც ისურვებენ, ისე შეალამაზებენ ხოლმე. ვისაც რა უნდა, იმას ბეჭდავს შენი სახელით. რედაქციას მიაკითხავ და... ბოდიში მზადა აქვთ. უბრალოდ, მომბეზრდა თვალთმაქცობა...

— პირობას გაძლევთ, რომ თქვენგან ნათქვამი არცერთი სიტყვა არ შეიცვლება...

— კიდევ ერთხელ მინდა ვირწმუნო! გისმენთ! ოღონდ ვისაუბროთ მხოლოდ ქანდაკების გარშემო. თუმცა მარტო ქანდაკება არ არსებობს. იგი ნაწილია ჩვენი ცხოვრებისა. ვინც მას ქმნის ის ზედიზწევნით ცნობს ცხოვრებისეულ წვრილმანსაც კი. ასე რომ... ვისაუბროთ.

— ახლა რომ აკვირდებით, რა განსხვავებაა იმ ახალგაზრდა, ჯერ კიდევ უცნობ მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილსა და უკვე საქვეყნოდ განთქმულ, ბრწყინვალე ძეგლების შემქმნელ მერაბ ბერძენიშვილს შორის? რა შეიცვალა, რაზე გწყდებათ გული, რომელი ოცნება ვერ შეუსრულეთ იმ ჭაბუკ მოქანდაკეს?

— განსხვავება დიდია. ახალგაზრდას ძალზე ბევრი რამის სჯეროდა, ხოლო მისი კი არავის. აღიარებული კაცისა სჯერათ, ხოლო მას ბევრი რამისა არ სჯერა.

იმ ჭაბუკ მოქადაკეს ყველაზე დიდი ოცნება ვერ შეეუსრულე. მას თანატოლ ხელოვანთა სიტყვისა სწამდა, სჯეროდა. ერთი ბუდიდან ამოფრენილად მიაჩნდა თავი. მე კი ეს განცდა მოვუშალე.

რაც შეეხება მის ფიქრებს ქანდაკებაზე, მის შემოქმედებით მიზნებს, ნაწილი შეეუსრულე. ბოლომდე შევძლებ თუ არა განზრახულის მიყვანას, ეჭვი შეპარება. დრო... დრო... თავისას ითხოვს.

— დამპყრობი რომ შემოდის ქალაქში, პირველ რიგში, ძეგლებს დაერევა ხოლმე. მოყვარე რომ გვესტუმრება, ისიც ძეგლებით ინტერესდება უპირველეს ყოვლისა, რადგან ორივემ კარგად იცის, რომ ძეგლები ქვეყნის ისტორიის ცოცხალი გმირებივითაა. ისინი, მარადისობასა და უკვდავებაში გარდასულნი, ერის ბედ-იღბალს, ერის ბიოგრაფიის დეტალებს იკრებენ თავისთავში. თუნდაც ამიტომ ვფიქრობ, რომ ქანდაკება ხელოვნების დარგთაგან ყველაზე

უფრო მძაფრად გამოხატავს ეროვნულ სურვილს, ხალხის მთლიან ნებას. ძეგლი ხალხის გულისთქმის დასტურია და აქედან გამომდინარე, მოქანდაკე ხალხის ნება-სურვილის ამსრულებელი, მისი ოცნების ხორცშემსხმელი.

ქანდაკებას, ძეგლს, თითქოს ორი ავტორი ჰყავს: ხალხი და ხელოვანი.

— სწორი ბრძანებაა! ქანდაკება მართლაც მძაფრად გამოხატავს ეროვნულ სულს, მაგრამ შემოქმედის ვალი უფრო დიდია, ვინემ თქვენ ბრძანეთ.

კი არ აღასრულოს ერის სურვილები, არამედ თვალით უხილავი მისი საკუთარი ღირსება წარმოუჩინოს, შთააგონოს, კერპად უქციოს, მისი სულიერი თუ ფიზიკური სიდიადისთვის მიაქცევინოს ყურადღება. წინ წარუძღვეს, ისე როგორც რუსთაველის სიტყვები მიუძღოდა ქართველს ომში: „სჯობს სიცოცხლესა ნაძახსა სიკვდილი სახელოვანი“. ისე როგორც ქართველ დედებს მიუძღოდა წინ „ლეკვი ლომისა სწორია...“

ვინ აუმაღლა თავის ერს ღირსება, ის პოტენციური ენერგია, რომელიც მასში დევს, თუ არა შემოქმედმა? ამიტომაა რთული და ძნელი ჭეშმარიტი ხელოვანის მისია. მითუმეტეს, მეოცე საუკუნის ხელოვანისთვის, რომელიც ზოგად მასშტაბებში აქცევს ეროვნულ ღირსებას და თვისებას.

— ხალხი და ხელოვანი თანაავტორები არიანო, თქვით ზემოთ. რა ფორმით, როგორ უნდა გამოიხატოს მათი თანაავტორობა, თანამოაზროვნეობა?

— ჩვენ ყველამ ვიცით ლენინგრადის ბლოკადის დროს რა დღეში იყვნენ ლენინგრადის მოქალაქენი. ისიც ვიცით, როგორ უვლიდნენ ხელოვნების ნიმუშებს — სილით სავსე ტომრებით ფარავდნენ პეტრე პირველის ცხენიან ქანდაკებას და სხვა ღირსშესანიშნავ ძეგლებს. სულით გაუტეხელმა ხალხმა სასოებით მოუარა ერმიტაჟის ყოველ ექსპონატს, ისინი რომ არა, დღეს კაცობრიობას ხელოვნების შედევრების დიდი ნაწილი დააკლდებოდა. ეს მხოლოდ დიდ სიყვარულს შეუძლია. როცა ძეგლში ერის საამაყო ნიშანთვისებები დევს, როცა ძეგლი ერის სულიერი სიმაღლის სიმბოლო ხდება. მას იმავე ერისგან მოვლა-პატრონობა სჭირდება.

აი, მაგალითი თანავტორობისა.

— ჩვენს პერიფერიულ ცენტრებში, ჩვენს დაბა-ქალაქებში ბევრი უხეირო ძეგლი დგას. (არც თბილისია გამონაკლისი) თითქოსდა გადაგვავიწყდა, რომ ქვეყანა კერძო სახელოსნო არ არის, რომ ვისაც რა მოეპრიანება, ის გამოფინოს. არც ჯართის გადასაყრელი ადგილია იგი. არც ძეგლის დადგმაა ვინმეს პირადული საქმე. სამწუხაროდ, არც თუ ისე იშვიათად, „შემოქმედებითი“ საქმოსნები ახერხებენ თავისი ხელოსნური ნახევარფაბრიკატების გამომზეურებას.

რა უნდა ვიღონოთ, რომ ხელოვნებაში შემთხვევითი ადამიანების სამოქმედო არე შევიწროვდეს?

— პირველ რიგში საფიქრალია იმათი, სადა წყდება ეს საკითხები. მხედველობაში მაქვს სამხატვრო საბჭოები, რომელთაც ეევალებათ მხატვრული ღირებულების განსაზღვრა... მეორე ის, რომ ჩვენი საზოგადოება თითქოსდა არ არსებობს, იგი გატკივნილია, რაღაცას მოელის, რაღაცას უცდის. მე კი მგონია, ასე გათვითცნობიერებული, დღევანდელი საზოგადოება რომ არის, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, არასდროს ყოფილა. ამიტომ მის აზრს, მის სიტყვას, რა თქმა უნდა, ანგარიში უნდა გაეწიოს.

მე ამ თემის გარშემო საკმაოდ დიდი წერილი მქონდა გაზეთ „კომუნისტში“.

— ქართული სკულპტურის, მისი განვითარების გზას თუ გავადევნებთ თვალს, ერთი უცნაური ფაქტს შევამჩნევთ: ჩვენ გვაქვს მშვენიერი ბარელიე-

ფები, ორნამენტები, ჩუქურთმები, გვაქვს მომცრო სახის მინიატურული ქანდაკებებიც, მაგრამ ვერ ვხედავთ ღია ცის ქვეშ დადგმულ მონუმენტურ ქანდაკებას. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ლანდშაფტი თვითონ გვკარნახობს, თვითონ გვთავაზობს ამ იდეას, რით უნდა აიხსნას ეს? იქნება იყო კიდევაც ამის ტრადიციები, მაგრამ ეკამთა სიავის გამო იმ ძეგლებმა ჩვენამდის ვერ მოაღწიეს? ან სხვა რამ მიზეზი არსებობდა?

— ანელი დასაჯერებელია, ჯვრისა და სვეტიცხოვლის შემქმნელ ერს სასახლეები არ ჰქონოდა. ეკამთა სიავემ ეს სასახლეები ჩვენამდე არ მოიტანა. ასევე ქანდაკებაც. არც ისაა გამონაკლისი, რომ იმხანად ჩვენი ერის ხასიათში სიტყვას მეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

— დღეს თამამად შეგვიძლია ვილაპარაკოთ ქართული ქანდაკების თვითმყოფად ხასიათზე, მის ორიგინალურ, ინდივიდუალურ სახეზე. „სჯობია მოვშორდე მიქელანჯელოს და დონატელოს და საკუთარ ფეხზე დავდგე“ — ამბობს ნიკოლაძე. დროთა განმავლობაში ქართული ქანდაკება მართლაც საკუთარ ფეხზე დადგა...

რამ შეუწყო ხელი ქართული ქანდაკების ეროვნული ფენომენის ჩამოყალიბებას? რა არის ის ძირითადი ნიშან-თვისებები, რომლითაც ის განსხვავებული და გამორჩეულია?

— ჩვენი საუკუნის დასაწყისში გამოჩნდნენ ადამიანები, რომელთა დამსახურება უდაოდ დიდია ქართული სახვითი ხელოვნების წინაშე — იაკობ ნიკოლაძე, ნიკოლოზ კანდელაკი. ისინი, თავისი მხატვრული კონცეფციებით, სხვადასხვანი იყვნენ. ამ სხვადასხვა სკოლის წარმომადგენელთა მიერ, მათი შემოქმედების სინთეზზე აიგო ჩვენი მომავალი ზრდა. რა თქმა უნდა, ამ სფეროში მიძინებულმა ნიჭმა უცებ იფეთქა, და სწორედ ეს ფეთქებადი ძალაა, რომელიც ქართულ ქანდაკებას სხვათაგან განასხვავებს.

— როგორ იბადებიან თქვენი ნაწარმოებები? როგორ ჩნდება ის მამოძრავებელი ძალა, ის ბიძგი, რომელსაც მიჰყავხართ ჩამოყალიბებულ იდეამდე, იდეამდე, რომელსაც თქვენს წარმოსახვაში უკვე გააჩნია ფორმა, სახე, დასრულებული მოხაზულობა და მხოლოდ ქვაში თუ ბრინჯაოში გაცოცხლება აკლია. ეს იდეა დასრულებულ-დამთავრებული სახით გადადის ქვაში თუ მუშაობის პროცესში თანდათან იხვეწება იგი, იძენს ახალ ნიუანსებს, ახალ შტრიხებს?

— ამის ახსნა და ამის დაკანონება რომ შეგვეძლოს, ყველა მხატვარი და პოეტი იქნება. ეს დღემდე ამოუხსნელი ძალაა, საიდუმლოებაა. ისევ პოეტს თუ შეეძლო პოეტურად გამოეთქვა ეს: „მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს, ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს, ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს, რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს“.

როგორ იბადება ქანდაკება? ჭეშმარიტად დაძაბული, განუწყვეტელი ფიქრის შედეგად და როცა უეცრად იმ უხილავს ჩაეჭიდები, მერე, რა თქმა უნდა, შენებურად ათვინიერებ და თანდათანობით მშვენიერებას ჰარმონიაში აქცევ...

— რას გრძნობთ ხოლმე, როცა მოგზაურობისას, ან მშობლიურ ქალაქში სეირნობისას, უცებ, მოულოდნელად, თქვენი ქანდაკება „წამოგეფეთებათ“?

იქნებ სპეციალურად მიდიხართ ხოლმე მათ მოსანახულებლად, როგორც მშობელი თავის მონატრებულ პირმშოსთან?

— ჩემს პატარა წიგნში „ზარი“ სწორედ ამაზე ვსაუბრობ.

ხან ერთთან მივდიავარ, ხან მეორესთან. სტუმრებიც ხშირად მიმყავს ხოლმე.

ახლა მხოლოდ მარნეულში, გურჯაანში ან ქუთაისში თუ წაავიყვან სტუ-
მარს. ვიცი, ძეგლიც და შემოგარენიც კარგადაა მოვლილი. სხვებთან კი
რიდები მისვლას. ასე მგონია, ტყუილად მიშრომია. გურამიშვილი ხომ ალ-
ყაშია მოქცეული: აბრების, კიბეების, შუქნათურების ალყაში, მისი შემო-
გარენი კი მანქანების სადგომ ადგილად ქცეულა. ესაა სიყვარული? ესაა თა-
ნაავტორობა? მრავალგზის ვითხოვე „მუზის“ გვერდზე ხის ტოტების შეჭრა. —
როგორ გეკადრებათ ხის ტოტების შეჭრა, ვინ მოგვცა მაგის უფლება! — აღ-
შფოთებით მიპასუხეს.

მაინტერესებს, „ივერიის“ წინ, ულამაზესად, მყარად მოედანზე მდგარი
ხე დღისით, მზისით მოიჭრა თუ ღამე, ჩუმად, ქურდულად, მიპარვით...

„მუზის“ ნიღბების სიმყარეს 2-3 წელიწადში შემოწმება ჭირდება. ვერ
მივაღწიეთ! კულტურის სამინისტრომ ოფიციალური საბუთით მიმართა პატ-
რონს (ფილარმონიას), მაგრამ ამაოდ. აუცილებლად უნდა მოწყდეს 60 კგ. ნი-
ღაბი, ვინმე უნდა მოკლას და პატრონი კი მერე გამოჩნდება ალბათ.

ილია და აკაკი რომ გვიყვარს, ხანდახან მათი ძეგლის პიედესტალს გა-
რეცხვა და გასუფთავება რომ სჭირდება, ესეც უნდა გვახსოვდეს. წესია ასე-
თი! არც ფალიაშვილისა და გრიბოედოვის ძეგლებს და საერთოდ არც სხვა
ძეგლებს აწყენდა ყურადღება.

მოსკოვში, ყოველწლიურად, სანთელს უსვამენ ბრინჯაოს ძეგლებს. ესეც
წესია! ჩვენთან ეს არ ხდება.,

აი, რატომ მივდივარ იშვიათად მონატრებულ პირმშოსთან.

— დროს ახალი, განსხვავებული ფორმები მოაქვს, ყველა თაობა თავისი ხედვის წერტილიდან უყურებს და ახახავს სამყაროს. სხვანაირად რომ ხდებოდეს, კაცობრიობის კულტურას შაბლონის და შტამპის ოკეანე შთანთქავდა.

ისეთი რა თვისებები შეიძინა ქართულმა ქანდაკებამ ბოლო პერიოდში, რომელიც მას ადრე არ ჰქონდა.

როგორ გესახებათ მისი განვითარების პერსპექტივები?

— აკი საწყისში მოგახსენეთ, იგი ახალი დარგია ჩვენში და ძნელია
მისი ავკარგიანობის განსაზღვრა ეპოქალურად. ხოლო თუ უკანასკნელ ათე-
ულ წლებს ვიგულისხმებთ, საოცრად თავისუფალი აზროვნება შეემატა, რაც
თავისთავად აპირობებს პროგრესსაც.

— რა მოგწონთ და რა არ მოგწონთ თქვენი ახალგაზრდა კოლეგების შემოქმედებაში, მათ ხელწერაში?

მომწონს სითამამე, თავისუფალი, ლაღი აზროვნება. არ მომწონს სიყალ-
ბე, სხვისი შემოქმედების უსირცხვილ მითვისება.

— თავის დროზე დავით გურამიშვილის ძეგლმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია: ზოგს ძალიან მოსწონდა იგი, ზოგს არა. ზოგიერთი ცოტა მოგვიანებით ჩასწვდა მის მხატვრულ ღირსებებს, ზოგს კი აქამდე გამოჰყვა ორჭოფული განწყობილება.

სამაგიეროდ, ჯერ არ მინახავს კაცი, რომელიც მთელი არსებით არ იყოს ალტაცებული, მონუსხული — მოჯადოებული თქვენი ძეგლით „კიდევაც დაიზრდებიან“. ჩვენ ამ ძეგლებზე ქვემორთ კიდევ ვილაპარაკებთ უფრო დაწვრილებით, ახლა კი სხვა რამ მაინტერესებს: პირველ შემთხვევაში შემფასებელთა აზრი გაიყო, მეორე შემთხვევაში კი მოწონება ერთსულოვანი გახლდათ.

თქვენთვის, როგორც ხელოვანისთვის, რა უფრო მნიშვნელოვანია: ის, რომ აღიარება ერთობლივია? თუ ის, როცა თქვენს შემოქმედებაზე დობენ, კამათობენ.

როგორ მოქმედებს ან ერთი ან მეორე თქვენზე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემის აზრით, ნამდვილმა მხატვარმა თავისი შემოქმედების ბედი ყოველთვის წინდაწინ იცის. როდის აღსრულდება ეს, აღრე თუ გვიან, მეფეთა არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ეს ჩვენ ვართ განებივრებულნი, დღიდან ძველის დადგმისა ქებას მიჩვეულნი (ღირსეულნიც და უღირსნიც), თორემ გავიხსენოთ მსოფლიო ისტორიიდან უდიდესი მხატვრები, მხოლოდ სიკვდილის შემდეგ რომ ერგოთ დიდება და აღიარება. ისინი შეგუებულნი იყვნენ ამას და მათთვის არსებითი მნიშვნელობა არც ჰქონდა სიცოცხლეშივე ეღირსებოდნენ სახელს და დიდებას თუ სიკვდილს მერე. მთავარი იყო, მათ შემოქმედებას გაემარჯვნა...

პირველი დღიდანვე ვიცოდი, რა კატეგორიის საზოგადოებას მოეწონებოდა და რომელს არა გურამიშვილი. დარწმუნებული ვარ, ბევრს ახლაც არ მოსწონს. მერე რა, განა აუცილებელია ყველას მოსწონდეს?

რაც შეეხება ძველს „კიდევაც დაიზრდებიან“, ქართველთა ცხოვრების ისტორია მტერთან შებმაა, გაუთავებელი ომებია, რომელმაც ხალხს რწმენა და ძალა მაინც ვერ წაართვა. ამ რწმენამ და იმედმა ათქმევინა ხალხს: „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი, ისე არ ამოსწყდებიან ჯავრი შასჭამონ მტრისანი“ ამ იმედითა და ძალით ცხოვრობდა ქართველი და როცა მარნეულში მომეცა საშუალება გამარჯვების მემორიალის შექმნისა, ომში დაღუპულ შვილთა დედების იმედად, მომავალ დედათა მხნეობისათვის და სამშობლოს ძლიერებისათვის, კვლავ იმედის სიტყვამ მიკარნახა თემა. მე შევეცადე ამ პატარა ტაპის ძალა ბრინჯაოში გამეცოცხლებინა ქანდაკების სიტყვით, პლასტიკით.

ამ ქანდაკებაში ვცდილობდი მომექცია სხვადასხვა ემოციათა სიჭარბე და სიუხვე, ვგრძნობდი, ყველა თავისას იპოვიდა მასში.

— ჩემი აზრით, პირველ შემთხვევაში აზრთა სხვადასხვაობის საფუძველი და „მიზეზი“ თვით გურამიშვილის პიროვნებაა, მისი ბიოგრაფია, მისი შემოქმედება... ყველა ჩვენთაგანს თავისი გურამიშვილი, თავისი ილია, თავისი ვაჟა და გალაკტიონი ჰყავს და ყველას ის თავისი წარმოსახვით შექმნილი ხატი სურს იხილოს.

— იქნებ ცოტა რამ გვიამბოთ ამ ძეგლზე. მისი თქვენეული ახსნა უდაოდ საინტერესო იქნებოდა ჩვენი ჟურნალის მკითხველისთვის.

— ამის შესახებ, თუ ნებას მომცემთ, წაგიკითხავთ ერთ ნაწყვეტს ჩემი წიგნიდან „ზარი“. მე მგონი, ამით ამომწურავ პასუხს გავცემ თქვენს კითხვას.

„როდესაც პოეტის ხსოვნა ჩაკარგულია ეამთა სვლაში, იქ, საუკუნეებში, მის ჭეშმარიტ სახედ რჩება მისი შემოქმედება. მითუმეტეს, „დავითიანი“, რომელიც მისი ავტობიოგრაფიაა, ამიტომაც მე გავაკეთე არა მეომარი, მებრძოლი დიდებული, რომლის მსგავსნი მრავალნი იყვნენ მის გვერდით და უკვალოდ გაქრნენ, არამედ სული ადამიანი, რომლის პოეზია დღესაც აღაფრთოვანებს და უმაღლეს სიამოვნებას ანიჭებს ადამიანს. გურამიშვილი მისი პოეზიაა. მე სწორედ ეს ავიღე და პლასტიკურ ენაზე გადავთარგმნე მისი წამება, ტანჯვა, გოდება საკუთარი ბედისწერისა და სამშობლოს ხვედრის გამო. მისი პოეზია ღრმა ფესვებით უკავშირდება ძველქართულ ქრისტიანულ პოეზიას, სიწმინდეს, ღმერთის ძიებას, სიკეთისა და სიყვარულის მუდმივ თემას. *არც ერთ ქართველ პოეტში არ იგრძნობა ასეთი სიღრმე, რომელსაც ქმნის უსამშობლობა* და, ამიტომაც, იგი მზიან, ხალისიან ქართულ პოეზიაში ისე განცალკევებით დგას, როგორც სხვა ნიადაგში გადარგული ვაზი. მისი მარტოობა, ოცნება საქართველოზე, იმედები, ტანჯვა, პლასტიკის ენით მინდოდა გამომეხატა. თითქოს სული ქცეულა სახილველად, მყარად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...მე გურამიშვილის „დავითიანი“ მედო საფუძვლად და არა პრუსიანი. ეს იძულებით მოქნეული ხმალი. და არც მის ტყვეობას ავუღელვებივარ. ვინ იციის, იმ დროს რამდენი ქართველი ვაქაცები იქნებდა ხმალს, მაგრამ მათ სახელებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ. „დავითიანმა“ კი გურამიშვილი შემოგვინახა, მე მის ამაღელვებელ აზროვნებას ვეტრფი. იგი იყო ჩემი მამამძრავებელი, მასში გაცხადებული წამებული სული გურამიშვილისა. განა ამ ტკივილებს მისი თანამედროვენი არ განიცდიდნენ? მაგრამ ეს ყველაფერი ვინ მოიტანა ჩვენთან, ვინ დაღვარა ქაღალდზე ერის იმდროინდელი ბედის უკუღმართობა? ვისაც პოეტური სული გააჩნდა“.

— „კიდევაც დაიზრდებიან“ — ეს შედევრი, როგორც ვთქვით, გულგრილს არავის სტოვებს, არც მოუვარეს, არც მტერს..

ქართული ჯიშის უკვდავების სიმბოლოდ დგას იგი — საქართველოს წარსულის, აწმყოს, მომავლის საერთო ძეგლი, ქართული სულის თავგადასავლის მთლიანი ხატება.

მეჩვენება, თითქოს რამდენიმე წლის წინათ კი არ აღმართულა იგი აქ, არამედ რაც საქართველო არსებობს იმ დღიდან დგას და დგას, ქართულ მიწაში ღრმად ფესვგადგმული, ქართული მიწიდან ამოზრდილი...

ოპტიმიზმით, სინათლით, იმედით შეუპოვრობით არის გაჯერებული ეს ქანდაკება და ყოველივე ამის შეგრძნებას კიდევ უფრო ამძაფრებს და ასრულებს საოცარი სიზუსტით მოძებნილი სახელწოდება: — „კიდევაც დაიზრდებიან“ — პირველი სტრიქონი ცნობილი ხალხური ლექსისა.

ჯერ ძეგლი შეიქმნა და მერე მოვიდა სახელწოდება თუ პირიქით, თავად ლექსმა გიკარნახათ მისი შექმნის იდეა?

— რამ მიკარნახა ამ ძეგლის შექმნის იდეა, ამაზე უკვე მოგახსენეთ ზემოთ...

რაც შეეხება თქვენი კითხვის ბოლო ნაწილს, სიმართლე გითხრათ, დაბეჯითებით ვერც გეტყვით, რომელი გაჩნდა პირველად და რომელი მეორედ... ის ლექსი და ჩემი ქანდაკება თითქოს ერთდროულად დაბადა, ერთად გაჩნდა და მას შემდეგ ერთად ცხოვრობენ, ერთმანეთს ავსებენ, ერთმანეთს ხსნიან...

— დენი დიდრო ამბობს: „მე მგონია, რომ რემბრანტს ყოველი თავისი კომპოზიციის ქვეშ უნდა მიეწერა: „ჰუბერუტანიდან დავინახე და დავხატე“.

მოქანდაკეც ალბათ ამგვარი მოთვალთვალეა, მოთვალთვალე, რომელიც საგანს მოძრაობაში აკვირდება, რომ ის ერთადერთი და შეუცვლელი მომენტი მოიხელთოს, რომელიც ზედმიწევნით ზუსტად ასახავს პერსონაჟის შინაგან ბუნებას.

თქვენს ქანდაკებებში მოძრაობის ამა თუ იმ დეტალის დაფიქსირება კი არ ხდება მარტოოდენ, არამედ მისი იმ კუთხიდან, იმ წერტილიდან დანახვა, როცა იქმნება ეფექტი, რომ მოძრაობა ეს ესაა უნდა გაგრძელდეს. გავიხსენოთ „კიდევაც დაიზრდებიან“ — დედის ხელები ეს ესაა მსუბუქად უბიძგებენ მხარზე ბიჭებს და ისინი, წამიც და წინ გადადგამენ ნაბიჯს. აი, ეს შეგრძნება: „წამიც და რაღაც უნდა მოხდეს“ თან სდევს ადამიანს თქვენი ქანდაკების ხილვისას...

— ხელოვნება მაინც უტყუარი მხატვრული წერტილია. ერთხელ ბატონმა სერგო ქობულაძემ ასეთი რამ ბრძანა: «Искуство это чуть чуть» და დაამატა «Переборщишь — это плохо, а недоделка — это еще хуже» — ე. ი. რა უნდა ეთქვა: ცოტა ზედმეტი — უკვე ცუდია, ნაკლულობა და მიუღწეველობა — უარესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორც ცნობილია, აპოლონსა და ლაოკოონს მარჯვენა ფეხი შეერო მოკლე აქვთ, ვიდრე მარცხენა. მაგრამ აქ ავტორთა შეცდომასა და დაუკვირველობასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ შეგნებულ დისპროპორციასთან, რომელიც საბოლოო ჯამში პროპორციულობისა და ჰარმონიის მიღწევას ემსახურება (ნაგულისხმევია წერტილი, საიდანაც დანახული ეს არაპროპორციულობა პროპორციას ქმნის.)

საერთოდ, მოქანდაკეს არ უნდა წავართვათ საკუთარი ინტერპრეტაციის, გამიზნული დისონანსის შეტანის, ანატომიური პროპორციების რღვევისა და სტილიზების უფლება...

— სწორი ბრძანებაა, ჩემი სათქმელი თქვენ უკვე თქვით. თუ მაღალმხატვრულ ღირსებებზეა საუბარი, მაშინ უფლებაზე საუბარი უხერხულია. ხელოვნებას არ უყვარს დაკანონება.

შემოქმედს ძალუძს საჩინო გახადოს ის, რაც უჩინარია და უსახური. გვაჩვენოს გარდასახული სამყარო მთელი მისი ფერებისა და ხმების სიმდიდრით. მათ თითქოს ლოკატორები უდგათ, რომელთა მეშვეობითაც მსოფლიოს ყველა კუთხიდან იღებენ ინფორმაციას მშვენიერებაზე.

შემოქმედის ეს მაღალი დანიშნულება თვითშეწირვას მოითხოვს. თვითშეწირვა კი იმითაა გამართლებული, რომ ამაღლებული სული, რომელიც სუფევს ხელოვნაში, თავის სიცოცხლეს სხვა ადამიანთა სულში განაგრძობს და მის სიწმინდეს ინახავს.

ამიტომაა ძნელი დაკანონო უფლებები.

—თქვენ ხშირად მიმართავთ ხოლმე ისტორიულ თემატიკას, ისტორიულ გმირებს... ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევით არ ხდება. არჩევანი ყოველთვის დიდი სიყვარულით, შინაგანი მოთხოვნილებით და წადილით არის ნაკარნახევი. ასე მაგალითად, რამ მიგიზიდათ, რით დაგაინტერესათ გიორგი საკაძის პიროვნებამ? რა იყო ის, რამაც ამ მრავალტანჯული ადამიანის ქანდაკებაში გაცოცხლება გადაგაწყვეტინათ?

— ყველა კულტურულ ერს თავისი საყვარელი გმირები ჰყავს: იშვიათად შეხვდებით ქალაქს უცხოეთში, რომ ეს წარმოჩენილი არ იყოს ქანდაკების სახით. არის ქვეყნები, სადაც ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში იმდენია შექმნილი მაღალმხატვრული ძეგლები ისტორიულ გმირებზე, რომ თანამედროვე მოქანდაკეს ამაზე საფიქრალი არა აქვს. არც შეიძლება მას ეს წუხილი გააჩნდეს, რაც ჩვენს თანამედროვე ქართველ მოქანდაკეებს. ჩვენ ეს მესიაც გვაკისრია. ის რომ გმირული ისტორია გაგვაჩნია, ის, რომ მეომარი ერი ვართ, ის, რომ ამ გაუტეხლობამ გადაგვარჩინა და სხვადასხვა, თავისთავად გვავალებს გაგვაჩნდეს ჩვენი გმირი წინაპრების რაინდული სულის ძეგლი. კულტურულ ქვეყანას არ ეკადრება წარსულის დავიწყება და უგულებელყოფა.

გიორგი საკაძე რომ დიდი მეომარი იყო, ამას ვერავინ ვერ უარყოფს. ეს ის ხანაა, როცა რაინდები იშვიათი არ იყო ჩვენში. მაგრამ გიორგის დარი რაინდი, ტრაგიკული და მშფოთვარე ცხოვრებით აღსავსე, ბევრი არა გვყოლია. მისი მგზნებარე ხასიათი ვერც შერაცხყოფას იტანდა და ვერც უსამშობლობას... მისი სიდიადე დღემდე შემოინახა ხალხმა. ეს ყველაფერს ნიშნავს. გიორგის ცხოვრების თანავტორი ხალხია და ისეთებზე, ვინც ეკვის თვალით უყურებდა მის ცხოვრებას, ვაჟას კარგი ლექსი აქვს:

შვილის სიკეთე მშობელს შეშურდეს
ნამდვილ მშობელსა ეს ეკადრება?

და ამიტომ გავაკეთე!

როცა ნოსტელგს შევხვდი და ყველას გიორგი ერქვა, როცა კასპის რაა-

კომის მაშინდელ პირველ მდივანს შევხვდი და მისი უსაზღვრო სიყვარული
ეროვნული ბიბლიოთეკა
დავინახე გიორგის პიროვნებისადმი და ბოლოს, როცა ჩემი ბავშვობის წლები
ეროვნული ბიბლიოთეკა
გავიხსენე, მამაჩემის პირველი საჩუქარი — წიგნი „დიდი მოურავი“ წარწერით: „ჩემს მერაბს! იცოდე, რანი ვიყავით!“ ამიტომ გავაკეთე!

— ერის ტრადიციებზე გავიზარდე და ამიტომ გავაკეთე!

და ბოლოს, ცხენს როგორ შეიძლება შეერწყას მხედარი პლასტიკურად, ყოველმხრიდან სიერცეში ფორმას ჰარმონია უპოვო, ამის მოძალებული სურვილის გამო გავაკეთე. ორი შმაგი სხეულის: გიორგისა და მისი ცხენის გაცოცხლება ბრინჯაოში, ვიცოდი, მომავალ თაობას ძალას შემატებდა. მინახავს კიდევაც: კვარცხლბეკთან სკოლის შავტუხა ბიჭუნები, გიორგის მკლავის შემყურენი, ერომანეთს ჯერ კიდევ ნორჩ კუნთებს რომ უსინჯავდნენ.

ამიტომ გავაკეთე!

—დიდგორი... 1121 წელი... მუსულმანური სამყაროს უზარმაზარი გაერთიანებული არმია, ილღაზის მეთაურობით, შთანთქმით ემუქრება ქართველთა 7-8-ჯერ უფრო მცირერიცხოვან ლაშქარს, მაგრამ დავით აღმაშენებლის გენიალურმა მხედართმთავრულმა ნიჭმა, ქართველთა გაუგონარმა მამაცობამ შეუძლებელი გააკეთა...

დიდგორის ბრძოლის მოგებამ არამარტო საქართველო გადაარჩინა, არამედ, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანული სამყარო იხსნა გაჩანაგებისაგან.

და, აი, რვანახევარი საუკუნის შემდეგ დიდგორის ველზე ამ ბრძოლის გმირთა ხსოვნის უკვდავსაყოფად აღიმართება მემორიალური კომპლექსი, რომლის ავტორიც თქვენ ბრძანდებით.

თუ შეიძლება, გვიამბეთ, მოგვიყვეთ ამ ძეგლის მხატვრული ჩანაფიქრის შესახებ. ბარემ ისიც გვითხარით, როდის დაიწყება და როდის დამთავრდება იგი.

— ჩვენ თანამედროვენი, ბედნიერნი ვართ, რომ ჩვენს დროში, ჩვენი ძალისხმევით კეთდება ეს მემორიალი. ის, რისთვისაც ქართველმა კაცმა, კვლავ ჟამთა სიავის გამო, ვერ მოიცალა აქამდე, დღეს შეისხამს ხორცს და ეს ჭეშმარიტად დიდი სიხარულის მომგვრელია.

თხრობით გადმოგცეთ თუ როგორი იქნება ეს მემორიალი, შეიძლება გავბუქო ან დავამახინჯო. ამიტომ დაველოდოთ იმის განხორციელებას, რომელიც კეთდება...

— გიორგი საკაძისა და დიდგორის ბრძოლის გახსენების შემდეგ ალბათ უპრიანი იქნება დღევანდელ დღეზეც დავფიქრებულიყავით.

ქართველ კაცს ოდითგანვე უყვარდა ქადილი და თავმოწონება სამშობლოს სიყვარულითა და პატრიოტობით. ამ ქადილს საქმეც თან ახლდა ხოლმე. დრო გავიდა და საქმე გადაგვავიწყდა, მხოლოდ ქადილიღა შეგვრჩა.

პატრიოტი ვარო — ბევრი ჩვენგანი კი იძახის, მაგრამ რას ნიშნავს პატრიოტობა, მთლად კარგად არ გვესმის. სამშობლოს სიყვარული ცარიელ სიტყვებად და სადღეგრძელოს მასალად გვექცა.

მარტო ჩემს აზრს არ გამოვხატავ, თუ ვიტყვი, რომ პატრიოტობა სხვა არაფერი არ არის თუ არა ცხოვრების წესი, კრედო, როცა ყველა შენი ნაბიჯი იმით ისაზღვრება, ამ ნაბიჯით ჩემს ხალხს და ჩემს ქვეყანას რას ვარგებო. მაგრამ საკვეყნო ინტერესებით ცხოვრება ბევრს გადაგვავიწყდა. რაღაც შეიცვალა თანამედროვე ქართველის ფსიქიკაში, რაღაც სასიცოცხლო უკრედი გადაგვარდა, თორემ რით შეიძლება აიხსნას ის გულგრილობა, ის დაუდევრობა, ყოველ ნაბიჯზე რომ ვაწყდებით.

ბატონო მერაბ, გახსოვთ ალბათ სულ ახლახანს როგორ შეუპოვრად აღუდ-

გნენ რუსი მწერლები ციმბირის მდინარეების და ტბების ხელეწოფას. ჩვენ კი, როცა ვიღაცის ავადმყოფური ფანტაზიის წყალობით, მთა დავაცარიელეთ, ხმის ამომღები არავინ აღმოგვაჩნდა. პირიქით, გუნდრუკი ვუკმიეთ, სახოტბო ლექსები და ნარკვევები ვწერეთ...

ხელოვანს ნარა აქვს წინადაუხედაობის უფლება. არც გაჩუმების, შემგუებლობის უფლება აქვს მას. მან წინასწარ უნდა განვრიტოს ერის ხვალინდელი დღე და წინასწარმეტყველივით განგაში უნდა ატეხოს, თუ საგანგაშო რამ ენიშნა.

— საგანგაშო კი ბევრი რამ არის...

ამასწინათ ტელევიზიით გადაცემას ვუყურებდი. ახალგაზრდობა არკვევდა, თუ რას ნიშნავს ცნება — რაინდი. საკვირველია, ჩვეულებრივი ადამიანის ჩვეულებრივი თვისებები: შრომისმოყვარეობა, სიკეთე, სიყვარული მხოლოდ რაინდთათვის დამახასიათებელ თვისებებად აღიარეს. ამ გმირული ისტორიისა და რაინდების ქვეყანაში რაინდთა სახეებს ვეძებთ და გვგონია, თუ ადამიანი სიკეთეს აკეთებს, ის რაინდია.,

— რა შეიძლება ამას ვუწოდოთ — პროვინციალიზმი, ვულგარიზმი?

— ალბათ ორივე ერთად...

ერს, რომელსაც გმირული ისტორია გააჩნია, ერს, რომელიც უდიდესი კულტურის იდეალებითაა აღზრდილი, ერს, რომელსაც ჰყავს დავით აღმაშენებელი, რუსთაველი, ქეთევანი, ცოტნე, ილია, ვაჟა, ექვთიმე თაყაიშვილი და მრავალნი მსგავსნი, წმინდა სანთლებივით მანათობელნი, როგორც ჩანს, უჭირს, რადგან დღეს საუბარი გვიხდება ვულგარიზმზე და პროვინციალიზმზე, უნდობლობაზე და ადამიანისადმი უყურადღებობაზე და ბოლოს, უსიყვარულოდ, უაზროდ ცხოვრებაზე.

ზოგნი ამ სენს შემოტანილ თვისებებად თვლის. არაქართული ხასიათიდან გამომდინარე მოვლენად მიაჩნია. ზოგიც თანამედროვე ცხოვრების ტემპში ქართველის გაურკვევლობას და დაბნეულობას აბრალებს და ა. შ.

— ვეთანხმებით, რომ ზემოთნახსენები მანკიერი თვისებები შეიძლება მართლაც გარედან მოსული იყოს, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ამ უცხო ბაცილებმა ქართულ ნიადაგშიც მშვენივრად იხარა.

— გადაგვარება კაცს ყველაფერში შეეტყობა ხოლმე, მათ შორის ჩაცმულობაშიც. მე ხშირად მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: როცა ეროვნულ ტანსაცმელს ვერ შეიშნობ და სცენაზე მწვანე ჩოხითა და ნარინჯისფერი ახალუხით და თეთრი მესტებით წარმოსდგები (რასაც ხშირად ვხედავთ ხოლმე ქართული ხალხური ანსამბლების კოსტუმებში) ქართულ სიმღერასაც ვეღარ იტყვი, რადგან შენი ერის ღირსეული შვილი არა ხარ. შენ უკვე პაროდია ხდები.

ქართული ცეცხლოვანი ცეკვების ილეთებმა სხვადასხვა რესპუბლიკების სხვადასხვა ანსამბლებში იჩინა თავი. ჩვენ ეს არაფრად არ გვიღირს, რადგან ვიცით, რომ იგი ჩვენია. „ღირსეულნი“ წვრილმანებს არ მისდევენ...

ჩვენი ხალხური ცეკვის ანსამბლებს შემოტანილი მუხლებზე ხტომა შემორჩათ. ამას მივეჩვიეთ. ველარ ვამჩნევთ. ეროვნული კი უნდა შეიგრძნო. დღეს სიტყვა ეროვნული ზოგიერთებს ღიმილსა ჰგვრის, ზოგიერთებს კი პირიქით — ეროვნული, პატრიოტული, სუფრაზე მომაბეზრებელ ბაქიობად აქვთ ქცეული. დღეს, რახან მტერი საზღვრებს ვერ გადმოგვილახავს, ბევრის მრწამსი ცხოვრებისა ბინისა და კვების საკითხის მოგვარებაა. მიზანს რომ ძიაღწიოს იგი ხდება შეუბრალებელი, მლიქნელი, ბოროტი და გამყიდველი.

— ოდესღაც გულქართლი და გულგაშლილი ქართველი კაცი დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთარ ნაჭუჭში შეიმალა, მას მხოლოდ საკუთარი ოჯახისა და ახლობლების კეთილდღეობა თუ ინტერესებს, თუმცა გარეგნულად ამას არ იმჩნევს და ერისკაცობასაც კი ჩემულობს ხოლმე. მინახავს კაცი, რომელიც ამბიტურიენტებისგან ქრთამს იღებდა, მაგრამ თავს პატრიოტად თვლიდა. და გულწრფელად სჯეროდა, რომ სხვაზე არანაკლებ უყვარდა თავისი ქვეყანა, „თავისი“ საქართველო. ის საქართველო, რომლის შვილებსაც დღისით, მზისით უსირცხვილოდ ყვლეფდა. ცინიზმი უფრო შორს ვერ წავა...

საიდან მოდიან ასეთი „პატრიოტები“, ვინ დამოძღვრა ასე, რა ოჯახში გაიზარდნენ...

— საქართველოში, ყოველთვის და დღესაც გვყოლია კეთილშობილი ოჯახები, სადაც ქვეყნის სიკეთეზეა განუწყვეტელი საუბარი. ოჯახები, სადაც ლექსებს კითხულობენ, მუსიკას უსმენენ, საშობაოს დღევანდელ და ხვალინდელ დღეზე მსჯელობენ და ბჭობენ და შვილებსაც ჭეშმარიტი მამულიშვილური გრძნობებით ზრდიან.

მაგრამ ისეთი ოჯახებიც მრავლად გვყავს, რომლებიც ბუნაგად ქცეულა, სადაც ინახება კვების გარკვეული მარაგი და ყველა უცხოური ფირმის საქონელი. სადაც ბავშვებს კი არ ზრდიან, არამედ ასუქებენ. ვინ არის ეს ხალხი? ჩემის აზრით, იმათი ნაშიერნი, ვისაც ჩვენი ქვეყნისათვის წარსულშიც ენება მოჰქონდათ. ვის შეეძლო პატარა ქართველები მამლუქებად ექცია? საკუთარი სისხლი თურქულ ბაზარზე გაეყიდა? იმის, ვინც სულით მახინჯი იყო და ერისთვის ერთი წამითაც არ უფიქრია. ვუყურებ ზოგიერთ ახალგაზრდას და მიკვირს: საიდან იცის ყველა თანამედროვე მომღერლის სახელი, რაც თავისთავად კარგია, მაგრამ უფრო საკვირველია საკუთარი სიმღერის ღირსება რომ არ იცის. მისი მოსმენისას ირონიული ღიმილი რომ ეფინება ტუჩებზე. ვინ არიან? რა გორისანი არიან, რომელთაც არც კი იციან ფერეიდანში ქართველთა არსებობის ისტორია, ან აქვე კახში, როგორ ცხოვრობენ ქართველები? ვინ არიან ასეთები? რატომ ველოლიავებით ასეთებს?

— ხანდახან მგონია, რომ ინერციით ვცხოვრობთ, მხოლოდ დღევანდელი დღით ვცხოვრობთ, შორეული პერსპექტივების გარეშე...

— ჩვენ, მცირერიცხოვან ერს, არა გვაქვს უფლება ვიცხოვროთ ბრმად, საწუთროს აყოლილნი, „მიმდინარე საწუთროსანი“. არა გვაქვს უფლება ვიცხოვროთ ტრადიციის გარეშე, მისმა მომლამ შეიძლება ერის დაღუპვა გამოიწვიოს. ტრადიციაა ღირსებას რომ გვინარჩუნებს და მისდამი პატივისცემით განგვაწყობს. ჩვენ ზნირად ვცოდავთ: იმის მაგივრად სიმახინჯეს შევებრძოლოთ, ტრადიციას ვსპობთ, ტრადიციას, რომელიც ერის კულტურის ნაწილია.

— ტრადიციას რომ დაცვა და მოფრთხილება სჭირდება, ყველას კარგად გვესმის, მაგრამ ხანდახან ტრადიციის „იარლიყის“ ქვეშ სხვათა კულტურა რომ საღდება, ეს ვერ უნდა იყოს მოსაწონი ამბავი.

ამგვარი „ტრადიციები“ ძნელბედობის ჟამს ან ძალითაა დანერგილი და თავს მოხვეული მოძალადის მიერ, ან ჩვენივე დაუფიქრებლობისა და წინდაუხედობის წყალობითაა დამკვიდრებული.

უყურებ ზოგიერთი ქართული ანსამბლის ცეკვას და ვერასდიდებით ვერ ირწმუნებ, რომ ცეკვის ამგვარი მანერა, ამგვარი მიხვრა-მოხვრა შეიძლებოდა ოდესმე ჰქონოდა ქართველ მამაკაცს... უყურებ ამ ანსამბლის ჩაცმულობას და როგორც თქვენ ბრძანეთ, ესეც არაქართულია, ქართული ბუნებისთვის უცხო და მიუღებელი.

უსმენ მავანისა და მავანის გამკივან სიმღერას და აშკარად ეურს გვრის უცხო მელოდია — ესეც არაქართული და არაქაური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახსოვთ ალბათ პოეტის სტრიქონები: „არ გამაგონოთ დაფიქრებული ჰანგი ველური, ჩემს თბილისში ვარ, დაუკარით ტკბილქართველური“. სჯობს, რომ სწორედ ამ „ტკბილქართველურს“, მშობლიურს, ჩვენებურს გავუფრთხილდეთ და დავიწყებას არ მივცეთ. სხვათა კულტურას კი პატივი ვცეთ, როგორც ოდითგანვე გვჩვეოდა.

— მესმის თქვენი გულისტკივილი... .ამ მიმბაძველობამ, თქვენი არ იყოს. მეც გამახსენა პოეტის სიტყვები: „რა მჯირს სხვისი მისაბაძი, თვარა კი“...

ჩვენს მცირერიცხოვან ერს, რომელსაც დღეს ასეთი დიდი წვლილი შეაქვს მსოფლიო კულტურაში, ჰყავს გამოჩენილი მეცნიერნი და ხელოვანნი, პოეტნი და მომღერალნი, რომელთაც მსოფლიოში უდიდესი სახელი მოიხვეჭეს, აქვს დიდი კინოხელოვნება და თეატრი, ჰყავს მსოფლიო ჭადრაკის მრავალგზის დედოფალი, ჰყავს განსაცდელის ხანს სხვაზე მოფიქრალი გმირი — ფორე მოსულიშვილი, შორეულ ოკეანეში ნორჩი სიცოცხლისათვის თავშეწირული რაინდი — იოსებ ყორდანია, საამაყო და სასიქადულო მარილაც ბევრი რამ აქვს. რუსეთის მასშტაბით ქართველ მედიცინის მუშაკთა და მეცნიერთა, ფიზიკოსთა და მათემატიკოსთა წარმატებას საზღვარი არ უჩანს. დღეს როცა შენი ქვეყანა, შენი რესპუბლიკა რესპუბლიკათა შორის ერთ-ერთი პირველთაგანია თავისი წარმატებებით, უბრალოდ, უფლება არა გაქვს შენს გვერდით, შენთან ერთად ცხოვრობდეს მტერი შენი ქვეყნისა (ვგულისხმობ ულირსს ქართველს) და შენ კი ამას შეგუებული იყო. ეს სიბეცეა და მეტი არაფერი.

ქართველმა კაცმა დღეს თავის ზნეობით, კულტურით, შრომით და საქმის ღრმა ცოდნით უნდა იმოღვაწოს. წინააღმდეგ შემთხვევაში გადაგვარება ემუქრება. ამიტომ, დროა, სასტიკად შეეებრძოლოთ ყველანაირ სიმახინჯეს: ეულგარიზმს, მეშჩანიზმს, პროვინციალიზმს.

— ჩვენი მწერალთა კავშირი საკმაოდ მრავალრიცხოვანია, მაგრამ როგორც გვიგია, მხატვართა კავშირს ყველა რეკორდი მოხსნილი აქვს — მგონი 2000-ზე მეტი წევრი გყავთ.

ძალიან ბევრი ხომ არ არის?

სადღაც, ოდესღაც დიდი შეცდომა ხომ არ იქნა დაშვებული, რომლის გამოსწორებას საშველი არ დაადგა?

თქვენ როგორ ფიქრობთ, რაში მდგომარეობს ეს შეცდომა? სად არის ის ნაპრალი, ის ბზარი, საიდანაც უნიჭობა ყონავს? ხომ არ გავუოლოთ გზა ხელოვნებაში დამკვიდრების მსურველთ? შტამპს, საშუალო დონეს ხომ არ შევეგებუთო?

კონსტანტინე გამსახურდიამ ერთხელ მწერალთა კავშირის მდივნებს ასეთი რამ უთხრა: თქვენ ამ თანამდებობაზე იმიტომ დაგნიშნეთ, რომ ხმალამოღებული ჩადგეთ მწერალთა კავშირის კარებში, უნიჭოები რომ არ შემოიპარონო. მას კარგად ესმოდა, რომ თუ უნიჭობას ხელს შევუწყობთ და კარებს ფართოდ გავუღებთ, ერის კულტურული ცხოვრება დანაგვიანდება, ერის მოკვლა შემოქმედებითი ინტელიგენციის ქმედითი ძალა დაქვეითდება.

საშწუხაროდ, დღეს მრავლად გვყვანან „გულკეთილი“ ძიები, რომლებიც გულუხვად არიგებენ ნიჭიერების დამადასტურებელ „ატესტატებს“: ის კი ვერ განუჭვრეტიათ, თუ რა სავალალო შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამ განუკითხობას და განურჩევლობას.

— თქვენ სწორად განსაზღვრეთ და ჩემი სათქმელიც თითქმის თქვით. აქაც ინდიფერენტიზმი, უგულობა, საქმისადმი არასერიოზული დამოკიდებულება იჩენს თავს. მერე კი, თავად ცოდვილებს, გვიკვირს, სოკოებივით რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორ და რატომ მომრავლებულა უნიჭობა. არა მგონია, ნაკლებად საზიზღარ საქმის უკეთებდეს თავის ერსა და ქვეყანას კაცი, რომელიც „მწვანე გზას“ აძლევს ბლაგიატს, გრაფომანს, ვიდრე საქმოსანი, მეკრთამე, ყალბისმქნელი. ეს ი.ითქმის ტოლფარდი რანგის დანაშაულებანია, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ პირველი, შენელებელი მოქმედების ბომბივით, გვიან, წლების შემდეგ იფეთქებს და დაზიანებს ერის ფსიქიკას, მეორე კი ჩვენს თვალწინ მოქმედებს, ჩვენს თვალწინ ჩადის უმსგავსობას.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, ილიას ვაჟა-ფშაველაზე კი არა ვინმე სხვა, უღიმღამო ნიჭის პოეტზე ეთქვა ის ცნობილი სიტყვები: „დროა ჩვენ, ძველებმა, კალმი ძირს დავდოთ და გზა ვაჟა-ფშაველას დავუთმოთო“. ეს რომ ასე მომხდარიყო, ალბათ, რაღაც დააკლდებოდა მის სახელსაც და მთლად საქართველოსაც...

— და ბოლოს, ერთი ტრადიციული შეკითხვა: რა გეგმები გაქვთ, რაზე მუშაობთ ამჟამად?

— ჩემი ფიქრი და გონება ამჟამად მხოლოდ ერთს — „დიდგორს“ დასტრიალებს. რა თქმა უნდა, მაქვს სხვა ჩანაფიქრებიც, სხვა სანუკვარი ოცნებებიც. მაგრამ, მოდით, ჯერჯერობით ისინი ჩემს საიდუმლოდ დარჩეს...

— ბატონო მერაბ, დიდი მადლობა საინტერესო საუბრისათვის. ჩვენი რედაქციისა და მკითხველის სახელით გისურვებთ თქვენი შემოქმედებითი ბიჯნების განხორციელებას.

— გმადლობთ!

ᲗᲔᲜᲖᲘᲜᲐ ᲩᲘᲮᲐᲫᲔ

ᲜᲐᲘᲠᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲖᲐ

ნაირა გელაშვილის პირველი ორი მოთხრობა — „მთვარით განათებული ბაღი“ და „მწვანე ჭიშკარი“ — ამ ექვსი წლის წინათ გამოქვეყნდა „მნათობში“. მათ მოჰყვა „ფანჯრები“ ჟურნალ „განთიადში“. ამ მოთხრობებმა იმთავითვე მიიპყრო ლიტერატურული წრის ყურადღება, ფართო მკითხველ საზოგადოებას კი როგორღაც შეუმჩნეველი დარჩა. მაგრამ, როცა თითქმის ზედიზედ გამოქვეყნდა „მივემგზავრები მაღრიდს“ და „სერსო“ (პირველი მათგანი „ცისკარში“ დაიბეჭდა, მეორე — „მნათობში“), მათი ავტორი ერთბაშად მოექცა ყურადღების ცენტრში. და რაც არცთუ ხშირად ხდება ხოლმე: წილად ერგო ორმაგი ბედნიერება აღიარება — მკითხველი საზოგადოების მიერაც და ლიტერატორებისა და მწერლების მხრივაც.

ამგვარად ნაირა გელაშვილი ავტორია მოთხრობების კრებულისა, რომელიც „მერანმა“ გამოსცა 1984 წელს და რომელშიც შეტანილია ექვსი მოთხრობა: „მთვარით განათებული ბაღი“, „ფანჯრები“, „მივემგზავრები მაღრიდს“, „ჩვენება (ანაბეჭდები)“, „მწვანე ჭიშკარი“ და „სერსო“. გარდა ამისა, იმავე 1984 წელს „ცისკრის“ პირველ ორ ნომერში დაიხბეჭდა მისი დიდი მოთხრობა „აბრები, უმბრნი და არაბნი...“ ხოლო შარშანწინ რომანის ავტორადაც წარუდგა მკითხველს („დედის ოთახი“, ჟურნალი „მნათობი“, 1985 წ., №№ 7-11). ნაირა გელაშვილი ავტორია ბერეთვი საინტერესო სიბავშვო მოთხრობებისა.

ასე რომ, უკვე გარკვეული საფუძველი გვაქვს, ვიმსჯელოთ მწერლის ნიჭის თავისებურებაზე, მისი ნაწარმოებების ფორმის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებზე, მათში დასმულ პრობლემატიკაზე, ღირსება-ნაკლოვანებაზე.

პირველი და, შედარებით ზოგადი, ნიშანი ნაირა გელაშვილის მხატვრული ნიჭისა, რაიც თვალში ეცემაში და რის მიხედვითაც შეგვიძლია იგი მწერალთა ამა თუ ამ კატეგორიას მივაკუთვნოთ, ის არის, რომ, როგორც შემოქმედი, ცხოვრების რაიმე ამბავს კი არ ემყარება ხოლმე. რაიმე კონკრეტულ შემთხვევას კი არ იყენებს ამოსავალ წერტილად, ასე ვთქვათ, „ნატურიდან“ კი არ ინატავს. თავადვე ქმნის თავის მხატვრულ სინამდვილეს, ქმნის თავისი წარმოსახვის ძალით, თანაც იმგვარად, რომ ეს წარმოსახული სინამდვილე არსებულზე უფრო რეალური გვეჩვენება.

იმისდა კვალობაზე, რა როლს ასრულებს მხატვრული ფანტაზია შემოქმედებაში, ჩვენ შეგვიძლია მწერლები ორგვარად დავყოთ პირობითად. ერთნი ცხოვრების პირად გამოცდილებას ემყარებიან უმთავრესად, უშუალოდ ნანახისა და განცდილის მხატვრულ ტრანსფორმაციას ახდენენ, გარდასულის აღდგენას ესწრაფვიან მეტწილად. უხვად იყენებენ ავტობიოგრაფიულ მასალას; მათი შემოქმედების მთავარი გმირი სულიერი წყობით ავტორს ენათესავება, მისი ლიტერატურული ორეულია, ხოლო სხვა პერსონაჟები ამ მთავარი გმირის თვალით ან მასთან კავშირში არიან ხოლმე დანახულნი. აქ მხატვრული შემოქმედების მთავარ ფუნქციას ასრულებს დაკვირვება და მეხსიერება. მეორე ვგარის მწერლები გარდასახვის ნიჭით გამოირჩევიან, მეტ-ნაკლებად თანაბარი ზომით გვიჩვენებენ განსხვავებული სულიერი წყობის, განსხვავებული ხასიათის მჭონე ადამიანებს. არ არიან ჭიპლარით დაკავშირებულნი ერთ რომელიმე მათგანთან, გამოსახავენ იმგვარ ვითარებას, რასი მოწმენიც არ ყოფილან ან ვერ იქნებოდნენ. აქ უპირატესი უნარი წარმოსახვაა.

ამ ორი, პირობითად გამიჯნული, ტიპის მწერლებად თანადროულ მსოფლიო ლიტერატურაში შეგვიძლია დავასახელოთ, მაგალითად, ჰემინგუეი და ფოლკნერი. ხოლო ჩვენში, თანადროულ ჩვენს მწერლებში — ნოდარ დუმბაძე და ოთარ ჭილაძე.

პირველმაგე მოთხრობებმა ცხადყო, რომ ნაირა გელაშვილი მეორე ტიპის შემოქმედთაგანია. იგი ქმნის სხვადასხვაგვარ სიტუაციას, სადაც მთავარ მოქმედად პირველად გამოსულ პერსონაჟე-

ბი, განსხვავებული ინდივიდუალობის, სქესის, ასაკისა და საქმიანობის მიხედვით. იგი უფრო ინტუიციურად სწვდება ადამიანის ბუნებასა თუ მოვლენის არსს, ვიდრე საგულდაგულო შესწავლისა და დაკვირვების მეოხებით. თუმცა, ეს როდი ნიშნავს, დაკვირვების უნარი გამაჯადოებელი არ ჰქონდეს და ამ გზით მიღებულ ცოდნას სრულიად გარკვეული მნიშვნელობა არ ენიჭებოდეს მის შემოქმედებაში. დაკვირვების უნარს მოკლებული ბეშმარიტი მწერალი ისევე ძნელი წარმოსადგენია, როგორც ნსაბეჭრული ფანტაზიის ნიჭს მოკლებული. აქ მხოლოდ ამ ორი საწყისის თანაფარდობას ეხება საქმე. გზადაგზა შევიცდები, მივუთითო ზოგიერთ მაგალითზე, ავტორის მახვილი დაკვირვების უნარს რომ ადასტურებს.

ნაირა გელაშვილის მოთხრობებისათვის მკაფიოდ გამოკვეთილი პრობლემატიკაა ნიშანდოლბლეი. მწერლის მხატვრული ინტერესისა და კვლევის საგანია საკუთრივ სულიერი პრობლემების სფერო. იგი ქმნის ამა თუ იმ სიტუაციას და ჭრერსონაჟს იმ სიტუაციაში მოაქცევს იმისთვის კი ორა, წარმოგვიჩინოს რაიმე ახსენითად ახალი ხასიათი, არც მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, გვიჩვენოს ადამიანის სულიერი დრამა, მისი ხვედრი. უმთავრეს მხატვრულ მიზნად ისაა ისახული, დასვას გარკვეული პრობლემა და მას თავისებურად გასცეს პასუხი. სულიერი პრობლემებისადმი გამაჯადოებელი ინტერესით იგი მემკვიდრეა ჩვენში ამ ოცდახუთი-ოცდაათი წლის წინათ სამწერალთა ასპარეზზე გამოსული ლიტერატურული თაობისა და იმავ თაობის ტრადიციის გამგრძელებელია.

რაც უკრო ვითარდება საზოგადოება, რაც უფრო წინაურდება ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით, მით უფრო მეტად ექცევა ოლიმე მწერლობის ყურადღების ცენტრში ადამიანის სულიერი ცხოვრების გამოსახვა. ოოცა ნაკლები ღრო და ენერგია გვინდა, რათა ცხოვრების მატერიალური პირობები ვაწარმოოთ, როცა ნაკლები ძალისხმევა გვჭირდება საარსებო საშუალებათა მოსაპოვებლად, უფრო ხელსაყრელი მდგომარეობა გვექმნება ოოლმე ჩვენი შინაგანი სამყაროს, გასაფარფატებელ, საიმისოდ, რომ კულტურულ ფასეულობებს ვეზიაროთ, საკუთარი პიროვნული კულტურა განვითაროთ. მართალია, ამჟამადაც ეჭატალურია ლიტერატურული გმირის ჩვენება უშუალოდ წარმოვნით ურთიერთობაში, შრომით კოლექტივში, ჩვენება მისი ოოლოსა ცხოვრების მატერიალურ სიკეთეთა შექმნისათვის ბრძოლაში, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ამ ორმოცი-ორმოცდაათი წლის წინათ არსებული ვითარებისაგან განსხვავებით დღეს გაცილებით მეტი შესაძლებლობაა საკუთრივ კულტუროლოგიის სფეროში შემავალი საკითხების მხატვრული კვლევა-დამუშავებისა. რაღა თქმა უნდა, ცხოვრების მატერიალური და სულიერი მხარე ურთიერთისაგან განუყოფელია, მეტიც, ურთიერთგანმაპირობებელია. მათი გათიშვა ანა მათ უმეტეს, დაპირისპირება, ერთი რომელიმე მხარის მნიშვნელობის უფასულებელყოფა თუ დაკნინება მეორისა სასარგებლოდ სრულიად გაუმართლებელი იქნებოდა. ოღონდ ისიც უეჭველად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ადამიანის კულტურული წინსვლა, სულიერ მოთხოვნილებათა ზრდა და მათი დაკმაყოფილებისაკენ სწრაფვა რაღაც მარტივი და მეკანიკური პროცესი რადაა, იმგვარი პროცესი, მარტოოდენ რაოდენობრივი მაჩვენებლებით რომ განიზომება. კულტურული წინსვლა ხომ მხოლოდ იმას არ ნიშნავს, კაცს მოთხოვნილებაც და საშუალებაც ჰქონდეს, წიაკითხოს მეტი წიგნი, მოისმინოს მეტი მუსიკალური ნაწარმოები ან ნახოს მეტი თეატრალური დადგმა. ამ პროცესში იგი თავადაც იცვლება, უფალ ნდება სული, უმრავლესურობენდეს შინაგანი ინტერესი, ურთულდება შინაგანი ბუნება, გადიდებულ მოთხოვნას უყენებს ცხოვრებას, უფრო მძაფრად განიცდის სურვილისა და შესაძლებლობის მოურიგებელობას, რეალურისა და ხასურველის გათიშულობას, რაიმე უსამართლობის გამოვლინებას, ცხოვრების ამა თუ იმ ნაკლს. ეს კი ნიადაგს უქმნის სულიერ კოლიზიას, ფსიქიკურ ტრავმას, რაც გარკვნულად ეგების ხშირად შეუმჩნეველიც იყოს, აშკარა მოკმედების სახით არ ვლინდებოდეს, მაგრამ ადამიანის გულსა და გონებას მწვავე დადაგ ჰნნდება ხოლმე.

ნაირა გელაშვილის მოთხრობებში, კაცმა რომ თქვას, თავისთავად ახალი, თანამედროული ლიტერატურისთვის უცნობი პრობლემები არ არის წამოყრილი. ავტორი, არსებითად, საკითხთა იმავე რიგს დასტრიალებს თავს, რაც ხალიტერატურო ასპარეზზე ორმოცდაათიან-სამოციან წლების მიჯნაზე გამოსულმა თაობამ გაიხადა მხატვრული ასახვის საგნად. მაგრამ ამ მოთხრობების კითხვისას მაინც გეუფლებათ სიახლის განცდა. გეცნაურება თემა, მოტივი, სატყვარი, ოღონდ ეს ყველაფერი ისეა გადადნობილი მწერლის „საკუთარ სულიერ ჭურჭელში", ისეთ ორიგინალურად და მარკვე ფორმა აქვს მოძებნილი, ისეა ალბედილი ინდივიდუალური ტემპერამენტისა და ხედვის ნაშნებით, რომ გეკმნება ბეშმარიტი ხელოვნებისათვის აგრე დამახასიათებელი „უცნობი ნაცნობის" შთაბეჭდილება. ჭერ კიდევ არისტოტელე ამბობდა „პოეტიკაში": ვვაღელვებს ის, ვინც თავადაც აღელვებულიაო. ზოგი მწერალია — უდავო ნიჭით დაჯილდოებული — შემოქმედებითი ძალისხმევა საიმისოდ სჭირდება, როგორმე მოიშინაუროს, მოიახლოოს, გაიშინაგნის ის პრობლემა, რისი მხატვრული დამუშავებისთვისაც ხელი მიუყვია თავის ნაწარმოებში. იგი უფრორიგ გონებისმიერ მიდგომას ამოღაგნებს ასახასიე საგნებთან და მოვლენებთან, უპირატესად გონებაჭვრეტითი გზით განიხილავს და წარმოგვიჩენს ადამიანებსა და მათს ურთიერთობას.

ნარია გელაშვილთან პირიქით ხდება: ავტორის ძალისხმევა თითქოს იქით მიმართული, როგორც ეს განთავისუფლდეს ამ პრობლემისაგან, რასაც მოელი ბანი არსება განუმსჭვალავს, ან ბავკიერისაგან, სულის სიღრმეში რომ ჩაბძოლდენია და საშვილს არ აძლევს; ის ცდილობს, ამოთქვას საოქმელი და ამით ერთგვარი შვება პოვოს.

უმთავრესი ტაკეილი მწერლის მოთხრობათა პერსონაჟებისა არის ტრაგიკულის გრძნობა ან სულიერი დრამა, ახლო რომ დგას ტრაგიკულის გრძნობასთან, რასაც წარმოშობს წინააღმდეგობა სინამდვილესა და პოეზიას, რეალურსა და იდეალურს შორის და ამ წინააღმდეგობისაგან აღძრული ტანჯვა. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უნდა შეენიშნოს, რომ სიტყვა „ტრაგიკული" აქ იხმარება სასაუბრო მეტყველებაში დამკვიდრებული ტრივიალური გაგებით კი არა, რაც, ჩვეულებრივ, გულისხმობს ცხოვრებაზე ხელჩაქნეულობასა და გამოუვალ პესიმიზმს, არამედ ესთეტიკური კატეგორიის მნიშვნელობით. ეს ტაკეილი გამოხატულია ისე წრფელად, ისეთი მძაფრი შინაგანი ჭნეგნით, რომ ლიტერატურული თვალსაზრისით თუმცა „არ ახალია", მაინც ისე შეიგრძნობა, როგორც ავტორისეული, თითქოსდა საკუთრივ მისეული. მასში არაფერია ნაძიები ან ნასხვისარი. საყურადღებოც ამდენადაა. საყურადღებოა, როგორც დღეგანდელი ჩვენი სულიერი ცხოვრების გარკვეული გამოხატულება. თანაც — დამდასტურებელი წინა ლიტერატურულ თაობასთან შემოქმედებითი კავშირისა. გავიხსენოთ, რომ ამ ლიტერატურულმა თაობამ წამოსწია წინა რიგზე თემები თუ მოტივები ინდივიდუალური თვითცხადებისა, საკუთარი მოწოდების მიკვლევისა და გამოვლენისა, გაუცხოებისა და თავის ფავთან დაბრუნების ნატრულობისა, მარტოობისა და „ლოფნიკაპელობისა", ღირებულებრივი ორიენტაციისა, ზნეობრივი მაკსიმალიზმისა, ეალთან, როგორც მშვენიერების სიმბოლოსთან, ზიარება-ვერზიარებისა, ესთეტიკური იდეალისა და ეროთ ცხოვრების საზრისის ძიებისა... სპინტერესო უნდა იყოს ისიც, რა გეზით წარიმართა ამ თემებისა და მოტივების დამუშავება ახაკთ ახალგაზრდა მწერლის ნაწარმოებებში, მწერლისა, რომელიც ავერ 80-იანი წლების დამდეგს მოეკვნინა სალიტერატურო ასპარეზს და, რომელსაც, ამრიგად, ძალაუნებურად უნდა ალებეკდა უკვე 50-იანი წლების აქეთ, გარდამავალ პერიოდში ფორმირებული ინდივიდუუბის ფსიქეკა და ცნობიერება.

ფორმა ნ. გელაშვილის მოთხრობებისა მრავალფეროვანია. ავტორი აღწერს რეალურ გარემოს, ესწრაფვის შეგვიჭნაბს აღწერილი ამბის, მოქმედებისა თუ სიტუაციის ნამდვილობის ილუზია. იყენებს პირობით-სიმბოლური ფორმის ელემენტებსაც, ოღონდ იმ ზომით არა, რომ ემპირიული სინამდვილე რადიკალურად გარდაქმნას, ან პირობით-სიმბოლური ფორმის ყალიბში მოაქციოს, უმირატესად იგავურ-პარაბოლური მნიშვნელობა შესძინოს. ამიტომაცაა, რომ მხატვრული სახე აქ აზრის დაკვემდებარებული კი არ არის, აზრის ილუსტრატორის როლში კი არ გვევლინება, თითქმის ყოველთვის შენივთებული, შერწყმული მასთან. ამავე დროს, ავტორი იმასაც ესწრაფვის, მხატვრულ სახეში აზრთან ერთად გრძნობის სინთეზიც იყოს მიღწეული, გულმშვიდი მოწმენი კი არ ვიყოთ პერსონაჟის თავგადასავლისა, მისი ხვედრისა, ვწუხდეთ და ვხარობდეთ კიდეც მასთან ერთად, თანამშრომლობენი ვიყოთ მისი (საპირისპიროდ ე. წ. „არაარისტოტელურის" ხელოვნების ნიმუშებისა, რომლებიც ბრეჰტისეული „ეფექტორების პრინციპის" მიხედვით არიან შექმნილნი). ოღონდ პერსონაჟის გრძნობებს უშუალოდ კი არ გვიწიერებს ავტორი, როგორც ეს ლირიკულ პროზას ჩრეევია, უმეტესად განსჯის ჭნი ფანდურებულს გადმოგვცემს. როცა იმგვარი პერსონაჟი გამოჰყავს, რომელსაც თვითდაკვირვება და რეფლექსია არ ახასიათებს, ანუ ინტროვერტული ტიპისა არ არის, თავადაც ჩაერევა ხოლმე თხრობის მიმდინარეობაში და ავტორის პოზიციას, სხვა მხატვრულ მიზნებთან ერთად, საიმისოდაც იყენებს, უფრო ახლო კონტაქტი დაგვამყარებინოს პერსონაჟთან, დაგვამყარებინოს ინდივიდუალური დამოკიდებულება, აღვვიძრას თანაგანცდა. ამ ნიშნან-თვისებების მიხედვით, ანუ იმის მიხედვით, რომ აქ თხრობითის ხელოვნებაში წონ არის წამოწეული განსჯისმერი, ანალიტიკური საწყისი, ერთგვარი არიმარტა აღწერის მოვლენას, ანალიზის კიდეკ, რათა ჩასწვდეს მის გამომწვევ მიზეზებს, თანაც აღწევს აზრისა და ვრძნობის სინთეზს მხატვრულ სახეში, ამდაგვნეს მისწრაფებას მხატვრული აზრის ფილოსოფიური განზოგადებისაკენ, გვევლინება თანაბარი ძალის მხატვრადაც და მოაზროვნედაც, ისე რომ, ერთი რომელიმე მხარე არ ჩაგრავს მეორეს, დიახ, ყოველივე ამის მიხედვით მართებული იქნება, მისი მოთხრობები ძირითადად იმ ტიპისად მივიჩნიოთ, ლიტერატურათმცოდნეობაში ინტელექტუალურ პროზას რომ უწოდებენ.

უფრო კონკრეტული წარმოდგენა რომ შევიქმნათ ნ. გელაშვილის ნაწარმოებებზე, ამ ერთგვარი წინასწარი ზოგადი დახასიათების შემდეგ თვით მოთხრობები განვიხილოთ. უწინარეს ყოველისა, ერთიმეორეს შეეუპარისპირონ კრებულში მოთავსებული პირველი ორი მოთხრობა—„მთვარით განათებული ბაღი" და „ფუჭენტი". ეს ნაშუალებას მოგვცემს, უფრო ახლოს გავეცნოთ მწერლის მხატვრულ აზროვნებისა და წერის მანერას.

„მთვარით განათებულ ბაღში" თხრობა იმ დროს იწყება, როცა გადმოსაცემი ამბავი უკვე მოხმდარა. კუულნაციურ მომენტს ეს-ეს არის

ჩაუვლია და მთხრობელი გონებრივ თვალს ავლებს განვლილ ამბავს, ანალიზებს, რა მოხდა და რატომ მოხდა. ირკვევა, რომ ეს მთხრობელი ლილიპუტია დასის წევრია, იგი ცდილის ჩაბედეს, რაღაც ჩაუფლავდა დასს პრემიერა, „რომეოსა და ჯულიეტას“ დადგმა, რასაც განმარტიელების უფლებაც დიდი წვალებითა და ბრძოლით მოუპოვებიათ. როცა ჯულიეტას როლის, შემსრულებელი, ოფთრ კაბაში გამოწყობილი, კიბეზე ჩამობრმოდა, „კაბის კალთაზე ფეხი დაიდგა და კიბიდან დაგორდა“, რის გამოც დარბაზს სიცილ-ხარხარი აუტყდა. მთხრობელს სწორედ ეს აკვირვებს. ვერ გაუგია დარბაზის ამგვარი რეაქცია (სიცილ-ხარხარი და ისიც როდის, უნაზესი სცენის დროს, როცა ჯულიეტა რომეოს ეგებება). ამ ეპიზოდის აღწერას მოსდევს დასის მთელი ისტორიის თხრობა — როგორ გამოდიოდნენ ლილიპუტები თავდაპირველად ცირკში ბრბოს გასართობად, როგორ გუნჯნდათ მერე ამაღლებულისაკენ მისწრაფება, სურვილი, შეექმნათ სათეატრო დასი და ეთამაშათ ანტიკური და აღორძინების ხანის მწერალთა პიესებში, რა დაბრკოლება შეხვდათ ჯერ ცირკის ხელმძღვანელობის, მერე კი ზემდგომ ინსტანციათა მხრივ, როგორ გადალახეს ბიუროკრატიზმის ყველა ჭერები და ვიტაანეს თავიანი, მიაღწიეს სანუკვარ მიზანს. და, აი, იმართება ეხოდენ ნახარი პრემიერა. აქ, დასასრულ, მთხრობელი კვლავ უბრუნდება ამ პირველ წარმოდგენას. ახლა უკვე ნათელი ხდება, რომ ჯულიეტას წყოროსილება კიბეზე ჩამობრეხისას მხოლოდ სახაბი ყოფილა, რათა დარბაზი სიცილ-ხარხარით შეხვედროდა სპექტაკლს. ამრიგად, დასის წევრთა თავგადასავლები სწრაფვა საკუთარი მოწოდების პოვნისა და თვითცნობიერებისკენ ერახით მთავრდება. ტრაგიკულია იმის შეგნება, რომ ამაღლებული გრძნობების გამომჟღავნების მაგიერ ბედმა ტაკიმასხარაობა გარგუნა, ბრბოს იაფფასიანი გართობის მოვალეობა დაგაკისრა. შეგნება იმისა, რომ ვერ გამოგვლენია შენი შინაგანი არსება, იძულებული ხარ დაფარო იგი, ნიღაბი ამარო.

მაგრამ ეს სულიერი დრამა ამითაც არ მთავრდება. ამ დრამას ავგენიგენიეს ბოლო აკორდი, მოკლე, ხულ რამდენიმე წინადადებისაგან შემდგარი ფინალური სცენა. მოულოდნელად აღმოჩნდება, რომ დასის წევრს, ვინც სუფლიორის მოვალეობას ასრულებდა პრემიერისას და ვისი პირითაც მიმდინარეობს თხრობა, ჯულიეტას როლის შემსრულებელი მსახიობი ჰყავრებია; მაგრამ თეატრში მიღებული იმდღეკვანდელი მწარე გამოცდილება მას მიელი სიცხადით გაახსენებს, რომ სიკვარულის უფლება მოსპობილი აქვს, ვერ გამოამჟღავნებს ამ გრძნობას, რაკი სიყვარული დაცინვის საგნად ქცეულა. ტრაგიკული გრძნობა, თეატრში ნაწვნევი, სცენიდან ცხოვრებაში გადმოდის და რეალურ ყოფაში გაცხადდება.

ავტორი არ კმაყოფილდება ლილიპუტთა დასის ხვედრის მარტოოდენ ჩვენებით; ასე ეთქვათ, მხოლოდ ფაქტის კონსტატაციათ. ამ ფაქტს ავტორ-ლოგენებისა და ავდოტიროსის უფლებრივმამართებაში გაიაზრებს, საცაუფროფოს, რისი ბრალია პრემიერის ჩავარდნა. ამას ავტორისეული პოზიციის გამოვლენით ნათელყოფს. კრიტიკული დაოყოფილებების გამოხატვით — აუდიტორიის მიმართ. ავტორის პოზიციის გამოსაკვლევად ბავშვის სახეა გამოყენებული. მაყურებელთა დარბაზში არის „ათიოდე წლის ფართოთვალება, წვრილმაჯეგნიანი, გრძელთმება ბიჭი“, რომელიც „გაფთრებული და დაძაბული შესცქერის სცენაზე აბობოკრებულ ენებათაღლვასს“. ის არის აგრეთვე ერთადერთი მაყურებელი, ალშფოთებას რომ გამოხატავს დარბაზის რეაქციის გამო. ბავშვი, როგორც საშუალება ავტორის ზნეობრივი თვალსაზრისის გამოხატვისა, მოვლენის ალალი, უტაუტარი შეფასებისა, კარგად არის ცნობილი ლიტერატუროდან (გავიხსენოთ, მაგალითად, პატარა ლორინა ნოპასანის „ლამაზი მეგობრიდან“). ნაირ, ველაშვილი მეკანიკურად რიდი იუენებს ამ მხატვრულ ხერხს, ზოგადად ბავშვს როდი წარმოგვიდგენს. იგი თვალისსენებს, რომ თანდროოდ მწერლობა ბავშვის ორ ძირითად ფსიქოლოგიურ ტიპს განარჩევს. ერთია უშუალოდ ცხოვრების შვილი, ლადი და „ჯანსაღი“ ბანს ჰანსენი, მეორე კი — მგრძნობიარე, სათუთი სულის პატარინი, ხელოვნებასთან წილნაკარი ტონიო კროგერი (ანდა პატარა ჰანი ბუდენბროკი). მოთხრობაში აღწერილი სიტუაციის შესაფერისად სწორედ ტონიოს (ანდა პატარა ჰანის) უაღრეს ბიჭუნაკა გამოყენილი, რაზედაც მიგვანიშნებს გარეგნული პორტრეტის დეტალები. ეს ავტორის სწორ ალღოსა და ზუსტ მხატვრულ აზროვნებაზე მიგვითითებს.

ბავშვთან შეპირისპირებისას მაყურებლის უშუალო მახასიათებელად სიცილი გვევლინება. ეს სიტყვა მთხრობის პირველსავე ფრაზაში გაისმის, ნეტავი რა აცინებდათო, ამ რიტორული შეკითხვით იწყება მთხრობა და შემდეგ სიტყვა „სიცილი“ მარჯვედ არის გათამაშებული მთელ ნაწარმოებში, მნიშვნელოვანი აზრის და ფუნქციის მატარებელია. სიცილს შეიძლება დადებითი შინაარსიც ჰქონდეს და უარყოფითიც. დადებითადაც გვიხასიათებდეს იმას, ვინც იცინის, და უარყოფითადაც. ეს იმაზეა დამოკიდებული, ვინ რას დასცინის. „მთვარით განათებულ ბალში“ მაყურებელი ისეთ რამეზე იცინის, რაც არ შეიძლება დაცინვის საგანი იყოს. ამით ეს მაყურებელი თავისსავე თავს იხასიათებს უარყოფითად. ამგვარივე შინაარსი გასდევს სიცილს მთლიანად ნაწარმოებში. ასე: ცირკის ხელმძღვანელობის ხელში იგი ცხოვრების იმ პრინციპული წესის დაცვისა და განმტკიცების იარაღია, რასაც ეს ხელმძღვანელობა უწევს რეკლამას. სწორედ საცირკო სანახაობებით განწირთნილი იგივე მაყურებელია, შექსპირის ტრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გედიის წარმოდგენას რომ ეხმრება თეატრში და მის შემფასებლად გვევლინება. ეს არის ე. წ. „მახორივი" ადამიანი, ვულგარული, სულიერი პრიმიტიულობის განმასახიერებელი, ნაყოფი ე. წ. „მასობრივი კულტურისა".

ლილიუფუნთა დასი, ცირკი, თეატრი, აუდიტორია (დარბაზი) ის ძირითადი სახე-ცნებებია, რომელთაც, გარდა პირდაპირი მნიშვნელობისა, გადატანითი, ზოგადი მნიშვნელობაც ენიჭებათ მოთხრობაში. ამ სახე-ცნებათა ურთიერთმიმართება, მთლიანად დასის თავგადასავალი, მისი ისტორია, მწერლის ორგანალური მხატვრული აზროვნებისა და ოსტატობის წყალობით იძენს ღრმა სიმბოლურ, მრავალნიშნად აზრს.

სულ სხვაგვარი სტრუქტურის მქონეა მოთხრობა „ფაფრჩრები". ეს არის, არსებითად, ოთხი პერსონაჟის შინაგან მეტყველებათა მონტაჟი. შიგადაშიგ, რამდენიმე ადგილას, ჩართულია პერსონაჟთა უაღრესად ძუნწი ურთიერთშესიტყვება, რასაც დიალოგი არც ეთქმის. თვით ავტორი არსად ჩანს, რაიმე რემარკითა თუ კომენტარით არ ეჩივა თხრობის მიმდინარეობაში. ყველფერს, რასაც ვიგებთ მოთხრობაში ასახული ვითარებისას და პერსონაჟთა ურთიერთდამოკიდებულებისას, ვიგებთ ამ შინაგან მეტყველებათაგან და ურთიერთშესიტყვებათა მეოხებით. იწყება ასე: მოკლე ურთიერთშესიტყვებას, რისი მიზანიცაა მინიმალურად გაგვაკვეიონ აღსაწერ სიტუაციაში და გაგვიგებინონ, რომ საქმე ეხება ვიღაცის წასვლას და ვიღაცის დარჩენას, მოგვეცნა შინაგანი მონოლოგი. უფრო სწორად, ეხსა შინაგანი დიალოგი, გუნებაში გამართული მეორე, იქვე მყოფ პერსონაჟთან და საკუთარ თავთან. უცებ ვერცა ხვდებით ხეირიანად, ვისი შინაგანი დიალოგი გესმით, ქალისა თუ კაცისა. თანდათან ნათელი ხდება, რომ თქვენს წინაშე ქალ-ვაჟია და ვაჟის ხმა გესმით. უპირველეს შთაბეჭდილებასაც ამ ხმის ინტონაციია ანდენს თქვენზე; რაღაცანირი ყრუ, დაბუნული ღაღადისი სწვდება თქვენს სმენას, სამ-ყლოვარო მელოდიასავით გულის დამამძიმებელი. ინტონაცია, რითაც იწყებოდა თხრობა „მთვარით განათებულ ბაღში", მკვეთრად განსხვავებული იყო. იქ მოხრობელის ხმის კილოში ერთდროულად იგრძნობოდა გაკვირვებაც, მოელვარებაც, აღშფოთებაც და გულმოკლულობაც. ის ხმა ხმამაღლა ყღეროდა. აქ, „ფაფრჩრებში", შინაგანი მეტყველება იწყება ჩავარდნილი ხმით, ძლივს გასგონი ჩურჩულით, თითქოს ხმა საიდანღაც საბრიდან მოდისო. ინტონაცია ამხელს ღრმა ნაღველს ადამიანისას, ვისაც მარტოობის გამო ძმიმე სულიერი მდგომარეობა შეპკმნია. ამ სულიერი მდგომარეობის გამოსახატავად გამოყენებულია სიტუა „მკვდარი". ეს საყოველნი სიტუვა ვრცელ მეტაფორად არის გაშლილი და ვაჟის პირველი შინაგანი მეტყველებაა ძირითადად ამ გაშლილ მეტაფორას ემყარება. სიტუვა „მკვდარი" მხატვრულ ლიტერატურაში იმდენგზის უხმარიათ მეტაფორული მნიშვნელობით, ხელახალი ხმარებისას ფაბლონურობის აშკარა საფრთხე იქმნება. მაგრამ ავტორის ნიჭის ორიგინალურობაც ის არის, რომ იგი ახერხებს, ეს სიტუვა თავის საკუთრებად აქციოს, ახლებურად აიყიდოს, ახალი სული ჩაბეროს. ვაჟი, ვისგანაც ვისმენთ შინაგან მეტყველებას, თვითშემფასებელი პერსონაჟია, თავადვე იცნობიერებს საკუთარ სულიერ კრიზისს და თავის თავს მკვდრთან აიგივებს (კი არ ადარებს მკვდარს — სწორედ აიგივებს მასთან). მკვდრის მეტაფორა ღრმავდება, მას უკავშირდება უცნაური ხილვა თუ ასოციაცია და ჩნდება ახალი მეტაფორა, წარმოიჩენი სულიერი მარტოობის ულრმესი, ეოფებით ძნელად საწვდომი შრისა. ასე: პერსონაჟი თავის თავს ხედავს და განიცდის „საფლავად, სადაც ოდესღაც ვიღაც ემარხა." („მე ყოველთვის მკვდარი ვიყავი, ძველი მკვდარი, ასაკოვანი, წლების და წლების, ისე დიდი ხნის, რომ აშკარად ვგრძნობდი, პირი ქვიშით მქონდა ამოვსებული, უკვე მკვდარიც ალარ მეთქმოდა, უბრალოდ საფლავი, სადაც ოდესღაც ვიღაც ემარხა, მეგონა, თვალებში ბალახი მიბიბინებდა და იმ ბალახს ჩემი ბავშვობის სული ასდიოდა...") ვაჟის ამ პირველი შინაგან მეტყველებას ქალ-ვაჟის მოკლე ურთიერთშესიტყვების შემდეგ მოსდევს ვაჟის მეორე შინაგანი მონოლოგი, სადაც უკვე მარტოობის მიზეზებია ახსნილი. ნაჩვენებია, რამ წარმოშვა ეს მარტოსულობის გრძნობა, რამ მიიყვანა ვაჟი ამ მდგომარეობამდე: აქ უშუალოდ ანალიტიკური მსჯელობა პერსონაჟის ბიოგრაფიიდან მოშველიებული ფაქტების საფუძველზე შეხამებულია რთულ ტროპულ აზროვნებასთან. საყოველნ ცნებად აქ გამოყენებულია „სიტყვები", როგორც სიმბოლოთა ადამიანებს შორის კავშირ-ურთიერთობისა, მათი კონტაქტურობა-უკონტაქტობისა. ეს ცნება პირველ შინაგან მონოლოგშივე ვგებულობთ, მაგრამ იქ აქცენტირებული სიტყვა „მკვდარი" იყო. მეორე შინაგან მონოლოგში კი „სიტყვები" ტროპის რთულ სახეობად არის გარდაქმნილი და მთელი ეს მონოლოგი ძირითადად ამ ლექსიკური ერთეულის პარამეტად გაშლაზე, ღრმა მეტაფორული მნიშვნელობით გამოყენებაზეა აგებული. პარამეტად გამოყენებული ეს სიტყვა, ამასთანავე, მთხრობის შინაგანი დინამიკის გამოხატვის, განსაზღვრული სიუჟეტური სვლის ფუნქციასაც ასრულებს. ნაწარმოებში აღწერილი ვითარების ვარეგნული სტატიკური სურათის მიღმა ცნაურები ფარული შინაგანი მოძრაობა, გარკვეული შინაგანი დინამიზმი. ეს დინამიზმი ნელ-ნელა, შეუმჩნევლად, მაგრამ მაინც მატულობს ერთი შინაგანი მონოლოგიდან მეორეში

(სულ ხუთი შინაგანი მონოლოგია ამათი — სამი ვაჟის და ორიც ქალისა). ქალი და ვაჟი ერთმანეთისაკენ ისწრაფიან, ორივენი უადგილნა ხვეჩარნი არიან ერთიმეორისათვის, რათა მარტოობისგან დაიხსნან თავი, და ჩვენ იმ კულმინაციიერ მომენტში ვხედებით პერსონაჟთა ფსიქოლოგიური დრამის მოწმენი, როცა უნდა გადაწყდეს, წავა და სამოდამოდ დაეკარგება ვაჟს თუ მასთან დარჩება ქალი. ხოლო ქალის დარჩენა ვაჟის „სიტყვებზეა“ დამოკიდებული. საქმე ისაა, რომ „სიტყვების“ ისტორია ნაწარმოებში ვაჟის სულიერი ბიოგრაფიას ასახავს. ვაჟმა უარყო „სიტყვები“, როგორც სიყალბის სიმბოლები და ს ი ჩ ო ვ ე ბ ი პოვა თავშეკავარი. შემდეგ თავიც დამიშუნჯა. „სიჩუმე“ და „დამშეკავნა“ მოთხრობაში პარაბოლური მნიშვნელობით არის ნახმარი. თუ ვაჟი მოახერხებს ლაპარაკის გაბმას, ქალისათვის რაიმეს თქმას, ეს ნიშნავს მათ შორის კონტაქტის შესაძლებლობას და ქალის დარჩენას. ვაჟის სიტყვას, თუ იგი შემძლებს, „ენა ამოიდგას“, განაცდებული ძალა მიენიჭება; სიტყვა იქნება ხალასი, გაუყალბებელი, რამაც უნდა გვაუწყოს ჭეშმარიტი არსებობის დასაწყისი.

პერსონაჟთა ამ წყვილის პარალელურად გაბოყვანენია კიდევ ორი პერსონაჟი — დედა და ვაჟიშვილი. შეუვარებული ქალ-ვაჟისა და დედა-შვილის ბინები ერთიმეორის მოპირდაპირედ არის (თუმცა ერთმანეთს არ იცნობენ), მოკმედების ადგილი შეცვლილია, დრო კი იგივეა, და რა ფსიქოლოგიური ვითარებაც ვნახეთ მოკმედების იმ პირველ ადგილს, იმის ანალოგიური სურათია აქაც, დედა-შვილის ბინაში. აქაც მარტოობის დრამაა. ოღონდ მარტოობისა და მიხი გადალახვის ცდის თემა აქ ერთი პერსონაჟის — დედასთან ერთად მცხოვრები ვაჟიშვილის მხატვრული სახის მეშვეობით არის განვითარებული, თანაც განსხვავება ისაა, რომ თუ პერსონაჟთა პირველი წყვილისთვის სიყვარულია ხსნის გზა, ვაჟიშვილისთვის შემოქმედებითი აქტია ამგვარი საშუალება. ზვეზის მხოლოდ მაშინ პოეტობს, როცა შთაგონებას წუთები დაუფლება და ანერხებს, შინაგან სიმაჯვენს პოეტური ფორმა მიანიჭოს. ამ შემოქმედი კაცის ფსიქიკუურ მდგომარეობას მწერალი მარკვედ გამოხატავს დედის შინაგან მეტყველებაში ჩართული ვაჟიშვილის მონოლოგებით, ეფექტური ტროპული აზროვნების მეოხებით. ავტორი იყენებს სრულიად უბრალო ყოფითის საგნებს და მათ ისეთ მხატვრულ კონტექსტში მოაქცევს, რომ ღრმა მეტაფორულ მნიშვნელობას ანიჭებს. მაგალითად, ის „ილეს ჩვეულებრივ ქილას, კოსსერვის ქილას, აქცევს მას გაწლილ მეტაფორად და ამ გზით ქმნის ცხოვრების სანდალურზებული წესის შედეგად სტერეოტიპებად ქცეულ ადამიანთა მექანიკური, მოჩვენებითი ურთიერთობის მეტყველ სიმბოლურ სურათს. აზრობრივი დატვირთვა ეკისრება უმთავრესად ზმნებზე მოდის; ტროპებად

ეფენილნი ზმნების სიუხვე გარკვეულ დინამიურობასა და ექსპრესიულობას ანიჭებს პერსონაჟის მონოლოგს, წარმოთქმულს უკვე ხმადაბლა კი ალარა, მთელი ხმით, რითაც ეჭნება გარკვეული კონტრასტი პერსონაჟთა პირველი წყვილის ჩუმ, განგებისად დუნე ტემპის მქონე მეტყველებასთან.

სიმბოლური აზრის მქონეა მოთხრობის სათაურად გატანილი სიტყვა „ფანჯრები.“ ერთი მხრით, ფანჯრები აქ სიუეტების გარკვეული ორგანიზების საშუალებაა, უშუალო მოკმედი რგოლია სიუეტების (ოღონდ სიუეტტურ ქარგაზეა ლაპარაკი ამ მოთხრობის მიხედვით ძალზე პირობითად შეიძლება). ვიდრე მოპირდაპირე ბინების „ფანჯრებში“ ჩანაფული ანთია (მოკმედების დრო გვიანი ღამეა), იმ ბინებში მეოთხე იმედის ნაპერწკალი უდგივინი გულშია. ვაჟს იმედი აქვს, რომ ამასობაში იმ სიტყვების თქმას შეძლებს, რომელთა წყალობითაც ქალი ალარ მიაგოვებს, მასთან დარჩება. შემოკმედ კაცს კი ეგდაუწყვეტია, მანამ მოპირდაპირე ფანჯარაში შუქი ჩაქრებოდეს, იფშვნლოს, რათა ლეკსის დაწერა მოახერხოს და დაშოშმინდეს, ტანჯვა შეიმსუბუქოს. ახე რომ, უცნობი ადამიანები ერთმანეთის დახმარების ხელს უწვდიან, თუმცა ამის შესახებ თავად არაფერი იციან. მაგრამ „ფანჯრები“ ღრმა სიმბოლური მნიშვნელობასაც შეიცავს მოთხრობის კონცეფციის გამოხატვის თვალსაზრისით. ფანჯრები ის საშუალებაა, რითაც ადამიანმა თავისი მარტოობის ელვის გარღვევა და მეორე ადამიანთან შინაგანი კავშირის დამყარება უნდა შეძლოს. ახე რომ, სათაურში გატანილი სიტყვა აქ ორმაგ მხატვრულ ფუნქციას ასრულებს, სიუეტების ორგანიზებისაც და ნაწარმოების ქვეტექსტად ნაგულისხმევი აზრის სიმბოლურად გამოხატვისაც.

უკვე ამ ორ ზემოთგანხილულ მოთხრობაში გამომდგანდნა კომპოზის, სატრიხა და ირონიის ელემენტები, თუმცა ორივე ნაწარმოები ძირიანდად სულიერი : დრამის შესატკვეცისა სტილით არის შესრულებული. „მთვარით გათბობული ბაღში“ მწერალი კომიკური სიტუაციის ქმნის „ზედეას“ წარმოდგენის აღწერისას, ირონიითა და სარკაზმით არის ნაჩვენები ბრძოლის ის ხერხები და ტაქტიკა, რითაც ცირკის დირექცია და ზემდგომი ინსტანციები ლამობენ გზა გადაუღობონ ლიელიპუტთა დასის ბუნებრივ მისწრაფებას. „ფანჯრებშიც“ კი, რომელშიც ლამის ყველაზე მძიმე სულიერი განწყობილებაა გამოხატული ნ. გელაშვილის მოთხრობებს შორის, სარკაზმითა და მძაფრი ხატირით არის „ლბეკდილი ადეილ შინაგანი მეტყველება, უმთავრესად კი იმ შინაგან მეტყველებაში ჩართული ვაჟიშვილის მონოლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გები. ერთ მაგალითს მოვიტანთ. დედა ამბობს თავის ვაჟიშვილზე: „ჭკეტანას გული უსკდება, სახლს ხომ არავინ გვიტხსო, კარი არავინ ჩაბოხსნასო და ეს... ბაადები სახლის კარს და ღიად დატოვებს.“ ამ ფრაზის პირველი ნახევარი (მრავალწერტილოსამდე) ყოფითი სინამდვილის კრიტიკაა და პირდაპირი მნიშვნელობით გიგება, საქმე ისაა, რომ ვაჟიშვილს ის აზრი გასჯდომია, ის აზრი აღაშფოთებს, ყველფერს კატეგორ, ყველაფრის ჩაკეტვა უნდათ, ბოლოს ადგებინან და ჩვენც ჩაგვეტავენო. ანტაგონ მას ჩვეულებად, ლამის მანიად გადაქცევი, ყველაფერს აღიმდეს; ალეს კარებს, ფანჯრებს, უჯრებს, სკივრებს, კარადებს და ღიადვე ტოვებს. ამით ერთგვარ შინაგან ამბოხს ავლენს. დედას კი ვაჟიშვილის საქციელი უცნაურობად ეჩვენება, ფსიქიკური აშლილობის ბრალი მგონია. მაგრამ მკოთხეველ კონტექსტის მიხედვით მშვენივრად ხვდება ამგვარი საქციელის ფარულ აზრს და ამის წყალობით არის, რომ მთლიანად მოტანილი ფრაზა, გარეგნულად პარადოქსის ფორმის მქონე, ნიღრმისეული შინაარსის გამო ფრიად სარკასტულად ეღერს.

მწერლის ნიჭის თავისებურება, გროტესკულად დახატოს სინამდვილე, სრული ძალით გამოვლინდა მოთხრობაში „მივეგზავრები მადრიდს.“ მოთხრობის გმირის სანდრო ლიჩელის მთელი თავგადასავალი ერთის ტრაგიკომიკურია. იუმორი, ირონია და სარკაზმი, საცარა, კომიკური სიტუაციები, ბუფონადის ელემენტები ამ ერთ ორგანულ მთლიანობას, თავად მხატვრულ სტრუქტურას ქმნიან.

ლიჩელს ერთიდ ოცნების უნარი შერჩენია, რისი წყალობითაც მისი არსებობა ჯერ კიდევ ითქმის ადამიანურ არსებობად. ცხოვრებისაგან გადაღლილი, იგი თავშესაფრის საპოვნელად ინკოგნიტოდ მიაშურებს ქალაქის გარეუბანში მდებარე საავადმყოფოს, სადაც მთავარ ექიმად მისი სიყრმის მეგობარი ფუშაობს. იმედი აქვს, ცოტა სულს მოვიბრუნებო. მაგრამ უცნაურ შეხვედეეთობათა გამო იქ იმ უნარსაც კარგავს.

მოქმედება იწყება დინამიურად, სცენა სცენას მოაკვეთა და ფეხდაფეხ მიდდეთ ამბის მდინარებას. ჩვენ ამ ამბის დასაწყისში ვართ; ყველფერი, რაც მოთხრობაში ხდება, მომავალში ეუნდა მოხდეს. დინამიურობა მიღწეულია დრამატურგიული ხერხის გამოყენებით. ავტორისეული თხრობის ნაცვლად სცენაზე წარმოდგენია უშუალოდ გმირი. მონოლოგი ცვლის მონოლოგს (არსებითად, ეს დიალოგებია, საუბარი რო პირს შორის, ოღონდ მეორე პირის შეკითხვა თუ პასუხი ნაგულისხმევია გმირისავე მონოლოგში). დიალოგი ენაცვლება დიალოგს. თავად ავტორი არსად ერევა მოქმედების მსვლელობაში. მითითებულია მხოლოდ მოქმედების ადგილები. ესა თუ ის მონაკვეთი გამოყოფილია სათაურით: „სამსახურში“, „ოჯახში“, „არც ოჯახში, არც სამსახურში“, „ქუჩაში“, „საავადმყოფოში“. აქედან პირველ სამ სათაურს მონოლოგი შეეხატყვესება, ბოლო ორ სათაურს — დიალოგის. ჩვენ ამ მონოლოგებისა და დიალოგების საშუალებით ვერკვევით ვითარებაში, ვიგებთ, რომ მოთხრობის გმირის გადაუწყვეტია, დროებით გაეცალოს ჩვეულ ყოველდღიურ გარემოს; ვიქმნით გარკვეულ წარმოდგენას საზოგადოებრივ გარემოზე, თვით ლიჩელზე; ოღონდ ბოლო დიალოგამდე ვერ მივმხდარვართ, მაინც სათ დაუბერებია წასვლა, რადგან გზა-კვალის ასანბეკად ყველას სხვადასხვა რამეს ეუბნება. ამ მონოლოგებისა და დიალოგების საშუალებით გმირს ამავე დროს მოქმედებაშიც ვხედავთ.

მომდევნო, შედარებით მოგრძო თავიდან, რომელსაც „უნიმრო პალატა“ ჰქვია, იწყება თავად ავტორის თხრობა. რაკი ლიჩელს არ ახასიათებს თავის თავზე დაკვირვება და რეფლექსია, მწერალიც გარეგან ნედგით წარმოგვიჩენს მის შინაგან სამყაროს. ამ გზით ესწრაფვიან, ჩაგვახედოს გმირის სულში, დაგვიახლოვოს იგი, გვაზიაროს მის განცდებს. ოცნება, წარმოსახვა სინამდვილეში ცხოვრებაა ნიშანდოსლივი ლიჩელისთვის, ეკიმად — წარმოსახვითი მოგზაურობა წყნარი ოკეანის შორეული კუნძულებისაკენ და შემდგომ ესპანეთისაკენ, მადრიდისაკენ. იგი მოტრფიალეა ანგრეთვე პოეზიისა და სიმღერისა. გმირის ამ თვისებაზე რომ გვიქმნის ცოცხალ წარმოდგენას, ავტორი დროებით იცილებს ჩვეული მთხრობლის როლს და გამოდის ავანსცენაზე, თავს იდებს მისიას, იყოს კომენტატორი გმირის ხასიათის ძირითადი თვისების, წარმოსახვითი მოგზაურობის სიყვარულისა, და თანაც დამცველი იმავ გმირისა საგულველებელ ოპონენტთა მხრივ შესაძლო საყვედურისაგან. მკითხველისთვის ნათელი ხდება, რომ, რაც უფრო გადის დრო და ლიჩელს ოცნება განუზორციელებელი რჩება, ეს ოცნება თანდათან ფერმკრთალდება, ლიჩელი უცხოვდება გარემოსადაგაც და თავის თავისადაც. მაგრამ სანდრო ლიჩელი, როგორც გაუცხოებული ადამიანი, ანგრეთვე ის საზოგადოებრივი პირობები, რაც ამგვარი ადამიანის ფსიქიკას აყალიბებს, უკვე დაახასიათეს ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში, ამიტომ ამ საკითხზე სიტყვას ალარ გავაგრძელებ.

ამის შემდეგ კვლავ ვუბრუნდებით კონკრეტულ სინამდვილეს, საავადმყოფოს, კვლავ მივეკვეთით მოქმედების განვითარებას. დიდი ხნის უნახავი სიყრმის მეგობრები, ლიჩელი და მთავარი ექიმი, მხიარულად ატარებენ დროს, იხსენებენ ბავშვობას და, ბოლოს დაცლილებულნი საკუთარ არსებას, უბრუნდებიან თავიანთ თავს. მაგრამ მწერალი არ სჯერდება ორი მეგობრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურთიერთობის აღწერას, გვიჩვენებს მათ გარშემო არსებულ ფონსაც, ანუ თვით საავადმყოფოს, როგორც კერძო ნაწილს ზოგადი სინამდვილისას. აქ სატირული ფერებია გამოყენებული. ერთი მაგალითი. საკმარისია, სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ საავადმყოფოში გამოჩნდეს მთავარი ექიმი, რომ სამედიცინოლ პერსონალის დამოკიდებულება ავადმყოფებისადმი ერთბაშად შეიცვალოს. ამასთან დაკავშირებით ავტორი წერს: მორგე ექიმმა „ისეთი არხანული გულთადობით ვანიჭა ავადმყოფები და ისეთი გულისყურით მოისმინა მათი ჩივილები (ჩაიწერა კიდეც!), რომ ზოგიერთ პაციენტს გაკვირვებისაგან სიცხეც აუწია და სხვანიც საგრძნობლად აფორიაქდნენ... მორგე ექიმისა და ექთნის უცნაურმა საქციელმა, როგორც მოგახსენეთ, პალატებში საყოველთაო მოუსვენრობა გამოიწვია... იმ ღამით ავადმყოფებს ცუდად ეძინათ, მათი საწოლებიც ხშირ-ხშირად და შეშფოთებულად ბრიალებდნენ (ზოგი სიკეთე მავნებელია...)" ეს იმგვარი შემთხვევაა, როცა მხატვრული სიმართლე არ ემოხვევა ცხოვრების სიმართლეს. ექიმის ყურადღება და მზრუნველობა, ცხადია, კი არ ვნებს ავადმყოფს, პირიქით, სასიკეთო გავლენას ახდენს მასზე. მაგრამ მწერალი განგებ არღვევს ფსიქოლოგიურ სიმართლეს, თავისებურად შეშოატრიალებს საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს და მდგომარეობის პარადოქსული წარმოსახვით უფრო ღრმად და მძაფრად, სარკასტულად წარმოგვიჩენს სინამდვილეს.

შემდეგ თავში, რომელსაც „ყოველ შემთხვევისათვის" ჰქვია, ავტორი ისევ გვეველინება კომენტატორისა და მგრის დამცველის როლში. ეს თავი თითქოს არ ჩანს აუცილებელი. მაგრამ მას შინაგანი ანრომრივი კავშირი აქვს ფინალურ ეპიზოდთან და მოთხრობის საერთო კონეფიციასთან. ეს კია, ავტორის მსჯელობა ალაგ, მაგალითად, იქ, სადაც ლიჩელს დაკისრებული აქვს ერთგვარი პოტენციური მისიაღებთა შორის მეგობრობისა და მშვიდობის დამამყარებლისა, საკეთის გულალალი მოიკქულისა, თუმცა ეს ყოველივე თავისებური იუმორით არის გადმოცემული, მაინც ცოტა მიამატენ და ცოტა გადაჭარბებულია. აქ გეშინაზეა, რომ ავტორს თავისი გმირი, ეტყობა, მოაზრებული უნდა ჰყავდეს დონ კიხოტის თავისებურ, თანამედროვე ორეულად (ამას უნდდა მიანაშენებდეს გმირისთვის შერჩეული გვარიც ფონეტიკური ჟღერადობით ესასნელი რაინდის ასოციაციის რომ იწვევს. ლიჩელი — ლამანჩელი). მაგრამ ამ მიზანდასახულობას (თუ ეს მართალი ახეა), ნაძალადობის იერი დაჰკრავს.

მომდევნო თავი — „ლიბარ" — დიახაც სანიტერესოა თავისთავად, კარგადაც არის დაწერილი და კიდევ ერთხელ გვიდასტურებს ავტორის მდიდარი ფანტაზიის ნიჭს. მაგრამ ალგვიჩრავს კითხვასაც: რამდენად არის აუცილებელი მხატვრული თვალსაზრისით, მთელთან ნაწილის მიმართების მხრივ? რას მატებს იმას, რაც უკვე ითქვა გმირზე, როგორც მეცნიერე და პოეტური სულის მჭიანე ადამიანზე, არსებითად ახალს? კაცმა რომ თქვას, ისეთს არაფერს. მოქმედების განვითარებას კი ამარკოლებს. არადა, ამბის მსვლელობა ისედაც დაყოვნებულია იმ ჩართული ადგილებით, რომლებშიაც ავტორი კომენტატორისა და გმირის მოსაარჩლის როლში გვევლინება.

ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში აღინიშნა, რომ ეს თავი შეიცავს გარკვეულ სოციალურ კრიტიკას. ლიჩელს ურჩევნია, ოღენბაში ხატავდეს სურათების თუნდაც იმიტომ, რომ მხატვრის სახმარი იარაღის — ფუნჯის, საღებავებისა და ტილოს შოვნა საწვალებელი ვამხდარა. კეთილი და პატიოსანი. მაგრამ მსგავსი კრიტიკა (თანაც აზრობრივად უფრო მნიშვნელოვანი) უკვე იყო მოთხრობაში, იგი ეხებოდა საგზურის შეძენის საკითხს დაუკავშირდა. მხატვრის სამუშაო იარაღის შოვნის თაობაზე გამართული მსჯელობა იმდაგვარივე კრიტიკის განმეორებაა, თანაც მიზეზი აქ უფრო წვრილმანია. ესეც არ იყოს, თუ კაცს ურჩევნია, მხლოდ წარმოსახვაში ქმნიდეს ნახატებს იმიტომ, რომ ფუნჯისა და საღებავების შესაძენად თავის შეწუხებას ერიდება, ეს არანაკლებ მეტყველებს ამ კაცის ინერტულობაზე, ვიდრე ყოფითს სფერონი არსებულ ნაკლოვანებებზე.

მოთხრობის გმირის ტრაგიკომიკური თავგადასავალი ფინალური ეპიზოდში გვიჩვენდება. აქ ავტორი მხატვრული პირობითობის ხერხს იშველებს. მთავარი ექიმის არყოფნისას გაუფაბრობა მოხდება: ლიჩელს ოპერაციის გაუკეთებენ ბუცლის არეში და, ნარკოზით გაბრუებული, მოდგისას ამბობს, მაგრილი ამომჭრესო. აზრი აქ პარაბოლურად არის გამოთქმული. ოღენბის დაკარგვა მოთხრობის გმირისთვის სულიერ სიკვდილს მოასწავებს. ამირიდან მან ფიზიკური არსებობაცა უნდა გაგრძელოს. ეს აზრი საინტერესო მხატვრულ ხერხით არის გადმოცემული ფინალური ეპიზოდის შემადგენელ სცენებში. მათში შექმნილი კომიკური სიტუაცია მეიღლოდ უკავშირდება. მოთხრობის დასაწყისს. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ეს სცენები მახვილგონივრული დამოლებაა მოთხრობის საწყისი სცენებისა და მეტი არაფერი. მაგრამ, თუ დავუკვირდებთ, ვნახავთ, რომ აქ საგულისხმიერო აზრი ცნაურდება. საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალი ოპერაციის გაკეთების შემდეგ ცდილობს, ხმა მიაწვდინოს პაციენტების ახლობლებსა და ნაცნობ-მეგობრებს. რეკავენ ოჯახში, სამსახურში, საყვარლის ბინაში, მაგრამ ლიჩელის გზა და კვალი არ ჩანს. ერთი მხრივ, აგერ საავადმყოფოში წევს, ამავ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს კი არსად არ არის. არის კიდეც და არც არის. სწორედ ეს აზრი, რომ ნაწარმოების გმირი ერთდროულად არის და არ არის, ქვეტექსტად იკითხება ფინალის კომიკურ სცენებში. აზრი არსებობის ილუზიურობისა, ადამიანის არანაშდვილი ყოფიერებისა არაერთგზის გამოუხატავთ ლიტერატურაში, მაგრამ ნ. გელაშვილის მოთხრობაში გამქღავნებული, იგი მაინც სასურველ ეფექტს ახდენს, რადგან გამოთქმულია ირონიანალურად, წმინდა მხატვრული საშუალებებით. სწორედ ეს ანაბეჭეს ხოლმე ნაწარმოებში გამოხატულ აზრს ზემოქმედების ძალას, ხდის მას ფასეულს. ხოლო თავისთავად მნიშვნელოვანი, რაიმე აზრი უფასურდება და ბანალური ხდება ხოლმე, თუკი თვით ნაწარმოები სუსტი და უღიმღამოა. მაგრამ მოთხრობის იდეა არ ამოწურება ფინალის კომიკურ სცენებში გამქღავნებული ამ აზრით. მთლიანად ფინალური ეპიზოდი უფრო მეტის მთქმელია. ინდივიდუუმის ხვედრი ნაწარმოების მიხედვით დამოკიდებულია სოციუმზე. სოციუმს ფინალურ ეპიზოდში საავდუმყოფო, მისი სამედიცინო პერსონალი განასახიერებს. რა თვისებას კლავს ეს პერსონალი ინდივიდუუმში? ოცნების უნარს. ხოლო ოცნება, თანაბრად ავტორის შეხედულებისა, რაც ამავე მოთხრობაში გამოთქმული, აუცილებელი რამ არის თავად სოციალური სინამდვილის წინსვლა-განვითარებისთვის, საზოგადოების პროგრესისათვის. ამრიგად, სოციუმი ჩადის თავისივე ინტერესის საწინააღმდეგო ჭაქტ, თანაც, პარადოქსული ის არის, რომ ამას თითქოს აკეთებს ინდივიდუუმისავე საკეთილდღეოდ, მის მიმართ მზრუნველობის გამოჩენის მიზნით. ასე არცთუ მარტივია ავტორისეული აზრის ხვეული, მოთხრობის აზრობრივი მოდელი. ასეა მოთხრობაში გამჟღავნებული საზოგადოებისა და პიროვნების რთული თანადროული ურთიერთდამოკიდებულების არსი.

რაგინდ საყურადღებოდ უნდა იყოს ნ. გელაშვილის მოთხრობის ესა თუ ის ეპიზოდი შინაარსობრივად თუ მხატვრული შესრულების თვალსაზრისით, მისი მოთხრობა, მოლიანად აღებული, მაინც უფრო მეტის დამტევია, უფრო ბევრის მთქმელია, ვიდრე ცალკეული ნაწილები ჯამი. ეს ასეც უნდა იყოს, და თუ ამას მაინც აღვნიშნავ, იმიტომ, რომ ჩვენს ლიტერატურულ პერიოდიკაში ბამკვეკეულებულ ზოგიერთ ნაწარმოებს, რომელთა ავტორები ახალი ან უახლესი თაობის უფროსდ ნიჭიერი ნაწარმოდგენელნი არიან, სწორედ ამ ნაკლს შეამჩნევს კაცი. იმ მოთხრობებში, რომლებიც მე მხედველობაში მაქვს, მთელი არ აღემატება თვისებრივად ნაწილების ჯამს. ანდა, უფრო მეტი. ნაწილი ზოგჯერ მეტოქეობას უწევს, უტოლდება კიდეც მთელს. ნ. გელაშვილის მოთხრობებში ეს ნაკლი იმის წყალობით არის ხოლმე აცილებული თავიდან, რომ მათში ხდება გარკვეული შინაგანი აზრის მოძრაობა, განვითარება და დაკვირვებენენ, და ეს გამოხატული საკმარისად ნათლად, საკმარისად მკაფიოდ.

„მოვემგზაურები მადრიდს“ მოთხრობაში ამბის გადმოცემას თან ახლავს ამ ამბის განმარტება, გმირის ქცევის ანალიზი, ამ ქცევის მოტივის ახსნა. ოგივე ირონიცია გამოყენებულია მოთხრობა „სერნოშიც“. ოღონდ ამ მთავარი გმირი თვითშემეცნებული პიროვნებაა და ანალიზსაც თავადვე ახდენს, გონების თვალით განიხილავს თავის ნამოქმედარს, თანდათან საცნაურყოფს იმ ძირითად მიზეზს, რამაც გამოიწვია საუკუნედ ჯოფთან განშორება და სულიერი მარტოობა; იცნობიერებს აზრს, რასაც მანამდე ჭვეშმეობიერად ატარებდა. ასე ირკვევა გმირის სულიერი ევოლუცია და ის პოზიცია, ცხოვრებაში რომ უნდა ეკავოს.

მოთხრობაში გამოყენებულია ე. წ. „წრიული სიუჟეტი“. მთავარ გმირს, ახალგაზრდა ქალს, პროფესიითი ფოტოხელოვანს, წინ უუწვია მის მიერ წინა შემოდგომაზე გადადებული ფოტოსურათები, დასაქერის მათ და ხსოვნაში უცოცხლდება ამ ფოტოსურათების ისტორია, მათი გადაღების ამბავი. ბოლოსაკენ იგივე მიზანსაცნაა: კვლავ იმ ფოტოების წინ მჯდომარეს ჭხედავთ მთავარ გმირს, ოღონდ ახლა ამ თავისებური „ფოტომოთხრობის“ ფარული აზრის ამოცნობა ხდება, გმირი ანალიზებს მოთხრობილ ამბავს, იცნობიერებს, რატომ მოხდა ის, რაც მოხდა.

ალბათ, ბევრი არ მოიძებნება იმგვარი ნაწარმოები, სადაც გმირის პროფესია და სიუჟეტის განვითარება ისე ბუნებრივად იყოს შეწყნული ერთიმეორეს, როგორც ამ მოთხრობაშია. ფოტოხელოვანის პროფესია და ფოტოაპარატი, ამ აპარატით გადაღებული სურათები ამ მარტოოდენ ნაწარმოების კომპოზიციური შეკვრის საშუალებანი როდია. ამავე საშუალებების გამოყენებით ხდება გმირის შინაგანი კონფლიქტის წარმოჩენა, პერსონაჟთა თხრობაში შემოყვანა, გმირის მიერ საკუთარი ფსიქიკის სიღრმისეული ფენის შეცნობა და ნაწარმოების დედააზრის გამოკვეთაც. ავტორი ამ ალეგზს თანაბარ ნიჭს ანალიტიკოსისას, მთხრობელისას და მხატვრისას. შემოდგომის პეიზაჟს, დედაქალაქის თიოქმის უკვე დაცარიელებული პარკების იერს მწერალი აცოცხლებს საკმაოდ ძუნწად მოშველიებული დეტალებით, თითქოსდა სხვათა შორის, ისე, რომ არ მიმართავს საგულდაგულო, დაწერილებითს აღწერას. თქვენ კარგად გრძნობთ იმ მოწყენილობისა და ნირარტვის ატმოსფერის, რაც ამ პარკებში გამეფებულო და რაც ავრეკიგად ესადგება მოთხრობის გმირის სულიერ განწყობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკაფიოდ გვსმინი გულის შემალონებელი ჭრიალი იმ „შემაკის ბორბლისა", რომელის კალთშიაც მოთავსდება ნაწარმოების გმირი, რათა აჭედან უფრო მოხერხებულად გაჩაღელის სურათი ხერსის ქალს. თვით უსულო საგანი, ფოტოაპარატი, ავტორის ხელში იქცევა თითქმის ცოცხალ, აჭტიურად მოქმედ პერსონაჟად.

უცნობი ბიჭი, რომელთან მიმართებაშიც ამ კაკანადება მოთხრობის გმირის ზნეობრივი და, საერთოდ, ცხოვრებისეული პოზიცია, ხერსოს ქალი და დედოფალი მარიანა სწორედ ფოტოაპარატის მეშვეობით შემოდის ნაწარმოებში. დედოფალი მარიანა, როგორც სიმბოლო აზნეულიერებისა და განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სახე მოთხრობაში, საგანგებო ტაქტითა და სიფაქიზით შემომყავს ავტორს. ფოტოობიექტივის კაღრში პირველად გამოჩენისას ავტორი ისე ლაპარაკობს მასზე, რომ მეთხეული ჯერ ცოცხალ არსებად წარმოიდგენს. მერმეული ჩნდება სიგნალი, რომ ეს ოჯინა ყოფილა, ოღონდ არაჩვეულებრივი ოჯინა. ამ არაჩვეულებრიობის შთაბეჭდილება ბოლომდეი მიჰყვება მეთხველს. დედოფალ მარიანას სიმბოლური ხატში მხატვრული პირობითობის ელემენტებიც არის შერწყმული: დედოფალი ოლიმპია და მეერის მხოლოდ ღირსიული პატრონის ხელში. ამგვარ პატრონად უცნობი ბიჭი გვეცხლინება. გარკვეულ მხატვრულ პირობითობას გულისხმობს, ცხადია, უცნობი ბიჭის მისწრაფებაც, რადაც უნდა დაუჯდეს, დედოფლის დედოფალს, თუმცა ავტორი ცდილობს, შეძლებისდაგვარად შეანელოს ეს პირობითობა, ერთგვარი დამაჯერებლობის იერი მიანიჭოს ბიჭის მისწრაფებას. ნაწარმოების დედაზრი ამ სიმბოლური ხატის შეშფოთით ცნაურდება. მშვენიერების იდეალს მხოლოდ ის მისწვდება, ვისაც ეს იდეალი უანგაროდ უყვარს და ვინც მისკენ სწრაფვისას არავითარი ზნეობრივი კომპრომისი არ იცის.

დედოფალი მარიანა დაახლოებით იმგვარსავე მხატვრულ ფუნქციას ასრულებს „ხერსოში", როგორსაც ასრულებდა გობელენი ოტია პაკერიოს ამავე სახელწოდების მქონე მოთხრობაში და დედოფალ ნეფერტიტის პორტრეტი ჭემალ ჯარჩხაძის რომან „ოდგურში". სამსავე ნაწარმოებში მშვენიერების სიმბოლურ სახეებთან დამოკიდებულება ამყოვანებს პერსონაჟთა შინაგებულს, მათს ზნეობრივ იერსა და პოზიციას. ოღონდ მ. პაკერიოს მოთხრობაში გობელენის გაყიდვას არ უკავშირდება მათი მფლობელების ზნეობრივი კომპრომისი. ხოლო „ოდგურში" ნეფერტიტის პორტრეტს გაყიდვა, „ხერსოში" კი მოხუცი ქალის მიერ დედოფალი მარიანას შემოსაღლის წყაროდ გამოყენება გარკვეულ მორალურ შეცოდებას, საკუთარ სინდისთან კომპრომისს ნიშნავს.

ესთეტიკური იდეალისადმი ეს ლტოლვა და იმის შეგნება, რომ საამისოდ ზნეობრივი, ადამიანურ ზნის გამოვლენა საჭირო, უფიფოდ საგულისხმო ფაქტია სხვადასხვა თათბის მწერალთა ნაწარმოებებში. მართალია, ამ ლტოლვასაც და იდეალსაც ერთგვარი ახსტრაქტულობის იერი დაჩრავს, მაგრამ უახლესი ლიტერატურული თათბის წარმომადგენლის მიერ ყურადღების გამახვილება იმ თემისადმი, რაც წინარე თათბის მწერალთა ყურადღების საგნადაც იყო ქცეული, იმის ნიშნად უნდა მივიჩნიოთ, რომ კ. მარტოოდენ ავტორთა სუბიექტური განწყობილების გამოხატვასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ საზოგადოების წიაღში შეუმჩნეველად არსებული სულიერი მოთხოვნილების გამოხატვასთანაც.

ოღონდ ამასთან დაკავშირებით ერთ საკითხზე უნდა შეეჩერდეთ საგანგებოდ. აუცილებელ და ერთადერთ პირობად იმ მოთხოვნის წამოყენება „ხერსოში", გმირი ზნეობრივი მაქსიმალიზმის პრინციპით უნდა ხელმძღვანელობდეს ცხოვრებაში, თუ სურს მშვენიერებასა და სიყვარულს ეზიაროსო, თაკვისთავად ძალზე ეჭიშნელოვანი გასალვეა. მაგრამ აქ უთუოდ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საკითხის ასე დასმა ხშირად წინასწარვე გულისხმობს ზნეობრივი არჩევანის პრობლემის ცალმხრივ, ნაკლოვან გადაწყვეტას. საკითხის ასე დასმისას მთელი მორალური პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ სწორედ ეს და არა სხვაგვარი არჩევანი მოსახდენეს, სუბიექტს ეკისრება, ძალაუფლებრად უგულებელყოფილი ან დაკნინებულია ობიექტური ფაქტორების როლი. ცალსახივად არის ეს საკითხი გადაწყვეტილი „ხერსოშიც". მოთხრობის ავტორი (ვისი თვალსაზრისიც ამ შემოხვევაში მთხრობელისას თანხვდება) თავისებურ მსაჯულად გვეკლინება დედოფალი მარიანას პატრონ, ხანში შესულ ქალსა და უცნობ ბიჭს შორის, რომელიც იმ დედოფალას დასაუფლებლად ებრძვის. დედოფალი საბოლოოდ ბიჭს რჩება. ხერსოს ქალისთვის ეს თითქმის აუნაზღაურებელი დანაკლისია. მაგრამ, ავტორის აზრით, სამართლიანი სასჯელიცაა მისთვის. მაინც რაკომ? იმიტომ, რომ სწორი ზნეობრივი არჩევანი ვერ მოახდინა. დედოფალი მარიანა შემოსაღლის გასაღებდაღე წყაროდ, მოსაგებ ნივთად აქცია, ერთი ნატეკვინ, გასაყიდად გაიმეტა. მაგრამ, საკითხავია, რამ აიძულა, ეს ნაბიჯი გადაედგა? ნაწარმოებიდან ვიგებთ, რომ სამსახურიდან მოხსნისა და ულუკმაპუროდ დარჩენის შიშმა აიძულა, კიდევ იმან, რომ მარტოხელა ხანში შესულ ქალს ოდაორმე პენსიის დანიშვნის ვადამდე მიეღწია. როგორც ვხედავთ, ზნეობრივ საწყისს აქ უპირისპირდება გარკვეული სოციალური ფაქტორი. პერსონაჟი მოქცეულია საკმაოდ ძნელ ვითარებაში, და მისი გაწყმა, რა-

ტომ მაინცდამაინც ასე მოიქცაო, არც ისე ადვილია. მოთხრობის ავტორმა შედარებით მარტივად გადაჭრა ეს რთული საკითხი. პერსონაჟის საქციელი მორალური დანაშაულად ჩითვალა და პასუხისმგებლობაც მასვე დაკისრა. სოციალური ფაქტორის როლის შეუფასებლობა მარტო „ხერსონში“ არ ვლინდება. „ფანჯრებში“ გამოვყენილია ქალი, რომელსაც მცირეწლოვანი შვილი მოკვდომია ავადმყოფობის გამო. ეს ქალი დღემუდამ წყვლის მეზობლის ბავშვს (მოთხრობის ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟს, ჭირივნი სმლეს იგი, მის სიკვდილს შესთხოვს ღმერთს. რა დაუშავა ამ ბავშვმა? არაფერი. იგი იმ დროს გაჩენილა, როცა ქალს შვილი დაღუპვია და უბედური დედა დარწმუნებულია, ჩემი პირმშოს სიკვდილი მისი ბრალია, მან მიიტაცა ჩემი შვილს წილი ჰაერი, წყალი, მზე და სივრცეო. ქალი ჭკუაზე შეშლილია და მისი ბრალდებაც, ცხადია, აბსურდულია. მაგრამ ამ აბსურდული ბრალდებისა და საქციელის მიღმა იგულისხმება თანდაყოლილი, პირველდელი, შაშველი სახით თავჩენილი, უკიდურესი ეგოიზმი. ეგოიზმი, რისი მიზეზიცაა თითქოსდა უსაკნო მგრეხა და სიძულვილი სხვა ადამიანისადმი. ეს ბიოლოგიური ინსტინქტი თუ თვისებაა ის პირველსაწყისი, რაც ძირისძირში უდევს ადამის შვილთა ურთიერთდამოკიდებულებას. აქ ეს თვისება ეთიკის სფეროდან გადატანილია ინტელექტის სფეროში, ადამიანის ყოფიერების არსად არის დასახული.

მოთხრობაში „მიეეგზავრები მაღრიდს“ ავტორი გვარწმუნებს, მართალია, ერთგვარი იუმორით, რომ შორეული ქვეყნებისაკენ ლტოლვა ლიჩელის თანდაყოლილი თვისებაა, რომ იგი დაბადებით მოგზაურია. ნუ დავიწყებთ კ მის გამო კამათს და იმის რკვევას, მოთხრობის გმირს დედის მუცლიდანვე დაპყვებოდა მოგზაურობის სურვილი თუ მერე გაუჩნდებოდა. მთავარი ამ შემთხვევაში სხვა რამეა, კერძოდ ის, რომ ავტორი სადგენილად გვაფრთხილებს, არ იფიქროთ, ლიჩელი სანამდვილეს შემოსწყრომოდეს, „სამსახურზე გულარძნილი“ კაცი ყოფილიყოს (უნდა იყოს გულაკილი ან გულაცრუებული, „გულარძნილი“ სხვა რამეს ნიშნავს) და წარმოსახვითი მოგზაურობაც იმიტომ დასჩემებოდესო. „სწორედ პირიქით. ის დაწესებულების ერთ-ერთ ყველაზე მცოდნე და სერიოზულ მუშაკად ითვლებოდა,..ო, ერთგვარი ნიშნის მოგებით გვეუბნება ავტორი. მაგრამ ნაირა გელაშვილი ანათიკოსოს კ ეწონადმდებგბა ნაირა გელაშვილს მხაგვარს. მოთხრობის მიხედვით აშკარად ჩანს, რომ ლიჩელი გაუცხოებულია გარემოსგან. ცხოვრებისაგან გადაელილი და ნერვებმოშლილი, იგი გარბის წუნარი ნავსაუფდარის საპოვნელად, გაერიდება სამსახურს, ოჯახს, ნაცნობ-მეგობრების წრეს, ყოველდღიურ საზრიანავსა და ორომტრიალს. წარმოდგენა გაუცხოებულ ადამიანზე, როგორც მაინცდამაინც ეგზისტენსს და ზარმაც ვინმეზე. დაუდევრად რომ ეკიდება თავის სამუშაოს, საკმაოდ ზედაპირული წარმოდგენაა. დავიმოწმოთ ლიტერატურული მაგალითი. კაფკასეული გრეგორ ზამზა „მეტამორფოზიდან“ უთუოდ კლასიკური ტიპია გაუცხოებული, მეტიც, გათვითეცხოებული ადამიანისა, მაგრამ თავის სამსახურებრივ მოვალეობას, იგი კომიფოიაფორია, წესიერად და გულმოდგინედ ასრულებს. კაფკა ამას გარკვევით მიუთითებს. ესასენთის ნახვის ოცნება ლიჩელის თვალში გაცილებით უფრო დიდ ფასს იღებს, ვიდრე რეალურ სინამდვილეს, მასთან უშუალო კავშირს აქვს. მაგრამ სურვილსა და შესაძლებლობას შორის აქ თავჩენილი წინააღმდეგობის დაძაბვა, ეთქვათ, იმ კონკრეტულ ფაქტზე, მოსახრა თუ ვერა კაცმა საგზურის შოვნა და საოცენები ქვეყნის ნახვა, უთუოდ დაკანონდება ნაწარმოების აზრობრივ მნიშვნელობას. ეს წინააღმდეგობა მოთხრობის მიხედვით უფრო ღრმა და ფართო მნიშვნელობით უნდა გავიგოთ; სახელდობრ, როგორც წინააღმდეგობა თავისუფლებისა და აუცილებლობის სფეროებს შორის, ხოლო ესპანეთის გამგზავრების შეუძლებლობა მმოლოდ კერძო გამოვლენაა ამ ზოგადი წინააღმდეგობისა. როცა დაპირისპირება ამ ორ შემოსნენებულ სფეროს შორის მწვავდება და ადამიანი ლიჩელივით წყდება და შორდება რეალურ სინამდვილეს, ოცნება თვითმიზნად ექცევა, ერთგვარი სულიერი ნავსაყოფლის მაგვარობას უწევს. ლიჩელის ოცნებაც პასიურია და არა აქტიური, ქმედითი. მისთვის უპირატესად დამახასიათებელია, შეიძლება ავტორის სუბიექტური ნების საწინააღმდეგოდაც, ოცნება ოცნებისთვის, ანუ მეოცნებეობა. ხასიათის ეს ნიშან-თვისება, როგორც შედეგი რეალური სინამდვილით პერსონაჟის დაუკმაყოფილებლობისა, ჩვენში სამოციანელთა ლიტერატურულმა თაობამ შენიშნა და წარმოაჩინა. თამაზ ჭილაძის მოთხრობა „წეროში“ გამოყენებულია მთავარი გმირი, სახელად ცირა, რომელსაც სწორედ მეოცნებეობა ახასიათებს. სხვა მხრივ ეს ორი პერსონაჟი ერთმანეთისგან განსხვავდება, თუმცა ერთგვარი განსხვავება იმ საერთო ნიშან-თვისებებშიც არის. თ. ჭილაძის პერსონაჟს მეოცნებეობა დასჩემებდა ცხოვრების გარკვეული გამოცდილების გამო. ეს გამოცდილება მას ეუბნება, რომ მიზნის მიღწევისას თუ ნატვრის ასრულებისას თავდაპირველი ბიბლი იკარგება; ხოლო ის, რაც შორეულ და მიუწვდომელ რაგიდ გესახება, მით უფრო მიმზიდველი და ფასეულია. ეს აზრი მოთხრობაში სიმბოლურადაც არის გამოხატული მოყლული წეროს სახით. ნაირა გელაშვილი გმირს კი ეშვი არ შეაქვს ოცნების საგნის ახსოლუტურ ღირებულებაში.

„ვეფხისტყაოსნის“ მარადიული სიცოცხლე

წერილი პირველი

I

რა არის „ვეფხისტყაოსანი“ ეპოშმარტი პოეტურობის ყველაზე მთავარი, ყველაზე ხელშესახები, შეიძლება ითქვას, უტყუარი კრიტერიუმი?

მოვუსმინოთ გურამ ასათიანს: „მთელიანობა — შინაარსისა და ფორმის სრული ჰარმონია ერთთანად გამხმეველად — „ვეფხისტყაოსნის“ მთელ მხატვრულ ქსოვილს“. მართლაც, პოემის ყოველ დამფასებელს ნებისმიერ დროსა და ეპოქაში ისეთობდა და იყურობდა ამ უჩვეულოდ ნათელ, მაგრამ, ამავე დროს, უცნაურ, ჰარმონიულ სამყაროსთან ზიარების განცდა...

„ვეფხისტყაოსნის“ ირგვლივ უკვე უთვალავი ლიტერატურა არსებობს, გაივლის ხანი და იგი ამ მხრივაც გაუსწორდება მხატვრული კულტურის ისეთ ძეგლებს, როგორიცაა ვოქვაო ბომეროსის პოემები, ნეტარი ავგუსტინეს „აღსარება“, დანტეს „ღვთაებრივი კომედია“, შექსპირის დრამატურგია და სხვა. პოემის პრობლემატიკაზე შექმნილ მონოგრაფიებში, გამოკვლევებში, ნარკვევებში, ესეებში დაინშალ, დანაწევრდა „ვეფხისტყაოსნის“ ერთიანი მხატვრული სამყარო. შესაძლოა შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ ხელი ეშლება მკითხველის მიერ პოემის ესთეტიკური აღქმის მთლიანობას.

მაგრამ ეს აზრი საფუძველშივე მცდარია და, აი, რატომ.

ვიქტორ შკლოვსკი თავის წიგნში წერს: **«Гармония лука — это согнутая палка, согнутая тетивой; гармония лука единство и противоречие».** მშვენდის ეს მოხდენილი ფილოსოფიური მეტაფორა, რომელიც ბერკლიტეს ნააზრევს უკავშირდება, ნათლად ახასიათებს ჰარმონიის, მხატვრული მთლიანობის როგორც ესთეტიკური კატეგორიის თვისებებს. ჰარმონია დაპირისპირებულთა ერთიანობაა, ამ ერთიანობის უკეთ შესაცნობად ჯერ საპირისპირო პოლუსები უნდა აღმოვაჩინოთ და შევიხვალოთ. ეს ესთეტიკის კანონია.

ჩვენც შევეცდებით ამ გზით ვიაროთ.

●

800-ზე მეტმა წელმა განვლო „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის დღიდან. იმ ეპოქიდან მოყოლებული დღემდე ადამიანის შემოქმედმა გონებამ თვალსაჩინო ცვლილებები განიცადა.

მაგრამ მხატვრული აზროვნების განვითარება არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც სწორხაზოვანი პროცესი, როგორც ღლილვა უარესიდან უკეთესისაკენ. ეს ლტოლვა გამრავალფეროვნების ნიშნით არის აღბეჭდილი. ყოველ ესთეტიკურ სისტემას თავისი განუმეორებელი, შეუცვლელი ადგილი აქვს კულტურის ისტორიაში; და, როდესაც ცდილობენ გამოხატვის თანამედროვე ფორმები მიუსადაგონ გარდასულ დღეთა კლასიკურ მემკვიდრეობას, ამით, ნებისთა თუ უნებლიეთ, აღარიბებენ წარსულის მხატვრულ კულტურას...

„ვეფხისტყაოსანში“ თავისთავად, ყოველგვარი ხელოვნურად თავსმოხვეული პრობლემის გარდაც, ბევრი მიმზიდველი საიდუმლოა დაფარული, რომლებიც დაინტერესებულ მკვლევართა ხულ ახალ და ახალ თაობებს მოელინან...

ბლოკი წერდა: «Почвы для исследования Лермонтова нет — биография нищенская... Лермонтовский клад стоит упорных трудов». და თუ ეს ფრაზა მართებულად მივიჩნიეთ ლერმონტოვის შესახებ, მაშინ რაღა უნდა ითქვას რუსთაველზე, რომლის ბიოგრაფიის მხოლოდ სავარაუდო და ისიც ძალზე ზოგადი და ეფემერული ვერსიები არსებობს.

რასაკვირველია, მწერლის ბიოგრაფია, როგორც ამას მართებულად შენიშნავენ „ლიტერატურის თეორიის“ ამერიკელი ავტორები რ. უელეკი და ო. უორენი, შესაბამისი როლს თამაშობს ლიტერატურული ძეგლის კრიტიკული შეფასებისას, მაგრამ, ამავე დროს, იგი მკვიდრი საფუძველია უშფალოდ შემოქმედებითი პროცესის ანალიზისათვის. თავისთავად ცხადია, რომ მწერლის ბიოგრაფიის თვით დეტალური ცოდნაც კი ვერ ამიწურავს ლიტერატურულ ნაწარმოებს, ისევე, როგორც პირიქით „ვეფხისტყაოსნის“ ტიპის თხზულებიდან ვერ ავვადგენთ პოეტის დაწერილებით ბიოგრაფიას; თუმცა ნაწილობრივ მაინც ამ შეპირისპირების ფონზე შეიძლება გაცხადდეს საიდუმლო — თუ როგორ მაღლდება მწერალი პირადი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან მხატვრული მეტყველების ფორმამდე.

რუსთაველის ცხოვრების გზა ჩვენთვის ძირითადად ბნელით არის ბოლმული, მაგრამ, სამაგიეროდ, ჩვენ ვიცით ის ისტორიულ-კულტუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რული ფონი, ის დიდი იდეები, რომლებიც უეჭველად ახდენენენ ზეგავლენას პოეტის მსოფლმხედველობაზე და, ჰეედან გამომდინარე, შემოქმედებით პროცესზე, რომლის დიდებული შედეგიც „ეფეხსტყაოსანია". ამ პოზიციიდან, ფიქრობ, შესაძლებელია გავიდეს ნოვალი, თუ როგორ ტრანსფორმირდება ეს ეპოქალური იდეები პოემის მხატვრულ სამყაროში. ჩვენ ამ კუთხიდან გვაქვს შესაძლებლობა დავაკვირდეთ პოემის შექმნის შემოქმედებით ისტორიას.

მაგრამ, ვიდრე უშუალოდ გადავდოდეთ საკუმეველზე, უნდა გაირკვეს, თუ რა მნიშვნელობას ვდებთ ცნება „იდეაში".

როგორც ცნობილია, კაცობრობის კულტურული ცხოვრების, ხხვანირად რომ ვთქვათ, თვითშემეცნების გზაზე თავს იჩენს რიგი პრობლემებისა, რომლებიც წარმოადგენენ მისი ანრონვების საყრდენს, მისი ერთიანობის საფუძველს. ამდენად ეს პრობლემები მარადიულია, ნებისმიერ ეპოქას, თუკი იგი რაიმე ფასეულს ქმნის კულტურის ისტორიაში, თავისი პასუხი აქვს ამ პრობლემებზე. ამ პუსუხებს ვუწოდებთ ჩვენ ეპოქალურ იდეებს და არა რომელიმე წარმავალი მნიშვნელობის ქმნე ფილოსოფიური ან თეოლოგიური მიმდინარეობის თეორიულ დასკვნებს, რომელთა გაცნობაც, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ ბიოგრაფიულ შემთხვევითობაზეა დამოკიდებული.

მარადიულ პრობლემებზეა დაფუძნებული (თუმც, შესაძლოა, პირიქითაც იყოს), როგორც დიდი ფილოსოფიური და თეოლოგიური სისტემები, ისე ეშმარტი ხელოვნება. ადამიანის კულტურული მოღვაწეობის ეს სამი სფერო სხვადასხვა გზით ვითარდება, თუმცა გარკვეულ ეპოქებში არსებობს ძალიან ბევრი შემხვედრი წერტილი (ეგელი). მაგრამ, როგორ ამლოსაც უნდა იყუნენ, ეთქვათ, ლიტერატურა და ფილოსოფია ერთმანეთთან, მათი ანალიზისას მეთოდოლოგიური ალრეკა დაუშვებელია და, რაც მთავარია, უანაკოფოა ერთი უბრალო ჭეშმარიტების გამო: მეტწილ შემთხვევაში პოეტები არცთუ დიდი ფილოსოფოსები არიან, ისევე როგორც ეს უკანასკნელნი არ გამოდგებიან დიდი პოეტების როლში. ასეთ დროს გარდუვალია პოეტის ან ფილოსოფოსის მნიშვნელობის ნიველირება; როგორც მართებულად შენიშნავდნენ რ. უელეკი და ო. უორენი: **«Если мы подвергнем анализу многие известные стихи восхволяемые за их философию, то скорее всего, обнаружим лишь банальные мысли...».**

რასაკვირველია, შესაძლოა, და ხშირად ასეც ხდება, რომ მარადიული პრობლემები ამა თუ იმ მწერლის მსოფლმხედველობაში რაიმე გარკვეული ფილოსოფიური ან თეოლოგიური სისტემის გზით კვეფერდებიან (მაგალითად, „ეფეხსტყაოსანში" აშკარაა არეოპაგიტული კორპუსის გავლენა), მაგრამ „ეფეხსტყაოსანი" ამ-ინა ახსოლუტურად ორიგინალური მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი ცდაა სინამდვილის დაუფლებისა.

რუსთაველის პოეტური მსოფლმხედველობა რომ მკვიდრად არის დაკავშირებული ეპოქალურ იდეებთან, ეს გარკვეული და დასაბუთებული რუსთველოლოგიში ცალკეული ფრაზების, მეტაფორებისა და ალეგორიების ანალიზის გზით, მაგრამ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ სწორედ ამ იდეებთან შემოქმედებით ჭიდილში იქმნება „ეფეხსტყაოსნის" სიუჟეტი და გმირთა სახეები.

სიუჟეტი და გმირები „ეფეხსტყაოსნის" ყველაზე მიმზიდველი საიდუმლოა.

თავი I

„ვარდი უეკლოდ არაპის მოუკრეფია"

მიხეილ ბახტინი ერთგან აღნიშნავს: **«Сюжет у Достоевского совершенно лишен каких бы то ни было завершающих функций. Его цель-ставить человека в различные положения, раскрывающие и провоцирующие его, сводить и сталкивать людей между собою, но так, что в рамках этого сюжетного соприкосновения они не остаются и выходят за его пределы.**

ძალზე საინტერესო და, ამავე დროს, ძალზე სადავო, მეტად ძნელად დასასაბუთებელი დებულებაა. მე მაინც ვფიქრობ, რომ რომანში, ან სხვანირად რომ ვთქვათ, თხრობითი ტიპის ნაწარმოებში, რომელიც რაღაც „ამბის" (გავიხსენოთ „ეხე ამბავი..." „ეფეხსტყაოსნის" პროლოგიდან) მოყოლასთან არის დაკავშირებული, გმირი ვერ იარსებებს სიუჟეტის გარეშე. მე მაინც მგონია, რომ ეს პრობლემა მხოლოდ წმინდა თეორიული მსჯელობის საგანია. ყოველ შემთხვევაში, „ეფეხსტყაოსნის" განხილვისათვის არ გამოგვადგება. სიუჟეტსა და გმირებს პოეტის პოეტურ სამყაროში აბსოლუტურად თანაბარი მხატვრული დატვირთვა აკისრიათ. სიუჟეტი „ეფეხსტყაოსნისა" მისივე გმირების ცხოვრების, არსებობის ფორმაა. სწორედ ამიტომ, წინამდებარე ნაშრომის სტრუქტურაზე ფიქრისას, უმჯობესად ვცანით, გმირების დახასიათება არ გამოგვეყო სიუჟეტის ანალიზიდან, ხოლო პერსონაჟთა სახეები გვეჩვენებინა სიუჟეტურ განვითარებაში.

„ეფეხსტყაოსნის" სიუჟეტის განვითარების კომპოზიციური სქემა კარგად არის შესწავლილი რუსთველოლოგიაში. ამ მიზეზით ალარ გამოვდგები შინაარსის თანამიდევრულ გადმოცემასა და კომპოზიციური სქემის აღწერას, მაგრამ „ეფეხსტყაოსნის" დასაწყისს ვერსად წაუვა კაცი:

32. იყო არაბეთს როსტევან, მეფე
ღმრთისაგან სვიანი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმანი.
მოსამართლე და მოწყალე, მორაშმული, გახვეშილნი,
თვით მეომარი უებრო, კელა მოებარი წყლიანი.

პოემის შემდეგი სტროფი კი ამ სიტყვებით იწყება: „სხვა ძე არ ესვა მეფეს“. პირველი ასოციაცია, რომელიც მკითხველს შეიძლება წარმოუდგეს, უეჭველად, ჯადოსნური ზღაპარი. ფოლკლორულ სამყაროსთან უშუალო, არაშემთხვევითი მიმართება მსოფლიო სარაინდო რომანის ტიპოლოგიურად საერთო ასპექტია. ამ ეხრივ, რახაკვირველია, არც „ვეფხისტყაოსანია“ გამონაკლისი.

საერთოდ, განსაცვიფრებელია გვიანი შუა საუკუნეების ტოტალური ინტერესი ხალხური შემოქმედებისადმი, ამ ნიშნით იგი რომანტიზმის ეპოქის გვერდითაც შეიძლება დავაყენოთ, მაგრამ განსაკუთრებით ნიშანდობლივია ერთი გარემოება — მითოსისა და ნაციონალური ეპოსებსადმი ტრადიციულ მისწრაფებასთან ერთად ეს სარაინდო ლიტერატურა დაუფარავ ინტერესს იჩენს ჯადოსნური ზღაპრისადმი. ეფიქრობ, ეს მხატვრული აზროვნების ისტორიაში ახალი ეტაპის მაუწყებელი ნიშანია. ძველი მწერლობა მითსა და ეპოსს ეურნოზოდა, როგორც ისტორიას; მითი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „რეალისტურობის“ დამაჯერებელი საბუთი იყო. თავისთავად ცხადია, რომ ზღაპარი ამგვარ საბუთად არ გამოდგება, ზღაპარი ფიქციაა და ეს ყველას კარგად მოეხსენება, სამაგიროდ, ზღაპარი უკვე წმინდა მხატვრული, ილუზიური სინამდვილის დამაჯერებელი ესთეტიკური საფუძველია!

ზოგიერთი მკვლევარი „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტს (ან ფაბულას) აკავშირებს ჯადოსნური ზღაპრის კონვენციურ მოდელთან „დაკარგვა-ძებნა-პოვნა“. ამ დებულებაში სიმართლის რაღაც ნაწილი რასაკვირველია, არის, მაგრამ მთავარი „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის საერთო ზღაპრულ-ფანტასტიკური კოლორიტია (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით — ქვემოთ), აგრეთვე, ისიც, რომ ჯადოსნურ ზღაპართან „ვეფხისტყაოსნის“ სიახლოვე ენობრივ მოძენტებთან ერთად არის პოემის მარადიული და მომხიბლავი ხალხურობის ერთი მიზეზთაგანი.

რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ კონვენციურ მოდელს (როგორც შენიშნულია), იგი ისეთივე ახლოგელია ჯადოსნური ზღაპრისთვის, როგორც მითოსსა და ეპოსისათვის; არანაკლებ უშუალოდ ნიშნეთ არის ალბეგდილი „ვეფხისტყაოსნის“ კავშირი ქართულ მითოსურ ფესვებთან.

პირველწყაროს (მითოსური თუ ზღაპრული) ან ზემოქმედების რაიმე ისტორიული სქემის გამოსახვა, ვთქვათ, ასეთისა: მითი-ზღაპარი-სარაინდო რომანი, უიმედო საქმეა (ამგვარი სქემა ეკონის ზოგადი ისტორიისათვის უფლებას მოგვადგება) აქ ფაქტებსა ასეთ ჯაჭვს შეიძლება წაეწყდე, ისეთ კრონოლოგიურ ზრეებში ალმოჩნდე, რომ თომას მანის გამოთქმას თუ მოვიშველიებთ „დროის უძირო ჭაში“ ფსკერის ძებნელებ დაემსგავსება.

მითოსური წარმოდგენები მძლავრად არის შეპრილი „ვეფხისტყაოსნის“ პოეტურ სამყაროში. რუსთაველმა განაგრძო „ამირანდარეჯანიანის“ ავტორის გზა, რამაც საბოლოოდ დაამკვიდრა ამირანის სახე, როგორც ნაციონალური გმირისა, როგორც ეროვნული თვითშემეცნების მითოსური არქეტიპი ქართული მხატვრული ლიტერატურის ტრადიციაში. ეროვნულ (აგრეთვე ბიბლიური) მითოლოგიასთან და ხალხურ ეპოსთან რუსთაველის პოემას სხვა ძაფებიც აკავშირებს, მაგალითად „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ძირითადი მოტივი ორგანულ კავშირშია ბველის მიერ მთვარის შთანთქმის უძველეს წარმოდგენასთან. მითოლოგიური პლანი „ვეფხისტყაოსანში“ იკრება არა მხოლოდ როგორც პოეტის წინასწარ გამიზნული მხატვრულ-ესთეტიკური მიდგომის შედეგი, არამედ რიგ შემთხვევაში სპონტანურადაც, რადგან რუსთაველი, როგორც ყოველი დიდი პოეტი, „ნაციონალური მეხსიერების მატარებელია“ (იეატსი). რელიქტურ მითოსურ ზრეებთან „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტისა და ვგრძების შინაგანი ურთიერთობა ქმნის მათი ზედროულობის, მარადიულობის წარუშლელ ეფექტს.

მაგრამ, მიუხედავად ზემოთ თქმულისა, არ ხერხდება, და არც შეიძლება მოხერხდეს, „ვეფხისტყაოსნის“ ჩატევა რომელიც მითოსურ თუ ზღაპრულ სქემაში, მითუმეტეს ნაკლებად შედეგიანი იქნება ვ. პროპის ფუნქციურ-სტრუქტურალისტური ფეთოდის გამოყენება „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტისა და ვგრძების მხატვრული ანალიზისას. სხვას თუ არა, პროპს მაინც უნდა ვენდოთ: „მაგრამ იქ, სადაც ხელოვნება განუმეორებელი ვენოსის შემოქმედების სფეროდ იქცევა, ზუსტი მეთოდების გამოყენება მხოლოდ მაშინ მოიტანს დადებით შედეგს თუ განმეორადობის შესაწავლა იმ ეთადერთის შესწავლასთან იქნება შეხამებული, რასაც ჩვენ ჯერჯერობით ისე შევაცქერით, როგორც მიუწყდომელი სასწაულის ჯადოსნებს. რაც არ უნდა ვუწოდოთ „ღვთაებრივ კომედიას“ ან შექსპირის ტრაგედიებს, დანტეს ენნა და შექსპირის ენნა განუმეორებელია, და მათი შესწავლის დროს ზუსტი მეთოდებით შეზღუდვა შეუძლებელია“.

„კლასიკური ზღაპრული თუ მითოსური მოდელები“ „ვეფხისტყაოსანში“ სრულიად ახალ, რუსთაველისათვის განუზომლად უფრო ფასეულ ფორალებს დაუკავშირდა!

მაგრამ დაეუბრუნდეთ პოემის დასაწყის სტროფს, ეს სტროფი მარტო იმით არ არის სა-

ინტერესო, რომ იგი იწუბებს „ვეფხისტყაოსანში“ გვთამაშებენ მოქმედებას, არაგნენ ითითა, რომ აქ პირველად ვეფხინინ ნაწარმოების ერთ ძირითად პერსონაჟს, ვეფხინინ გმირის შემოკვანის მხატვრული ოსტატობის რუსთაველისეულ თავისებურებას. „ვეფხისტკაოსნის“ ფურცლებზე პირველად ვეხვნინ რეალურ ნინამდვილეს, მის უმნიშვნელოვანეს ნაწილს — ადამიანს მხატვრულ გარდასახვაში.

როსტევანის პორტრეტი აშკარად გამოხატული ეპიური შტრიხებით არის შესრულებული. ის ეპითეტები, რომლებითაც ასე უხვად არის შემკული არაბეთის ხელმწიფე, არავითარ ინფორმაციას არ გვაწვდიან მისი შინაგანი პიროვნული ბუნების შესახებ. ეს სურათი მაღალი პოეტური ოსტატობითაა ამეტყველებული, მაგრამ იგი შეიძლება ეკუთვნოდეს ნებისმიერი ეპოქების, ნებისმიერი დროის სამართლიანსა და ძლიერ მეფეს. როსტევანთან ჩვენი გაცნობა ერთგვარად სტატიკურ სიტუაციაში მოხდა, მაგრამ რამდენიმე სტროფის შემდეგ იგი უკვე მოქმედებაში გვხვდება. როსტევანმა იხმო ვეზირები და ასეთი სიტყვებით მიმართა:

35. უბრძანა: გკოხავ საქმესა, ერთგან
სასაუბნაროსა:
ერა ვარდმან მისი ყველი გაასმოს,
დაამჭნაროსა,
იგი წვავ და სხვა მოვა ტურფასა
სამაღნაროსა;
მზე ჩაგვისვენდა, ბნელსა ვსეკრეტთ ღამესა
ჩვენ უთმაროსა.

36. მე გარდასრულვარ, სიბერე მჭირს, ჭირთა
უფრო ძველია,
დღეს არა, ხვალე მოკვდები, სოფელი
ასრე მქმნელია;
რაღაა იგი სინათლე რასაცა ახლავს
ბნელია?!
ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ, ვისგან
მზე საწუნელია.

ეს ადგილი პოემისა მომხიბლავი, ნათელი და, ამავე დროს, ღრმა ლირიკული განცდითაა შეფერილი, ეს განცდა იმ ადამიანისაა, რომელიც სრულიად უჩვეულო გარემოებაში მოხვედრილა, რომელმაც შესაძლოა მანამდე უკვე ათასჯერ ნაფიქრსა და ზარმოგენილ სიბერეს ახლა უშუალოდ, პირდაპირ ჩახედა თვალებში.

ამგვარია გმირთა შემოყვანის მხატვრული ხერხი „ვეფხისტყაოსანში“. მკოთხველთან პირველი შეხვედრისას რუსთაველი თავის გმირებს გვაცნობს, როგორც ეპოსის ტრადიციულ პერსონაჟებს, როგორც ღვთისაგან რჩეულ გმირებს და ეს მხარე მათი ხასიათისა არის მკვდრი საფუძველი, რომელიც უშუალოდ მოქმედების მსვლელობაში, სიუჟეტის განვითარებაში ივსება ადამიანური ემოციებით და თვისებებით.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი ნიშანდობლივი გარემოება: თინათინი, რომელიც ყველაზე მეტად მთავარ გმირზე ნაკლებად მონაწილეობს უშუალოდ მოქმედების მსვლელობაში, ყველაზე მეტად რჩება ტრადიციულ ფარგლებში.

„ვეფხისტყაოსნის“ უმთავრეს გმირთა გარეგნობის, არაჩვეულებრივი ფიზიკური ძალის ამსახველ ეპიზოდებში მოხმობილი ტროპები ძირითადად უკიდურესი ჰიპერბოლიზაციის ზღვარშდეა მისული (ტერმინი — ჰიპერბოლიზაცია — ხშირად გვხვდება რუსთველოლოგიურ ნაშრომებში, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ პერსონაჟთა სილამაზე ან ფიზიკური ძალა მხოლოდ ეოფითი, ადამიანური პოზიციიდან აღიქმება გადაჭარბებად, ხოლო თუ გავითვალისწინებთ ზემოთ თქმულს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი მოქმედი პირები ღვთისაგან რჩეული გმირებია, რაიმე გადაჭარბებაზე ლაპარაკი, ვფიქრობთ, ზედმეტი იქნება). განსაკუთრებული შთაგონებით ხატავს რუსთაველი გმირის გარეგნულ პორტრეტს იმ შემთხვევაში, როცა ამას გარკვეული საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება სიუჟეტის განვითარებისათვის:

94. ნახეს ეცნო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი
წყლისა პირსა,
შავი ცხენი სადაოვა; ჰკვა ლომსა და ვითა
გმირსა,
ხშირად ესხა მარგალიტი, ლაგამ-აბჯარ-
უნაგირსა.

ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა
მდღერად ანატირსა.

85. მას ტანსა კაბა ემოსა, გარე-თმა ვეფხის
ტყავისა,
ვეფხის ტყავისა ქუდივე იყო, სარქმელი
თავისა,
ხელთე ნაჭედი მათრახი ჰქონდა ეუხსოსი
მკლავისა;
ნახეს და ნახვა მოუნდა ეუცნოსა სანახავისა.

ამ სტროფებში მკოთხველი პირველად ხვდება ტარიელს. ტარიელს ვამბობ, თორემ სინამდვილეში ჩვენ ჯერ მისი არც ვინაობა ვიცით და არც სადაურობა. ამ გამორჩეული პოეტური მეტყველებით შექმნილი პასაჟის მხატვრული ფუნქცია როგორც რომანტიკულმა, ავთენტიკულისა და მათი ამალის, ისე მკოთხველის გოლცებს, დაინტერესების ეფუძტია; უფრო მეტიც, ყოველ შემთხვევაში მე ისეთი შთაბეჭდილება ჩრჩება, თითქოს თავად რუსთაველიც რაღაც გოლცებული შინაგანი მზრახი შეჰპუროს ამ პოეტურ ფანტაზიაში ახლად დამადებულ მშვენიერ რაინდს.

მგონია, არ უნდა იყოს საჭირო „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების „ჩვეულებრივ“ ადამიანებად გადაქცევა (ასეთი ტენდენცია, კი უკანასკნელ ხანს აშკარად გამოიკვეთა); ნუ შეეკმნით ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს მკოთხველმა ისე უნდა აღიქვას ისინი როგორც ყუჩაში შეხვედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რილი რომელიმე ნაცნობი. ამით „ვეფხისტყაოსანი“ ვერაფერს მოიგებს, მხოლოდ დაკარგავს. თუკი რაიმე აახლებს „ვეფხისტყაოსანს“ რეენსანსულ ანზორეზებასთან, ეს, უპირველეს ყოვლისა, მისი გმირებია, რომელთა მშვენიერ, ზღაპრული სილამაზის სხეულში, ახეკი მშვენიერი, ტიტანური ენერგია მღელვარებს.

რუსთაველმა ისე წარმოგვიდგინა ტარიელის მონუმენტური ფიგურა, ისეთი სიტუაცია შექმნა მის გარშემო, რომ უეჭველად წარმოგვიხატა გადაჭარა მოგზაურის საკითხი — როსტევანი შეშფოთდა და, რაც მთავარია, დაინტერესდა უცხო მოყმის ვინაობით. როგორც გვახსოვს, მან თინათინის რჩევით ხალხიც გაგზავნა ტარიელის საძებრად, მაგრამ ტარიელის კვალი არსად აღმოჩნდა... როსტევანიც დაწუნარდა და ისევ ძველებურ ცხოვრებას დაუბრუნდა. ამით სრულდება „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ერთი მცირე მონაკვეთი.

პოემის მომდევნო ეპიზოდიდან უკვე უშუალოდ იწყება მთავარ მოკმედ პირთა ოდისეა. ეს ეპიზოდი ძალზე მნიშვნელოვანია პოეტის მხატვრული კონცეფციის დასადგენად. ამ ადგილას ჩვენც უნდა შეეჩერდეთ, რადგან ბინა დაწერილებითი ანალიზი, ვფიქრობ, მეტ სინათლეს შეიტანს რუსთაველის შემოქმედებითი პროცესის საიდუმლოებაში.

რამდენიმე სიტყვით შეგახსენებთ, თუ როგორ ვითარდება მოკმედება: თინათინი დაიბარებს ავთანდილს და მას, როგორც მიჯნურსა და უპირველეს რაინდს, უცხო მოყმის საძებრად აგზავნის.

თანამედროვე მხატვრული გამოცდილების პოზიციიდან თითქმის ბუნებრივად წამოიჭრება კითხვა — საკმარისია თუ არა ის მოტივაცია, რომელსაც რუსთაველი, ერთი შეხედვით, საუფეძლად უდებს ავთანდილის ცხოვრებაში მომხდარ გარდატეხას (ტარიელის ძიება) და, საერთოდ შეშვენის თუ არა რუსთაველის რანგის პოეტს სიუჟეტის ამგვარი გზით განვითარება?

თ. ჭილაძის ბოლოდროინდელ ნაშრომში „ვარდის ფურცლობის ნიშანი“ ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხია გაცემული. ავტორი ეძებს და „პოულობს“ სამეფო კარის ინტრიგების მოელ ჭსელს, რამაც აიძულა ავთანდილი არაბეთიდან გადახვეწილიყო. სახოლოო ჭამში მიეღეთ შინაგანად საკმად მარტივი და ამავე დროს ბანალური სქემა; და ეს იმიტომ კი არ მოხდა, რომ თ. ჭილაძეს გამომგონებლობა აკლია, არა, უბრალოდ თვად „ვეფხისტყაოსანი“ არ იძლევა არავითარ საბაბს ამ მხრივ.

თუ სამართლიანი ვიქნებით, ეს კითხვა არც უნდა წამოჭრილიყო, რადგან თვით რუსთაველისთვის ეს პრობლემა საერთოდ არც კი არსებობდა! „ვეფხისტყაოსანის“ გმირების, როგორც რაინდთა სტატუსში თავისთავად იგულისხმება, რომ მათი ცხოვრების გზაზე აუცილებლად დადგება „ეჭირთა თმენის“ გარდუვალი ხანა. ტარიელის მოძებნა კი ამ ასპეკტით მხოლოდ საბაბია. სხვას ვის უნდა მოეხდა რაინდული ვალი, თუ არა ტარიელსა და ავთანდელს — მოყმეთა შორის გამორჩეულ მოყმეებს. თვით თინათინის ერთგვარი ხაზეიმო აღიქმა, აგრეთვე, დათქმული ვადის საკარალური ხანგრძლივობა („ხამსა ძებნე წელიწადსა!“) თავისთავად მიგვანიშნებს ამ მოგზაურის აუცილებლობასა და ერთგვარ ტრადიციულობაზე, ერთი სიტყვით, „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია“ მითუმეტეს, ავთანდელსა და ტარიელს.

ეს რუსთველური ფრაზა მხოლოდ მოხდენილი აფორიზმი კი არ არის, არამედ ცხოვრებისეული პოზიციაა, ეს ის პოზიციაა, რომელიც მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ვლინდება, თუმცა სხვადასხვა ფორმით.

შემოქმედებითი პროცესი არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც რაღაც განეკუნებული ქმედება, ისევე როგორც თავად შემოქმედი — ობიექტური სინამდვილისგან სრულებით იზოლირებულ პიროვნებად. ნებისთ თუ უნებლიეთ, შემოქმედებით პროცესზე გავლენას ახდენს მანამდე უკვე რეალურად არსებული ტრადიციები, რომლებიც მწერლისათვის წარმოადგენენ საყრდენს ან ათვლის წერტილს, საიდანაც იწყება ინდივიდუალური შემოქმედებითი გზა. ტრადიცია მხატვრულ ნაწარმოებში შემოდის ესთეტიკური მოდელის სახით. მოდელი ისეთია, როგორიც უნდა იყოს, მისი ბუნება წინასწარ არის განსაზღვრული, შემოქმედის ნებისაგან დამოუკიდებლად, ნების თავისუფლება ამ შემოხვევაში არჩევანის თავისუფლებაა. ესთეტიკური მოდელი შემოქმედებით პროცესში პოულობს ინდივიდუალურ განვითარებას, აქ არის შემოქმედებით პროცესის ორი პოლუსი, რომლებიც ერთმანეთთან დიალექტიკურ ურთიერთკავშირში იმყოფებინა.

„ვეფხისტყაოსანში“ აშკარაა ამ ტრადიციების ქვაფენ; ეს არის, ერთის მხრივ, წმინდა ესთეტიკური ტრადიციები, მომდინარე როგორც ფოლკლორული (მითი, ეპოსი, ზღაპარი), ისე ლიტერატურული სამყაროდან, მეორეს მხრივ კი — მხოფლმხედველობრივი და სოციალური.

„ვეფხისტყაოსნის“ მთავარ პერსონაჟებს ხშირად იდეალურ გმირებს უწოდებენ (არა მხოლოდ სრულიფფიციებს, არამედ როგორც იდეის განმასახიერებლების თვალსაზრისით). პ. ინგო�ეა წერს, რომ: „უეჭველია, ჩვენ ვკავშვს ერთგვარი პოეტური დუმლირება, ინდოეთისა და არაბეთის გმირების სახით“. ოგივე აზრი ჩვენ შეგვიძლია გავიმეოროთ პოემის სიუჟეტის შესახებ — იგივე, თუ შეიძლება ასე თქვას „იდეალური“ სიუჟეტია. „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის პარალელური ხაზებიც „ერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარი პოეტური დუმლირებაა", მაგრამ ეს დუმლირება მხოლოდ მოდელურ დონეზე იგრძნობა. მისი მხატვრული გაფდასახვა კი სხვა სურათს იძლევა.

თინათინის მიერ ავთანდილის გაგზავნა უცხო მოეშის საძებრად. ტრადიციული ან მოდელური სიტუაციაა. ეს ეპიზოდი საერთოა რაინდის ცხოვრებაში, რომელსაც კასტური კოდექსი უკანონებს მიჯნურის სამსახურსა და გარკვეული სიძნელეების გადალახვას თავისი რაინდული სტატუსის დასამკვიდრებლად. მსგავსი მოქმედები არც ტარიელის ბიოგრაფიას ასცდენია და არც შეიძლებოდა, რომ ასცდენოდა, ტარიელიც რაინდია და მანაც უნდა ჩაანაროს ეს გამოცდა:,

377. ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა
გგონია?
სჯობს, საყვარელსა უჩვენნე საქმენი
საგმირონია!
ხატაეთს მყოფნი ყველნი ჩვენნი
სახარაჯოესა,
აწ მთნნი ჯაჭრნი ჩვენზედა ჩვენგან არ
დასათმონია.

მაგრამ ეს გამოცდა მაინც არ არის ნამდვილი გამოცდა. მთავარი ჯერ კიდევ წინაა. ის ვალი, რომელიც ტარიელმა და ავთანდილმა უნდა მოიხადონ, მხოლოდ რჩეულთა წილია, ამიტომ მათ უნდა შეემთხვეთ ისეთი რაშ, რაც მხოლოდ მათი — ტარიელისა და ავთანდილის ხვედრია... ადამიანური არსებობის უმაღლესი მიზნის ამგვარი გაგება უეჭველად ორგანულ კავშირშია ცოდვის გამოსყიდვის ქრისტიანულ რწმენასთან და შეუძლებელია გვერდი აუვიროთ „ვეფხისტყაოსნისა" და მის წინარე საკულესო, კერძოდ კი აგიოგრაფიული ლიტერატურის ფენომენთან ამ თვალსაზრისით.

ცნობილი ფაქტია, რომ აგიოგრაფიული მწერლობა, განსაკუთრებით კი მარტიროლოგიური ძეგლები, ცოდვის უმძიმესი და, ძირითადად, ნებაყოფლობითი ტანჯვით გამოსყიდვის პრინციპზეა აგებული. სახარებებში აღწერილი ქრისტეს ცხოვრების გზა ის მაგალითია, რომელზედაც დაფუძნებულია აგიოგრაფიული ლიტერატურის ეთიკეტიური სამყარო. აგიოგრაფიული გმირი, აგრეთვე ამ ტიპის ნაწარმოების სიუჟეტი ალეგორიაა, მის უკან ყოველთვის იმალება სახარება. საკულესო მწერალი მიმართავს რეალურად არსებულ ისტორიულ პირსა და ნამდვილად მომხდარ ფაქტს, რადგან მისი მიზანია, თუ შეიძლება ასე ითქვას, გაამართლოს „ღვთაებრივ ბეშმარიტებათა" მარადიული ღირებულება და დაგვანახოს ცხოვრებაში მათი არსებობის ფორმა. სწორედ ამიტომ მაინც-დამაინც დიდი ყურადღება არ ექცევიდა აგიოგრაფიული თხზულების წმინდა ეთიკეტიურ ღირებულებას. ხშირად, მიუხედავად დაბალი მხატვრული დონისა, მარტიროლოგიურ ძეგლს მაინც რთავდნენ საეკლესიო კალენდრებში, და გამოკონდათ ავდიტორიის (მრეველის) წინაშე, რადგან ორი ძირითადი მიზანი — სახარების მიბაძვა და მაგალითის ჩვენება მიღწეული იყო

რჩება თუ არა „ვეფხისტყაოსანი" ამ „ალეგორიულ ჩარჩოებში?"

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ქართული საზოგადოებრივი ურთიერთობების ისტორიაში VIII საუკუნიდან დიდი გარდატეხის მომენტი დგება (იხ. დ. მუსხელიშვილი) ეს გარდატეხა ფეოდალიზმის კლასიკური სახის სამოლოო დამკვიდრებაში გამოიხატება, რისი შედეგიც სამოლოო ჯამში ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნა იყო. რუსთაველი თავისი ეპოქის შვილია; და ეს ლიტონად ნათქვამი სიტყვები არ გახლავთ, რუსთაველისთვის იმდენად ძლიერია თანადროული ეპოქის განცდა, რომ, მაგალითად, ვეჟა-შუშაელი (აგრეთვე, ბეკრი სხვაც) „ვეფხისტყაოსანს" XII საუკუნეში ნამდვილად მომხდარ ამბავზე დაწერილ პოემად თვლის.

აღნიშნულის ეეშმარიტებაში ადვილად დაკრძმუნდებით, თუ გავითვალისწინებთ რუსთაველისთვის დამახასიათებელ ისტორიულ ალეგორიებს, ვთქვათ, თინათინის გამეფებას ან ინდოეთის შვილ სამთავროს, აგრეთვე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იმ ფაქტს, რომ „ვეფხისტყაოსანში" ზუსტად, დეტალებშია ასახული საქართველოსთვის ნიშანდობლივი სოციალური ურთიერთობები, კერძოდ კი პატრონყმობის ინსტიტუტი და რაინდული ეთიკეტი (იხ. ივ. ჯავახიშვილი).

ამ ხანგრძლივ ისტორიულ პროცესს (VIII-XII საუკუნეები) არ შეიძლება არ მოპყოლოდა ესთეტიკური კონცეფციების განვითარება. როგორც შენიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, რუსთაველის ეპოქაში ეს განვითარება უკვე დასრულებული ჩანს. მთავარი და მთავარი კი მაინც ისაა, რომ შეიცვალა ახალვის ესთეტიკური პრინციპი. ლიტერატურას უკვე გაცილებით ნაკლებად აინტერესებს ისტორიული პიროვნებები და ფაქტები, სინამდვილე აქ გამოკონილის პრიზმიდან არის ასახული (შდრ. რ. სირაძე)(ამასვე ადასტურებს ფოლკლორული მასალისადმი ახლებური მიდგომა, კერძოდ, ჯაფასნური ზღაპრის სამყაროსადმი გაცნოვერებული ინტერესი. ეს პროცესი ტოტალურია, იცვლება საზოგადოების მხატვრული გემოვნება, ცვლილებები ეტყობა თვით საეკლესიო ხელოვნების ესთეტიკურ სამყაროსაც, ამის თვალსაჩინო მაგალითია გვიანდელი ქართული აგიოგრაფია, მეტაფორასტული მიმართულების დამკვიდრება მწერლობის ამავე დარგში (გადაკეთებას განიცდის ძველი ლიტერატურის ძეგლები, რომელთა ტექსტებშიაც მრავლად შეაქვთ ფანტასტიკური, გამოგონილი ეპიზოდები), ქართული ხელოთმოძღვრება და ოქრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მჭედლობა, საეკლესიო მუსიკა (სადაც სწორედ ამ დროს მკვიდრდება მრავალხმიანობა) და ქედლის მხატვრობა — ერთი სიტყვით „ვეფხისტყაოსანი სხვაგვარი მხატვრული აზროვნების ნაყოფია.

ამასთან დაკავშირებით მინდა რამდენიმე ვრცელი ამონაწერი მოვიყვანო ლ. ტოლსტოის ტრაქტატიდან „რა არის ხელოვნება“: «И так это было до того времени, пока не явилось в высших, богатых, более образованных сословиях европейского общества сомнение в истинности того понимания жизни, которое выражалось церковным христианством. Когда же, после крестовых походов, высшево развития папской власти и злоупотреблений ею, после ознакомления с мудростю древних, люди богатых классов, с одной стороны, увидали разумную ясность учения древних мудрецов, с другой стороны, увидали несоответствие церковного учения с учением Христа, люди этих высших, богатых классов потеряли возможность верить, как прежде, в церковное учение.

Если они по внешности и держались все-таки форм церковного учения, они уже не могли верить в него и держались его толко по инерцией».

განსაკუთრებით სამ მომენტზე მინდა შევაჩერო მკითხველის ყურადღება. პირველი — ტოლსტოის ფრაზა «в понимания жизни» ცხადყოფს, რომ ადამიანებმა მოახდინეს თავიანთი ცხოვრებისეული საზრისის გადაპრტვა. შეიცვალა ადამიანის ადგილი ყოფიერების ჯაჭვში — იგი თავისი ცხოვრებით აღარ აღიქმებოდა, როგორც „ღვთაებრივი ჭეშმარიტების“ ალეგორია, ადამიანს ამ ჭეშმარიტ ცხოვრებამ გაცილებით უფრო დამოუკიდებელი მნიშვნელობა შეიძინა ვიდრე ქრისტიანული კულტურის გარიერავზე ჭყონდა.

მეორე მომენტი ის გახლავთ, რომ ამ მსოფლმხედველობრივი ცვლილებების მატარებლად სამართლიანად მიჩნეულია მმართველი ფეოდალური წრეები, ანუ, როგორც ტოლსტოი უწოდებს, მდიდართა კლასი (богатые классы). საქმე ის არის, რომ საზოგადოების ამ ნაწილში ერთ-ერთი წამყვანმ როლს სწორედ რაინდთა ფენა თამაშობს. რაინდული კასტა გვევლინება გვიან შუა საუკუნეებში ქრისტიანული მრწამსის (ეკლესიაზე არანაკლებ) ძირითად გამტარებლად. მეომარი რაინდისათვის კი უცხოა საეკლესიო მოღვაწისათვის ეგზომ დამახასიათებელი ასკეტიზმი.

მესამე და, ალბათ, ყველაზე საინტერესო და, ამავე დროს, საკამათო მომენტია ტოლსტოის შემაჯამებელი ფრაზა, რომ გვიან შუა საუკუნეებში საზოგადოების განათლებული ნაწილი საეკლესიო მოძღვრებას მხოლოდ ფორმალურად, რადაც ინერციის ძალით მისდევს. ეს ფენა ბუმბულა უეცნელად შეიცავს გადაჯარების, ტოლსტოისეულ ნიშნშდებლივ რადიკალიზმის ელემენტებს. ვფიქრობ, უფრო მართებული იქნება თუ ამ „ინერციას“ ტრადიციას დავარქმევთ. რასაკვირველია, რუსთაველის ეპოქაში საეკლესიო-თეოლოგიურ მოძღვრებაზე დაფუძნებული მსოფლმხედველობა ჯერ კიდევ მყარი კულტურული და იდეოლოგიური საფუძველია, მაგრამ მნიშვნელოვანი სწორედ ის არის, რომ ამგვარ საფუძველზე უკვე განსხვავებული სტრუქტურის შენობები წამოიმართა. ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეიცვალა ფორმისადმი პერსპექტივა დამოკიდებულება, რაც თავისთავად უკვე მხატვრული შინაარსის დამოუკიდებლობასაც მოახმოვებს.

თუკი შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს, უნდა აღინიშნოს შემდეგი: „ვეფხისტყაოსანს“ კავშირი საეკლესიო კულტურასთან ორგანული არა მარტო მსოფლმხედველობრივი, არამედ წმინდა მხატვრული თვალსაზრისითაც, რაც, ერთის მხრივ, რუსთაველის პოეტური მეტყველების ცალკეულ ფორმებში, ხოლო, მეორე მხრივ, გმირის სულიერი სამყაროსადმი პოეტის გაუნელებელ ინტერესში გამოიხატა. მაგრამ „ვეფხისტყაოსანს“ აეტარი თვალთაფდაფის სხვა კუთხით ჭვრეტს ქრისტიანული, იგივე მარადდამიანურ პრობლემებს. ეს, თუ გნებავთ, იგივე ღვთისმეტყველებითი პრობლემებია, მხოლოდ ახალი თვალით დანახული.

საეკლესიო მწერლობის ალეგორიულობა მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით გამოიხატა ე. წ. კანონში. ცნობილია, რომ ვიზეც ან რაზეც არ უნდა ყოფილიყო დაწერილი საეკლესიო მხატვრული ლიტერატურის ძეგლი, იგი უნდა დასდებოდა საფუძვლად ამა თუ იმ ბიბლიურ თემას. გავიხსენოთ, რომ ალეგორაფიული გმირის ბიოგრაფია ეხმაურება სახარებას და მოციქულთა ცხოვრებას, პიმნოგრაფიული გალობები კი მეტწილად „დადგებულია წმინდა წიგნების ტექსტებზე. ვფიქრობთ, არ უნდა იყოს საკამათო, რომ „ვეფხისტყაოსანს“ პოეზიის „დადგმა“ რომელიმე ბიბლიურ თემაზე სრული გაუგებრობა იქნებოდა. რასაკვირველია, იქნური თვალსაზრისით, როგორც უკვე ითქვა, „ვეფხისტყაოსანი“ შთაგონებულია ქრისტიანული კულტურით, მაგრამ მხატვრული განვითარება ამ იდეებისა სრულიად თავისებური (რისი წარმოჩენის ცდაც გახლავთ წინამდებარე ნაშრომი), ამგვარად ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ პოემის რელიგიურ ალეგორიად გამოცხადება უეჭველად აღარიბებს მის მდიდარ მხატვრულ სამყაროს, უფრო მეტიც, აქედან გამომდინარე, შეიძლება „პროკრუსტეს სარეცელში“ აღმოჩნდეს შუა საუკუნეების მთე-

ლი მრავალფეროვანი ქრისტიანული კულტურა...

ახლა კი, ამ არცთუ მცირე ექსკურსიის შემდგომ, დავუბრუნდეთ არაბეთის სპასპეტის თავგადასავალს — ავთანდილი მიდის „უცხო მოყმის“ მოსახახად, წინ არის თინათინთან განშორების სამი ძნელი წელიწადი. სიტუაცია ძმიმეა, მაგრამ (და ეს აუცილაა) არც იმედნაგ: დადებულია დროის საზღვარი; არც ტარიელის მოძებნაა მაინცდამაინც აუცილებელი, მთავარია ქმედება და არა მიზანი:

132. სამსა ძებნე წელიწადსა იგი შენი საძებარი,
ჰპოვო, მოდი გამარჯვებით, მხიარულად
მოუბარი;
ვერა ჰპოვებ, დაეიჯერებ, იყო თურმე
უჩინარი;
კოკობი და დაუფრეშნელი ვარდი დგებედ
დაუმჭნარი.

ნიშნდნობლივია ერთი გარემოება, რუსთაველი თითქმის არაფერს არ გვიყვება იმის შესახებ, თუ რა გადახდა თავს ავთანდილს ამ სამი წლის განმავლობაში, მისი სულიერი განცდებიც ტრადიციულ (კონვენციურ) საზღვრებშია დახატული. მხოლოდ თინათინთან განშორება და მარტოობის შეგრძნება აშფოთებს მის სულს, მაგრამ — არავითარი ექვი გადადგმული ნაბიჯის სისწორეში, არავითარი ბრძოლა საკუთარ თავთან „სუფთაღთა დასაამობად“. ნიშნდნობლივია ერთი გარემოებაც, ავთანდილი, რომელიც პოემაში ყველაზე მეტად არის მიდრეკილი ლოცვისადმი, ამ არც ერთხელ არ უხმობს ღმერთს, საინტერესოა, აგრეთვე, ისიც რომ რუსთაველი ავთანდილს ამ შემთხვევაში ადარებს „ვისრამიანინს“ გმირებს და ამით შესაძლოა ხაზს უსვამს სიტუაციის ტრადიციულობას. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს რუსთაველი რაღაც სხვა გარემოებისთვის ინახავს თავის საუკეთესო ფერებს ავთანდილის შინაგანი ბუნების დასახატავად. როგორც ერთმა წამმა, ისე განვლო ამ სამმა წელიწადმა; თხრობის ტემპი თითქმის არსად არ ნელდება...

ავთანდილმა ვერ მონახა ტარიელი, ვერც ვერაფერი შეიტყო მის შესახებ, დთქმული ვადა კი მიიწურა; იგი დადგა არჩევანის წინაშე — დაბრუნდეს არაბეთში, თუ გაანგარიოს „უცხო მოყმის“ ძებნა.

ყველაფერიდან ჩანს, რომ რაღაც უნდა მოხდეს ისეთი, რაც ავთანდილის ცხოვრების გზას დიამეტრალურად საწინააღმდეგო მიმართულებით შეცვლის... და მოხდა კიდეც, ავთანდილი პოულობს ტარიელს, ისმენს მის ტრაგიკულ ისტორიას და ახალ ალთქმასაც დებს: დაეხმარის ტარიელს, უფრო სწორად კი თავს იდოს ნეტან-დარეჯანის პოვნა. ეს აღთქმა გაცილებით უფრო რთული შესახორებელია, ვიდრე პირველი, და ეს თავიდანვე ჩანს — ტარიელმა, ვეფკაცთა შორის უვადაცესმა რაინდმა, მრავალი წელი და უდიდესი სულიერი ძალები მაინც ალა ნეტანის უნაყოფო ძიებას.

ამ მოტივებიდან ავთანდილის ცხოვრებაში დგება სრული გაურკვეველობის ხანა, მისი მომავალი ძნელად განსაკვრეტი ბუნებისთა არის მოცული არც ერთი მიჯნა, არც ერთი საზღვარი დადგენილი არ არის.

აქ ილეს ავთანდილი პირველ დამოუკიდებელ და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, რომელიც მისი, როგორც გმირის ლიტერატურულ არსებობას ანიშნებს ინდივიდუალურ შინაარს, ამ ეპიზოდიდან ხდება საინტერესო ავთანდილის ცხოვრება და მკოთხველიც უკვე დეტალებში მიმყვება მის ძნელსა და ფათერაკებით აღსავსე გზას.

ოღონდ რუსთაველი არ ჩქარობს მთელი სისრულით გვიჩვენოს ავთანდილის მძიმე შინაგანი განწყობილება, მტანჯველ ფიქრებს მეტწილად ფარავს არაბეთში დაბრუნების, თინათინთან შეხვედრის სიხარული. თინათინთან საუბრის დროს, რაც ავთანდილი გაამბეს თავის განზრახვას, მის სიტყვებში პირველად გაისმის ტრაგიკული ნოტები:

708. ვა თუ გავიჭრა, გაჭრილსა სადა, გლახ,
დამწვავს სამალი!
გული ძეს საგნად ისრისა, მესვრის
საკრავად სამალი;
დრო სიცოცხლისა ჩემისა დღესითგან ჩანს
ნასამალი;
მალვა მწადს, მაგრა გარდახდა ყამი
პატიჟთა სამალი!

ვითარება მართლაც ძალზე გართულდა: ავთანდილის წინაშე რეალურად წამოიმართა სიკვდილის აჩრდილი. რუსთაველი ყოველ ნაბიჯზე ხაზს უსვამს ამ მძიმე გარემოებას. ამ პოზიციიდან გასაგებია როსტევანის რიხხვა და უარი ავთანდილის გაშვებაზე. — მეფეს არა-ვითარი გარანტია არა აქვს, რომ მისი გაზრდილი, არაბეთის სპასპეტი ავთანდილი ცოცხალი მობრუნდება სამშობლოში ან, თუ მობრუნდება, როდის, რამდენი წლის შემდეგ... გავიხსენოთ, როგორი სიტყვებით გამოეთხოვება, შეიძლება ითქვას, დიატრიბეს იგი ავთანდილს, როცა მის გაპარვას შეიტყობს:

823. ოდეს გნახავ მხიარულსა, ნადირობით
შემოსილულსა?
ვეღარ გიჭვრეტ ნაბურთალსა, ტანსა
მშვენრსა, ჯავარ-სრულსა,
ვეღარ ვისმენ ხმასა შენსა, სასმენელად მე
მას რულსა.
აწ შენნად რაღა ვეყო საჯდომსა და
სრასა სრულსა?

824. ვიცი, არ მოგაღავს შიმშილი, რაზომმცა
დია ირები:
შენ შენი მშვილდი დაგარჩენს, შენთა
ისართა პირები,

ნუთუ კვლ. ღმერთმან წყალობით
გაგიადვილოს ჭირები,
მაკრა, თუ მოგკედე, გაზრდილო, ვისგანღა
დავეტირები?

ამასვე მოწმობს თვით ავთანდილის ცალკეული ფრაზები, მაგალითად შერმადინისადმი მიმართული „მოკავდე, თავსა ნუ მოიკლავ..“ აგრეთვე, ავთანდილის ანდერძი, რომელშიაც ნინაშდამხლილია თვით სათაურიც კი „დაჯდა წერად ანდერძისა“ „ანდერძი“ და არა „წიგნი“ როგორც ეს ჩვეულებრივად არის „ვეფხისტყაოსანში“.

ავთანდილის არაბეთიდან მეორედ წასვლის ეპიზოდი დიდ მხატვრულ მნიშვნელობას, ჩვენის აზრით, მიუთითებს ის ფაქტიც. რომ ამ ამბავთან დაკავშირებულ მოვლენებს რუსთაველი დეტალურად გვაცნობს. გავიხსენოთ თუნდაც ავთანდილისა და ვეზირის საუბარი, სადაც მშვენიერადაა გახსნილი კარის მოხელის ფსიქოლოგია; აგრეთვე, ავთანდილისა და შერმადინის შეხვედრა და, რაც ყველაზე მთავარია, სასპეტრისა და არაბეთის მეფის ერთგვარი, თუ შეიძლება ახე ითქვას, ჩუმი კონფლიქტი (როგორც გვახსოვს, ავთანდილი ფაქტიურად არ ემორჩილება როსტევანის ნებას), რაც უეჭველად კიდევ უფრო ნათელყოფს ამ ეპიზოდის მნიშვნელოვან ავთანდილის ბიოგრაფიაში.

მძიმე, ტრაგიკულის ზღურბლამდე მისული სიტუაციის ფონზეა წარმოჩენილი ავთანდილის ხასიათი, მისი სულიერი სამყაროს სიღრმისეული დინებები.

ჩვენ კვ ამბოლოოთ ვრწმუნდებით, რომ ავთანდილის ხასიათის ერთი განმსაზღვრელი თვისებაა ოპტიმიზმი, გამარჯვების რწმენა. იგი ყოველთვის ცდილობს, რომ გარეშე პირებთან ურთიერთობაში. გაჭირვების კვალიც კი არ შეიტყოს (სხვა საქმეა, ყოველთვის ახერხებს თუ არა ამ პოზიციის შენარჩუნებას). მაგრამ, დდ რაც ყველაზე მთავარია, ამ იმედიანი მდგომარეობის მოპოვება ავთანდილს მძაფრი ენერგიის, ხშირად ეჭვების დაძლევის ფასადაც უჯდება:

837. ...ბრალ ბადაბშია მძებნელმან სათნი
დაეკარგენ მინანი;
მაშინ ვერ გაეძელ სიახლე, აწ სიმორესა
ვინანი.

ალბათ, დამეთანხმება მკითხველი, რომ ამგვარი ფიქრები უცნაური იქნებოდა ავთანდილისათვის, თუკი მის პროგნოზებს ცალმხრივად, მხოლოდ ხილული მოქმედების ფონზე შეეფასებენ. ეს ემოციური გრადაციები, საკუთარ თავთან ბრძოლა ყველასაგან დაფარულად (ცხადია, მკითხველის გარდა) სრულიად ინტიმურ გარემოებაში იშლება, მაშინ, როდესაც ავთანდილი მარტო თავისი გაჭირვების წინაშე:

809. ილოცავს, იტყვის: „მაღალო ღმერთო,
ხმელთა და ცათა,
ზოგჯერ მომცემო პატიჟთა, ზოგჯერ
კეთილთა მნათო.

უცნაურო და უთქმელო, უფალო
უფლებათაო,
მომეც დათმობა სურვილთა, მდლობელო
გულის-თქმათაო!

მხატვრული თვალსაზრისით ავთანდილის ლოცვებს პოემაში სწორედ ამგვარი ფუნქცია ეკისრება. აქ ჩნდება განსაკუთრებით მკაფიოდ ავთანდილის შინაგანი სამყაროს დრამატიზმი, მისი როგორც მხატვრული სახის ლირიკული განვითარება

●

ზემოთ უკვე ავღნიშნე, რომ ნესტანის მიერ ტარიელის გაგზავნა ხატაელებთან საომრად ავთანდილის ბიოგრაფიული მომენტის პარალელური ეპიზოდია, მაგრამ აქ ერთ გარემოებას მინდა გავუსვა ხაზი, რომელიც ცხადყოფს რუსთაველის მხატვრული ოსტატობის კიდევ ერთ თავისებურებას.

ამ მოდელურ სიტუაციას პოეტი სულ სხვა კუთხიდან აშუქებს და ამით აცილებულია სიუჟეტის განვითარების ერთფეროვნების საფრთხე. რუსთაველს ამ შემთხვევაში უყრადღება გადაჰქვს მოვლენათა გარეგან განვითარებაზე. ამ სიუჟეტურ ხვლას შინაგანი მხატვრული მიზეზები განაპირობებენ — ხატაეთის ამბებს მკითხველი ტარიელის მონაყოლიდან, ანუ რეტროსპექტულად გებულობს და არ უნდა დაგვიკვირდეს, რომ იგი ამ დროს სრულიად უიმედო, სასოწარკვეთილ მდგომარეობაში იმყოფება მისი გაქცევები უმძაფრეს ტრაგიზმამდეა ასული. ცხადია, მხატვრულად არ იქნებოდა დამაჯერებელი, რომ ამ უკიდურესად მძიმე დროს ტარიელს მაშინდელ სულიერ მღელვარებაზე გაემახვილებინა ყურადღება. ის გაქცევები, რასაკვირველია, უფერული იქნებოდა ახალ ტრაგედიასთან შედარებით, ისევე როგორც ის გამოცდა თამაში იყო მეორე გამოცდასთან შეფარდებით.

ტარიელისა და ნესტანის ნამდვილი ტრაგედიის საწყისი სიუჟეტურად დაკავშირებულია ნესტანის ხვარაზმშაჰის შვილზე გათხოვების ამბავთან, მაგრამ ვიდრე უშუალოდ გადავიდოდეთ ეპიზოდის მხატვრულ ანალიზზე, ერთ დეტალზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას.

როდესაც ჩვენს ნაშრომში რუსთაველის მხატვრულ აზროვნების თავისებურებათა შემეცნებისათვის“ ვიხილავდით „ვეფხისტყაოსანში“ სიტყვა „ვალის“ მნიშვნელობას, შევნიშნავდით, რომ: რუსთაველი სიტყვა „ვალს“ (ცოდვის ტვირთების გაგებით) ხშირობს კომპოზიციური თვალსაზრისით ერთგვაროვან სიტუაციებში, კერძოდ მაშინ, როცა პოემის თავარ გმირთა ცხოვრებაში დგება მძაფრი გარდატე-

ხის „პირთა თმენის...“ მომენტები. მაშინ არ გვითქვამს (რადგან ეს ცალდებოდა ნაშრომის მიზანს), მაგრამ აქეთაც აღვნიშნავთ, რომ ამ მომენტებს უშუალოდ სიუჟეტის განვითარებასთვის არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, რადგან აქ მხოლოდ მსოფლმხედველობრივი ტარდიცია, ესთეტიკური მოდელი ცხადდება, რომელიც შემდგომ იძენს რეალურ მხატვრულ შინაარს. სიუჟეტის განვითარების პირდაპირი ლინეარული ავთანდილისა და ტარიელის ეშეშმრიტი გამოცდა ზემოთ ხაზგასმული ეპიზოდის უკავშირდება. შემთხვევითი არაა, რომ ფრაზა „იგი ნივთი და ვალი“, რომელიც ავთანდილის მიმართაა თქმული, აუტორისეულია. ავთანდილმა ჯერ არ იცის, რომ ტრაფიციული რაინდული აქცია გადაიქცევა მისი ცხოვრების უმძიმეს გამოცდად. მან ჯერ არ იცის, რომ სწორედ მას (აკრეთვე, ტარიელსა და ნესტანს) დაეკისრა ზოგადადამიანური, ცოდვის ტვირთება. ასევე არაშემთხვევითია, რომ ტარიელი თავისიანე პირით გვაუწყებს: „მაშინ დავიწყე გარდახდა მე საწუთროსა ვალისა“, რადგან მან ამ მომენტისათვის უკვე მშვენივრად უწყის, რომ მისი და ნესტანის პირველსავე შეხვედრაში იყო რაღაც საბედისწერო, რაღაც ტრაგიკული.

„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტისათვის ნესტანის გათხოვნებსა და ხვარაზმშაჰის ძის მოკვლის ეპიზოდებს უალრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, არა მხოლოდ იმიტომ, რომ აქედან იწყება ახალი პერიპეტია, ახალი დაბრკოლება, არამედ იმის გამო, რომ აქ ეურება საფუძველი იმ მხატვრულ სიმართლეს, რომელშაც მეთხეული უნდა დაჯერის (ისევე, როგორც ეს დაჯერა ავთანდილმა) ტარიელისა და ნესტანის სიყვარულის ისტორიის განსაკუთრებულობაში, უნდა დაიჯეროს ის მიზეზები, რომელთაც ტარიელისა და ნესტანის ბედნიერი ცხოვრება ასე უეცრად აქციეს ტრაგედიად.

ამის საწინააღმდეგოდ გ. იმედაშვილი ერთგან შენიშნავს: „ამ ორივე ეპიზოდს სიუჟეტის განვითარებისათვის თითქოს მოსაბრუნი მნიშვნელობა აქვს, თუმცა არც ერთი მათგანი არ არის დახატული საკმარო მოტივირებით, იმიტომ, რომ რუსთაველის შემოქმედებითი ენერგია მიმართულია ამალლებული ხასიათების დახასტადა... ამითაა გამოწვეული ისიც, რომ რუსთაველი ჩვეული (?) მხატვრული დამაჯერებლობით არ გვიხატავს დაბრკოლების მოტივის შემცველ ეპიზოდებს“. „ვეფხისტყაოსანი“ არავითარ შემთხვევაში არ იძლევა ამგვარ დასკვნების გამოტანის საფუძველს. პირიქით, რუსთაველისათვის იმდენად არის სანტერესო მოტივი, რამდენადაც იგი მხატვრული თვალსაზრისით ლოგიკურ განვითარებას პოულობს პოემის ტექსტში.

ნესტანის გათხოვნების და ხვარაზმშაჰის ძის მკვლელობის ეპიზოდები მიეკუთვნება პოემის ყველაზე უკეთ, დეტალურად დამუშავებულ ეპიზოდთა რიგს და ეს კარგადაა ნაჩვენები ა. ბარამიძის ადრინდელ შრომებში. მაგრამ, იმის გამო, რომ მკვლევართა უურადღების გარეშე დარჩენილა ზოგიერთი მომენტი (მითუმეტეს, რომ მსგავსი რამ მეორდება შედარებით ახალ მონოგრაფიაში „შოთა რუსთაველი“), ჩვენ კიდევ ერთხელ ვეუდებით ამ ეპიზოდების გაანალიზებას.

დავიწყოთ იმით, რომ ხატაელებთან ომში გამარჯვების აღსანიშნავად გამართული ნადიმის წინ ფარანდადნი ერთ უცნაურ დავალებას აძლევს დედოფალს:

475. იდუმალ ცოლსა ეუბნა, მართ ჩემგან
უცოდნელია:
ომით მოსრული ტარიელ საქვრეტლად
სასურველია,
მან განანათლოს მჭვრეტელთა გული,
რაზომცა ბნელია;
რაცა დაგვედრო საქმნელად, ქმენ, არა
საზოზღნელია.

476. აწ მითქვამს საქმე უშენოდ, შენცა ცან
ესე მცნებული:
რათგან ქალია სამეფოდ ჩვენგანვე
საფელ-დებული,
ვინცაღა ნახავს, აწ ნახოს, აპა დღე, ეღემს
ხლებული,
გვერდსა დაისვი, ორნივე სრას დამბეღოთ,
მოკალ შვებული.

რაში დასჭირდა ფარანდანს ნესტანისა და ტარიელის შეხვედრა მაინდამაინც ეხლა, ამ მომენტში, როცა ტარიელი თავისი ბრწყინვალების ზენიტში იმყოფებოდა?

მხოლოდ ერთი მიზეზით: მას სურდა საბოლოოდ დარწმუნებულიყო ტარიელისა და ნესტანის სიყვარულში. ამგვარი ეჭვი კი ჰქონია, რასაც უკვე ხვარაზმშაჰის ძის მკვლელობის შემდეგ ნათქვამი მისივე სიტყვები ადასტურებს: „მას უუკარდა ჩემი ქალი, სისხლი ვეღარა მოუღვრიან, რა ნახიან ერთმანერთი, არ შეხედვა ვერ დათმიან“.

და დარწმუნდა კიდეც. ტარიელი გვიყვება: „ამ მუნა მყოფი მიეცი შვებასა მეტის-მეტასა. რა შემომხედნის შეეხედნი, ცეცხლმან დამიწყის შრეტასა“. რახან გამართლდა ფარანდანის ეჭვები, ისიც დაუოვნებლივ შეუდგა მოქმედებას, რადგან წესი, ტარიელია მას არ აძლევდა უფლებას დაეშვა ტარიელისა და ნესტანის კორწენება. ნესტანის საქმრო, არსებული წესის თანახმად, აუცილებლად უცხოელი უფლისწული უნდა ყოფილიყო.

როგორ შევაფასოთ ფარანდანის მოქმედება? რა განაჩენი გამოვუტანოთ ინდოეთის მეფეს? ვფიქრობთ, რომ არავითარი განაჩენის გამოტანა არ არის საჭირო. რუსთაველმა თავად მშვე-

ნირად გადაწყვიტა ფარსადანის როლი ამ ეპიზოდში.

ფარსადანმა არ იცოდა, თუ რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა მის მიერ გადადგმულ ნაბიჯს, ხოლო როდესაც შეიტყო ამბის განვითარება, ტარიელს შეუთვალა:

561. ...ებრძანა, თუ: „ღმერთმან იცის,
გამეზარდე ვითა შვილად,
ჩემი ასრე რად შესცვალე სიხარული
სიმძიმილად?

562. ხვარაზმშაჰს სისხლი უბრალო სახლად
რად დამადებინე?
თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არა
შეშაგებინე?
მე ბერსა შენსა გამზრდელსა, სიცოცხლე
მაარმებინე,
დღედ სიკვდილამდის შენიცა თავი არ
მაახლებინე!

რუსთაველი ბრწყინვალედ გაახარულებს ფარსადანის სახეს. ეს სიტყვები იმ კაცს ეკუთვნის, ვინც მიმდგარ უბედურება მოახდინა და ცდილობს, თავისი დანაშაული როგორმე სხვას გადააბრალოს, თავი მოიტყუოს. ზუსტი დაკვირვებაა, ამგვარი „თავდაცვითი“ ენაკი ბუნებრივია საერთოდ ადამიანისათვის (მითუმეტეს, ნეფისათვის).

პოემის სადავო ფინალში („ინდო-ბატალეთა ამბავი“) ირკვევა, რომ ფარსადანი მალევე მიმხვდარა საკუთარ დანაშაულს. მისი სიცოცხლე თითქოს ამ შეცდომამ შეიწირა:

1587. ...ცოტასა ხანსა გა-ვე-ძინო დება
სახმილთა ბუნებისა,
აწ თვითა მოკვდა, შეიქმნა ბოლო სრეანი
და ტყვენისა.

ვფიქრობ, რომ ამ ეპიზოდის გარეშეც ფარსადანის მხატვრული სახის გაგება ერთმნიშვნელოვანია — იგი უეჭველად ტრაგიკული პიროვნებაა!

ტარიელსა და ფარსადანის დაპირისპირება იწყება დარბაზობაზე. სადაც ნეფეს და დედოფალმა დიდებულებს ამცნეს თავიანთი აზრი, რომ ნესტანის საქმრად სახელდებულია ხვარაზმშაჰის ძე.

ტარიელმა, ისევე როგორც დარბაზის სხვა წევრებმა, დაადასტურა მეფის გადაწყვეტილება. ცხადია, იმის თქმა, რომ ტარიელს შეეშინდა ამ რამის მოერიდა, უაზრობაა. მიუხედავად უდიდესი სულიერი ძღვენთვრებისა, მან ზუსტად შეაფასა შექმნილი ვითარება — ფარსადანსა და დედოფალს უკვე მოიკრიბეული და გადაწყვეტილი ჰქონდათ ნესტანის ხვარაზმშაჰის ძეზე გათხოვების ამბავი, ასე, რომ ტარიელის უარი, ამ შემთხვევაში, აშკარა ამბოხი იქნებოდა პატრონის წინააღმდეგ, ხოლო ასეთ ნაბიჯზე იგი დაუკითხავად ვერ წავიდოდა.

როგორც შემდგომში გამოირკვა, ტარიელის მოქმედება აბსოლუტურად სწორი გამოდგა. ნესტანს მართლაც არ სურს თავისი მამისა და საერთოს სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება: „შენ დ ი ი გი ჭაკიდნეთ, ინდოეთი გარდაკარდეს“.

ნესტანი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა აირიდოს გარდუვალი კონფლიქტი და ამისათვის იგი მცირე, მაგრამ მაინც ეზსს ტოვებს, უწინარეს, ნესტანი არიდებს ტარიელს დიდ სისხლისსამართლს:

543. მიპპარეთ მოკალ სასიძო, ღაშქართა ნუ
მოიჩრთაო,
მისთა სპათაცა ნუ დაპხოც, ზრახთა,
ვითა ვირთაო,
სისხლი კაესა უბრალო კაცმანცა ვით
იტვირთაო.

მეორე და მთავარი კი ის არის, რომ ნესტანი ურჩევს ამირბარს, რომ მან თავისი მოქმედება ფარსადანის წინაშე პოლიტიკური ამბიციებით შენიღბოს (რაზედაც ტარიელს ჰქონდა გარკვეული უფლებები, როგორც ერთ-ერთ მთავარსა, და მეფის შვილობილს):

544.იგი რა მოჰკალ, ეუბენ პატრონსა, ჩემსა
მამასა,
ჰკადრე, თუ: „სპარსთა ვერა ვიქმ
ინდოეთისა ჭამასა,
ჩემია მკვიდრი მამული, არ მიუსცემ არცა
დრამასა,
არ დამეხსნება, გაგიხდი ქალაქსა ვითა
ტრამასა!

არ უნდა იყოს მართებული აკად. ა. ბარამიძის დაბეჭდილებული მითითება, თითქოს: „პოლიტიკურმა და სახელმწიფოებრივმა ინტერესებმა გამოიწვია პერსონალურად უდანაშაულო ხვარაზმშაჰის ძის სიკვდილი“, ეს დებულება საფუძველშივე ეწინააღმდეგება პოემის მხატვრულ კონცეფციას (რომელსაც ძალიან კარგად იცნობს პატ. მკვლევარი). „ვეფხისტყაოსანი“ არაა სოციალურ პოლიტიკურ თემაზე შექმნილი ნაწარმოები, ამიტომ არ შეიძლება პოემის ერთ-ერთი მთავარ კონფლიქტს ამგვარი მოტივები დასდებოდა. საფუძვლად (სხვა საქმეა, რომ ამ ეპიზოდში იკვეთება ავტორის აშკარა ანტიხანარსული ტენდენცია, მაგრამ ამაზე ქვემოთ), ჩვენ სრულებითაც არ გვინდა დავუყენოთ რუსთაველის პატრიოტული იდეალი, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ უმთავრესი თემა სიყვარულია (შეგიბრობაც აქ იმდენადვე ამოზრდილი ძმადნაფიცობის ინსტიტუტიდან, როგორც მოყვასისადმი სიყვარულის ქრისტიანული მოწამიდან, გვიხსნოთ პავლე მოციქულის სიტყვები „სიყვარული აგვამაღლებს“ პოემაში სწორედ ავთანდილისა და ტარიელის შეგიბრობას უკავშირდება (იხ. ნ. ნათაძე „რუსთველური მიჯნურობა და რენესანსი, თბ. 1966. გვ. 147-148). და, ვფიქრობ, ეს სრულებითაც არ ამცირებს „ვეფხისტყაოსნის“ ბრწყინვალებას, თუნდაც იმიტომ, რომ ამ

თვალსაზრისით მას გვერდს უმშვენებს ისეთი მარადიული ძალის მხატვრული ძეგლები, როგორიც არის, ვთქვათ, დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ ან შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“. „ვეფხისტყაოსანში“ მთელი სამყარო ამ გრანდიოზს შეეწყო დანახული. ტარიელისა და ნესტანის ტრაგედიის (და, რასაკვირველია, ხვარაზმშის სიკვდილის) უპირველესი მიზეზიც მათი სიყვარულია. მას შემდეგ, რაც მოსახდენი მოხდა და ნესტანი უგზოუკვლოდ გადაიკარგა, ტარიელი საერთოდ ყოველგვარ ინტერესს ჭკარგავს როგორც ტახტისადმი, ისე ფარსადანისადმიც. ფუქია მისი ყოველგვარი პოლიტიკური ზრახვა დაკრიალებული უბედურების ფონზე.

ასევე არა აქვს კონცეფციური მნიშვნელობა ხვარაზმშაჰის მკვლელობის ეპიზოდს, როგორც ამას ამტკიცებდა პ. ბერკოვი, ვისი ნაშრომიც თავის დროზე საფუძვლიანად გააკრიტიკა ა. ბარამიძემ.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ პ. ბერკოვის ნაშრომს აქვს ერთი დადებითი მხარე, კერძოდ, მკვლევარი სწორად ფიქრობს „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტისთვის ამ ადგილის მნიშვნელობას, მაგრამ იგი უფრო შორს მიდის და აცხადებს, რომ რუსთაველის პოემა საერთოდ აგებულია „დანაშაულისა და სასჯელის“ იდეაზე და უკავშირდება ფ. დოსტოევსკის რომანის პრობლემატიკას. უეჭველია, რომ ბერკოვი ცდებოდა და მთავარი, რასაც იგი არ თვალისწინებდა, არის ის, რომ ფ. დოსტოევსკის გმირისათვის (ისევე, როგორც, ვთქვათ, ლ. ტოლსტოის „ომდგომის“ მთავარ პერსონაჟთათვის) არ არსებობს ერთი მსოფლმხედველობრივი ან შეიძლება ითქვას, ზნეობრივი ტრადიცია — ჭეშმარიტი სულიერი ამაღლებისათვის უნდა გაიარო ტანჯვით აღსავსე გზა და რომ სხვა გზა უბრალოდ არ არსებობს. ამ ტიპის ადამიანმა უნდა რაღაც ბორიტმოქმედება ჩაიდინოს, რასაც სასჯელი და შემდეგ სულიერ ფასეულობათა ნამდვილი გადფასება უნდა მოჰყვეს, ხოლო რუსთაველის გმირებისათვის შემთა ალნმშენული ზნეობრივ-მსოფლმხედველობრივი ტრადიცია ცხოვრების წესი, არსებობის ფორმა. განწმენდის გზაზე შესაგობად მათთვის არ არის აუცილებელი რაიმე დანაშაულის ჩადენა.

ნესტანის გთხოვებასთან დაკავშირებული ეპიზოდები ამ ტრადიციის (მოდელის) მხატვრული განვითარებაა. ხვარაზმშაჰის ძის სიკვდილი გარდაუვალია (ისევე როგორც ჭაშნაგირის), რადგან ეს არის ამ სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი, ერთადერთი „მართალი სამართალი“, რომელიც ნესტანის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ხვნა შეიქმნა ხმელსა ნედლად“

წინაალმდეგ შემთხვევაში დაიღუპებიან ნესტანი და ტარიელი, გავიხსენოთ, როგორ მიმართავს ტარიელი სატრფოს, როდესაც ნესტანი მას თავის სიყვარულს გაუმხელს: „ბაგრატ რაგან დამარჩინე, არ გამოსჩნდი ჩემად მკვლელად“; და რომ ეს არ არის მხოლოდ ხალიზურო ეთიკეტთა ნაკარნახევი სიტყვები, ამის დასტური თვით „ვეფხისტყაოსანია“.

ნესტანის დაკარგვა არის არა ჩვეულებრივი, მორიგი დაბრკოლება, არამედ ტრაგედია. სწორედ ამიტომ ნესტანე მოვლესენი განსაკუთრებით მძაფრ, დრამატულ ფონზე ვითარდება. უკიდურესობამდეა გამძაფრებული ტარიელისა და ფარსადანის ურთიერთობა, რასაც კიდევ უფრო უხვამს ხაზს სოციალურ-პოლიტიკური აქცენტები ამ კონფლიქტისა. საკმაოდ დეტალურად და, თუ შეიძლება ისე ითქვას „სიხალვალი ფერებითაა“ დამუშავებული ხვარაზმშაჰის ძის მოკვლის ეპიზოდი. შეუდარებელი მხატვრული ოსტატობითაა გადმოცემული ფარსადანისა და განსაკუთრებით დავარის რისხვის მძაფრად ემოციური სცენები (შესაძლოა საკვირველიც იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ რუსთაველი მეირე სიუჟეტურ მონაკვეთში ახერხებს ფარსადანისა და დავარის შთამბეჭდავი სახეების შექმნას).

ამ მძიმე სიტუაციის ფონზე იკვეთება ტარიელისა და ნესტანის ხასიათების მანაგდი უცნაური შტრიხები. თავის მხატვრული მიგნებებით, ალბათ, „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ყველაზე გაბორტყილი ადგილია ნესტანისა და ტარიელის შეხვედრა უკვე დარბაზობის შემდგომ. დაუვიწყარია მისი სახე, მისი ემოციები. ჯერ ეტყვებოთა და რისხვით „ქვე წვა, ვით ლელიანა ნაპრალსა ვეფხი პირგამეხებულო“, ხოლო შემდეგ სათნოებით, სიმშვიდით და გონიერებით აღსავსე, მაგრამ გაიფლის რამდენიმე ხანი და,სახლ-ძის ჩამოსვლის შემდეგ, იგი კვლავ ეტყვიანი და მოუთმენელია:

555. წადეგა, მობრძანა: „რასა სდგა? დღე
გიჩანს წინ სათმარე!
ანუ გამწირე, მიტყუე და კვლ:�ა
მოიმეცოდმარე?!

ნიშანდოგმლივია, რომ ნესტანის წუთიერება, თუმცა მძაფრმა აღელვებამ შემდგომ განზოგადებული სიმბოლური მნიშვნელობა შეიძინა, რაზეც, უპირველეს ყოვლისა, ტარიელის ვეფხისტყაოსნისა მეტყველებს (გავიხსენოთ, „რომე ვეფხი მშვენიერი სახედ მისად დამიხახავს“). სწორედ ეს მომენტი იქცევა ამდედაკარგული ტარიელისათვის ყველაზე საუკარელ და ამავე დროს მტკივნეულ მოგონებად (შდრ. ნ. ნათაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 116-117).

ერთი სიტყვაი, რუსთაველმა თავისი უმდიდრესი პოეტური საგანძურიდან ძალზე ბევრი რამ გაიღო, რათა მკითხველს იმოავითვე ეგრძნო ტარიელისა და ნესტანის სიყვარულის ტრაგიკული ისტორიის მთელი სიღრმე და მნიშვნელობა.

დასასრულ. ერთი რამ უნდა შეენიშნო, —

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთაველი ხშირად ხანგრძლივ „ქრონოლოგიურ მიჯნებს ტოვებს თავისი გმირების ბიოგრაფიიდან, მაგრამ, როდესაც რომელიმე მნიშვნელოვანი სიუჟეტური მოძენები მოითხოვს, იგი დეტალურად ამუშავებს რეალური დროის განუწყმენალ უფრო მცირე მონაკვეთს ან, სხვანაირად, რეალური დრო ადგილს უთმობს მხატვრული დროის მდინარეობას და, ამ შემთხვევაში, მუდამ ინდივიდუალური შემოქმედებითი პროცესი ბატონობს ყოველგვარ წინასწარ არსებულ მოტივსა თუ ტრადიციაზე.

ამ დებულების დასადასტურებლად კიდევ რამდენიმე მაგალითის მოტანა შეიძლება „ვეფხისტყაოსნიდან". მათგან განსაკუთრებით დამახასიათებელი ავთანდილისა და ფატმანის ურთიერთობის ამსახველი ეპიზოდია. ამ ეპიზოდისსაც პოემის სიუჟეტისათვის კომპოზიციური თვალსაზრისით განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვთ მინიშებული, რაც იმთავითვე იპყრობდა მკვლევართა ყურადღებას.

„ვეფხისტყაოსანი" გარკვეული თვალსაზრისით ელიტარული სულისკვეთებით არის განმსჭვალული, მთავარი გმირები პოემისა ფეოდალური საზოგადოების უმაღლესი წრეების წარმომადგენელები არიან. სხვა მოქმედი პირებისათვის, თუ შეიძლება ასე ითქვას „რანგით დაბალთათვის", პოემის ავტორი ერთ-ორ, თუმცა კი მეტუელ შტრიხს იშტეტს გამონაკლისი ამ შეხვედრებში ხმოლოდ ფატმანია, რაც მასთან დაკავშირებული ეპიზოდების მნიშვნელობითაა გამორიბებული.

ფატმანის პორტრეტი, როგორც გარეგნული, ისე სულიერი, მთელი სისავითია შესრულებული. იგი შესაძლოა ჩათვალოს ქართულ ლიტერატურაში პირველ პერსონაჟად, რომლის ხასიათშიც თავმოყრილია როგორც უარყოფითი, ისე დადებითი თვისებები.

„ვეფხისტყაოსნის" ეთიკური პოზიციიდან. ბასკვარელია, ფატმანი მოჩანს როგორც უარყოფითი გმირი, მაგრამ ამ პოზიციის ჩარჩოში მისი დადგომა მხატვრული სიმართლის ღალატი იქნებოდა უეჭველად: მართლაც, ის ადამიანი, რომელმაც ბედნიერების კარი გაუღო „ვეფხისტყაოსნის" მთავარ გმირებს, არ შეიძლებოდა ხმოლოდ უარყოფითი პერსონაჟის როლში გამოსულიყო.

ისეთი შთაბეჭდილებაც შეიძლება დაგვრჩეს, რომ რუსთაველი ცდილობს გამართლება მოუნახოს ფატმანის ცხოვრების წესს, ამკობს რა ეროვლმხრივ ქნინი თვისებებით მის ქმარს, სიბოლოოდ კი ფატმანის პიროვნება ასეთ შეფასებას ლებულობს: „ეჰა, ხათუნო, დედანა მჯობი დედაო".

ვფიქრობ, ფატმანის ხასიათის ამგვარ განვითარებასთან რადაც შინაგან კავშირშია პოემის ემოციური ფონის შენაცვლება, რის დასტურადაც ერთი ნაწყვეტის მოტანაც იკმარებდა:

1328. მოწურვილ იყო ზაფხული, ქეფენ[illegible]
ამოსცალა [illegible]
ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათი
ბაეშანისა,
ეტლის ცვალება ზზისაგან, შეჯდომა
სარაბანისა.
სულთქნა, რა ნაბა ყვავილი, მან, უნახავმან
ხანისა.

1329. აგრგვინდა ცა და ღრუბელნი, ცოდეს
ბროლისა ცვართა,
ვარდთა აკოცა ბაგითა, მითვე ვარდისა
დარითა;
უბრძანა: „ვიჯერეტ თვალითა
გულ-ტკბილად შემზედვარითა,
მისად სანაცვლოდ მოვიღნენ თქვენთანა
საუბარითა.

ეს სიტყვები გულანშაროდან მომავალი ავთანდილის მამართ არის თქმული. აქედან ბედნიერების მწვეფვალამდე კი ერთი ნაბიჯიღა დარჩენილი.

„ვეფხისტყაოსნის" მკითხველი ტარიელს იმთავითვე იცნობს, როგორც ტრაგიკულ გმირს, შემდგომში, სიუჟეტის განვითარებასთან ერთად ყოველი ახალი შეხვედრისას, მის გარშემო შექმნილი სიტუაცია სულ უფრო და უფრო მძიმდება, ხოლო იმ ეპიზოდში, როდესაც არაბეთიდან მობრუნებული ავთანდილი მონახავს გრძნობაწართმეულ ფატმანია, მისი უიმედო ყოფა უკანასკნელ მიჯნამდეა მისული. გმირის სახის ტრაგიკულმა განვითარებამ აპოგეას მიაღწია.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ ტარიელის ამგვარი სულიერი მდგომარეობა მხოლოდ ხასიათის ბარბმა ემოციურობამ განაპირობა, რომ თითქოს იგი ამ ემოციების მსხვერპლია (ასეთი გაგზრება ტარიელის ხასიათისა ფაქტს დროზე ერთგვარად გამატონებული იყო ჩვენ მეცნიერებაში).

ტარიელისათვის, როგორც ლიტერატურული პერსონაჟისათვის, არ არის უცხო „ბერთა შიგან გამგრეხნის" პრინციპი, პირიქით, ეს პრინციპი მისი ხასიათის ერთი უმთავრესი თვისებაა, რაც კარგად გამოჩნდა ჯერ კიდევ ნესტანის გათხოვებასთან დაკავშირებულ ეპიზოდში, ქერძოდ, ინდოეთის მეფის მიერ მოწყობილ დარბაზობაზე, აგრეთვე, ფარსადანთან მძაფრი კონფლიქტის დროს. კიდევ უფრო რელიეფურად გამოიკვეთა ტარიელის შინაგანი ბუნების ეს მხარე ნესტანის დაკარგვის შემდგომ:

585. მეტმან ზარმან გამაშმაგა, მომიკიდა ცხრო
და თრთოლა,
გულსა ვეუთხარ: „ნუ მოპკვდები, არას
გარგებს ცუდი წოლა,
გიჯობს გაჭრა ძებნან მისად...

უფრო მეტიც, იგი იმისთვისაც კი პოულობს ძალას, რომ ფრიდონთან შეხვედრისას დამალოს საკუთარი გაჭირვება და თავის ახალ მეგობარს ბიძაშვილებთან ბრძოლაში ეხმარება.

ტარიელმა მთელი სულიერი მხნეობა შეალია თავისი გზის გაკლილს, მაგრამ ის ვალი, რომელიც რუსთველმა თავის გმირებს დაკისრა, ერთი, თუნდაც ტარიელისთანა, ვეუკაცის გადასახდელი არ აღმოჩნდა. ტარიელი რომელმაც, რომ იტყვიან ბოლო კაცამდის იბრძოლა, ამ მიზანთან ჭიდილში დამარცხდა. (ამგვარ ინტერპრეტაციას, როგორც ჩემთვის ცნობილია, ვხვდებით ვ. ნორაკიძის საინტერესო ნაშრომში „ადამიანობის იდეა „ვეფხისტყაოსანსში" თბ. 1966 წ. გვ. 149-171).

შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ტარიელის სულიერი კრიზისი მთლიანად დაფუძნებულია გაჭრაგახელების კონვენციურ მოტივზე, რომელიც ძალზე გავრცელებულია შუა საუკუნეების მწერლობაში.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოტივი არ არის მხოლოდ ლიტერატურული ფაქტი, იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთგვარი სოციალური ტრადიციაც არის, ანუ სამეჯუროსარანინდი ეთიკების ერთი ძირითადი პუნქტია.

„ვეფხისტყაოსანსში", როგორც ჩანს, ეს მოტივი ობიექტური სინამდვილის ანარეკლია, სამეფო კარზე მოგმედი სარანინდო კოდექსის ლიტერატურული ფიქსაცია, ერთგვარი მხატვრული სამკაფოა. პოემაში უველი მიჯნური „ხელია". ეს მოტივი ტრადიციულია.

მაგრამ ტარიელის ძმიმე სულიერ მდგომარეობას სხვა შინაგანი მოჭეშეტი უდევს საფუძველად აღმოსავლურ სამყაროში (ეთქვათ ნიზამითანა), საიდან შემოვდა და დამკვიდრდა ეს მოტივი თუ სოციალური ტრადიცია, გმირის, მიჯნურის ამგვარი სულიერი მდგომარეობა სულაც არ აღიქმება. როგორც ტრაგედია, პირიქით, იგი უმაღლესი ბედნიერებაა და გმირი არც ცდილობს ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევას. სულ სხვა მხარესაა მიმართული „ვეფხისტყაოსანს" მხატვრული კონცეფცია (როგორც აღნიშნეთანა, აქ მწვავე პოლემიკური აქცენტებიც იკვეთება). მიჯნურის და რაინდის იდეალი რუსთაველისთვის არის მოგმედი მებრძოლი გმირი, პოემის პათოსი ტანჯვის, სულიერ ტკივილთა დაძლევაშია. ტარიელმა ამოწურა მოგმედების ყოველგვარი საშუალება, მისთვის არ არსებობს მომავლის პერსპექტივა, მისი მომავალი, მისი შვება მოლოდ სიკვდილშია:

873. აწ დამეხსენ, სიკვდილმდის ვიტირო და
თავსა ვიცე.
მაგრა ვვდრებ დამარხვასა, მხეცთა
საშვლად არ მივიცე

ანდა:

884. არ ცოცხალ ვიყო, რას მაქმნიე? რა
დავრჩე, ხელსა მხეი რასა?
დამშლიან ჩემნი კავშირნი, შევჰრთვივარ
სულთა სირასა.

სწორედ ამიტომ ტარიელის „ხელობა" მისი სულიერი კრიზისი, განიცდება, როგორც ტრაგედია, როგორც დამარცხება. ამ პოზიციიდან ხდება გასაგები ერთი შეხედვით პარადოქსული განვითარება „ვეფხისტყაოსანს" სიუჟეტში — ამირიდან ტარიელისა და ნესტანის სიყვარულის ისტორიაში (რაც პოემის მთავარი ფაბულური ხაზია) მთავარი მოქმედი პირი, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, ხდება ავთანდილი.

ისე არ უნდა გავიგოთ, რომ რუსთაველი თითქოს რაღაცნაირად ამტყუნებს ტარიელს და მის დახმარებას მოქმედებას უპირისპირებს ავთანდილის ცხოვრებისეულ მწყმსობას. აკმარი ამ შემთხვევაში ერთგვარად დაშორდა თავის გმირს (რასაკვირველია, მხატვრული თვალსაზრისით). იმ მიზანმა, რომელსაც ტარიელი ელტვის, გამოიწვია მისი დამარცხება. მის მიერ განვლილი ძმიმე გზა ახლა ავთანდილმა უნდა განაგრძოს, მანაც უნდა იტვირთოს თავისი წილი ტანჯვისა, რაც მათ საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანს.

მგონია, რომ ტარიელის დამარცხება რუსთაველის ერთი ყველაზე გენიალური მიგნებაა, როგორც კონცეფციერ, ისე წმინდა მხატვრულ სფერონში. სრულიად ბუნებრივად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე მოხდა გმირთა როლებისა და ფუნქციების შენაცვლება, ახალი მაცოცხლებელი იმპულსი მიეცა სიუჟეტის განვითარებას და, რაც მთავარია, მეტი სიმძაფრე, მეტი ადამიანური სიღრმე შეიძინა ტარიელისა და ნესტანის სიყვარულის ისტორიამ.

●

როდესაც ვაანალიზებთ „ვეფხისტყაოსანს" სიუჟეტს, შეუძლებელია მოკლედ მაინე ან შეუეხოთ მის მეტად საინტერესო ფენას, რომელსაც პირობითად საგმირო-ზღაპრული ფენა შეიძლება ვუწოდოთ, მითუმეტეს, რომ ამგვარი ეპიზოდების შემცველი ადგილები გარკვეული კატეგორიის მკითხველთა მიერ მიჩნეული იყო, როგორც „ვეფხისტყაოსანის" ბუნების განმსაზღვრელი.

დიდი ხანია შემჩნეულია, რომ ზღაპრული ფანტასტიკური პერსონაჟები „ვეფხისტყაოსანს" პოეტურ სამყაროში ძალზე მცირე როლს ასრულებენ, და იმ იშვიათ შემთხვევებშიც კი, როცა გამოჩნდებიან ხოლმე სცენაზე, ჩამოშორებული აქვთ თავიანთი ზღაპრული სამოსელი (ამ დებულებას იმდენად ბევრი რუსთველოლოგი, როგორც ქართველი, ისე უცხოელი, აზიარებს, რომ მათი ნაშრომების ჩამოთვლა აქ ძალზე ზორს წაგვიყვანდა); მაგრამ ამ პერსონაჟებზე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია პოემის სიუჟეტი ე. წ. ავანტიურული მომენტები, რომლებიც აგრძელებენ დამახასიათებელია საერთოდ ჯადოსნური ზღაპრებისათვის. „ვეფხისტყაოსანში" ხშირია მოულოდნელი შეხვედრები და ამ შეხვედრებთან დაკავშირებული თავგადასავლები. მართალია, პოემის გმირები თვიანთ გზაზე თითქმის არ ხვდებიან ფანტასტიკურ არსებებს, მაგრამ ამ შეხვედრების ზღა-

პრული კოლორიტი აშკარაა. ახეთი ეპიზოდები, მაგალითად, ფრედონის და ტარიელის შეხვედრა, ავთანდილისა და ვაჭრების, ავთანდილისა და ფატმანის შეხვედრა. პოემაშიც, ისევე როგორც ზღაპარში, ეს ეპიზოდები განაპირობებენ მოქმედების განვითარებას, ყოველი მომდევნო მოუფლიდნელი შეხვედრის შემდგომ იკვეთება ახალი მიმართულება ნესტანის ძიებისა.

ამგვარი კონვენციური ეპიზოდების რიცხვს განეკუთვნება საგმირო სცენებიც პოემის სიუჟეტისა (მაგალითად, ტარიელის ომი ხატაელებთან, ბრძოლა ფრედონის ბიძაშვილებთან, ავთანდილის შეტაკება მეკობრეებთან. ნადირობისა და ნადიმის მმსახველი ეპიზოდები და სხვ.). მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ პოეტურ კონტექსტში ეს კონვენციურობა ძნელად აღსაქმელია, რადგან ამგვარ ეპიზოდებს ძალზე მჭიდრო ორგანული კავშირი აქვთ საერთო სიუჟეტურ განვითარებასთან, აგრეთვე, ისინი ავებულია მხატვრული სიმართლის ნათელი ლოგიკით. ამ დებულების ნეშმარიტებას მრავალი რუსთველოლოგიური ნაშრომი ცხადყოფს. მაგრამ კლასიკური ზომიერების განცდა ორგანულია „ვეფხისტყაოსნის“ ავტორისათვის, როგორც აღნიშნავს კ. გაწერელია, ნაწარმოების სიუჟეტი: „შეკუშშულია და ჩასმულია პოემის ინტონაციის ჩარჩოებში“. მოქმედებათა სიჭარბე არსად არ ჩრდილავს სიუჟეტის ლირიკულ განვითარებას, რის გამოც მკითხველი არ კარგავს კონტაქტს მგრძნობს სულიერ სამყაროსთან, არ წყდება პოემის მთავარი იდეა მხატვრული განვითარების ძირითად გზას, მაგრამ საგმირო-ზღაპური კოლორიტის მხატვული ფუნქციის დამცირებაც არ იქნებოდა სამართლიანი. იქნებ სწორედ ამ დაპირისპირებულ ნაკადთა — ლირიკულისა და ეპიოური — მხატვრული შერწყმა ჰქმნის „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის არაჩვეულებრივ ჰარმონიას.

ახლა, როდესაც უკვე ეცადეთ „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე ძირითადი სიუჟეტური მოტივნტის დახასიათება კვლავ მივუბრუნდეთ ჯ. ინგროოფას მიერ გამოთქმულ აზრს პოემის მთავარ გმირთა შესახებ. ამ აზრისავე გამოძახილია ვ. ნორაკიძის ერთი დებულებაც: „ასეთია ავთანდილი, როგორც პიროვნება, როგორც ქარაქტეროლოგიური ტიპი. საკმარისია ამავე თვალსაზრისით იგი შეეადაროთ ტარიელს, რომ მათ, შორის მსგავსება ვიპოვოთ. რაც შეეხება მათ შორის არსებულ განსხვავებას, ეს უკანასკნელი მათი განცდებისა და ქცევების მხოლოდ განსხვავებულ სიტუაციაში გამოულენის შედეგია“. ეს ერთი შეხედვით სწორი დებულება უეჭველად მოითხოვს ქარაქეული კომენტარს. სხვათა შორის, არსებობს დიამეტრალურად საწინააღმდეგო მოსაზრებანიც, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ეს კამათი არარსებული პრობლემის გვლივ მიმდინარეობს. „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ფსიქოლოგიური შტარიები ზოგადდამინერია და არა ხასგამსხვავად კონკრეტული, მათი ხასიათების ორიგინალობა ანდა ერთადერთობა სულ სხვა მოტივებს ეკუთნობა.

ქრისტიანული კათარზისის იდეა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორისათვის ადამიანის დანშუნულების სამყაროში მისი როლის გააზრების უზნგადესი ფორმაა. ამ იდეასთნ მიმართებაში პოემის გმირები წარმოჩნდებიან, როგორც ღვთის რჩეულნი, როგორც ყოველგვარ ადამიანურ საზღვარს აღმატებულნი. მაღალი მიზნითაა განმსჭვალული მათი ენებები, მეგობრობა, სიყვარული. ჩვეულებრივი ეთიკურ-ზნეობრივი ნორმები „ვეფხისტყაოსნის“ გმირებისათვის პირობითია. მათ ქცევას უცნაური გრადაციები ახასიათებს, გარკვეულ შემთხვევებში ისინი სასტიკად უსწორდებიან მეტოქეებს. მაგრამ, ამავე დროს, რჩებიან მიმტევნელნ რაინდებად, დაუჩრდილავი მორალური პრინციპების მატარებლებად. „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ქმედება არ არის რადაც კერძო თვითგადარჩენის სურვილით ნაკარნახევი აქტი, პირიქით იგი ზოგადსაკაცობრიო მისწრაფების განხორციელებაა (მაგრამ არც ისე უნდა ვიფიქროთ, რომ პოემის პერსონაჟთა ფუნქციები გადოლებულია ქრისტეს მნიშვნელობასთან, „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ამბავი გამოკვეთილად ლიტერატურულია, ისევე როგორც ზოგადსაკაცობრიო პოეტური დანტეს ჯოჯოხეთი, სალხინებელი და სამოთხე, მხატვრულ შემოქმედებას კი არასდროს ჭქონია, მითუმეტეს, შეა საუკუნეებში, [illegible] მოძღვრების პრეტენზია).

ყოველივე რაც ითქვა, მაინც მხოლოდ ერთი მხარეა „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ხასიათის მხატვრული განვითარებისა. კონკრეტულ სიუჟეტურ სიტუაციებში, რომელთაც, ცხადია, პირობითად, ცხოვრებისეული სიტუაციებიც შეიძლება ვუწოდოთ, მათი შინაგანი სამყაროს დამუშაკულია მძაფრი, მაგრამ ყველასათვის ახლობელი ემოციებით, უფრო მეტიც, ჩვენს აზრით, შეუძლებელია იმის თქმა, თუ შინაგა მხატვრული თვალსაზრისით (მათი ხასიათის რომელი მხარეა უფრო მნიშვნელოვანი: — ადამიანური თუ ღვთაებრივი. „ვეფხისტყაოსნის“ გმირებისთვის არ არის უცხო დაეჭვება, შინაგანი კონფლიქტები, მძიმე სულიერი კრიზისი, ამიტომ მათი დამარცხება ტრაგიკულ თანგანცდას ბადებს მკითხველში, ხოლო გამარჯვება კი გულშრფელ სიხარულს.

ამგვარ მკვეთრად დაპირისპირებულ პოლარულ თვისებებზეა აგებული „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა სახეები და მხოლოდ გენიოსის პოეტურ წარმოსახვაში შეეძლოთ მათ შერწყმულიყვნენ განუმეორებელ ჰარმონიად.

დავით გოგოჭური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ლექსის სათავეებთან

ქართული კლასიკური ლექსი სათანადო ხილვრმით არის შესწავლილი. მკითხველს მდიდარი ლიტერატურა მოეპოვება როგორც ცალკეული წერილებისა თუ სტატიების, ისე ვრცელი მონოგრაფიების სახით.

მკვლევარი პავლე ინგოროყვა მიიჩნევს, რომ ქართულ ლექსს „ისეთივე ხანგრძლივი ისტორია აქვს, როგორც ქართულ პროზას“ და ლიტერატურული ლექსის ისტორიას მეხუთე საუკუნიდან იწყებს. პ. ინგოროყვას მოსაზრებასთან დაკავშირებით აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე წერს, რომ „ამ შეხედულებაში ერთი რომელიმე ტტროფი, ცალკე ალებული, არ შეადგენს ლექსს, რადგანაც ამაში არაა არც მეტრი, არც რიტმი, არც რითმა და არც სხვა რამე ოვისება, რომელიც ლექსს ჰქმნის“. მეცნიერის აზრით „დაიწყო ქართული მიმნოგრაფია მეშვიდე საუკუნიდან“.

მიუხედავად ამისა, რომ ქართული ლექსის ისტორიის განსაზღვრაში მკვლევართა შორის ერთი აზრი არ არსებობს, ფაქტად მაინც ის რჩება, რომ ძველ ქართულ მწერლობაში გვაქვს პოეტური ნაწარმოებები ნათარგმნი თუ ორიგინალური იამბიკოების, საღვთისმსახური საგალობლების და ჰიმნების სახით; ხოლო მეათე საუკუნიდან კი ხელნაწერებშა თქვენმეტმარცვლიანი შაირიც შემოგვინახეს.

ძველი მწერლობის მეორე პერიოდი კი, როგორც ცნობილია, ლექსის ფორმათა მრავალფეროვნებით ხასიათდება.

კლასიკური ქართული ლექსის შესწავლისას თითქმის ყველა მკვლევარი ვვერდს უვლის ზეპირსახტყვიერ მასალას. პ. ინგოროყვამ, რომელმაც უდიდესი შრომა და ენერგია მოახმარა ქართული ლექსის ძირების ძიებას, ამასთან დაკავშირებით მხოლოდ იხ აღნიშნა,რომ „კლასიკური ქართული ლექსის სათავე და პირველწყარო არის ქართული ხალხური სიტყვიერება, ძველი ქართული ხალხური პოეზია“.

ხალხურ სიტყვიერებას, როგორც მასალას, საკუთარ შრომებში ითვალისწინებენ მეცნიერებთა სრულიად სხვადასხვა დარგის სპეციალისტები: ისტორიკოსები და ლიტერატურის ისტორიკოსები, ენათმეცნიერები და მუსიკათმცოდნეები, ეთნოგრაფები, სამართალმცოდნეები და მრავალი სხვა. დანარჩენ მკვლევრებზე რომ ალარაფერი ვთქვათ, აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა ქართველი ერის ისტორიის წარმართული ხანის შესასწავლად ხომ ერთ-ერთ ძირითად მასალად სწორედ წარმართმთისდროინდელი ხალხური სიტყვიერება გამოიყენა.

ქართული ხალხური პოეზიის მთელი რიგი ჟანრები უძველესი სახით უფრო მთის კუთხეებს შემორჩა. პროფესორმა შ. ასლანიშვილმა აღნიშნა, რომ „ამ კუთხემ მსოფლიოში უძველესი მუსიკის მუმცერებული ფორმები, როგორც ცოცხალმა მუზეუმმა ისე შემოინახა“.

მკვლევარი შესაძლებლად მიიჩნევს ამ კუთხეში ქართული ლექსის უძველესი საზომის შემონახვასაც. „ხევსურეთში — წერს იგი — ყველაზე მეტად იყო მოსალოდნელი ქართული ლექსის უძველესი საზომის შემონახვა, ვინაიდან ყოფის ყველაზე უფრო კონსერვირებული სახე აქ შეგვიგრია“.

თუ როგორი უნდა ყოფილიყო უძველესი ზოგად-ქართველური სიმღერის ფორმა და რიტმი, ამის ახსნას კომპოზიტორი დ. არაყიშვილი ხევსურულ სიმღერებში ეძებს. იგი წერს: „ხევსურული სიმღერა უძველესი დროის თვალსაჩინო მაგალითია. იგი მეტად ძვირფასი დამამტკიცებელი სახეობა იმისა, თუ როგორი იყო, დაახლოებით ან როგორი უნდა ყოფილიყო ღრმა წარსულში თავისი ფორმით და რიტმით ზოგადქართველური სიმღერა“.

პროფესორმა გრიგოლ ჩხიკვაძემ გაოცება გამოთქვა ხევსურული სიმღერების არაკუულობის გამო და მკვლევარი შეეხო რა მთაში შემონახულ წარმართულ საგალობლებს აღნიშნა, რომ „ქართული მუსიკალური ფოლკლორის ეს ნიშაში თავისი სიუჟეტით წარმოადგენენ უძველესი დროის წარმართული რელიგიის გადმონაშთს.

მთაში შემონახული ძველი რიტუალური სიმღერები რომ წარმართულია, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ამ საკითხის გარკვევას განსაკუთრებული ამაგი დასდო პროფესორმა ვერა ბარდველიძემ, მკვლევარმა ვახტანგ კოტეტიშვილმა კი ეს ხაწერსო სიმღერები, „ჰიმეროსის ჰიმნების“ მსგავსად, უძველეს წარმართულ სახადო პრელუდიად მიიჩნია, ხოლო ამგვარად კი ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე ხელთა გვაქვს პროფესორ მიხეილ ჩიქოვანის მონოგრაფიული ნაშრომები.

განსაკუთრებული არქაულობითა და საშემსრულებლო რიტუალის კონსერვატიულობით ხასიათდებიან წარმართულ ღვთისმსახურებასთან დაკავშირებული ჟანრები: სახატო სიმღერები და ფერხულსული, სადიდებელნი, ქადაგობანი და

ხუცობანი, აგრეთვე სულთანობანი და დატირებანი.

ხელთა გვაქვს საკმაოდ მდიდარი, როგორც გამოქვეყნებული ისე ხელნაწერის სახით დაცული მასალა, სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა პირის მიერ მოპოვებული. მათი უმეტესობა (ხუცობანი, სადიდებელნი, ქადაგობანი) პროზადაა ჩაწერილი და გამოქვეყნებული. გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ერთი და იგივე ნაწარმოება ხან გაბმით, პროზადაა ჩაწერილი, ხან კი ლექსად. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ამ ჟანრების შინაგანი წყობა და სტრუქტურა ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი.

რა არის, ბოლოს და ბოლოს, ეს ჟანრები, პროზაა თუ ლექსი? ხოლო თუ ლექსია, მაშინ როგორია მათი სტრუქტურა, ტაეტთა აღნაგობა, აქვს თუ არა ამ ნაწარმოებებს გარკვეული მეტრი, კანონზომიერად მოწესრიგებული რიტმი და სხვა ნიშნები, რაც აუცილებელი არის ლექსისათვის.

აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ ხევსურულ პოეზიაზე მუშაობისას შენიშნა, რომ გაბატონებული და თითქმის ერთადერთი საზომის, 16-მარცვლიანი შაირის გარდა, ხევსურულ პოეზიაში იხმარებოდა 9-მარცვლიანი ტაეპები. მკვლევარი ამის შესახებ მაშინ წერდა „ერთია ძალიან საეურადღებო მთიანლური ლექსებში — ეს გაბლავს მათი ფორმა, რომელიც სრულ კონტრასტს წარმოადგენს დანარჩენ სიმღერა-ლექსებისას. აკ არ არის რითმა, რომელიც აუცილებელი ნიშანია ქართული ხალხური ლექსისა საზოგადოდ. არცოუ მარცვლათა რაოდენობით უდგება ამ ცოცალი ლექსები სხვა ლექსებს“.

ბატონ აკაკის მაშინ ხელთ არ ჰქონია სხვა კუთხეთა მთიანლური სიმღერები, რომ ეფსჭელა, თუ რამდენად დაბამახასიათებელია ეს საზომი საერთო ქართულისათვის. „ყოველ შემთხვევაში, — წერდა მკვლევარი, — ახეთ სიმღერებში უნდა გვქონდეს ერთ-ეროთი ნიმუში უძველესი ქართული ლექსისა, რაიცა ფრიად მნიშვნელოვანია ქართული მეტრიკის ისტორიისათვის“.

მასალების უკმარობა, რასაც იმჟამად უჩივის პატივცემული მკვლევარი, ახლა ალარ იგრძნობა. ცხრამარცვლიანი ტაეპებით აგებული ტექსტები ფოლკლორისტების მიერ დამოწმებულ იქნა საქართველოს მრავალ კუთხეში. განსაკუთრებით ფშავ-ხევსურეთის, ხევის და მთიულეთ-გუდამაყრის წარმართულ-რიტუალურ ტექსტებში აღმოჩნდა ეს საზომი ხელშესახებად.

კვლევა-ძიებამ კი იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ 9-მარცვლიანი ტაეპი მარტო მთიანლური კუთვნილება რადაა. რომ ამავე საზომითაა (5-4) შემქნილი უძველესი წარმართული ქადაგობანი, საერო ქართულ წარმართულ ღვთაებათა — ბზისა და ცისკარ-კვირაის სადიდებელნი, ხუცობანი. 9-მარცვლის, მხოლოდ მუხლების შებრუნებულიო კომბინაციით მოითხოვს აგრეთვე წარმართული ფერხულების რიტმი და სახატოსაგმირო სიმღერების მუსიკა. ამას თუ დავუმატებთ ბატონ აკაკის ბევრ პირველად მოგზებული სამეურნეო მთიანლურებისა და დატირებათა ტექსტების 9-მარცვლიან საზომებს, გამოდის, რომ ეს ზომა გადატანებული ყოფილა ადრეულ წარსულში, ეს ფაქტი კი ისტორიული პოეტიკის თვალსაზრისით, ბატონი აკაკის გამოთქმა რომ გავიმეოროთ, „ფრიად მნიშვნელოვანია“.

ქადაგი და ქადაგობის ინსტიტუტი მრავალი ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი. იგი ყველგან სიძველის კვალს ატარებს. საქართველოში ამ ჩვეულების თავისებური სახით შერჩენილა და-მოწმებული აქვს ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქის უცნოელ მოაზროვნეს. ამ წარმართულმა ჩვეულებამ დიდხანს გაძლო. რაც შეეხება მთას, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს მთის კუთხეებს, აქ ქადაგობის ინსტიტუტმა თავისი ძველისებური ფორმა და ფუნქცია ბოლო დრამდე შეინარჩუნა.

ქადაგსა და მის სოციალურ ფუნქციას ბევრი მკვლევარი შეეხო. ეიაკ-ფშაველამ დეტალურად აღწერა ფშაური ქადაგობის რიტუალი. ეთნოგრაფმა თ. ოჩიაურმა ქადაგი და ქადაგობანი ეთნოგრაფიულად შეისწავლა.

როგორც ცნობილია, ხალხი ქადაგს იმ პიროვნებას უწოდებს, ვინც მას ღვთაების ნებასურვ
ელს აუწყებს. ქადაგის მიერ მონათხრობ ღვთაების ნება-სურვილს ხალხი ნაქადაგარს ანუ „ქადაგობანს“ უწოდებდა და მის მიმართ დიდ მოწიწებას იჩენდა. ფხოელთა ქადაგის შესახებ ვახუშტი წერს, რომ ხალხს „აქუს ხასოვა ქადაგსა ზედა“ და „ხთნაეთ და ჯერ ჩენენ უმეტეს ბეშმარიტებისასა“. ქადაგი ხშირად ხალხისთან მტკიზე თავდასხმისა თუ სხვა სამხედრო-პოლიტიკური შინაარსის მოწოდებებს აფრცელებდა. რაც საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში თედო რაზიკაშვილს, რომ იგი ნაქადაგართა შესახებ წერდა, რომ მათ „ხევსური ხმა კაცს ადვილად არ აღარსებსო“.

მიუხედავად ამისა, მაინც გვაქვს ნაქადაგარი ტექსტების საკმაო რაოდენობა.

ამჟერად ამ უძველესი წარმართული ჟანრის მეტრულ სტრუქტურას გვინდა შევეხოთ. ქადაგობათა ტექსტი ი. რაზიკაშვილს ჯერ კიდევ 1891 წელს ჩაუწერია ლექსის ფორმით მაგრამ ეს ტექსტი მხოლოდ 1971 წელს გამოაქვეყნა პროფესორმა მ. ჩიქოვანმა, მანამ კი ვისაც როგორ მოეპრანჭებოდა, პროზად თუ ლექსად ისე იწერდნენ და აქვეყნებდნენ ამ ტექსტებს, ხოლო „რაც შეეხება ფორმას, — აღნიშნავდა მ. ჩიქოვანი — სტრუქტურას გამომსახველობით საშუალებებს და საერთად პოეტიკას — სრულიად ხელუხლებელია“.

დავით გოგოგური
ქართული ლექსის სათავეებთან

ნაკადაგართა როგორც ძველი, ისე ახლახან ფიქსირებული ტექსტები მეტრისა და ცეზურის მიხედვით ერთიმეორისაგან არ განსხვავდებიან. ყველი მათგანის ტაეპები 9-მარცვლიანი საზომით არის განწყობილი. გვაქვს აგ ბაზომიდან ქადაგრის მხოლოდ მცირე შემთხვევები, რაც უდავოდ მოკმელისა თუ ჩამწერის მიზეზით უნდა იყოს გამოწვეული. მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ ნაკადაგრებში არქაულ ლექსიკასა და ფორმებთან ერთად ე. წ. „ბატის ენაც“ უხვადაა შერეული, რაც ალა მარტო ზუსტად დახსომებას, არამედ ჩაწერასაც ანძლიებს. ნაკადაგართა ორ მესამედზე ეტეს სრულიად მოწესრიგებული და ნორმირებული 9-მარცვლიანი ტაეპები აქვს, სტრუქტურით 5-4, აი, ეს ტაეპებიც.

ბაადურს ჩაკეცვ||მორიგება.
5 4

ტანზედა კაბა||სისვისაკ.
5 4

ჩაქმან ჩაკეცნა||რკინისანი.
5 4

თავზე დახურა||თეთრი ქუდი
5 4

ჭიგური მისცნა||თუჯისანი
5 4

კაბის საყელ-ოთ||მასაყრელნი.
5 4

მათრაკი მისცა||მორიგემა,
5 4

სენ სამსალაითმ||გაფეცრული.
5 4

მემრე გადაუშვ||ქმელეთზედა და ა. შ.
5 4

იგივე მეტრი და ცეზურული სტრუქტურა გვხვდება სხვა ნაკადაგრებშიც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერი ტაეპზე დართული პროსოდიიდან ო-ს, რომელიც, როგორც ცნობილია, მეტრის შემადგენელ ნაწილად არ ითვლება.

ვნახოთ ქალი ქადაგის მინანი ბაზხაჯაურის ნაკადაგარი:

„წოვათ მეშტარა||შამამესწერა,
სალაღებელთ რო||ვმეშაობდი.
აწ ნახეთ იმის||ბედ-იღბალი,
დავსვი სამეკაო||ბეზერაი...
ჩემნი ზალტენი||საყიგვენი,
გორს მაჰზეს ქავის||ყორეზედა,
გრილწყაროთ მაჰზეს||ბერ-სატანნი,
ჩემი ფიფქაი,||თვირთვილაი,
თეთრო მთის ქორო||ფერგვაფლო
ჩემო იმედო,||ხთის იმედო,..

კიდევ ერთი ქადაგობის მაგალითიც, რომელიც პროზის ფორმით ე. ი. გადაბმულად იყო დაბეჭდილი:

მორიგეგე ღმერთო||გეხვეწები (ო),
მაგთხოვდი მადლსა||გიხრი ჩოქსა (ო)...
ელჩობაი მაქვ||მალოცველი (ო).
ყუდიოს დამეკერი,||გეხვეწები (ო).
ჩამაოლ მადლის||საბოგრაფდ (ო).
ჩამაოლ ზეგნის||საწერლად (ო).

ნაკადაგარი ვრცელია, მაგრამ მისი ვერსიფიკაციული წყობა იგივეა, რაც მოხანილ ტაეპებშია.

ვფიქრობთ, ხალხუსტრაციო მასალები საკმაოა იმისთვის, რომ მათი წყობის შესახებ ნათელი წარმოდგენა გვქონდეს. ისინი ფრითმო (თეთრი) ლექსებია. მოიხენდავად ამისა, თუ რა ფორმა აქვთ მათ მიცემული ჩაბეჭერთა თუ პუბლიკაციორთაგან.

ქადაგობასთან ერთად ფრიად საყურადღებო რიტუალია „ხუცობა“. „ხუცობანი“ იმ ტექსტს ეწოდება, რომელსაც ხუცესი რელიგიური რიტუალის დროს წარმოთქვამს. თავისი შინაარსით ეს ტექსტი ღვთისშვილთათვის მიმართვას წარმოადგენს. ხუცესი ხატსა და მლოცველ პიროვნებას შორის ისეთივე შუამავალია, როგორც ქადაგი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ქადაგი ხალხს ხატის ნება-სურვილს აუწყებს, ხოლო ხუცესი კი მლოცველის თხოვნა-მუდარას მოახსენებს ხატ-ხალოცავებს. არის სხვა განსხვავებაც: ქადაგობანი ექსპრომტულია, ხოლო ხუცობანი — ტრადიციურ-ტექსტი.

ხუცობანი, განფარნელად იმისა, თუ რომელ კატეგორიას ეკუთვნის იგი, ორი ნაწილისაგან შედგება. მის დასაწყის ნაწილს „ეპრინსკარი“ ჰქვია, ხოლო მეორე ნახევარს კი „ეკრთხევანი“. რიტუალის დროს ორივე ნაწილი ერთიმეორის მიყოლებით და ერთად უნდა წარმოითქვას.

თითქმის ყველა მკვლევარი თუ პუბლიკატორი ხაზს უსვამს იმ მდგომარეობას, რომ რიტუალის პროცესში ტექსტის ჩაწერა ჭირს, ვინაიდან სიტყვებს ხუცესი ძალიან ჩქარი ტემპით და გაურკვეველად წარმოთქვამს.

ჩვენს ხელთ არის ერთი ხუცუნის მანძილზე სპეციალისტთა თუ მოყვარულთა მიერ ჩაწერილი ხუცობათა მრავალი ტექსტი. მკვლევარები ხუცობათა ფორმის შესახებ იმის მეტს არაფერს ამბობენ, რომ იგი რიგმულ პროზად, ანუ უბრალოდ, პროზად მიიჩნიეთ.

ტექსტების შესწავლა უდავო საფუძველს იძლევა იმის მტკიცებისათვის, რომ ხუცობათა ტექსტების შესავალ ნაწილს, რომელიც წარმართული ღმერთებისთვის მიმართვას წარმოადგენს და განსაკუთრებული არქაულობით ხასიათდება სრულიად მოწესრიგებული და ნათლად გამოკვეთილი რიტმი და მეტრი გააჩნია, რომ აკა გვაქვს თანაბარი ტაეპები მუხლებისა და ტერფების კანონზომიერი განმეორებებთან.

ხუცობათა ტექსტის პირველი ნაწილი, რომელსაც „ეპრინსკარი“ ეწოდება, აშკარად ატარებს წარმართული სარწმუნოების ელემენტებს. იგი ადიდებს მორიგე ღმერთს, ცასა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზეს, ღვთის მიკარვე ცისკარ-კვირიას. შემდეგ გადადის დარგოპრაც თუ სხვა ღვთიშვილის დიდებაზე და ამრიგად, ხელთ ვვიძლევა თავისი შინაარსით სუფთა წარმართული საგალობელი, უძველესი არქაული ლექსიკითა და ფორმებით.

„პირისკართა“ ტაეპი 9-მარცვლიანია და ტერფები სწორად ისეთივე სტრუქტურისა აქვს, როგორც ნაკადაგრეს, ავიღოთ „პირისკართა“ დასაწყისი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ აშკარად არასწორად ჩაწერილ ტექსტს. მათი უდიდესი უმრავლესობა ასე იწუბა:

დიდება ღმერთსა,||მადლი ღმერთსა,
5 4
დიდება დღესა||დღესინნდელსა,
5 4
დიდება ძალს კვი||რაისასა;
5 4

ხოლო კერძო ხატის, მაგალითად, გიორგი ნაღვარმშვენიერის სადიდებელი ხუცობის ტექსტი კი ასოცი წლის წინათ ი. ჯაკავაძის მიერ პროზად ჩაწერილი, სტროფინებად დალაგების შემდეგ ასეთ სახეს ღებულობს:

„ღვთისაგან გამა||რჯვება შენდა.
5 4
გიორგი ნაღვარ||მშვენიერო.
5 4
მეხვეწე კაცი||მაიხვეწე.
5 4
შენ გადიდებსა,||გაგიმარჯვებს,
5 4
შენ მორიგე ღმერთ||არ მაგიწყენს.
5 4
შენს მეხვეწურს შენ||ნუ მიიწყენ.
5 4
ჩოქს მამხრელსა||მადლი მამთხოვს,
5 4
მამხსენებელსა||იმედსა და ა. შ.
5 4

ჩვენი ეს მიგნება პირველად რომ გამოვიტანეთ საზოგადოების წინაშე, გამოჩნდენ მოდავენიც, რომელნიც ამტკიცებდნენ, — ზუცობანი, გინდა თუ არა, პროზაიო და იქვე საილუსტრაციოო ტექსტიც მოჰქონდათ. ჩვენ სწორედ მათ მიერ მოტანილი ტექსტი დავალაგეთ სტროფინებად, აი ისიც:

დიდება ღმერთსა||მადლი ღმერთსა, 9 (5-4)
დიდება დღეს (ა)||დღესინდელსა, 9 (5-4)
ძალს ხთისას, ძალს კვი||რაისას (ა) 9 (5-4)
დიდებად გამარ||ჯვება შენდა, 9 (5-4)
მიქელ კარის||მეზობელო, 9(5-4)
მომმეო მიქა||ელისაო... 9 (5-4)

ტექსტში აშკარად უკანონოდ დაკლებული მხოლოდ ორი ხმოვანი (ფრჩხილებში ჩასმული) აღვადგინეთ სხვა ჩანაწერების მიხედვით და ასეთი ფორმა მიიღო ამ „პროზამ“.

ყველა ღვთიშვილს, თავისი სახელი ჰქვია, მაგრამ ზუცესს ამ სახელისთვის ეპითეტებიც მიუმატებია და ყოველი ბატის სახელწოდებებიც ჩამოყალიბებულ და გამართულ ტაეპად უნდა ვთქვა:

1. პირქუში ცეცხლის||ალიანი;
2. გიორგი, ხმელის||გორისაო;
3. გიორგი, ხალვარ||მშვენერი;
4. ბერი ბეჭნი||მაადერო;
5. თეთრი მთის ქორი||თერგვალელი;
6. კოპალა ცეცხლის||ალიანი; და სხვა.

ყველი ეს სახელწოდება 9-მარცვლიანია და წარმოთქმის დროს რიტმი მათ ბუნ და ოთხ მარცვლიან მუხლებად ყოფს. ზუცოს ტექსტში ისინი ასეთ სახეს ღებულობენ:

შენ გადიდასა||გაგიმარჯვას.
საღმთოო ბერო||მაადერო.

ზუცობათა თავისებურ სახეს წარმოადგენს ე. წ. „ხ-დიდებელნი“. ეს თავისებურება იმით გამოიხატება, რომ მახვეწარი ოჯახი რამდენიმე ღვთიშვილისათვის ერთდროულად აწყობს სარიტუალო სუფრას, რომელზედაც ხშირად იმდენი თასი ლუფი იდგმება, რამდენი ბატის მოხსენებაც ქმლოცვიდან აქვს გადაწყვეტილი და ამის მიხედვით ზუცესი ყოველი თასის მიმართ წარმოთქვამს შეხამამისი ბატის სადიდებელ ტრადიციულ ტექსტს. ჩვენ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ჩამწერის მიერ ჩაწერილი ტექსტებიდან ამოვკრიბეთ ეს სახელწოდებანი და აი, როგორი ფორმა და სტრუქტურა აქვს მათ: სალმთოო ბერო მაადერო; კვირა ევთელანერგიანა; სანეგანოს წვერისა; ხაუბა ქმელის გორისა; თეთრო გიორგი მინდვრისა; გიორგიგ ნაღვრის პირისა; გიორგიგ ნაღკარ მშვენერო; ღუბისთვა სვეტის ანგელოზო; პირქუშო ცეცხლის ალიანო; კოპალავ ლალო ლახტიანო; მთავარო მუხის ანგელოზო; გიორგი ნაკეშ მობურთალო; მიქიელ წყაროსთვისა; იახსარ სვეტად ჩამოხულო; ჯაკველო ხმელის გორისაო...

ღვთიშვილები ბევრია და ვფიქრობთ, რომ სასლუსტრაციოდ ეს სია საკმაოა. დავაკვირდეთ მათს აგებულებას. ისინი ხომ სრულიად რაფინირებული ტაეპებია, რომლებსაც ოვიეე ცხრა მარცვლიანი სტროფინი აქვს მუხლების იმავე წყობით, რაც ზუცოზებსა და ქადაგობებში ვნახეთ.

ახლა კი ჩავხვალთ ისიმი კონტექსტში. დავალაგოთ სტროფებად ისე, როგორც ამას ზუცესი აკეთებს და აი, რას ვღებულობთ:

აა, ემ ჭიქა||ბარძიმითა,
შენ გადიდ...ასა||გაგიმარჯვას,
კოპალავ ცეცხლის||ალიანო,
ვეორე ჭიქა||ბარძიმითა
შენ გადიდასა||გაგიმარჯვას

გიორგი ნაღვარ||მშვენიერო.
მესამე ჭიქა||ბარიშიმიჯა...

როგორც ვხედავთ, პირველი ორი ტაეპი ტრაფარტულია და თითქმის უცვლელად მეორდება, მესამე კი იცვლება იმიტომ, რომ ღვთიშვილთა სახელწოდებებია, მაგრამ მეტრი და რიტმი ყველგან ერთი და იგივეა.

გარკვევით უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად ამ აშკარად გამოკვეთილი ტაეპებისა, რაც ჩამოყალიბებულ პოეტურ სტროფებს გვაძლევს, ხუცოობანი მლილიად და მათი ყველა ვარიანტი როდინა ასეევ გამართული, ცხადია, ეს არც უნდა ყოფილიყო მოსალოდნელი, რადგან ხუცესი ჯერ ზემოთ მოტანილ ტრაფარტულთა, მყარი ტაეპებით ღვთიშვილებს მიმართავს, შემდეგ კი ჩაუთავს მლოცველის სახელს და სწორედ ამის გამო, რომ ზოგი მლოცველის სახელი გრძელია და ზოგისა მოკლე, სტრიქონში მარცვლათა თანაზომიერება ირღვევა. ზემომოტანილ ერთ-ერთ ტექსტში მამხსენებელი (მლოცველი) იმედ ყოფილა და „მამხსენებელსა||იმედსა“ გამართული სტრიქონია, მაგრამ იმედს ნაცვლად მამხსენებელი ეთქვათ, ჯერ-ება ან წიქას შვილები თუ იენებინდნენ, მეტრი დაირღვეოდა. მაგრამ საუბრადღებოა ტექსტების სწორედ ის არეული, ნყარი დასაწყისი, რომელითაც ხუცესი ღმერთებს მიმართავს და არა მისი გაგრძელება, რომელიც ყოველი წარმოთქმის დროს იცვლება, რადგან მლოცველები იცვლებიან.

ამას გარდა ლექსად გაწყობილ წარმართულ „პირის ქარშა“ შეუფერებია ქრისტიანული ელემენტს ქრისტეს, ღვთიშობლის, ანგელოზის და სხვათა ფორმით და ამკერადაც ისევე დარღვეულა მეტრი, როგორც ზემომოყვანილ მლოცველთა მაგალითზე ვნახეთ.

როგორც ვხედავთ, ხუცობათა დასაწყისი, კერძოდ, ის ნაწილი, რომელიც ერმართული ღვთიშვილებისადმი მიმართვას წარმოადგენს, ყ — მარცვლიანი თეთრი ლექსია.

ხალხური პოეზიაში 9-მარცვლიან ხაზომს პირველად აკაკი წერეთელმ მიაპყრო ყურადღება. მეცნიერს მხედველობაში ჰქონდა ხევსურული მოიმღერები. შემდგომი მკვლევრების მიერ ალიარებული იქნა მოიმღერების ორიგინალური ავტორულება ფ. ეანრის არქაულობა, თუმცა პოეტიკის თვალსაზრისით მის შესასწავლად წინ ნაბიჯი არავის გადადგამს, მოიმღერების ავთენტიკური ტექსტია ჩაწერილი. მოვიტანთ აკაკი წერეთლის მიერ ჩაწერილ ტექსტს:

„ცელი ვლესე და||ვერ გავლესე
გადალესეს||ყოფილიყვა
ცოლი ვწერთნე და||ვერ გავწერთნე,
თავში უწერთნი||ყოფილიყვა

პროფესორი პ. ბერაძე მოიმღერების სტრიქონს 18-მარცვლიანად მიიჩნევს. იგი წერს: „ლექსი სამი ტერფის შემდეგ „ო“-ით რომ მთავრდება, აქ შესვენებას გულისხმობს, ამასთან ეს შესვენება ლექსის სტრიქონის დასახრულს კი არ აღნიშნავს, არამედ შესვენებას, თუ გნებავთ, ცეზურას, უფრო სწორად იმ საჭირო პაუზას, რომელსაც უნდა მოაყვეს მეორე ნახევარი“.

მკვლევარის ამ მოსაზრების გაზიარება გაგვიჭირდება, ვინაიდან, ჯერ ერთი, ეს პროსოდიული „ო“ მთიმღერს არა მარტო პირველი ცხრა მარცვლის შემდეგ, არამედ ყოველი ცხრა მარცვლის შემდეგ დაერთვის, რაც სწორედ სტრიქონის დასრულებაზე მიგვითითებს; მეორეც, მკვლევარის მოსაზრება იმის შესახებ, რომ პირველი 9 მარცვლის შემდეგ აზრი არ სრულდება, თუ მას მეორე 9 მარცვლიც არ მიეგება, — დასაბუთებული არ არის, მკვლევარს ამორჩევით მოაქვს სწორედ ისეთი მასალები, რომლებიც მის დებულებას, თითქოს მხარს უნდა უჭერდეს, მაგრამ ავტორის მიერ მოყვანილი სალესტრაციო მასალები მისი დებულების სასარგებლოდ არაფერს ამბობენ.

განვიხილოთ მკვლევარისავე ნიმუშები:

„ციხე ატარდა ციხის კარონ,
ჩარდახნ ზეთა თვლოთ ბუთუნებენ-ო“

როგორც ვხედავთ, აქ ორივე სტრიქონს მოუდის ბოლოში პროსოდიული „ო“, ჩვენ ისინი დასრულებულ, დამოუკიდებელ სტრიქონებად მიგვაჩნია, პ. ბერაძის აზრით კი ისინი ერთი სტრიქონის ორ — პირველ და მეორე ნაწილებად იგულისხმებიან, ვინაიდან ცალ-ცალკე ისინი თითქოს, დასრულებული სტრიქონების უფლებით ვერ ისარგებლებენ. ავტორის მიდგომ შეხედულებას ზოგჯერ ისიც უწყობს ხელს, რომ დიალექტის არქაული ფორმები მას ყოველთვის ზუსტად არა აქვს გაგებული და ამიტომ ფიქრობს, სტრიქონნი დასრულებულნი არ არის. ავიღოთ ზემომოყვანილი სტრიქონი:

„ჩარდახნ სეთათვლოთ ბუთუნებენ-ო“.

„ზარდანნ სეთათვლოთ ბუთუნებენ“ — წერს პ. ბერაძე, — გარდაცვლილა და მის ძახლობლად თვლით ბუთუნებენ, ე. ი. „დათვლით ტირიან“.

მართალია, არსებობს დატირების სახე „დათვლით ტირილი“, მაგრამ ამ სტრიქონში ამის მსგავსი არაფერია. ზედა თვალი (შეცუმშული დიალექტით — ზეთათვლით) ზედა ოთახს, ზედა სართულს ნიშნავს და არა „თვლით ტირილს“.

მკვლევარი ბოლოს დაასკვნის, რომ „მთიბლური ლექსი ძირითადად სამმარცვლიანი — დაქტილური, ეკვსტერეანი ლექსია“.

თუ რამდენად საბუთიანია ეს დასკვნა, დავიწყოთ იმავე სტროფით:

„ზარვანუელ მიდგას წინა-ო,
თავ უძე ცხენის ცახტზედა-ო,
ციხე ატარდა, ციხის კარი-ო,
ჩარდახნ ზეთათვლოთ ბუთუნებენ“-ო

როგორც მთიბლური, ისე საზოგადოდ ამ ზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის სხვა ეანრები: ხმით ტირილი, ჭადაგობანი, ბერის ქარნი და სხვა, ორ ტერფად იყოფა (5-4) და ცეზურას ასეთი სახე აქვს:

შარვანაულ||ბიდგას წინა
5 4
თავ უძე ცხენის||ტახტაზედა...
5 4
ციხე ატრდა||ციის კარი,
5 4
ჩარდახნს ზეთაოვლოთ||ბუთუნებენე.
5 4

პროფესორ შ. ასლანიშვილს, რომელსაც ჯერ კიდევ აი ჰქონდა ხელი 9-მარცვლიანი ზომის სხვა ეანრების მასალები და მუსიკალურ გაანალიზებას მხოლოდ მთიბლური და ხმით ნატირალ მასალებზე აწარმოებდა, მოითითებული აქვს, რომ „ლექსის 9-მარცვლიანი სტროფი უფრო ხშირად ორ ნახევარ სტროფად იყოფა. ხუთი მარცვალი — ოთხი მარცვალი"! 9 მარცვლიანი მონაკვეთი (სულ ერთია, მას სტრიქონად ჩავთვლით თუ მის ნახევრად) ი. გოგოლაურის აზრითაც ორი ტაეფისაგან (5-4) შედგება. ასეთი დაყოფა ბუნებრივია და არ ეწინააღმდეგება ნორმალურ ცეზურას — ტერფთა შორის არ ხდება სიტყვათა განკეცთა, პირველი ხუთმარცვლიანი ტერფის ბოლო მეზუთე მარცვალზე მახვილი დაისმის და მეიორე ცეზურის შემდეგ იწყება მეორე ოთხმარცვლიანი ტერფი, რომელის დასრულების შემდეგ სტრიქონს ბოლოში ემატება პროსოდიული „ო". ორ ტერფად (5—4) სტრიქონის გაყოფას საფუძვლად უდგეს ავრეთვე ისიც, რომ „მუსიკალური რიტმი, საგანგებო ექვიდენციებება სიტყვიერი ტექსტის რიტმს" (4-35).

ახლა, რიდესაც დადგინდა, რომ 9-მარცვლიანი საზმინი გამოყენებულია სხვა ეანრებშიც და რომ ყველა ამ ეანრისათვის დამახასიათებელი მუსიკის (ალსაბერეის) რიტმთან შეწყობილი ორტერფიანობა (5-4) კიდევ უფრო გვეჩვენა, გავიზიარით პატივცემული მკვლევარის აზრი იმის შესახებ, რომ მთიბლური ლექსის სტრიქონი სამ ტერფად იყოფა.

პროფესორ პ. ხერაძეს მთიბლური ლექსის 18-მარცვლიანობის სიბუნად, უსიჩველეს ყოველსა, ის მოკვეს, რომ „შინარსობრივი მთლიანობა სწორედ ლექსის ორი სტრიქონის სიგრძეზე არის გაშლილი". მაგრამ მასალების მიხედვით ლექსის „შინაარსობრივი მთლიანობა" ძალიან ხშირად ერთ 9-მარცვლიან სტრიქონშივე მთავრდება და ასევე ხშირად ვერ მთავრდება ორ სტრიქონშიც.

არა გვგონია, რომ მთიბლურის 18-მარცვლიანობას უმეტესს მხარს ვეკმო მოტანილი სტრიქონები:

ფხიტუს მაღალო, გადამიშვი,
ნისლის კოტარა გადამრიდე.

ან

ახუნმა მამკლა დამბერა,
ახუნმა დამაკარიანა.

განა ქვემომტანილ მთიბლურებში „შინაარსობრივი მთლიანობა" ორ სტრიქონში მთავრდება? აქ ხომ მთლიანი შინაარსი კენტი სტრიქონებითაა გადმოცემული:

გიტირებ, ჩემი მამდიაო,
კუკუმაურო ჯიშისაო,
ჯვარში ქეოლანინ ასტეხო,
მთაში მთიბლების სამღერალო,
ნამპრეკვში საკაფიაოო".

ან:

ნუტარ ქაფიარსა რა მახკალვდა?
შიბი ცხრა-ეეეი ეეეა ყელსა
ლაშარის ჯვარის ნაჩეკარი.

ან კიდევ:

აის დრო არ გერჩიყვისაე,
ტანზე იარალს ისხემდიდე?
„მადე!" მტერს ეუბნებოდიდი,
„ბერდიაი ორ", იძახდიდი.

როგორც ვხედავთ, შინაარსობრივი მთლიანობის პრინციპს ორი სტრიქონი არ ქმნის. ეს მთლიანობა ცალკეულ 9-მარცვლიან სტრიქონებსაც შეიძლება გააჩნდეს და ისიც შეიძლება, რომ სამ და მეტ, — 9-მარცვლიან სტრიქონს მოიცავდეს.

ასე რომ, მთიბლურის 9-მარცვლიანი ერთეული ორი მუსლიანად (5—4) შემდგარი მთლიანი სტრიქონია, მას დასრულებული რიტმი და ცეზურა გააჩნია, მეცხრე მარცვლის ბოლოს ყოველთვის პროსოდიული „ო" დაერთვის და გაგრძელებით წარმოითქმის:

„თიბა გაეიდეს||ჩარგალენი-ოოოო
ვეიმე ჩემო||სიბერეო-ოოოო".

ტერფების ამგვარსავე სტოუტტრასა და მეტრს ემყარება ხმითნაგარაფლიც. მასაც შესრულების დროს მეათე მარცვლად გაგრძელებული პროსოდიული „ო" დაერთვის; მხოლოდ ეგ კია, რომ ხმით ტირილსა და მთიბლურ სიმღერას შესრულების დროს საკმაოდ განსხვავებული მახვილი და აქცენტაცია ახასიათებს:

„შენ შენფერნ გინდან||მატირალნი-ოოოო,
შენის კაცობის||დამფასანი-ოოოო,
წეიმთათოდენნ||გინდან ცრემლნი-ოოოო,
მასკლავთოდენნ||სათვალანი-ოოოო".

მოაში დატრიბის რამდენიმე სახე არსებობს, მაგრამ ხმით ნატირალი მათ შორის ყველაზე უფრო პოპულარული ეანრია.

ტაეპთა ასეთი სიერთო სტროუტტრა, ზომა და რიტმი ახასიათებს გამორჩეულ მოტირალთა შემოქმედებას:

„გაგიტყუა ხმაი||სულყვეელანა-ოოო
5 4
გაგიგა მტერ-ძა||მაკეთეა-ოოო.
5 4
მე შენი ცოლი||გამიყვირდა-ოოო.
5 4
მთა წერეკეკ მიე||დან თვალნი-ოოო,
5 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიტუალურ ვარიანტ შორის ხშირად ერთ-ერთ
განსაკუთრებული მაღალმხატვრულობით გა-
მოირჩევა. მთავარს დამახასიათებელია მძაფ-
რი ელეგიურობა და ვიოლონფიერი განწოგა-
დება, წარმოსახვათა მსუბუქმბრობა, სახეთა
ორიგინალურობა, დახვეწილი მეტაფორები, ნა-
ფიერი შედარებები. „ხმით ნატირალი — წერს
ი. გოგოლური — ცოცხალი პოეტური იმპრო-
ვიზაციის აზვიათი მოვლენაა.

არის კიდევ ორი სახე ძველი სიმღერებისა,
რომელთა შესრულებაც ძხოლოდ სახატო რი-
ტუალის დროს ხდება. ესენი გახლავთ, „ბელ-
ლისკურული“ და „ფერხისული“. ჯაკედმოკოსმა
აკ. შანიძემ მიუთითა, რომ სახატო სიმღე-
რას, — ბელლისკურულს „თავისი მუსიკალური
ბანგი აქვს ფანდურზე“, ხოლო კომპოზიტორმა
შ. ახლანშვილმა კი მაშრ „ქართული ხალხური
მუსიკის განვითარების უძველესი ეტაპი“ დაინ-
ახა. რაც შეეხება „ფერხულს“ ალ. ხახანაშვი-
ლი მას მზის კულტს უკავშირებს, „რომლის
მოძრაობა გვაგონებს ირგვლივ მზის მოძრაო-
ბას“.

როგორც „ბელლისკრულის“ მუსიკა, ისევე
„ფერხისულის“ რიკეის რიგმი ცხრამარცვლიან
ტაეას საგირიოს, ოლონდ ტერფების შებრუ-
ნებული წყობით (4—5), მაგრამ ასეთი სტრუქ-
ტურის ტექსტებს ჩვენამდე არ მოუღწევია.
ხალხური პოეზია მათ არ იცნობს. ამიტომაც
მომღერლები იყენებენ 8-მარცვლიან დაბალ
ზარის, სიმღერის პროცესში ექსპრომტად ად-
დენენ მის დეფლამირებას 9-მარცვლიანად და
ამრიგად, უგუბენენ ძველ მელოდიასა და
რიგმს.

შეკრებილ საარქივო მასალებსა თუ პუბლიკა-
ციებში შენიშნული იქნა მოულოდნელი ფაქტი:
ერთი და იგივე ლექსის ერთი ვარიანტი 8-
მარცვლიანი სტრიქონებით იყო გაწყობილი,
ხოლო მეორე — 9-მარცვლიანით. 9-მარცვლია-
ნი ვარიანტები, როგორც თანამედროვე ხალ-
ხური ლექსისათვის არადამახასიათებელი სა-
ზომი, შემკრებ-პუბლიკატორთაგან ან ჩასწო-
რებული, ანდა როგორც მდარე ტექსტი, ვა-
რიანტებშია გადასნილი. ასეთი შემთხვევა აკ. შა-
ნიძესაც ჰქონია, მას ერთ-ერთი 9-მარცვლიანი
სიმღერის 8-მარცვლიანად ალდგენა უცდია.
მაგრამ სასურველი შედეგისთვის ვერ მიუღ-
წევია.

სიმღერის სტრიქონი რომ 9-მარცვლიანია, ეს
არც მოაშბის ბრალია და არც ჩაშწერისა. იგი
წარმართული სიმღერის რიგმსა და მელოდიას
მოითხოვა და ნიკიერმა მომღერალმა მღერის
პროცესში ეკპრომბად გარდაქმნა იგი.

მიემართოთ საილუსტრაციო მასალებს.

ჩვენს ხელთ არის ერთი და იმავე ლექსის
სამი გამოქვეყნებული ვარიანტი. ორი მათგანი
ჩაუწერიათ „ლექსად“ ჩვეულებრივი შთქმე-
ლებისაგან და ორივე ტექსტი თავიდან ბოლოამდე
8-მარცვლიანია, ხოლო მესამე, რომელიც
რიტუალური სიმღერის პროცესშია ჩაწერი-
ლი — 9-მარცვლიანია, „ლექსში“ წერია: „გა-
ვიდეს||ნაყავეროსა“ (8), ან „ხელი გაიკრესა||ბაბა“
(8), ხოლო სიმღერის შესაბამის სტრიქონ-
ნებში კი ვკითხულობთ: „გავიდესა||ნაყავეფრო-
ხა“ (9) და „ხელი გაიკრესა||ბაბამ“ (9).

რაც შეეხება ფერხისულ სიმღერას, აქაც
ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს, „ლექსში“
კვითხულობთ: „ქორეელად ღმერთო||ვადღდოთ“
(8), ხოლო ფერხისული სიმღერის ვარიანტში
კი იმავე ტაქტიქონს ასეთი ფორმა აქვს: „ქორ-
ეელადა||ღმერთო ვადღდოთ“ (9) და ასე ბო-
ლამდე.

საკულტო-რიტუალური საგალობლები თა-
ვიანთი შინაარსითა და ფუნქციით აშკარად
არიან დაკავშირებულნი წარმართულ ღმერ-
თებთან.

გაანალიზებული მასალების მიხედვით დგინ-
დება, რომ მოიბლურებში აკადემიკოს აკ. შანი-
ძის მიერ დიდი ხნის წინათ შენიშნული ცხრა-
მარცვლიანობა არც შემოხვევითია და არც
მხოლოდ მთიბლურების კუთვნილებაა. იგი
უძველესი ქართული მითოლოგიუ-
რი ტექსტების ხაზობია და რო-
გორც მეტრული სისტემა მოელ
წარმართულსაკულტო ეპიკურებს
მოიცავს. მისი მუსიკალური რიგმიც ხა-
კულტო სინკრეტული რიტა-ვალთმიდგანა და
მნათობთა საგალობელ ფერხულისულები-
დან მომდინარეობს.

ჩვენს მიერ გაანალიზებული მასალები რომ
წინაქრისტიანულია და წარმართობის ხანაში
შექმნილა, ამის მტკიცება საჭიროდ არ მივიჩ-
ნიეთ, რადგან ამავე მასალების შინაარსი გა-
მოიკვეა აკად. ივ. ჯავახიშვილმა ქართული წარ-
მართობის დასაბამებენან. ამავე მასალებიდან
ამოდიოდა ბერეთე პროფესორი ვ. ბარდაველი-
ძე, როდესაც ქართულ წარმართულ პანთეონსა
ნ. ღვთისმეტლია იერარქიას განსაზღვრავდა.
ჩვენ კი იმავე მასალების მხოლოდ ფორმას მი-
ვაქცევთ ყურადღებას.

ერთი რამ უნდაოდ ცხადია: ხელთა გვაქვს
ქრისტიანობამდელი ქართული ლექსის უძვე-
ლესი საზომი, რომელიც მოიცავს მოელ სასუ-
ლიერო, წარმართულ-რიტუალურ ტექსტებს.
საყურადღებოა, რომ ამ ბოლო ხანს, ჩვენგან
დამოუკიდებლად, ეგეიე საზომი ლაზური სარი-
ტუალო ტექსტებშიც დაადგინა
ზ. თანდილავამ.

ეს მცირე წერილი ხხელთ ხაკოიხს დაყენ-
ებას გულისხმობს და არა მის ამოწურვას.
ჩვენს ლექსთმცოდნეებს ეგების ბოლომდე მიეკ-
ვანონ იგი და ამით ქართული ლექსის ხნოვანე-

ნოდარ კაკაბაძე

თომას მანი და შილერი

როგორც ცნობილია, ლიტერატურისმცოდნეობაში ერთმანეთისაგან ასხვავებენ პოლარულ, ურთიერთდაპირისპირებულ ლიტერატურულ, შემოქმედებით მეთოდებს, პრინციპებსა თუ ასახვა-განსახოვნების ყაიდებს.

შილერი ლაპარაკობს მხატვრულ ლიტერატურაში „ნაივურ“ და „სენტიმენტალურ“ ნაკადებზე, მარქსი — „შექსპირულსა“ და „შილერისებურზე“ (ანდა: „შექსპირიზრებასა“ და „შილერიზრებაზე“), ნიცშე — „აპოლონურსა“ და „დიონისურზე“ (ალსანშნავია, რომ ეს ცნებები თავდაპირველად გერმანელმა რომანტიკოსებმა, განსაკუთრებით კი შელინგმა, შემოიტანეს სიტყვახმარებაში, მაგრამ ნიცშემ ეს ანტითეზა განსაკუთრებით პოპულარული გახადა, და მასში გარკვეული ცვლილებები და კორექტივები შეიტანა და, საბოლოოდ, ეს ანტითეზური წყვილი ჩვენს ცნობიერებაში უმალ ნიცშეს უკავშირდება, ვიდრე რომანტიკოსებს), ერიმ აუერბახი ლაპარაკობს „ჰომერულსა“ (ანდა: „ჰომერუსულსა“ და „ბიბლიურზე“, თვითონ თომას მანი „გოეთურსა“ და „შილერულზე“ (ანდა „ტოლსტოურსა“ და „დოსტოევსკურზე“).

ცხადია, კლასიფიკაცია ერთობ პირობითია და ეს ანტითეზური წყვილები არათუ ზუსტად, არამედ გარკვეულ ასპექტებში არა თუ არ ემთხვევიან, არამედ, ზოგ შემთხვევაში, ეწინააღმდეგებიან კიდეც ერთმანეთს (მაგალითად, „აპოლონ-ური“ ზოგიერთ ასპექტში „სენტიმენტალურის“ ელემენტებსაც კი შეიცავს, წესით კი იგი „ნაივურს“ უნდა ემთხვეოდეს. ამის ჩვენება ძალიან ადვილია თომას მანის მაგალითზე, რომელიც ერთდროულად იერთებს „აპოლონურსა“ და „სენტიმენტალურის“ ნიშნებსაც). მაგრამ მაინც, ალბათ, ამ ანტითეზურ წყვილებს შესაბამისობა მეტი აქვთ, ვიდრე დაშორება-განსხვავება.

ამ ანტითეზური წყვილების გამოყენების მიზანია მწერალთა გამოკვეთილ სპეციფიკაზე მითითება, მათი შემოქმედებით მეთოდის გარკვეულ ნიუანსებზე ყურადღების გამახვილება. მაგრამ ეს ანტითეზები იმდენად სუბიექტურია, იმდენად პირობითი, იმდენად არაზუსტი და რამდენადმე სქემატური, რომ ზშირად ჩნდება ხიფათი მათი ბრროგად გამოყენებისა, მათში ნაირნაირი შინაარსის გულისხმობისა — ამიტომ დიდი სიფრთხილე გვმართებს, რომ ეს ანტითეზური წყვილები არ გავაბსოლუტოთ, დოგმებად არ ვაქციოთ და ამით არ გავადარბოთ მხატვრული ლიტერატურა, საერთოდ, და ცალკეული წმერლების შემოქმედება, კერძოდ.

მხატვრული ლიტერატურა (ისევე როგორც მთელი ხელოვნება) მრავალმნიშვნელობით ხასიათდება, ზოგჯერ იგი ურთიერთსაპირისპირო ელემენტებისა და ტენდენციების შემცველი, ამიტომ ყოველთვის არსებობს ხიფათი მისი „გამოშიგვნა-გალარიბებისა, როცა ვცდილობთ მისი რომელიმე წახნაგის წინა პლანზე წამოწევას და სხვა წახნაგების მიფუჩეჩება-მიჩქმალვას. სწორედ ამით განსხვავდება მეცნიერება ხელოვნებისაგან: მეცნიერების იდეალი ზომ სიზუსტე და ერთმნიშვნელიანობა!

ყოველი მნიშვნელოვანი მწერალი (და, საერთოდ, ხელოვანი) მთელს ცალკე, დამოუკიდებელ, განმეორებელ „კოსმოსს“, მთელს უნიკალურ სამყაროს წარმოადგენს და ამიტომ ყოველი მწერლის შემოქმედება, მხატვრული ლიტერატურა, საერთოდ, ძნელად ექვემდებარება ყოველგვარ კლასიფიკაციასა და უალბმნ ჩასმას. პირობითად შეიძლება ალვნშნოთ, რომ თომას მანი თავის შემოქმედებაში (სხვადასხვა ნაწარმოებებში სხვადასხვა პროპორციებითა და „დოზებით“), ერთი მხრივი, აერთიანებს „ნაივურსა“ და „სენტიმენტალურს“, „აპოლონურსა“ და „ბიბლიურს“, „ჰომერულს“ და „ტოლსტოიურს“ ე. ი. ჰომეროსის, შექსპირის, გოეთეს, ტოლსტოის და ა. შ. და, მეორე მხრით, ბიბლიის, შილერის, დოსტოევსკის და ა. შ. ელემენტებსა და ტენდენციებს.

მაგრამ ამთავითვე უნდა განვაცხადო, რის დამტკიცებასაც შემდეგ შევეცდები, რომ დომინანტა თომას მანის შემოქმედებაში, მის შემოქმედებით მეთოდში მაინც შილერისებურ ელემენტს ეკუთვნის.

პაულ ვეხტი წერს: „თუ რაბლე, კუფაინი და ვთქვათ, ჯოიის დიონისეური წმერლები არიან, რომელთაც სულიერი და სიტყვაძარნაღური ენერგიის მეტისიერი შემოტევები აქვთ, სამაგიეროდ თომას მანის, ჯოიმსისა და პრუსტის შემთხვევაში ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ისინი ყოველთვის გარკვეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეგმის მიხედვით წერენ, (...) ყოველთვის ცივ გონებას უფორჩილებენ მომენტალურ შთაგონებას, ერთი სიტყვით, ისინი ამოლინურები არიან".1

პაუულ ვესტის კლასიფიკაციის სუბიექტურობისა და ხალოვობის მიუხედავად (მე, მაგალითად, ჯოისს თომას მანისა და პრუსტის ჯუბუშში გადმოვიყვანდი), მისი მსჯელობა ნათლად, არარეფლექსიურად მიუთითებს ამ ანტითეზის არსზე და აგრეთვე იმაზეც, რომ თომას მანი, ისევე როგორც ჟიდ ვფიქრობ, უმალ სენტიმენტალური, დოსტოევსკური და, რაც ამ შემთხვევაში ჩვენ ყველაზე მეტად გვაინტერესებს, ფილელისებური ფენომენია.

საინტერესოა თომას მანის სუბიექტური მიმართება ფილელისადმი და, ამავე დროს, ობიექტური ვითარება თომას მან-ფილელის ურთიერთობის სფეროში.

თომას მანს საერთოდ ყველაზე მეტი აქვს დაწერილი - გოეთოზე. ჩემი უხეში გამოანგარიშებით მის ესეებსა, სტატიებსა, ეპისტოლარულ წერილებსა და დღიურებში გოეთის სახელი მეორდება დაახლოებით (სულ ცოტა) 700-ჯერ. ამის გარდა, თომას მანს ეკუთვნის 18 ცალკე, დამოუკიდებელი ესეი, წერილი გამოსვლა გოეთეს თაობაზე:

„გოეთე და ტოლსტოი" (1921), „გოეთის სულთა ფერხვეთი დანათესავების თაობაზე" (1923), „როგორ უნდა ვიზეიმოთ გოეთის ფელიფიადი — 1932" (1931), „იაკობელ ანალგაზაროვადან გოეთეს ზაუფიამ" (1932) „გოეთე — ბიუჩგერული ეპოქის ფარგოლაშვილი" (1932), „ფერალ გოეთის გზა" (1932), „შესაპალი სიტყვა ადლესასწავლო კამპანიისათვის — „ბავშვიული კოეზია გოეთის ფელიფიადს" (1932), „სიტყვა ფარგოთქვეული გოეთეს ფელიფიადს" (1932), „სიტყვა ფარგოთქვეული ბაინის ფრანკფურტში გოეთეს გაფაკოთოგაული მუზეუმის გახსნისას" (1932), „ნეი გოეთური ბოგზაკურობა" (1932), „გოეთეს ფინაალდფეგბანი" (1932); თავდაპირველად დაიწერა ფრანგულად „გოეთის კონტაკასტები", შემდეგ უკუთითა-ძნა ბერძენულად, „გოეთეს ფაუსტის თაობაზე" (1939), „გოეთეს ვერთერი" (1941), „ფანტაზია გოეთეზე" (1948), „გოეთე და ფეიმოკრატია" (1949), „ასი გოლიაკი" (1949) ოგულისხმება ლუთერი, ბისმარკი და გოეთე, — ნ. ა.; თავდაპირველად ერქვა: „გოეთე ბერძენული სასწაული", „სიტყვა ფარგოთქვეული გოეთეს ფელიფიადს" (1949), „სიტყვა ფარგოთქვეული ვაიმარში" (1949).

ამის გარდა, თომას მანს დაწერილი აქვს გოეთესთან დაკავშირებული ორი რომანი: „ფოტარი ფაუსტში" (1947) — გოეთეს „ფაუსტის" თანამედროვე ადაპტაცია და, აგრეთვე, მისივე პაროდია („პაროდიის" თანამედროვე გაგებით) და „ლოტე ვაიმარში" (1939), რომელშიც ... მთავარ გმირად გოეთე გვევლინება ... გასსოვდეს, ამ გამოკვეთებულია გოეთეს ცხოვრების ერთი ფაქტი: ვაიმარს ჩამოდის გოეთეს ცხოვრების ახალგაზრდობის შეყვარებული შარლოტე ფონ ბუფ ფაქსენერისა და ხანგრძლივი დაშორების შემდეგ ხვდება მოხუცებულ გოეთეს).

ფილელზე თომას მანს შედარებით ცოტა აქვს დაწერილი: „ფილელის სახელი მის ნაწერებში გვხვდება დაახლოებით 140-ჯერ.

ამის გარდა, თომას მანს ეკუთვნის ორი სპეციალური ესეი ფილელზე: „ჭერ კიდევ ცხოველმყოფელი ფილელი?" (1929), რაც შეიცავს დაახლოებით 2 გვერდს და წარმოადგენს პასუხს ერთ-ერთი გაზეთის ანკეტაზე; და საკმაოდ დიდი მოცულობის კრატკაული თხუზულება — „ცდა ფილელზე".

1905 წელს თომას მანმა გამოაქვეყნა მხატვრული ნაწარმოება, ეტიუდი „ მეიმე საათი", რომელშიაც აღწერილია ფილელის მეიმე შრომა ლამით „ვალენშტაინზე" (თომას მანი ამ თავს ირეკვებს ფილელთან, ამ ნაწარმოების გმირი — ფილელი თომას მანის თავისებური ავტო-პორტრეტია, — ამ ერთმანეთს უპირისპირდება „სენტიმენტალური" ფილელი და „ნაივური" გოეთე. როგორც ვხედავთ, თომას მანი თვითონვე მიჩნევს თავს — „სენტიმენტალიკო

ინტერესია, რომ თომას მანის ნაწერებში შილერზე გაცილებით მეტჯერ ნიცშეა მოხსენებული — დაახლოებით 550-ჯერ, აგრეთვე რიპარდ ვაგნერი — 280-ჯერ).

მაგრამ აქ ეს ყველაფერი არც ისე ადვილი ასახსნელია, როგორც შეიძლება კაცს ერთი შეხედვით მოეჩვენოს. ოდენობრივი, რიცხობრივი უპირატესობა შეიძლება არაფერსაც არ ნიშნავდეს ლიტერატურაში, ანდა სხვაგვარად: ეს შეიძლება არ ნიშნავდეს უპირატესობას ყველა ასპექტში. და აქ ერთნაირ პასუხის გაცემა შეუძლებელია.

სანამდე უშუალოდ შევეხებოდე ძირითად საკითხს, შეიძლება გავიხსენოთ, რომ ახალგაზრდობაში, ბავშვობასა და სიყრმეში თომას მანის საყვარელი მწერალი ჰაინესთან ერთად იყო შილერი. „მძიმე საათი", როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1905 წელს გამოქვეყნდა, ხოლო „ტონიო კროგერი" იწერებოდა 1902 წელს (დაიბეჭდა 1903 წ. თებერვალში) და აქ აშკარად ჩანს თავს ახალგაზრდა თომას მანის აღტაცება შილერით (გიმნაზიისტი ტონიო კროგერი სულით ზორცამდე შეუძრავს შილერის „დონ კარლოსს", რასაც უზიარებს კიდეც თავის თანაკლასელს).

გოეთეც შედარებით გვიან შეაღწია თომას მანის შემოქმედებით სამყაროში.

ალსანშნავია, რომ თომას მანის ადრეულ და შუა პერიოდში, დაახლოებით „ჯადოსნური მთის" შექმნამდე, მწერლის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში ყველაზე მეტ გავლენას ახდენდა „სამი მნათობი" როგორც თვითონ თომას მანი უწოდებს: ფშოპენჰაუერი, ნიცშე და ვაგნერი.

და შემდეგ, რაც უფრო მცირედებოდა და უკანა პლანზე იხედა ო. მანის შემოქმედებასა და მსოფლმხედველობაში ფშოპენჰაუერის, ნიცშესა და ვაგნერის შემოქმედება, მით უფრო მატულობდა და ძლიერდებოდა გოეთეს როლი.

თომას მანმა თანდათან თავისი ჰუმანისტური იდეალი შეიმუშავა გოეთეს უშუალო თანამონაწილეობით. ამასაც უნდა გავუსვამ ხაზი, რომ თომას მანის მოწიფულობის ხანის შემოქმედებაში გოეთეს იდეურ-თეზაური იგავულსებენ ლ �ტიშეულის კვალს ეპოულთან (გასაკუთრებულ „ჯადოსნურ მთაში" რომანში „ლოტე ვეიმარში" და ტეტრალოგიაში — „იოსები და ძმანი").

მაგრამ კიდევ ერსებობს მწერალთა შორის ნათესაობისა და სიახლოვის სხვა ასპექტები და პლანები. შემოქმედებითი შეთოდის, ასახვა-განსახიერების ყაიდის სფერაში თომას მანი გაცილებით ახლოსაა შილერთან, ვიდრე გოეთესთან. თავისი ნათესაობა ამ მხრივ შილერთან თომას მანმა აღიარა ჯერ კიდევ 1905 წ. უკვე რამდენჯერმე ნახსენებ ეტიუდში — „მძიმე საათი", ამის გარდა თომას მანის ნაწერებში ეპიზოდებიც, თუ კი ისინი მწერლობასთან არიან დაკავშირებული, აგრეთვე, სენტიმენტალური ხელოვნება არიან (ტონიო კროგერი, გუსტავ აშენბახი და სხვები). გოეთე რომანში „ლოტე ვეიმარში" საგანგებო მსჯელობას მოითხოვს.

თავის შემოქმედებით ნათესაობაზე შილერთან თ. მანი ლაპარაკობს კაროლ კერენიისადმი გაგზავნილ წერილში (1954 წ. 5 დეკემბერი). „ეშვენიელ ფენელი ჩემი გარკვეული, ცოტა შემაშფოთებელი ნათესაობა მწერალთან (იგულისხმება შილერი, — ნ. კ.), რომელიც უჩიოდა თავის უმეცრებას და რომელსაც აშენებდა ეპოსი, რადგან „არ მეოფნიდა ცოდნა", რაც ასე საჭიროა ბომბერკოსისთვის (ე. ი. ბომბროსის ტიპის მწერლისათვის, — ნ. კ.). თვალის სამყარო (ე. ი. სამყარო — აღქმული თვალით, მხედველობით, — ნ. კ.). სიმართლე რომ ითქვას, არ არის არც ჩემი სამყარო, და არსებითად, „არც მე არა მსურს რაიმეს დანახვა", ისევე როგორც შილერს. რატომ არ ჩავდა თუნდაც ერთხელ ზვეცარიაში, როცა „ტელს" წერდა? ეს სრულებითაც არ იყო მისთვის ძნელი. მას არაფრის ნახვა არ სურდა. ის ეეგმავდა დრამებს, რომელშიაც განსახიერების საგანი იყო საზღვაო თავგადასავლები („ბომალდი", „ფლიბუსტიერები") და არც ერთხელ არ უფიქრია ზღვასთან მისული ანდა ზღვაზე გასვლა. ის ყველაფერს საკუთარ თავში პოულობდა (...) მეც კი მეკრძალება მოგზაურობა სიზარმაცის, გაუნათლებლობის გამო და იმის გამოც, რომ ძალიან ბევრი საქმე მაქვს".

გოეთე კი „თვალის კაცი" იყო. მოგიტანთო გოეთეს „ფაუსტიდან" შემდეგი სტრიქონები: Zum Sehen geboren Zum Schauen bestellt (ხედვისათვის გაჩენილი, ჭვრეტისთვის მოწოდებული), ხოლო შილერი და მასთან ერთად თომას მანი, არ იყვნენ მხედველობის, ცქერის, დანახვის ადამიანები (თომას მანი, ალბათ, უმალ „ყურის კაცი"-ein Ohrenmensch იყო).

ამასთან არის დაკავშირებული, რომ შილერი და თომას მანი მიზნად არ ისახავენ ხილული სინამდვილის დახატვას, ასახვას, არეკვლას, უკუფენას, რეპროდუცირებას. ამიტომაც არიან ისინი „სენტიმენტალური" მწერლები.

ამ მხრივ საგულისხმოა ერთი ადგილი თომას ხის ძმის, ჰაინრიხ მანის მოგონებების წიგნიდან — „საუკუნის მიმხილველს". — ჩვენ (ე. ი. თვითონ და თომასი, — ნ. კ.) დავდგებით ღღის პაპანაქების შემდეგ ბაზისკენ ჩვენი პატარა მთიანი ქალაქიდან (ეს ქალაქი 10 წლის შემდეგ გამომადგა ჩემი რომანის — „პატარა ქალაქის" დეკორაციად). ჩვენს წინაშე, ჩვენს გარშემო იშლებოდა მასიური ოკრროსაგან ამოკვეთილი ზეცა. მე ვთქვი: „ბიზანტიური ხატები მოოკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როვილია. ეს, რასაც ჩვენ ვხედავთ, უბრალო შედარება კი არ არის, ობტიკური ფაქტია. ქალწულის პატარა თავი და მეტისმეტად მძიმე გვირგვინი. ისინი გულგრილად დაგვყურებენ თავიანთი ალასტიკური ზენიტიდან!" ჩემს ძმას არ მოეწონა „სინარნარით" ეს აღტაცება. „ეს გარეგნული ასპექტია" — თქვა მან".

თომას მანის პერსონაჟები, ისევე როგორც შილერის, უპირატესად სიმბოლოებია, „წარმომადგენლები", რომელიმე მსოფლმხედველობის თუ თვალსაზრისის რუპორები (აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თ. მანის პერსონაჟები ავტორის შეხედულებების რუპორები კი არ არიან, არამედ გარკვეული, ცალმხრივი, გაბმულუტტებული იდეურ-ზნეობრივი პოზიციებისა, რომელთაც ავტორი მთლიანად არსად არ იზიარებს).

ცოტა გადაჭარბებულად თუ ვიტყვით, თომას მანის (ისევე როგორც შილერის, ასევე დოსტოევსკის) ნაწარმოებებში იდეები, აზრები, დიალოგები უფრო „ცოცხალია" და ინტენსიური, ვიდრე თვითონ პერსონაჟები. მაშასადამე, აქაც თომას მანი აკრძალებს შილერულ ბაზს.

რეზიუმეს სახით: თომას მანი — როგორც შემოქმედებითი ინდივიდუალობა თავისი მხატვრულ-ესთეტიკური სპეციფიკით, შემოქმედებითი „ტემპერამენტით", გამოსახვის მეთოდით ბევრად უფრო ახლოსაა შილერთან, ვიდრე გოეთესთან. თომას მანი — მწერალი, Schrifsteller საპირისპიროდ Dichter-ისა დგას შილერის ტიპის მწერალთა რიგში. ეს არის გონითი, გონისმიერი, „გააზრებული" Schrifstellertum-ი უშუალო, უფრო გრძნობისმიერი, უფრო ინტუიტური, Dichtertum-ისგან განსხვავებით.

მაშასადამე, თემატიკით, პრობლემატიკით, ე. ი. იდეური შინაარსით თ. მანი უფრო გოეთეს უახლოვდება, მაგრამ შემოქმედებითი მეთოდით, გამოსახვის სპეციფიკით, მხატვრულ-ესთეტიკური თავისებურებებით თ. მანი შილერთან უფრო ახლოსაა, ისევე როგორც დოსტოევსკისთან, ვიდრე ტოლსტოისთან.

ზაზა სიხარულიძე

„...ჩვენც გაპოჩნდნენ ზღვეზზე ვემეზი...“

...თავიდანვე უნდა აღენიშნო ერთი ძირითადი თავისებურება ზურაბ ნარმანიას ლექსებისა, რაც უმთავრესწილად განსაზღვრავს ამალეკზრდა შემოქმედის პირველი პოეტური კრებულის („უსაფეხურო კიბე“ — გამომცემლობა „მერანი“, 1986) ნიშან-თვისებებს: ზურაბ ნარმანიას ლექსები — ესაა ამალლებული გრძნობა-განცდებისა თუ ფიქრის უნარიანი, ფაქიზი სულიერი ნატურის კაცის ღია ბარათები მკითხველისადმი. თქმული ადასტურებს, პირველ რიგში, წიგნის სათაური. თუკი სწორად გავიგეთ „უსაფეხურო კიბის“ მხატვრულ-ალზრძოლივი შინაარსი, პოეტის შეხედულებით, ადამის ძის სული მარადის უნდა ესწრაფოდეს ამალლებულობის განცდას, ზეციურ სიწმინდესთან ზიარებას, რისთვისაც სულიც არაა საჭირო საშველის ძიება ლაჟვარდოვან სიმაღლეებში, რადგანაც სულიერი სრულყოფილების მისაღწევი გზა კაცისავე გულში, თავის თავში, იწყება და მთავრდება, ადამიანისა და მის მიზან-ოცნებათა შემადგენელი, დამაკავშირებელი კიბე

„გულში ყოფილა ახოლოდ...“

თუკი დაკვირდებით თანამედროვე ქართულ პოეზიას, ფფიქრობ, დავინახავთ, რომ სიტყვაკაშმული ხელოვნების დღევანდელ მსახურთა უმრავლესობას, თუ შეიძლება ასე ითქვას, პოეტ-მოაზროვნეთა ‚გუფი შეადგენს, ხოლო ემცირესობას — პოეტ-მხატვართა. ეგზოლსხმობ, რომ ახლანდელ ქართველ პოეტთა ლექსებში გაცილებით მეტია ფიქრი და განსჯა, ვიდრე სახისმეტყველება, არადა, სწორედ ეს უკანასკნელი განაპირობებს სიტყვაკაშმული ხელოვნების სპეციფიკას. ფილოსოფიურ-განსჯითი მოტივის აგრერიგად გავრცელების მიზეზებად, შეიძლება, ჩაითვალოს დღევანდელობის საჭირბოროტო პრობლემები — ეკონომიკურად თუ სოციალურ-პოლიტიკურად დაძაბული, ბირთვული საფრთხით შეშფოთებული მსოფლიო; ქალაქური ცივილიზაციის არანორმალური განვითარება; ბუნებასთან კაცთა მოდგმის სასიცოცხლოდ აუცილებელ კავშირურთიერთობათა დარღვევა და მისთ., რაც, ცხადია, თავისთავად განსაზღვრავს შემოქმედია განსაკუთრებით დაინტერესებულ გონებით-ჭვრეტით დამოკიდებულებას თანამედროვე სამყაროსადმი. ამგვარ პოეტთა რიცხვს მიეკუთვნება განსახილველი წიგნის ავტორიც.

ზურაბ ნარმანია ფიქრის პოეტია. „უსაფეხურო კიბის“ ლირიკული გმირის ფიქრის საგანია მოყვასი, თავისი ერი და მამული, მშობლიური ენა, წუთისოფლის ავ-კარგი...

ამედი, რწმენა და სიყვარული — აი, პოეტისათვის წმინდა სიტყვა-მცნებათა სამება.

„ჰკავ სული სრული ცხოვრების ღირსი...“ — აი, რას მოუწოდებს მოყვასს ამჭეეულად კაცთა დანაშულების გამო დაფიქრებული პოეტი.

„შენი ხატი ვარ... ნუ მიმატოვებ... ორად გახლეჩილ გულთან...“ — აი, რას ეკედრება პოეტი სამყაროს წარმოსახვით მისაწვდომ დეიოურგს. „ორად გახლეჩილი გული“, ალბათ, ადამის ძისათვის დაბადებით თანდაყოლილ ორბუნებოვნებას (სიკეთე-ბოროტება) გამოხატავს. ეს ორსახოვნება გარდაუვალია, ბედისწერითაა განპირობებული ჩვენთვის, რადგანაც

„ამქეეყნად ხიდი კაცის გულია
სიბნელესა და სინათლეს შორის...“

მაგრამ ადამიანის ხასიათის ამგვარ დუალისტურ გაგებას არ სჯერდება პოეტი, ვისთვისაც სისხლხორცეულად ახლოსელია რუსთველური: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია...“ და „უსაფეხურო კიბის“ ლირიკული გმირისათვის „ორად გახლეჩილი გულის“ საბოლოო ხსნა, იმედი — კაცთა უკვდავების წამალი — სიყვარულია...

რაც შეეხება პოეტის მოკალკეკობრივ პოზიციას, შემოქმედის ცხოვრებისეული კრედო ნათლად ჩანს შემდეგი სტრიქონებითაც:

„გარდა სინათლის შშობლის... ყვავილების
და პერის,
ვეუბე, ღირსი იყოს რამე, მონად გაქცეოს
შერის...
ქვეშით ანაგებ კოშკებს ფრთაც რომ
შეეხოს ქართა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსასოდქმნილი რნები შენითვე დაბუღ
კართან...
სურვილს არა აქვს ფსკერი, არც სიმაოლოე
აქვს სურვილს,
ბრმად ამოსა ზედა აჩქროლებული ეელი,
ოღეს ჩგონია სწვდება, მიზანს ზორდება
მეტად
და თე სიყვარულს კარგავს, სხეა რამ
რად ეენდა ნეტა?..
ზრეენით საკეთარ თავზე დრო
წყვდიადისკენ გარბის,
ნათელს იმკვიდრებს სხვათა გამო
გულწრფელი დარდი...
ეოხიე მეყოფა ზღვაზე — ზმრიალ მზის
ჩასვლა ენახო,
მთიებთა შორის ღამის სიცოცხე
დაეინახო,..."

და მანეც ყოველივე ეს ერთი მხარეა პოეტის შემოქმედებისა; ახლა კი განვიხილოთ „უსაფეხური კიბე" სახისმეტყველების თვალსაზრისით.

საზოგადოდ, მხატვრული სახის ორი მთავარი ქვეტექსტი დასტურდება სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში, კერძოდ კი — სარეცენზიო წიგნში:

1) როცა წარმოსახვისათვის მოზეელიებულია ადამიანისა და ბუნებისათვის დამახასიათებელი მოვლენები, მაგალითად:

„ახალშობილი ბავშვივით სელი
ზრება მინდორი..."

2) როცა ხატი იქმნება, თუ შეიძლება ასე ითქვას, განყენებული გრძნობების ალმნიშვნელი სიტყვა-ცნებებით:

„...დარდებად
თე არ წეეთავს შენი სული..."

ეს უკანასკნელი ქვეტექსტი განსაკუთრებით გავრცელებულია თანამედროვე ქართულ პოეზიაში, რაც, ჩვენი ფიქრით, არასასურველ ტენდენციას წარმოადგენს, რამდენადაც ეს ბავშვობა სახეები ხელოვნურ ელფერს ატარებს. აღნიშნულ გარემოებას გამორჩეული უურადღება უნდა მიაპყროს „უსაფეხური კიბის" ავტორმაც, რადგანაც განსახილველ კრებულში წავაწეწდით არაერთ ამნაირ ხატს („ცის აგურებით ამოჩეკვის სული", „ბეეი სინათლე სიხარულზე ეუხილს ვენოდეთ", „...სიცოცხლის ეეარიდან მოწანწკარე შენი ეილი ცრემლიც კი ბიბაროდა...")

მაგრამ პოეტის სასარგებლოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეიგნში უფრო ხშირია პირველი რიგის სახეები: „ცაზე ბილიკებს ვუსინჯავ დაისს", „ვარსკვლავებით დახუნძლული ვაზი ბუვავის ღამისა", „ეიშკარივით ილება დედა," „მზე სხივის კალმით შეეხო მწვერვალს" და მისთ.

ძალზე აშვიათად გამოერეკა ხოლმე არაზუსტი ანდა ძნელად გასაგები ხატიც, ვთქვათ, შემდეგნაირი: „ეუკვიდადს სძოვს ღამის ნაკრძალებში მთვარის მუმია..."

ზუთან ნარმანია ფიქრის პოეტია, მაგრამ, ამასთან, კარგი იქნება (და ჩვენი აზრით — აუცილებელიც!), რომ „უსაფეხური კიბის" ავტორი სიყვარულისა და ბუნების პოეტი, პოეტი-მხატვარი გახდეს... მომავლისათვის პოეტმა თავისი ნიჭი და ძალისხმევა უნდა წარმართოს თემატური მრავალფეროვნების მისაღწევად...

რასაკვირველია, ბუნებრივია, რომ შენიშვნებს იწვევს ახალგაზრდა თანამოკალმის პირველი წიგნი, მოავარი სხვა — კრებულში დაბეჭდილი ლექსები გვიმტკიცებს მათი შემოქმედის ნაღდ პოეტურ სულსა და ნიჭს, რაც გვინერგავს იმედსა და რწმენას, რომ „უსაფეხური კიბის" ავტორი მომავალში სრულყოფილად განახორციელებს თავის უდავო პოტენციურ შესაძლებლობებს...

ირინე ტალიაშვილი

„მე მოვდიეარ მართალი და ეიცაგედი"...

არც თუ ისე დიდი ხანია, რაც გამომცემლობა „ეერანმა" გამოსცა მაუკალა გონაშვილის ლექსების კრებული „უაკაჩოების კოცონი". პოეტი ჭალი არ ოფარგლება ცალმხრივი თემატიკით... მისი პოეზიის მისამართი მრავალფეროვანი და მრავალმხრივია... ერთი შეხედვით უბრალო არკიტექტონიკა — რითმის სირბილე, სისადავე, ტრადიციული ლექსის ჩარჩოებში „ეტყავს" პოეტს, მაგრამ რაც უფრო სიღრმეში მიიწევთ, მით უფრო გატკვევებთ სათქმელის სიწმინდე, პოეტური სიტყვის მოქნილობა და დინამიურობა, პოეტი ქალის მთრთოლვარე სამყარო არც დრამატიზმს არის მოკლებული.

კრებულში რამდენიმე ციკლია გაერთიანებული.

„მხოლოდ ამ ცის ქვეშ" — ამ ჭვესათაურით გაერთიანებული ლექსები ერთი საერთო თემატიკითაა შემოფარგლული. ეს არის მიწის, მშობლიური კუთხის სიყვარული...

პოეტი ლოზუნგური, პარადული სტილის გარეშე წარმოგვიდგენს ამ მარად უბრეველ გრნობას, რომელსაც მამულის, სამშობლოს სიყვარული ჰქვია. იგი ჩვეულებრივი „მეხოტ-

ბე" როდი გახლავთ, არც ტრაფარეტული სათქმელთან აქუეცცემს ემოციები, არც უბრალო „მოგალიხ" სათქმელთან ქმაყოფილდება. პოეტური რკალი მთელი გულწრფელობითა და ემოციური დატვირთვით წარმოაჩენს ავტორის გულისთქმას:

„სხვაი რა ალმიძს? მეც ამ მიწის ვარ ერთი ბელტი, — ადეგნებული ოცნებებით უდღნავ ქარებს... და ჩემი სულის, ჩემი სულის თეთრი შროშანიც მხლოდ ამ ცის ქვეშ, მო, ამ ცის ქვეშ თუ გიიხარებს"...

პოეტის სათქმელი ნათელი და გარკვეულია. ის არასოდეს არ კარგავს ზმიერების გრძნობას და სტიჩენში, რომლებიც ერთი შეხედვით, შეიძლება ლექსის შინაგან წყობაში ქეკლუც ფრაზებად მოეჩვენოს მკითხველს, ბუნებრივად აღიქმება. ხოლო როდესაც პოეტი სა-ერთო ტკივილამდე განაზოგადებს თავის სათქმელს, უნებურად იზიარებთ მის აღმსარებლობით სტრიქონებს: „არა მარტოდენ მამულის, ანდა, არა მარტოდენ წინაპრის ვალით, საკარიელში ათგზის ძნელია იყო პოეტი და იყო ქალი"... ფარული ნაღველი, რომელიც ლექსის სიღრმეში იმალება, მთელი სისრულით წარმოაჩენს თანამედროვე ქალის ოთხი ცხოვრებას... ამადლებული განცდით დატვირთული ლექსის შინაგანი მუზტები ფიქრის, განსჯის სიღრმემდე უხიძგებს მკითხველს...

„ მ ზ ი ს ც რ ე მ ლ ი" — ამ ციკლის ლექსები უფრო მონოლოგებად წარმოგვიდგება გამაკესება საკუთარ თავთან, ერთი შეხედვით უსასოო ნაღველთან დაკავშირებული ტკივილი, შინაგანი ენებებით დამუშაკული „ფერიხცვალება", „მზის ცრემლი", „გახსენება", ნათლად გვიხატავს პოეტის სულიერ მღელვარებას...

„ ჩ ე მ ი ს ო ფ ლ ის ვ ზ ა ვ ნ ერ ი ლ ებ ზ ე"— ეს ციკლი ყველაზე თვალსაჩინოდ და გამოკვეთილია კრებულში. ამ ლექსებში სიტყვის ეფექტიდა სრულიად ახლებურ მნიშვნელობას იძენს, მთელი სისრულით გამოჩნდა პოეტი ქალის შესაძლებლობები: მარმარინა სიტყვის ხილვადობასა და სათქმელს შორის. მაყალა გონაშვილი არ იზღუდება წარმოსახული სამყაროთი. ლექსები, რომლებიც სოფლურ თემატიკაზე აგებული, მხოლოდ სინამდვილიდან გამომდინარეობს. პოეტს არ ეშინია დაგვიხატოს თანამედროვე სოფლის ყოფა, სოფლისა, რომლის გალავანშიც შეუღწევია „სტატობის" და „ჯინების" ბუმს... პოეტი მკითხველის თვალწინ ძერწავს მართალ, უშუალო პორტრეტებს მარტოხელა მამისას, რომელიც ქალაქში სასწავლებლად გაგზავნილ ქალიშვილს ელოდება, პაპას, რომელიც „დევსაბოლო მარკვენის მხრებზე ნუგეშად მოხვევს", დიდედის, რომელიც ცრემლიან ბედისწერას პირდება ბადიშს. პოეტმა იცის თავისი ბავშვობის მოგონებებიდან რომელს შეეხოს ხელი, რომელი ამოკრიფოს, დაგვაინტერესოს, გაგაცოცხლოს... იგი არ ერიდება ინტიმურ ინტონაციებსაც... ჩვენს ცნობიერებაში ცოცხლდება პოეტის სახე — ბავშვობად მშვენიერი, მოუკეძრეხელი, ფარული ნაღველით და იუმორით სავსე, საყვარელ სანახებს შეფარებული, სიიდანაც თვალს ადევნებს ნაცნობ სურათებს. აქედან შემოდის ხალხური მოტივებიც: „თებრონე მიდის წყალზედა".

შეფარული იუმორი, რომელიც ლექს „სახუმაროს" დასდევს, სხვანაირად წარმოაჩენს თანამედროვე სოფლის ახალგაზრდობას: ალუნის უკან თებრონეს თავს აწონინებს ბიჭი: „შენს მოსვლამდე, გოგოვ, ვული, ინ, როგორ მელეოდა, ჯინსები ფირმენია, ე დისკები სტერეოა"... ახალგაზრდა პოეტი საკუთარ ნაგუშენი კი არ ეკუტება, მისი ნაუბარი ახლებური სახეცვლილებაა მრავალგზის თქმულისა. პოეტის ტკივილი განუსაზღვრელია, როდესაც პიროვნების მეტამორფოზას ხატავს, ეს ტკივილი გარემოებიდან გამომდინარეობს. სული, რომელიც წყდება მშობლიურ მიწას და სამყაროს, გაორებულია, მაგრამ ყველაზე დიდი ტკივილი სწორედ ისაა, რომ მეტამორფოზის პროცესი, გარდაქმნა, უკვე შეუბრუნებელია. სწორედ ამიტომაც იკითხა: ასეთი სიმძიმფრი ინი და დრამატიზმით ლექსი „ირი სურათი".

„ბალაბში ბაკარგული ქინძისთავივით დაივიწყა სოფელი და მარტოხელა მამა სოფლელმა გოგომ"... მამა კი, რომელიც ამ დროს ვაზს ფუურჩნის, მხლოდ იმაზე ფიქრობს „არ დაეჩეგროს დიდ ქალაქში პატარა გოგო"... ამ მონაკვეთში იწყება დროის დრამატიზმიც, ტრაგედია პიროვნების გაორებისა.

„მარტოობის დღესასწაულის" ციკლში მოქცეულ ლექსებშიც ივგივე ნასკვი ეხსნება. როგორც „ზნის ცრემლშიც" ნათლად იქარგება თანამედროვე ხმაურიანი ქალაქის სურათი, ქალაქისა, სადაც „დაწყვეტილია სიმშვიდის ძაფი, სადაც ყველფერი „სიჩქარისფერია". ელნათურების ბრელკარულა თვალი ეთამაშება დარბაზებს და მოფერი „კაკაოსფერი ქალი" მღერის თავდავიწყებით („ეს ესრაფაა"). ექსტაზში თითქოს კულმინაციას უნდა აღწევდეს, მაგრამ პოეტი აქაც ახერხებს პირველქმნილი სიწმინდის შენარჩუნებას და ეფექტის მისაღწევად ძალიან უბრალოდ, ნათლად გვიხატავს იმ განსხვავებას, რომელიც „მისტერიოლა დრომ" მოიტანა ადამიანს.

საერთოდ სევდის მოტივები მკვეთრად იგრძნობა მაყალა გონაშვილის შემოქმედებაში, მაგრამ ეს სევდა არასოდეს არ მაღლდება სულით დაცემამდა და გაწდგომამდე. ეს უფრო დაკვირვებული, ფხიზელი, დაფიქრებული, პოეტის განსჯაა, რომელიც ბოლოს მაინც სამოქმედოდ იწვევს ადამიანს.

„ეე მოვდივარ მართალი და უცაბედი"... ამბობს ერთ ლექსში პოეტი და მკითხველსაც სჯერა მისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოტა დუბი „ხაენმო და სხვა ისტორიები". თანამედროვე ჩეხურ პროზაში მედიცინიდან მოსული არც თუ ისე ცოტა ავტორია, ალენა ვბროვნის, ვალია სტიბლოვას, ილზეფ ნეხვადლის სახელები კარგადაა ცნობილი არამარტო ჩეხოსლოვაკიაში, მათ წიგნებს საბჭოთა მკითხველიც კარგად იცნობს. ოტა დუბი დაიბადა 1909 წელს. იგი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატია. წერა კი 60-იან წლებში დაიწყო და მას შემდეგ იგი ძალზე იშვიათად ღალატობს მისთვის კარგად ცნობილ სამედიცინო თემატიკას.

იგი რამდენიმე რომანის ავტორია. მისი ყველაზე შეტად პოპულარული რომანებია — „ვფიცავ და ალვუთქვამ" (1970), „პროფესორობა" (1980), „საგანგებო შემთხვევა" (1980). არანაკლები პოპულარობა მოიხვეჭა მან, როგორც მოთხრობების ავტორმა. 1984 წელს ოტა დუბმა გამოსცა მოთხრობების კრებული „ხაენმო და სხვა ისტორიები". ამ კრებულის ყველა პერსონაჟი მედიკი არ არის. კრებულის პირველი ნაწილი „ხაენმო ისტორიებია". შემდეგ ავტორი მოგვითხრობს ოკუპაციაზე, ომის შემდგომ წლებსა და დღევანდელობაზე.

წიგნის მეორე ნაწილს „ოკუპაციის ბნელი დრო" ეწოდება, რომელშიც ავტორი ალადგენს ფაშისტებით ოკუპირებული პრაღის საშინელ ატმოსფეროს.

ადამიანის და სიკეთის, სიცოცხლისუნარიანობისა და თანაგრძნობის პათოსი აყენებს ამ მოთხრობებს კრებულს 80-იანი წლების ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებთა რიგში.

ქრისტოფერ ჰემპტონმა (დიდი ბრიტანეთი. დაბ. 1941 წ.) თავისი შემოქმედებითი კარიერა, დაიწყო, როგორც ჯ. ოზბორნისა და „ახალი ნაკადის" თეატრის ტრადიციების გამგრძობმა. მაგრამ, იგი სულ მალე სავსებით ორიგინალურ დრამატურგად იქცა. ჰემპტონი განსაკუთრებით დაინტერესებულია ხელოვნებაში შემოქმედიელ როლითა და მისი ფენომენის უნარით.

ქრისტოფერ ჰემპტონის ცნობილი პიესებია: „სრული დაბნელება" (1970 წ.), „ეიბლის ანდერძ — ნამაგი" (1979 წ); დრამა: „ველურები" (1974 წ.) .

ახალი პიესა „ჰოლივუდის ისტორიები" კი პოლიტიკური თეატრისთვის დამახასიათებელი უანრის — დოკუმენტური ქრონიკისადმი ჰემპტონის მიხვრაფების მკაფიო დადასტურებაა. პიესაში ასახულია ის ურთიერთობები, რომელიც გაიშალა 40-50-იანი წლების ჰოლივუდში იმ გერმანელ მწერალ ემიგრანტთა წრეში, რომლებმაც მიატოვეს ჰიტლერული გერმანია. მოკმედ პირთა შორის არიან: ჰაინრიჰ და თომას მანები, ლ. ფოიხტვანგერი, ბ. ბრეხტი. ჰემპტონი წინასიტყვაობაში გვაუწყებს, რომ იგი გაეცნო ამ მწერლებისადმი მიძღვნილ ბევრ ნამუშევარს, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მათ თხზულებებს,

უდიდეს და რთულ დოკუმენტურ-ისტორიულ მასალაზე თავის გართმევის მიზნით — ხოლო პიესის ეანრში ეს არც თუ ისე ადვილია, — ჰემპტონს შემოაყავს მთხრობელი, ასეთ მთხრობელად იქცევა ცნობილი ავსტრო-უნგრელი დრამატურგი — ედენ ფონ ჰორვატი, რომლის პიესებიც გამოირჩევა აშკარად გამოხატული ანტიბურჟუაზიული მიმართულებით.

ჰემპტონის პიესაში ყველაზე უფრო აქტიურ და ენერგიულ ფიგურებად ევსტრანტების ძმები მანები და ბ. ბრეხტი, მეორე პლანზეა — ლ. ფოიხტვანგერი.

ამბელ რა რეალურ და წარმოსახვით ამერიკას, ჰემპტონი მოხდენილად უპირისპირებს 40-50 წლებში გერმანელი ემიგრანტების შეხედულებებსა და წარმოდგენებს. ბრეხტისა და მანების, ჰორვატისა და ჰელენ ვაიგელის ინდივიდუალური აღქმით იქმნება ჰოლივუდისა და მთელი ამერიკის სულიერი ცხოვრების სურათი.

გაბრიელ გარსია მარკესის რომანი „სიყვარული ეამიანობისას" ესპანეთსა და ლათ. ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში 1985 წლის დეკემბერში გამოიცა.

მოკმედება ვითარდება კოლუმბიაში, მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში. სამყაროს, რომელიც ავტორმა შექმნა ახალ რომანში, რეალობის ყველა ნიშან-თვისება გააჩნია. ამავე დროს იგი მოჩვენებითიცაა, ქალაქში, რომელშიც დამპყაუებული ატმოსფერო მეფობს, ჩვეულებრივ, ყოველდღვარი ანაყურთი შიში გარეშე ისმის სიტყვა — „ეიმი", ეამი-სიმბოლოა. ეს ავადმყოფობაცაა და სოციალური ბრალიერებაც, რომლითაც დასნეულებულია არა მარტო ქალაქი, არამედ მთელი ქვეყანა. ეამი ასოციერებული ეაობთან: პიროფესორს დახვეხებული ცხოვრება ითრეკს, იბრწენება მთლიანად საზოგადოება. ასეთია ის გარემო, სადაც იშლება საოცარი გრძნობის ისტორია, რომელმაც ნახევარსაუკუნოვან გამოცდას „ჯაუძლო.

ჯერ კიდევ რომანის გამოსვლამდე, ავტორმა განაცხადა, რომ ნაწარმოები სიყვარულს ეძღვნება, და იგი, სიყვარული, ამჯერად ერთადერთია იმ სასწაულთაგან, რომელთაც ასე შეეჩვივნენ მარკესის თაუვანისმცემლნი.

რომანი 80 წლის მოხუცის, დოქტორ ურბი-

ნოს სიკვდილით იწუნება, როცა დაკრძალვიდან ხალხი წავიდ-წამოვიდა, ქვრივმა, 72 წლის ფერმინამ, გიიგოსა, როგორც ეს მას მოეჩვენა, საშინელი და მკრეხელური სიტყვები: „ნახეთარ საუკუნეზე მეტი ველოდი ამ წამს, რათა კვლავ შემომეფიცა საბუდამო სიყვარული და ერთგულება“. ამ სიტყვებს წარმოთქვამს 76 წლის მოხუცი, რომელიც ფერმინამ, ჯერ კიდევ გიმნაზიის მოწაფემ „უხსოვარ დროს“ გიიცნო.

სიყვარული, როგორც ცხოვრების დღესასწაული — მხოლოდ ერთ-ერთი თემაა რომანისა. არის სხვა, უფრო მნიშვნელოვანი თემაც: სიყვარულში, როგორც, საერთოდ, ყოფაში, ძალს საწვინი სიცოცხლისა და სიკვდილისა. ეკმით, სიმბოლოზირებულია სოციალური და ადამიანური ურთიერთობების დაშლა. ეს „სნეული“ სტუტაცია და მისი სიმბოლო�y „სიყვარულის სახადი“ თემაა, რომელსაც მიეკვარო ადამიანური ყოფის რაობის გააზრებისაკენ, ადამიანის ბუნების იმ რთული პრობლემებისაკენ, რომელიც სხვადასხვა უბედურებათა სათავეა, ამის გამო კი ადამიანები იტანჯებიან. ამ მოტივის დიალექტიკამ განაპირობა სიკვდილ-სიცოცხლის პირისპირ შეტაკების ტრაგიკომიკური ფინალი. რა უფრო ძლიერია — ძალა განშორებისა თუ ძალა შეერთებისა, სიცოცხლისა თუ სიკვდილისა? ხმლეფს თუ არა სიცოცხლე სნებას?

ნაწარმოები მთელი თავისი მხატვრული კონცეფციით იძლევა პასუხს, რომელიც ეწინააღმდეგება მე-20 ს-ის ლიტერატურაში უსიმოყიდებულ გაუცხოებულ ურთიერთობებს ადამიანთა შორის და განამტკიცებს სიცოცხლის, სიყვარულის რწმენას. ეს პოზიცია მთავარი გმირის ძირითად სენტენციად ფორმულირდება: მას ასე ცხადად არასოდეს უფრქვნია, რომ „სიცოცხლე გაცილებით განუზომელია სიკვდილზე“.

ტომ სტოპარდი („ნამდვილი რამ“, დიდი ბრიტანეთი) წლების მანძილზე ამუშავებდა იმ თემებსა და სიუჟეტებს, რომლებსაც იგი წარსული ეპოქის მწერლებიდან სესხულობდა. (მაგ. პიესა „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდრები არიან“ — 1967). მისი ორიგინალურ-სიუჟეტებიანი პიესებიც კი („ნამდვილი ინსპექტორი ჰაუნდი“, 1969 წ; „მხტომები“ 1972 წ; „ციბიდან ჩამოვარდნილი მხატვარი“ 1973) გამსჭვალულია უკვე მტკიცე და საყოველთაოდ მიღებული ამბებისა და შემთხვევების პაროდიის, ანუ ერგებისა და გაკილვის სტიქიით.

ამჯერად, სტოპარდის ახალ პიესაში „ნამდვილი რამ“, ოოქმედება ჩვენს დროში, ახლა ხდება. ამ პიესაში დრამატურგმა საკმაოდ ზუსტად და არაორაზროვნად ჩამოაყალიბა თავისი **მორალური** და შემოქმედებითი კრედო, იმისდა **მიუხედავად**, რომ აქაც გვხვდება სტოპარდისეული მოხერხებული სიტყვის თამაში, მისთვის ჩვეული ხერხი „თეატრი თეატრში“, ყველაფერი ის, რასაც ჩვენ ადრეული სტოპარდით ვიცნობთ.

პიესაში ორი წყვილია: ჰენრი და შარლოტა. მაკსი და ენი, რომელთა ცოლ-ქმრული კავშირი ჩვენს თვალწინ ირღვევა და პირველ ალანზე გადმოდის მწერალი ჰენრიხის და მსახიობ ენის ურთიერთობა, ამდენად, ჩვენ უეცარი და ძნელი სიყვარულის აღმოცენების მოწმენი ვხდებით.

ჰენრის პიესას, რომელშიც მაკსი და შარლოტა თამაშობენ „ხუხულაზე“ ეწოდება — უდავო ასოციაციაა იბსენის „თოჯინების სახლთან“ — რაც მოწოდებულია პერსონაჟთა ცოლ-ქმრული კავშირის არასტაბილურობის ხაზგასასმელად.

საერთოდ, ამ პიესაში კარგად ჩანს სუფუნის მიჯნის თეატრის ტრადიციები, მარტო იბსენისეული არა, არამედ ის ტრადიციებიც, რომელიც მოდის შოუდან.

პიესის ფინალში ენი და ჰენრი ერთად არიან „თოჯინების სახლში“, ამ „ხუხულაში“, რომელიც მაინც არ დაშლილა, რომელმაც გაძლო და უფრო მყარიც ვახდა. სიყვარული, შემოქმედება, საკუთარი კერძის გრძნობა — ეს პროგილეგირებული კლასის კუთვნილებაა! — აი, რას გამოხატავს „ნამდვილი რამ“.

ამერიკელი მწერალი **ტომას პინჩონი** (დაბ. 1937 წ.) ამერიკული მოდერნიზმის სადღესასწაულო ცენობილი ფიგურაა და ძლიერ გამოუცნობიც. არცერთი საჯარო გამოსვლა, ინტერვიუ, არავითარი თვითრეკლამა, ამასთანავე კი მისი შემოქმედების ნაკარნახევი კრიტიკული ბიბლიოგრაფია საგრძნობი ტომით იზრდება. ცენობილია მისი რომანები: „V“ „იძახებენ №49“, ნოველები „საიდუმლო ინტეგრაცია“, „წვიმა“, ნოველა „ენტროპია“ კი დღესაც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას, როცა პინჩონი უკვე სახელგანთქმულია და მის შემოქმედებაზე დისერტაციებს წერენ.

ენტროპიის ცნება, როგორც ფიზიკური მოვლენა და როგორც სულიერი პროცესების ზუსტი მეტაფორა, რომელიც ურთიერთშორის კავშირთა კვდომაში, ანუ გარეშემოცველი სამყაროს მოჩვენებითობაში გამოიხატება, სადაც ერთადერთ ეუმეტელ ჭეშმარიტებად აღმოჩნდება არა მარტო შეკმნის, არამედ ნგრევისადმი გაძალებული უუნარობა — ძირეულია პინჩონის შემოქმედებისათვის.

რას მოგვითხრობს „ენტროპია“? მასში აღწერილია ნიუ-იორკელი ინტელიგენტიელების მიერ მოწყობილი წვეულება. ეს ხალხი მეტისმეტად ამაყობს თავის ნონკონფორმიზმით, თუმცა ეს ხელს არ უშლის სანიმუშო წესრიგიანობით მიღწულ ჯამაგირი მათთვის საძულველი ბიზნესმენების კანტორებზე.

სართულით მაღლა კი ნოველის სხვა გმირები, უცნაური სახელების მქონე, კალიანტი და ობოლია ცხოვრობენ, თავიანთი სავანე სათბურივით მოფუფუვიათ, რომელიც კიდევ ერთი მეტაფორაა ხელოვნური თავშესაფრისა, საყოველთაო ქაოს-

ისაგან აზოლაციისა. თერმომეტრი ჯიუტად უჩვენებს 37 გრადუსს ფარენგეიტით, გარდუვალად ახლოვდება „სითბური სიკვდილი", შეუქცევადი, კოსმიური... თითქოს ამ პირქუში წინათგრძნობის საპასუხოდ ორანეერეში კვდება ჩიტი, რომელიც კალისტომ ვერაფერით გადაარჩინა.

დაბლა კი წვეულება გრძელდება. რეალური დროის შეგრძნება ყველას უიმედოდ აქვს დაკარგული. სათბური არ შეუძლია რამეისაგან, თუნდაც სმენარეოვისაგან დაცვა, ამას თვით მთავარი მეორენიკე გრძნობენ. ორი ფაუფელური ხაზი ფაქტიურად არაფრით ეხმაურება ერთმანეთს და ასევე დაუსაბუთებლად, მოულოდნელად წყდება. არაა არც დაპირისპირებულობა, არც კონტრასტი, არც სიუეტურო ლოგიკა — არის ენტროპიის ხატი, როგორც დღევანდელი სამყაროსა და ადამიანის სულის უნივერსალური ნიმუში. ყოველივე ეს დამახასიათებელია „ციხის" ნის პრობლემათვის.

სანინტერესოა თვით ავტორისეული კომენტარი ნოველაზე: მოთხრობა ჩაფიქრებული იყო, როგორც „50-იანი წლების სურათები, თუ როგორ გადაიტანა ის დრო ზოგიერთმა ჩვენგანმა..." და პინჩონი რამდენიმე შტრიხით შეამბეჭდავად ხატავს ეპოქის სურათს: „უმიზნობა", „დაორგუნველობა", „უთანხმობა". ავტორის აზრით, ენტროპია ყველაზე უფრო ახლოგანილი და თანხმიერი ცნებაა ბიტნიკებისათვის, რომელიც იმ პერიოდში გამოვიდნენ ასპარეზზე. პინჩონს მიაჩნია, რომ ეს იყო თაობა, რომელმაც ვერ გამოკვა საკუთარი სულიერი პოზიცია ამტკიცებენ ასე ადვილად მიზანტროპია, ამტკიცება გარემოს „ენტროპიულ" აღქმა მათი ტიპიური თვისება გახდა.

რევოლიკა

თბილისის კომკავშირიული ორგანიზაციის 45-ე საკანონმდებლო კონფერენციაზე ახალგაზრდა პოეტმა დავით მაღრაძემ განაცხადა:

— „კარგი ხანია, რაც გამოდის „ცისკრის" დამატება „ნობათი". დაარსებისთანავე გადაწყდა, რომ მისი ფურცლები მთლიანად დათმობოდა დებიუტანტებსა და ახალგაზრდა მწერლებს. უხერხული და სპრეთიო, როდესაც „ნობათში" სახელმოხვეულები მწერლების ნაწარმოებებს ვსდებენთ. კარგი იქნება, თუ „ნობათს" იმათ დავანებებთ, ვისი სახელიც პირველად უნდა გაბჭიანდეს ლიტერატურაში. სახელმოხვეულითოვის ისეც ლია ჩვენი პერიოდიკის ყველა კარი..." (იხ. გაზ. „თბილისი", 1986 წ., 29 დეკემბერი).

ეტყობა, დ. მაღრაძე ზერელედ გაეცნო სათანადო მასალას, რის გამოც მაღალი ტრიბუნიდან გაკეთებულმა განცხადებამ დასანანი ტენდენციურობის იერი მიიღო. „ნობათში" სრულიად ახალგაზრდა ავტორების — თამთა ცეცავის, ნოდარ ბაკრაძის, ეახა დეკვლარიანის, გელა კიკოლაშვილის, ერეკლე სალღობანის, თამუნა ჭალიაშვილის, სოსო მაკარაშვილის, მიხო მოსულიშვილის, გიგა თუთბერიძის, ნატო ლონდარიძის, თოთია გიგაურის, დავით ჩიხლაძის, ნუგზარ ჩიქვაიძის, გოჩა აბუთიძისა და სხვათა გვერდით მართალია, ჯერ კიდევ იმეტდებიან ისეთი სახელმოხვეულები მწერლები, როგორებიც არიან: ილია ბეგეკალაძე და ვაჟა-ფშაველა, ფილიან ფოლკნერი და ვლადიმერ მაიაკოვსკი, სინკლერ ლუისი და კონსტანტინე პაუსტოვსკი, მაგრამ ყურადღებით რომ გაცნობიერდა გამოქვეყნებულ მასალათა შინაარსს, დ. მაღრაძე „ლიტერატურული გაკეთილების" საგანგებოდ შემოღებულ რუბრიკასაც შეაჩნევდა. სწორედ ამ რუბრიკით შესთავაზა ჟურნალმა მკითხველს კლასიკოსთა ისეთი ჭრესტომათიული წერილები, როგორიცაა: „პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ", „ნიბეიტი მწერალი", „მწერლური ოსტატობის დამამთავრებელი კურსი", „როგორ ვაკეთოთ ლექსები", „ნუ იმედოვნებთ ოლიმპზე ამაღლებას", „უნარი ხილვისა" და სხვა.

განა შეიძლება ვინმეს ეს „უხერხული და სპრეთირო" ეჩვენოს?!

„ნობათში" ჩვენი სასაქადულო მწერლების ირაკლი აბაშიძის, გრიგოლ აბაშიძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, ტარიელ ჭანკურაოს, ირაკლ ქემერტელიძის სახელებიც გამოჩნდა, მაგრამ... ეს მათი ნაწარმოებების პუბლიკაცია არ ყოფილა, მაშ, მამაწლური რეკომენდაციები თუ გზის დალოცვა ახალგაზრდობისათვის ადგილის წარმოეკვა ნაშნავს?

ჟურნალ „ციხარის" დამატება
„ნ ო ბ ა თ ი"

ჩ ვ ე ნ ი მ ი ს ა მ ა რ თ ი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.
ტ ე ლ ე ფ ო ნ ე ბ ი: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-22, პასუხისმგებელი მდივანი 72-43-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-85, პრიზნის — 72-26-80, „ცისკრის" დამატება — 72-17-01, საკორესპონდენტი — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 5. 11. 86 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 6. 01. 87 წ. ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმთა რაოდენობა 10. პირობით ფორმთა რაოდენობა 11. საღრ.სგ. ოფსეტი 15,85. შეკვეთა 2594. უე 04303. ტირაჟი 65.000.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ფასი 60 კაპ.

6/15/31

ეროვნული ბიბლიოთეკა
ინვენტარული
ინდექსი 76286

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ